# ცისკარი

WWW.Opentext.ge/Ciskary

სამხატვრო სალიტერატურო ჟურნალი

5-6 | 2003



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კონსტანტინე გამსახურდია - 110

ეროვნული ბიბლიოთეკა



„მცხეთის ქალაქს მირონი დუღს",
მზის და ვაზის მირონი,
ბებერ ქვებში ღაღადებენ საქმენი საგმირონი.
ღაღადეთ, ფუძის ქვანო, ქვანო საგუმბათონო,
მცხეთას ხომ არ მიბრძანდებით, კონსტანტინე ბატონო,
ბულბულს როგორ არ ესტვენა
იბერიის ბაღთათვის,
არ მოევლო პალესტინა,
კილიკია, ბაღდათი.
მოიარე საქართველო მეროქიკე ბერივით,
მოიძიე მონასტრები ჟამით გადაბელილი,
მკათათვეში თრიალეთზე ცაა უკაზადონო,
იქნებ კვეტარის ესტუმრებით, კონსტანტინე ბატონო!
ვით დაქროლილი მეციხოვნე ქორის თვალგადასხმული
დიდოსტატის მარჯვენაზე გისვენია წარსული.
გადმოდგება ქართულ მთებზე დილა საიადონო
და ქუდს გიხდის საქართველო, კონსტანტინე ბატონო.

შოთა ნიშნიანიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამფუძნებლები:
საქართველოს მწერალთა კავშირი
ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია

# ცისკარი

WWW. Opentext.ge/Tsiskari

5-6 | 2003

დაარსებულია 1852 წელს აღდგენილია 1957 წელს

მთავარი რედაქტორი:
ზაურ კალანდია

სარედაქციო საბჭო:
ბადათერ არაბული
ლევან მალაზონია
ელზა მეტრეველი – მთ. რედაქტორის მოადგილე
მიხო მოსულიშვილი

მხატვარი:
გიორგი წერეთელი

ტექრედაქტორი:
ზიული სირაძე

გამომცემელი:
ლევან თითმერია

საქართველო, თბილისი, ხიდის ქუჩა №1
ტელ: 99- 85- 81 მთ. რედაქტორი
98-36-43 მოადგილე

## შინაარსი

### პოეზია, პროზა

3. ანზორ აბულაშვილი. ლექსები
8. ლევან მალაზონია. Carpe diem. მოთხრობა
15. ელა გოჩიაშვილი. ლექსები
18. ზურაბ ლობჟანიძე. ლექსები
22. ჯემალ დავლიანიძე. მოთხრობები
38. გიორგი გიგაური. ლექსები. წინასიტყვაობა ბადათერ არაბულისა
43. თემო ჯაფარიძე. ფრჩხილის კვნეტის წიკი
50. ზეინაბ მეტრეველი. მიქელანჯელო. ლექსი პროზად
65. ზურაბ ჭუბაბრია. სახლი საქვაბის ჩიხში (ნაწყვეტი რომანიდან)
70. ბესიკ ადეიშვილი. ლექსები. ჯარჯი ფხოველი. გამოსარჩლება
75. გიზო თავაძე. ნოველები
80. თამარ დაუშვილი. ლექსები
83. ბადრი სულაძე. ლექსები
85. ჯუმბერ ხანთაძე. ნოველები.

### სრიალით გავლილი წლები

90. ემზარ კვიტაიშვილი. დღიურები

### „ნობათი“ „ცისკარში“

98. ეკატერინე აბუთიძე, ლანა კალანდია, გელა დაიაური, ვანო გოლიაძე, ნაზი მკალავიშვილი, ილია შუღლიაშვილი, სოფიო კაკაჩია, ლუი მელვინეთუხუცესი, მაია ლიპარტელიანი, ეთერ ელერდაშვილი, გიორგი გაჩეჩილაძე, სოფიო ტატურაშვილი, გიული შაბაშვილი, ცია ცხოვრებაშვილი, დათო ყანჩაველი, თამუნა ბერუჩაშვილი, თამარ მამისაშვილი
104. ტრისტან მახაური. გზა - 1947-დან დღემდე
ნინო ხანდოლიშვილი, ნონა გიორგაძე, გოგიტა არაბული, ნინო მაღრაძე, ომარ სუიფედინი - თარგმნა ოქტაი ქაზუმოვმა, ნანა ეჯიბია, მაქსიმილიან ვოლოშინი - თარგმნა ნათია კასრაძემ, ნათია ნაცვლიშვილი, სოფიკო ბაშარული, ხათუნა პატაშური

### ჩვენი თანამედროვე

109. ნახატმა გამოფენაზე უნდა დაიჭიროს მნახველი. მიხო მოსულიშვილი ესაუბრება მხატვარ ნანა ცინცაძეს

### ახალი თარგმანები

114. ბორის აკუნინი. აზაზელი. გაგრძელება. თარგმნა მიხო მოსულიშვილმა

### წერილები

140. ნუგზარ შავგულიძე. ორი ლიტერატურული წერილი
146. ნათია ადამია. რომანი რომანზე
149. ლაიოშ ტარდი. ქართულ-უნგრული ურთიერთობები... თარგმნა ვანო იმერლიშვილმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანზორ აბულაშვილი



## დღეის ლექსი N2

ვეფხის ტყავს იქით ვაჩუქებ
არაბეთსა თუ ინდოეთს,
მსახურად ოქროს თევზი მყავს,
სხვა რაღა უნდა მინდოდეს!
კი, სული ეშმაკს მივყიდე,
მაგრამ არც ისე იაფად,
უსინანულოდ ანგელოზს იმიტომ დავემშვიდობე.

მე ვარ და ზეცის მახურავს
ლაჟვარდისფერი მე ჭერი,
თან უძლეველი ყოვლის ვარ,
არცრად სიკვდილის მეჭველი.
ჟამი დგას, როცა ჩემსავით, გამონაკლისის
გარეშე,
უჯობთ სახელის მოხვეჭას
სხვა ყველა მოსახვეჭელი.

## თუმცა დრო-ჟამმა სამოთხეშიც შემოაღწია

რა გაფიცხებით ბრუნავს
სოფელი,
რა ულმობელი ხდება სიბერე.
ჩემი სიზმრები მაისის თქეშში
ფეხშიშველები ვეღარ ირბენენ.
და მაინც, ყოვლის
მიუხედავად,
თუმცა შენც შეჭკნი ვარდი სამოთხის,
ყველა ენაზე ერთად მიყვარხარ,
ვერც ერთ ენაზე რომ ვერ ამოვთქვი!

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გაურკვევლობა

გულიც წამსვლია, ზოგჯერ გული ისე მომსვლია,
გულზეც ვსივდები - შობას თუ არ მესმის ალილო.
მეშინის, რითმად არ წამომცდეს ლექსში ბოსნია,
ემანდ, როსიას გული რომ არ მოვაყვანინო.
დღეს ვინ გაბედოს -
თითქოს ვინმე ბარბაროსია;
ვინ უმცროსია ანდა კიდევ - ვინ უფროსია;
ან ფასადების წითლად ღებვა რაღა დროსია;
სხვა ჟამი გვიდგას, სხვა მზეა და
სხვა ტაროსია...
. . . . . . . . . .
ენგური აპსნზე გამობმული ჩრდილოს ტროსია.

## „ჯარისკაცის მამა“

*რევაზ ჩხეიძეს*

საუკუნის კიდევ ერთმა აბსურდულმა დრამამ
მოლოდინის ოთხ წელიწადს დაუკარგა ძილი...
შეერია ომის ქარცეცხლს ჯარისკაცის მამა,
იდგა სისხლის მდინარეში ჯარისკაცის შვილი.
. . . . . . . . . .
მზე ერთხელაც იმქვეყნიურ სიზმრებშიაც ჩავა.
სიკვდილს თავად დაეცემა სხვა სიკვდილის
ჩრდილი.
სიკვდილებშიც ძებნად ივლის ჯარისკაცის მამა,
რომ იხილოს, როგორ კვდება ჯარისკაცის შვილი.

## სიურრეალისტური მომენტი

ხელებს, გულზე დაკრეფილებს,
უფრო გაგიჟებით გიწვდი.
ვაი, უკვე ამ ქვა-ღორღის
მოყრამდეც კი ვეღარ იცდი...
არადა, აქ როგორ გავძლებ,
მერე რა - თუ დაცავმიწდი.
ამაღამვე დამისიზმრე,
ჩქარა დაიძინე... გიცდი.

## ორი ჩრდილი

სიზმარ-ცხადია... ჭაჭანება, ვითომც, კაცის
არა ჩანს ირგვლივ,
მზეა და თანაც - ვარსკვლავთ კრთომის,
ჭინჭველათა ჩქამი რამ ისმის...
ჰა, კვაზიმოდოც!.. მაგრამ, ვითარ გაუჩორკნავთ,
ვერ ხვდება იგი...
და აპოლონიც!.. სიაღნაგის არცა იმან
უწყისრა თვისის...
ამ სიზმარ-ცხადის მომხილველმა რაი მეტი
უნდაღა ვცოდო!..
უცებ ვითომდა ერთარსებად ორივ ჩემში
მსახლებლად ვცანი.
სჭვრეტს კვაზიმოდოს აპოლონი
და აპოლონს სჭვრეტს კვაზიმოდო
და ესმით ზეცით: - ამიერით
განუყოფი ღვიძლი ხართ ძმანი!..
და პირველქმნილა სულიერი ღმრთისგან ვითომ
ეს ორი სწორედ.
მისჩერებია ერთურთს ესე თვალხილული
თეთრი და შავი.
კვაზიმოდოსთან მიმსგავსებას აპოლონი, ცხადია,
ჰგონებს,
ხოლო ეჭვგარე მსგავსი ძმისა
კვაზიმოდოს ჰგონია თავი.
თვალი თვალს უმზერს, სულს კი სული,
ურთიერთის მსგავსი და სწორი,
მაგრამ წამიერ ხის ცნობადის აკრძალული
თითქოსდა ხილი,
თვალისამხელი, კვლავ ეშმაკის მოხერხებით,
ბედკრულის ორის -
ალვადრგული და დაჯღვარკული
მიწას ორი დაეცა ჩრდილი...
და უცებ ზიზღით გადმოინთხა
აპოლონის თუ ჩემი მზერა
და უდაბურად იქმნა წამსვე ჩვენი სულის
საღმრთო წალკოტი...
კვაზიმოდოზე რაღა ითქმის!..
თუმცა ისიც ვითომდა მე ვარ,
ჩემზე გადმოდის ხვედრი მისი -
საუკუნოდ გულის დამკოდი...
...ვერ ამოვხსენი ზეციერის საიდუმლო
და გამოცანა
და მე ხორციელს ფრთებშავ-თეთრი
მიწიერი მკორტნის ფრინველი,
თან თითქოს მესმის,
ვისთვის ითქმის აღტაცებით
ცაში ოსანა,
მშვენება სულის, ხილულს რითი აღემატვის,
თვალთუხილველი....
. . . . . . . . . . . .
როცა არც დღეა და არც ღამე,
არც ძილია და არც სიფხიზლე,
რისად იგალობს მდუმარება -
არარსებულ ყრუთა მგოსანი.
ან სამუდამო გვემად, ნეტა,
სულში რისთვის შემოვიხიზნე
მშვენიერების სიმახინჯე
და მახინჯი სულსხივოსანი.

## დაშიფრული პასუხი „ღია“ საალბომე-სასიყვარულო ლექსებზე

ამ დასიცხული გამოფენის ვინც ხილვად
მოხვალ,
იტყვი კი - კაი ფერმეტყველი,
გინა ენამზე,
რა ფასს იწონის პრიმიტივის ძველმანი ოხვრა,
გამოტანილი ამ გარითმულ გამოფენაზე...
რებუსად ვამბობ...
ამოცნობა მისი რთულია.
აქ ეპილოგად ერთს დავურთავ
ზემო წინათქმას:
ორთაჭალელი ყველა ტურფა დახატულია
და სიყვარულიც ახსნილი აქვს
ყველა იმათგანს.

## მცირე დრამატული ბალადა

...და მოგდევს, შენ რომ პირველად იგრძენ,
ნამდვილი გემო კურცხლის მწუთხესი,
აღმზრდელმა ერთხელ
როცა ყრმას უწრთვნელს
მკაცრად გიბრძანა დგომა კუთხეში;.
როცა გაუწყრა ჩიტის პაწია
გულს, ისეც მოშიშს, უეცრად,
მზრდელი...
და გითუთქავდა, მდგარს იმ კუთხეში,
ლოყებს ნაღვენთი ცრემლები ცხელი.
. . . . . . . . . . . . . . . . . . .
და მერე ის დღე შენი იმედის
ყველა ნერგს ფესვებს
ისე უთხრიდა,
რომ იმ კუთხეში დგახარ აქამდე
და ვერ გამოხველ შენ იმ კუთხიდან.

## მაცდურის ნებით...

ისევ მომიხტნენ - თვის ვარდობის -
კარზე ცოდვები,
ისევ დამეწყო გონდაბინდულს
ჭრელი ბოდვები,
უფრო ისეთი, არავის რომ არ გაეგება,
რას მივედებ და რას მოვედები.
დრო მიმათრევს და კიდევ უფრო
მეტად გშორდები,
აღმივლენია მე სახოტბოდ შენზე ოდები.
ქორფას სიბერის ჰანგებისა
არ გეყურება -
გულამორვადნით რას მივედებ
და მოვედები...
ჩემთვის მზეც ჰყინავს,
შენთვის თოვლში
ჰყვავის ედემი,
ტბის სილურჯეში ჩახატულან თეთრი გედები...
ვიცი, მე მხოლოდ მაცდურს ვართობ
მოლაზღანდარეს,
გრძნობამორევით რომ მივედებ
და მოვედები.

## ზოგჯერ...

სიზმრებში კი არა მხოლოდ,
ცხადშიც მიღრენს საიქიო.
ისე მიჭირს,
ყველაფერზე
ლამის ხელი ჩავიქნიო...
მინდა, შენი მაქებარიც
ჩავქოლო და ჩავაქვავო,
მართლაცადა,
შე ასეთო,
შე ისეთო, სააქაო....

## კიდევ ერთი გაუგებრობა

მე მტვერი ანთუ, უფრო ზუსტად თუკი ვიტყვით,
არარსებობა,
შეუვსებელი - ზღვარდაუდებ სამყაროში,
ვთქვათ და, ანკეტა,
სამარადისოდ სიდან საით მავალი თუ
არმიმავალი,
ამ წუთისოფლის საუფლოში წუთით გზად რამ
შემომახეტა?..
ვისით მტანჯველი ბინად, გონი,
თუ ეს ცხადი სიზმრები მომცეს?
თვალაპყრობილი ცისკენ თრთოლვით -
მონაცვლებით
ვთენდებ-ვბინდდები
შეკედლებული მომლოდინე ნუგეშინით დაფერილ
ლოცვებს,
მაგრამ ვერ ჩავხვდი - არაფრობა
დროის სრბოლას რაში ვჭირდები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პოლიტიზირებული სიხარული

რა შეედრება ზამთარგამოვლილი გულისა და
სიხარულის შეხვედრას,
ჩვენს დროში სიცოცხლის მახანგრძლივებელ
იშვიათობას.
დღეს ასეთი შეხვედრის მეოხებით ჩემი ოპტიმიზმი,
ერთი დიდებული პოეტისა არ იყოს,
პირდაპირ ჰაერს აბიჯებს,
რომელსაც რწმენის ძალმოსილება და
არჩეული გზის სისწორის დაუეჭვებლობა
ამკვრივებს...

„ვაჰ, დრონი, დრონი!.."
მეტისმეტი შეუსაბამოებანი სჩვევია მის
უღრანებში
მიმავალ კაცობრივ ყოფას.
ოდესღაც პესიმიზმი, ნამდვილი სულიერი
ღირებულებებით
შემკულ,
მატერიალური მდგომარეობებით მონებივრე,
მაგრამ
ღმერთის წინარე მუხლდადრეკილი, ელიტის
საკუთრებად
დამკვიდრებული პრივილეგია იყო და
მის აქციებზე
უღმერთოებს და უმეცრებს ხელი არ
მიუწვდებოდათ...
სამაგიეროდ, ღვთის გარეგან კაენის მემკვიდრეებს
ანთუ ცხრაასჩვიდმეტიანებს
ჩეჩქვით ეყარათ მუშურ-გლეხური,
შარვალგამოხეული ოპტიმიზმი,
რისი მიზეზითაც დიდი მაიმუნი რამ დრო-ჟამი
ჩამოდგა
დედამიწის ღმერთგამწყრალ ერთმეექვსედზე...
მაუზერმიჩეჩებულ გუშინდელ ნაცრისმჭამელს
ოპტიმიზმი - კაცის კვლაში კვალიფიკაციის
ამამაღლებელი
დამხმარე სახელმძღვანელოც ეგონა და
„კლასობრივი მტრის" ფუძე-ჭერ-ხვასტაგ-ქონების
დაპატრონების უებრო საშუალებაც...
მათი მთავარი საწადელი კი -
ყველა ეროვნების
ერთ უჯიშო მასადწოდებულ ნახირად
გადასხვაფერება გახლდათ.
ეს იყო მათი „წმიდა ათეისტური წერილის"
უმთავრეს ქადაგებათაგან
პირველი პუნქტი...
მოკლედ, გაფუყულნი იქამდე დაჯირითობდნენ
უახლესი ისტორიის
მოკლე კურსის ბოლშევიკურ ფურცლებზე,
ვიდრე ნამდვილ ისტორიასა და ჭეშმარიტებას
ყელში არ ამოუვიდა კაც-მხეცთა ეს ჰიბრიდი
და უცბათვე არ მიხვეტა
მისთვის შესაფერის სანაგვეზე...
ასე გადავრჩით ჭკუასუსტთა ექსპერიმენტს,
ჩვენს სრულ მოსპობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ...
აი, ეს გახლავთ ჩემი სიხარულის საგანი და
კვლავაც საკუთარი თავის პატრონად გამხდარს
არჩეული გზის სისწორის დიდი რწმენა და
შეუმცდარობა
ჰაერზეც კი მაბიჯებინებს, როგორც ერთხელ
უფლის მოციქულს წყალზე.

## ორი მომენტი N 2

1

აბა, გაბედოს და წუთის წუთმა
ან თუნდაც წამმა და წამის წამმა,
შავი ქვესკნელის, მდინარის ნაპირს
არ მიაყენოს ნავით ქარონი...
ვინ უქონელი განვიდა სოფლით,
იქნებ, არ სულათან გაყრა ემწარა:
მიწით შიშველ ხორცს დაიფარვიან,
ჭერს იპოვნიან უსახლკარონი.

2

არ შეიძლება, დეკემბერებ
დანიშნულ დროს არ მოგვესალმონ,
ახალშობილის წამოტირებამ
მზით არ აავსოს ბნელი ბოსელი...
სიტყვა თუ იყო ღმერთი, ის სიტყვა
გვესალბუნება სულის მალამოდ,
ვისითაც იქმნა ნათელი ესე
ზესკნელ-ქვესკნელის შესამოსელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გაორება

იმედის გამობჟუტებას
ხშირად ეცვლება ნირი.
ზოგჯერ იფიქრებ -
შეგვყრია
მოურჩენელი ჭირი.

იმიტომ ხმაცვალებადობს
ჩემი სალამურ-სტვირი,
ცალი თვალით რომ ვიცინი
და ცალი თვალით ვტირი.

## თერგდაულეველის ლექსი

დარიალიდან ვერა ვხედავ
მზესა თუ ცარგვალს...
ჯოჯოხეთისკენ ეს რა ვიწრო
გასასვლელია!
აქ თერგის წყალსაც სვამდნენ ხოლმე
ოდესღაც, მაგრამ
დღეს უფრო მეტად ამღვრეული -
რა სასმელია.

## როგორც შემეძლო...

რაკიღა სახმილ-ღველფით გვდაღავენ,
რაც ჯოჯოხეთის იგივ კუპრია,
მრავალ ლექსს ჩემსას
უჭირავს ხმალი,
მისი ჯვარივით ვადა უპყრია...

რაკიღა სულის ამოსახდელად
ბინძურ ტორს
ყველა წყლულზე გვაჭერენ,
ორიოდ სიტყვა მე ომის ცეცხლში
ბრძოლის ყიჟინით შემოვაჭენე...



# ლევან მალაზონია

## Carpe diem



შარშან, შუა შემოდგომაზე, საღამოხანს, ძველი თბილისის ეზოს ფანჩატურში, დომინოს თამაშის დროს, კარის მეზობლებმა სათევზაოდ წასვლა გადაწყვიტეს და დილაადრიან თავზე ჩამოფხატული თეთრი ქუდებით და ბამბუკის ტარიანი ანკესებით გზას გაუდგნენ.

სამნი იყვნენ, სამოცს მიღწეული, ერთმანეთს შებერებული სკოლის მასწავლებლები - ჯიმშერ მუჯირი, უჩა დვალი და დამიანე გოგეშვილი. რა თქმა უნდა, სუფთა ჰაერზე გასასეირნებლად უფრო მიდიოდნენ, ვიდრე თევზის დასაჭერად, რადგან ყოველი მათგანი დარწმუნებული იყო, რომ შინ ხელცარიელი დაბრუნდებოდა.

მაღალ, უწვერულვაშო და პირხმელ ჯიმშერს უკან გადაწყობილი თოვლივით თეთრი თმა ჰქონდა და დაბალი, ბოხი ხმა; კარგი მათემატიკოსის სახელით სარგებლობდა სკოლის პედაგოგებში და, რაც უფრო დასაფასებელია, თავისსავე მოწაფეებში. მუდამ მშვიდსა და ამავე დროს ზედმეტად თავდაჯერებულს, მისგან ხმამაღალი სიტყვა არავის გაუგონია, სანერვიულოც რომ შეხვედროდა წვრილშვილის პატრონს ცხოვრებაში. ოღონდ, თუ წონასწორობას დაკარგავდა, რაც ძალზე იშვიათად ხდებოდა, ტუჩების კვნეტას იწყებდა, რომლის წყალობითაც მხოლოდ და მხოლოდ ახლობლები ამჩნევდნენ მის მოულოდნელ აზვირთებას. ნაკითხი კაცის რეპუტაცია ჰქონდა, ფილოსოფიაში ჩახედული რატომღაც პითაგორას აღმერთებდა და თავისი საგნის გარდა ასტრონომიაზე იყო შეყვარებული, განსაკუთრებით იმ დღიდან, როცა ადამიანმა მთვარეზე პირველად დაადგა ფეხი.

წითური სახის უჩა მელოტი, ჭორფლიანი, ტანდაბალი და ბეჭებში ოდნავ მოხრილი, ქიმიას ასწავლიდა. იგი შინ თუ გარეთ ყველაფერზე მუდამ აღრენილი იყო, მაგრამ კეთილი ბუნების და ალბათ ამიტომაც პატიობდნენ მას ერთის შეხედვით აუტანელ ხასიათს. მთელმა სკოლამ იცოდა, რომ ცოლად ქურთის გოგო ჰყავდა, ულამაზესი გარეგნობის ქალი, ბევრად მასზე უმცროსი და ისე დაბერდა, რომ შვილს ვერ ეღირსა, რასაც ავადმყოფურად განიცდიდა. თუ ვინმე გაბედავდა და ურჩევდა, რომ სხვა შეერთო, მაშინ წითური სახის უჩა მართლაცდა ცეცხლივით აენთებოდა და „კეთილის მსურველს“ უკმეხად შეუღრენდა, ეს კი იმაზე მეტყველებდა, რომ მომაჯადოებელი შესახედაობის მეუღლე მეტისმეტად უყვარდა.

დამიანე ბოტანიკის მასწავლებელი იყო, აწოწილი ტანის, სარგადაყლაპულივით დაიარებოდა, თხელი წვერ-ულვაში ჰქონდა, მაღალი, დაღარული შუბლი, ატარებდა მუდამ გაბზარულ, ულამაზო სათვალეს. მისი წვრილი ხმა კნავილს უფრო წააგავდა და არც თუ იშვიათად, კლასში, ის მოწაფე, რომელიც ორიანს მიიღებდა, პირზე ხელის აფარებით კატასავით წამოიჩხავლებდა ხოლმე. მაგრამ, დამიანე ისეთი გულგრილი ადამიანი იყო, რომ მსგავს დაცინვაზედაც არ ბრაზდებოდა. მაშინაც კი, როცა ერთხელ გაცოფებულმა ქოსა დირექტორმა მის თვალწინ ბავშვი ცემით კინაღამ მიასიკვდილა, კბილების ჩიჩქნით უყურებდა ამ ამაზრზენ სცენას. თითქოსდა ბრმა ან ყრუ იყო და ამიტომაც ვერავინ იტყოდა, რა სწყინდა მას, ან - რა ახარებდა. არც იმას ნაღვლობდა სამი გაუთხოვარი ქალიშვილის მამა, სიბერეშიც რომ შვილიშვილს ვერ ეღირსა და ცხოვრობდა ცის ქვეშ ასე უდარდელად ბოტანიკის მასწავლებელი. რაც მის ირგვლივ ჩვენში ამ ბოლო ათი წლის განმავლობაში ხდებოდა, ყველაფერს ხედავდა, იქნებოდა ეს უპატრონოდ მიგდებული დამშეული ხალხი თუ გაზულუქებული ნაძირალების პარპაში, მაგრამ იმდენად გულგრილი იყო, რომ არაფერი აღელვებდა. შოვინისტური რუსების, მათგან გაბრიყვებული აფსუებისა და ოსების ბარბაროსობასაც მშვიდად უყურებდა. თუმცა, იმასაც ვერავინ იტყოდა გონებაჩლუნგიაო, თავისი თვალშისაცემი თავაზიანობის წყალობით კი ბევრი პატივსაც სცემდა.

დიდხანს არ უვლიათ, დიდუბეში, მტკვრის სანაპიროსთან ჩაუხვიეს, კონსერვის კოლოფი ჭიაყელებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

აავსეს, შლამიან ადგილას ერთმანეთისგან მოშორებით დადგნენ და უბრალოდ გაწყობილი ბამბუკის ტარიანი ანკესები მდორედ მდინარ მღვრიე ტალღებში ისროლეს.

კარგი ამინდი იდგა სათევზაოდ, უქარო, წყნარი, თბილი.

მთელ საათს უხმოდ ელოდნენ წყლის ზედაპირზე რგოლების გამოჩენას, მერე მოთმინება დაკარგეს, ქვებზე გაზეთები დააფინეს, ზედ დასხდნენ, ანკესები ნაპირის ახლოს მდინარეში ჩაყარეს, ბამბუკები ხელში სათამაშო ჯოხებივით დაიჭირეს და მტკვრის ბუყბუყს მიუგდეს ყური.

მალე მზემ დააცხუნა და გასართობად სათევზაოდ წამოსულმა უსაქმურებმა თეთრი ქუდები ცხვირებამდე ჩამოიფხატეს. ანკესები ოდნავადაც არ ირხეოდა წყალში. მერე მუნჯივით ჯდომა ყველაზე მეტად წითურ უჩას მობეზრდა, აწრიალდა, მოუსვენრად წამდაუწუმ მდინარეს აქეთ-იქით ავლებდა თვალს და ბოლოს აღრენილმა ჩაილაპარაკა:

- სისულელეა აქ თევზის დაჭერა, სხვა ადგილი მოვძებნოთ. დავუყვეთ დაბლა. ჩემი გუმანით მდორე წყალში უფრო დავიჭერთ ერთ-ორ ღლავს მაინც.

ჯიმშერმა თავისი ბოხი ხმით რამდენიმე წუთის შემდეგ გასცა პასუხი:

- რა გვეჩქარება. მე თუ მკითხავ, ასეთ ადგილებშიაც იჭერენ თევზს.

დამიანემ, ჯდომის დროსაც სარგადაყლაპულს რომ ჰგავდა, გაბზარული სათვალე შეისწორა და დაიკნავლა:

- სულერთია, ქვევით დავუყვებით თუ ზევით. ბედი და იღბალია მთავარი, ხომ გაგიგონიათ.

- თუ, გამოცდილება, - შეუღრინა დამიანეს უჩამ და წამოდგა, - თქვენი არ ვიცი და მე ქვევით დავუყვები. ნუ შეჯდებით ჯორზე და მომყევით ახლა.

ერთი საათის განმავლობაში სამთავემ რამდენჯერმე მოინაცვლა ადგილი, მაგრამ ლიფსიტაც ვერ დაიჭირეს. მელოტი და წითური სახის უჩა წამდაუწუმ იღრინებოდა და უიღბლობაში რატომღაც მუდამ მშვიდად მყოფ ბოხი ხმის მქონე ჯიმშერ მუჯირს სდებდა ბრალს, რომელსაც ასტრონომია ძილშიაც არ ავიწყდებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, დამიანეს ანკესს მოზრდილი ნაფოტა თევზი წამოეგო, - მურწა, და სარგადაყლაპულივით მდგომმა კატასავით დაიჩხავლა:

- ხომ გეუბნებოდით, იღბალია მთავარი მეთქი, ჰოდა, გამიმართლა კიდეც. გამოცდილება ზოგიერთებისთვის დამითმია, - მურწა საგანგებოდ წამოღებულ წყლიან კონსერვის დიდ კოლოფში გადაუძახა და გულგრილი თვალებით უჩას გადახედა. თითქოსდა ვეშაპი დაეჭიროს, სამთავე კარგა ხანს ათვალიერებდა თევზს. მხოლოდ დამიანე დასცქეროდა მურწას გულგრილად. მერე ქვებზე გადაფენილ სუფრაზე საგზალი დაალაგეს და ისაუზმეს. მოულოდნელად უჩამ უკმაყოფილო და აღრენილი ტონით ხმამაღლა თქვა:

- თევზიც მოსპეს მდინარეში გათახსირებულებმა.

- ყველაფერს მთავრობას ნუ დააბრალებ, - მაშინვე უპასუხა თავისი მშვიდი და ბოხი ხმით ჯიმშერმა, - სულწასულობა საქმის მტერია.

- შუადღეა უკვე, ვეღარ ხედავ? - ისევ შეუღრინა უჩამ და ანკესი ბრაზმორეულმა ისროლა მტკვარში.

- მე თუ მკითხავთ, ყველაფერი პლანეტებზეა დამოკიდებული, მარცხიც და გამარჯვებაც, - ჩვეული სიმშვიდით ჩაილაპარაკა ჯიმშერმა.

- თევზაობაც? - დაცინვით ჰკითხა უჩამ.

- კი, ყველაფერი ამ ქვეყანაზე. ამას გვასწავლის მეცნიერება.

- მომკლა ამისმა ასტრონომიამ, - ისევ აიმრიზა უჩა და ხელი ჩაიქნია, - თურმე დამთქნარებაც ვარსკვლავთმრიცხველობაზე ყოფილა დამოკიდებული.

- რა თქმა უნდა, - მშვიდად უპასუხა ჯიმშერმა.

- შენ იცი რა გითხრა?, - უფრო აენთო უჩა, - ასეთი ზღაპრები ჩვენს უწიგნურ დეპუტატებს უამბე პარლამენტში.

- ყველაფერი პლანეტებზე და საერთოდ, კოსმოსზეა დამოკიდებული და რა ვქნა ახლა მე, - თავისას არ იშლიდა ჯიმშერი.

- გვაცალეთ, ბატონო, თევზაობა, - ისევ შეუღრინა უჩამ, მისგან მოშორებით დადგა და მდინარეში ანკესი კიდევ უფრო მეტი ბრაზმორევით მოისროლა.

დამიანე კი იჯდა ქვაზე გულგრილი გამომეტყველებით, დროდადრო გაბზარულ სათვალეს ისწორებდა ცხვირზე და აინუნშიაც არ აგდებდა მეზობლების ნალაპარაკევს.

- მზეზე და ვარსკვლავებზე რომ ფიქრობდეს ხშირად ადამიანი, ყველაფერს იოლად აიტანდა მაშინ, საშინელ გაჭირვებასაც და უბედურებასაც, - დამნაშავის ტონით წამოიწყო ცოტა ხნის შემდეგ თავისი ბოხი ხმით ჯიმშერმა და რატომღაც ცას ახედა.

- მოეშვი ამ შენს ფილოსოფიას, ბოლოს და ბოლოს და დამაყენე აქ! - ახლა თითქმის მუქარით უთხრა უჩამ და მისგან კიდევ უფრო მოშორებით დადგა. მერე დამიანეს გულგრილ სახეს რომ მოჰკრა თვალი, ისე გაღიზიანდა, რომ ბამბუკის ჯოხი მიწაზე დაანარცხა, ქვაზე ჩამოჯდა და ბოღმამორეულმა ჩაიბუზღუნა: - თქვენისთანა გენიოსები ანგრევენ ქვეყანას.

შუადღეზე ადგილის მონაცვლება დაეზარათ, რაც იმის მომასწავებელი იყო, რომ შეეგუენ უიღბლობას და ანკესებს უსულგულოდ ისროდნენ წყალში.

- ეჰ, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო, მართალია ეს, - უცებ რატომღაც ხმამაღლა დაიბუხუნა ჯიმშერმა და დანანებით თავი გადააქნია, - რას ვამბობ მე იმისთანა უცნაურს, რომ ფილოსოფოსობას მწამებენ. მზეზე, ვარსკვლავებზე, მთვარეზე, სხვა გალაქტიკებზე, უსაზღვრო სამყაროზე რომ იფიქროს ხშირად კაცმა, ყოველდღიურ გაჭირვებას და უბედურებას უფრო იოლად აიტანდა მეთქი; ესაა და ეს. სხვა რა ვთქვი. რამდენ წუთს ანდომებს მზიდან წამოსული სხივი დედამიწამდე, არ გაინტერესებთ? ჰოოოო! ისე უნდა მოვკვდეთ, რომ ეს არ ვიცოდეთ? მზიდან წამოსული სხივი ზესტაფონის მინდორში რომ დაეცეს, ანუ დედამიწაზე, ამ გზას იგი ანდომებს რვა წუთს. აბა! ახლა სამყაროს მასშტაბს არ იკითხავთ? თავზარდამცემია, გამაოგნებელია. ჩვენი მზიდან წასულმა სხივმა რომ უახლოეს ანდრომედას გალაქტიკამდე მიაღწიოს, ორი მილიონი სინათლის წელი სჭირდება, გესმით? თუმცა, ჯერ სად ხართ! უშორესი გალაქტიკა კი დაშორებულია ჩვენგან რამდენიმე მილიარდი სინათლის წლის მანძილზე! მიდი და უყარე ახლა კაკალი... სინათლის სხივი, მოგეხსენებათ, წამში სამას ათას კილომეტრს გადის, დიახ.

ჯიმშერი წამით გაჩუმდა, მაგრამ იგრძნო, რომ უსმენდნენ და გააგრძელა:

- მზე რომ რიგითი ვარსკვლავია, იცით ეს თქვენ, კი, ბატონო, ოღონდ, ისიც ვიკითხოთ, რამდენი მზეა გაბნეული გალაქტიკის სივრცეში დაახლოებით. გიფიქრიათ ამაზე? ასი მილიარდი! ჰო, ასი მილიარდი ვარსკვლავი, ანუ - მზე! მარტო ამის წარმოდგენა გააოგნებს კაცს...

წითური სახის უჩა ახლა აღრენილი აღარ გაჰყურებდა მდინარეს, მაგრამ მაინც თავს უნდოდ აქნევდა აქეთ-იქით და დროდადრო ჯიმშერისკენ გააპარებდა მზერას, რაც იმის მიმანიშნებელი იყო, რომ იგი უსმენდა ახირებულ მეზობელს. დამიანე სარგადაყლაპულივით იჯდა ქვაზე და ზოგჯერ კონსერვში მცურავ ნაფოტა თევზს გულგრილი გამომეტყველებით ჩახედავდა. ჯიმშერის ნალაპარაკევს კი იგი აინუნშიაც არ აგდებდა.

მტკვრის გაღმა ორი ხანში შესული მეთევზე გამოჩნდა დახვეული ანკესებით ხელში, თავჩაქინდრულები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდინარეს აღმა მიუყვებოდნენ, წამით შედგებოდნენ, იქაურობას თვალს ავლებდნენ და ისევ აგრძელებდნენ გზას.

- ე! ჩვენი ჭკუის ხალხი, - ამრეზით ჩაილაპარაკა იმათ დანახვაზე უჩამ და მერე ჯიმშერს გასძახა, - გაღმა გაიხედე! იმ ორს ახლა აინტერესებს რა ხდება იუპიტერზე? ხომ ხედავ, დაზაფრულებივით რომ დადიან. რაზე იფიქრონ, შიმშილით რომ არ დაიხოცონ, იმაზე, თუ, ას მილიარდ მზეზე, ანდა, ანდრომედის გალაქტიკაზე, მიპასუხე ერთი.

- შეაყარე კედელს ცერცვი, - ჩაიბუხუნა ჯიმშერმა, - აზრი არა აქვს ჩემს ლაპარაკს.

- ამიხსენი, ბატონო, რაზე იფიქროს იმ ხალხმა, დამშეულ და დაავადმყოფებულ ცოლ-შვილზე თუ ასტრონომიაზე!

- არ გინდა გაიგო და მე რა ვქნა, - მშვიდად უპასუხა ჯიმშერმა.

- ამოიღე შენც ხმა! - ახლა, თითქოსდა მოსაშველებლად, მეორე მეზობელს მიუბრუნდა უჩა.

დამიანე კი იჯდა ლოდზე სარგადაყლაპულივით თავისი განუშორებელი გულგრილი გამომეტყველებით, დროდადრო ასანთის ღერით კბილებს იჩიჩქნიდა და მღვრიე წყალში ჩაკარგულ ანკესს ზედაც აღარ უყურებდა. აშკარად ჩანდა, რომ მობეზრდა თევზაობა და შინ დაბრუნება ერჩია. უჩა მისმა გულგრილობამ კიდევ უფრო გაალიზიანა და ჯავრის ამოსაყრელად ისევ ჯიმშერს მიუბრუნდა, იმ იმედით, რომ მოულოდნელი შეკითხვით გააბიაბრუებდა, გააწბილებდა და ხმას ჩააწყვეტინებდა.

- ერთი ეს გვითხარით, ვაუბატონო, ამ ცას რომ მისჩერებიხარ დღედაღამ, დედამიწაზე რა ხდება დაგავიწყდა? უფრო კი ის მაინტერესებს, თუ იცი რამხელაა იგი! ზუსტი ციფრი მჭირდება მე.

- ჩვენი პლანეტის სიდიდე ორი რადიუსით იზომება - პოლარულით და ეკვატორულით...

- ლაილაი ამომივიდა ყელში.

- პოლარულით დედამიწის სიდიდე, ესე იგი, ჩრდილოეთ პოლუსიდან სამხრეთ პოლუსამდე, ექვსი ათას სამას ორმოცდათექვსმეტი კილომეტრი და რვაას სამოცდასამი მეტრია, ეკვატორულით - ექვსი ათას სამას სამოცდათვრამეტი კილომეტრი და ორას ორმოცდახუთი მეტრი. რადიუსების სხვაობა ოცდაერთი კილომეტრი და სამას ოთხმოცდაორი მეტრია, - მშვიდად უპასუხა ჯიმშერმა.

უჩამ პირი დაალო და უნებურად წამოიძახა:

- უყურე შენ!

მაგრამ, მაშინვე, თითქოსდა მთელი დედამიწა ნაბიჯნაბიჯ ჰქონდა გადაზომილი, პატივმოყვარეობამ დასძლია და ჯიმშერს ყალბი ღიმილით გასძახა:

- გამოსაცდელად გკითხე, თვარა, ვიცოდით ეს ჩვენც. ოღონდ, შენგან განსხვავებით, წარამარა ამაზე არ ვფიქრობ, სხვა მაქვს ბევრი სადარდებელი ცხოვრებაში.

მერე ცოტა ხანს ჩაფიქრდა და რატომღაც იმაში დარწმუნებული, რომ ჯიმშერი ამჯერად ზუსტ პასუხს ვერ გასცემდა, ნიშნისმოგებით ჰკითხა:

- მაშინ, აბა, ისიც გვითხარი, რამდენი კილომეტრია აქიდან მთვარემდე. ესეც გაზომილი გექნება შენ.

- სამას ოთხმოცდაოთხი ათასი, - მშვიდად უპასუხა ჯიმშერმა და ანკესი შორს მოისროლა.

უჩა აიბნა, თითქოსდა გაწიწმატდა და ხმამაღლა წამოიძახა:

- მზემდე!

- ჩვენგან ას ორმოცდაათი მილიონი კილომეტრი.

- თუ გეეჭვება, წადი და შენ თვითონ გაზომეთ, არა? ამასაც გეუბნება ეს შენი ასტრონომია, - ისევ აიმრიზა უჩა.

- ეჰ, - ხელი ჩაიქნია ჯიმშერმა, - ამაზე ხომ არავინ კამათობს მსოფლიოში. ყველაფერი ეს, რაც მე ვთქვი, იცოდნენ, ეგერ, ჰე, უძველეს ეგვიპტეში და სხვაგანაც. თუმცა, ბევრმა ისიც არ იცის აქ, რამდენი კილომეტრია მისი სახლიდან დეზერტირის ბაზრამდე. მაგრამ, სამყაროში უფრო დიდი საოცრებებიც რომ არსებობს, იმას აღარ იკითხავ?

- რომელი, მაგალითად, - უცებ დაინტერესდა უჩა.

- სანამ დამიანე არ დამიგდებს ყურს, არ ვიტყვი, - ღიმილით თქვა ჯიმშერმა.

უჩამ თვალები მოჭუტა, სარგადაყლაპულივით მჯდომ მეზობელს გახედა და ბრაზმორეულმა გასძახა:

- შენ, აქ, ვაუბატონო, ყაენივით რომ გაჭიმულხარ, ვერ ამოიღებ ხმას? უფრო დიდი თევზი დაუჭერია ზოგიერთს, მარა, თავში არ ავარდნია.

დამიანემ წამით შეწყვიტა კბილების ჩიჩქნა და ისევ განაგრძო. იგი ახლაც გულგრილი გამომეტყველებით იყურებოდა სადღაც შორს. უჩამ რაღაც ჩაიბუზღუნა და ჯიმშერს გახედა:

- გააგრძელე, თუ ძმა ხარ, გააგრძელე, ხომ ხედავ, ერთი ლიფსიტის დაჭერამ რა უყო ამ კაცს.

დამიანეს კი კონსერვში მცურავი მურწა უკვე გადავიწყებული ჰქონდა და წამდაუწუმ შინ წასვლაზე ფიქრობდა, მაგრამ წამოდგომა ეზარებოდა.

- ესე იგი, გაინტერესებს, - ღიმილით უთხრა უჩას ჯიმშერმა, - რაც კარგის მომასწავებელია.

- თუ არ გადამაყოლებ, შენ იცი! - თავისუფალი ხელი გაბრაზებით აიქნია უჩამ.

ისევ გამოჩნდნენ გაღმა ნაპირას თავჩაქინდრულად უკან მომავალი მეთევზეები.

- კაი, ბატონო, - თქვა ჯიმშერმა, ჰაერში მოფარფატე ცარიელ ანკესს შეავლო თვალი, მერე შორს მოისროლა, ქვაზე უფრო მოხერხებულად დაჯდა და მოკრძალებული ტონით განაგრძო:

- დედამიწა მზის ირგვლივ რომ შემოივლის თავის წლიურ გზაზე, წამში რამდენ კილომეტრს გადის, რა სისწრაფით მიჰქრის, მიჭენაობს, არ გეწყინოს და იცი ეს შენ?

- არა! - ჯიბრით უპასუხა უჩამ.

- წამში ოცდაათ კილომეტრამდე სისწრაფით მიჯლიგინობს კოსმოსში.

- აუჰ! - უნებურად თავი ვერ შეიკავა და წამოიძახა მოულოდნელობისაგან გაოგნებულმა უჩამ და მაშინვე, მასში გაღვიძებულმა პატივმოყვარეობამ, სასხვათაშორისო ტონით ათქმევინა, - კი, ბატონო, ვიცით ჩვენც კარგად.

ჯიმშერმა სიცილისგან თავი ძლივს შეიკავა და განაგრძო:

- ესე იგი, თავქუდმოგლეჯილი მიჰქრის ცაში ტყვიასავით მთებიანად, ზღვებიანად, სახლებიანად, ბოსტნებიანად, პინგვინებიანად, ტელევიზორებიანად, მაკრატლებიანად, ტანკებიანად, ჩვენიანად, ყველაფრიანად ერთად წამში ოცდაათი კილომეტრის სისწრაფით და ზოგიერთი ბუზღუნებს, ქარი რომ ამოვარდება, მიბერავსო, ვცივდებითო. რა უნდა უთხრა ახლა ასეთ კაცს! მთელი პლანეტა მიექანება ცაში ტყვიასავით და ბევრი დაბადებას იწყევლის - ფუი, ჩემს გაჩენას, მეწყერი ჩამოწვაო;

- კიდევ რას მეტყვი ახალს! - თან აინტერესებდა და თან თითქმის დასცინოდა უჩა მეზობელს.

- მილიონ სამას ათასჯერ მეტია მოცულობით მზე დედამიწაზე, ეს შენ კი არა, ბავშვმაც იცის. მაგრამ, ახლა ისიც ვთქვათ, არის თუ არა სამყაროში ჩვენს მზეზე უფრო დიდი მზე! უთვალავია! ასეთია მილიარდობით! ხომ უნდა წარმოვიდგინოთ, რა ზღაპრულ ენერგიას აფრქვევს უთვალავი მზე სამყაროში! სად მიდის, რას ხმარდება, ან, სად იკარგება!

- ჰო, აბა!, - მოულოდნელად კვერი დაუკრა უჩამ, მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრამ იმწამსვე ყოვლისმცოდნის ტონით თქვა, - მაგაზედაც ბევრჯერ მიფიქრია მე.

დამიანე კი ისევ წელგამართული იჯდა ქვაზე და დროდადრო უსულგულოდ თუ მიუგდებდა ყურს ასტრონომს.

მტკვრის გაღმა მოსიარულე მეთევზეები თვალთახედვიდან უკვე მიიმალნენ და ახლა მათ ნაცვლად ახლები გამოჩნდნენ, უფრო ხანშესულები და დაჩაჩანაკებულები.

- თუ ჩემი ბეუტური არ მოგბეზრდა, ახლა ისიც ვიკითხოთ, რა უნდა მოსვლოდა მზეს რამდენიმე ათასი წლის შემდეგ, მისი სითბო განუწყვეტლივ რომ ილვრება სამყაროში!, - თავის სტიქიაში ისე ჩაიძირა ჯიმშერი, რომ თითქოსდა საკუთარ თავს ელაპარაკებოდა, - რასაკვირველია, უნდა გაციებულიყო, - მერე უჩასკენ შეტრიალდა და თქვა, - ლამპა მანამ ანათებს, სანამ ნავთია შიგ, ხომ! რომ გამოილევა, ჩაქრება და თუ გინდა სინათლე ისევ აფრქვიოს, საწვავი უნდა ჩაასხა ჭურჭელში. ასე არაა? მზეს კი, აურაცხელ ენერგიას რომ გამოყოფს, არაფერი აკლდება! საიდან ინაზღაურებს იმას, რასაც წვავს! მიდი და ახსენი! იგივე ითქმის სამყაროში მილიარდობით მზეზე! ამაზედაც გიფიქრია ალბათ შენ.

- ბევრჯერ, - შეიფერა უჩამ და მხრები უხერხულად შეათამაშა.

- ჰოდა, როგორ ხდება ეს! - უცებ გამოხალისდა ჯიმშერი, - ციური სხეული აფრქვევს ენით უთქმელ ენერგიას და არაფერი აკლდება?

- ვინ იცის, - ჩაიდუდღუნა უჩამ.

- ადამიანს დღეს რისი დაკვირვების საშუალებაც გააჩნია თავისი ხელსაწყოებით, იმის მიხედვით მზეს არაფერი აკლდება! ამან მაინც არ უნდა შეგვშალოს? იგივე ითქმის მილიარდობით მზეზე.

- ეს არაა კაცის ჭკუის საკითხავი, - შეიშმუშნა და ისე უპასუხა უჩამ.

- აგაშენა ღმერთმა! - გულწრფელი, ბავშვური სიხარულით წამოიძახა ჯიმშერმა, - ჰოდა, ჩვენც უნდა გავჩუმდეთ, დავალოთ პირი და სანამ ცოცხლები ვართ, გაოცებულები, გაოგნებულები ვუყურებდეთ იმას, რასაც ირგვლივ ვხედავთ, მაღლა და დაბლა. სხვათაშორის, იყვნენ შენისთანა ფილოსოფოსები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ადამიანმა ეს არც შეიძლება იცოდესო. მეორე პასუხი კი ასეთია - ყველაფერი ღმერთმა შექმნაო, მესამე არ არსებობს. ხალხი კი, იმის ნაცვლად, რომ სამყაროს საოცრებებით იყოს გაოცებული, ერთმანეთის ხოცვა-ულეტას ანდომებს დროს.

- კაი, და, ღმერთი რამ შექმნა!, - დუდღუნით თქვა წითურმა.

- არც ესაა, ჩემო უჩა, კაცის ჭკუის საკითხავი, შენი არ იყოს, - მაშინვე უპასუხა ჯიმშერმა, - მე დღემდე თუ ცოცხალი ვარ, დამიჯერებ ალბათ, იმის წყალობით, რომ სამყაროს ამოუხსნელ საოცრებებზე ვფიქრობ. აბა ახლანდელ ნაძირალებზე, წურბელებზე და მთავრობასა თუ პარლამენტში მყოფ გახრწნილ ხროვაზე ფიქრში დავკარგო დრო? და, მილიარდობით მზე დავივიწყო?

- ჰოდა, იცხოვრე შენ მაგისთანა სიბრძნით, - უცებ ნიშნისმოგებით მოუჭრა ჯიმშერს უჩამ.

- ვცხოვრობ, ბატონო. ასტრონომია რომ არა, აქამდე ათასჯერ გამძვრებოდა სული.

- ესე იგი, მივუშვათ, ხომ, თავის ნებაზე, ხროვა! . - ისევ აიმრიზა უჩა.

- შემთხვევით არაფერი ხდება სამყაროში, ჩემო ბატონო და რა თქმა უნდა, დედამიწაზედაც, - მშვიდად ჩაილაპარაკა ჯიმშერმა.

- ჰოდა, უკაცრავად პასუხია და გამოუტვინებიხარ, გენაცვალე, ასტრონომიას, - ხმას აუწია უჩამ, ბამბუკის ჯოხი ქვებზე დააგდო, პიჯაკის გულის ჯიბეში ჩაწყობილი ორი სიგარეტიდან ერთი ამოიღო, ასანთს გაჰკრა და დღის განმავლობაში პირველად გააბოლა: ჩანდა, რომ ყოველი ღერი გამოზოგილი ჰქონდა, რადგან მთელ კოლოფს კარგა ხანია ველარ ყიდულობდა.

რამდენიმე წუთს სიჩუმე ჩამოვარდა, ისმოდა მხოლოდ მტკვრის დუდუნი. გაღმა ნაპირას ერთმანეთისგან მოშორებით მდგომმა სამმა მეთევზემ ანკესები ისროლა მდინარეში. უჩამ ისევ აიღო ბამბუკის ჯოხი ხელში და დაბოღმილმა ჯიმშერს გასძახა:

- აგერ, სამი გაუთხოვარი და ჩაუცმელ-დაუხურავი ქალიშვილი რომ ჰყავს ყეენივით წამოჭიმულს და ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია, ამასაც ასტრონომიამ უყო ეს? რაღა გიჭირთ მაშინ, აწყობილი გქონიათ ყველაფერი სომხის გიტარასავით.

- მე ეს არ მითქვამს, - მშვიდად გასცა პასუხი ჯიმშერმა, - ვინ ამბობს ყოველდღიურობა დავივიწყოთო.

- აბა რას მისჩერებიხარ დღედაღამ ამ ცას, საფიქრალი გამოგელია მიწაზე? - ჯიქურ გასძახა უჩამ და სიგარეტი მადიანად გააბოლა.

- ტყუილად ვილაპარაკე ამდენი, - ხელი ჩაიქნია ჯიმშერმა, - მე ვამბობ, რომ ათასგვარ ჭირსა და უბედურებას უფრო იოლად გადაიტანს ადამიანი, თუ ხშირად სამყაროს საიდუმლოებებზე იფიქრებს მეთქი. რაა ამაში სასაცილო! შენც ხომ ფიქრობ, თურმე ამაზე, ასე არ თქვი? ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ დღევანდელი ნაძირალების ყურმოჭრილ მონებად ვიქცეთ, ანდა, შევეგუოთ წურბელების პარპაშს. მათზე ჯანმრთელები უნდა ვიყოთ ყოველმხრივ ჩვენ, დიდხანს რომ ვიცოცხლოთ, ისინი კი საკუთარ ტყლიპებს გადაყვებიან...

უჩამ ხელი უიმედოდ ჩაიქნია და სიგარეტის ნამწვი წყალში ისროლა. მერე სარგადაყლაპულივით მჯდომ დამიანეს შეავლო თვალი და საუბარში მისი ჩაურევლობით, განცალკევებულობით, დამოუკიდებლობის დამკვიდრებით გაღიზიანებულმა უმისამართოდ შეიკურთხა. უფრო მეტად კი ის უშლიდა ნერვებს, თუ როგორ ახერხებდა დღეს მშვიდად ყოფნას გახრწნილი პოლიტიკანების წყალობით გაპარტახებულ ქვეყანაში წვრილშვილის პატრონი ჯიმშერ მუჯირი.

მზე უკვე შუბის ტარზე იდგა, ამ გვიან შემოდგომაზე ისე ცხელოდა, რომ ადგილის მონაცვლება და ჩრდილის მოძებნა გადაწყვიეტს, მაგრამ ხეტიალი დაეზარათ.

ჯიმშერმა თავზე ჩამოფხატული ტილოს თეთრი ქუდი მოიხადა, უკან გადაწყობილი თოვლივით თეთრი თმა თითებით შეივარცხნა, უწვერულვაშო პირხმელ სახესა და კისერზე ჭრელი ცხვირსახოცი მოისვა და ცას ახედა. მერე ბამბუკის ჯოხი ხელში შეათამაშა, ქვაზე უფრო მოხერხებულად დაჯდა და ღრმად ჩაფიქრდა.

ჭორფლიანი, წითური სახის უჩა უცებ რატომღაც მოიკუნტა და გაოფლილი მელოტი თავი დიდი თეთრი ნაჭრით მოიმშრალა. ტანდაბალი, ბეჭებში ოდნავ მოხრილი, იგი ახლა ჯუჯას დაემსგავსა და წარბშეჭმუხნილი ჩააცქერდა ქვა-ღორღს. უჩას, როგორც სჩვეოდა, როცა სკოლაში ან სადმე ვინმე წონასწორობას აკარგვინებდა, მაშინვე თავისი უსაყვარლესი მეუღლე დაუდგებოდა თვალწინ, მთელ უბანში სილამაზით განთქმული ქურთის ქალი, როგორც ყველაზე და ყველაფერზე მაღლა მდგომი და სიმშვიდის მომგვრელი. ახლაც ანგელოზივით ცოლი გაახსენდა, არსად რომ არ მსახურობდა და მუდამ შინ ეგულებოდა და იმწამსვე გუნება გამოუკეთდა. გარდა ამისა, თითქმის მუდამ მოქუფრული, მაგრამ ბუნებით კეთილი ქიმიის მასწავლებლისთვის გულში ბოღმის ჩადება უცხო იყო. იგი ახლა იმაზე ფიქრობდა, რომ ასტრონომიით გამოტვინებულ მეზობელს მალე გასცლოდა და შინ ულამაზეს ცოლთან თუგინდ ხელცარიელი მისულიყო.

ჯდომისგან დაღლილი აწოწილი ტანის ბოტანიკის მასწავლებელი ფეხზე წამოდგა, წელში სარგადაყლაპულივით გაიმართა, გაიზმორა, თხელ წვერ-ულვაშზე ხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ჩამოისვა, ულამაზო, გაბზარული სათვალე შეისწორა და კატასავით რამდენჯერმე დაიკნავლა. არც ერთი მეზობელი არ გამოპასუხებია, თუმცა ორთავემ კარგად გაიგონა მისი ხმა. დამიანემაც მოიხადა თავისი თეთრი ტილოს ქუდი, მარაოსავით ყელთან მოიქნია და დინჯი და თავაზიანი ჟესტით თავზე დაიხურა - მას ახლაც ისეთი გულგრილი გამომეტყველება ეხატა სახეზე, რომ მტკვარში მოულოდნელად ნიაღვარიც რომ მოვარდნილიყო, ნერვიც არ აუთამაშდებოდა. მან წეღან ყური მოჰკრა უჩას სიტყვებს, როცა იგი მის სამ გაუთხოვარ ქალიშვილს ახსენებდა, მაგრამ არაფრად ჩაუგდია. ასტრონომიაზე წაკითხული ჯიმშერის ლექცია კი დამიანეს დროის უაზროდ და ფუჭად ხარჯვად ეჩვენებოდა და მთქნარებით წამდაუწუმ მხრებს იჩეჩავდა. მერე ისევ დაიკნავლა რამდენჯერმე, მეზობლებმა კვლავ არ მიაქციეს ყურადღება და წელში გაწვართულმა ბოტანიკის მასწავლებელმა ანკესი შორს მოისროლა და თევზაობა გააგრძელა.

უცებ ჯიმშერმა ქუდი ცხვირამდე ჩამოიფხატა, უჩასკენ თავი მიატრიალა და, მისგან ხმამაღალი სიტყვა ცხოვრებაში რომ არავის გაუგონია, მოულოდნელად წამოიყვირა:

- შენ მე მოცლილი ხომ არ გგონივარ! ერთად დავბერდით და რა უცხოსავით მელაპარაკები. მთავარი სათქმელი ჯერ არ მითქვამს და გვაცალეთ, ბატონო!

უჩამ გაკვირვებით გახედა მოულოდნელად აუვირებულ მუდამ თავაზიან და მოკრძალებულ ჯიმშერს და დიდხანს თვალი არ მოუშორებია მისთვის. თვით გულგრილი დამიანეც კი გააოცა სანიმუშო ზრდილობით გამორჩეული მეზობლის ხმამაღლა ნათქვამმა და იმანაც თავი ნელა მიატრიალა ასტრონომისკენ. ჯიმშერი იმწამსვე გამოფხიზლდა, იგრძნო, რომ საკუთარ ბუნებას უღალატა, ზედმეტი მოუვიდა, უხერხულად შეიშმუშნა, აწრიალდა, სახეზე წამოაწითლა და ნირწამხდარმა დარცხვენით დამნაშავესავით ამოილუღლუღა:

- მაპატიე, ჩემო უჩა, დიდ ბოდიშს გიხდი... არ ვიცი რა მომივიდა... თუ ხათრი გაქვთ, მაპატიე... დედის სულს გაფიცებ...

- ჰო, კაი, კაი, - უხეშად უპასუხა უჟმურმა.

- ათასჯერ ბოდიშს გიხდი, ჩემო კეთილო ძმაო, მზემ დამკრა თუ რა მომივიდა არ ვიცი... მაპატიე...

- ჰო, კაი, გეყოფა! - შეაწყვეტინა და მთელი ხმით დატუქსა კიდეც უჩამ და მერე შემრიგებლური ტონით გააგრძელა,- უკეთესია ისიც მითხრა, რაა ბოლოს და ბოლოს შენი მთავარი სათქმელი, მაღირსე.

ჯიმშერს იმწამსვე სახე გაებადრა, ესიამოვნა, რომ მეზობელი მისგან განაწყენებული არ დარჩა და გახალისებულმა წამოიძახა:

- ცას მე ხშირად იმიტომ ვუყურებ, რომ იქიდან უფრო უკეთ დავინახო დედამიწა და მასზე მცხოვრები ადამიანები.

„აუჰ! ახლა კი სულ აურია“, - გაიფიქრა უჩამ და თავისუფალი მარცხენა ხელის მტევანი მუხლისთავზე დაირტყა. ჯიმშერი თითქოსდა მიუხვდა ამას და ღიმილით უპასუხა:

- ჭკუიდან არ გადავსულვარ ჯერ, ახლავე მოგახსენებ ჩემ მთავარ სათქმელს ძალიან მოკლედ, ნუ გეშინია. ჰო... აინშტაინმა, ყველა დროის უდიდესმა მოაზროვნემ და ფიზიკოსმა, ხომ გახსოვს, რა თქვა აგერ ახლა, მეოცე საუკუნეში - ისეთი უსასტიკესი წესრიგია სამყაროში, რომ მასში ვინმეს ხელი რომ არ ერიოს, წარმოუდგენელიაო. ერთი წამის მემილიარდედით რომ აუჩქაროს ან დაიგვიანოს ვარსკვლავმა იქ მაღლა თავის სავალ გზაზე, ეს დრო-ჟამის განმავლობაში დაგროვდება, სამოც წამად იქცევა და მერე რაც მოხდება მზეებს შორის დაჯახების შედეგად ზეცაში, მიხვდები შენ. ჰოდა, მაშასადამე არსებობს მარადიული წესრიგის დამამკვიდრებელი... ერთი სიტყვით, ღმერთი აღიარა უდიდესმა მოაზროვნემ.

უჩამ ხელი ჩაიქნია, მაგრამ არაფერი უთქვამს. ჯიმშერმა დაინახა ეს და რატომღაც დამფრთხალმა აჩქარებულად გააგრძელა:

- სხვათაშორის, დედამიწის ასაკს დღეს თოთხმეტ მილიარდამდე წელს ითვლიან... ჰო... ახლავე მოგახსენებ მთავარს, ამ წუთში, - მერე წამით ჩაფიქრდა და თითქოსდა რაღაც აღმოაჩინაო, გახარებულმა წამოიძახა, - სტადიონზე ხომ მჯდარხარ, ჩემო უჩა! მაღლიდან უფრო კარგად მოსჩანს მოედანი და მასზე მოთამაშეები თუ - დაბლიდან! ჰოდა, მეც ცისკენ იმიტომ ვიყურები ხშირად, რომ იქიდან უფრო უკეთ დავინახო მიწა და მასზე მცხოვრები ადამიანები... დიახ...

ისევ აიქნია დაუდევრად ხელი უჩამ, ადგილის მონაცვლებაც დააპირა, მაგრამ მერე დარჩენა და ბოლომდე მოსმენა ამჯობინა. ამის დანახვისთანავე ჯიმშერმა სხაპასხუპით დაიწყო ლაპარაკი:

- უთვალავ საოცრებას უყურებს თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანი, მაგრამ ისეა ჩაძირული წვრილმანებში, რომ ვერაფერს ხედავს! ჰო, ნუ გაგიკვირდება ეს! ერთმანეთს რომ ვუყურებთ, ველაპარაკებით, ვებრძვით, ვეფერებით, ეს ხომ სიცოცხლეა! მერე! ვიცით რაა სიცოცხლე? დიდ მოაზროვნეებს რომ ჰკითხო - არა! სიცოცხლე ისეთივე ამოუხსნელი იდუმალება თუ საიდუმლოებაა ჩვენთვის, როგორც სიკვდილი! არც მეტი, არც ნაკლები...

უჩამ ისევ დაანარცხა ბამბუკის ჯოხი ქვებზე, პიჯაკის გულის ჯიბიდან მეორე და უკანასკნელი სიგარეტი ამოიღო და ბრაზმორეულმა ასანთს გაჰკრა.

- თუ არ გამლახავ, დამაცადე, - უცებ მოტყდა ჯიმშერი და დამნაშავის ტონით გააგრძელა, - ადამიანი, შენც კარგად იცი, მიკროკოსმოსია, თავის სიმდაბლითაც და სიმაღლითაც მაინც სამყაროს გვირგვინია, მასზე უფრო დიდი არსება ამ პლანეტაზე არ გაჩენილა... ჰო, ასეა ნამდვილად...

- შენ მე ღლაპი ხომ არ გგონივარ! - თვალები დაუბრიალა უჩამ ასტრონომს.

- გთხოვ, გეხვეწები, გევედრები, ბოლომდე მომისმინო, - მუდარით უთხრა ჯიმშერმა, - ახლავე გეტყვი მთავარ სათქმელს, - მერე ისევ ჩაფიქრდა წამით და ახლა მოულოდნელად კატეგორიული ტონით გააგრძელა, - ადამიანი და მისი გული, ტვინი, ღვიძლი, სისხლი, საერთოდ სხეული და სული, უფრო დიდი და ამოუხსნელი, ამოუცნობი საიდუმლოებაა, ვიდრე მილიარდობით მზე და მთელი სამყარო...

ამ სიტყვების გაგონებაზე უჩამ თვალები მოჭუტა, ჯიმშერი ყურადღებით შეათვალიერა და თავი დანანებით გადააქნია. ასტრონომი კი ისე იყო უკვე ექსტაზში შესული, რომ ვეღარავის ხედავდა, მთელი მკერდით სუნთქავდა და პათეტიკურად ლაპარაკობდა:

- რახან ერთმანეთს ვხედავთ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ვიცით, რაა სიცოცხლე! როგორ მუშაობს დღედაღამ ადამიანის გული, არაა სასწაული? ერთი წამითაც არ ისვენებს! როგორ ხდება სისხლის მიმოქცევა ორგანიზმში გიფიქრია ამაზე? ეს უფრო დიდი საიდუმლოებაა, ვიდრე მზის მოძრაობა თავის წლიურ გზაზე... ვიცით რაა სისხლი? ბიბლიაში წერია სისხლი სულიაო. ესეც გახსოვს ალბათ შენ.

ამ უკანასკნელ ფრაზას ჯიმშერი ხშირად ხმარობდა, რადგან დარწმუნებული იყო - ამით უჩას გულს მოიგებდა და მის ყურადღებასაც მიიპყრობდა.

- ჰოდა, - ახლა უკვე ხმამაღლა განაგრძობდა ასტრონომი, - ერთი ადამიანის სული, თავისი ავითაც და კარგითაც, უფრო დიდი საიდუმლოებაა, ვიდრე უკიდეგანო სამყაროში მიმოფანტული მილიარდობით მზის ტრიალი. მეთანხმები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჩას ხმა არ ამოუღია.

- გარდა ყველაფრისა, ვიცით რაა გამრავლება?

- გაანებე შენ ჩემ ცოლს თავი, - უცებ შეუღრინა უჩამ, რადგან მოეჩვენა, რომ მეზობელმა გადაკვრით უშვილობა მოაგონა.

ჯიმშერს ამ სიტყვებისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ისე იყო გატაცებული საკუთარი მსჯელობით და ამაღლებული ტონით განაგრძობდა:

- თუ მხოლოდ ამ პლანეტაზეა სიცოცხლე, მით უფრო არ უნდა გავუფრთხილდეთ ერთმანეთს? ვიცი, ამაშიაც დამეთანხმები. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი სამყაროს გვირგვინია და მილიარდობით მზეზე უფრო ამოუხსნელი არსება, ერთმანეთს ვჭამთ, ვებრძვით, ვხოცავთ... ეჰ, ეს შორს წაგვიყვანს... ერთი სიტყვით, აი, მე რას ვამბობ, ჩემო უჩა - ადამიანის სული უფრო მეტად იდუმალი სამყაროა, ვიდრე მთელი კოსმოსი. ეს მასწავლა მე ცაში ყურებამ. და ბოლოს, ერთსაც ვიტყვი და დავამთავრებ.

უჩა თვალდაშტერებით მისჩერებოდა მტკვრის ტალღების იმ ადგილს, სადაც ანკესი იყო ჩაკარგული და თან დაძაბული ყურადღებით უსმენდა ახირებული მეზობლის ფილოსოფოსობას.

დამიანე კი გაუნძრევლად იჯდა ისევ გაყინჩულივით ქვაზე, დროდადრო კბილებს ნელა იჩიჩქნიდა და მისი განუყრელი გულგრილი გამომეტყველებით აინუნშიაც არ აგდებდა ჯიმშერის სიტყვებს. თავის მხრივ, ასტრონომი, შეჩვეული იყო ბოტანიკის მასწავლებლისგან ყველაფრისადმი უინტერესობას და საკმაოდ აღგზნებული განაგრძობდა:

- სიცოცხლის გახანგრძლივება ყოველგვარ პირობებში შეუძლია თითოეულ ჩვენგანს, შიმშილში, სიცივეში, ათასგვარ უბედურებაში, მაგრამ მხოლოდ ერთი პირობით - თუ ყოველ წუთს გვემახსოვრება მილიარდობით მზე, სამყაროს უთვალავი საიდუმლოება, ველარ მოვიცლით ზიზღისთვის, სიმახინჯისთვის, შურისთვის, გაუმაძღრობისთვის, მკვლელობისთვის, საერთოდ უამრავი ბოროტებისთვის, განვთავისუფლდებით სიმდაბლისგან, ვისუნთქებთ თავისუფლად და შეგვემატება დევური ძალა... დიახ... ძლიერი არსება კი, ჩემო უჩა, მოგეხსენება, დიდხანს ძლებს ცის ქვეშ. გონიერი ადამიანისთვის უმთავრესი ხომ სიცოცხლეა! ზიზღი, შური, სიხარბე და ათასგვარი სიმახინჯე აგლახებს და ასაცოდავებს კაცს. ზღაპრული სიმდიდრით ვის გაუხანგრძლივებია ამ წუთისოფელში სიცოცხლე! გონებრივად შეზღუდულს კი ჰგონია, რომ სანამ ამქვეყნად ვარ მეფურად ვიცხოვრებ და მერე ჯანდაბას ჩემი თავიო. მაგრამ, ყველაფერი ხომ წარმავალია და რახან ასეა, ის არ სჯობს, რომ შეგნებულმა ადამიანმა წვრილმანებზე ფიქრის გარდა მილიარდ მზეზე იფიქროს და დიდხანს იცოცხლოს? მე სულაც არ მომაქვს თავი დიდ ბრძენად. უბრალოდ ვამბობ, რომ ორჯერ ორი - ოთხია. სიკვდილს ვინ გადაურჩება ამსოფლად! ვერავინ! ჰოდა, ვინ უფრო დიდხანს იცოცხლებს, ის, ვინც სულით დამძიმებულია და ყოველდღიურ წვრილმანებში ჩაფლული, თუ ის, ვინც სულით ამაღლებულია!..

- ეჰ! - მოწყვეტით ხელი ჩაიქნია უჩამ, - ცარიელი ბუტბუტია შენი ნალაპარაკევი...

ჯიმშერი კი გულანთებული განაგრძობდა,

- ყოველგვარი გასაჭირი რომ აიტანო, უნდა შეგეძლოს შეხედო დღევანდელობას ან ათასი წლის წინანდელი თვალით, ანდა - ათასი წლის მომავლის თვალით! კარგად ვიცი, რომ ეს არაა იოლი, მაგრამ თუ გინდა გადარჩე და არ გადაყვე იმის დარდს, რომ დღეს დროებით პარპაშებენ, ვიმეორებ - დროებით მეთქი, მთავრობაში მყოფი უწიგნურები, ხიხოები, ნაძირალები და წურბელები, სხვა სიტყვებით, ჩემო უჩა, მაპატიე და მათ ვერ მოიხსენიებ, ასე უნდა მოიქცე, სხვაგვარად ვერ გავძლებთ მზის ქვეშ და მალე წავალთ მოუსავლეთში.

ბოტანიკის უჟმური მასწავლებელი ისე გააოცა მუდამ თავაზიანი ჯიმშერის ნახმარმა სალანძღავმა სიტყვებმა, რომ თვალები გაუფართოვდა და უხმოდ მიაჩერდა თითქმის უკვე მქუხარე ხმით მოლაპარაკე და პირხმელ სახეზე წამოწითლებულ მათემატიკოსს.

- ერთსაც ვიტყვი, ერთსაც! - უკვე ყვიროდა იგი და ცას მიჩერებული გაიძახოდა, - მგონი უკვე ვთქვი და მაინც გავიმეორებ - ადამიანი თავისი ავით და კარგით უფრო მეტად ამოუხსნელი საიდუმლოებაა, ვიდრე მთელი უკიდეგანო სამყარო. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთმანეთს უნდა ვუფრთხილდებოდეთ. სინამდვილეში კი რაც ხდება კარგად მოგეხსენება - ერთმანეთი გვეზიზღება, ერთმანეთს ვმტრობთ, ერთმანეთს ვუჟუჟავთ... ეს მთელ დედამიწაზე ყველა ხალხში ასეა. ჰო, ბოლოს, როგორც იქნა, მივუახლოვდი მთავარ სათქმელს. თუ ყოყლოჩინობაში ან ტრაბახში არ ჩამომართმევ, ჩემისთანა კაცი ადამიანს არ მოკლავს. ხომ გჯერა ეს შენ! აბა ტყუილად კი არ ვიყურები მე ხშირად ცაში, ზოგიერთებს რომ ჰგონიათ... ჰოდა, სიცოცხლეა უმთავრესი ადამიანისათვის, მუდამ, ყველგან და ყოველგვარ პირობებში! დიახ! ამაში ვერავინ შემედავება. ჰოდა არსებობს ერთი ასეთი ლათინური გამოთქმა - „კარპე დიემ“, რაც სიტყვასიტყვით ამდაგვარად ითარგმნება - გამოიყენე სიცოცხლის ყოველი წუთიო, გესმის? მუდამ, ყოველგვარ სიტუაციაში უნდა გახსოვდეს, რომ ხარ მზის ქვეშ. ბიბლია სხვა უამრავ სიბრძნესთან ერთად იმასაც გვასწავლის, ასე სწერია იქ, რომ ცოცხალი ძაღლი სჯობს მკვდარ ლომსო. მეთანხმები ხომ! მაშინ, თუ ასეა, ეს ლათინური გამოთქმა ყოველ ნაბიჯზე უნდა ახსოვდეს და ხელმძღვანელობდეს მისით თითოეული გონიერი ადამიანი. დიდი რომაელი პოეტი ჰორაციუსი ქადაგებდა ამ სიბრძნეს. არ დავუჯეროთ? ამას ვითომ ის სჯობს, რომ ყოველ წამს დღევანდელ ნაძირალებზე - ბოდიშს ვიხდი, სხვა სიტყვა ვერ მიპოვნია - რუს შოვინისტებსა და შინაურ წურბელებზე, - მაპატიე ამ გამოთქმისთვის, - ვიჭორაოთ. საქართველო რამეს დააკლებს პლანეტის უზარმაზარ სივრცეზე გართხმულ ურჩხულს? დასავლეთი მოუღებს მალე მას ბოლოს და მერე შინაურ წურბელებსაც მოვუვლით როგორმე, რუსეთის მოსყიდულ ჯაშუშებს... „კარპე დიემ“! აი, ესაა ჩემი მთავარი სათქმელი, ყოველ წუთს რომ უნდა გვახსოვდეს მეც, შენც, დამიანესაც, საერთოდ ყველას, რომ ავმაღლდეთ ყოველგვარ განსაცდელზე, და სიცოცხლე გავიხანგრძლივოთ, სიცოცხლე...

უჩამ რამდენჯერმე ჩაახველა და რაღაც თავისთვის ჩაიბუზღუნა.

- რამდენი ჩვენი ხნის უახლოესი მეგობარი წევს ახლა საფლავში!, - უცებ ხმადაბლა წარმოთქვა ჯიმშერმა, - მშობლებსა და სანათესაოზე აღარაფერს ვამბობ... რა სჯობს, იქ წოლა თუ მზის ქვეშ დგომა! ყოველგვარ პირობებში! ესაა მთავარი!.. ჰოდა, ამას ქადაგებს „კარპე დიემ“. ვამბობ რამე სისულელეს? არა მგონია. სხვა უკეთესი ჭკვიანური შენ მითხარი.

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე ჯიმშერმა ბამბუკის ჯოხი მიწაზე ფრთხილად დადო, ქუდი მოიხადა, უკან გადაწყობილი თოვლივით თეთრი თმა რამდენჯერმე თითებით შეივარცხნა და შორეულ სივრცეს მიაჩერდა.

ისმოდა მხოლოდ მტკვრის ტალღების წყნარი დუდუნი.

უჩა გაქვავებულივით იჯდა და მოქუფრული გაღმა ნაპირს გასცქეროდა...

მუდამ წელში გაწვართული დამიანე ისევ კევს ღეჭავდა და დროდადრო გაბზარულ სათვალეს წმენდდა.

გაღმა ნაპირიდან მოულოდნელად ჩოჩქოლი და გაურკვეველი წამოძახილები მოისმა.

უჩა და ჯუმბერი მაშინვე წამოდგნენ და იქითკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იწყეს ყურება, საიდანაც ხმაური მოდიოდა.

წელში გაწვართული დამიანე კი ისევ კევს ღეჭავდა და ანკესს ჭიაყელას უცვლიდა.

ჯიმშერმა ის მეთევზეები იცნო, წეღან აღმა-დაღმა რომ დადიოდნენ მტკვრის ნაპირას, რომლებსაც ახლა მდინარიდან რაღაც მძიმე ამოჰქონდათ. უჩა მიხვდა, რომ ეს იყო დამხრჩვალი ადამიანის გვამი და თავი აქეთ-იქით გადააქნია. როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ორიოდე წუთში გაღმა ნაპირას ხალხმა მოიყარა თავი. ჯიმშერი და უჩა იქაურობას თვალმოუშორებლად გასცქეროდნენ.

დამიანე ისევ ისე იჯდა გაუნძრევლად, ერთი კი გახედა მოპირდაპირე ნაპირს და კევის ღეჭვა განაგრძო.

ჩოჩქოლი რომ მიწყნარდა, გვამი რაღაც ძონძებზე დაასვენეს და სადღაც წაიღეს. როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, დამხრჩვალი აღმოჩნდა ოთხი შვილის დედა, ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ნაქსოვ ბადურაში ჩაწყობილი მოზრდილი ქვები თოკით წელზე ჰქონდა გამობმული. უბედურის გვამი დამბებში გახიდულიყო. ჯიმშერმა უხმოდ ანკესი დაახვია, უჩამაც იგივე გააკეთა და ორივენი ნელი ნაბიჯით გაუყვნენ ნაპირს. დამიანესკენ არც გაუხედავთ, თითქოსდა გადაავიწყდათ მისი არსებობა.

როცა მზე ცის ტატნობის დასალიერს მიუახლოვდა, სათევზაოდან დაბრუნებული ხელცარიელი მეზობლები ეზოში შევიდნენ. იქ, ფანჩატურის ქვეშ, უკვე დომინო გაეჩაღებინათ. ჯიმშერს და უჩას საიდანღაც კატის კნავილი შემოესმათ, უნებურად უკან მიიხედეს და შედგნენ. ეზოს ნელი ნაბიჯით სარგადაყლაპულივით მომავალი დამიანე უახლოვდებოდა, რომელსაც ხელში მხოლოდ ანკესი ეჭირა, კონსერვის კოლოფი კი, მასში მურწა რომ დგაფუნობდა, აღარ ჩანდა.

- რატომ არ დამიცადეთ, - სასხვათაშორისოდ იკითხა მან, - მოკლე გზით წამოვედი და დაგეწიეთ.

უჩამ, ჩვეულებისამებრ, წარბები შეჭმუხნა, დამიანე კუშტად შეათვალიერა და დამცინავად მიახალა:

- გაგიფრინდა შენი ღლავი?

დამიანე შედგა და დაიკნავლა:

- რა ვიცი. ერთი ტყაპუნი კი მომესმა და ალბათ მაშინ ისკუპა წყალში.

- მერე! არ გეწყინა? - ახლა ბრაზმორეული ტონით ჰკითხა უჩამ.

- მოგცლია ერთი, - უგულოდ უპასუხა დამიანემ, ეზოში შევიდა და თავის სადარბაზოსკენ გასწია.

სანამ ერთმანეთს გამოემშვიდობებოდნენ, უჩამ უთხრა ჯიმშერს:

- ხომ ხედავ, რა კაცია! არც თევზის დაჭერა გახარებია და არც გაქრობა წყენია.

- ჰო, - დაეთანხმა ასტრონომი.

- გაღმა მგონი არც გაუხედავს, როცა წყლიდან უბედური ქალის გვამი ამოჰქონდათ.

- დამიანეს, ჩემო უჩა, პირველად ხედავ? მის გულს არაფერი ეკარება. რას იზამ, ასეთია მისი ბუნება. ბანდიტს, გარეწარს, უწიგნურს, უზრდელს მოაქცევ, ქრისტიანულ გზაზე დააყენებ, გულგრილს - ვერასოდეს... ჯალათსაც კი შეიძლება რაღაც კაცური ჩააგონო.

- მართალი ხარ, - დაეთანხმა მოულოდნელად უჩა და მერე მოღუშულმა, თითქოსდა მუქარით გააგრძელა, - გულგრილებზე უფრო უარესები არიან დღეს ჩვენს მთავრობაში, პარლამენტში, სამყაროს კი არა, საკუთარი ტულიპის იქით ვერაფერს ხედავენ. ჰოდა, ეს შენი „კარპე დიემ“ მათ ხელში მყოფ ხალხს გამოადგება?

- უსათუოდ! - წამოიძახა თავისი ბოხი ხმით ჯიმშერმა და უჩას მხარზე ხელი დაჰკრა,- ეს სიბრძნე მუდამ, ყოველგვარ გასაჭირს მიესადაგება... ცოცხალი ძაღლი სჯობს მკვდარ ლომს...

სრულიად მოულოდნელად უჩამ ჩაიღიმილა, რაც ალბათ მის სამეზობლოში უიშვიათეს მოვლენად ითვლებოდა, მრავალმნიშვნელოვნად თავი გადააქნია და სახლისკენ მძიმედ გაემართა. ჯიმშერმა ანთებული მზერა გააყოლა და ხელები მოიფშვნიტა.

იმ დღიდან სამეზობლოში, ყველას გასაკვირად, უჩა დვალი აღარავის უღრენდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ელა გოჩიაშვილი

## როგორც იცვლება მთვარე მარადჟამს



წყვილი ჭიქა და
წყვილი თეფში და
სუყველაფერი ასე -
ორ-ორი;
გაიშლებოდა მტკაველა სუფრა,
ჩამოჯდებოდა ორი ოლოლი...
. . . . . .
ერთიმეორის მარტოსულობას
კენკავდნენ მფრთხალად,
ბინდში სამხრობის,
და ისხდნენ ასე -
გაღმა-გამოღმა,
თავ-თავიანთი მიუსაფრობით.
გადასძახოდნენ ერთმანეთს ისე
უხმოდ ნატირლებს
უხმო ბაგიდან,
თითქოს წინ
ვრცელი სათიბი ედოთ
ერთი მტკაველი სუფრის მაგივრად
. . . . . .
მერე აუქშევს ვიღაცა მაღლით...
ჯადოახსნილი და ნათელქმნილი:
კვლავ მოიქცევა სათიბი სუფრად,
ჩამობრწყინდება სუფრასთან
წყვილი...
. . . . . .
მაგრამ ქცეოდათ ობლობა ჩვევად,
ობლობას შერჩნენ
ერთგულ შვილებად
და დედის ზნეზე მიხორცებული
ფრთების ბოლომდე ამოშხივლება
ეუცხოვებათ...
ღელავს სათიბი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაღმა-გამოღმით ჩადგამენ კარავს:
თან -
მარტოობის კარგი შვილები,
თან -
ერთმანეთის მპოვნელნი მარად.
...ოლოლის ცრემლი ეცემა ტილოს,
აშორიშორებს ჭურჭელს ოლოლი:
თითო - ოლოლს,
და თითო - კარადას;
რა საჭიროა უკვე ორ-ორი.
ერთი ჭიქა და
ერთი თეფში და
სუყველაფერი, ასევე,
კენტად -
საკმარისია...
კანკალებს ხელი
და შემძიმებულ კარადას კეტავს.
. . . . . .
გამოიცვლება ის სველი მთვარეც,
როგორც იცვლება მთვარე
მარადჟამს;
ხელი -
მშვიდი და მონაფერები,
ისევ გააღებს მძიმე კარადას...
წყვილი ჭიქა და
წყვილი თეფში და
სუყველაფერი ისევ
ორ-ორი;
და ობლობიდან
საერთმანეთოდ
გამოპარული ორი ოლოლი.

## სად შემოგესმა ჩემი სიჩუმე?

სად შეგეშინდა უჩემობის,
მერე იმ შიშის სად შეგეშინდა?
ორივე შიში რომ გაგეტოპა,
სად დააწივლე რისხვით მათრახი,
სად დასჭყივლე ბედის ბედაურს?
სად დაგამარცხა ორივე შიშმა -
გამარჯვებულს
სად დაგეწია ჩემი სიჩუმე,
რომელი გზიდან შემოგაბრუნა?
მიყვარხარ-მეთქი,
სული მოითქვი...
ვისი იმედით აღარ მიყვარდე,
ვის შეგატოვო -
სულის პეპელას?
ვაითუ,
არცვინ იყოს შენი -
არც მოკეთე,
არც მოყვარული...
ვის შეგატოვო...
ძველისძველია შენი შიმშილი,
ვერ მოიყირჭე სიყვარული;
ერთ მისხალზეც დახარბებულო,
უზმო გული

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორიდან მოგაქვს.
მიყვარხარ-მეთქი,
სული მოითქვი...
მარადისობის ქარებისგან
გამშრალ გავაზე
დაუნანებლად დაჰკარ ხელი
ბედის ბედაურს,
„ჰაიდა" უთხარ,
მიუშვი ხომლის საძოვრებზე,
წამოდი და
სთვლისპირებისკენ აიღე გეზი.
არ დამკარგვიხარ, -
მე მხოლოდ თვალი მოვაცილე
სიცარიელეს,
სადაც იდექი;
იქ მყავხარ,
სადაც არ არსებობ,
იქ გიფარავ
შენი თავისგან.
არ დამკარგვიხარ.
ნუ მიყურებ
დაკარგული ბავშვის თვალებით,
თვალით მძებნელს
ვერ დაგინახავ.
გული მიატარ-მოატარე
სთვლისპირების დამზრალ სტრიქონებს -
გესმის? -
რა ლექსებს მაყეფებს ისევ...
მიყვარხარმეთქი,
სული მოითქვი.
უხმოდ ჩამოწყდა
ჩემი გულის მონეტა მაშინ,
უხმოდ დაეცა;
არცრა წკრიალი,
არცრა ჩქამი,
არცრა ძახილი -
მხოლოდ სიჩუმე გამოიღო.
სად შემოგესმა ჩემი სიჩუმე?
ასე შორს ტირის
ექო სიჩუმის?
წკრიალზე უფრო?
ჩქამზე უფრო?
ძახილზე უფრო?
სად შეგეშინდა უჩემობის? -
სად დასჭყივლე
ბედის ბედაურს,
სად დააწივლე
ელდის მათრახი,
სად მოსწიე სადავე რისხვით,
ყალყზე შემდგარი ლაშების ჭიხვინს
სად აფრქვევინე
სისხლის ქაფები, -
სად უბრძანე პირაქეთობა?
...სად შეგეშინდა
სილატაკის, -
ერთი გულის წამოსაკრეფად
რომელი გზიდან გამობრუნდი?..

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზურაბ ლობჟანიძე



●

ვუახლოვდები ორმოცდაათს,
რა ხდება ჩემში? -
კვლავ ფიქრობს ჩემზე თუ აღარა
სამყაროს მწყემსი?..

თუ დავიკარგე და შემჭამა
ცხოვრების ჭუჭყმა,
გადამიყოლა და გამლია
საწუთრომ ფუჭმა!..

დღეს ის იმედიც აღარა მაქვს,
რაც მქონდა გუშინ,
შიში, სიცივე და ნაღველი
ჩამიდგა გულში,

გადამავიწყა სიხარული,
მკლავს ერთი ფიქრი:
რას ვტოვებ ქვეყნად და რა მიმაქვს
აქიდან იქით!..

გავძელი როგორ ამ ორმოში...
ვიტანჯე რისთვის,
ვიცხოვრე არა თავისათვის,
არამედ სხვისთვის...

სხვა კი ვინ არის? - ეს ქვეყანა
უვიცი, ბნელი...
და მაინც ტკბილი, საცოდავი, -
სამშობლო ჩემი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოეტი

შენ მე გამზარდე, ახლა მე გზრდი,
წინ მე მიგიძღვი,
ჩემ თავზე ვიღებ ყველა ცოდვას
და ყველა წყევლას...
დიდი თუ არა, მცირე წვლილი
მეც ხომ მიმიძღვის,
კაცობრიობავ, - მეც ხომ ვლამობ
შენს ხსნას და შველას...

●

ჩემო ქვეყანავ, თუ შეგაწუხე
ანდა თუ გთხოვე რამე ზედმეტი...
შენ მომიტევე, შენ დამიფარე,
სხვა არავინ მყავს მზისქვეშ შენს მეტი!
ასე მგონია, რატომ, არ ვიცი...
რომ გიყვარვარ და თვალს არ მაცილებ...
ჩემ გულისტკივილს შენც წუხ, განიცდი...
და იმ სოფელშიც შენ გამაცილებ...

●

ოცნებად მაქვს, ავაშენო ერთი კოხტა სახლი...
დავუძახო, ვუმასპინძლო ხალხს ჩემსავით დაღლილს,
ხალხს პირქუშს და ცოტა ამაყს - სიმართლისთვის მებრძოლს,
ვისი სულის დამარცხებაც ცხოვრებამ ვერ შეძლო.
ვინც თამაში არ იკადრა და როლიც არ შეძლო,
ვისი გულიც მამულისთვის და ხალხისთვის ფეთქავს.
. . .
ოცნებად მაქვს, ავაშენო ერთი კოხტა სახლი,
სადმე ქუჩა დავამშვენო შუბლშეკრული ხალხით!..

●

სიცოცხლეში არ მქონია ბედი,
სიკვდილს მერე, ალბათ, უფრო ნაკლებ...
თუმც ვინ იცის, გზები შემოქმედის -
ვის აუგებს ან დაუნგრევს სახლებს...
იმედს მაძლევს ჩემი ანგელოზი
(განა ერთხელ მისას ვხედავ ნიშანს?..)
რომ წამება სულის ამ ჩვენს დროში,
მომავალში მის სიცოცხლეს ნიშნავს...

გვავიწყდება მშობლიური ენა,
გვავიწყდება საკუთარი თავი!..
ბევრი სიტყვა ველარ სწვდება სმენას,
შესევია მატლი დამჭკნარ ყვავილს...
და მაშინებს მოქაქანე ხალხის
ყველაფერზე ალმაცერად ცქერა...
ენას ჩვენსას - ნაომარს და დაღლილს -
მეტი სითბო, მეტი გულის ძგერა!..

●

სად დავკარგე ბავშვობა
გულდია და ანცი...
ანდა როდის დამშორდა,
ბრბოში ხომ არ ავცდი?..
ვერც იმ წმინდა მდინარის
მოლივლივე ტალღებს,
ვერც მზეს ნათელ-მცინარეს,
ვერც ღოღნაშოს ბაღებს...
ველარ ვნახავ! მათ ხილვას
ველარასდროს შევძლებ?..
ცხოვრების იმ ლურჯ დილას
გულმტირალი ვეძებ...

●

უნდა გავიზარდო... და უნდა ავმაღლდე,
შენი სახელი რომ ზეცად ავიტანო!..
მე მზესთან ახლოს უნდა დავსახლდე...
არ მომკლა, არ თქვა - როგორ და საიდანო...
ღვთის ნებით, ღვთის ძალით!
გულით და გონებით...
და კიდევ ამ სულის მზისკენ სწრაფვით!..
შენი სიყვარულით, შენდამი მონებით,
სისხლით, ოფლით და ჯაფით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მე არ მოვსულვარ
სიტყვების მოსაჩუქურთმებლად
საჭრეთლით ხელში...
მე მოვედი სიტყვებისთვის
მტვრის გადასაწმენდად -
ერთ ხელში ჩვრით
და მეორეში ცოცხით!..

●

*ლევან ლობჟანიძეს*

შენ იმხელა ტკივილის
პატრონი ხარ,
რომ მრცხვენია ჩემი
პატარ-პატარა ტკივილების...
და ველარ დავმდგარვარ
შენს გვერდით...

**დედას**

ხშირად გხედავ ჩაფიქრებულს
და მოწყვეტილს სოფლიდან...
ხელებს დამჭკნარს, დაღლილს, ბებრულს,
დამწვარს მზით და ოფლისგან...
კარგად ვიცი, სადაც დახვალ...
მაგრამ თავს არ ვუტყდები...
მე მაშინებს შენი ზრახვა...
და თვალები უტყვები...
მინდა, აზრი გაგიფანტო,
რაზე ფიქრობ!.. გიყვირო...
ეგ დუმილი სახიფათო
კვლავ რომ აღარ ვიხილო...

●

რაც დრო გადის, ეს ზამთარი
გრძელდება და გრძელდება...
ფანჯარაში დღე გამკრთალი
შუადღესვე ბნელდება...
ჩემთან ერთად მზეც, მთაც, ბარიც
უიმედოდ ბერდება...

●

უფალო,
უცნაურია ჩემი ცხოვრება -
ამქვეყნად მზეს არაფერი
მირჩევნია
და მაინც,..
სულ ჩრდილში ვდგავარ...

●

ჩაგიარე, როგორც უცხოს,
გულმა აღარ მიყო რეჩხი...
ჩაგიარე ჩუმად, უხმოდ,
უცბად ვერცკი გიცანი...
მერე შევკრთი - ხომ არ შევცდი,
ნუთუ მართლა ის არის,
თუ ვამსგავსე ვინმე სხვას?..
მაგრამ აღარ შემოვბრუნდი,
გავუყევი ჩემთვის გზას...

●

აღარ ვათევ ღამეს თეთრად,
აღარც შენზე ვფიქრობ გრძნობით...
სიცოცხლეს ვკლავ ძილთან ერთად,
სიკვდილს ველოდები - ძმობილს
უდედოს და უთვისტომოს,
არც მომკვდარს და არცა შობილს...
ვინც არასდროს არა ომობს,
სამართლიანობით ცნობილს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ღმერთო, რა გვჭირს ქართველებს
ასეთი უსაშველო,
ღმერთო, რა გვჭირს ქართველებს
ასეთი უსახელო,
რომ არა ჩანს წამალი?..
. . . .
რა დავარქვა ამ სენებს,
ჩვენს სულ-გვამში დამალულს!!.

●

ყრმობის მერე ასეთი
განცდა აღარ მქონია -
წუხელ სიზმრად დავფრენდი,
როგორც ზღვაზე თოლია...
ო, რა კარგი რამ არის
სიმსუბუქე ციური...
უკვდავების წამალი,
გრძნობა „ამბიციური!.."

●

მეც მოკვდავი ვარ,
ჩემ გულშიც ბევრი
ჭია ფუთფუთებს -
ამოგანგლული
ლაფსა და ნეხვში!..
არადა, თითქოს ახლოს არის
სრულყოფილება...

●

შენ ხარ მეთვალყურე
წუთისოფლის წესრიგზე!..
შენს გულში ჭვრეტს უფალი
სურათხატებს უტყუარს...
შენ ხარ მოუსყიდველი,
და, რაღა თქმა უნდა,
ამიტომაც ეული!..
შენ მოკვდები მშვიდად
ანგელოზთა ნუგეშით...

●

ინთებიან, ქრებიან
ვარსკვლავები ცაზე...
მეც რამდენი რამ დავთმე
წუთისოფლის გზაზე...
გავიხედავ, სადღაა
ის ოცნება ძველი,
დამსხვრეულა, ჩამქრალა
და ამაოდ ველი...

●

უფალო,
ვიცი ცეცხლს ვეთამაშები...
და, შეიძლება, დამბუგოს
კიდევაც!..
მე, მაინც,
წმინდა ალში დაფერფვლა
მიჯობს,
ამ სიბინძურეში გახრწნას!..

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჯემალ დავლიანიძე

## ჰაიტ!!!

განუწყვეტლად ჩამჩიჩინებენ ადამიანურ რეზერვებზე, რომლებიც თურმე ადამიანშია დიად უბედურებათა საწინააღმდეგოდ ასამოქმედებელი. რეზერვები: სეტყვის, დიდთოვლობის, მეწყერის, წყალდიდობის (და ა.შ.) დროს. გრანდიოზულ ხანძარზე, ღვარცოფზე და მიწისძვრაზე კრინტს არავინ ძრავს. არიან თუ არა მოსაუბრეები საშიში ადამიანები? პარალელური, უცაბედი ფიქრი ქალთა ქარაფშუტობაზე: ვიყავი კინოთეატრში. ჩემს წინ სკამია. სკამზე დანით ამოსერილი მამაკაცის დიდი ასოა. ჯდება გოგონა. ბიჭები ხითხითებენ... გოგონა სიცანცარეში არეული სიამაყე-სიბრიყვით დგება, დასცქერის ასოს, მედიდურად შლის გაზეთს, აფენს სკამზე, ჯდება და კისერს იღერებს... სად არის ამ დროს ძახილის ნიშანი, რომელსაც შევარქვი „ჰაიტ“? იგი ყველგანაა და ყოველთვისაა: შინ, სარეცელში, მეუღლეში, ოთახში, სამსახურში, ტრანსპორტში, ქუჩაში... მღერიან, ძალზედ თავდაჯერებულად მარიგებენ. ესენი მართლაც საშიში ადამიანები არიან. ეკრანზე ცანცარებენ, ციმციმებენ. მაგიდაზე კი ისევ და ისევ ლაქებიანი ვაშლია. მისი სახელი ამ სოფელში არავინ იცის. სადიაბეტოა... მღერიან, გაჰკივიან, მომითხრობენ ამინდის ჭირვეულობის შესახებ. ესენი საშიში ადამიანებია? გოგონები ილიმებიან. გოგონები იპრანჭებიან, თუმც რაღაც უბედურებაზე საუბრობენ. მერე კვლავ მღერიან და მღერიან. ბიჭები იგრიხებიან. - ხან ცეკვავენ, ხან მღერიან... ამ სიმღერების ტექსტთა მეოხებით პოეტები საბაზრე ხორცის ფულს შოულობენ. ჯამაგირში არიან. არსებობს გადარიცხვა და სათანადო დოკუმენტაცია. გაჰკივიან, ცეკვავენ; - ენატრებათ ბავშვობა. ტირიან სინანულზე; ეშინიათ და მაინც უყვართ; ვარსკვლავები ცვივა, როგორც ფოთლებიო. ერთმა თქვა - ცვივიან ეკლებივითო. მუსიკოსები უკრავენ დაუცხრომლად. ჯამაგირია უფართოესი... ყოველივე ემსახურება მშრომელთა დასვენებას. - კვირა დღეა და ტელევიზიის მუშაკები ცდილობენ... ხელფასის დროშა ფრიალებს. იქნებ, არც ჰყოფნით, მაგრამ... სხვების გაბრუებას მაინც მონდომებით ემსახურებიან. რა ადვილია, ღმერთო ჩემო, სიმღერა, პეპლაობა და აფარფატება პეპლისებური. რა ადვილია, ღმერთო ჩემო, პეპლაობა საქათმეში, როცა ერთადერთი მამალია... ზოგადსაკაცობრიო დანაშაულობებში ამგვარი გულუბრყვილო სიმღერების ტექსტთა ავტორები, მომღერლები, ოპერატორები, კომპოზიტორები, მუსიკოსები, მემონტაჟეები, თვით მაყურებელ-მსმენელნიც უდიდეს მონაწილეობას ღებულობენ. აქვეა ეკრანი და ციმციმებს: მზე ცალთვალაა და...ბალახებიდან უცბად ამოხტნენ მომღერლები. თითქმის ყველა ხმაა, მაგრამ სხვა მიმართულებაცაა...რისთვისაა? ოდნავ დამცირებული (იმით, რომ მე არ შემიძლია, ტელევიზორის ეკრანის გარეშე ვიცხოვრო) ვფცქვნი ვაშლს; სოფლად სიწყნარეა და სულ რამდენიმე წუთში ელექტრონსაც გამორთავენ. იქნებ, ქარიც ამოვარდეს და წაქცეულოს ყოველივე? რა ამღერებთ? რა გამღერებთ? სადა ხარ, ძახილის ნიშანო სახელად „ჰაიტ“? ვითომ არიან კომპოზიტორები? მაშ რაღაა ძველი გამოთქმა: „შე ჩემის კომპოზიტორო?“ კითხვა უმართებულოა, გამაღიზიანებელია. სიბერისა კი მაინც ეშინიათ, თუმც მუდამ სიახალგაზრდავეზე მღერიან. გული გრძნობის ორგანო ჰგონიათ პოეტებს, მომღერლებს, დამკვრელებს, მწველავებს, მეფრინველეებს, მეღორეებს, მოსამართლეებს, მერგოლეურებს, თავმჯდომარეებს, პარიკმახერებს... შექმნეს ხელოვნება. შექმნეს იგი ადრე, დიდი ხნის უწინ. ნახატებიც არის. ქმნიდნენ და პირამიდებსაც აშენებდნენ. ყოველივე გამოჯნეს და გამიზნეს. ამიტომ დოცენტი მასწავლის ენას, რომელიც უიმისოდაც ჩინებულად ვიცი... სისულელეც განუსაზღვრელ ბრუნვაშია. ამღვრევენ უწმინდეს ნაკადულებს. - განზომილებანი აღრეულია. ფიქრობს თუ არა ადამიანი ხმამაღლა საუბრისას?.. ახლა შემოდგომაა, ვაშლია მაგიდაზე, ლაქებიანია და ისიც ოდესღაცაა დახატული. ამჟამად ის მხატვარი მკვდარია, დასამარებულია. ხანდისხან იგონებენ. მოგონებას თან ახლავს მუსიკა, საუბარი, განსჯა, კომენტარი, სევდა, სიხარული, აღტაცება, აღმაფრენა, ციმციმი, ცანცარი, ცურცუკი, ცუნდრუკი, შმუშვნა, ათასნაირი უსახელო მიმოხრა და ამას ჰქვია ღონისძიება, სამსახური, ჯამაგირი, გეგმა და ვალდებულება. ჟურნალისტი საუბარს იწყებს: „კარაქი, შაქარი, ლიმონათი, მარილი, საპონი ოჯახისთვის აუცილებელი ნივთებია“. ვითომ ნივთებია? ნივთებია თუ შენივთებაა ამბებისა, რითაც ტვინი უნდა ამიმღვრიონ?.. ძაღლი მიახლოვდება. წელიწადში რამდენჯერმე მოდის ჩემთან. ვუყვარვარ და არ მცილდება. ვეფერები და უხარია. მისი სიხარული იმდენად განსხვავდება საეკრანო სიხარულისგან, რომ მზად ვარ, გამოვიტირო ადამიანის მთლიანი არსებობა. სადა ხარ „ჰაიტ?“ მოძრაობენ სიხარულით ამოტენილი ორფეხა ტომრები, საწყობები, თაროები, საკანალიზაციო სისტემე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი... ძაღლს ჩემი ესმის. მე მისი არ მესმის. საერთო ენა არ გაგვაჩნია და რატომაა ეს ცხოველი ჩემთან ერთად დედამიწაზე? ეს მხოლოდ ვერასოდეს მეცოდინება... მღერიან უსასრულოდ, ცეკვავენ და ცეკვავენ. შრომობენ მთელი მონდომებით. ხელოსნები შრომობენ; სასაკლაოები მუშაობენ შეუფერხებლად... რა ლამაზი გოგონაა! ისიც მღერის. ცდილობს, პეპელაც იყოს და... გოგონაც. ცდილობს ამსუბუქებას, მაგრამ მსუბუქ ყოფაქცევას და პეპლაობას ვერ სცილდება. იგი არასოდეს იქნება პეპელა. მხოლო არასოდეს; ნაზად დააბიჯებს, კეკლუცობს... ვისი თვალებით ვუმზერ? რას ვუმზერ? რა გააჩნია ლამაზ ქალბატონს? ორი თვალი, ერთი ცხვირი, ორი ნესტო, გაბერილი ორი ტუჩი და კბილები... სახიფათოა თუ არა ამ გოგონას კბილები? კბილები... კბილები... კბილები.... ჰაიტ! კბილები ნიანგის პირში, კბილები ზვიგენის პირში, კბილები გოგონას პირში. კბილოსნები ხომ მტაცებლები არიან? ჩვენ ამგვარი გამოთქმა არ გვეხება, არ გვეკადრება, თუმც ფაქტია - კბილები გვაქვს. ვიცით მათი რიცხვი. ვიცით მათი ტკივილი. ვიცით მათი ხმარება. ჰაიტ! მოხარშული სჯობს უმს! ჰაიტ! მოხარშულის მონელება, დალეჭვა უფრო იოლია; - მხოლოდ ამიტომ (და არა კულტურის განვითარება-დახვეწის გამო) არ მივირთმევთ უმ ხორცს. მცირე ხნის წინ, კი ბატონო - უმი ხორცი შვილებზე და მეუღლეებზე ძალუმად გვიყვარდა... ყოველივე იხვეწება. ნარნარა გოგონას კბილები მოუჩანს. რისი თქმა შეიძლება? რის შესახებ? კბილების შესახებ! კბილები გოგონას თეთრად უქათქათებს; მძივებს მიუგავს; ბროლის კბილები ჩასწიკწიკებია! ქებათა ქებაა! მაგრამ... კბილების დანიშნულება ნუთუ გოგონების სილამაზეა? შედარება ჩვენი მოგონილია. მხოლოდ ჩვენი მოგონილია. ვეფხვი ტყეებს ვერასოდეს შეადარებს ქლიავებს, რადგან (და ა.შ.)... ჩვენი მოგონილია შედარება. ჩვენი სურვილებია. - კბილები რისთვისაცაა, საყოველთაოდაა ცნობილი. კბილები... საკბილო! ჰაიტ! ესეც ხომ შედარებაა! საკბილო კბილოსნისათვის! ჰაიტ! აგერ ბოჩოლა! აგერ ციკანი! აგერ ბატი! აჰა ზაქი! აგერ ქათამი! აჰა შველი! აჰა ბეჰემოთი, სპილო, ლომი, თევზი, ნიანგი, გველი, კუ, ტურა, ვეშაპი!.. ამ გოგონას კბილებს ყოველი ჩამოთვლილი არსების (და ვერ ან არჩამოთვლილთა) დაქუცმაცება ძალუძს. აუჰ, მაინც რა ძალაა ჩაბუდებული ყბებში, კბილებში... მღერიან! კვლავ და კვლავ! მღერიან. ქალბატონები მღერიან! მღერის მდედრი! სიმღერას მორჩება და თეთრკბილება ქალი სხვის მიერ დაკლული (მოკლული) ინდაურისგან ძვლებსაც არ დატოვებს. საბრალო ცუგა სულ ტყუილად ინერწყვავს პირს, - მისთვის აღარაფერი რჩება... მღერიან-მეთქი! მღერიან და თან როგორ იცინიან! თანაც, - რამდენს იცინიან. თან რა ტექსტია: „ზამთარს მოსდევს გაზაფხული მუდამ“!.. სიცილი ჯანმრთელობის წყაროა და იცინიან, იცინიან, იღიმებიან. სპეციალისტების კივილიც ისმის: დღეში ოცდაერთი წამის სიცილი სრულიად საკმარისია ინფარქტის წინააღმდეგო. რატომ იცინის ადამიანი? სპეციალისტები გვთავაზობენ პასუხს: რათა ადამიანი ჩინებულ ხასიათზე იყოს! რათა ადამიანის ორგანიზმმა დაისვენოს და შრომა შეიმსუბუქოსო... ბიჭმა რომ გოგოს ფეხი დაადგა ფეხზე და ორთავემ გულიანად გაიცინეს? გოგონას ფეხსაცმელი წასძვრა-რამდენი იცინა წყვილმა; - ბედნიერმა წყვილმა! სხვებმაც გაიცინეს... არის ხარხარი! მაგრამ არის იუმორი? რამდენნაირია სიცილი? ყოველგვარი სიცილი იუმორია? აგერ: უცბად ჩასცხეს ვიღაცას მოლოპრილ თავში, - იცინიან; იყიდეს ხაჭაპური, სამში ერთმა ჩანგლის ხმარებაზე უარი თქვა და თითებით გაგლიჯა, - რამდენი იკისკისეს, იხარხარეს, იროხროხეს და... უცაბედი განცხადება-დასკვნა: ადამიანმა არასოდესაც არ იცოდა, რა აცინებდა! კითხვა: იცინიან თუ არა სხვა ძუძუმწოვრები? ეს საკითხი, ძმანო და დანო, მხოლოდ ზოგიერთ ახირებულებს საეჭვო ადამიანებს, აინტერესებთ და... ისინი მართლაც საშიშნი არიან! კაცმა რომ თქვას - რა არის უჩვენოდ კბილი? ჩვენი შეფასების, შედარების გარეშე, რა არის კბილი? რანი არიან კბილები? მართლა ინსტრუმენტია, საშუალებაა თუ სიმშვენიერის წყარო (და თავიდათავი?) არსებობს საგაზეთო გავლენა კბილებში? რაოდენ მიმფერებელია ადამიანი. რამდენ რამეს ეფერება ადამიანი! ალერსი! მოფერება! საიდუმლო გრძნობებია!.. გოჭი, - სახელად ჭყვირო, უყვართ გაგიჟებით. გაზრდილ, გაღორებულ ჭყვიროს კი საახალწლოდ ან გიორგობას ყელში დანას უყრიან. ჭყვირის, ჭყვირო უკანასკნელად. როგორ უყვართ ჩაწიკწიკებულ კბილების მქონეთ ღორის მწვადი! თან, თუ თოვლშიც აქვს დინგი წაკრული... ესეც თქვენი ჭყვირო და ალერსი საყვარელი ცხოველებისადმი. ვის ატყუბეენ? ვითომ არცოდნაა დამნაშავე? არცოდნა სივრცისეული მოვლენაა და თვითონ ძევს სივრცეში, როგორც სივრცე. ვიმსჭვალები უღრმესი პატივისცემით, სიყვარულით მცენარეებისადმი, რომლებიც ერთ ადგილზე დგანან - არ მიმოდიან, არ თათბირობენ და შეთქმულება-ხოცვა-ულეტვებს არ აწყობენ. ამგვარი სიყვარულის, პატივისცემის, ქედის მოხრის უფლებას კანონითაც ვერ ამიკრძალავენ. კანონი! კბილები! საკბილო! ჰაიტ!.. ვაშლი მაიძულებს, ვიფიქრო მომავალ გაზაფხულზე და კვლავ მხოლოდ მომავალ გაზაფხულზე. პრიმიტიული, მაგრამ საბედისწერო კითხვაა: კიდევ რამდენი გაზაფხული დაგვრჩა? ამგვარი კითხვაც არაა უკანონო და ხალხიც (ხალხებიც) კი ფიქრობს (და ფიქრობენ) ამის შესახებ... სამყაროს ცხენი კი დაჭედილია და მიჰქრის. რა არის ცხენი? ცხენი ცხოველია. ცხენი რომ ცხოველია, ცნობილია, მაგრამ... აჰა! რა ვიგულისხმეთ ცხენში? არაფერიც არ მიგულისხმია გარდა ცხენთა ჯოგებისა, რომლებიც უსასრულოდ მიილტვიან. გინახავთ კინოფილმი, სადაც ვაკობია, ვაკობზე ბალახია, ცხენი შორსაა, ცხენი მორბის ან გარბის, მაგრამ ფლოქვთა ხმა (თქარათქური რომ უწოდეს შემოქმედებმა) მკაფიოდ, მჭახედ და ძალზედ ხმამაღლა გვესმის. ამგვარ სიცრუეს დასაშვები სიცრუე უნდა ვუწოდოთ, ოღონდ!.. ასეთი სიცრუე მუდამ იგულისხმება. კიდევ მაგალითი? აჰა (კიდევ) მაგალითი: ეკრანზე კინოფილმია. ფილმში ვიღაცა მღერის. ირგვლივ ტყეა. ვიღაცა მარტოა, მაგრამ, ჯერ შორიდან, მერე კი ახლოდან ხმადაბალი მუსიკა მოისმის, თანდათან ძლიერდება და ბოლოს ყურებში გვიჟღერს ისე, შეიძლება ყალყზე შედგე, შეიძლება აცეკვდე! კვლავ ცეკვა! საშიში ჩრდილები! მასობრივი გაფიცვა... ენერგია, რომელიც ადამიანს უგროვდება, ძნელი დასახარჯია. სქესობრივი მოთხოვნილებაც არასწორადაა განაწილებული. როცა ენერგიაა, - არ არის ქალი; როცა ქალია, აღარ არის ენერგია. ამაში, ვგონდებ, კულტურის მუშაკებსაც მიუძღვით ბრალი... ეს უძველესი ჭეშმარიტებაა! მარადიული სინამდვილეა! როდის ჩაიცვა პირველად ადამიანმა? პასუხი: როცა შესცივდა! თუმც არ სციოდა... მაინც რომელი ორგანო დაითბუნა პირველად? ეს ვიცით! რადგან ვიცით, - სჯობს გავჩუმდეთ. არავინ კამათობს, რომ არსებობს თმაც, ქოჩორიც. სილამაზის სალონებში მუდამ ხალხმრავლობაა... საითაა გზა და გეზი? დაუკანონებლად, მაგრამ უფრო უარესად დადგენილა: მილიონებიდან მხოლოდ რამდენიმე კაცმა იფიქროს, იაზროვნოს, გამოიგონოს, დანარჩენებმა კი იცეკვონ, იმღერონ, დრო ატარონ, იკითხონ ყოველივე ის, რაც... სად არის ამ დროს ნამუსი? ჰუ, ჰუ, ჰუ, ჰუ! ჰაიტ! ნამუსი, ჩემო ბატონებო, გზაშია, ჰაერშია, ცაშია და ამათ მიღმიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თშია. აი, ეს გახლავთ ჯანსაღი იუმორი და აბა ერთად, ერთად, ჩემო მეგობრებო - გავიცინოთ, ავხარხარდეთ! დიდებულია ეს სიცილი! დაგვებედა ეს სიცილი. აი, ეს გახლავთ ჯანსაღი იუმორი და აბა ერთად, ერთად, ჩემო მეგობრებო! გავიცინოთ, ავხარხარდეთ და... უცბად მაღლივი კითხვა: ადამიანის მრწამსი, მიზანი, დანიშნულება ფიქრია? ეს გახლავთ შეძახილი! შეძახილი კი უსასრულობაზე მეტს უყვარს. მოჩანს დასაჩეჩქვი ღიმილი. ღიმილიანი სახეები. უფრო რა უყვართ უმრავლესობაზე მეტთ (მეტთ ძალზედ საინტერესო ფორმაა, გრამატიკოსი კი მანტიაშია)? შეძახილი წინათ აფხიზლებდათ, ახლა უფრო მოძახილია გავრცელებული. სხვები იწყებენ სიმღერას და ჩვენ ტაშით, ფანდურით, სალამურით, კლარნეტით, ღიღინით და ბანით მოვძახებთ ხოლმე. იწყებენ სხვები; მღერიან სხვები; ჩვენ კი მოძახილით, ერთსულოვანი ფეხისკვრით მივდევთ, მივჩანჩალებთ... ყოველივეზე ქედს ვიხრით. ყოველივეზე კვერს ვუკრავთ; ყოველივეზე თანახმანი ვართ. ხმადაბალს გვეუბნებიან; ხმადაბალი კი არ გვაღიზიანებს. რადგან აღარ გვაღიზიანებენ, ჩვენ ყოველივეზე თანახმანი ვართ; წაკუზულნი მივრბივართ, წაკუზული! ჰაიტ! მიგვარბენინებენ ხვრელში, გვირაბში, ხორციელ თუ უხორცო საშვილოსნოში, სამტეხლოში. თანდათან იკარგება ის, რაც გვაცხოვრებდა და რისთვისაც ვცხოვრობდით. ყოველივე-მეთქი, რაღა თქმა უნდა, ზღაპარია და ტრიბუნა. ტრიბუნასთან უწყვეტი ტაშია, ზედ ლავაშია და ჩინოსანი, საპატიო მოქალაქეებიც იქვე ახლოს ცეკვავენ. ისევ როკვა, ცეკვა, თამაში, სიმღერა! მთავარი კი ლაჯებშუაა, სარცხვინელია, ასოა და იქით ხელიც აღარ მიუწვდებათ; საშარდე ბუშტები სავსეა, სადაცაა იჭექებს, დასკდება და აშმორებული ლოგინებით დაიფარება მიდამოები, სადაც ახლა კაშხლებია, წყალსაცავებია, ხელოვნური ზღვებია. მოძახილი: „ადამიანის დანიშნულება და აზრი არსებობისა ფიქრია“, - საეჭვოა, არაფრის მაქნისია და ჩუმ, დაფარულ, სახელმწიფოებრივ აკრძალვას ექვემდებარება. ამის იქით კი... რა სიბნელის ულრანებია! ვისი ხელები ფათურობენ? პასუხი: ეს ოდითგანვე საიდუმლოებაა! აი, ვიხმარეთ სასვენი ნიშანი - ე.წ. ძახილის (და არა მოძახილის) ნიშანი, რომელიც სიტყვით ასე გამოიხატება: ჰაიტ! არ მოგწონთ და არ მოსწონთ? მაშინ, იყოს ჰუიტ! თუ კვლავ გავიმეორებთ წინადადებას: „ადამიანის დანიშნულება და აზრი არსებობისა ფიქრია“, ჩვენკენ მავანი და მავანი ორგანოდან გამოიგზავნება უცხელესი ძახილის გამომხატველი სიტყვა: ჰაიტ ან ჰუიტ!!! აბა, სახიფათოა! სახიფათოა და ახლა თავის გასაწირად აღარავის სცალია. ენთუზიაზმი სახრჩობელაზეა. რადგან ასეა, ამიტომ დროს ატარებენ: ცეკვავენ, მღერიან, კონცერტებს მართავენ, ტაშს უკრავენ, ილხენენ, უკრავენ, თამაშობენ, ეჯიბრებიან, ჩხუბობენ, ყიდულობენ, ყიდიან, ცვლიან, აგორავებენ, სჭამენ, სვამენ... ირგვლივ ორომტრიალია ფიქრის, გონების საწინააღმდეგო: ფიქრი? ჰაიტ! ფიქრი? ჰაიტ! ფიქრიო? ჰაიტ! ჰაიტ! ჰუიტ! ჰაიტ!

1982 წ.

# სარკმელი

შემოდგომის მშრალი ქარი უბერავდა. უცნაური ქარი იყო - ქვიშის ნაკაწრის ტკივილები მოჰქონდა... სარკმლიდან ვხედავდი მზის ცივი სხივებით გაყინულ ოთხ გორაკს, ერთ სოფელს, გადაყვითლებულ მინვდრებს და გაცრეცილ ტყეს... უფრო ახლოს, სარკმლის მიღმა, თეთრი შენობის კუთხე და სახურავი გაკუთხულიყო, მარჯვნივ სახლს აშენებდნენ, ხის წვეროკინებიც მოჩანდა...

სარკმლიდან უჩემოდ კიდევ უამრავი რამ დაინახვოდა, რომელთაგანაც, ალბათ, ზოგს ფორმა არ გააჩნდა, ზოგიერთს, არ ვიცოდი, რა ერქვა, ზოგიერთს მანძილი სხვა რამედ აქცევდა, ზოგიერთის დანახვა კი, უბრალოდ, არ შემეძლო...

გამოქარული სოფლის სახლებსაც ჰქონდათ სარკმელები და იქიდანაც მოჩანდა ის, რაც მხოლოდ და მხოლოდ იმ სახლის სარკმელიდან შეიძლება დანახულიყო.

...ათას რამეზე ვცადე ყურადღების გამახვილება, რომ შიში მომეცილებინა თავიდან. ციომ მკითხა - რომელი საათიაო, - ღამის ოთხი საათი იყო... ამან უფრო დამადარდიანა და გათენება ვინატრე... ვეღარა და ვეღარ დავიძინე. ჯერ ვარჯიში დავაპირე, მერე გადავიფიქრე და ისევ სარკმელი გავიხსენე...

სარკმლიდან უწინდებურად მოჩანდა შემოდგომის მშრალი ქარებით გამოფიტული სოფელი, ყინულივით გაცრეცილი ტყე და ყვითელი მინდვრები... ერთ მინდორზე ურემი მიდიოდა, რომელზეც ჩემი სიზმარი იდო ძნად... მოყანყალე სიზმარში მომხიბლავი ქალწული ფარფატებდა. ახლა ისიც ვიცოდი, რომ იგი გათხოვილია, და ისიც, ქალწული რომ იყო... საოცარია - ორივე მჯეროდა... ეს ქალწული მიყვარდა და ვდარდობდი - ციო რომ არ ერქვა...

ურემზე ქალწულიანი სიზმრის გარდა იმ ქაღალდის ნაგლეჯის დროშა ფრიალებდა, გუშინ რომ რამდენიმე წინადადება ჩავიწერე... გაკრული ხელით იყო ნაწერი: მხრებგანიერი, ულვაშოსანი ბიჭი მღეროდა - ღვინომ გამათამამაო; მეზობელ მაგიდას ვუჯექი; ნელა ვჭამდი, ჩემს წინ ლოთი იჯდა და ღვინის მეორე ბოთლს ცლიდა. კიდევ ერთი კაცი მოუჯდა მაგიდას, ერთი ბოთლი ღვინო იმანაც დალია და ერთი ჭიქა ლოთს შესთავაზა; ლოთი შეეკითხა - რატომ მიმასპინძლდებიო. კაცმა გაუღიმა და უთხრა - მარტო ზიხარ, - მარტო კაცი კი ჭამაშიაც ცოდოაო; ლოთი უცბად წამოენთო, მუშტი დასცხო მაგიდას და დაუყვირა - ვინ გითხრა, რომ მარტოდ ვარ, შე შობელძაღლო, მე რაღაცებს გავასწარი და ახლა წინ გავრბივარ უსარსრულო ნაპრალებისკენ, სადაც ხიდები არ იციან რა არისო!..

ურემი მიდიოდა, ზედ ქალწული იჯდა და ჩემი ჩანაწერებით აჭრელებულ ქაღალდს დროშად მიაფრიალებდა...

მინდორზე, იქ, სადაც უცნაურად გადაბმული სარწყავი არხის მილები გაზოდილიყო, ურემი შეჩერდა. ქალწული ჩამოვიდა, ქაღალდის ნაგლეჯის დროშა ჩამოხსნა და მილში გაუჩინარდა...

მზის ჩასვლისას ქალწული ისევ გამოჩნდა. სისხლში იყო მოთხვრილი, კაბა შემოეფლითათ, თმები გაეწეწათ, მკლავები ჩაელურჯებინათ, ტუჩები მოეჭამათ, ცხვირი ჩაემტვრიათ... მას აღარ ეჭირა ქაღალდის დროშა და იმ მხრებგანიერ ულვაშოსანი ბიჭის თავს მოაკონწიალებდა, სიმთვრალეში რომ მღეროდა - ღვინომ გამათამამაო...

სისხლში ამოგანგლული ქალწული ურემზე მოკალათდა, ღვინით გათამამებული ბიჭის თავი ჭალზე ჩამოაგო და მინდვრის სიღრმეებისკენ დაიძრა...

როცა ურემი გაუჩინარდა, სარწყავი არხის მილები ახრაჭუნდნენ, მოირღვნენ და ხმაურით გაჰქრნენ... თი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქოს ვიღაცა გოლიათი წამოდგა და საკუთარი ხერხემალი გაიყოლაო...

ციოს მშვიდმა სუნთქვამ გამაღვიძა. ის იყო, ხელი წავილე მისკენ, გაღვიძება დავუპირე, რომ საშინელება დავინახე: ციოს ხერხემლიდან ყურძნით სავსე ურმები გამოდიოდნენ, რომლებზეც ქალწულები ისხდნენ...

ბავშვი ატირდა. გონება მოვიკრიბე და ტირილის მიზეზის ჩაწვდომას შევეცადე. - რა არის ტირილი?.. ეს ვერ გავიგე, მაგრამ ტირილზე ფიქრმა მიშველა, ამოვხლეჩილიყავი ოდესღაც თვალხილული ამბებით პირსავსე გუდიდან...

სულ ღვინის ბრალია. ყველაფერი დავთმე, სმას კი ვერაფერი მოვუხერხე, - რამდენიმე თვე წვეთს არა ვსვამ, მერე ერთ დღეში ვივსებ იმ საშინელ დანაკლისს, რომელსაც ჩემში უხსოვარი დროიდან შეკრებილი კაცუნების ხორხორი მოითხოვს...

ციოს მშვიდ სუნთქვას ბავშვის ფშვინვა მიემატა და ძლივსძლივობით შევძელი იმ სარკმელში ჭვრეტა, რომელშიც გამოქარული სოფელია...

ახლა იმ სარკმელში მოღრუბლული ცა იდო. სარკმლის მინაზე რვა უსახელო მწერი დაცოცავდა... შორს, თეთრი ღრუბლების ფონზე, ცხრა ყორანი დაფარფატებდა... მწერები და ფრინველები ერთი სიდიდისა იყვნენ... შემთბარი შიშის ნარჩენით მეშინოდა იმ ხერხემლისა, რომელშიც სოფლებით, მწერებით, ფრინველებით, ქარითა და სიზმრით დატვირთული ურმები შედიან და აღარ გამოდიან...

**1976 წ.**

## დანახვისი

ორი გოგონა იჯდა ჩემს წინ. კეკლუცობდნენ, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, იცინოდნენ და ხალხით სავსე მეტროს ვაგონს ქალწულთა სიხარულის თეთრი ყვავილებით რთავდნენ...

რომელიღაც გაჩერებაზე ერთმა შავტუხა, წინაკბილჩალეწილმა, დაგვალულმა და სახემუწუკა ბიჭმა უცბად შემოყო თავი ვაგონის კარებში და იმ მშვენიერ გოგონებს დაუყვირა...

ხალხი შეკრთა... ნდომით სავსე შავტუხა ბიჭის ჩხავილი ვაგონმა თან წამოიღო, ყურებში ამირაკუნდა, ხმა მოემატა, ჩემი ცოდნის ზღვარს მიადგა, დაგუბდა, მიაწვა, გადაანგრია და ხივილით გაიბნა ყოველის მხრით... ჩემი ცოდნა დაიშალა, ნაკუწებად იქცა, აირ-დაირია და დავინახე: ტყეში ერთი გამხმარი მუხა იდგა, რომლის წვეროკინაზე ყორანი იჯდა და არ ჩხაოდა. სფეროსებრი ელვა ეკიდა იქვე და ყორანი ნისკარტს იბობდა ზედ. სფეროს გარშემო ქინქლებივით ქანქარებდა სიცოცხლეგამოვლილი მიზეზთა ნარჩენები, რომლებიც მატლებსა ჰგავდნენ...

მუხის ძირში სამი კომპრაჩიკოსი იჯდა. ჩოხიანი, გაკოჭილი ლეკი ედოთ წინ გაშლილ ნაბადზე... ტყვე თვალებს ლულავდა - რაღაცა უხაროდა... არადა, სასიხარულო ბევრი არა ჰქონდა რა, რადგან, ჯერ ერთი - ტყე უღრანი იყო, მეორეც - გამხმარი მუხის ძირში იწვა გაკოჭილი, რომლის კენწეროზე ყორანი ფრთხიალებდა და კომპრაჩიკოსები უსხდნენ გვერდით...

მოკლედ, ასეთი სურათი დაიხატა: ტყე. გამხმარი მუხა. მუხის ძირში სამი კომპრაჩიკოსი. ერთი ლეკი, რომელიც კომპრაჩიკოსებმა გაკოჭეს. სფეროსებრი ელვა მუხის წვერზე, რომელზეც ყორანი ნისკარტს იბობს...

ტყე, სადაც მუხა იდგა, თვალუწვდენელ მდელოებში ამოწვერილიყო. მდელოების ბალახი ტყეების ხეებს შვიდჯერ აღემატებოდა. ხოლო ტყეები ამ მდელოებზე ამოსულ ბალახებში მოლად ბიბინებდა...

ერთ მდელოზე უსახელო და დიდზე დიდი ფრინველი გლეჯდა დინოზავრს. სისხლის ტბორები იდგა. ფრთებიდან აძრული ქარიშხლები გუგუნებდა... ფრინველი ჩხაოდა - ქუხდა... სისხლის ტბებით წვიმდა და უსასრულო სიცოცხლის მარადიულ მოწმეებს ყვავილებს ეშხეფებოდა... სანამ დიდზე დიდი ფრინველი დინოზავრს დაგლეჯდა, მანამდე ყველა ყვავილი თეთრი იყო... დინოზავრს სხვადასხვაფერი სისხლი სდიოდა: თავიდან - იისფერი, გულიდან - ყაყაჩოსფერი... პირიდან გორგოლა სულის ბოლქვები ამოსდიოდა...

მუხის წვერზე შემომჯდარი ყორანი განუწყვეტლივ ჩხაოდა... კომპრაჩიკოსებმა საჭმელი ჭამეს, ადგნენ, გაკოჭილ ყაჩაღს ცხვირ-პირი მოაჭამეს, ხელები მოაფცლითეს და წამოწვნენ...

ყორანმა შეწყვიტა ჩხავილი. თავი დაიგვერდელავა - ჯერ კაცის ნაფლეთებს ჩამოაცქერდა, მერე შორეთს მიაშტერდა, საითაც დინოზავრის სისხლის წვიმებით ირწყვოდა უკიდეგანო მდელოებში ჩაკენჭილი მინდვრები...

დაიქუხა. კომპრაჩიკოსები შეკრთნენ. ყორანმა სფეროსებრ ელვას ჩაუნისკარტა და ამიტომ დაიქუხა... როცა მეორედაც დაიქუხა, მდელოებზე მოფართხალე ფრინველი, რომელმაც დინოზავრი დაფლითა, შემობრუნდა და უღრანი ტყეებისკენ გამოიხედა, მაგრამ ვერაფერი დაინახა თავისი სიდიდისა და უღრანი ტყეების ერთი ბეწოობის გამო...

ყორანმა მესამედაც ჩაუნისკარტა ცეცხლის ბურთს და ელჭექმა კიდევ შემოაბრუნა მდელოების ფრინველი... ახლა კი დაიძრა ტყეებისკენ. - მიწა აზანზარდა. ქარი ამოქროლდა. სტვენა ატყდა და დაიგრგვინა...მაგრამ ყოველივე ეს იმდენად დიდი და ხმამაღალი იყო, არც ყორანი დამფრთხალა და არც კომპრაჩიკოსები დაფეთებულან...

ფრინველის მეორე ნაბიჯი თაღწვით დაემხო ჩვენთვის, კომპრაჩიკოსებისთვის და ყორნისთვის უსიერ ტყეებს... ფრინველის სიდიდის გამო უსიერი ტყეები და ქვეყნები წალეკვას გადარჩა...

ის იყო, კომპრაჩიკოსებმა წასვლა დააპირეს, რომ ხივილი გაიგონეს - შორიდან, იმ მინდვრების მხრიდან, საიდანაც მზე ამოდის, თეთრი სისხლის მდინარეები მოდიოდა და ყველაფერი თან მოჰქონდა... უფრო შორს, დინოზავრის დაწმენდილი სისხლისგან ახლად გაჩენილი ოკეანის ნაპირებზე ჭაღარათმიანი კაცი იდგა და ხატავდა.

მერე ყველაფერი დაწყნარდა. - უსიერი ტყეები დინოზავრის სისხლმა დატბორა. დამხრჩვალი კომპრაჩიკოსები ატივტივდნენ, თავთხელზე მუხის წვეროკინა სჩანდა, რომელზედაც შიშისგან გათეთრებული ყორანი იჯდა, უმწეოდ აღებდა პირს და ველარ ჩხაოდა... უფრო მოშორებით ბურთისებრი ელვა შხუოდა, სისხლს ადუღებდა, შხეფებს ისროდა და პატარავდებოდა...

მეტროს ვაგონი ხრიალებდა. გოგონები ისევ იცინოდნენ. მეცოდებოდნენ რადგან ისინი ვერასოდეს გაიგებდნენ, თუ რა მოხდა უსასრულო მდელოებისკენ გადაჭიმულ მინდვრებზე, რომლებზეც უსიერი ტყეები და ოკეანეებია...

იმ უკბილო ბიჭის ჩხავილი ჩამესმა ხელახლა... ეს სწორედ ის ჩხავილი იყო, რომელიც ჩემმა გონებამ ააგუნდავა, დაშალა, გაშიფრა და ამოხსნა. ის, რაც მე ვნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხე მდელოებში, - შავტუხა ბიჭის ჩხავილის მიზეზი იყო, რომელიც ჩემს მეტმა არავინ იცოდა... თურმე, ვისაც მიზეზი გააჩნია, შეიძლება იმანაც კი არაფერი იცოდეს თავისი თავისა... ამის გაფიქრებამ დამამშვიდა და შვებით ამოვისუნთქე. თუმცა მაინც დავდარდიანდი. - იმ დიდზე დიდი მდელოების საშინელებამ სიპაქვის სიგლუვის უცნაური ფორმულა დამიტოვა, რომელი სიტყვასიტყვით ასეთი იყო: ახლოდან ხილული სივრცე. შორიდან ხილული სივრცე. უფრო შორიდან ხილული სივრცე. შორითი სივრცე. შორს ხილული სივრცე. თვალუწვდენელი სივრცე. არხილული სივრცე. ვერხილული სივრცე. ჩვენთვის ხილული სივრცე. ჩვენთვის ვერხილული სივრცე. სხვებისთვის ხილული სივრცე. უჩვენო სივრცე. - სივრცე, რომელიც მოჩანს ხილული სივრცის ბოლო წერტილიდან. არხილული სივრცის იქითა სივრცეზე შორეული სივრცეები. ხილული სივრცეები, რომლებიდანაც ხილული სივრცეები მოჩანს, მთლიანი სივრცეების თავშესაყარი, უსასრულო სივრცე, რომელიც უსასრულო სივრცეში ჩამოკიდულ კაუჭზე ჰკიდია... კაუჭი...

მეტროს ვაგონი მიჰქროდა. გოგონები იცინოდნენ. უკბილო ბიჭის ჩხავილი აღარ ისმოდა... მიხაროდა, რომ დანახვისის ტანჯვა მე ვიცოდი და არასოდეს არავის ვეტყოდი, რათა თეთრი ქოლწულების ყვავილოვანი სიცილი არ შემკრთალიყო დედამიწაზე...

1975 წ.

## დედაჩემი

იმ სიბნელეში მოვექეცი, ოდესღაც რომ ვიყავი. სული შემეხუთა. არტახები გადამიჭირეს.

გაჩირაღდნებულ დარბაზში დაბადების დღეს უხდიდნენ ვიღაცას. ქოთქოთი იდგა. ფოტორეპორტიორების ხელში მოქცეული სანთებელა მოწყობილობანი კრთებოდნენ დროდადრო. სინათლეში სინათლე ენთო, მაგრამ იმ სიბნელეს, მერ რომ მოვექეცი - არაფერი შველოდა. ძალზე გამხდარი ქალის სახე აღბეჭდილიყო ქაღალდზე. ბალღი ეჭირა ხელში. არ იღიმებოდა. ცივი იყო ქაღალდზე გამოსახული ერთ დროს თბილი შეყოვნება. ვიცოდი, საიდანაც მოდიოდა ყოველივე. ალბათ, შიშიც იქიდან იწყება. - დაღმა სვლიდან, ჩვენამდე მოუღწეველი მოთქმიდან, რომელიც უკვე სხეულში გვქონდა მანამდე... დედობის ჩანჩქერებიდან და წვერუპოვნელი გორგალიდან იწყება ის შიში - გარდაცვლილი, თეთრი სიმშვენიერიდან.

„ალბათ, ყველა ერთნაირად მშობიარობს“, - ვფიქრობდი და მეგობარს ვულოცავდი ბიჭის შეძენას. უცნობებიც იღიმებოდნენ. დაბადების საათი, რიცხვი, წელი - ჩავიწერეთ. ამინდიც არ დაგვავიწყდა. გვიხაროდა ის, რაც ადრე სხვებს უხაროდათ. მესმოდა, რომ არაფერი არ მეჩვენებოდა. ყოველივე ნათლად ჩანდა. ქორწილი უძღოდა ამ ამბებს წინ, აჭრელებული სუფრით, მუსიკოსების ხავილით, შემწვარი ცხოველების სხეულებითა და სალხინო მოგზაურობით... ფოტოზე გამოსახული ბავშვიანი ქალი მოსვენებას არ მაძლევდა. ქალი, ბალალაიკით ხელში, მარტო იდგა მაგიდასთან, იღიმებოდა. ძარღვები გაებათ სიმებად. რეპორტიორები ისევ იღებდნენ სურათებს. წვერუპოვნელ გორგალზე ბალღი იჯდა და დაჰქროდა. სამშობიაროს შესასვლელი გამოცარიელებულიყო...

ექთანი მოუსვენრად დაჰყურებდა ღუმელზე შედგმულ ნემსების სახარშს. წყლის ზედაპირზე ბუშტები დახტოდნენ. მე და ჩემი ძმა მოკუნტულები ვისხედით ღუმელთან. ექთანი ესაუბრებოდა დედას და თან მეზობელს სწყევლიდა. ძმა იმ ფანქარს დასცქეროდა, ექთნის მოსვლისას რომ აიღო; - წათლიდა, გააკოხტავებდა - მერე წვერს წაამტვრევდა და ისევ ახლიდან იწყებდა. ნაჭრის ჭრელი სათამაშო დათვი მომაგონდა, - სანახევროდ რომ გვაჩუქეს ძმებს ოდესღაც. „რა იქნა-მეთქი“, - ვკითხე. თავი არ ასწია. გაიღიმა და წათლილ, გალეულ ფანქარს კვლავ წაამტვრია წვერი. დედაჩემი და ექთანი მეორე ოთახში გავიდნენ. თავწატეხილი ამპულები და ქაღალდის ცარიელი კოლოფი დარჩა მაგიდაზე... ღუმელში ტკაცატკუცით იწვოდა ჩემი თვალთახედვის ბოლოლა წერტილები.

დედაჩემი ავად იყო. ძმა ფანქარს თლიდა ხელახლა. სურათზე აღბეჭდილი გამხდარი ქალის სახე გაუხსნელ, წვერუპოვნელ გორგალში მოქცეულიყო და წინანდებურად აღმა-დაღმა დამიგორავდა წუხილით გაცივებულ სხეულში...

1974 წ.

## არაფერი

სხვისი სახლის ერთ ოთახში ვიჯექი და ველოდებოდი. არ მსურდა, წიგნებისათვის მეცქირა, მაგრამ უადამიანობა მაიძულებდა, თვალები მიმეშტერებინა კოხტად (მოწიწებით, თაყვანისცემით, რუდუნებით) ჩაწყობილ წიგნებზე...

ოთახში, რომელსაც ხუთი სარკმელი ჰქონდა, მოწყენილობა და სიბნელე იყო... მიკვირდა, რომ მოგონებები არ მაწუხებდნენ. - ჩემი არსებობა კი ვერ წარმომედგინა უიმათოდ...

ჩემი ნაფიქრალიდან ორი სიტყვა „შიში“ და „მოგონებები“ გამოვაცალკევე... შიშები თუ შიში? მოგონებები თუ მოგონება? ჩემეულა შიშის მოგონება ვცადე, მაგრამ ისეთი არა მომაგონდა რა, სადაც რაიმე შიში იქნებოდა... გამოცალკევებული სიტყვები უცვლელად დარჩნენ, წიგნებსა და ჩემს შორის დაეკიდნენ...

წიგნებით სავსე ოთახში ვიჯექი. მოლოდინში ვიყავი და ჩემს წინ (ისევე, როგორც გონებაში) ორად ორი სიტყვა ეკიდა: „მოგონებები“ და „შიშები...“

შიშებს ფერი არ ჰქონდათ. შიშებში შაშვის შავი ფრთხიალი არ ისმოდა. შიშებმა ვერა და ვერ შემოაღწიეს ჩემში. შიშებისა არ მეშინოდა და მოგონებები გაქვავებული ეყარნენ...

ორი სიტყვის ყოფიერებაში მოვექეცი. მხოლოდ ორ სიტყვას ვხედავდი, თუმცა მოგონებები და შიშები ჩემში ვერა და ვერ იკიდებდნენ ფეხს... ორი სიტყვისგან ერთი წერტილი (ფოკუსი) გაჩნდა, წყნარად შევათვალიერე. გავშტერდი. თითქოს ვუცქერდი ჩემს ტვინსა და გულს, მაგრამ თვით მაცქერალი არ სჩანდა.

„ჩემი ტვინი სალად აზროვნებს“, - ეს წინადადება ამეკვიატა, მათრახად იქცა და გადამეწნა. მემწარა და დავვეჭვდი: თუ ტვინი მე ვარ, ვინღა ამბობს - „ჩემი ტვინით?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქედები დავინახე - ჩემი აზროვნების ფლატისპირები... თხემებზე იდგა ჩემი მე და ხელის ჩრდილვით შორს იცქირებოდა, საითაც ბებერი პაპაჩემი იბადებოდა და ჩემი შვილის ხმით ტიროდა...

ჩემი გონების თხემზე ჩამოვისვენე... ხელმოჩრდილული გავყურებ ბილიკს, რომელზედაც მიზოზინებს მიზეზთა ხროვა... ახლა რასაც ვხედავ გონების თხემზე ხელმოჩრდილული - გულივით ფეთქავს და აცოცხლებს თეთრი ცეცხლის უსასრულობის გამრჯე გოლიათს, რომელშიც ვზივარ...

სხვის სახლში გამოკეტილი ვცდილობდი, ისეთი რამ მომეგონებინა, რომ შემშინებოდა და მომეშორებინა ორი სიტყვისგან გამონასკვული სატანჯველი...

ბოლოს „მოგონება“ დაიძრა და „შიშს“ გამოეყო, დავდარდიანდი. დარდი რიყის ქვასავით მაგარი, გლუვი იყო და იმ კენჭებივით შეუმჩნევლად იზრდებოდა, რომელთა ზრდა ჯერაც არავის უნახავს... ჩემს დარდში მოწყენილობის ქარებმა დაუბერეს: მოიწყინე! - სარკმელებში გაჭედილა შემოდგომის მწიფე ქარები; მოიწყინე! - საყვავილე მალაზიებში სიკვდილის სუნი დაბორიალებს; მოიწყინე! - მატარებელი მიაჭრიალებს ტრამალების თაკარა თოკზე ჩამომხრჩვალ ქვიშას; მოიწყინე! - თითის წვერებზე შემდგარი პატარა ბალღი მამას აცილებს; მოიწყინე! - ფქვილად ქცეული წვიმები მოდის; მოიწყინე! ყვითელი ქარი მოსდებია სიცოცხლის ტყეებს; მოიწყინე! - თეთრი ქარების გოლიათები დასრიალებენ წარსულის დარდით მოსარკულ წყალზე; მოიწყინე! - დედაშენი ჩუმად დასტირის შენი ბავშვობის კინკიბურზე კონწიალა დარდის ჭალარას; მოიწყინე! - მიწამ მოგუდა ხორბლის მარცვალი; მოიწყინე! - და დაიბადე ხორბლის მარცვლის გარდაცვალებით...

ქარი ჩადგა და სიცოცხლის სიხარული დამიტოვა. აღარ მეშინოდა, რადგან ხორბლის მარცვლის გარდაცვალებიდან მრავალი ტყუპისცალი სიცოცხლე იწყება... მარცვლის სიკვდილით სხვა თავთავები იბადებიან...

ქარის დანატოვარი სიხარული იზრდებოდა, მრავლდებოდა და ვჩურჩულებდი: ახლა მზე ჩადის შენს თვალებში, ნაცრად ქცეული შენი ყოფნა ისე მძენძავს, სულ მგონია - შენა ხარ ყველგან. მზე მოქცეულა შენს თვალებში - არ მეშინია მარადიული ყინულების სასაფლაოსი, სადაც სულების თბილი სანთლები აფეთქებულან გაზაფხულებად...

როცა ორი სიტყვა - „მოგონებები“ და „შიშები“ ისევ დაახლოვდნენ, დაღლილობა ვიგრძენი.

არაფერი მიკვირდა. გამოვშრი და ქვიშა აშრიალდა: ფლატეზე აძრულ ქვიშიდან ფლეიტა აცურდა. ფლატის ფლეიტის ნაჩურჩულევი ყვავილებიანი მინდორივით აფერადდა და გაისმა: ქვიშის სიცოცხლევ, დაიძარ!.. დილა თენდება- გაცრეცილი ფლატეების მოთქმას მღერის ქვიშის ფლეიტა...

ფლეიტის ხმა თანდათან ამაღლდა და მთვარესავით დაეკიდა ორ აკვიატებულ სიტყვას შორის. ამან მომაგონა, რომ არსებობს ასტრონომია და მივხვდი - ბოლოს და ბოლოს რაღაცა მომაგონდა...

და მოგონება ფეხაკრეფით მომიახლოვდა: ქალაქებისკენ გზები მოდიან და გუბდებიან გორაკთა ხროვად. ქალაქებისკენ მომავალ გზებზე მოდიან, მოდიან, მოდიან, მოდიან... შენ ქალაქისკენ ერთი მწვანე ნაბილიკარით მოფარფატებ, რომლის უხილავ ნაპირებზე ნასახლარების ნანგრევებია და ჭინჭრის სუსხვის ტკივილების მოგონებები დანავარდობენ... ნასახლარების ჭინჭრის ბილიკი უხილველია და უკაცრიელ ნანგრევებში ჩაწოლილ სიცხეს აგორგალებს გველის პერანგით დაგესლილი პაპანაქება... ქალაქებისკენ გზები მოდიან, რომ ცოდვის ქვაბში მოიხარშონ და გაფუფქული ნაგვის გუდა წამოიკიდონ... ქალაქებისკენ მომავალი ჩემი ბილიკი მსუბუქია ქარზე უფრორე... იქიდან ქალაქი მოჩანს ისე პატარა, რომ მეშინია - ჩემი ტერფით არ გადაინგრეს... ჩემი ბილიკიც ქალაქთან წყდება... მგზავრნო გზებისა - თქვენ გზა გასწავლეს მასწავლებლებმა... მგზავრნო გზებისა - ერთი წუთით შეტრიალდით, თქვენი ცოდნით ნუ გახედავთ მწვანე გორაკებს, თორემ თეთრი ცეცხლის გოლიათები სიზმრად გნახავენ, გაწრისხდებიან, გაიღვიძებენ და გასრულდება გოლიათის ერთი სიზმარი - თქვენი ცხოვრება... ქალაქებისკენ მოგონებით მოგონილი გზები მოდიან... გზები მოდიან... მოდიან, მოდიან, მოდიან, მოდიან...

უკვე ნათლად მჯეროდა - მოგონებები დაიძრნენ. ერთიღა მაკვირვებდა, რომ მათი არ შემეშინდა...

ფლეიტის ხმა გაილია და ჩემი მოგონებები თან გაიყოლა... დავრჩი შიშებთან უმოგონებებოდ... შევკრთი - შიშების წინ ვიჯექი. ისინი ზუსტად თავიანთი თავის აღმნიშვნელ სიტყვას ჰგავდნენ... უდიდეს სიმარტოვესა და ობლობას ვგრძნობდი...

ვინატრე - ნეტავ მალე მოვიდეს, ვისაც ველოდები, ანდა წიგნებმა ერთხმად დაიყვირონ-მეთქი...

გამოყინულ ოთახში დათბა. მე ვიცი, რომ ეს შიშების ბრალია და ისიც ვიცი - ყინულის გალღობა რომ წყლის სიცოცხლის დასაწყისია...

უცბად დაპატარავება დავიწყე, სხეულის ყველა ნაწილი გაქრა, გარდა ტვინისა, გულისა და იმისა, ვინც იცის, რომ არის ტვინიც, გულიც, თვითონაც და თავისი დედ-მამაც...

სულ დავპატარავდი. ისე დავპატარავდი, რომ ჩემმა პაწაწა მხედველობამ ვეღარ აღიქვა გიგანტური ტვინი და გული, რომელთაც ცოტა - ხნის წინ დავშორდი...

მე უკვე მცირე განმეორება ვიყავი იმ უსასრულო ჭეშმარიტებისა, რომელიც არ სჩანს, არის და მაინც - ისევ და ისევ არაფერია...

წიგნებით სავსე ოთახში ვიჯექი.

სახლი ჩემი არ იყო.

ველოდებოდი...

ადამიანის გამოჩენას ველოდებოდი...

1973 წ.

## მთვარე

გაზეთში ამოვიკითხე დიდი სტატიის პატარა ფრაზა, რომელშიც ვიღაცები მსჯელობდნენ სიცილზე (თან თვითონაც იცინოდნენ, მგონი, უმიზეზოდ, ისე, როგორც უამრავი ვინმე იცინის ამ ქვეყანაზე)... ყურადღება მივაქციე ერთ-ერთი პოლემიკოსის სიტყვებს (რომელიც ადამიანების შესახებ საუბრობდა): ასეთი ადამიანები მთვარეს მაგონებენ, მისებრ ცალმხრივი სინათლე გააჩნიათ, მეორე მხარე კი სამარადისო უკუნეთში აქვთო... დავნაღვლიანდი და ეს დარდი არ იყო მთვარისეული. ეჭვიც კი არ შემპარვია, რომ ადამიანები უცოდინარები არიან, მთვარის მეორე მხარეს რომ ბნელს უწოდებენ. დავიბენი, რადგან ვერ მივხვდი - როგორ უნდა დააკავშიროს (ანდა რატომ უნდა დააკავშიროს) ადამიანმა სიცილი (ხარხარი, ღიმილი) და მთვარე? შემეშინდა კიდეც - ალბათ, არც შეიძლება, ასე მარტივად რომ ვახსენებთ მთვარის, მზის, თანავარსკვლავედების (იმქვეყნიური სანეტარო წალკოტების მდელოებზე მოკონწიალე ღვთიური ნაყოფების) სახელებს-მეთქი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალები მოვხუჭე. - გუშინ ღამითაც ზუსტად ასე ბნელოდა, მე და ციო „ჟიგულით“ რომ მივქროდით... ჩვენი მნახველები (ახლობლები, ნათესავები, ამხანაგები, მეგობრები, ნაცნობები, ექიმები...რამდენნი არიან მე ამისი!..) გაოცებულნი იყვნენ: ღამის სამ საათზე ავტომობილით გორში წასვლას თუ აპირებდი, რაღას თვრებოდიო... მოხუჭულ თვალებში ხელმეორედ (ისევე, როგორც წუხელღამ) ვხედავდი ავტომანქანას, სინათლით გაშუქებულ ასფალტს, ჩამესმოდა მოტორის ჩუმი, თანაბარი ხმა, საბურავების სისინი, ვხედავდი მთვლემარე ციოს სილუეტს... აქ ინგრევა იმღამინდელი მახსოვრობის ბუდე და მას ენაცვლება თეთრი ხაზი, თეთრი ასფალტი, თეთრი წვიმა, თეთრი ჯახანი, თეთრი ბზრიალი, თეთრი ნაპერწკლები და სიბნელე, რომელშიც იმდენივე მოჩირაღდნე წერტილია, რამდენიც ივნისის თვის ღამეულ ცაზე... გამეღიმა. - კიდევ ერთხელ ვირწმუნე, რომ მთვარის მეორე ზედაპირი (თუკი და რადგან არსებობს რაიმეს „მეორე“ მხარე) ბნელია. სიბნელის ყოფნა-არყოფნამ შემაწუხა. ოდითგანვე უთქვამთ (ჩაუგონებიათ), მარადიულ სიბნელეს შვილებიც კი ჰყავსო (მაგალითად: სიბოროტე, მინუსი, ყინვა...) თუ განვავრცობთ პარალელებს, გაცოფებამდეც კი მივალთ: დედაკაცსა და მამაკაცს შორის რომელიღაცა მინუსია (ანდა პლუსი-სინათლე), ჩრდილო პოლუსი, კიტრის, გოგრის საზამთროს (და სხვათა) ქიპლარი, ღამე. სიკვდილი, ანდა სასწორის რომელიღაცა მხარე ხომ უნდა იყოს დადებითი ან უარყოფითი... მე და ციო კი გულმოდგინედ დაგვარწმუნეს ექიმებმა და ახლობლებმა, რომ ორივეს „ტვინების შერყევები“ (ზუსტად ასე გვითხრეს) გვქონდა (მათივე ენით რომ ვთქვათ, „ტვინების შერყევები გვქონდნენ“)... ეს კატასტროფა, რომელსაც ყველა შემთხვევითობად თვლიდა, ჩვენი კარგად ყოფნის მეორე მხარე იყო, ტვინის შერყევა კი ამ მეორე მხარეს იქითა უარყოფითობა, რომლის მიღმა, ალბათ, უამრავი მხარეები ჰყრია... მარჯვენა თვალში სისხლი ჩამქცეოდა, წარბი და ცხვირი გამსიებოდა, თავი მტკიოდა... თვალები გავახილე, - ტკივილმა გამწიწკნა. შინაგანი ხმაური მდინარისპირა სიჩუმეში დატვირთვით მომუშავე მოტორის ხმას ჰგავდა. თვალები დავხუჭე. სიბნელემ ჩამომაცილა ხმაური. თავს ძალა დავატანე. წარმოვიდგინე და ასე დავალაგე ყოველივე: ჯერ ლურჯი ცა, მერე - ლიბრისფერი ვარსკვლავეთი... დავიძარი კიდეც ჩემივე თვალებისმიერ სიბნელეში... რაც შორს მივიწევდი, მით უფრო მუქდებოდა არემარე, სიკაშკაშე მატულობდა და სინათლეებით მორთული სიბნელის ტყეში მივცურავდი. აქ არ არსებობდა ცნებები: აღმოსავლეთ-დასავლეთი, დღე-ღამე, ცა და მიწა, მიწა-წყალი, ტყე-ღრე... აღარც დაბადებისა და სიკვდილის, მოსვლისა და წასვლის, გაზაფხულისა და შემოდგომის (და ამნაირი წყვილთა უამრავითობის) ყოფიერება მჯეროდა... ნელა მივნარნარებდი, ვიზრდებოდი და უკვე ვგრძნობდი, რომ მე თვითონ ვიყავი ის, სადაც ამჟამად ვიყავი, რასაც ვხედავდი, რასაც აღვიქვამდი, რასაც ვსუნთქავდი... ამიტომ (ეს კი აღარ გამკვირვებია) ყოველივე ვიცოდი. მე ამ უსასრულო სასრულიანი ოკეანის ერთიბეწო ნაწილაკს წარმოვადგენდი... გაჩერებამ მაინც მომიწია. მოციალე შორეთს გავხედე (შორეთი უთავბოლო იყო, მაგრამ მაინც ჩანდა) და არაგამჭვირვალე სითეთრე დავინახე. იგი ტალღურად მოძრაობდა, ფეთქავდა, ჩემს სამყოფელს აზანზარებდა და ვარსკვლავებს ნაპერწკლებად ისროდა (ანუ ნაპერწკლები იყო ის გიგანტური მნათობები, რომლებიც დედამიწაზე მილიონობით დიდი მოცულობისაა და მილიონი სინათლის წელიწადით არის დაშორებული)... ალბათ, ეს იყო ის საწყისი, რომლის მიღმა ჩემი არცოდნის (დაუნახველობის) ზღვარია... დავეჭვდი კი - იმ ზღვარის იქითაც უამრავი რამ იქნება-მეთქი. თვალები გავახილე და სათამაშო ხუხულასავით დაინგრა-გაცამტვერდა ამდენი ტანჯვით მიღწეული დანახვისი, რომელიც ადამიანს სიცოცხლეში ერთადერთჯერ თუ ეძლევა (თანაც ყველას არა)... რადგან თვალები გავახილე, უკვე დავინახე... ჩემს წინ მეგობრები ისხდნენ, მიღიმოდნენ... თურმე უნეტარესი გამომეტყველებით მძინებია და მოთმინებით ელოდნენ ჩემს გაღვიძებას... ახლა იმის თქმა და მოყოლა, რაც ვნახე, არამც და არამც არ შეიძლებოდა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ტვინის შერყევა მქონდა, მეორეც - ვერ გაიგებდნენ, გაეღიმებოდათ, გაიცინებდნენ და გაზეთში ჩემს მიერ ამოკითხულ საზიზღარ იმ ფრაზას გამახსენებდნენ, რომელიც ირწმუნებოდა - მთვარის ერთი მხარე მარადიულ სიბნელეშიაო... მეგობრებმა ხელახლა გამომკითხეს ავარიის ამბები. ათასნაირი რამ დაასკვნეს მიზეზად: სიმთვრალე, ჩაძინება, წვიმა, გზის მოლიპვა, უცაბედი დამუხრუჭება... ეგ ყოფილა შენი ბედიო (მათი საყვარელი გამოთქმა, რომელიც მარადიულ და უსასრულო არცოდნას ასე მშვენივრად ჩქმალავს), - ერთსაც კი არ წამოსცდენია... ბედის არსებობა ამ წუთში არ მჯეროდა... ესეც ისეთივე ადამიანური შეცდომაა, როგორც მტკიცება - მთვარის მეორე მხარე მარადიული სიბნელითაა მოცულიო... არც ერთმა ჩემმა მეგობარმა არ იცოდა, რა მომივიდა, როგორ ვიყავი და ვინ ვიყავი... ეს სამწუხაროა, მაგრამ არა ჩემთვის, არამედ მათთვისვე... როცა ყველა გაიკრიფა, ციომ დაიძინა, დეიდაჩემს საწოლის თავზე ჩამოსთვლიმა და ნაოპერაციები ბიჭების გმინვა შემესმა მეზობელი პალატებიდან, ცრემლი გადმომიგორდა იმ თვალზე, რომლითაც ავტომანქანის შიგნითა სამზერი სარკე მოვგლიჯე და საიდანაც ტვინის შერყევა შემოიჭრა ჩემში... ის ცრემლი მთვარისფერი იყო და მასში მოჩანდა შორეული უსასრულობის ბოლო, თეთრი, მფეთქავი კედელი, რომლის მიღმა იმ კაშკაშა ცოდნის სინათლეა, რაც არცოდნის გამო სიბნელედ ეჩვენებათ ხოლმე ხანდახან...

1978 წ.

# გახსენება

ფეხიფეხზეგადადებული ვიჯექი. გულის ცემა მიცახცახებდა კიდურს. უნებურად ვთვლიდი: ერთი, ორი, სამი... ცერა თითზე დამჩნეულმა ვიწრო, გრძელმა ნაიარევმა მდინარისპირი და ის ნავი გამახსენა, მე და ციომ რომ ამოვაპირქვავეთ. ვარაზი იატაკზე გაშლილ სათამაშოებს აჩხრიალებდა. მე მგავდა. გულის ცემას წინანდებურად ვითვლიდი. გუნებაში რომელიღაც სიმღერის ნაწყვეტი მეორდებოდა დაუსრულებლად და უნებური არარაობიდან წამოსულ სადღაც წასვლის ნაღველს ერთვოდა. აღმა-დაღმა მფეთქავ ფეხზე დამჩნეულმა ნაჭრილობევმა ამოპირქვავებული ნავი, ციო და მწვანე მდინარე ამოატივტივა ხელახლა. ვარაზი არ იყო მაშინ. ეჭვი შემეპარა, რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო. მაგრამ ბავშვი აშკარად მე მგავდა. სწორედ ამისი მეშინოდა. ვცადე, იმ შიშის მიღმიური სიბნელე გამენათებინა. თითქოს შევძელი კიდეც: ბავშვი მე მგავს. - განსხვავება ჩვენს შორის მაინც არის. მერე ეს ყველაფერი ლოფლოფ სიყვითლეში შეწითლდა და გაიფანტა: ვარაზი შვილია ჩემი. ამიტომაც მგავს. უწინ კი, ფეხი რომ გავიჭერი მდინარეზე - იგი არ იყო... ახალ ამბებს გადმოსცემდენ ტელევიზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რში. ამან გუნებაში გაბმული სიმღერა შეწყვიტა. ალბათ, ამიტომაც დავეჭვდი, რომ ახალ ამბებს გადმოსცემდნენ. ახალი ამბავი... თურმე მდინარეზე ფეხი რომ გავიჭერი - ამბავია. ოღონდ ველარ გავარკვიე - ძველი თუ ახალი. მაშინდელი ალისფერი ჭრილობა ახლა ვიწრო, გრძელი ანაბეჭდია. ნაფიქრის სასრულმა კიდურის ფეთქვის მიზეზი - გული გამახსენა. მიუწვდომელ, შინაგან სიბნელეებში ადრინდებულად აჟღერდა სიმღერის ნაწყვეტი. გული სცემდა: ერთი, ორი, სამი... ვარაზი თუხთუხებდა უსულო სათამაშოების მაგიერ და თავისი არსებობით მაშინებდა. ვიცოდი, რომ ამ პატარა სხეულში ჩემი ადგილი მქონდა, მაგრამ ვერ შევძელი შიგ ჩაწვდომა და მისი ბალღური თვალებიდან გამოხედვა. ის ცალკე იყო. მე მასში ვიყავი, მაგრამ ამაოდ ვცდილობდი, მეპოვნა არცოდნის საწყისი წერტილი. ვიცოდი, რომ ამითი ხსნას ვეძებდი... ტელევიზორის ეკრანზე ბალერინა დაფარფატებდა. ვარაზი რამდენჯერმე მიუბრუნდა ეკრანს. არა უკითხავს რა... მამაჩემმა ერთხელ მაგრად მცემა ტყუილისთვის... ეს მოგონება უცბად ამოტივტივდა და გამაბრაზა. ტელევიზორის ეკრანს დავაცქერდი. ჩამტვრეული კბილების ნამსხვრევებისგან გამოწვეული უსიამო შეგრძნება ალმეძრა, რამაც მამაჩემი მომაგონა ხელახლა... კარგად მახსოვს, მცემა, მაგრამ კბილები არ ჩაუმტვრევია. ხელოვნურ კბილებზე ენა გავისვი და უნებურად ვარაზს დავაცქერდი. მისი მოლუშული სახე მოზრდილისას დაემსგავსა და ლაჟე კვერცხის სუნიანი რამდენიმე სიტყვა ჩამესმა, რამაც გამაცინა. თურმე ვარაზს ჩაუმტვრევია ჩემთვის კბილები, - ჩემს შვილს, პატარას, ცეროდენას. თანაც - როცა დიდი ყოფილა... ტელევიზორი შრიალებდა - გადაცემები გასრულებულიყო. ბავშვი სათამაშოებს დაარბენინებდა. ანაზდად ვიგრძენი, რომ მეშინოდა იმ პაწაწა სხეულისა რომელშიც მე ვიყავი. თანაც უკვე ვეჭვობდი, - მგავს თუ არა-მეთქი. ტელევიზორი გამოვთიშე. „სული გასძვრა“, - სიტყვები აშკარად ჩამესმა. ვარაზს დავხედე. ნაღდად იმის ხმაა. სათამაშო ჯარისკაცი ეგდო პირქვე; ბავშვმა ერთ ჯარისკაცს მეორე მოაკვლევინა... ტელევიზორი ჩავრთე ისევ. შრიალს წივილიც დაერთო. გამოვთიშე. წაქცეული ჯარისკაცი ფეხზე იდგა. ტელევიზორის ეკრანი ჩაბნელებულიყო. ციოს სუნთქვა შემესმა და დავმშვიდდი. ჩამოვჯექი ფეხი ავწიე, მინდოდა, ფეხზე გადამედო. - გადავიფიქრე. თვლამ: ერთი, ორი, სამი - კეფისკენ გადაინაცვლა და პაპაჩემის ფართხალა მაჯისცემა გამახსენდა. მერე ჩვენი ოჯახის ფოტოსურათების ალბომები გადაიფურცლა: ნათესავების სახეები აფარფატდნენ, დატრიალდნენ, მობზრიალე ბორბალში მოექცნენ, აითქვიფნენ, ერთიანობაში მოიზილნენ, პაპაჩემის მაჯისცემად იქცნენ, ჩემს კეფაში აღძრულ თვლას ჩაეხლართნენ, თვალებს მოაწვნენ და ვარაზისკენ გაიტყორცნენ. ახლა სადღაც შიგნით ითვლებოდა: ერთი, ორი, სამი... მდინარის პირზე, მე და ციომ ნავი რომ ამოვაპირქვავეთ, თვალებდაბლეტილი ვარაზი იჯდა, მე მგავდა და სათამაშოებს აჩხრიალებდა.

**1974 წ.**

# სასჯელი

შენობა დიდი იყო, მაღალჭერიანი. ყველგან, სადაც კი, ვიღაცის ვარაუდით, ადამიანმა ფეხი უნდა დაადგას, გრძელი, ძვირფასი ნოხები დაეფინათ. ჭერზე ბროლის ჭაღები ეკიდა, რომელთა თეთრი სიგრილე სიჩუმეს ადედებდა და თვალის დასანახად ჰქმნიდა...

ბნელოდა. დიდმუცელა კაცი სავარძელში იჯდა, - იდაყვი ხშირად უვარდებოდა დაბლა და ძილს უფრთხობდა.

კაცმა დიდი თაღების გრილი სიჩუმე წინა ღამით შეამჩნია, ტუალეტიდან რომ გამოვიდა. ობსერვატორიაში დადგმული აპარატურიდან თვალთვალი იგრძნო ხერხემალზე. იგრძნო, დაპატარავება დაიწყო. წონა დაეკარგა. სინათლემ უშველა...

ყვითლუჟა ბიჭი სძაგს, მაგრამ ის ფურცლები, ბიჭის მაგიდაზე რომ ეწყო, არ უნდა აეღო. არადა, ახსოვს - მოიხელთა თუ არა სიცილით დაიწყო კითხვა და, როცა დაასრულა - მარმარილოთი მოპირკეთებული ნოხებით დამძიმებული დიდი დარბაზის კუთხეში შენიშნა მომზირალი ადამიანის მსგავსი არაფერი. კიბეზე სირბილით დაეშვა, - წაიქცა, გაცურდა, შუბლზე კოპი დაისვა, რომელმაც შიშის გუნდა შეისრუტა... ყვითლუჟას ნაწერები ტუალეტში დაწვა, ფერფლი წყალს გაატანა და სავარძელში მოკალათდა. საკუთარი ფიქრი, რომელიც უწინ არ უგრძვნია, გვირგვინად იქცა - ბავშვობაში მინდვრის ყვავილებით რომ წნავდნენ ხოლმე. უმიზეზოდ მოაგონდა სიპი ქვა, რომელიც ახლაც გდია პაპას ზვრის შუაგულში სოფლად (პარალელური ბუტბუტი: პაპა არ ახსოვს; სოფლად ზვარი არა აქვთ; ბერიკაცი, რომელიც წარმოესახა, ყვითლუჟას პაპაა და ზვარიც იმათია) და არავინ ეკარება. ყველას ეშინია - გველი იცისო ზედ. მზის ამოსვლისთანავე ქვა ვარვარდება. საღამოობით - მიფერფლილი, გასუდრული ანარეკლი მოცოცავს იქიდან და მთვარით აშინებს. მთვარიანი ღამე, როგორც მას შთააგონეს, ნაღველია... მერე აირივნენ: უნივერსიტეტი - სენტიმენტალიზმი... საავადმყოფო - ლუნატიზმი... ფსიქიატრიული დისპანსერი - ჰიპოქონდრია ფობიებით... სოფელი - მკრთალი, გაცრეცილი არჯლების ფსონი, გრძელთმიანი ალები და კუდიანი მაჯლაჯუნების მარული... ის ქვა ყოველწლიურად იზრდება (იგრძნო, როგორ ჩამოეზარდა ქოსა წვივებზე ბალანი, ძირს ჩაიზიდა და გლუვ იატაკში ჩაფესვიანდა).

სარკმელმა დაიჭრიალა. ხორკლმა დააყარა. ახლა დარწმუნებული იყო, რომ იგი ხავსში ჩადგმულ (აშენებულ) მრავალსართულიან კორპუსში ცხოვრობდა, ლოგინში იწვა და ქარხნის საყვირის ხმა ესმოდა. თანაც სწამდა, რომ ქვა, რომელზეც ფაბრიკა-ქარხნები ხრჩოლავენ, ზვარში გდია, ზედ არჯლებს ფერხული გაუმართავთ და თეთრი უსასრულობის მობინადრე გოლიათებსაც კი აშინებენ (პარალელური ბუტბუტი: პაპა არ ახსოვს, ზვარი არა აქვთ და ყველაფერი, რასაც იგი გრძნობს, ვიღაცის მახსოვრობიდან ამოხლეჩილ ფიქრთა კორიანტელია)...

ის ქვა სივრცის მიწაში ეგდო. - კარგად ახსოვს, რომ ცუდი მახსოვრობა აქვს, მაგრამ სარკმლის ჭრიალმა გაზეთში ამოკითხული სიტყვები გამოჰკიდა (მოაგონდა, რომ გაზეთის რედაქციაში მუშაობდა): „ცნობილია, რომ მთელი პლანეტის ცოცხალი სამყარო მზის ენერგიის მეშვეობით არსებობს და რომ დედამიწა მზისგან იღებს მისი ენერგიის მხოლოდ მემილიარდედ ნაწილს. ხომ არ შეიძლება დედამიწაზეც იმ პროცესების მიღება, რომლებიც მზეზე მიმდინარეობს? ესე იგი, შეიქმნას ხელოვნური მზე - ენერგიის ახალი წყარო და ამით გადაწყდეს მომავალში უშრეტი ენერგიის წყაროს მიღების შესაძლებლობა? - აი საკითხი, რომელიც თანამედროვეობის უდიდეს და ფიზიკის N1 პრობლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას წარმოადგენს...“ წინადადება, რომელიც სიტყვა „შესაძლებლობასთან“ დასმულ კითხვის ნიშანს მოჰყვა, სხვა შრიფტით აიწყო (გონებაში ამუშავებულ ლინოტიპზე) ფერი იცვალა - შავ კორპუსად, 2,36 კვადრატად იქცა და ჯიბრიანად გაგრძელდა უსასრულოდ მანამდის, სანამ იტალიის (ძველი რომის) რომელიღაც სწავლულის (გარდაცვლილი გენიოსის) კბილების კრაჭუნი არ გაისმა...

გაუგებარი სიტყვები ჭერიდან დაშვებულ, შეყოვნებულ, მოკუნჭულ ობობას ჰგავდნენ და არწმუნებდნენ, რომ მას სიმწვანისა ეშინია ბავშვობიდანვე. სცადა, ბალღის ცნობისმოყვარე თვალებით დაენახა შიშის მიზეზი, მაგრამ პაწაწა თვალის კაკლების ბზინვა სლიპი იყო. სხლტებოდნენ აზრები, გუგის ჩაღრმავებაში ვერ ატანდნენ. თავბრუს იხვევდნენ... შეეშინდა. ეს რეებსა ვფიქრობ, - ხელი წაიღო ზემოთ და თავიდან იმ გუნდის მოცილება სცადა, რომელიც სხვისი იყო და მასში ცხვებოდა. ხელახლა იგრძნო საკუთარი ტვინის რბილი მასა, რომელსაც ვიღაცის შავ ხელებში დამარცვლული, ყვითელი კრიალოსნის ბურთულაკები ჰქონდა შემოვლებული. ამ კრიალოსანში მოციალე ძალა ტკაცუნებდა, ერთიდან მეორეზე გადადიოდა; მხოლოდ ტკაცუნის აღმძვრელ ძალას არ გააჩნდა დასასრული (წრედი არ იკვრებოდა, რადგან ერთი ბურთულა შავად დანახშირებულიყო და გამტარიანობა აღარ ჰქონდა)...

ხელი ჩამოუვარდა სავარძლის სახელურიდან . - თვალები დააჭყიტა. „რა უნდათ?“ სინანული ვეღარ მოიშორა: რად აიღო იმ ბიჭის ნაწერები, რად წაიკითხა? რატომ დახია?..

დაბლიდან (შენობის ძირსკნელიდან), მარმარილოს ფილათა ჩაღმიდან, ყრუ გრუხუნი ისმოდა; - იცის, მეტროს ვაგონი მიჰქრის, მაგრამ ბრიგადირს (ღამის დაცვაში მომუშავე დარაჯების უფროსს) უნდა სთხოვოს, ამ შენობას მოაშორონ - ვეღარ უდარაჯებს. კეთილი, მეტროს ვაგონი ხრიალებს, მაგრამ დარბაზის ბოლოში რატომ იზრდება მუქი, აყაყული ჰაერის ლანდი? წამოხტა. დაიგრიხა. ფეხები აეხლართა, სავარძელში ჩაენარცხა, გადატრიალდა, უკან გადაქანდა (ნატვრა მოასწრო: ნეტავ, თავი დავარტყაო, მაგრამ ამაოდ) და არ დაეცა...

მარმარილოს ფილაქანი აჭრიალდა. ჰაერის ლანდი აიზარდა, მხრები მოენამგლა, აფუვდა. - ჰაერის რბილმა, შესამჩნევმა მოხაზულობამ მიწით სუნთქვა დაიწყო. სისინის მსგავსი გაბმული ხმა ჩაესმა. ჰუუუუუუ, ჰჰჰჰჰჰ, შშშშშშ...

გაიქცა. კიბეს აუყვა. შიშნაჭამ მონანიებად ექცა სინანული: რად წავიკითხე და დავხიეო... უკანასკნელ სართულზე მდებარე ვიწრო კორიდორის სარკმელთან მიირბინა, გამოაღო და ღრმად ჩაისუნთქა. ქვემოდან წამოსული კიბის მძიმე ჭრაჭუნსა და სისინ-შიშინის მონაცვლეობას მიაყურადა: ჰუუუუუუუუუ, ჰჰჰჰჰჰჰჰ, ჩშშშშშშშ... ყურებზე მიიფარა ხელები. შიგნიდანაც იგივე შიშინი მოესმა...

სისველე მოედო მისი ტვინის გარშემო შემოკრული მძივის დანახშირებულ ბურთულას. უცბად განათდა (ბურთულა განახლდა, აღსდგა, ყვითლად შემოიმღვრა ხელახლა)... იგი უკვე რაფაზე იდგა; ყვითლუჭა ბიჭი მოეჩვენა, რომელმაც მომწყვდეული, ოდესღაც მოხეტიალე სიჩუმის შურისძიება იწინასწარმეტყველა...

შენობა დაზანზარდა, დაიძაგრა, კედლებიდან კენჭებმა იწყო ცვენა; შიშინა, რბილი მუქარა გაერთიანდა, დაგუბდა, დატრიალდა... ქუჩისკენ გამოენარცხა სარკმლის ფრთები და კაცის დონდლო სხეული გამოფრიალდა... სულგამოცლილი, მაღალჭერიანი, ბროლის ჭაღებიანი დიდი შენობა დაიზნიქა, ჩაწვა და მტვრიანი ზეიმით დაიჩუტა...

1975 წ.

# კვანძი

ჩემი მაჯლაჯუნა მუდამ თან რომ დამდევს და არ მასვენებს, დაჩეჩქვილი ეგდო. ჯიბე მოვისინჯე. კარდიამინის ამპულა მთელი იყო. მოვითენთე. დამფრთხალი ბაყაყისგან შემღვრეული გუბე გამიჩნდა აზროვნებაში. დამყაყებული სიმწვანის გემო ვიგრძენი. ნაადრევი ფერისცვალების ბაღში უდროო შემოდგომა იდგა. დაბეგვილი მაჯლაჯუნაც აქ მოეტანათ. ჩემი გარდაცვლილი მეგობარი იჯდა მასზე... მაჯლაჯუნა და მეგობარი დუმილით საუბრობდნენ.

აკიდოებითა და ვაშლის კალათებით იყო გამოჭედილი ვაგონი. როცა მესამედ დამაბიჯეს ფეხზე, - ამპულა მოვსინჯე ხელახლა. ჯიბრით ატაცებული, გაზეპირებული სიტყვები დაძვრებოდნენ ყურებში: „მე კარგად ვარ, მე ვმშვიდდები, მე დიდხანს ვიცოცხლებ“, თავდაყირა დარჭობილი იოგი წარმოვიდგინე, მაგრამ ვაგონის სუნის სხვაგვარად აღქმა მაინც ვერ შევძელი და იმათ შევაგინე, ვისაც ეს შეუძლია...

ბევრი ხალხი დარჩა ძეგვში. - სამჯერ გააჩერეს მატარებელი. სარკმელი ჩაამტვრიეს... სქელმა მამაკაცმა მოულოდნელად გაარღვია ერთმანეთს შეწებებული ადამიანების გროვა, ჩალეწილ ფანჯარას მიადგა და ღრმა სუთქვა დაიწყო. ჩემმა თითებმა უნებურად ჩაბღუჯეს ამპულა. პატარა შუშის სათავსსა და იმ კაცს შორის უფერული სითხის აბლაბუდა გაება, რომელზეც დაჭეჭყილი მაჯლაჯუნა იჯდა და იხლართებოდა. მაჯლაჯუნას დანახშირებული მზის სიმრგვალე ეჭირა ხელში და წონასწორობას მზით ინარჩუნებდა. სხივებით აჭრელებული, ნაკვერჩხლისფერი პერანგი ეცვა. მზის შუქის შეკრულა ცალკე ეჭირა. გამიკვირდა, როდესაც იქვე ის გომბეშო დავინახე, დასალევი წყალი რომ ამიმღვრია ნადირობისას...

სქელ კაცს მზერა მოეხრუკა, ჩაუსისხლიანდა და წითლად გამოეწვა. მე რომ მცემეს, ის ბიჭები მომაგონდნენ. სახე ამქავდა. მაშინ ჩამტვრეულ კბილს დავუწყე ძებნა ენის წვერით.

ხალხი ახორხორდა შეუძლოდ მყოფთან. წყალს ასხურებდნენ, თავ-პირში უტყაპუნებდნენ, ყურებს უგრეხდნენ, ბალანს აგლეჯდნენ, უნიავებდნენ. ამპულასა და კაცს შორის გაკიდული სიფრიფანა კავშირი გაწყდა. დავარდნილი მაჯლაჯუნა მუნჯურად აყმუვლდა - ჩემი ფერნაცვალი მეგობარი იჯდა ისევ.

მამაკაცმა როგორც იქნა თვალები გაახილა. ჩავაშტერდი. ორთავე თვალში თითო ობობა ჩაბუდებულიყო და ქინძისთავა მზერით ისუსხებოდნენ. გამაჟრიალა. თავწამტვრეული, ცარიელი ამპულა ჩავბღუჯე. ხელი გამეჭრა. წურბელასავით გაბერილი რაღაც დაიფუკა უცბად.

მატარებელი მიდიოდა. შეუძლოდ მყოფს წამალი დავალევინე. ექიმი ვეგონე ხალხს. სქელი კაცი მესაუბრებოდა და იმ გუბეში ჩაკიდული ხავსიანი სიხარული მიხაროდა, ბაყაყმა წყალი რომ ამიმღვრია ნადირობისას.

1974 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შემობრუნება

გამიკვირდა, - არასოდეს შემიმჩნევია რომ ერთდროულად მეტირა, ირონია გამჩროდა ყელში და ამეწონ-დამეწონა ტირილიც და ირონიაც...

წინა ღამით დავთვერი და ვარჯიშისას კინაღამ გავშეშდი, გავიფშიკე და გავხმი. ამიტომ მატარებელზე დამაგვიანდა და ლურჯი „ჟიგულით“ გავეშურე სამსახურისკენ.

შოფერი მოღრეცილი იჯდა საჭესთან. მანქანის რბილმა რწევამ nაირ-ნაირი ამბები ააგორა: აქ იყო დაღუპული მეგობრის მწვანე, დაჭეჭყილი მანქანა; მწვანედ აჭრილი რძის თეთრი ბოთლები; ცხენის მიერ დაკბენილი გოგონა, რომელსაც ვუყვარვარ; ზოოპარკის გალიის კუთხეში მიმჯდარი მამალი ჰამადრილი (მარტოობით დატანჯული მაიმუნი); პირღია, სუფრასთან მჯდარი მომღერალი მთვრალი მამაჩემი; სამმანეთიანები, რომლებიც წუხელ ჩავუთვალე ოფიციანტს; ჩემი ბავშვის ნედლი, რძიანია ღიმილი; უცნაური საცოდაობის გრძნობა ჩემი ნათესაობისა - ავადმყოფი დედა, პაპა, მკვნესავი ბაბო და ერთი დიდი, სიბნელის ძირიანი ორმო, თან რომ დამდევს დაბადებიდან...

მძღოლმა მაგნიტოფონი აახმიანა.- კლარნეტი, დოლი, დუდუკი, აკორდეონი, გარმონი (რომელიღაც დასტა) ხმაშეწყობილად უკრავდა. მუსიკა მძღოლის კუნთებში იშრიტებოდა სიამოვნებად. მუსიკოსები, ეტყობა, მაღალჭერიან ოთახში ისხდნენ. სიმღერა მოგუდული იყო და მკვდრის დამარხვის პროცესიას ახლდა.

იმ ორმოს, დაბადებიდან თან რომ დავათრევ, სუნი დაეცა, რამაც მეზობელი ბიჭის დამარხვა გამახსენა... მომინდა, ჩემი სახლი გამეყიდა, მყოლოდა მანქანა და უსასრულოდ მევლო უსაზღვრო შემოდგომის ტრამალებში. მჯეროდა, ეს რომ მომხდარიყო, ყიამყრალი ორმო დამავიწყდებოდა (თავიდან მომწყდებოდა) და განათდებოდა, მაგრამ ლურჯ „ჟიგულში“ ვიჯექი, მუსიკოსების დასტის ყუყუნს ვუსმენდი და ვდარდობდი სიცოცხლეშივე ჩემს გარდაცვალებაზე. თუმცა მთელ ამ არევ-დარევას, არავითარი კავშირი არ ჰქონდა იმ სამ რამესთან (ჩემში გაჩენილ გრძნობასთან, რომ ერთდროულად მეტირა, ირონიულად გამღიმებოდა და ამეწონ-დამეწონა ტირილიც და ირონიაც) კვლავ გლუვი მეტალის შეჭიდულობით რომ შეკავშირებულიყო ჩემში და მაოცებდა.

უფრო სწორად - უხილავის ხილვის ძლიერი სურვილი გაიჭედა ჩემი ხერხემლის მთავარ არხში, რომლის გამტარიანობაზეა დამოკიდებული ყოველგვარი ფეთქვა. ამ გრძნობის პარალელურად საკუთარი თავი წარმოვიდგინე უსასრულო, ცხელ ტრამალებში ჩამხმარ გოგრად, რომელსაც ჰიპლარის ნაკვალევიღა დარჩენოდა (სიტყვა „ჰიპლარის“ თქმა ჩემს მეგობარს უყვარდა, რომელიც ხაშურში მწვანე „ჟიგულით“ შეასკდა სატვირთო მანქანას)...

მანქანა ირწეოდა. ბიჭი და გოგო ისხდნენ უკან და მათთვის არ არსებობდა არც არარაობა, არც ნაღველი, არც ტრამალების მოთქმა... ისე, რომ მარტოდ ვდარდობდი... - არადა, სიცოცხლე მიხაროდა; მიკვირდა - როგორ შეიძლებოდა, ერთდროულად მდომოდა სამი სხვადასხვა რამ: გამეყიდა ჩემი სახლი, მყოლოდა მანქანა, მევლო უსასრულოდ უსაზღვრო შემოდგომის ტრამალებში...

მედუდუკეთა ოხვრამ („შენ რა იცი, მეგობარო, მე როგორი ნატანჯი ვარ, მე ვარ დარდი, დარდი, დარდიიიიი!...“) გამაღიზიანა და მარცხენა ხელი კინაღამ დამისხლტა. ალბათ, გავარტყამდი მძღოლს, უკან მსხდომი ბიჭი და გოგო რომ არა. - როცა აუტანელი შეიქმნა შენელებული დოყლაპია მამაკაცის (მომღერლის) ხმა („სიზმრად ვნახევიეიეიე, საიათნიოიოვაიაიაი!...“), უსასრულობის გამგებელი ჰაეროვანი მოხაზულობა აღვიქვი. ძალა მოვიკრიბე, გონება ჯერ მუშტად მოვკუმშე, მერე უმცირეს გუნდად ვაქციე, დავაგორგოლე და გულისკენ მივმართე... ეს უნდა დამხმარებოდა იმაში, რომ მედუდუკეთა მოთქმა მომწონებოდა, შემყვარებოდა და მცირე, სულდგმულური (კბილებდაკრეჭილი და ცრემლიანი) მხიარულება შემეძინა, მაგრამ ვერ შევძელი. ამიტომაც, აგუნდავებული გონების გორგოლა უნდა დაშლილიყო, ძველ სამყოფელს დაბრუნებოდა... ეს არ მოხდა, - გონება პატარა შეკვრად დარჩა. ჩემი სხეულის ნაწილები აჩხაკუნდნენ, ვიღაცა ამიყვირდა და ჯახუნმა შემაძაგძაგა...

დავინახე, ჩემი მარჯვენა საფეთქლიდან როგორ გადმოვარდა აგორგოლავებული გონების წითელი შეკრულა...

არაფერი მტკიოდა. მიდამო, რომელიც ისევ ჯახუნებდა, მიხაროდა (მიდამო მიხაროდა). მსუბუქად მივაბიჯებდი და იმ ხელს, რომელიც კინაღამ გამისხლტა ხელიდან, ჩვარივით მივაკონწიალებდი.;..

დოინჯშემოყრილი მძღოლი გაგლეჯილ „ჟიგულთან“ იდგა და იგინებოდა. უკან მსხვდომი გოგო და ბიჭი დაიხოცნენ. მძღოლიც მალე წაიქცა, სისხლის ყვავილები დაასხდნენ ტუჩებზე.

ჩემს შიგნიდან მომესმოდა ჩალეწილი ძვლების ხრაშუნი და მიკვირდა, როგორ შეიძლებოდა, ეხრაშუნათ ძვლებს და სატკივარი არსად ყოფილიყო...

ასფალტი ღვიოდა და ერთი პატარა, მრგვალი ბურთულა მიგორავდა დაღმა. „ეს ბურთულა ჩემი გონებაა, რომელიც გამექცა...“

ჩავიჩოქე, ვეღარ ავდექი, მხარი ავითრიე. დაჭმუჭნილ „ჟიგულთან“ მივფორთხდი, საიდანაც ისევ მოისმოდა სიმღერა („არა, ვარდებს აღარ ვუმზეეიეიერ!..“). მაგნიტოფონი უვნებლად გადარჩენილიყო. რკინის ნაჭერი ავიღე და ჩავცხე სიმღერას...

უკიდეგანოდ ბნელი ორმოს სიჩუმემ დაისადგურა. როცა ასფალტზე წითელი ბურთულა გამოგორდა, მომიახლოვდა და ჩემში ჩაინთქა, მძიმე ჯახუნმა ხელმეორედ შემაძაგძაგა. წითელი „ჟიგული“ გალურჯდა, დასისხლიანებული ბიჭი, გოგო, მძღოლი განცალკევდნენ და აშკარად დავინახე სამი სხვადასხვა გარდაცვალება...

ახლა უკვე აღარ მინდოდა სახლის გაყიდვა, მანქანის შეძენა და სრბოლა უსასრულო შემოდგომის უსაზღვრო ტრამალებში...

1975 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სექტემბერი

## (მწვანე აბლაბუდა)

კედელთან ვიჯექი, კუთხის ქიმმა მზის შუქი ჩამოჭრა და მკერდის ნახევარზე დამეცა. მარცხენა მხარე გამითბა. შემეშინდა - განათებული და ჩრდილდაცემული ნაწილები განზე არ წავიდნენ-მეთქი. ადგილი მოვინაცვლე. კედლის კუთხეს შევხედე; ხოჭოს მსგავსი მწვანე მწერი მიცოცავზდა წიბოზე. - ყვითელი ფერი დასთამაშებდა სხეულის ნახევარზე. მზედაცემული კედლის წიბო ახლა პაწაწა არსების გზად იქცა. მკერდის გახლეჩისა ცოტახანს მეშინოდა კიდევ. მერე თვითმფრინავმა გადაუფრინა სახლს, - სავარძლებში მოკალათებული ადამიანები წარმოვიდგინე და დავმშვიდდი.

მწერი აღარა სჩანდა კედელზე. დაღამებულიყო. სკოლის შენობა და ასტრონომიის გაკვეთილი მომაგონდა. - სამკუთხედებით, ასოებით აღნიშნული განზომილებებით, დაუმთავრებელ წინადადებათა ნარჩენებით: „მზე გადაიხარა...“, „მზე ჩავიდა...“, „დიდი დათვის თანავარსკვლავედი...“ „ხილული მარყუჟი...“ „უკუსვლითი მოძრაობით აღწერს...“, „პირდაპირი მოძრაობით გადადის ქალწულის თანავარსკვლავედში...“, „დედამიწა... ღერძი... ბრუნავს...“

დაღამდა და ხოჭო გაქრა. ონკანთან მივედი ხელების დასაბანად. ამ წუთში მხოლოდ ხელებს ვიბანდი და ამისთვის ვარსებობდი. ძარღვებდაბერილ ხელის მტევნებს ცივი წყალი ელამუნებოდა კიდურებიდან წამოსული სიგრილე მკერდში იყრიდა თავს...

ყვითელი ფოთოლივით დავბერდი თითქოს, შევმსუბუქდი კიდეც... თუმცა არაფერს მაინც ვერ მოვწყდი. მერე რომელიღაც ფილოსოფოსის დაბოღმილი სახე წარმომესახა. - წიგნიც გამახსენდა, მისი სუნი და ფერი აღვიქვი. უცებ ღამის ვეებერთელა, მსუბუქი ხელის მოახლოება ვიგრძენი. ჟრუანტელით შეკრული ნაკადი აიძრა კისრიდან ქვემოთ, წელთან გაორდა და ქუსლებიდან მიწაში ჩაიკარგა. დედამიწიდან შორეთში წასვლისა შემეშინდა და შინ შევსხლტი...

მომშივნოდა. ნელა ვჭამდი. ლუკმა ყელზე დამადგა ფილმში ნანახი მათხოვრის გარეგნობა ამებლანდა თვალებში, შიგნით შეაღწია, დატრიალდა, რაღაც შეიძინა, რაღაცა ჩამოიტოვა, დაბლა დაუყვა, ღრძილებში გაიშალა და კრიჭა შემიკრა. პრიალა კოვზი თითებში შეყოვნდა. კოვზში არეკლილ ჩემს თავს დავაცქერდი. რაღაცამ ჩამჩხვლიტა მუხლისთავზე. დავხედე - კატა ორთავ ფეხზე იდგა. პურის გული დავუგდე; პრიალა კოვზი კერძში ჩაეშვა - გაქრა ჩემი სახე...

თვალდახუჭული ვიწექი. იმას, რასაც ვუმზერდი, ღამეს - შიშში აზელილ გაუგებრობას უხმობენ... თვალებში ჩამდგარი სიბნელის ბოლო კედელი თეთრი იყო და თვალნათლივ სჩანდა. უცბად შორს გაქანდა კედელი, ისე შორს, რომ სითეთრე სიბნელის გაუგებრობად იქცა და ყველაფერი, რაც ვიგრძენი, ძილივით დარბილდა. ახლა იმ ბოლო წერტილსა და თვალის გუგას შუა უშველებელი, ბლანტად აძრული ღამეული სიცარიელე ჩაეკიდა. უამრავი ნაცნობი და უცნობი რამ დატრიალდა შიგნით:

ბიჭებმა ბავშვს ბურთი მოარტყეს ცხვირში და თავპირი დაუსისხლიანეს; ბიჭები გაიქცნენ, კედლის კუთხიდან დაუწყეს თვალთვალი; ბურთი ბუჩქთან ეგდო, - ნიავი აქანავებდა. ჭიანჭველები მიმოდიოდნენ იქვე. ბურთმა გაწყვიტა შორს გაკიდული წვრილი, ჭიანჭველების შავი ძეწკვი. - მწერები აირივნენ, აჩქარდნენ; ბოლოს ბურთის გვერდით გაიღუნა მათი გზა და მათი არევ-დარევა დალაგდა. ბალღი დიდხანს ბღაოდა. დაწყნარდა თუ არა, წამსვე იქით გაიხედა, საითკენაც ბიჭები მიიმალნენ. აღარავინ სჩანდა. - ბურთს მიუახლოვდა, მძლავრად ამოჰკრა ფეხი. ბურთი გაფრინდა, შუშები ჩალეწა პირველ სართულზე. ბიჭს აღარ დაუნახავს დაჭრილი, დაჩუტული ბურთი, რომელიც სარკმლიდან გამოსტყორცნა ვიღაცის ხელმა.

უკანასკნელი შეხვედრა... სტუმრებს ვაცილებდით ადრეულ რეისზე. მეგობრის ავტომობილს გავხედე. ამეკვიატა - რაღა მაინცადამაინც მწვანეა-მეთქი. ტალახის წინწკლებით მოქარგულიყო მანქანაზე დაღვრილი სიმწვანე. სწორედ ეს ფერი შევნიშნე მეგობრის გამოხედვაში და თეთრი ყვავილების მწვანე ჭირხლი ვიგრძენი. რეისის ნომერი გამოაცხადეს. - ხალხი გასასვლელს მიაწყდა...

ჩვენი სტუმრები გაფრინდნენ. თვითმფრინავის გრუხუნი მცირე ხანს ისმოდა... ავტომობილში ჩავსხედით. მოტორზე გავბრაზდი - რაღაც საეჭვოდ, ჩუმად, მოღალატესავით თრთის. რა უნდა, მანქანა წვიმის გუბეებს ფანტავდა. ძველ ტალახს ახალი ეკვროდა. ესეც ნერვებს მიშლიდა.

შემხვედრი მანქანები ნათურებს აქრობდნენ ხანგამოშვებით და ჭრელ-ჭრულა ოდესღაც ნანახ ამბებს მაგონებდნენ. სედუქსენის აბი გადავყლაპე. ფრჩხილებზე დავიხედე, - მოლურჯო-მწვანე ფერით მიღვიოდა ნუნები. სუნთქვა შემეკრა... მაღაზიასთან შევჩერდით. აჭრილი რძე იყიდა. ნეტავ, რად უნდა? არაფრის მაქნისმა ფიქრთა ხრჩოლვამ უფრო გამაბრაზა. მწვანე მანქანა, სამი ბოთლი აჭრილი რძე, ქათქათა აბი მწვანე ტალახი, მწვანე თვალები...

დავიძარით. მწვანე რძის თეთრი ბოთლები ერთმანეთს ეხლებოდა და წკარუნებდა. ჩემში ჩახვეული შიშის მიღმა ერთი საშინელების დასკვნა ბრუნავდა. იგი ჩემში იყო, მაგრამ იქითაც თრთოდა, საითაც მწვანედ გაფოთლილი ხეებია...

ბრუნვაში, რომელმაც ჩამითრია - ვიღაცა კუნძს აპობდა და ნაფოტები ცვიოდა იქით, საითაც გზები მთავრდება... მოწითალო ფერის ტკივილი მოედო ხავსიან კუნძს, რომლის იქით სისხლიანი ნაფოტები დაჰქროდნენ...

დავინახე, წითელ კუნძთან მწვანე კაცი ეგდო და ცული ეჭირა ხელში. მწვანე რძით სავსე მწვანე ბოთლები წკარუნებდნენ და თეთრი ბალახის თიბვის სიმღერას მღეროდნენ: ძილის წინა შიში, აჩემებული ძებნა წყაროს საწყისის. ბორბალა მანქანები, რკინა, ძვლები და გაწითლებულ ფერთა ჩვენება. ზმანება ფესვთა მსგავსი მწვანე აჩრდილების, ყელში წაჭერილი ღამის თითები და სულზე ანთებული გათენება. სახარა-

ტო დაზგაში ჩათრეული სულის ტეხა-ოხვრა დუმილის, კატასტროფა - ტროლეიბუსი, სისხლგაგლესილი საბურავი, გაჭყლეტილი ძაღლის წკმუილი; სიმწვანეში ჩავერცხლილი პარკი, დახლართული ბილიკები, წითლად მოფანტული ფხვნილი აგურის. ჩამტვრეულ გიტარაში ჩამხრჩვალი სიჩუმის კაკაფონია - ჩატეხილი სიმღერა, დარდი ფარული. ღამე რომ გაშინებს შენივ თავი და საკუთარ ხელთა შეძლება - ეს რა არის? მწვანე კითხვა? მიპასუხე, გეკითხები: - სად ვართ ჩაბმული? ან რატომა ვართ? და, თუ არა ვართ, მაშინ მითხარი, - ყოველივეს წასვლა და მოსვლა, უწყვეტელი ჯაჭვი გაბმული, ერთხელ აღძრული, გაგრძელდება, ნეტავ, სადამდის?..

თვალებში ჩამდგარი სიბნელის ბოლო, თეთრი კედელი გუგისკენ გამოქანდა უეცრად, დაიჩახუნა, მთლიანობა განათდა - წვრილად დაიფხვნა...

წარსულის გახსენება მამშვიდებს, - ცუდი ნიშანია, ცივა. სარკმლის შუშაზე გაყინული ქარი აკაკუნებს და იმ ჭიანჭველების ჯაჭვისა მეშინია, ბალღის დარტყმულმა ბურთმა რომ გაწყვიტა... ჩემივე ხელის მტევანმა კინაღამ გამგუდა. წნელივით დამგრიხეს, მკერდზე, მარცხენა მხარეს, საბერველი გააჩაღეს თეთრმა ჭინკებმა და მწვანე ცეცხლის გარშემო დაიკვლანჭნენ... საკუთარმა ხელმა გამაცოფა. - ხელი დავავლე და ვუკბინე. ჩემი ხელი კინაღამ შემწვარი სიმინდის ტაროსავით შემომეჭამა... ცივა, ჭუჭრუტანებში ქარი მღერის ყინულის გამჭვირვალე სიმღერას... ნეტავ, ხუთი წლისა ვიყო. აუტანელია საკუთარი თავიდან გამოსვლა და შენივე სხეულის უკან ჩანჩალი... ცივა, ქარმა ოთხი თითი ჩადო სარკმელში და, როგორც ბავშვობაში ვიცოდით, - მძლავრად ჩაბერა. არადა, სტვენა არ ვიცოდი პატარაობისას... ქარი. ცივა. მეშინია. არაფრიდან იწყება ყოველივე. ადრე გამთენიის სიმხურვალე მათბობდა, ახლა ისიც გამეყინა. ყველაფერი გაუგებრობა ადრე, ვიცოდი, მეგონია, მაგრამ როდის ვიცოდი - ვეღარ მოვიგონე; ყოველივე მეგობრის დაღუპვის წინათგრძნობისა... ხაშურთან... ხაშურთან... მწვანე ავტომანქანა ხვლიკებზე აცურდა... თეთრმა ობობამ მწვანე აბლაბუდის მოწვნა გაასრულა...

**1974 წ.**

# მარადიული ზამთრის ქალაქი

*ეს მოთხრობა თითქმის 20 წლის წინ დაიწერა, 1974 წელს.*

*ჩემს სხვა მოთხრობებთან ერთად მრავალჯერ მიმიტანია ამა თუ იმ რედაქციაში, მაგრამ არავინ დაბეჭდა...*

*ამისი მიზეზი ვასაგები იქნება, როცა მას ბოლომდე წაიკითხავთ... ამ რამდენიმე წლის წინ ასტატიევმა რომ გავვლანძღა, ვიფიქრე - ახლა მაინც დამიბეჭდავენ-მეთქი, მაგრამ ვერავინ „გაბედა" მისი გამომზეურება...1989 წლიდან, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმასვლამ ეს მოთხრობა მიმავიწყა.*

*იმ შავბნელმა დღეებმა, 1991 წლის 22 დეკემბერს რომ დაიწყო, იმან, რაც შემდგომ მოხდა და ხდება, - კვლავ გამახსენა, მოვძებნე და კიდევ ერთხელ გადავიკითხე.*

*გადავიკითხე და მივხვდი: ამ მოთხრობის დაბეჭდვა დღესაც სამწუხაროდ, შეუძლებელია!*

*რატომ?*

*იმიტომ, რომ „დიდ ძმას", რუსს, იქნებ, ეწყინოს, იქნებ, წარბი აგვიწიონ, ყური ჩამოგვაგლიჯონ; იქნებ, მანეთიანები და აბაზიანები აღარ მოგვცენ! ვაითუ ჯარი, „ძლევამოსილი ჩვენი მარჩენალ-გადამრჩენელი წითელი არმია" გაიყვანონ და „უპატრონოდ" დაგვტოვონ" ანდა უარესსაც შეიძლება შეგვყარონ, - საჭმელ-სასმელ-სათქვლეფ-სალაფავ-ჩასახეთქს აღარ მოგვცემენ და შიმშილით ამოგვწყვეტენ!*

*მარადიული ბნელეთი დასწოლია საქართველოს.*

*წლევანდელი თოვლიანი თბილისი, „აქტიური, ვევმიური შრომითი ფერხულით და აქტივის ენთუზიაზმით, სოციალისტური შეჯიბრებებისა თუ შემხვედრი გეგმების მიხედვით" შესძლეს და დაამსგავსეს იმ „მარადიული ზამთრის ქალაქს", რომელზედაც ეს მოთხრობა დაიწერა.*

*თვით მოქალაქეების უდიდესი ნაწილი დაამსგავსეს „მარადიული ზამთრის ქალაქის" იმ მაცხოვრებლებს, ავტომატის სროლის ხმა-კაკანი პოეზიად რომ ეჩვენებათ!*

ეზოში დიდი თოვლი იდო. ისე ციოდა, ადამიანები დაცუნცულებდნენ... ქარბუქმა ღამით ნახევრამდე წანამქრა აზიური ფეხსალაგები... კაცებს დიდი, თვითნაკეთი ნიჩბები ეკავათ, იდგნენ და საუბრობდნენ:

- ამნაირი ტიალი ამინდი ასი წელიწადია არ ყოფილა ჩვენში...
- ამ ჩვენს დედაკაცებს რომ ჰკითხო...
- მაგათ ბევრი რამ იციან და უნდა დავუჯეროთ...
- მართალი ხარ... ეგენი რომ არ იყვნენ, ბავშვები დაგვეხოცებოდნენ, ჩვენ კი მთელ სახლ-კარს გავანიავებდით... შეიძლება სამშობლოც მიგვეყოლებინა...
- რომ არ იყოს ჩვენი რუსი ქალი ამქვეყნად, ყველაფერს არაყის მდინარეებს გავაყოლებდით...
- რუსი დედაკაცი განუმეორებელია მთელ ქვეყანაზე... მსოფლიოს ეგენი ატრიალებენ!
- რა დროს ეგენია... ახლა თითო ჭიქა არ გვაწყენდა...
- ამინდიც სამაგისოა... ზამთარია... ერთადერთია და საყვარელი!
- ოჰ-ოჰ... მერე ყინვას როგორ უხდება...
- მაგრამ... ჯერ თერთმეტი საათი არ შესრულებულა! მაღაზიას ჩვენთვის ვინ გააღებს?
- ეგ ჩემზე იყოს...
- პეწიას ხომ არ მივუკაკუნოთ?..
- ეგეთი წუნარი კაცი ჯერ არსად მინახავს...
- წავიდეს მაგისი!
- ასი წელიწადი უნდა იცოცხლოს, არა?
- ვერ მივართვი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

- თავისი ცალი თვალითა და ფრონტით წაიღო ყურები... იქ სხვებიც იყვნენ, მაგრამ...
- აბა, აბა, დიდ სამამულო ომზე ცუდი არაფერი გამაგონოთ!
- ჩვენ სხვები ვართ...
- პეწია დედაკაცს ჯამაგირს არ აბარებს...
- ვინ გითხრა?
- თქვეს.
- მაინც?
- არის ერთი...
- ტყუილია...
- აბარებს?
- არა?
- მგონი, უცოლოა... ტყუილად კინკლაობთ.
- ბიჭოს? ორმოცი წელიწადია, ერთ ეზოში ვცხოვრობთ... ჩვენი პაპებიც აქ დაიზარდნენ და... უყურე შენ!
- მორჩით... რა დროს პაპებია!.. შენ რამდენი გაქვს?
- ორი მანეთი.
- მეც მოვიძიებ...
- აბა ერთი, მომაწევინე!..
- რა სიგარეტია?
- „ტუ 132" - სულ ფრენს...
- ეგ არ ვარგა... თან ძვირია... „ბელომორ-კანალს", „პრიმას" და „პამირს" ვეწევი... ჩვენი მშობლიური რუსული თამბაქო სულ სხვაა!
- მაშ, არ მოსწევ?
- მოიტა... რას იზამ, როცა ჩვენი, - კრასნოდარისა არ არის?!
- რამდენი გრადუსი იქნება?
- ორმოცამდე...
- თხუთმეტია... სინესტეა და ამიტომ გგონიათ ორმოცი...
- ახლავე გავარკვევ!
- რამდენია?
- ოცდახუთი.
- ამ დროს ბავშვებმა, მგონი, არც უნდა ისწავლონ სკოლაში...
- წესით ხომ, მაგრამ... რა დროს ეგენია, მგონი, თერთმეტი შესრულდა...
- არა...
- როგორ თუ არა!
- თუ ასე გსურს, თერთმეტია...
- მომეცი ეგ ფული...
- ინსტრუმენტი გვაქვს თუ არა?
- რაიო?
- ინსტრუმენტი!
- ბაიანი?
- არა... ჭიქა... რა უცოდინარი ვინმე ხარ... ორმოდან როდის უნდა ამოხვიდე?
- ძალზე ჩამორჩით!
- აჰა... რამდენ ინსტრუმენტზეა საუბარი?..
- ხა-ხა-ხა! ინსტრუმენტი...
- ჭიქა!
- ვაშა! ჭიქა-ინსტრუმენტი!

ქუჩიდან ავტომობილის სიგნალის ხმა მოისმა. კაცებმა ნიჩბები ფრთხილად, კოხტად მიალაგეს მესერზე, ქუჩისკენ არც გაუხედავთ, მსჯელობა განაგრძეს:
- „ვოლგის" სიგნალია...
- არა, „პობედა" იყო...
- შტერო, „პობედას" აღარ უშვებენ...
- თორემ „ვოლგას" ხომ აბულბულებენ...
- რაო, „ვოლგაც" შეწყვიტეს?..
- გააჩნია, რომელზეა საუბარი...
- სხვადასხვაც არსებობს?
- შენ რამდენი განათლება გაკლია... მგონი, „უიგულის" სიგნალის ხმა იყო...
- უიგულიევსკის-თქო... როდის იყო, ლუდს სიგნალი გააჩნდა?
- დედა , რა ჩამორჩენილები ხართ... ჩვენში ახლა გამოდის ახალი სერიის სატვირთო ავტომანქანები, რომელთა სახელია „უიგული".
- ალბათ, ეგრეა... შენ ნავალი კაცი ხარ... საიდან იცი მაგდენი?
- ეეჰ! ცხოვრება რას არ გასწავლის... მოდი, ავიღოთ ნიჩბები...
- არიქა, მარუსია!
- ჭიქა გააქრეთ!..
- თუ ინსტრუმენტი?..
- ინსტრუმენტი!
- ნუ გეშინიათ, არ იტყვის...
- მართლა?
- მაშინ...
- ვითომ რატომ?
- მაგასაც უყვარს!
- ხუხავს?
- აუჰ!
- ჩუმჩუმელაა?
- მთელი ქალაქი...
- რას ამბობ?
- ჭორფლიანი კოლია იცი?
- მწვანე „მოსკვიჩი" რომ ჰყავდა?
- ჰო... იმისი ნაცოლარია...
- ვაა?
- ეჰ, ვის ხელში არ...
- ძველია?
- მერე როგორი...
- შებერტყილიც იქნება!
- აუჰ!
- მორჩით... შეაგროვეთ?
- რამდენია?
- თუმანი!
- ორი ბოთლი გვეყოფა... დანარჩენი მუშაობის შემდეგ...
- მართალია... სირცხვილია!
- როგორ უბერავს...
- ჰო, ცივა... დიდებულად ცივა!
- ოცდახუთია?
- ოცდახუთია, მაშ, ვენაცვალე, საკვერცხეებზე მილიტინებს!
- გიფხუწავს?
- ვენაცვალე ზამთარს, როცა ცივა, ადამიანად მხოლოდ მაშინ ვგრძნობ თავს...
- სიცივის გარეშე მამაკაცობას კარგავს ადამიანი!
- იმიტომ არის, სამხრეთში პედერასტობა რომ უფრო გავრცელდა!
- ამას წინათ რამდენი იყო?
- ორმოცდაშვიდი!
- ოჰოჰოჰო!..
- სტიოპა მართალია, სითბო და ზაფხული მეზიზღება... სამხრეთის დედაც...
- ბიჭებო, სამხრეთის დედაც... მაგრამ ნუ გავიწყდებათ, მაინც ჩვენი ქვეყანაა, სამშობლოა!
- გასტრონომთან არაყი გაგვეყინა... რა დროს ქვეყანაა! სამშობლოს დედაც!..
- რას ამბობ?!
- მაშ!
- ეგ როგორ?
- როგორ ჩამორჩენილხარ... არაყი რამდენგრადუსიანია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

- მგონი ორმოცდაათი...
- ხა-ხა-ხა-ხა!
- ოცდაათი წელიწადია, სვამს და არ იცის! ხა-ხა-ხა-ხა!
- თქვი! მერე რა მოხდა?
- ორმოცი გრადუსია...
- დანამდვილებით იცი?
- ორმოცდახუთზე მეტი მაინც არ იქნება...
- მაშ, ბოთლში გაიყინა?
- ბოთლში!
- ეს რა უბედურებაა! კაცი ყველაფერს უძლებს...
- შენ რას იცრემლები?
- ჩვენი ცხოვრება რომ წამია... სატირალია, აბა, რა?
- ჰოდა, ორმოცდაშვიდ გრადუსში თურმე ოცდახუთი კაცი ვსიუტ!
- ვსიუტ? ეგ როგორ?
წაასტვინეს!
- მაშ, მაშ! მიქელ-გაბრიელმა იცის თავის საქმე!
- მერე რა ჩინებულად ასრულებს თავის მოვალეობას.
- გადაიწერეთ პირჯვარი!
- ფუი ეშმაკს! რეებზე ლაპარაკობთ!
- ვითომ ოცდახუთ კაცზე მეტი არ იყო?
- ალბათ, არ იყო!
- რას გაიგებ?
- გაუგებარი არაფერია!
- მარუსია, გამარჯობა!
- გაგიმარჯოთ!
- ცივა, ხო?
- ცივა!
- რა უშველის ამ გასაჭირს?
- ასი გრამი ვითომ?
- რა თქმა უნდა, ასი გრამი, ჩვენო უსათნოესო მარუსია!
- მერე? რას ვუცდით?
- ჯერ ადრეა! რას იზამ!
- მე ვიკისრებ! ვალოდიას ცოლი უიდის!
- ბარაქალა შენს ქალობას!
- აბა, ბიჭებო, ნიჩბები ავიღოთ და დავიწყოთ!
- ერთი!
- ორი!
- და!..
- სამიი!

კაცები დაბორიალდნენ. ნიჩბები გაიქნ-გამოიქნიეს, თოვლის ბუქი დააყენეს, ცოლები და შვილები წანამქრული სახლის სარკმელებიდან იცქირებოდნენ და ოჯახის მამების, - უფროსების შრომას ადევნებდნენ თვალს... ყინულს ასუფთავებდნენ თოვლისგან.. ყინულს ასუფთავებდნენ!

მოულოდნელად ყველა ერთ ადგილზე გაშეშდა:
- საყვირის ხმაა?
- ჰო.
- რომელი ქარხნისაა?
- ზუსტი ხელსაწყოების!
- რომელი საათია?
- ალბათ, თორმეტი!
- შევისვენოთ!
- შევისვენოთ!
- გავაბოლოთ!
- უპრიანია!..
- თან რა სასიამოვნოთ ცივა! ახლაა კარგი!

დაისვენეს, მოწიეს, გააბოლევს და, ის იყო, შეუდგნენ ეზოს წმენდას, რომ მეზობელი სახლების გადაღმიდან ავტომატის კაკანი მოისმა. ნიჩბები დაყარეს... ათეულობით ავტომატიდან ისროდნენ დღისით, მზისით, როცა ასე ჰყინავდა, თანაც შუა ქალაქში... ყველამ ჰიშკარს მიაშურა... ქუჩის გადაღმა, სუვოროვის ყოფილი სასწავლებლის დალეწილ შენობაში, გახურებული სროლა იყო. რუხი კვამლი ამოდიოდა და ყინვით გამოსარკულ ჰაერში მიცურავდა.

კაცები შემობრუნდნენ. სიგარეტი გააბოლეს, ახითხითდნენ:
- მანევრებია...
- მეც არა ვთქვი?..
- ნეტავ, რომელი ქარხნიდან არიან?
- მგონი, „საფოსტო ყუთია“...
- რაღაც არ მგონია!
- ისე კი, ჩვენ რა...
- როგორ თუ რა?
- სწორია... უნდა გვკითხონ...
- ბავშვებია, დედაკაცებია...
- შენ ვის დაჰკარგვიხარ?
- შენ ემხრობი ამგვარ ღონისძიებას?
- დიახ!
- რახან ეგრეა, ეგრე იყოს!
- სასეირო კია!..
- და-და-და-და! რა ლამაზად კაკანებს!
- ეეჰ! ეს რა არის! იქით, ბელორუსიის ტყეებში გენახა!
- ან ქერჩში... ნუღარ იტყვი, რომ მომაგონდება, სიამოვნებით ჟრუანტელი მივლის. უნდა გავიხსენოთ, რომ ყველამ იცოდეს!
- არის ავტომატის კაკანში რაღაც პოეტური!
- ეჰ! ლენინგრადისკენ რომ წამოვიდნენ!..
- შენ ისევ იცრემლევბი?
- ლენინგრადში გვენახა, მთელი თვე არ დაღამებულა!..
- ეეხ!
- არ უნდა დავივიწყოთ სწორედ ამიტომ...
- მართალია... ის აღარ უნდა გამეორდეს!
- რატო?..
- გამეორდება და ბევრ რამესაც წაიღებენ...
- მართალია, დედას ვუტირებთ!
- კბილებს ამოვუნაყავთ!
- დავამსხვრევთ!
- ღმერთი ჩვენკენ იქნება!
- სიმართლე გაიმარჯვებს!
- არიქა მარუსია მოდის!
- ჰოო! ეგ უკვე ნაღდი საქმეა! თორემ გამეორება ყველაფრისა შეიძლება...
- იმათაც ახლა მოუნდათ სროლა!
- გაჩუმდი... ისროლონ, მე მომწონს!
- თავი გაანებე! ყველას თავისი საქმე აბარია... მეც მსიამოვნებს!
- სწორია. როგორც ჩანს, საჭიროა! მართლაც პოეზიაა!
- მე, მაგალითად, მსიამოვნებს, არის ტყვიის კაკანში რაღაცაა მომხიბვლელი!
- მორჩა და გათავდა!
- კეისარს კეისრისა!
- უთუოდ!
- მარიამ ქალო, როგორაა საქმე?
- ჩვენ რომ გვსურს!
- აგაშენა ღმერთმა!
- ეეჰ, საწყალი ჩემი ანტონა...
- კარგი, გეყოფა, მარიამ, ნუ ნაღვლობ, მაგითი რას უშველი? ან ვისი ბრალი იყო.? თავისი და ისევ თავისი! უთხრეს არ დალიოო. მაინც დალია და...
- ეეჰ, მართლაც რომ...

- გეყოფათ, აქეთ მოდით!

კუთხეში თოვლის მწვერვალი მოტკეპნეს, არაყის ორი ბოთლი, პური, ძეხვი, ყველი დააწყვეს.

- რა გინდა, ძმაო, რა!

- იქით, დასავლეთში, ამის გემოსა და სილამაზეს ვინმე გაიგებს?

- დასავლეთის დედაც, სამხრეთისაც, აღმოსავლეთისაც... გაუმარჯოს ჩრდილოეთს!

- აი, პურ-მარილი! რა დროს სამხრეთ-დასავლეთია, მაგათი!..

- ეს უფრო წაგვადგება!

- რა სჯობს ასეთ ამინდში!

- მხოლოდ ჩვენ წაგვადგება... მხოლოდ ჩვენ!

- ახლა ზოგიერთი კაბინეტში იხრჩობა!

- დღეს კვირაა!

- ხვალ ხომ გამოიხრჩობა?

- ერთი მაგათი დედაც!

- არა ხართ მართალი, ყველას თავისი საქმე აბარია!

- სწორია!

- ჩამოასხი შენა!

- რა დროს ფილოსოფოსობაა?

- მაგას ბევრი ლაპარაკი უყვარს... იმიტომ არ მინდა ხოლმე მაგასთან დალევა!

- თან საქმე? ბიჭებო!

- თან საქმე!

- მართალია - თან საქმე!

- ჯერ მარიამ ქალს მიაწოდეთ!

- მართალია, აბა, ერთხმად... უპრიანია!

მალე აჩურჩულდნენ. ორი ბოთლი გამოწურეს, ცარიელები თოვლში თავდაყირა ჩაარჭვეს, შინისკენ მიმავალ მარუსიას გახედეს და ოხვრას მოჰყვნენ:

- ქალი!..

- კარგი ქალი!

- ბედნიერებაა კარგი ქალი!

- ქალია, რაც არის!

- ეეხ, ქალი...

- ქალი!

- ქალებს რომ ჰკითხო...

- ჰო, არ გვაფასებთო!

- მიდი იქით თუ ძმა ხარ! რა არის ქალი?

- ქალი? ქალი... ქალი ქალია!

- სწორია!

- ახლა მაგათ ჰკითხეთ!

- რა უნდა ჰკითხო თუ ძმა ხარ... ყველას გვაქვს ის ბედნიერება, ვიცოდეთ, რა არის ქალი...

- სინამდვილეში, კარგად რომ ჩაუფიქრდე, რა არის ქალი?

- სწორია!

- რა არის ქალი?.. დილით ადგება, კოხტაობს...

- ვისთვის და რატომ?

- რა ვიცით!..

- ვითომ ჩვენთვის, ქმრებისთვის კოხტაობენ?

- რაღაც არა მგონია...

- მართალია... დილით ადრე დგება, სადმე წავა, ვინმეს გაიცნობს, დალევს, იცეკვებს...

- ქალის დედაც!

- ერიჰაა!

- შენ ვის აგინებ?

- ქალებს!

- შენ წელან ვერ გაიგე, ჩვენი ქალი რომ არ იყოს, ქვეყანას არაყის მდინარეებს გავაყოლებდითო?

- თუ დავლევდითო?

- ეგ ყველამ იცის...

- ცნობილია...

- ქალი ციხესიმაგრეა, რომელიც იმიტომ შენდება, რომ მომხდურს დაუხვდეს...

- სწორია!

- ქალი მუდამ უნდა დახვდეს და ამას, სამწუხაროდ, უნდა შევეგუოთ...

- ქალი ციხეაო, ეს მართალია, ჭეშმარიტებაა... ბოლოს კი ლოგიკურია, ნანგრევებად იქცეს...

- ეგ იმიტომ, რომ ციხე ისევ შეაკეთონ, მოუარონ და ახალი მომხდურის მოლოდინში გაყუჩდეს...

კაცებმა ნიჩბებს დაავლეს ხელი. უფრო მონდომებით, სიხარულით, შემახილებით მუშაობდნენ... ეზო თანდათან მართლაც რომ გაკოხტავდა. ბავშვებიც გამოჩნდნენ... სახლების მიღმიდან კვლავ ისმოდა ავტომატების ხმა...

კაცები ხელახლა შეგროვდნენ კუთხეში...

- საერთოდ ლამაზია ეს ცხოვრება!..

- ლამაზია!

- სწორია!

- თანაც რა ლამაზიაა!

- მე, მაგალითად, ავტომატის სროლის ხმის ფონზე მოურიამულე ბალღები უფრო მახარებს...

- მართლაც რომ...

- უთუოდ!

- მალე ეგენიც დაიზრდებიან...

- ეგენიც გაისვრიან! იომებენ!

- ეჰ! რა არის ეს ცხოვრება?!

- ცხოვრება აღმართია!

- კიბეა!

- ბავშვებია!

- სწორია!

- სროლაა!

- ბრძოლაა!

- ცხოვრება ყველაფერია...

- მაინც ბრძოლაა!

- უამისოდ ცხოვრება ნულია!

- ეეხ!

- უჰ!

- ეგრეა!

- გვეყოფა!..

- სწორია!

- შენ რამდენი დაგრჩა?

- ორმოცდა ათი კაპიკუნა!

- ორი მაგდენი მეცა მაქვს!

- მეც ვიშოვნი...

- მე თამარა დეიდასგან ვისესხებ!

- სიგარეტს მე ვიყიდი!

- ისე, რომ კიდევ ერთი მოგვივა!

- დავიმსახურეთ, ძმაო!..

- მერე, მარუსია?

- მარუსია არა ის!..

- სწორია!

- ახლა რაღად გვინდა?

- ციხესიმაგრე გვჭირდება ჩვენ ახლა?

- ჰა-ჰა-ჰა-ჰა! ვის უნდა ჩვენს დროში ციხე?..

- მარუსიაო!..

- არ გვინდა, მორჩა და გათავდა!

პეწია გამოჩნდა.

კაცებმა ჩაიცინეს და აჩურჩულდნენ:

- ცალი თვალი მოდის...

- ფრონტული მოგონებებით აგვიკლებს...

- ფრონტზე ცუდი არავის წამოსცდეს! ზოგიერთი რა ღირსი იყო დიდი სამამულო ომისა!..

- სინამდვილეში მე ვიცი, თვალი სადაც ამოიგდო!..

- აბა, ჩამოუაჭე!

- ტოტს გაჰკრა, ტყეში!..

- ახლა უკვე მიჰქარავ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

- სწორია!"

პეწია მიესალმა:

- გამარჯობა, ბიჭებო!..

- გაგიმარჯოს!..

- თოვლს წმენდთ?

- თოვლს...

- ესე იგი, ყინულს ჭგვით?

- ყინულს!

- ჩინებულია!

- მართლაც რომ...

- შენ არ აპირებ?

- მეც ვაპირებ!

- მაგარი ნერვები გაქვს, ასი წელიწადი იცოცხლებ!..

- ამ დროში ვერა...

- გინდა კი?

- ძალიან!

- რად გინდა?

- ისე...

- როგორ თუ ისე?

- ვნახავ...

- შენ გგონია, რაიმე დასასრულს მოესწრები?

- ვნახავ ცხოვრებას!

- ახლა რას შვრები?

- ვცხოვრობ...

- გესმის?

- სროლა?

- ჰო!

- ვენაცვალე! გავიგე თუ არა, სულ სხვა ხასიათზე დავდექი! ეეჰ!

პეწიამ ჯიბიდან ბოთლი არაყი ამოაძრო, მოტკეპნილ თოვლზე დადგა.განზე გავიდა, თავი ჩაღუნა, გული აუჩუყდა...

კაცები დამწუხრდნენ და შემოეხვივნენ:

- რა მოგივიდა?

- მოხდა რაიმე?

- ავადა ხარ?

- გრიპი?

- ააა! დედა?

- არაო?

- მაშინ ცოლი?

- ბიჭებო, უნდა ვუშველოთ...

- აბა, მოდი!..

პეწიას სიხარულის ცრემლები მოადგა:

- გმადლობთ, ბიჭებო, თქვენი ჭირიმე... რა ბედნიერებაა, რომ ვართ, ვარსებობთ!.. ულრმესი მადლობა!.. ამ სროლისთვის... ძმობისთვის! აი, ეს ბოთლი... ჩემგან, სახსოვრად! სასიყვარულოდ! ეს ბოთლი... ეს ბოთლი! - გული ამოუჯდა.

პეწიას ბოთლიც მალე ჩაარჭვეს თოვლში და კიდევ გაგზავნეს მაღაზიაში „ერთის" მოსატანად...

ბავშვები ეზოდან გაკრეფილიყვნენ, ავტომატიან კაცებს უცქერდნენ, რომლებიც ნანგრევებში დარბოდნენ, გორაობდნენ, ხტოდნენ, ომობდნენ.;.. ბალღები გაცისკროვნებული თვალებით უყურებდნენ სანახაობას და სიხარულისგან ყვიროდნენ...

ერთი ბიჭუნა გამოჩნდა და კაცების სიახლოვეს ჩაცუცქდა.

პეწი მიუახლოვდა ბიჭს:

- მოგწონს?

- რა?

- ომი!!

- მომწონს... მამაჩემმა არ მიყიდა ავტომატი...

- ნამდვილ ომში ადამიანებს რომ ხოცავენ, თუ იცი?

- ვიცი... იქ ცხენებსაც ხოცავენ... მერე რა?

- გეცოდებიან?

- ძალიან...

- ადამიანები უფრო გეცოდებიან თუ ცხენები?

ბიჭმა მხრები აიწურა... პეწია გაოცდა:

- ცხენები უფრო გეცოდება?

- კი...

ადამიანები?

- ისე, რა... არ ვიცი...

პეწია მცირე ხანს გაკვირვებული დასცქეროდა ბავშვს. მერე ჰკითხა:

- პური არ გშია?

- არა.

- ჭამა გიყვარს?

- მწვადი?

- თუნდაც!

- მიყვარს...

- მაშ, მწვადის შეწვა იცის მამაშენმა?

- ცხვრისა ძალიან გემრიელია!

- ცხვარი არ გეცოდება?

- ძალიან!

- როცა ჭამ?

- რა შუაშია ჭამის დროს ცხვარი? თქვენ ფიქრობთ ხოლმე ძროხებზე, როცა სჭამთ?.. მთავარია, გემრიელი იყოს ხორცი!.. ომის დროს რა დროს საცოდაობაა?

ბავშვი გაიქცა.

კაცებმა ნიჩბებს დაავლეს ხელი.

მოტკეპნილ თოვლში ყირამალა ჩარჭობილი ბოთლები ისევ ისე მოჩანდა.

გაოცებული და გახარებული პეწია ჭიშკარში იდგა და მანევრებს უთვალთვალებდა.

ავტომატები კაკანებდნენ.

ბავშვებს უხაროდათ.

სარკმლებიდან დედაკაცები იცქირებოდნენ.

კაცები ყინულიდან გულმოდგინედ გვიდნენ ნამქერს.

ეზო სუფთავდებოდა...

აპრილის მშვენიერი მზიანი დღე იდგა.

კაცები მუშაობდნენ და უკიდეგანოდ უხაროდათ, დღისით-მზისით წინადამინდელი ქარბუქის შემდეგ სროლა რომ ისმოდა მარადიული ზამთრის ქალაქში.

**1974 წ. ქ.ტამბოვი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიორგი გიგაური - 75



გიორგი გიგაური 75 წლისაა... 75 წელი - ბატონ გიორგისთვის ეს იყო ძიებით, ბრძოლით, სამშობლოს, ოჯახის სიყვარულითა და შემოქმედებითი გამარჯვებებით სავსე წლები...

ქართული სიტყვის დიდოსტატს და ლიტერატურული გემოვნებით განთქმულ რევაზ ინანიშვილს 1990 წელს უბის წიგნაკში ჩაუწერია:

„7 სექტემბერი, „თბილისში" დაბეჭდილია გიორგი გიგაურის ვრცელი ლექსი „ლოცვა დედაზე". კარგა ხანია, დედაზე დაწერილს ასე აღარ უმოქმედია ჩემზე. გიორგის მაგარი ხელები აქვს, ამ ხელებმა, ბოლოსდაბოლოს, თავიანთი საიდუმლო თქვეს:

საფლავს ეცემა საღამოს ბინდი,
შენთან საუბარს ქვითინით ვბედავ,
მე შენ სიკვდილი მასწავლე მშვიდი,
თბილი ღიმილით დამშორდი, დედა.
როცა ჩაქრება ჩემი სანთელი,
ჩამოჰკნებიან პირიმზეები,
ბევრი დამრჩება კიდევ სათქმელი, -
საგალობელი ჩვენი დღეების.

რევაზ ინანიშვილს პოეტის ლირიკული პოემა „ლოცვა დედაზე" შემთხვევით არ მოსწონებია; ამ ნაწარმოებში დედაშვილობის სიყვარულის პირველყოფილი შუქი ტრიალებს, მარადიულობისა და წარმავლობის სევდა-სიხარული ერთმანეთს ავსებს...

გიორგი გიგაური უფროსი თაობის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია; მან, კლასიკური პოეზიის ღირსეულმა გამგრძელებელმა, თავისი შემოქმედება ახალი ფერებითა და ხმებით გაალამაზა, ხალხური პოეზიის ინტონაციებით გაამდიდრა.

გიორგი გიგაური ოცდათხუთმეტამდე წიგნის ავტორია. ამ კრებულებში გამოქვეყნებული ლექსები, პოემები და ბალადები თავისი არქიტექტონიკით, კონსტრუქციული წყობით, სალექსო ფორმების მრავალფეროვნებით ხასიათდებიან და, მთლიანობაში, მწერლის შუქ-ნათელით სავსე სამყაროს ასახავენ...

გიორგი გიგაური, მიუხედავად თავისი ასაკისა, კვლავაც შემოქმედებითი ნაყოფიერებითა და ჭაბუკური ენერგიით გამოირჩევა:

ჩემს თავზე ივრის ცა იქუფრება,
მაინც გახელებს სხივთა ალმური, -
აქვს ყველა ასაკს ტრფობის უფლება,
ბედნიერების და სინანულის,
თავისი წილი ეკუთვნის ყველას,
ჩემი კუთვნილი ჩემით იწყება
ქება, ძაგება, დალოცვა, წყევლა,
დაბრძენებაც და თავდავიწყებაც...

გიორგი გიგაურის „დაბრძენებაც და თავდავიწყებაც" სამშობლოსა და მოყვასის სიყვარულით იწყება და ეს „თავდავიწყება" ღმერთმა არ მოუშალოს...

ჟურნალი „ცისკარი" თავის მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად იუბილეს ულოცავს შესანიშნავ პოეტს და მამულიშვილს ბატონ გიორგი გიგაურს და უსურვებს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ახალ-ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს.

ბაღათერ არაბული

## გიორგი გიგაური

## ციკლიდან „დაკარგული გაზაფხული"

### ჰურობა ტბაზე

აქ მთელი ღამე ფრთიან ფანტელთა
უფარფატიათ შრიალ-შრიალით,
ლამაზი დილა მაინც გათენდა,
კავკასიონის დილა მზიანი.

შუქი გადარბის თოვლის ზეწარზე,
ირგვლივ ფირუზის მძივების წრეა,
ტბაზე ბიჭები ყინულს ლეწავენ
და საკალმახე ბადეებს შლიან.

ლაღად ბრიალებს კოცონის ალი,
წიფლის ღადარზე „ცოცხალი" შხივის,
მნათობმა სუფრას შეავლო თვალი,
სავსე თასებში აცეკვდა სხივი...

ჟამი დილისა უკვე გავიდა,
საუზმის ხემსი იქცა სადილადრ
თამადა ამბავს იწყებს თავიდან,
ღვინომ ზამთარი გაუადვილა.

**2003**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მხეცების ახლოს

ხილიანის ქუჩაზე
ღამეს თეთრად ვტეხავ,
მღლის მხეცების ღრიალი,
მოვარდნილი მეხად.

ხან ლომია გამწყრალი,
ხან ვეფხვი, ხან დათვი,
ქარიშხალად ქცეულა
შემართება მათი.

მგელი ზეცას გაყმუის,
იწყებს მთვარის გმობას,
პაექრობა ჩაღდება
და იმარჯვებს მგლობა.

პირველობის იმედით
გული სხვებსაც ერჩის,
ვინ გახდება, ნეტავი,
მტაცებლების კერძი.

მეფობს ძალმომრეობა,
კნავიან და ყეფენ,
წესრიგს ვიღა დაგიდევს,
ყურს ვინ უგდებს მეფეს.

ვის ადარდებს ბაღნარი,
გათელილი ქუსლით,
კურდღლებისთვის უწყალოდ
გავლებული მუსრი.

ტურები და მელები
ქირქილებენ ჩუმად,
როცა ნუკრი ირმისა
ცრემლის ტბაში ცურავს...

მშვიდად მხოლოდ სპილოა,
დააბიჯებს დინჯად,
ეკარება ვერავინ
მის დიდებულ მიჯნას!

**2002**

## მერცხლების მოლოდინში

საოცარია, მეტი თუ არა,
მაისს არ მოჰყვნენ მერცხლის გუნდები,
მდინარე ვერეს მიყუჩდა ჭალა,
ველზე ფერები ისევ ხუნდება.

ყინვას უწყრება ბებერი ნუში,
სიმხნევე შვენის აშოლტილ ხეებს,
ყვავილებს მოლი იხუტებს გულში,
ნისლის ქათიბებს ქარები ხევენ.

დათბობას ელის „მზიურის“ მკერდი,
ბაღი სიცოცხლის, სიამტკბილობის,
რომ მზის სხივები დაისვას გვერდით,
წინ გაუფინოს ჭრელი ჭილობი.

მერცხლებს დაუხვდეს, როგორც წყალობა,
და აპატიოს დაგვიანება,
აახმიანონ ჭალა გალობით
ჭიკჭიკა ენა-ბაგიანებმა.

**2002**

## შურისძიება

აქ მოლი იყო,
კოინდრის მოლი,
გვირილები და კვლიები კიდევ,
მე კი დავფარე ბეტონის ზოლით,
გავაბილიკე ბაღნარის კიდე.

ფესვმა ხიფათი შეიგრძნო ჩქარა,
აღდგა, აღზევდა ზეციურ ხმებით,
ბეტონის ღონეს ბალახის ძალამ
აჯობა, მზეში გაშალა მხრები.

შურისძიება მასაც სცოდნია,
მძიმე საფარი დაფშვნა, დანაყა
და შემომხედა, როგორც ცოდვიანს,
გაიცინა და გაიამაყა...

**2002**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დაღმართი

მივდევ დაღმართზე ჩამავალ ურმებს,
ერთი სიმართლე მიმყვება დარდად -
ყველაფერსა აქვს საშველი თურმე
ამ უჟამკარო სიბერის გარდა!..

**1998**

## შეფიცვა

ისევ გიმღერი, სხივო, სახატევ,
სხივო კი არა, ნუკრო, თვალშავავ,
გულის სარქველი რაკი ამხადე,
მე სალოცავად სხვაგან არ წავალ.

**1988**

## თოვლი ფოთლებზე

გაზაფხულია,
მაგრამ ვაი ასეთ გაზაფხულს,
ქარტეხილებით დამწუხრებულს,
დამზრალს, დაზაფრულს.

ერთხანს ჩამოთბა,
გამოცოცხლდა ბუნება უცებ,
გამოაჩინეს თეთრი კბილი
მწვანე კვირტებმა,
ჭიუხში ყინვა იქნევდა მუჭებს,
ბრაზობდა,
ჭალა ყვავილებით რატომ ირთვება!

და ისევ მკაცრად ააჟღერა
ზამთარმა ზარი,
„ნასესხებს" შეხვდნენ ხეები თრთოლით,
ნანატრ სიმწვანეს ჩაეშრიტა
ლამაზი თვალი,
ლორთქო ფოთლებზე დაეფინა
ქათქათა თოვლი.

მთებში ზვავები აგუგუნდნენ,
დადგნენ გორებად,
ცხოვრებასავით ეს ამინდიც
მირევს გონებას.

**2002**

## სიტყვის თავისუფლება

ქოთქოთებენ, ყბედობენ
აქაფებულ პირებით,
ახლები თუ ძველები,
კენტები თუ წყვილები.

იგონებენ, იცავენ
უიდეო იდეებს,
ედებიან კივილით
კიდით-კიდე კიდეებს.

აღარ ახსოვთ წესრიგი,
დადებული პირობა,
სადაც უნდათ, მართავენ
მიტინგსა და ყრილობას.

საიდუმლოს ამხელენ,
ახარებენ ტირანებს,
მტრის წისქვილზე მიუშვეს
სამამულე მდინარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სექტები და კასტები
გაუხდიათ საფიცრად
და, თუ ჭკუა ასწავლე,
დაიწყებენ გაფიცვას.

რისხვად აჩანჩქერდება
ცრუ ბრალდება ათასი,
„ურცხვთა დემოკრატია“
ახალ ფურცელს გადაშლის.

დამუქრება დაჯაბნის
მშვიდად გასაუბრებას...
მეეჭვება, ეს იყოს
სიტყვის თავისუფლება!

**2002**

## ყრუ ქვეყანა

გაღრღნა ლავაშის გამხმარი ყუა,
ზედ დააყოლა წყევლა და ოხვრა,
არავის ესმის,
ქვეყანა ყრუა,
დაფლეთილა და ქცეულა ოხრად.

გულით ტკივილი დააქვს უჩვევი
გადამწვარ სახლის,
მოთხრილი ნერგის,
მწუხარებისგან დაღლილ ქუჩებში
აწყდება ცოცხალ ჩონჩხების ხერგილს.

ირგვლივ მშველელის არ ჩანს ნასახიც,
თუმცა მავანნი ჰქრიან შველივით,
წამოიჩოქებს ზღურბლთან სასახლის,
რჩება ძეგლივით ხელგაშვერილი.

ოცნებით სწვდება ხმელთა და ზღვათა
და უფლის ლოცვა ისევ გრძელდება...
რაკი მიბობღდა შიმშილის ზღვართან,
მოკვლა თავისა არ გაძნელდება!

**2002**

## ფარვანა და სანთელი

ქოხში ბრიალებს სანთელი თაფლის,
ფარვანა სანთელს გარშემო უვლის,
სასიყვარულო გაუბამს ძაფი,
არ ეკარება თვალებზე რული.

მიჯნურს თავისკენ იზიდავს ალი,
ელის ხიფათი, არ იხევს უკან,
გაოგნებული ტრფიალის ძალით
გათამამებულ ოცნებებს ბუგავს.

ფარფატა ფრთებზე ცეცხლი ედება,
სასიყვარულო გზა გაყოფილა...
მიჯნურისათვის თავგამეტება
და თვით სიკვდილიც ტკბილი ყოფილა.

**2002**

## დაკარგული გაზაფხული

მიწას გათბობა აღარ ეღირსა,
აპრილის სუსხი მაგონებს ზამთარს,
მივაყურადებ ქარის ფეხისხმას,
მიყვარს ხეების შეხვედრა ქართან.

გრიგალს ქალაქში ჩამოაქვს მთვარე,
შიშით კანკალებს სახლი მაღლივი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს ჩავუკეტავ ოთახის კარებს,
ფანჯრებს ასკდება ავი ძაღლივით.

ნისლის ნაფლეთებს აფენს მინაზე,
მინაზე ითბობს გაყინულ თათებს
და დარბაზების ხატავს ბინადრებს:
აფთრებს, ავაზებს,
მგლებსა და დათვებს...

მიჯირითობენ დღეები ცივი,
მოსაწყენია თეთრი აპრილი,
დელგმა უძოზე გველივით წივის,
დამზრალ კვირტების ჩანთქმას აპირებს.

ისევ დაკარგულ გაზაფხულს ვეძებ,
უნდა დავუდგე მზესთან თავდებად,
აღარ თავდება ოცნება მზეზე,
ზამთრის ამინდი აღარ თავდება!

**2002**

ირემი

გადაურევავ ირემი
დღეებსა წვიმიანებსა,
კეცავს გიჟური ნახტომით
ტევრებსა წვრილიანებსა.
თავზე ევლება კლდეებსა,
ალმასის პირიანებსა,
და ეფერება ახოებს
სადაფის ღილიანებსა...
მთებიდან გამოქცევია
დღეებსა წვიმიანებსა.

**2002**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## თემო ჯაფარიძე

# ფრჩხილის კვნეტის წიკი



1.

მომქანცეს დროის ცვლილებებმა. ყოველი მორიგი ათწლეული ახალი ეპოქაა. თითოეული მათგანი მოულოდნელ ვითარებას ქმნის, რაც ახლებურ მიდგომას ითხოვს, საკუთარი ადგილის განსხვავებულ ძიებას. ვერაფრით ვიპოვე ყოფიერებაში ჩემი ადგილი, ვერ ვიპოვე ჩემი დრო.

მოუწყობლობის სინდრომი გჭირს.

როგორ უნდა მოეწყოს ნორმალური ადამიანი მუდამ ცვალებადი ცხოვრების ფორმების ქაოსურ წიაღში.

გეუბნები, მიუსაფრობის სინდრომი გაქვს. წადი, იმკურნალე.

2.

ო, ეს სიცოცხლის ენერგია! განუწყვეტლივ ქმედებას ითხოვს. იგი რომ არა, ხმას არ ამოვიღებდი. ხანდახან ვფიქრობ, რომ ადამიანმა ჩუმად, მოთხოვნილებების გარეშე, უხმაუროდ უნდა იცხოვროს; ჩუმად, წუწუნის გარეშე უნდა წავიდეს ამ არეულ-დარეული წუთისოფლიდან. მაგრამ სიცოცხლის ენერგიას რა ვუყო. მასზეა დაფუძნებული ჩემი ყველა თვისება, მოთხოვნილება და საქციელი. იგი ვულკანის ძალით მიბიძგებს ყოფიერების ქაოსის ცენტრისკენ. მიდი, გაერკვიე, რა ხდება და რამე გააკეთეო. მოდი და გააკეთე რამე ამ მახინჯ, მუდამ ცვალებად აბსურდში. ვერაფერს გააკეთებ ისეთს, რაც ხვალაც, ანუ შემდგომ ეპოქაშიც ღირებული და ქმედითი იქნება. მხატვრულ ფორმასაც კი ისტორიულობის, ანუ მოკვდავობის და გაუფერულების ბეჭედი დაასვა ყოფიერების მუდამცვალებადობის ძალამ. გუშინ რაც გენიალური გეგონა, დღეს აღარ გაღელვებს. გუშინ რაც საინტერესო იყო, დღეს ისეთი ვერაფერი რამე აღმოჩნდა. მაგიჟებენ ცვალებადი განწყობილებები, გაიაფასებული, ოდესღაც ძვირფასი ღირებულებები.

გეუბნები-მოუწყობლობის სინდრომი გჭირს. საერთოდ კონფლიქტური ადამიანი ხარ, თორემ, ყოფიერება რომ არ იცვლებოდეს, პირველი შენ ატეხავდი წუწუნს: ყოფიერება სულ ერთი და იგივე მოსაბეზრებელი რამაა და ამის ატანა შეუძლებელიაო. თვითონ არ იცი, რა გინდა. ფრჩხილის კვნეტის წიკივით ნევროზი გაქვს.

3.

უ, როგორ მიშლის ყოფიერება ხელს იმაში, რომ ლაღად და უშფოთველად ვიცხოვრო. საშუალებას არ მაძლევს, რომ კარგ ვინმედ ვიგრძნო თავი. ეჭვებს მიჩენს, ნაკლულოვანებებით აღსავსე არსებად შემაგრძნობინებს თავს. რაიმე მიზნისკენ თუ ვისწრაფვი აღფრთოვანებული, ფეხს მიდებს. მწარეა ამ დროს დაცემა. რაიმესადმი კეთილად თუ განვეწყობი, ზურგში დანას მირტყამს, თუ არადა, იმ რაიმეს საძაგლობად გადააქცევს. ვინმე თუ შემიყვარდა და სახე გამიბრწყინდა, თავში მითაქებს, თითქოს არაფრის უფლება არ მქონდეს, თითქოს არსებობის საბუთი არ გამაჩნდეს. აზროვნების მხრივ დიდ სიღრმეებს თუ ჩავწვდი, გაუგებარ ტიპად მაქცევს, უგუნურს და უჭკუოს მეძახის ქარაფშუტა ფანფარონების და ყეყეჩების პირით. როცა ვრწმუნდები, რომ ულმერთოდ ადამიანის არსებობა უაზრობაა, დამცინის, მასხრად მიღებს. რწმენას უსაფუძვლო მოვლენად, მოჩვენებითობად გარდამიქმნის. მაბრაზებს,, მაბნევს, მაბოროტებს, მაიძულებს სისულელეები და უმსგავსობები ჩავიდინო. თუ განვერიდები და გაოგნებული ჩამოვჯდები სადმე, ტკბილად მიხმობს, მეალერსება, მაცდუნებს. თუ გავყევი მის ტკბილხმობას, უფსკრულში მიბიძგებს.

სიცოცხლის ენერგია ქმედებას მაიძულებს, თორემ ხმას არ ამოვიღებდი, ერთ სიტყვასაც არ დავწერდი. მოვძებნიდი მიყრუებულ კუთხეს, წამოვწვებოდი, მოვიკუნტებოდი და ვიყუჩებდი. კედლისკენ გადაბრუნებული პატარა დაყანგულ ლურსმანს მივაშტერდებოდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ მაცოდებ თავს.

მაგრამ რა ვუყო სიცოცხლის ენერგიას. იგი არ მაცლის ჩემთვის ყოფნას, ქმედებას მთხოვს, თანაც აზრიან ქმედებას. ამიტომ უბრალოდ სირბილით, საჭმლის ღეჭვით და ყლაპვით ან მუდამ ქეიფით და დიდი სუფრების თამადობით, ღვინის გრადუსებით წარმოშობილი სიაბანდი სიყვარულით და სუფრის არამიმზიდველი წევრების ყალბი სადღეგრძელოების თქმით ან მიტინგების ჩატარებით, ან არსებობისთვის ბრძოლის მილიარდი ფორმით ვერ დავკმაყოფილდები.

შენ ისეთი ტიპი ხარ, რომ ვერასდროს და ვერაფრით ვერ დაკმაყოფილდები.

არ არის ეგრე. გენიალურად ვგრძნობ სიცოცხლეს, ძალიან გონიერად, ძალიან ღრმად, ძალიან მიზნობრივად, ძალიან დაბნეულად და ხულიგნურად, ზედმიწევნით ზედაპირულად და ამავე დროს დაკვირვებით; ძალიან მცდარად, მაგრამ სწორი წვდომისთვის აუცილებელი სერიოზული ტკივილით; ძალიან საეჭვოდ, ძალიან კრიტიკულად და ამავე დროს გაწვალებული მოჩჩილებით; ძალიან ბნელად და, ამასთანავე, სუფთად; მოკლედ, ყველანაირად ვგრძნობ სიცოცხლეს. არ შემიძლია, არ მიყვარდეს იგი. და მაინც რაღაც ვერ არის სრულად, რაღაც ყოველთვის მაკლია, - რაღაც მნიშვნელოვანი, რაღაც მთავარი.

გითხარი და კვლავ გეუბნები: უკმაყოფილობის სინდრომი გჭირს.

4.

- ღმერთო ჩემო, რა სულელია ეს კაცი! - გაიფიქრა ჩემზე პატარა მაღაზიის კედელთან მშვიდად მიწოლილმა ძაღლმა - არც კოჭლია და არც ბრუციანი, კარგი გარეგნობაც აქვს, არისტოკრატიც კია. უთუოდ გამოირჩევა სხვებს შორის. მეგობრები პატივს სცემენ. სახელოვანიც კია რამდენადმე. მაინც უკმაყოფილოა ცხოვრებით და თავის თავით. რომელიღაც აბსტრაქტულ სრულყოფილებას და სულიერებას ეძებს. რაღაცებს წერს. ძალიან ნერვიულობს. ცხოვრებას ისე აკრიტიკებს, რომ დაკარგა სიხარულის უნარი. ნამდვილი სულელია. სამყარომ სიცოცხლე აჩუქა, მაგრამ არ იცის მისი მოხმარება. სიცოცხლეზე უფრო დიდ ფასეულობას ეძებს. რა უნდა იყოს სიცოცხლეზე უფრო ფასეული. ნამდვილი მოცლილი და ქარაფშუტა არისტოკრატია. დროებით არსებობა არ მეკადრებაო. იდიოტურ და არარეალურ იდეალებზე ფიქრში ფლანგავს შემთხვევით ნაპოვნი ფულივით ცხოვრების ძალას. არ გამოუცდია ნამდვილი სიმარტოვე და გადაგდებულობა, რომლის შემდეგაც სიცოცხლის ყოველი წამი ისეთივე ძვირფასი ხდება, როგორც ხორციანი ძვლის ღრღნა. მე, ალბათ, არარაობად მიმიჩნევს. ვერ წარმოუდგენია რომ ქუჩაში, პატარა მაღაზიის ჭუჭყიან კედელთან მიწოლილი ძაღლი სრულფასოვან არსებად შეიძლება გრძნობდეს თავს, სამყაროს ღირსეულ და შეუცვლელ სახეობად განიცდიდეს თავს. არ იცის, რა მშვიდი და ბრძენი ვარ ახლა და რა მეფურად გავცქერი უიღბლობისგან დასახიჩრებულ და დაბეჩავებულ გამვლელებს. ღმერთმანი, სულელია ეს კაცი, არ იცის სიცოცხლის ფასი.

5.

- არ უნდა იფიქროთ. - მითხრა კისკისით დიდი ბრიტანეთის ამაყი ელჩის ცოლმა, რომელიც შემთხვევით გამაცნეს კონტექსტიანი ფოტოს გამოფენაზე. ცხადია, მხიარულად მიმანიშნა, რომ ფიქრს სიამოვნებათა აზარტული ძიება სჯობს.

6.

- რატომ წერ, რატომ ხატავ, რატომ ფილოსოფოსობ. ნუთუ გგონია, რომ ყოფიერების ამაოებას რაიმე აზრს ან ხარისხს შესძენ. ვერა ხარ ჭკვიანი კაცი. - მითხრა ლოთმა თანამოსაუბრემ, როცა თბილისის ერთ-ერთ ბარში ვისხედით პატარა მაგიდასთან და ლუდს ვსვამდით.

- ესე იგი, ჭკვიანსა და უჭკუოს შორის არავითარი რეალური განსხვავება არ არის? - ვკითხე მე. - ნიჭიერსა და უნიჭოს შორის სხვაობა არ არის?

- რა იციან ჭკვიანებმა ისეთი, რაც სულელებმა არ იციან? - მიპასუხა მან.

7.

შენ იღუპები. შენ არ იღუპები, - ერთდროულად მომესმის შიგნიდანაც და გარედანაც. თუ არ იღუპები, მითხარი, რომ შენს არსებობას რამე აზრი აქვს. არ არის ეგრე, არ დაიჯერო, რომ იღუპები. სულაც არ იღუპები, შენ თვითონ არ იცი და შენს არსებობას დიდი აზრი აქვს. დამტანჯა ერთდროულად მოპირისპირე განცდებმა. ნუთუ იღუპები და არ იღუპების მიღმა მყოფი მესამე მსოფლგანცდა არ მოიძებნება ადამიანის შინაგან სამყაროში. მაინც რა აზრი აქვს ჩემს არსებობას, რითი დამამშვიდებ? განსაკუთრებული ტიპის „ქლიავი“ ხარ. შენისთანა ტიპი წარსულში არასდროს არსებულა და არც მომავალში იარსებებს. მოკლედ, განუმეორებელი ხარ. სამყაროს ისტორიაში ერთადერთი შენ ხარ, ვინაც შენ შეიძლება იყო. მერე რა აზრი აქვს იმას, რომ მე მარტო მე შემიძლია ვიყო. სხვაც მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ის სხვა, რომელი სხვაც არის, თუ ის სხვა იქნება, რომელი სხვაც არის. ნუ ართულებ უბრალო სათქმელს. მშვენივრად იცი, რომ შენს განსაცდელს სხვა ვერ განიცდის, შენს საფიქრალს სხვა ვერ იფიქრებს, შენ რა ამბები და შემთხვევებიც გემართება და შეგემთხვევა, სხვა ვერავინ შეიმთხვევს და ვერ იცხოვრებს. არაფერს არ ნიშნავს ყოველივე ეგ. თითოეული ბალახი თავისებურია, მაგრამ მერე რა. მერე ის, რომ შენს შესაძლებლობებს და უნარებს შენს გარდა ვერავინ გამოავლენს. ამიტომ მაქსიმალურად უნდა გაალვიძო შენი ნიჭები და გენიალობები და დაინახავ, რომ არ იღუპები. ოჰ, ოჰ, რა ჭკვიანი ხარ, მაგრამ რა ამაოდ, რა უაზროდ. უაზროდ ჭკვიანი - ეს გამოთქმა პირველად მესმის. რატომ, ზოგი შემოქმედი აზროვნებაში მოისუსტებს, მაგრამ ნიჭით მშვენივრად აზროვნებს.

შენ იღუპები. შენ არ იღუპები. ერთდროულად მომესმის შიგნიდანაც და გარედანაც. მაგრამ იქნებ მართლა მაქვს „შენ არ იღუპების“ ნიჭი. მიდი, აიშვი თავი, გააფრინე, ჩაწვდი სიღრმეებს, აღმოაჩინე ურყევი „შენ არ იღუპები“. ნუ ემოციურობ, ნუ ოცნებობ, ნუ უშვებ შეცდომებს. ო, ეს კონტროლი! ცნობიერებისმიერი სასტიკი ჟანდარმი, რომელიც რეალობად წოდებული ყოფიერების ცივ ნორმალურობას ემსახურება, ყველანაირ აღმაფრენას უკვეცავს ფრთებს. ჰოდა, თუ ასეა, დაწყნარდი, ნუ ემოციურობ. არ დაწყნარდე, პირიქით, თავი აიშვი, განთავისუფლდი გულისმომკვლელად მოსაწყენი ჩვეულებრიობისგან, გააფრინე, დაიცენტრე, გაარღვიე საშუალო კაცად ყოფნის წრე, დაანთე შენს შინაგან სამყაროში არსებობის მშვენიერების თანაფარდი ცეცხლი, დაწვი ყოველივე საშუალო და ულიმღამო.

ძალიან გთხოვ, ნუ ხმაურობ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ადამიანის რეალური შესაძლებლობები გავიწყდება.

რატომ, არ ყოფილან ისტორიაში გენიალურად დაცენტრილი ადამიანები?

გიჟებს გულისხმობ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**8.**

შენ იკარგები. შენ არ იკარგები. შენ უვარგისი ხარ. შენ გენიალური ხარ. შენ მახინჯი ხარ. შენ მშვენიერი ხარ. შენ არავის უყვარხარ, შენ ყველას უყვარხარ. შენ არავის სჭირდები. შენ საჭირო ხარ. შენ პატარა ხარ. შენ დიდი ხარ. მიდი, იბრძოლე გამარჯვებისთვის. ნუ იბრძვი, აზრი არა აქვს ბრძოლას. დანებდი ამაოების განცდას. ნუ დანებდები; მიდი, გააფრინე, ნუ მოეშვები, ნუ იქცევი საწყალ მელანქოლიკად. დამგლიჯეს ორბუნებოვანმა ურთიერთდაპირისპირებულმა შეგრძნებებმა.

გითხარი - ფრჩხილის კვნეტის წიკივით ნევროზი გჭირს.

მიდი, დაიცენტრე, გაარღვიე ყოფიერების ნორმალურობის და ჩვეულებრიობის მოსაწყენი, მაგრამ მაგიური წრე, ნუ იქნები საშუალო. არ შეცდე. არ დაიძაბო, იყავი ცივი, არაფერი მიიტანო გულთან ახლოს, არაფერი განიცადო.

**9.**

მასწავლე უშფოთველად ყოფნა. - ვეუბნები რომელიღაც განუსაზღვრელ სიბრძნეს თუ ძალას, მაგრამ არ ვიცი, არსებობს თუ არა იგი. ისე გამოდის, რომ საკუთარ თავს მივმართავ. მასწავლე გენიალური დაცენტრვა.

რომელი ერთი შეგისრულოს.

მასწავლე, ვიპოვო ჩემი საუკეთესო თავი. მასწავლე ჩემი თავისგან გაქცევა. მასწავლე, გავუგო სამყაროს. მასწავლე სამყაროსგან გაქცევა.

გეყოფა ფრჩხილების კვნეტა. ჯერ ჩამოყალიბდი, მერე ილაპარაკე.

**10.**

პატარა მალაზიის კედელთან მიწოლილი ძაღლისგან განსხვავებით, გარდა იმისა, რომ მშივდება და ძუკნასთან ყოფნა მინდება, ისიც მიბურღავს ტვინს, რომ მინდა, ვიცოდე, რაშია საქმე, ანუ ვცდილობ, გავერკვე, რა ხდება ჩემში და სამყაროში.

იიფ, კარგია, ღმერთმანი! მომინდომა სამყაროს საიდუმლოებების ამოხსნა.

ეს მიჩენს ორბუნებოვან შეგრძნებებს. აქედან მოდის შენ იღუპები, შენ არ იღუპების კონფლიქტური შეგონება. ვერაფრით გავარკვიე, რაშია საქმე, რა მინდა, რას ვეძებ, რას მოითხოვს სამყარო ჩემგან. იმის გამო, რომ გონება მაქვს და მხოლოდ და მხოლოდ ცხოველი აღარა ვარ, მარტო ინსტინქტების გამოვლენით და აღსრულებით ვერ ვახორციელებ ჩემს ბუნებას, ჩემს რაობას. კიდევ რაღაც არის საჭირო, რაღაც მიუღწეველი, შეუძლებელი, გასაიდუმლოებული, რაღაც ისეთი, რაც ნიჭით და გონით გამოვლინდება. აი, ეს მართულებს. ეს მაიძულებს, ვეძებო თუ რაშია საქმე. დავინახავ საგანს და ვფიქრობ: რატომ ვხედავ ამ საგანს, რა არის ეს საგანი, რატომ შევამჩნიე იგი, მართლა არსებობს იგი თუ მეჩვენება. შემხვდება ვინმე და ვფიქრობ: რას ნიშნავს ეს შეხვედრა. ვინ არის იგი. უნდა ვიფიქრო მასზე თუ უნდა დავივიწყო იგი. აი, ასეთი ჩახლართული გამხადა გონებამ. განუსაზღვრელი ბუნება მაქვს. აღარც ცხოველი ვარ, რომ გეშის აღებით და ნადირობით დავკმაყოფილდე, და არც ანგელოსის მსგავსი ზებუნებრივი არსება ვარ.

კიდევ კარგი, რომ ხვდები ამას, თორემ შემეშინდა, მართლა ხომ არ დაიცენტრა-მეთქი.

ადამიანურ მოუმთავრებელ და განუსაზღვრელ ბუნებაში ვარ გამომწყვდეული. ჟირაფივით ან მგელივით ვერ ვიტყვი, დასრულებული სახეობა ვარ და ჩემს სახეობაში ჩემზე უკეთეს არსებად ქცევის შანსი არ არსებობსთქო. მგონი, საერთოდ არა ვარ სახეობა, რადგან ზედმიწევნით დაუსრულებელი ვინმეა ადამიანი. მეუბნებიან განვითარებადი სულდგმული ხარო. ღმერთმა იცის, ასეა თუ არა, რადგან ტექნიკის პროგრესი ადამიანურობის განვითარებას არ უნდა ნიშნავდეს. პირიქით, ტექნიკის განვითარების პარალელურად ადამიანურობა დაქვეითდა, ანუ განვითარდა. იმასაც ვერ ვიტყვი, ცხოველური არაფერი მცხიათქო. ძალიანაც მცხია. იქნებ, ანგელოსური ელემენტიც მცხია? ეს ისე ვიკითხე, არარეალურად, ფანტასმაგორიულად.

არ უნდა გეკითხა ეს სისულელე. არა ხარ ამდენად უჭკუო კაცი.

ვერაფრით გავხდი ბოლომდე კეთილშობილი. ბევრი რამ ძველებურად, ნეანდერტალელი ადამიანის მსგავსად მაბრაზებს, მაანჩხლებს, მწყინს, ხარბად მქმნის, ნგრევისთვის განმაწყობს.

იიფ, მომინდომა ბოლომდე კეთილშობილ არსებად ყოფნა! კარგია, ხომ იცი! მეტი აღარაფერი გინდა?

**11.**

- რას მიედ-მოედება ეს კაცი. - ფიქრობს ჩემზე მდიდარი კაცი, რომელსაც სამი ლამაზმანი ევლება თავს. ლამაზი ქალები კი არიან, მაგრამ არ მომწონს ისინი. ძალიან მოკლე კაბებზე რომ შევხედავ, ფული გახსენდება. რას იზამ, ჩვენს საუკუნეში ფული უფრო დიდი ღირებულებაა, ვიდრე ნიჭი. ფული ნიჭად იქცა. მაგრამ მე ჩამორჩენილი ადამიანი ვარ და ნიჭის ძველი გაგება უფრო მხიბლავს.

- რას მიედ-მოედება ეს კაცი! - ბრაზდება ჩემზე მდიდარი კაცი.

არა ხარ პრაქტიკული. ნუ დასცინი მდიდრებს. იქნებ, ერთხელაც შენი წიგნი გამოსცენ და მერე დიდი რეკლამა გაგიკეთონ: ნახეთ, რა საქმე გავაკეთეთ, კულტურის როგორი გულშემატკივრები ვართო.

არ ვერჩი მდიდრებს. უბრალოდ, აღვნიშნავ, რომ ფული გახდა უმთავრესი ღირებულება.

**12.**

მასწავლე, თითოეული საგანი და მოვლენა თავის ადგილას აღვიქვა. მასწავლე, არ ავურიო მოვლენები ერთმანეთში. მაგრამ განა დაგაცლის ყოფიერება ასეთ შინაგან წესრიგს. არც შინაგანი სამყაროს არეულობა გაცლის სწორ ხედვას. მასწავლე, ჩიტის ფრენას ისე ვუყურო, რომ არ ვიფიქრო არაფერზე სხვაზე, მაგალითად, სწორ ხედვაზე. მასწავლე, სამყარო ისეთი დავინახო, როგორიც ჩანს, ნუ მოვახვევ თავზე ჩემს მცდარ თვალსაზრისებს და ბნელ განწყობილებებს. მაპოვნინე ადგილი, სადაც სახლში ვიგრძნობ თავს და აღარსად წასვლა არ მომინდება. მაპოვნინე ადგილი, სადაც მშვიდად წამოვწვები და არაფრის კეთება არ მომინდება. მასწავლე, ბოლომდე ამაოებად აღვიქვა ყოფიერება და ნურაფერი მომხიბლავს და მიმიზიდავს. მასწავლე, ვიყო უსაქმური, დაუფიქრებელი და აუღელვებელი და არაფერზე მწყდებოდეს გული. მასწავლე, ვაჯობო ყოფიერების აბსურდს.

ძალიან ბევრს ითხოვ. მხოლოდ ერთი რამ უნდა ითხოვო და, იქნებ, აგისრულდეს კიდეც.

**13.**

„ცივა ჩემს სამშობლოს, პალტო მოახურეთ“. - მღეროდა ქუჩის მუსიკოსი რუსთაველის პროსპექტის მიწისქვეშა გადასასვლელში. ძალიან არამუსიკალურად გაჰყიოდა ამ სიტყვებს. ამრეზილი გრძნობა გამიჩნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი გაპრანჭული სენტიმენტალობის მიმართ. მან კი, როცა მის წინ ჩავიარე, გაიფიქრა: რატომ იბადებიან ამისთანა გამოცივებული და უგრძნობელი ტიპები.

**14.**

მასწავლე გადამეტებული მგრძნობელობა. მასწავლე, მიყვარდეს ცუდი სამშობლო, ცუდი კაცობრიობა, ცუდი ადამიანები. მასწავლე, რომელიმე კუთხიდან ვიყო და იმ კუთხეზე ვგიჟდებოდე. უხეში, ტლანქი, ჩლუნგი, ცბიერი, გარყვნილი, ნაძირალა, მოძალადე, გლახაკი ადამიანებისგან შემდგარი კაცობრიობის მოდგმიდან ვარ და ამ კაცობრიობაშია ის ქვეყანაც, რომელსაც სამშობლოს უწოდებენ. მასწავლე, კარგი მეგონოს ის, რაც ცუდია, ლამაზად ვხედავდე მახინჯს, კეთილად ვხედავდე ბოროტს, უნაკლო ადამიანად აღვიქვამდე საკუთარ თავს, ანუ თვითდარწმუნებული იდიოტი ვიყო.

მხოლოდ ერთი უბრალო რამ უნდა ითხოვო-მეთქი, გითხარი. აი, მაგალითად, მხოლოდ იდიოტად ყოფნას თუ ითხოვ, სიამოვნებით შეგისრულებენ თხოვნას.

**15.**

მასწავლე ცხოვრება. - ვეუბნები სამყაროს განუსაზღვრელ სიბრძნეს, წესრიგს და ენერგიას. არ ვიცი ცხოვრება. მიკვირს, ცხოვრება რომ იციან. საიდან და რანაირად უნდა იცოდეს ცხოვრება, თუ პირველად მოხვდი მიწაზე. როგორ უნდა იცოდე ცხოვრება, თუ ყოფიერება მუდმივად იცვლება და ყოველ მორიგ ათწლეულში ახალი და მოულოდნელი ვითარება იქმნება. მიკვირს, თვითდარწმუნებულად და პროფესიონალურად რომ იბრძვიან არსებობისთვის. ისე ოსტატურად იპარავენ, ძარცვავენ, ჩაგრავენ, ღალატობენ, ზურგში დანას ურტყამენ, ტყუიან, გაიძვერობენ, ფარისევლობენ, მლიქვნელობენ, კარგი სიტყვებით და იდეებით ნიღბავენ თავიანთ ნაძირლობას, რომ ძალიან არ ვიცი ცხოვრება. არც მინდა, ვიცოდე არსებობისთვის პირუტყვული ბრძოლა, იგი დამამცირებელია. აი, გენიალური დაცენტვრისთვის და ჩვეულებრიობის წრის გარღვევისთვის ბრძოლა კი სხვა არი. თუმცა ეს ბრძოლა არ არის, ეს შთაგონებაა.

ნუ გიჭირავს გენიოსის, ნუ ატყუებ ხალხს.

არ ვიცი ცხოვრება. არ ვიცი სამშობლოს სიყვარულის აკვიატებით ფულის და თანამდებობის მოპოვება. არ ვიცი ძალაუფლების და სახელის მოხვეჭისთვის სიაბანდი პატრიოტიზმი. არ ვიცი პირადი კეთილმოწყობისთვის სამშობლოს გამოყენება. მგონი, სულ ტყუილად ავიმრიზე ქუჩის მუსიკოსის სიტყვებზე: „ცივა ჩემს სამშობლოს, პალტო მოახურეთ“. მგონია, არც მაგან იცის ცხოვრება. თუმცა არსებობისთვის მაინც იბრძვის. ხურდა ფულზე ყიდის სამშობლოსადმი თავის გატყლარჭულ, კეკლუცცრემლიან სიყვარულს. არა, ნამდვილად არ მომწონს ქუჩის მუსიკოსის ჭყიპინა ხმით წამღერებული „ცივა ჩემს სამშობლოს, პალტო მოახურეთ“. ღმერთო ჩემო, რა დორბლიანი და თვალთმაქცი სისულელეა! მაგრამ სისულელე გადამდებია და, მგონი, საცაა გუნებაში წავიღიღინებ: „ცივა ჩემს სამშობლოს, პალტო მოახურეთ“. რა ადვილად მოვექეცი ამ იდიოტობის გავლენაში. ნამდვილად არ ვიცი ცხოვრება, ძალიან არ ვიცი.

**16.**

არ ვიცი ადამიანებთან, მოვლენებთან, საგნებთან და პერიოდებთან დამშვიდობება, მაგრამ მთელი ცხოვრების განმავლობაში ვემშვიდობები მათ. ისე ცბიერად და საიდუმლოდ გამომგლიჯა ყოფიერების ცვალებადობათა კანონმა ბავშვობის პერიოდი, რომ მეტი გზა არ იყო - უნდა დავმშვიდობებოდი მას. თუმცა ეს დამშვიდობების გარეშე მოხდა. ის კი არა, ხალისითაც კი გავხდი ჭაბუკი. არც ჭაბუკობის ასაკთან ვიცოდი განშორება, მაგრამ იძულებული გავხდი, განვშორებოდი. ასევე ჩემდაუნებურად ცხოვრების ცვალედობათა ძალის მოქმედებით დავემშვიდობე დედის ახალგაზრდულ სახეს. მის ღიმილს და იმას, რომ დაძახების საპასუხოდ ჩემკენ მოაბრუნებდა სახეს და თვალებს. სად არის ახლა ის სახე, რატომ იყო, რატომ გაქრა, რატომ იმეტებს ასე სასტიკად სამყარო თავის შექმნილ მშვენიერ მოვლენებს და საგნებს, რატომ სპობს მათ, მოდი და გაერკვიე, რაშია საქმე. არა, ნამდვილად არ ვიცი ცხოვრება. ხანდახან, როცა ვწევარ და ყოველივე იმაზე ვფიქრობ, რასაც სამუდამოდ დავემშვიდობე, მეჩვენება, რომ საფლავის ცოცხლად ჩაფიქრებულ ქვასავით ვდევარ ჩემს სიკვდილზე.

გულს მტკენს ცხოვრება. მიხარია ცხოვრება. მწყინს, რომ ცხოვრების ვერაფერი გავიგე. იმიტომაც ვაქეზებ ჩემს თავს და ვიძახი: მიდი, აიშვი თავი, გაალვიძე შენი ნიჭები და გენიალობები, განთავისუფლდი გულისმომკვლელად მოსაწყენი ჩვეულებრიობისგან, ყოფიერების ცვალებადობისგან, გააფრინე, დაიცენტრე, გაარღვიე ნორმალურობის, ანუ რიგით და ჩლუნგ ადამიანად ყოფნის წრე, ჩაწვდი სიღრმეებს, აღმოაჩინე სამყაროს მშვენიერების თანაფარდი ხედვა, აღქმა, აზრი.

ნუ ფაფხურობ, მტვერი ნუ დააყენე.

მასწავლე, ფეხი ავუწყო სამყაროს გიჟურ ენერგიას. მასწავლე ცხოვრება მთელი არსებით. მასწავლე, დავიბრუნო, რაც დავკარგე. ოდესღაც მწამდა, რომ სამართლიანობა გაიმარჯვებდა და კეთილი ძლევდა ბოროტებას. მასწავლე კვლავ მჯეროდეს ამისი. ნუ დამარწმუნებ, რომ ფული ძლევს ყველაფერს, ნიჭსაც, ზნეობასაც და გენიალურ დაცენტვრასაც. ნუ დამარწმუნებ, რომ სიცოცხლის მთავარი სტიმულატორი სექსია. მაპოვნინე ყოფნის აზრი. მაპოვნინე ჩემი სული.

შენ თუ ბუდეს არ აპოვნინებ, არაფერსაც არ გაპოვნინებენ. არ იცი დანაკარგის პოვნის თამაში.

არ ვიცი ცხოვრება. არ ვიცი დამშვიდობება და მაინც მთელი ცხოვრება დამშვიდობებაში გავატარე. არ ვიცი, როგორ უნდა ვიწუხო, მაგრამ უამრავი რამ მაწუხებს.

ნუ გიჭირავს თოთო ბავშვის. მშვენივრად იცი წუხილი. აი, სიხარული კი, მგონი, მართლა არ იცი.

მთელი ცხოვრების განმავლობაში მემშვიდობებიან ადამიანები. უკვალოდ ქრებიან საგნები და მოვლენები. იმედგაცრუების ნაღვლიან ფსკერზე იძირებიან ღირებულებები და თვალსაზრისები, მრწამსები და ხალისები, რომლებიც დროის ცვალებადობათა ძალამ ილუზიებად აქცია. რა უფლებით ვთქვა, რომ სამყარო იმახსოვრებს და ინახავს ყველა დამშვიდობებას, თუ არაფერი ვიცი ამის შესახებ. ყველაფერი იკარგება. თითქოს ცხოვრება მხოლოდ კარგვა იყოს. მთელი ცხოვრების განმავლობაში მიდის დრო. ერთი ადამიანი ამბობს, თითქოს დრო საერთოდ არ არსებობს. მაშინ რა იქნა ყოველივე ის, რაც იყო და აღარ არის. მაგრამ ჯერ ყოფნა და მერე გაქრობა წუხილით იზომება და არა დროით.

ნუ პოეტურობ. ნუ ცდილობ ჩემი გულის გალღობას.

იცვლებიან და იკარგებიან ნაცნობი სახეები, ხედები, სივრცეები. უამრავი ისეთი ადამიანი არსებობს, რომელთაც რატომ შევხვდი, არ ვიცი. წამიერად გამოჩნდებიან და ქრებიან. ზოგჯერ გინდა, იყვირო: - დამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცადეთ ბოლოსდაბოლოს, კარგად დამანახეთ, რასაც ვხედავ. მაგრამ ვინ დაგაცლის იმასთან ყოფნას, რაც ქრება. საკუთარ თავთანაც არ გაცლის ცვალებადობათა ძალა ყოფნას. თვითონ მეც წამიერად გამოვჩნდი და დავიკარგე ბევრისთვის. ჩრდილების გაუთავებელ სხლტომას და მოჩვენებითობას ჰგავს ყოფიერება არც ერთი წამი არ არის, დრო არ გადიოდეს. არც ერთი წამი არ არის, რაღაცას არ ვკარგავდე.

17.

შენ სული არა გაქვს. - მეუბნება ახალი დრო. შენ შემთხვევითი არსება ხარ. ადამიანის ყოფიერება სექსუალური აბსურდია. შენ ნაბიჭვრული ეპოქის წარმომადგენელი ხარ. შენს დროში არავის შეუძლია, სხვაზე მეტი იყოს რაიმეთი. ადამიანის ბუნების ხარისხები მხოლოდ ფულით, ძალაუფლებით, ტექნიკური აპარატებით და სექსუალური აღტკინების უნარით ამოიწურება. დაეცნენ ტრადიციული ხარისხები: სიკეთე, თანაგრძნობა, სხვისი გაგების შესაძლებლობა, სიყვარული, ნიჭი, გენია. უნიჭოები და ჩლუნგები გაერთიანდნენ და მასობრივი უმრავლესობის უპირატესობა შექმნეს. გენიალური დაცენტვრა რომ შეძლო კიდეც, ჩვეულებრიობის და მასობრიობის წრეს მაინც ვერ გაარღვევ. შენს ეპოქას წინ ვერ გაუსწრებ. ვერაფრით გამოირჩევი, შენს უბადრუკობას ვერ გადაახტები. - მაგიჟებს თავისი უარყოფითი შეგონებებით ახალი ეპოქა. შენ იღუპები. შენ არ იღუპები. შენ იკარგები. შენ არ იკარგები. შენ არარაობა ხარ. შენ რამე ხარ. - ასეთი წინააღმდეგობრივი რიტმით გადის დრო.

18.

მასწავლე, არ ავყვე ჩვენს ეპოქას. მასწავლე, სული მქონდეს. სული რომ გამაჩნდეს, ყოფიერების ცვალებადობა და წარმავალობა სხვა აზრს შეიძენდა. ჭეშმარიტების და მარადიულობის ქვეტექსტი აღმოაჩნდებოდა. მასწავლე, არ ავყვე ჩვენს ეპოქას, შემთხვევითობის თეორიას, სექსუალური გაშმაგებით თვითშეზღუდვას, ტექნიკური აპარატებით გამოთაყვანებულ და ილუზიურ კეთილმოწყობას. მასწავლე, წინასწარ ვიგრძნო უკეთესი მომავალი ეპოქა. მასწავლე, იმ ეპოქის წარმომადგენელი ვიყო.

- სულელია ეს კაცი. - ფიქრობს ჩემზე პატარა მაღაზიის კედელთან მეფურად მიწოლილი ძაღლი. - რაში ხარჯავს სიცოცხლის ენერგიას!? არ ესმის სიცოცხლის ფასი. სიცოცხლეზე დიდ ფასეულობას ეძებს.

19.

მაგრამ პატარა მაღაზიის კედელთან მიწოლილმა ძაღლმა არაფერი იცის ქმედების ყინის შესახებ. ქმედების ყინი, მითუმეტეს, გენიალური ქმედების მოთხოვნილება დაავადებასავით არის. გეჩვენება, რომ რაღაც აუცილებლად უნდა გააკეთო. გეჩვენება, რომ რამე თუ არ გააკეთე, იღუპები. იკარგები, იძირები. ამიტომაც ვაქეზებ ჩემს თავს: მიდი, აიშვი თავი, დაიცენტრე, გააფრინე. გაარღვიე გულისმომკვლელად მოსაწყენი და მარტივი ჩვეულებრიობის წრე, გააკეთე რამე გენიალური, გაბრწყინდი.

ამაოდ იძაბები. გენიების დრო ისტორიას ჩაბარდა. ახლა მასობრივი გამოთაყვანების დროა. შემოქმედებითი ნევროზი გაქვს. გინდა, რაღაც გამორჩეული გააკეთო და ვერ აკეთებ. ამპარტავნული ამბიციიდან მოდის შენი იპოხონდრიული განწყობილება.

გენიალური დაცენტვრა და შთაგონებით ყოფნა თუ არ შეიძლება, სინანული მაინც მასწავლე.

20.

ვნანობ, რომ ვერ ვგებულობ, რაშია საქმე. ვნანობ, რომ ყველაფერი წამიერად გამოჩნდება და უმალ ქრება. ვნანობ ყველა ჩამქრალ თვალებს, ყველა იმედგაცრუებულ ხალისს, ყველა მასხრადაგდებულ და ჩახშობილ აღმაფრენას, შთაგონებას, გენიალურ დაცენტვრას. ვნანობ, რომ ყველაფერი მიდის, ქრება, იცვლება, იკარგება. ვნანობ, რომ ყველაფერი მეშვიდობება. ვნანობ, რომ ამჟამინდელი ეპოქა შთაგონებას მიკვეცავს. აი, ვწერ სინანულს, მაგრამ ვიცი, რომ ამაოა ეს ცდა. როგორც ყველაფერი, მხატვრული გამოვლინების ფორმაც იცვლება. ხვალ ნაკლებ საინტერესო იქნება დღევანდელი მხატვრული ენა, დღევანდელი სინანული, გაბრწყინების დღევანდელი ცდა.

21.

- შენ არაფერი ხარ. - მეუბნება ახალი დრო.

- შენ გამოსყიდული ხარ ჩემი ჯვარცმით. ნუ გეშინია. - მეუბნება იესო ნაზარეველი.

- შენ შემთხვევით წარმოშობილი არსება ხარ.- მეუბნება ათეიზმი.

- შენ სექსუალური ლტოლვა გმართავს. - მეუბნება სექსუალური რევოლუცია.

- ფულია მთავარი.- მეუბნება პრაგმატიზმი.

- ძალაუფლებაა მთავარი. - მეუბნება პოლიტიკა.

- ცივა ჩემს სამშობლოს, პალტო მოახურეთ. - მიმღერის ქუჩის მუსიკოსი.

- შენ იღუპები. შენ არ იღუპები. შენ იკაგრგები. შენ არ იკარგები. - ასეთ რიტმში გადის დრო.

ყოველივე ამის ზეგავლენას განვიცდი ერთდროულად.

გითხარი, ფრჩხილის კვნეტის წიკივით ნევროზი გაქვს-მეთქი.

22.

არ ვიცი, რატომ განვიცდი ეპოქის ზეგავლენას, თუ არ მომწონს იგი. რატომ იმეორებს ჩემი გონება ეპოქის შეგონებებს: ტექნიკა და არა თანაგრძნობა. არსებობისთვის სისხლიანი ბრძოლა და არა ზნეობა.

არ ვიცი ცხოვრება. არ ვიცი დამშვიდობება და განუწყვეტლივ მემშვიდობებიან საგნები, მოვლენები და ადამიანები. არ ვიცი დაღუპვა, მაგრამ გამუდმებით ჩამესმის: შენ იღუპები, შენ არ იღუპები.

ნუ გიჭირავს თითო ბავშვის. - მეუბნება ეპოქა დამცინავი ქირქილით. რა ხარ ასეთი ჩლუნგი, რომ არაფერი იცი.

არ ვიცი ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ ჩემში ქმედების სისტემამ იცის, როგორ უნდა მოხდეს ეს. არ ვიცი თვალებიდან გამოხედვა და სამყაროს დანახვა, მაგრამ რაღაცნაირად მაინც ვახერხებ ამას. გონებამ ჩემს ჩაურევლად იცის, როგორ უნდა დაინახოს. არ ვიცი ფიქრი იმის შესახებ, რაც დავინახე, მაგრამ ვფიქრობ. გონებამ ჩემდა უნებურად იცის ფიქრი.

არ ვიცი სიტყვის თქმა და ვამბობ. არ ვიცი წერა და ვწერ. არ ვიცი სიყვარული და მიყვარს. ჩემმა გრძნობებმა და გონებამ ჩემი ნების გარეშე იციან, როგორ უნდა შეიყვარონ.

საკვირველია, როგორ არსებობს ასეთი უცოდინარი. თავს იკატუნებ, რომ არაფერი იცი, სინამდვილეში კი მთავარი რაღაც იცი. იცი, როგორ უნდა ენდო შენში თავისთავად არსებულ ქმედების სისტემას და ნაბიჯის გადადგმის უნარს. თვალებიდან გამოხედვის და სამყაროს დანახვის უნარს, ყოველივე დანახულზე ფიქრის უნარს, შეყვარების უნარს და ა.შ.

ღმერთმანი, არ ვიცი, როგორ უნდა ვენდო ჩემში

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისთავად არსებულ უნარებს, ნიჭებს და ცოდნებს, მაგრამ ჩემდა უნებურად ვენდობი. არ ვიცი, როგორ შევიგრძნო ჩემში თავისთავად არსებული ჩემი თავი, მაგრამ ვგრძნობ. იქნებ, ჩემი ცნობიერების გარეშე იცის ჩემი შინაგანი სამყაროს სისტემამ, რომ დროთა ცვალებადობაში არსებობს რაღაც ისეთი, რაც მუდმივია, უცვლელია, მარადია და მხოლოდ ამ ფენომენით იზომება ადამიანის ხარისხი და არა ცვალებადი ეპოქების ზეგავლენებით. იქნებ, გაუცნობიერებლად ვიცი ცვალებადობის ძალასთან ბრძოლა, მაგრამ არ ვიცი, რომ ასეა.

არ იცი საზოგადოებაში მოქცევა. უნდა დამალო, რომ არაფერი იცი. არ უნდა ილაპარაკო ამის შესახებ. ისიც გაუგებარია, რა ნახე ისეთი, რომლის შეცვლა ან გაქრობა არ გინდოდა. ამჟამინდელი დემოკრატიული ქაოსის დრო არ მოგწონს. არც „ბოროტების იმპერიის“ ხანა მოგწონდა. დაკარგული ადამიანის სტატუსი არჩიე ბოროტების იმპერიის მორჩილ მსახურად ყოფნას. ახალ დროში ბევრმა გმირობად გაასაღა „ბოროტების იმპერიით“ უკმაყოფილება, თუმცა უკმაყოფილონი ბევრნი არ იყვნენ, ცოტანი იყვნენ. გეცინება ამ „გმირებზე“, შენ სულ სხვა რამ გიტაცებს. სიმარტივედ და ჩლუნგობად მიგაჩნია მათი პოლიტიკური ფაფხური, ანუ ძალაუფლებისთვის ბრძოლა. თვლი, რომ სწორედ ეს აჩვეულებრივებს ყოფიერებას. შენ გენიალურ დაცენტვრას, შთაგონებას, ჩვეულებრიობის და ნორმალურობის წრის გარღვევას ესწრაფვი, მაგრამ მასობრივი კულტურის ბატონობის პირობებში ეს შეუძლებელია. უეპოქო ადამიანად იქეცი. მაგრამ რას ერჩი ჩვეულებრივებს? იქნებ, მილიონობით ჩვეულებრივი ადამიანის მასობრივი თვითგამოვლენის საშუალება უფრო გენიალური მოვლენაა, ვიდრე ერთი-ორი კაცის ნიჭით გაბრწყინება.

23.

მასწავლე, ყოველდღე აღმოგაჩინო და განვცვიფრდე შენი სიბრძნით. - მივმართავ ღმერთს. მასწავლე, შენზე ფიქრით გავბრწყინდე და ავიცდინო ამჟამინდელი ეპოქის ზეგავლენები. - მივმართავ ღმერთს, მაგრამ არ ვიცი, ესმის თუ არა ჩემი.

24.

ვნანობ, რომ ვერ დავიცენტრე გენიალურად და ვერ გავარღვიე ყოფიერების ჩლუნგი ჩვეულებრიობის წრე. ვნანობ, რომ ვერ გავბრწყინდი. ვნანობ, რომ ვერ გავსუფთავდი, რომ ვერ განვიწმინდე და ვერ მოვიპოვე უფლება, მწამდეს, მიყვარდეს და ვპატიობდე. ვნანობ ჩემს სიბრაზეს და სიანჩხლეს, მოუთმენლობას და ურჩობას აზრდამალული საგნებისა და მოვლენების მიმართ. ვნანობ ჩემს განაწყენებას ადამიანებზე; ვნანობ, რომ ვერ ვპატიობ მათ განსხვავებულობას, სიმარტივეს, ზერელეობას, გაბოროტებას, არსებობისთვის ყველა საშუალებით ბრძოლას; ვნანობ, რომ სამყარო ისეთი ვერ შევიყვარე, როგორიც არის; ვნანობ, რომ მინდა, გაცილებით მეტი ვიყო, ვიდრე ვარ. ვნანობ, რომ ვნანობ ყოველივე ამას, რომ ვერ შევძელი, განვერიდო შინაგან ფორიაქს; რომ ვერ შევძელი, სადმე მიყრუებულ კუთხეში დავჯდე და გაოგნებული მივაშტერდე გაუგებარ საგნებს და სივრცეს. ვნანობ, რომ არ შემიძლია, ვიყუჩო და არაფერი მოვითხოვო. მაგრამ სიცოცხლის ენერგიას რა ვუყო? იგი არ მაცლის დანებებას, ხელის ჩაქნევას, გაყუჩებას. კატეგორიულად შემაგონებს: მიდი აიშვი თავი, დაიცენტრე, გააფრინე, ჩაწვდი აზრდამალულ სიღრმეებს, გაბრწყინდი, გაარღვიე მომაკვდინებლად მოსაწყენი ჩვეულებრიობის წრე! როგორ უნდა შევასრულო ეს რთული დავალება? რა ვქნა, არ ვიცი. არ ვიცი, როგორ ვიცხოვრო გენიალურად, თუკი სამყარო მომდევს მოსაკლავად. სამყარო მომდევს მოსაკლავად თავისი ველური, შეუგნებელი სტიქიებით, ვულკანებით, მიწისძვრებით, მეტეორებით, გრიგალებით, მატერიის ცვალებადობის ძალით, ყოფიერების უსამართლობებით და აუწყობლობებით, ადამიანში განხორციელებული ბოროტებით და ძალადობით, ომებით ბირთვული იარაღით, ტექნიკური აპარატებით და უღმერთო თეორიებით. სად შევაფარო თავი, არ ვიცი. სად არის სამყაროსგან გასაქცევი.

შენ, მგონი, მართლა დაიცენტრე. რა გამოთქმაა „სამყარო მომდევს მოსაკლავად“. ასეთი უმადურება სამყაროს მიმართ ჯერ არ მსმენია. იმას რატომ არ ამბობ, რომ სამყაროსაც ისევე გაუცნობიერებლად ენდობი, როგორც შენში არსებულ ავტომატურ უნარებს და ნიჭებს, ხედვის გრძნობის და ფიქრის შენი ნების და ჩარევის გარეშე ქმედებებს. მარტო ინტუიცია, წინათგრძნობა და დროული მიხვედრილობა რად ღირს!

რა თქმა უნდა, მიყვარს სამყარო. მის თითოეულ სხივს, გამობრწყინებას და გამონათებას ვეთაყვანები. მის თითოეულ წყალს ვსვამ. მის ყველა მყუდრო ცეცხლთან ვზივარ და ვფიქრობ: რა კარგია საღამოობით ცეცხლთან ჯდომა და სამყაროს იდუმალი ამბების ალღოებით ქექვა. მის ყველა ფოთოლს ვუსმენ, როცა შრიალებენ. არ ვიცი, სად მიდის ბილიკი და მაინც მივდივარ მასზე - განა ეს დიდი ნდობა არ არის. არ ვიცი, რა არის სიკვდილი. ერთხელაც არ განმიცდია იგი, საფლავების და უსიამოვნო გვამების სახით აღვიქვამ მას, მაგრამ მაინც იმედით ველოდები ჩემს სიკვდილს. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ტანსმოურგებელი, ვიწრო სამოსივით მაცვია სხეული სულზე. თითქოს პატარა ფეხსაცმელივით მიჭერს სულზე სხეული და კარგად ვერ დავდივარ, კარგად ვერ ვხედავ, კარგად ვერ ვფიქრობ. მაგრამ აი, მოვკვდები და ბოლოსდაბოლოს გაიხდის ჩემი სული სხეულს, როგორც მოუხეშავ სამოსს. „დედიშობილას“ მსგავსად თუ ვიტყვი სამყაროსშობილად იარსებებს ჩემი სული უხილავ და იდუმალ განზომილებაში. განა ეს სამყაროს ნდობა არ არის. შენ კიდევ არ იცი, როგორ მიყვარს სამყარო, ჩემს თავზე უფრო ვენდობი მას.

ო, ეს ორბუნებოვანი ურთიერთსაპირისპირო შეგრძნებები: თან იმას იძახი, რომ სამყარო მოსაკლავად მოგდევს და თან იმას ამბობ, რომ სამყაროს გარეშე ერთ წუთსაც ვერ ძლებ. ნუ შფოთავ. დაწყნარდი. გახდი ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანი. ნუ იკვნეტ ნერვიულად ფრჩხილებს, უზნეო ჩვევაა. ჩადექი ჩვეულებრივების უზარმაზარ ბრბოში და მისი ინსტინქტებით იმოქმედე. როცა ბრბო ცეკვას დაიწყებს, იცეკვე გაშმაგებით. აჩვენე, რომ შენც შეგიპყრო საყოველთაო ფსიქოზმა. როცა ბრბო იტირებს, შენც იტირე. როცა ვინმეს აითვალწუნებს, შენც აითვალწუნე. როცა განრისხდება ბრბო და ამოიბღავლებს ძირს პრეზიდენტიო, შენც იბღავლე - ძირს! ნუ ცდილობ, დაუსხლტე საყოველთაო ფსიქოზს. ნუთუ ვერ ხედავ, რომ რაიმეს წერა და კეთება და გენიალური დაცენტვრა ისევე ჩვეულებრივი მოვლენაა ადამიანისთვის, როგორც სექსუალური აგრესია, ძალადობა, ღალატი, განხეთქილება და სხვა ამისთანა უარყოფითობები. როგორ აპირებ ადამიანად ყოფნის წრის გარღვევას, რა სიგიჟეა. როგორ გინდა, დაუსხლტე შენს თავს, შენს ცვალებად „მე“-ს და განწყობილებებს, შეხედულებებს და სისულელეებს.

დაგიჯერებდი და ბრბოში ჩავდგებოდი, მაგრამ სიცოცხლის ენერგიას და ქმედების ჟინს რა ვუყო. რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვქნა, თუ, ვიღუპები, მგონია, როცა არაფერს აზრიანს და გენიალურს არ ვაკეთებ.

ჩამოდი ამპარტავნების ამბიციური ტახტიდან. ჩადექი ბრბოში და პირობას გაძლევ, რომ შენი საფლავის ქვაზე ასეთ ეპიტაფიას ამოვაკვეთინებ:

„სამყარო მოსაკლავად მისდევდა, მაგრამ სწორედ სამყაროს სიყვარულით დაიცენტრა და მოკვდა“.

**25.**

- სულელია ეს კაცი. არ იცის სიცოცხლის ფასი. რა უნდა იყოს სიცოცხლეზე უფრო გენიალური. - ფიქრობს ჩემზე პატარა მაღაზიის კედელთან მეფურად მიწოლილი ძაღლი.

**26.**

„ცივა ჩემს სამშობლოს, პალტო მოახურეთ“. - აი, ხომ ვთქვი, რომ წავიღიღინებდი ამ სისულელეს. ინფექციასავით გადამედო ქუჩის მუსიკოსისგან ეს თვალთმაქცი, კეკლუცცრემლიანი სიტყვები. ასეთი უგემოვნებობის გავლენაში თუ ასე იოლად ექცევი, ეპოქის მეცნიერული და ობიექტური სისულელეების გავლენაში რამდენად უფრო მძლავრად მოექცევი. დაივიწყე ქუჩის მუსიკოსი, აღარ გაიმეორო მისი სიტყვები. მაგრამ საქართველოს მართლაც რა ვუყოთ. ერთი თხელი პალტო ნამდვილად ვერ გაათბობს. როგორ გასწვდება ერთი გაქუცული პალტო ამდენ შეციებულს.

რიგრიგობით მოიხურონ.

ნუ მასხარაობ. დაივიწყე ეგ იდიოტური პალტო. პალტო ჩამქრალ გულებს ვერ გაათბობს.

ვნანობ, რომ ვერ ვიპოვე ეპოქის ბნელი ვითარებიდან ნათელი გამოსავალი. ვნანობ, რომ ვერ გამოვიგონე გულის გასათბობი და სულის გამაღვივებელი პალტო.

რას მიედ-მოედება ეს კაცი. - ფიქრობს ჩემზე პალტოს მკერავი.

მასწავლე გავბრწყინდე. მასწავლე, სიცოცხლის და სულის გამაღვივებელი სხივები გამოვაფრქვიო ხელისგულებიდან და თითებიდან, თვალებიდან და პირიდან.

ნესტოებიდან დაგავიწყდა.

- საწყალი! დაიცენტრა. - ფიქრობს შენზე სკეპტიკოსი.

ნუ დამცინი. ეს ისე ვთქვი, შეუძლებელისადმი ტრფიალის გამო. სიტყვამ მოიტანა.

**27.**

- შენ არაფერი ხარ. - მეუბნება ახალი დრო.

- შენ გამოსყიდული ხარ ჩემი ჯვარცმით, ნუ გეშინია. - მეუბნება იესო ნაზარეველი.

- შენ შემთხვევით წარმოშობილი არსება ხარ. - მეუბნება ათეიზმი.

- შენ სექსუალური ლტოლვა გმართავს. - მეუბნება სექსუალური რევოლუცია.

- ფულია მთავარი. - მეუბნებიან პრაგმატიზმი და რეალობა.

- ძალაუფლებაა მთავარი.- მეუბნება პოლიტიკა.

- ცივა ჩემს სამშობლოს, პალტო მოახურეთ. - მიმღერის ქუჩის მუსიკოსი.

- შენ იღუპები, შენ არ იღუპები. შენ იკარგები. შენ არ იკარგები. - ასეთ რიტმში გადის დრო.

ყოველივე ამის ზეგავლენას განვიცდი ერთდროულად.

გითხარი, ფრჩხილის კვნეტის წიკივით ნევროზი გაქვს-მეთქი.

2003 წ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზეინაბ მეტრეველი

## მიქელანჯელო

(ლექსი პროზად)

სრულქმნაში სევდის ნიშატი რჩება, სრულყოფილების ნათელი სევდა, რაიც ამქვეყნად ყველა სიხარულს გაოცებებით აუხელს თვალებს...

უკოცნი ხელებს ხილვის მოირებს და გეჩვენება, ფრთათა შრიალით და ატირებულ სულის ღუღუნით არარსებობას გაითავისებ, რომელშიც სრულქმნა უფრო მეტია, ვიდრე არსობის სახიერება.

გიყვავის თვალში მზერათა ბალბა და გაოცების სოველ ყვავილებს კრძალული დახრით გიჭრის წამწამი, სულის იისფერ საყვავილეში ამაოება რომ არ გამწვანდეს.

გაზაფხულები ასე მოდიან, ასეა მუდამ, როდესაც თრთოლით, ბალახთა თითთა ნაზი შეხებით აგიმღერდება ძველი საფლავი, სადაც დამარხე ერთ დროს შენი „მე“, რომელს სახელსაც არც კი ეძახდი...

უშობელ ჟამთა ძველ სასაკლაოს ჯერ ისევ ასდის სისხლის სისხამი, კაცობრიობამ რომ გაითენა, რაღაც სინათლით სავსე დილები თუ მათი მსგავსი...

ეჰ, ღმერთმა უწყის, რატომ ტყუიან სიმართლეები ასე გულდასმით, როდესაც უგნურ მოკვდავთ სჭირდებათ, ბნელი ნათლად რომ წარმოგვიჩინონ, რათა სიცოცხლის უძირო მადა კვლავ ამოივსონ ქაფქაფა სისხლით.

უგნურებაში დათმენის ხერხებს შეცოდებებით ხვეწენ მოკვდავნი, რათა შენდობა და მოწყალება მხოლოდ ღირსების მონად აქციონ. არ ითქმის სიტყვით ასე ნაფიქრი, როდესაც სულში ლექსის ტბორია და შიგ მუხლამდე ჩამდგარი ვნება უცოდვილობის კვართს აფრიალებს, რათა მოკვდავთა მიერ შეთხზული დღესასწაული აახმაურონ და უწმინდურთა ამაოება წმინდანად ქცევის ქმნან მარტვილობად.

სრულქმნა? ამ ხიბლით სულს ვერ განაძღობ, თუ დიდებასთან ოდესმე მისულს არ დაგმშვენდება გვირგვინი ეკლის...

●●●

ბედი არ იყო ისეთი მკაცრი, როგორც მზე იყო ჩემს საწუთროში, ცხელი და გრძელი მკლავები ჰქონდა ან რა ეთქმოდა მღიმარს ყოველთვის, მაგრამ ჩემდამი ყელზე შემოქმნის სურვილი მაინც არსად ჰქონია.

სხვა არის, როცა შენ გიყვარს არსი კაცად ყოფნის და საწუთროს ზიდვის, მაგრამ, უფალო, სხვა ტკივილია, ამ საწუთროში თუ ვერ ეტევი...

ორი ნაბიჯით მოზომავ საფლავს, შენი წუხილის დასატევ ადლსაც, მაგრამ, როდესაც არ იცი მართლა, რაოდენია ნაბიჯის სიგრძე, რაშიც მოკვდავი ასე თუ ისე უნდა შესძლებდეს თავის ჩატევას, ვერსად მონახავ მისხალს შვებისას, თუ იგი ქვეყნად არსად არსებობს.

ბედნიერია, ვინც არსი იცის ჭეშმარიტი და ღრმა მწუხარების, ის, ვინც ერკვევა ცნებების არსში, საგნებსაც კარგად მოიმსახურებს, ღირსებას ვინც ფლობს დუმილის, სიტყვის, მას უსათუოდ ბრძნად შერაცხავენ, თუნდ ბატონობდეს მასზე სიგიჟე...

თავის დაჭერა სავსე ტაბლასთან, სადაც ქებათა დანით გრანდავენ, ბევრად ადვილი და დროულია, ვიდრე ის ცოდნა, რაიც გაკავებს, ცოტაოდენი შენთვის მონახო დროში, რომელიც არ არის შენთვის.

თუ შეგიძლია, სესხი აიღო, იმაზე კარგად, ვიდრე გადიხდი, ნამუსს არასდროს დასდებ გირაოდ, რადგან ნამუსი უფრო მძიმეა, ვიდრე გონების დირეზე აზრი.

სიცოცხლის დღეებს ფულივით ითვლი მაშინ, როდესაც ვაჭრობ ყველაფრით, აზრით და სიტყვით, სულით და ნიჭით, რადგან ცხოვრების დახლს ქვემოთ სულ გაქვს სინდისის ძონძი გადანახული.

მე კი, რაც მსურდა, არ იყო არსად, არც არსაითი იყო საითმე და მოდიოდნენ გზები სულ ჩემკენ, ჩემგან კი... ერთი მათგანიც არ წამოსულა, არც დამკარგვია. ამიტომ ქვეყნად თუ რამ ვიპოვე, ეს იყო ნიჭი თვითგვემის, ტანჯვის, რომელიც მუდამ ერთგული მყავდა.

ეჰ, საამბობი, ალბათ ბევრია, მაგრამ მე მაინც იმით დავიწყებ, რითიც დამთავრდა სიცოცხლე ჩემი - ეს მერამდენე სიკვდილ-მოვლენით...

ვიბადებოდი უფრო ადვილად, მაგრამ ყოველთვის მძიმედ ვკვდებოდი, რადგან სიკვდილში სული უბნობდა, ხოლო სიცოცხლეს, ენად გაკრეფილს, მუდამ ლხინების სუფრა ენება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე კი... სად მქონდა ჟამი მოლხენის. ჰოდა, ამიტომ მთვარეზე ადრე ვკვდებოდი სავსედ და გადაღვრილი. ხოლო მზეები, კუშტად მზირალნი, ყოველ რიჟრაჟზე კაპასი ტონით შემომძახოდნენ: „ბუონაროტი, ისევ სურვილობ ქვეყნად გაჩენას?..“ და როს ჩურჩულით ამოვძახებდი: „დიახ, ვსურვილობ“, ხორხოცითა და შლეგურ ხარხარით ტანებს იმსხვრევდნენ პადუის მთები.

მე კი, სურვილი იმიტომ მქონდა, არა მქონოდა სხვა არაფერი... და სიცოცხლესაც ღმერთს მისთვის ვთხოვდი, მარტო ნიჭად და წყევლად მყოფნოდა დაუსაბამო სიკვდილი ჩემი.

მიწაზე თითით ვხატავდი მზეებს, ეგებ მომედო რისხვა ნათელის და შემოსწრებულ მამის მუშტიდან ტანზე ვივლებდი ცრემლსა და ფერებს.

თვითგვემის რონინს ვუსმენდი ტანით და სულის კალმით ვიწერდი ნოტებს, რათა ფერების ძველი ორკესტრით ამომეღერლა უფლისთვის „მესსა“.

ქვეყნად გაჩენას განა რა უნდა... სამოთხის ბჭიდან გასული მდედრი განა რას სთხოვდა მამრს შურისგებად საწუთროსადმი და უფლისადმი თუ არა ჩემებრ კაცთა მოვლენას...

ჩამოძერწილი მე არ ვყოფილვარ... ლეღვის ხის ძირში, სადღაც აქ ახლოს, მტვრიანი გზების ცოტა გადაღმა, ჯოჯოხეთისკენ მიმავალ ბილიკს, სადაც ესურვა წუთშესვენება, სწორედ იმ ადგილს, გაშლილ მინდორზე, ჩავდედდი სისხლად, ტანჯვად და წყევლად.

არ შეიძლება კაცის ქმნა გსურდეს და კაცზე მეტი გამოგივიდეს, უმეტესად ხომ მრუდდება ხელი და უფრო თესლი გზააბნეულთა...

მამაჩემი კი სულ თავს იქებდა... „ამქვეყნად შენ ხარ ბუონაროტი, შენ შეგიძლია, ამაყი იყო და ბედნიერიც... თუ არ იქნები კაცზე უმეტეს, პოეტი ანდა უფრო მხატვარი...“ და მცემდა, როცა იქ წამასწრებდა, სადაც ფუნჯობდა თითი ნაკვნეტი.

მას არ ეწადა, რადგან არ სურდა, მე სურვილები მყოლოდა მეფედ, რომელიც მონად მიმსახურებდა.

მე კი, რაც მსურდა, ვერსად დასტევდი... არანაირი სხეულის ჭურჭელს აღარ ძალუძდა დატევა იმის, რაც სულსაც სწადდა.

ის კი... გოროზი, ამპარტავანი, დიდგვარობაზე ბევრად ღარიბიც, მცემდა უწყალოდ და ჩამძახოდა: „მე ხომ გითხარი, მიქელანჯელო, ამ ხელობის კაცს არ სცნობს უფალიც... ამით ვერასდროს გაიჩენ ლუკმას და მითუმეტეს სიმდიდრეს მცირედს...“

მე ვდუმდი ანდა რა უნდა მექნა... შექმნა კაცთაგან კაცით თუ ძალგიძს, თორემ ფუნჯით და ფერით?! აროდეს!

მორჩილი ვიყავ, ვიდრე სიზმრები, ჩემი სიზმრები ძოვდნენ ხმელ დღეებს და ნიჭი ფერდით ფერდზე მიმხმარი, არ თაკილობდა მორჩილ უქმეებს.

დრო მიდიოდა... მზე ანათებდა, მთვარე ღამეებს მისევადებდა და შორი ნიჭი, ფარული რისხვით მკერდზე როდესაც თავს დამადებდა, თან ჩამძახოდა: „ბუონაროტი, მოკვდი თუ... სიკვდილს გაასწარ უკვე...“ კვლავ ვდუმდი, მაგრამ ბედის ხითხითი ეშმაკეული ძალით მავსებდა და ნადირობის სეზონი როცა მოულოდნელად ჩამოდგა ჩემში, ბედის მწევარი წამომეწია და კბილი ისე მძლავრად ჩამასო... მე თვით შევძახე ჩემს თავს შერისხვით: „მეტის ღირსი ხარ, მიქელანჯელო!.. არ გაგახაროს უნდა დიდებამ, სიკვდილზე დიდხანს უნდა იცოცხლო, იმას რომ მიხვდე, რისთვის ცოცხლობდი...“

გადავსილია დედამიწა ჩემი მსგავსებით. რა საჭიროა, მეც ისევე ვიხეტიალო მშვენიერების საშოს მიღმა, სადაც უგნურთა თესლიც შთაღვრილა, რათა სრულქმნაც დაელამდეს ანდა სხეულის რაღაც ნაწილიდან აოტდეს ხინჯით, მხოლოდ იმიტომ, მშვენიერო უფრო მეტია და უფრო მძლავრიც, ვიდრე მახინჯი დირეებით ცამდე აღმართვა... „ბუონაროტი, სიკვდილამდე კარგა მანძილით გაივლი სივრცეს, სადაც შენი დიდების მსგავსი ძველი ხატება არ აავსებს ამაოებას. მანამდე სიკვდილს უმეგობრებ და უმეგზურებ. მერე კი ვრცელი ბილიკებით მოვლილ სიცოცხლეს დააყრდნობ მხარზე დაღლილ თავს და დახუჭავ თვალებს, რომ უმაღლესი ნეტარების გამოღვიძებას მომზადებული დახვდეს ძილი მოკვდავ სულეთის“.

ყოველდღე ასე ვჩურჩულებდი და მთებს გავცქერდი, რომელთაც ლოდებს მარმარილოს ვატეხდი მზერით და შიშვლდებოდა სამოსთაგან საუკუნეების დაღლილ თვალებით მომზირალი ჩემი დავითი, რომლის ქნარებში ჩემი ოხვრა დუმდა კრძალული, რათა ზეციურ დიდებამდე აღმენთო სული და კაცის გული, ვინაც არასდროს არ ყვარებიათ, ამევსო უხვად კვლავ თქვენდამი მძლე სიყვარულით.

ამაოებას პირველად მაშინ გადავეყარე, როცა ჯომონდო მიწას ხნავდა რკინის სახნისით და მოკვდავური, უსუსური ტრაექტორიით დედამიწიდან იზომავდა მხოლოდ იმდენ ადლს, რამდენზეც ერთი კაცი კარგად დაეტეოდა.

მე კი, უბედურს, სად წამეღო სიგრძე-სიგანე, რომელშიც მხოლოდ კაცად ვჩანდი მობლანდულ ხორცით, სულით კი... სულით დედამიწაც ვერ დამიტევდა, რადგან თვითგვემის უხილავი, ფარული ტვირთით ვემძიმებოდი არსებობას ქვეყნად მოკვდავთა.

ხოლო უფალი არასოდეს წასულა ჩემგან. მას მე ვუყვარდი სიყვარულის სნებით გადავსილს, ყველაზე მეტად მე მტანჯავდა ნიჭიერებით, რათა ტკივილებს ვერ დაეცხროთ ძიების მადლი.

ის უფრო მიყვარს, რაც მავნებს და ზიანს მომიტანს.

მიქელანჯელო

უბედურება არსაიდან მოდის ყოველთვის, მან გზა არ იცის დაფარული ავი ზრახვების, რადგან კაცისკენ სავალ ბილიკს მხოლოდ ის აგნებს, რაც კაცზე მეტში ჩაიბუდებს საშვილიშვილოდ.

ჯერ ექვსი წლისაც არ ვიყავი, დედა ღრუბლების ლურჯ კარეტაში დაბინავდა და... გაემგზავრა იქით, საითაც სიცოცხლეზე ბევრად მეტია უფლის ღიმილი და თვალების თბილი ნამზერი.

მიწაზე ვიჯექ, გაღუნული რკინის ლურსმანით ვხატავდი რაღაც სახეებს და ყვავილის ფოთლებს, რომლებშიც ჩემი ცრემლებიდან ნაწური ოხვრა აჯეჯილებდა მწუხარებას ბავშვურ ვნებების.

მამამ მომისწრო, წამომაგდო თითქმის კინწისკვრით და ერთი-ორიც მომაყოლა მკაცრი ყვირილით: „ბუონაროტი, ხომ გითხარი, თანაც რამდენჯერ, სამარცხვინოა მხატვრის საქმე ჩვენი გვარისთვის... დიდებას ჯლაბნა ვერ მოგიტანს შენი ცაციით, რადგან ამქვეყნად იმაზე მეტს ვერასდროს შექმნი, ვიდრე შექმნილა დასაბამით უფლის ხელთაგან. შენ კი უმაქნის ამბოხებას ფრთებს ასხამ აქვე, მერე რომ ჩუმად და შიმშილით ამოგძვრეს სული. ვის უცხოვრია სახეთა და სხეულთა ჯლაბნით? ხოლო სულს... შენდა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამებლად არვინ მოგანდობს. სულს ახლა უფალს უმალავენ შიშით და ძრწოლით, რადგან სამყაროს ძველთუძველეს პროფილის ხიბლით მხოლოდ სულია მსასოები ბოროტ ზრახვათა. შენ ფლორენციას არ შერჩები თითქმის არაფრად, თუ არ ისწავლე არარსობის არსობადა ქმნა". გადააფურთხა, გაალაჯა და ჩამავალ მზეს ისეთი მზერა გააყოლა სევდით და ოხვრით, უბედურ დედას არასდროს რომ არც ღირსებია.

მე არაფერი აღარ მწყინდა, რადგან საშიში დედის საშოში შევიმეცნე საწუთროს ხიბლი - უგულისყურო და ბოროტი დედინაცვალის.

უკვე მიყვარდა ამბოხება თვითგვემის განცდის, რომელშიც თავი, ჩემი თავი მყავდა დასჯილი და ბედნიერი არ ვყოფილვარ იმაზე მეტად, ვიდრე ვიყავი სულმწუხარე და უბედური.

ხატვის დროს ჩემს თავს ვეძებდი და ვერ ვპოულობდი. რბილი, თბილი და მყიფე იყო ტილო და ფუნჯი. მე კი... სხვა რაღაც უფრო მსურდა, უდიადესი, უფრო მტანჯველი, ასატანი ძნელად და მძიმედ. წამება მსურდა იმდაგვარი, ჯერაც კაცთაგან არ ღირსებია რომ არასდროს ამქვეყნად არვის.

ბედნიერებას იმით ვგრძნობდი, რაც არსად მქონდა და რომ ვიცოდი, მექნებოდა არც არასოდეს. სულ უფრო მეტად მიზიდავდა ამაოების შავი ულაყის გახედნა და გაჯირითება, რომც არასოდეს ვყოფილიყავ კაბალიერო... მე რაინდობის ყველა ხანა მით მოვათავე, რომ დეზებიდან ჩამოვიქენ არწივის ფრთები.

ჯვართამტვირთველად ვივარგებდი, ვიცოდი მუდამ, ჩემი გოლგოთა ლოდი იყო, სათლელ-საჭრელი, ამაოების ტვირთზიდვაში არ მყავდა სწორი და რომც ვიღაცას წინ გაესწრო უბედურებით, თავს მოვიკლავდი, სხვაზე ნაკლებ რომ მღირსებოდა თავად სიკვდილი, სიცოცხლეზე ულამაზესი.

ორმოცი წლისამ ყველა სენი გადავიტანე, ავად ვიყავი, მაგრამ რითი - არც კი ვიცოდი, მთელი სხეული მემტვრეოდა სულის საჭრეთლით, მაგრამ ვერ იქნა, ვერ შევძელი დავმგვანებოდი უშფოთველ ბედის და დიდების მიქელანჯელოს.

შორს ქროდა ფიქრი, ავად ვიყავ მუდამ გონებით და უფრო სულით, რადგან, კაცი თავს რომ დამართებს, ისეთ სატკივარს ვერ მოუვლენს ქვეყნად ვერავინ.

„არ ღირს ათასი სიხარული ერთ მჭმუნვარებად", - ხშირად მარცვლიდა ჩემი ბაგე ტანჯვით კოცნილი და მიხაროდა, უბედური რომ ვიქნებოდი ამიერიდან სასოების ძიების გზაზე...

არ შეიძლება, ღმერთს უყვარდე, შენ თუ არ გიყვარს მისკენ მიმავალ გზათა მტვერში მოსვრილი კაცი, რომლის აგების სრულქმნილებას იჩემებს ღმერთი, რამეთუ ამ „ქმნას", სიმართლე ვთქვა, შურით ვუცქერდი...

სუსტი ვიყავი, უფრო სუსტი, ვიდრე ოცნება, უდღეურობის, უბედობის სენით შობილი, დასაბამითვე განწირული ამაოებით და ჭირთათმენის გადატანის ნიჭით ავსილი.

მელანქოლია დაჯდებოდა ტრაპეზის თავში, მთელი დღეებით დაღლილსა და სულგადაქანცულს პირზე ცბიერი, დამთრგუნველი ღიმილის გესლით, ხშირად მეტყოდა: „ჰა, რას იტყვი, ბუონაროტი, როგორ გგონია, დასაბამით ჭკვიანურია, სისხლიდან სისხლში გადიოდეს ნიჭის ობობა და თაობებში გახიდული თეთრი ლოდიდან ძეგლს ის იდგამდეს, ვინც საჭრეთლით გულს იქანდაკებს? მითხარი, ასე შეგიძლია, მიქელანჯელო? თუ შენც იმიტომ მოევლინე ქვეყნიერებას, ერთით ნაკლები კაცი იყო ან ერთით მეტი?"

ვდუმდი, მიყვარდა დასაბამით მელანქოლია, ის იყო ჩემი ნადიმების მოასპარეზე, მხოლოდ მის იქით ვჭვრეტდი ხილვებს უმეტეს ცხადთა, უმეტეს ჩემი სიხარულის და გარინდების, რაც სინათლეში მიწმინდავდა სიზმრის ქათიბებს, ოცნების ფარჩას და ნატვრების ატლასთა შრიალს. ტანზე კი მუდამ ავადმყოფი ხორცი მემოსა და ორიოდე ჭრელი ძონძი რაღაც სამოსად.

მაშინაც ვდუმდი, როს დუმილი არ იყო ოქრო, რომის პაპთაგან ბოძებული გულწრფელ წყალობად, და მიხაროდა, არაფერი რომ არ მებადა თვითგვემისა და ტანჯვის ნიჭს გარდა.

ლოდივით ვთლიდი სიტყვას სულის მარმარილოდან და ბლაგვი მქონდა ენა უფრო და აზრის სიღრმე, ვიდრე საჭრეთლის და მწუხარედ მოლხენის პირი...

მარტოსულობის ტრაპეზიდან იმდენს ვიღებდი, ჩიტს ეყოფოდა სიყვარულის რტოზე შემომჯდარს, მე კი სიკვდილის ხელოვნებას ვეუფლებოდი მაშინაც კი, როს წუთისოფლის გალოკილ ძვლებზე გენიოსობის კბილებს ვიმტვრევდი მხოლოდ იმიტომ, მეც სხვათა მსგავსად პირი მქონდა და მადა კაცის, რომელშიც სრულქმნის სურვილები ღვთიური იყო, მაგრამ ვინ მისცა მოკვდავს ქვეყნად იმაზე მეტი, მიწა შეიგრძნოს ცად და მთვარე პაპის ღიმილად, რომელსაც ოქროს ბზინვარება ღირებულს ხდიდა, როს მოკვდავივით მციოდა სითბო.

სული ყოველთვის რუდუნებით მიცემდა სხეულს და ნაოხარი იარები ფერებში თვლემდნენ სისხლში ჩაწობილ ჯალათებად ქცეულ ფუნჯებით...

არ დაიჯეროთ, ხელოვნება სულ სიკეთეა, ნიჭით დასჯილი კაცის ყოფა ჯვარცმაზე მეტობს, რადგან აღდგომის სურვილები აღარც აღარდებს, ერთხელ სიცოცხლე უხარია სრული გახარჯვით, უფრო - სიკვდილი ერთადერთხელ და სამუდამოდ...

მელვიძებოდა ოფლად გაღვრილს, ხმა ჩამძახოდა: „ბუონაროტი, გამოხვედი შენი თავიდან? თუ მოსჯილი გაქვს სამუდამო მასში წამება, რომ სიკვდილიდგან არ გველირსოს თავისუფლება, რომელიც პაპის წყალობაზე უფრო მეტია... თავისუფლება სიკვდილია, ბუონაროტი, ოღონდ შემოქმედს სულ სხვაგვარად ამოსდის სული... ამიტომ ნურც სცდი, აღესრულო ჩვეულებრივად, შენნაირ ჯიუტს მალე მოსვლით არ გაახარებს ის, რაც მეტია წუთისოფლის ორიოდ ადლზე. ვერც უნდა იგრძნო შენი წასვლა ისევ შენიდან, სხვებს, რა ხანია, აღარცა გრძნობ, ისედაც ვიცი... მაშინ იყავი, კვეთე ლოდი და შენი სული, იქნებ, როგორმე გაიცვითო სხეულის ძონძი, რომელშიც მუდამ სურვილები გიჩანდნენ ავად და, თუმცა შენვე გეშინოდა მათი სიავის, ამ სურვილებით გულჩვილობდი უფლის წინაშე მაშინაც, როცა გრძნობდი, იყავ მოკვდავზე მეტი".

სავონარულა... ტვინში უფრო მეტი დენთია, ვიდრე მზის გულში, თუ ის ბრძენის განსჯით ანათებს... ის კი შეშლილი ნააზრევით არყევდა მიწას და ფლორენციის დაისებში ვერსად ჩასული ამოსაფრქვევად მძვინვარებდა ვულკანურ ზრახვით.

მე მწამდა მისი, რადგან მასში ვჭვრეტდი ჟამთასვლას, რომელშიც მერე ამივლიდა გვერდს უბრად მყოფი, რადგან მე მუდამ სულის სიბრძნე მაავადებდა და არა თავის. თავს მხოლოდ მისთვის ვატარებდი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხრებს ეგრძნოთ ძალა, ხოლო მხრებიდან ჩამოსხეპილ მკლავთა ტოტებზე ამყვავებოდა მარმარილოს სიზმრის კვირტები.

გაზაფხულები არ მქონია ფლორენციაში...

ზღვიდან მოტანილ ნიჟარებში სხვათა ხმებს ვკრებდი და ჩემი სიტყვის მდუმარებას იმ ბგერად ვთვლიდი, რომელიც ისე ქვითინებდა, ვით ტუჩის თრთოლა, აგერ ახლახანს მოწყვეტილი სატრფოს ტუჩთაგან.

არ უკოცნია ჩემთვის ვინმეს ისე მტანჯველად, ერთხელ, სულ ერთხელ ამომეთქვა: „ო, ღმერთო ჩემო, სამყაროს შექმნას ახლა იწყებ, თუ... დაასრულე..."

არადა, მსურდა, როგორ მსურდა დიდების განცდა და ამაღლება მისტიკური მიჯნურად ყოფნის. არ ვყვარებივარ ქვეყნად არავის ბუონაროტი ისე, ვით მერე შემიყვარეს მიქელანჯელო.

ვიდრე დიდებას დაასწრებდა ქალის შემოსვლა, მანამდე ჩემში შემოვიდა მელანქოლია, თვითგვემის განცდა და წუხილი ამგვარად შექმნის...

აქვე, სულ ახლოს, კაპრეზეში, ალვერნის მთაზე, ფრანცისკ ასიზელს მაცხოვარი გამოეცხადა და, თუკი რამე დაუბარა, მათ შორის, ალბათ, ორიოდ სიტყვას შეაწევდა ჩემზე უფალიც, თუნდაც ამგვარად: „ყური მიგდე ფრანცისკ, აქ, ახლოს, დაიბადება მერე... ვინმე ბუონაროტი, კაცი, რომელშიც მოკვდავობა შეცოტავება და კაცად ყოფნის ხალვათობის სიცარიელეს ამოვუტენი მწუხარების ჩალაბულათი, რომელსაც სახელს ვერასოდეს დაარქმევს თვითონ, ამოიწვება თავისივე გენიის ცეცხლით, ნიჭი იქნება მისი სულის ინკვიზიცია... მე მას ვერ დავსჯი უფრო მეტად, უფრო საზარლად, ვიდრე თავადვე ამოიჭამს თვის არსებობას. მხოლოდ იმიტომ, კაცად ყოფნა ეცოტავება და ჩემთან ბრძოლას მით დაიწყებს, ლოდებს შემოკრებს და მათგან სახეს გამომითლის ისეთი ხილვით, შენც კი, ასიზელ, სიზმრადაც რომ არ გეხილება..."

მხოლოდ მე მსურდა დაჯერება არარსებულის და ამიტომაც ნებით მივეც სული განსაცდელს. სამოთხედ მსურდა განმეცადა მე ჯოჯოხეთი, ედემი, სადაც შეცოდება ნიჭიერებით ყველაზე უფრო მტანჯველია და უსასრულო.

შიშველი ვიყავ შემოსვაშიც აზრის, ფიქრების, რადგან ჩემს მიღმა დამარხულიც თვალებს ახელდა. ზრახვა, რომლითაც ვაშინებდი თვითონ რომის პაპს და მის თვალებში ანთებულ ცეცხლს სულს ვუბერავდი, რათა დამეცხრო რისხვა არა მოკვდავ მსაჯულთა, არამედ ჩემი მწყალობელი უფალი ღმერთის.

ფლორენციაში ჰაერიც კი ტვინს მიხარშავდა, სწორედ ამიტომ გავექეცი მის მთანგველ ოხვრას და ვენეციას შევეწიე სულ უანგაროდ... შემდგომ ჩემს სახელს შესდგომოდა სულის საოხად.

ფრთები პირველად შემეტრუსა კოცონზე, სადაც სავონარულა ჩაიფერფლა გლოვის გარეშე. პირველი ელდა იგი იყო ჩემი შიშების, შეშლილ თვალებში ღამე ჩაწვა და ჩამითალა ქარვის მზერაში ფრჩხილნახოკი სიზმრის გიშერი.

ჭეშმარიტების შეცნობაში კაცს არ სჭირია სული, რომელიც გონებაზე უმაღლესია. ყურისგდებაში, შესაძლოა, სხვა გზას დაადგეს ფიქრი, რომელიც მიგიძღოდა მისკენ ალალად.

სავონარულამ ამირია სიცხადის გზები. მას შემდეგ სიზმრებს წავუდრიკე მორჩილად თავი, მაგრამ მადლობას დავაქადნი განა ოდესმე... მე ამ ხილვებით დავინახე ქვეყნიერება, საცვლის ქობა რომ ჩამოშლოდა უბიწოდ მზირალს და ზედ იმდენი ცოდვა ეცხო... მევე მრცხვენოდა. მაგრამ შემოქმედს ქვეყნად მხოლოდ იმის რცხვენია, სხვაგვარად რომ სჭვრეტს ორი თვალით თეთრად დასანახს. და ეს სირცხვილი გენიოსის ალიყურია, საკუთარ თავს რომ უთავაზებს გულშეუძვრელად, რათა ათასნი დაარწმუნოს - მათ ჰგავს ყველაფრით და მათ გულშიაც არ გაივლონ წყენა და შური, რომელიც პაპის შერისხვაზე უარესია.

ვინაც მორჩილებს, შემოქმედი მას აქანდაკებს, მაგრამ ისეთად, მასზე მეტი არაფრით ჩანდეს. ამიტომ ვდუმდი სულგრძელობის დამუნათებით... პაპისთვის მხოლოდ ლოდი იყო ძეგლდასადგმელი, ჩემთვის კი მიწაც ცოტა იყო პიედესტალად, თუნდ ტანზე ზეცა მომეხვია ულურჯეს ტოგად.

ის რომ ვიცოდი, საცოდნელად რაც არ რგებს მოკვდავს, სწორედ ამიტომ უბედური ვიყავ ყოველთვის. მშვენიერების დიდ სარკეში მზირალი მივხვდი, რა გონჯი ვყავდი სიყვარულით მაძღარ დიდებას.

ჩემს ახლოს თითქმის არ ყვაოდა არასდროს დაფნა, მუდამ ეკალი რად მეგონა დიდების ჩრდილი, ალბათ, მიტომაც დამიცურდა შუბლიდან ბედი, - ფეხი, რომელიც ტეხს ბორკილებს ბრმა მორჩილების.

მე კი, რაც მსურდა, სურვილებში არ ეტეოდა, არც გონებაში და არც სულში ბუონაროტის. საპალნევირად დამექანცა მიქელანჯელო, სახელი, ჩემიც არ მეგონა იგი, რომელიც...

ფლორენციაში დამიბარა იულიუსმა. სენიორიის სასახლეში დაგვყარა ორნი: მე და ნებივრად გახედნილი ის ლეონარდო, რომელსაც მუდამ ამრეზილი მზერა დაჰქონდა და სხვათა შორის იმათ გვერდით მეც მიგულვებდა, ვისაც არაფრად არ აგდებდა დასაბამითგან. ის „ანგიარის" ბრძოლის მიღმა ლესავდა ზრახვას, ხოლო „კაშონი" მე მიცდიდა საასპარეზოდ. საბედნიეროდ ორივენი აღგავა ჟამმა და გათანაბრდა მარტოსულთა იდეალებიც.

ჯიუტი იყო იულიუსი და უხიაგი. პეტრეს ტაძარში მიკრა თავი თვისდა მსახურად, მაგრამ ბრამანტემ გამიმეტა და შემეწია.

გამოვიქეცი... ან რა ძალუძს მონას მეფის წინ, როცა სიკვდილით დასჯის ხერხებს ტკბილად გიხვეწავს, ნაკლებ მწარე და მტკივნეული რომ იყოს მერე არარაობად გადაქცევა შენი დროების.

1508 წლის მაისში საქმემ მომძებნა. „სიქსტეს კაპელას" კედლებიდან სიცარიელემ ისე საბრალოდ ჩამომხედა, ტვინი შემერხა და გულის ფსკერზე მღოღავ ფიქრთა მთელი დემონი სულის გზაწვრილზე ჯამბაზებად წამომიმხედრდა.

„წარღვნა" დავარქვი ამონაფრქვევს ჩემი ტვინისას, რომლის ლავაში შევაზავე ფერთა კრებული. მაშინ მიმაჩნდა, არ ვიყავი მართლა მხატვარი, უბრალოდ, ხელებს ვასვენებდი, რათა შემდგომში დავითის სხეულს არ შეეგრძნო ჩემი წუხილი.

პირველი ლექსი რომ გამექცა სულის ხაროდან, მევე შემზარა უსუსურმა ჩემმა არსობამ. კაცი ლოდს კვეთდეს, მარმარილოს, თავის ტვინს და გულს და ამავე დროს ლექსს თითხნიდეს დიაცისავით... მაგრამ სულს მტკენდა ამოუთქმელ სევდის ჯგროება, რომელშიც ერთსაც არ ჰქონია სახე თავისი. მე კი სულ ჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მი სახე მსურდა ყველა ტანს ზემოთ, რათა ღვთისათვის მიმეგება ნიშნისმოგებით: „აი, უფალო, ასეთი ვარ ბუონაროტი, რომლის ხატებაც შეგაძულებს შენგანვე შექმნილთ... თუ საამქვეყნოდ გამაჩინე, მაშინ ეს სახე, ასე საშიში, მზაკვარი და ზიზღის მომგვრელი, რატომ შემიდგი მხრებზე, რაზეც ლოდებს ვთლი სხეულთ, რომელშიც ყველა მოისურვებს გაცხადდეს სულად. შენ კი... უფალო, შემაზიზღე თავი ჩემივე, რადგან ჩემს იქით ვერსად წაველ გზააბნეული, მშვენიერება აქეთ, ვიცი, არ ჩამოივლის, მაშ, რა აზრი აქვს ასეთ ყოფას, სადაც ხიბლს არ აქვს ყლუპი მისთვის, რომ სილამაზემ სასა დაილბოს მაშინ, როს მოძულდება ქვეყნიერებას ჩემებრ მახინჯთა და უგვანოთა თვალის შევლება, თუნდაც ისინი გენიოსთა გონებით სჯიდნენ სხვა დანარჩენთა ყოფნისა თუ არყოფნის ცოდვას?!"

ლექსი სამსალა უფრო იყო იმ სიტკბოების, რომელშიც მიწვა ამბოხება ამგვარად ყოფნის. სხვა რა დავარქვა იმ სითბოში სულის ჩაფერფვლვას, რომელმაც ვერსად გამოჟონა ჩემი სიღრმიდან.

მიყვარდა ყველა, მაგრამ არვინ არ მპასუხობდა სიყვარულითვე, რათა მეგრძნო, ვფასობდი ნატვრად. ჩემზე ოცნებას არ იცმევდა ერთი მათგანიც, მშვენიერებით შემოსილს კი ოცნებაც არ სურს, რადგან ოცნება და ნატვრები უფრო აშიშვლებს ქალს, ვისაც ერთხელ უნდა ეთქვა ჩემთვის: „მიყვარხარ..."

არავის უთქვამს... ვინ შეძლებდა ჩემგვართა ტრფობას?! განა ამქვეყნად შესაძლოა გაფლანგვა გრძნობის, ხელისცეცებით რომ მიიკვლევს გზას იმ გულისკენ, სადაც მშვენებას ტკბილი ძილი ძალუძს გულმშვიდად, გამოღვიძებულს რომ ეხილა თავისმიერი? მე კი... ოო, მე კი, ამ უბედურ მიქელანჯელოს, წილხვდომილს მუდამ მწუხარების ტკბილ ნეტარებით, შემიყვარებდა ვინმე ისე, თვალი შეევლო ჩემთვის და... ეთქვა: „ოო, უფალო, გმადლობ ძლიერო, სახილველად რომ მომივლინე ამგვარი კაცი?..

ქალი თვალებით იხედება, კაცი - გონებით და ორივენი სულის თვალებს მაშინ ახელენ, ერთურთის ხილვა ნეტარების ცახცახს რომ მოჰგვრით...

ამაოების სამსახურში გადამიტყავდა ფიქრი, ხელები, გონებისა და სულის მტევნები, რათა ლოდთაგან ის შემექმნა, რაც ტანჯვად ღირდა, თორემ ამქვეყნად განა ვინმეს გააკვირვებდი მშვენიერისგან ქმნილი დიდი მშვენიერებით...

წუთისოფელი ვალად იღებს ჩემგვართა შობას და გამჩენს მერე მიუბრუნებს ქმედების სიბრძნით ამოტვიფრული სილამაზის გაპროფილებას.

გასაოცებლად ქვეყანაზე სხვათა და სხვათა, არ შეიძლება, იმოქმედო მხოლოდ კაცურად. მასზე მეტობით თუ არ შობე შური და გვემა, ვერც გაოცებას ვერ დაჰბადებ მერე ვერასდროს.

იულიუსმა მიაბარა სული უფალს და ლეონ X-მ მოისურვა კარზე ვხლებოდი. ასეა, როცა მიგიხმობენ, უნდა მიხვიდე, მაგრამ ის უნდა ხომ იცოდე: რატომ და რისთვის? თუმცა რას ვბოდავ, როცა გიხმობს შენზე ძლიერი, შენს „ხოს" და „არას", სულერთია, ჩალის ფასი აქვს.

ყოველთვის იმას მიიხმობენ, ვის ჩრდილშიც ძალა შარავანდედით იმოსება და ღვთიურობით. ნიჭიერებას ხომ ყოველთვის დიდი მადლი აქვს - მას შეუძლია, უნიჭობა გაამეუფოს, ოღონდ ათასებს დააჯეროს: იმ ერთის ყოფნა გარდაუვალად ღვთიურია მოკვდავებისთვის.

მე ვინ ვიყავი, უჯიათი ფლორენციელი, არა ვხლებოდი თვით რომის პაპს თუნდაც მსახურად, თუნდაც სამზერლად ეშმაკურად მსრბოლავ თვალებში, ოღონდ მას ჩემში დაენახა თავისი ძალა, მე მასში - უფრო ჩემებური უსუსურობა.

აი, რა ჰქვია პარალელებს ორი არსების, ორი კაცუნის: ერთი - პაპის, მეორე - მონის, რომელსაც ზურგზე შემოქმედის სული ამძიმებს. ვინ გაძოვინებს მის ატლასზე ფიქრთა ქარავანს, როდესაც ფეხი მოკვდავობის ფუნას გეფლობა.

მაგრამ... როდესაც სხვა გზა არ ჩანს, გზა სულერთია და ის ყოველთვის ამა ქვეყნის ძლიერებს ერთვის.

ლეონს კლემენტი შეენაცვლა... ის სულ სხვა იყო, მის მზრუნველობას უფრო ვწუხდი, უფრო ვუფრთხოდი, ვიდრე უჯიათ სულს ვაჩვევდი მის ფუფუნებას.

იულიუსმა ამომხადა ბოლომდე სული, ვერ ავდიოდი მისთვის კუთვნილ სიტყვას და საქმეს, მის ვალებს ველარ მოვუხერხე ვეღარაფერი, მისთა მემკვიდრეთ გავექეცი თითქმის ვერსაით.

ყველაფერს, რასაც გულით ვკვეთდი, ვერ ვამთავრებდი, ქვაში ვერ ვღვრიდი გაოცებას ჩემი გაჩენის. არც ქვაში იყო ის პასუხი, მე რომ ვეძებდი, დასაბამიდან ის კითხვები მტანჯავდა მუდამ, რომელთ პასუხსაც ვერ მომცემდა თავად უფალიც.

„დავითს" რომ ვთლიდი, იმ მეფეებზე კი არ ვფიქრობდი, დიდებაში რომ გაიცვითეს ხორცი და სული... უფრო იმ ჭაბუკს შევხაროდი, შიშველი ტანით ციდან ღრუბელს რომ მომიხევდა ჩემთა სათბუნად, შეციებული, უბედური სულის სათბობად.

ოო, სილამაზევ, მე ყოველთვის მიყვარდა იგი, ვისშიც ნათელი თესლი იყო მშვენიერების. ო, სულერთია, რას იქმოდა მისით უფალი, მდედრი იყო იგი თუ მამრი, ოღონდ კი ის ყოფილიყო, რისი ხილვისაც არ რცხვენოდა არასდროს უფალს, მათი შექმნისთვის განწირული თვისი ხელების.

მე რა შემეძლო... უძლურება მოკვდავურ ყოფის ყოველთვის იყო ჩემი ნიჭის მორჩილი ძალა. მე იმას ვქმნიდი, რაც სირცხვილში არ ეტეოდა და მე... საერთოდ, ვერ ვიტანდი ტიტანურ განცდებს, რადგან ყოველთვის ის მინდოდა მქონოდა ხელში, რაშიც ტვინის თუ სულის სიღრმეს ჩემსას ვერ ვცნობდი.

სწორედ ამიტომ, რასაც ხელი მოვკიდე, იგი დაუსრულებელ სახით შერჩა კაცობრიობას. სამაგიეროს მით ვუზღავდი უფალ შემომქმედს, როგორც მე შემქმნა სულ ბოლომდე ძვალგაუთლელი, დაუდუღარი, გაჩორკნილი და უსასრულო, მეც ისეთები დავუტოვე კაცობრიობას, რადგან მათ იქით მოკვდავთ უნდა ჰქონოდათ ფიქრი თავის მოფხანის, ტვინის სრესვის, სულის დუღილის. დასრულებული ამა ქვეყნად მხოლოდ ცოდვაა, დაუსრულებელ კაცთა ქმნილი და ნაფიქრალი.

რა აკლდა დავითს... სრულყოფილი სხეული ჰქონდა, ღონიერი და აზიდული ტანის შემართვა, ხოლო იმ თავში რა მიეგდო ფიქრად და ზრახვად... ეს სულ არავის საქმე იყო, მით უფრო თქვენი.

მე ის შევქმენი, რათა მიწა ფეხქვეშ გამეგო და მისი ტანის შემართული ჟინიანობით ზეცისთვის მეთქვა: „აი, რა ჰქმნა ბუონაროტიმ, როცა ინება დედამიწა ჰქცეოდა თიხად, რათა სულისთვის წამოეცვა მისი ხავერდი და მარტოსული ტიტანების ჩვეულ ნადიმზე წვეულთა შორის ყოფილიყო მართლა რჩეული".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა, რა თქმა უნდა, ნატიფი და ფრიად სათუთი, მორჩილი მზერით, ღვთისნიერი აბობოქრებით, მიპასუხებდა ოცნებების ხანჯლით დაჭრილი, შესაბრალისი იქნებოდა ის ამ პასუხით და ნიშნისგებას შურისგებად ვერ მივიჩნევდი: „ხო, მართალი ხარ, ამაყია იგი ჭაბუკი, შემართული და ძალმოსილი, როგორც დიდება, მაგრამ ყოველთვის ვერ დაადგამს ნატიფ შუბლს დაფნას და, თუკი მაინც მარადიულ სიმაღლეს ნახავს, მის შემქმნელ მოკვდავს... შენ, ჯიუტო ბუონაროტი, არ გაგიცვდება არასოდეს ეკლის გვირგვინი".

მეტ სასწაულში ვერ ჩავტევდი სიცხადის მძორებს, მეტი რა მექნა, ავაკივლე თვით მარმარილო, ჩემს სულს კი... ოხვრაც ვერ წავგლიჯე მონურ ღირსების.

სრული სიმშვიდის არ გამაჩნდა არსად სამეფო, სადაც მეფურად აღვისვამდი მუხლებზე ჩემს ბედს და ხელისგულზე დაყვავებულ ნადიმის მარცვლებს მზრუნველობით და სიყვარულით დავუზოგავდი.

უბედურების მეუფენი ნადიმს მონობენ, მშვენიერებას აშიშვლებენ, კი არ მოსავენ და გამჭვირვალე შუბლის მიღმა დანახულ ფიქრებს ყოველთვის როდი შეაშფოთებს ატლასის სუნთქვა, მხოლოდ იმიტომ, მარტოსულებს იქ არ ელიან, სადაც მოკვდავად ცოცხლად ყოფნა მშვენიერია.

„დავითს" „დღე", „ღამე" შევუნაცვლე, „მინერვას" - „ქრისტე", ხოლო „მოსეში" ვერ ჩავტიე ლხინის მისხალიც, რაკიღა მდუმარ, ღრმა სიბრძნეში ჩაკირულ ტუჩებს ადვილად როდი უხარიათ უფლის შექებაც, რადგან მისდამი შემოძლეულ წრფელ მოწყალებას მწყურვალ ტუჩივით ანახევრებს ცოდვის წყურვილი.

ამიტომ ქვეყნად რაღა რჩება გასახარელი. თვალის ახელა? მარტოოდენ ქვიშიან ჩინით, სადაც სამყარო, ნადიმების ნარჩენთა ძრწოლით, სულ ადვილია, მოგეჩვენოს კეთილშობილი.

მაგრამ დიდებას სადაც ძალუძს ტვინის დატევა, იქიდან სული სულ უჩინრად მიიპარება, რადგან ძალაში უძლურება თავს გრძნობს მსახურად მხოლოდ იმისი, სათნოება რასაც განაგებს.

ამაოებას მსახურად ჰყავს მუდამ ტიტანნი, ვისშიც მოკვდავი ვერ მოიხმარს სულსაც მახვილად. კეთილშობილი შეცოდების რაინდი თუა, სხვა არაფერი გამოუვა იმას ხელიდან, ვინაც თითიდან გამოწოვილ სისხლის გემოთი ველარ გაიგებს, რა გემრიელი სურნელი აქვს უბრალო ცოდვებს, სადაც დიდების გვირგვინები თავს კარგად გრძნობენ მხოლოდ იმიტომ, სულყველაფერს ნიჭი განაგებს. ხოლო იქ, სადაც ძალა იხმარს დიბა-ფარჩებად, თუნდაც ძონძებად სულისა და ნიჭის ტალანტებს, იქ შეცოდებებს ამაღლებულ სახეს ვერ მოსთხოვ, თუნდაც შენს ხელებს ქვეშ გაუწვეს მთელი ხმელეთი იმ სათლელ ლოდად, საიდანაც მზეს ამოიტან. იმ მზეს უთუოდ არ ექნება ორივე თვალი... ნახევარ ჩინით დანახული ქვეყნიერება ცოდვა-სამართალს გამირჩევდა? სულით უხიაგს, ჯიუტს, თავნებას, ვინაც არასდროს მორჩილებდა თვით რომის პაპსაც.

ოო, ჩემი „მოსე..." მდუმარე და ბრძენი მოხუცი, ვინაც არასდროს არ ყოფილა თითქოს ჭაბუკი და, თუკი იყო, არ ყოფილა ის მაშინ მოსე. მაყვლოვანთან ხომ არც მისულა შიშით იმისი, ვაითუ, გველმა დამგესლოსო უქალამანო.

ვისაც ეგვიპტე შეუსუნთქავს, გველი რას უზამს. სიბრძნეს ყოველთვის უხასხასებს მალული ენა და მუდამ იქ სძლევს, სადაც მოკვდავთ დუმილი უჯობთ. მაგრამ, როდესაც ღმერთი გიხმობს? რა გინდა რომ ჰქნა? ხელს ვერ აუკრავ, ვერც უხიაგ სიტყვას ვერ ჰკადრებ, თუკი ჩემსავით სულში გიზის სამსხვერპლო კრავი... ნიჭიერება რომ მოგიღერს ორლესულ მახვილს, აგიბღავლდება ის ბატკანიც, მაშ, რა იქნება. რა გინდა მერე?.. ერთიანად მოგიხვავდება ხელებში მთელი ჯოჯოხეთი და ის სამოთხეც, რომელიც ჩემებრთ არასოდეს არ ღირსებიათ, თუნდაც იმიტომ, ჯოჯოხეთის სააქაოში ძვლისა და ხორცის ნამუსრევით, ფიც-ვერცხლით ნაჭამს ნიჭის მშიერ და გაუმაძღარ ბრმა დემონებთან გეხამუშება მერე იქით, საიქიოში აყვავებული, მოფართხალე სამოთხის ტოტი, ტოტი, რომელზეც სულსაც ვერ გაჰფენ დედიშობილა, რადგან სირცხვილი, გამორჩეულ ტკივილის ნიშნით, ნებას არ მოგცემს, სხვებთან ერთად ჩამოჯდე მშვიდად.

იულიუსს კი ასე სურდა... საფლავის ძგიდეს ბედის ჩიტივით ჩამოესვა „მოსე" და ეგრძნო: რომის პაპიდან ფრინდებოდა სამოთხის ჩიტი, რაიც პალმის რტოს უნაცვლებდა მისი თმის ღეროს და ემცნო ჩემთვის: „უხიაგო ბუონაროტი, აი, ხომ ხედავ, გამოგარიდე შენ ამღვრეული, წაბილწული სულის ღვარცოფებს, რათა მსახურად მომექციე ულვთო ტიტანი, ვინც, სულერთია, ბოლოს მაინც გაიწირება რადგან წირვასაც მე აღვავალენ და ღრმა შენდობის ძველთაძველ რაყამს მე გავცემდი დასაბამიდან".

ჰმ!.. საცოდავი, გამოცრილი ჰქონდა გონება, მსხვილი კენჭების აზრთა შორის სიბრძნის ქვიშაში ამოგანგლული ჰქონდა მუდამ ცანცარა პირი. ეგონა, მუდამ ასე მსურდა ბრმა მორჩილება მისდამი, ვინაც ამქვეყანას იმსახურებდა.

მე კი... გონების ვულკანები მიდუღდნენ თავში და თვითგვემისა და ამაღლების მალულ კრატერში მესხდნენ ლექსები, სონეტები - ბრმა ტუსაღები,რომელთა გასვლის შეწყალებას ჯერ ვერ გავცემდი. მათი გაღწევა სამეფოდან ჩემი სიგიჟის მხოლოდ გაწირვა იქნებოდა ისევ მათივე.

ძუნწს და უჯიშოს მომძახოდნენ მამა და ძმები... ვერ ამოვავსე საწყაული ხორცის ერთობის. სული კი... სული, რა ხანია, აღარც გამაჩნდა...

ბედნიერების ნამუსრევზე წამით მიწვეულს სულიც რომ იქვე გამძრომოდა, თითს არ დავძრამდი. შიმშილს და წყურვილს შვილებივით თავს ვევლებოდი და მათ ზრუნვაში არასოდეს ჩემგან გაქცევის, ჩემის ამქვეყნად მოვლინების არსს ვნახულობდი.

მხოლოდ უფალი მიმიწვევდა ხოლმე ნადიმად და, თეთრ ხილვების ჩემი ცოდვით სავსე სუფრასთან როცა მიმსვამდა ტუჩდამუწულს, ჩუმად მეტყოდა: „აი, ხომ ხედავ, წვეული ხარ... და თან რჩეული. სწორედ ამიტომ არ იქნება, ნადიმით დაგხვდე. ჩემგან რჩეულებს სააქაო ფარჩით არ ვმოსავ. ჩითიც არასდროს გეღირსება, მიქელანჯელო, რადგან ხორციდან ამოჩრილი ძვლების არშინით შენ უნდა იგრძნო, რა მოკლეა წუთისოფელი. ხოლო სულით კი... ნუ აკადრებ სულს ზომა-წონას, ნურცა სიმრავლეს, გამრავლება-გაყოფის წესებს... ამ ადათებით გადაშენდნენ სულის ოსტატნი. საუკუნეებს აშენებენ ახლა ხუროni, ვინც ცოდვის პირუტყვთ თავმოსავლელ ბოსლებს უგებდნენ, აბა, რა თვალით შეხედავენ შენს მარმარილოს, ვის რაში უნდა აღზევება შენებრ მაღალთა... ხოდა, დაცხრი და ისე კვეთე, ბუონაროტი, ცხვირს ნურასოდეს დაამგვანებ ძლიერთა უროს, ხოლო თემიდას ორი თეფში ნუ აგერევა ცოდვის დირეთი ამოფისულ კაცის თვალებში. მოდრიკე ქედი, აღზევება კისერს მოგიმტვრევს. შენ ის ლოდი ხარ, მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვდავობას შიგ რომ ვერ ჩავტევ. მეტი რა გინდა, ახლა მისთვის გამოგიმეტე, რომ მერე ჩემი ღვიძლშვილობა არ დაგიძრახონ. ასე ჰქმენ შვილო, ასე უჯობს მიწას და ზეცას... ხოლო უმადურ რომს ოდესმე სილას გავაწნავ, შენთვის გულწრფელად ერთხელაც რომ არ უკოცნია".

ვდუმდი... დუმილში ხმაურობდა გულისთქმა ლოდის, მე, როდის იყო, ვტარტარებდი ნიშნისმოგებით. არც ლეონარდო მიმითვლია მეტოქედ მაინც, რაფაელი ხომ მთლად ბავშვი იყო... ხოლო დანარჩენთ წელთაღრიცხვაში არც კი სდებდა მამა უფალი. ვინჩი ყოველთვის ყინჩი იყო და მედიდური, მეწამულ ხავერდს არასოდეს არ იშორებდა, თავს მუდამ ისე აჩვენებდა, ვითომ არ სურდა, მთლად ბედნიერი ყოფილიყო და დიდებული.

ას დედაკაცში მხოლოდ ის ერთი აითვალწუნა, ამოიჩემა და დაისვა წამწამის ტახტზე და ტიტანების ავადობის ცახცახა მზერით მოაყვავილა „მონა ლიზას" უბრალო სახე.

დღემდე ვერ ვიგებთ, ვის დასცინის ის სენიორა... იქნებ, სწორედაც ლეონარდოს იმ წადილისთვის, არაფრიდან რომ მოისურვა დიდების შექმნა. სიმართლე ითქვას, პატივს ვცემდი ვინჩს მე ამისთვის, მოისურვა და აისრულა გულისწადილი, მაგრამ ეს ქალი... მე ხომ ვიცი, რა უბრალოა... რომის ქუჩებში მინახია, გავაგანიერს სავსე თეძოთი ვით მოჰქონდა ჰერას წყალობა, აფროდიტესგან ჩაკბეჩილი ვაშლის მონარჩენს როგორი ვნებით მიირთმევდა სველი ტუჩებით. მკერდშიც ვაშლები უგორავდნენ, ცოდვის ვაშლები. არ ვიცი, იმ ვაშლს თუ ამჩნევდა ვინჩი ნაკბილევს თუ საამისოდ არ ეცალა რომაელ პატრიცს, იქნებ, არასდროს იკადრებდა ამგვარ თავდახრას, ჯოკონდას მკერდში ჩაესუნთქა ვნების სურნელი. თუმც, სულერთია, რაც არ უნდა აღმომხდეს შურით, ჯოკონდას ღიმილს დღესაც ეძებს რომი რომშივე, ეძებს და ვიცი, ვერასოდეს ვეღარ იპოვის, რადგან დიდების პროფილები მხოლოდ იქ ჩანან, სადაც ტიტანთა ნაომარი მზერის რაინდებს, მოესურვებათ, აკოცნინონ სულზე მშვენებას.

ეჰ, მონა-ლიზა, რა უბრალო მდედრი იყავი... მაგ თმათა მიღმა ტვინის ბუდეს ფიქრის ჩიტები გისადაფებდნენ მზითვის საბნის ჩალაბულათი. შენ რა იცოდი, ასწლეულთა იქით საჭვრეტად მშვენიერებას შერჩებოდი - ბედის ლორნეტი.

ჰოდა, რას იზამ, რა უნდა ჰქნა... ბედი რომ გეტყვის, უბედობაში კი არ უნდა გენატრებოდე, არამედ მაშინ, როს ჩემით სავსე ნებიერს დაგავიწყდება არსებობა შენზე ტანჯულთა.

თუ რამ გამაჩნდა... ან რა მქონდა ამ სამზეოზე, ისე კი ჩემად რამდენიმე სახლი მექვავა - ფლორენციაში, როვეცანოში, სან-სტეფანოში... სულ ექვსი სახლი, შვიდიოდე მამულიც სადღაც.

ჩემზე ამბობდნენ ძუნწიაო... რა დავაკელი ძმებს და ახლობლებს, მამას, ძმისშვილებს... რის გამეტება ვიძუნწებდი მე უბედური, როცა ყველაზე დიდ სიმდიდრეს ამ თავში ვფლობდი, რასაც ვერავინ წამართმევდა ვერას დიდებით.

გამოვიშიგნე არსებობის ყველა კუნჭული, ეკიუების ნაგვის გროვას თუ ვხარბდებოდი და მისხალ-მისხალ ფუფუნების საგნებს ვფუთავდი, მაშინ როგორღა გავაშიშვლე ჩემი სხეული...

მე არაფერი მღირსებია იმაზე მეტი, უფლისთვის მეთქვა: „მეშინია ხვალის, უფალო..." შიში მასა აქვს, ვინც  დაკარგვის ძრწოლას განიცდის, მე კი ვიძენდი... ყოველდღიურ თვითგვემის დროით უძლეველ კაცის სიმაძღრეს ვძლევდი.

ხოლო ისეთი, რაც გამაჩნდა, რომ ვერ გავცემდი, ის იყო, რასაც არ ჰქონია სახე და ფორმა. ასეთ სიმდიდრეს ქვეყნად ყველა არად დაგიდევს, რადგან დიდების გემოს გრძნობენ ხელის შეხებით ანდა იმ ენის, დიდებას სახელს რომ უგონებს მერე თავადაც.

სხვა არაფერი არ გამაჩნდა გადასამალი... რაც მქონდა, იმას ვერ გასცემდი ძუნწის ალღოთი, სამაგიეროდ რომ მიგეღო მერე სხვა რამე.

სამაგიეროდ დავეძებდი მუდამ სიყვარულს... ზოგადად ტრფიალს ქალისადმი, მშვენებისადმი. მეც ხომ მინდოდა, სურვილები ამეტიტანა, გრძნობათა მიღმა დამენახა წადილი სულის, რისი შეცნობის მცდელობაშიც მდედრი დათმობდა ერთ გაღიმებას მარტოოდენ ჩემის წილხვედრით.

მამრთა ტრფიალსაც მაბრალებდნენ, რაკი ვერ დავთმე სურვილი, მეგრძნო მშვენიერი სხეულის თრთოლა, თუნდ მარმარილოს ყოფილიყო თვით მამაკაცი, თუნდ  დედაკაცი ცოტაოდენ ჭკუის მისხალით.

ვწერდი ვაზარის: „მომისმინეთ, სენიორ ჯორჯო... პაპის ხელებთან თავდახრილს მუდამ სურნელი მცემდა ძალაუფლების და დაგეშილი მწევარივით იქით გავრბოდი, სადაც მუზათა უჩინარ ნიღბებს სახიერების წადილი ჰკლავთ... ზოგ მათგანს პაპის სახე ჰქონდა და ზოგსაც ვაჭრის, ზოგს ხელოვანის, ზოგსაც მეძავის, მაგრამ თვითეულს ჩემი ხელი შეეხებოდა თუ არა, ენას იჩლექდნენ ისე ალერსით, მეც კი, უჯიათსა და უხიაგ ბუონაროტის, სურვილი მჭამდა, სილამაზით აღმევსო მათი სიცარიელე. ანდა სად იყო სხვა საშველი, როდესაც გინდა, შენი სულიდან გაიტანო სრულქმნის წადილი, მაშინაც, როცა არა ჰგავხარ უბრალო მოკვდავს, ისეთს, რომელთა თვალთა ხიბლი წლებს დაიმონებს.

თქვენ მუდამ უხვად მმფარველობდით, სინიორ ჯორჯო, მაგრამ გულწრფელად მინდა გითხრათ, მომბეზრდა უკვე, გუნდრუკს ვუკმევდე სხვათა ღიმილებს მაშინაც, როცა ჩემდამი გრძნობას გამოხატავენ. ის კაცი არ ვარ, სიცოცხლიდან სრულქმნა წარმოვშვა. მე შემიძლია, მარმარილო რომ ვაღაღადო, მაგრამ თქვენს ტუჩებს თუ მოწყდება ალერსის სიტყვა, გულს მირევს ჟამი ჩემნაირთა ისე გამცვეთი, ვინც იხარჯება დიდებულთა მდაბალ ზრახვებში.

ვიცი, თქვენ სხვა ხართ, კეთილშობილ ფიქრთა პატრონი, მაგრამ მე უფრო ის მიტაცებს, რასაც იმონებთ და რასაც უნდა ჩემთან ჩუმად ამოიკივლოს: „მიქელანჯელო, მომეშველე, ამომიტანე მაგ ბაგეთაგან, ვინც არ იცის, რა დროს წარმომთქვას, რათა აზრს მისცეს კალაპოტი შენი გულისკენ..."

გესმით, ვაზარი? თუ თქვენც გინდათ, ისე მომექცეთ, როგორც პაპები მიღიმოდნენ და მწყალობდნენ მხოლოდ იმიტომ, როგორც ენებათ, მართლა ისე მომიმსახურეს... თქვენ მეტყვით, ალბათ: სწორედ ამან შეგაქმნევინათ საოცრებანი ხელოვნების უდიდესიო... მაგრამ ვაზარი, მეგობარო, რაც შემიქმნია, არც ერთს არა აქვს სრულყოფილი სახე და არსი, ყველა მათგანი სასრულია უსასრულობის, უსასრულობას კი, აბა, ვინ მისცემს ბოლო წერტილებს, რათა ამქვეყნად დაბადებას მიქელანჯელოდ საუკუნეთა შორს გამჭვრეტმა დასდოს ის ფასი, რაც არასოდეს, არასოდეს გაიყიდება, თუნდ ასი პაპი გამართავდეს აუქციონებს.

არ მინდა, გესმით? ფასი ჰქონდეს ღირებულებას, რადგან ამგვარი შრომა-გარჯა იმ ვაჭრად მაქცევს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინც ვექსილებად გაასესხა ნიჭი სრულყოფის მხოლოდ იმიტომ, ამ უნიფხვო საუკუნეებს, მოშიებულებს - სილამაზით ეჭამათ პური.

ჰოდა, ამიტომ, მეგობარო, ნუ მომწერთ, მე ვარ ფლორენციიდან დაქცეული დიდი გენია... რომლითაც მუდამ იამაყებს შთამომავლობა!.. ახლა რომ მიჭირს სულიერად, უსიყვარულოდ და უალერსოდ გათენებულ ღამეთა მონას, ახლა ვინ მომცემს ორიოდ გროშს ნაღდი ნუგეშის?

არავინ!.. რადგან არ არსებობს ჩემთვის ის „არსად..." უბრალო კაცად ყოფნა მწადდა მუდამ, ვაზარი, უბრალო კაცად, ვისაც მდედრის ალერსი შეჭამს და, როგორც ძუკნა, ავაზების ხიბლით გამხედნავს, უნუგეშობა არ მექნება მახინჯი მამრის.

ჩემთვის ჯერ მდედრსაც ისე ვნებით არ უკოცნია, მარმარილოში დაყუდებულ ჩემს ჭკვიან „მოსეს" ტუჩზე ღიმილი გაკრთომოდა ძველი სიშორის...

რა ვარ მე ახლა? დიდებული მიქელანჯელო, ათი ღამეთა ვერგამთევი მდედრის ალერსით, რადგან სიბილწედ მივიჩნიე ამგვარ ზრახვათა აღორძინება ჩემს არსებაში.

სხვა რა მეთქმოდა, რაც არასდროს არ მოგეცემა, სამარადისოდ უნდა გძულდეს მისი არსობა...

ქალი არაა მომხედავი ჩემკენ შეფრფინვით... შენ მანუგეშებ: სად გცალიაო ამისთვის, ნეტა... მაგრამ მე მსურდა, მარმარილოს ცივი ლოდისგან გამომეკვეთა ერთი მდედრი, ცხელი ფაშატი.

შენ თუ გრძნობ, როგორ გაყინულან ჩემი ნაღვაწნი, დიდებულებით მომზირალნი, ამაღლებულნი... უფლის ფეხებთან დავანებულ დიდებულებას მიწიერების სევდა თუ არ აფართქალებს, მკერდში გულიც კი გაჩერდება ცივი დუმილით.

არც ერთ მათგანში არა ფეთქავს სისხლსავსე ძარღვი. არადა, მუდამ მიწიერი სურვილით დამთვრალს, მსურდა, იმათთვის გადამედო კაცური ვნება, რათა მათ მაინც განეცადათ მიწით მაძღრობა.

დიდებულია, მაგრამ ღვთიური... მე კი, ვაზარი, სხვაფრივ მსურდა მიახლოება ამაოების განსაცდელთან, უფრო სხვაგვარად, რათა დროებით მომელუშა ქროლა იქორის.

ღვთიური სისხლი არასოდეს არ აჩქროლდება მიწიერების ცეცხლითა და ვნების ხარხარით. ამ სისხლით ყოფნა მხოლოდ მაშინ გადიდებულებს, როცა გონების ფარჩით გმოსავენ ან აბრეშუმით. მე კი ტვინზე და სულზე მუდამ ხამი მეფინა, ხამი უხეში, უყვავილო და უბალახო, რადგან ჩუქურთმას მხოლოდ სულით ვკვეთავდი მუდამ, როცა სამყაროს სისადავე მავიწროებდა.

სრა-სასახლეში ვერ ვითქვამდი სულს ვერასოდეს, შიშველი სულის მეუფებამ გამადიდგულა, სწორედ ამიტომ შევიძელი შეუძლებელი.

რაც კაცში კვდება დროის ცელით, ტირანიც ვერ იქმს, მაგრამ ხანდახან დრო იმაზე კეთილიც კია, ვიდრე მშობელი, შენს შექმნაზე გადაგებული.

რომ მეთქვა, ჩემთვის დრო სულ დიდების წაღებს კერავდა, ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ მთლად შიშველს ხშირად ბედის თბილი ხელები მაიძულებდნენ,ის მეკვეთა, რაც დროს არ სურდა, რისი ატანაც არ შეეძლოთ დიდებულ პაპებს.

უბედურებამ გამამეფა ჩემს მონობაზე, მევე ავყარე ბორკილები ჩემს ბედისწახრას და ჯიქურ მზერით შემოვხაზე სამყაროს ლოდზე უხილავი და ღრმა ხაზები საკვეთი საგნის - დიდების კართან აზიდული მსოფლიო სულის, რაიც არ არის უბედური მთლად ისეთ სახით, როგორაც ამას გვიხატავენ გენიოსები.

გენიოსობას რა სჭირდება? მთლად არაფერი... კაცში ჩადებულ სისულელის მაღალ საგანძურს მუდამ იქ უნდა აბანდებდე, სადაც მოკვდავნი თავსა და ბოლოს ვერ უგებენ საკუთარ სათქმელს, საკუთარ ფიქრებს და, საერთოდ, თავს იქ გრძნობ კარგად, სადაც ადვილად შეიძლება გახედნო კაცი, ღვთით ნაჩუქარი სიცოცხლეთი გამოუცდელი.

უფრო კარგია, იქ შეიძლო სიტყვით ღაღადი, სადაც სულით ყრუ, უენონი ფლობენ საუფლოს. თავმოსაწონად იქ მარტოოდენ ისიც გეყოფა - სიტყვას ფლობ ისე, არ მოითხოვს კითხვა პასუხებს. ცოტაოდენი ნიჭიც უნდა, კი, ვიცი, მაგრამ ნიჭი ყოველთვის იქ მიმუხთლებს, სადაც არ ელი. ნიჭი არასდროს არ დაგინდობს შებრალებისთვის, რადგან, ნიჭს თავად რაიც ღუპავს - სიამაყეა, ვითომ მდაბალი, ღირსებებით პირდაქცეული, მაგრამ სიმდაბლე მაინც იგი სიამაყეა, როცა მეფეთა წინ წადრეკას გიჯობს სიკვდილი.

მე კი მსახური სულის კაცი ვიყავი მუდამ, რაც პაპებს სურდათ, იმას ვკვეთდი, იმას ვხატავდი, მათებრ „რას" ვქმნიდი, მაგრამ „როგორს" სულ ჩემი იყო, რადგან სიღრმეში ჩამხედავი არც ერთი იყო...

ასეა, კაცნი დედამიწის კანზე სახლობენ და არასოდეს ისურვებენ მის სიღრმის წვდომას, რადგან ამისთვის საჭიროა სულის სიმრთელე, რათა ბელტიდან გააღწიო ქვესკნელის კიდეს და იმის იქით სხვა სამყარო მოინახულო.

ბლაგვი სულები, რასაც ფლობენ უმეტეს კაცნი, იმას ვერასდროს ვერ შესძლებენ კანი გაიჭრან და საკუთარი სისხლის ხილვით არ შეფართქალდნენ.

სიღრმეში წვდომა ნიჭს ყოველთვის იქით წაიყვანს, სადაც სიკვდილი ლაჩარს აქცევს გენიოს გმირად.

მე კი... გმირობა არსად მსურდა, არსად, არასდროს, რადგან ყოველთვის მეშინოდა ჩემივე სულის, რომელიც სხეულს ათასგვარი ავადობებით მიზანზარებდა, მითრთოლებდა მინაპრალებდა...

როცა ფიზიკურ ტკივილებში თავს ვერ გრძნობ კარგად, თვითგვემის ოსტატს ვერასოდეს დაგიძახებენ, ხოლო მდაბალი ვნების ოსტატს არავინ განდობს გამოსაკვეთად „მოსეს" და „დავითს".

წლები მიქროდნენ, ულაყებზე ისხდნენ დღეები, ხმალშემართული მეომრები, სისხლის მწყურვალნი და სასიკვდილო ასპარეზზე ისე მიწევდნენ, ვით სიყვარული არსაიდან ჩემთან მოსული.

გაწირვა მსურდა ყველაფრის და შეწირვაც სულის, ოღონდაც ვინმე მოსულიყო და ჩუმად ეთქვა: „აი, მოვედი, მხოლოდ შენთან, ბუონაროტი, მაგ დახეთქილი ხელისგულთა ვნებიან თრთოლვას გადავღვრი ჩემი მკერდის იქით, როგორც ზედაშეს, რათა მშიერ და სიძულვილით აღვსილ მიწიერთ ტუჩები მაინც დაუსველდეთ ზეციურ მადლით და სიყვარული სიყვარულად კი არ შემორჩეს, უფრო დიადი და ლამაზი მიუწვდომლობით, ვიდრე იმად, რომ ჩაიკბიჩოს ყველას ტუჩებით, რამეთუ შემდგომ ყველა ცოდვა გადააბრალონ, როგორც ცოდვის ვაშლს, მსხმოიარეს თავისთვის ედემს".

და აი, როგორც იქნა, მოსვლა ინება ქალმა, ვისაც ორ თვალში ჩემი ზეცა ვერ ეტეოდა და ჩვენი სულის შეხვედრების ფრიალო კბოდეს, ხელისგულებში დაეჭირა ბარბაცა მიწა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხვედრა იყო ღვთისნიერი, მაგრამ გვიანი... ღმერთთა წყალობას მუდამ გვიან პოულობს კაცი, თუ გზააბნეულს დიდებისკენ ისე უვლია, ერთხელაც კი არ დაავიწყდა მოკვდავი იყო.

ის დ'ავალოსის ქვრივი იყო, უბრალო ქალი, კეთილშობილთა სისხლით ძარღვებგადავსებული. სიმართლე რომ ვთქვა, ულამაზო არც კი ეთქმოდა, მზეთუნახავიც არ ყოფილა ის არასოდეს. საბრალოც იყო, ქმრისაგან ასგზის ნაღალატევი, ხელში ვარდივით ჩასჭკნობოდა ქალობის ხიბლი და სიყვარულის ეკლიანი გამხმარი ტოტი. ისიც ლოდინით და ტრფიალით განაწამები, ამოუთქმელი ურვა-დარდით წლებგახედნილი, მაგრამ ფაქიზი, პოეტური სულის პატრონი, ოო, უფრო მეტად პოეტესა ძველი დიდების.

რაკი მიწიერთ ყველაფერი ვერ ანაცვალა, რაკი დიდების კვარცხლბეკიდან ვეღარ ჩამოხსნა ღალატისა და ორგულობის გულმკაცრი ძეგლი, იძულებული მიეახლა ღვთიურს სავანეს, სადაც მოკვდავნი მიწას ისე ალამაზებენ, როგორი ნიჭიც დაუდგებათ მხარში რაინდად.

ჩვეულებრივი ქალი იყო ქალური სულით, მაგრამ გონება მკაცრი ჰქონდა და შეუვალი, ისეთ სამყაროს განაგებდა ჭკუის მახვილით, სული აბრეშუმს შურით რომ არ შეახარბებდა.

გადაცრეცვოდა სიყვარულით ვნებაც, ალერსიც, ნაღალატევის თმენა ჰქონდა, მაგრამ ავაზის და რადგან თვითვე ეშინოდა თვისივე ტორის, უფალს მიმართა მოლოდინით დაღლილი მზერა.

მე შემიყვარა... როგორც იქნა მოვიდა ქალი, ვინც დაინახა ჩემში მამრი - მკვეთი ალერსის, ვნების საჭრეთლით დამქცეველი მთელი მიწეთის, მაგრამ მე უკვე ბავშვი ვიყავ, საბრალო ბავშვი, თითით შეხების მეშინოდა, რადგან მეგონა, ყველაფერს, რასაც ვეხებოდი, დამწვავდა ძვლამდე და ჩემი ფერფლი, წლებმოთეულ ბუონაროტის, არ ეყოფოდა მოსეს სუნთქვას ირგვლივ მობნევად.

სამოცდასამი წლისა ვიყავ, როცა მოვიდა. ორმოცდაექვსის იგი იყო, ჩემზე მზრუნველი. შევხვდით ერთმანეთს სან-სილვესტროს ეკლესიაში. იქ მხატვრობაზე საუბრობდნენ და კიდევ ღმერთზე. ეს ორი რამე იყო მაშინ ბჭობის საგანი, სადაც კაცთაგან თვითეული ჭკუას იქ წვრთნიდა, სადაც მოკვდავურ სამყოფელში ღვთიურს ელოდა.

და მან თქვა მაშინ: „გენიოსებს დღეს ხამლით სცნობენ, რადგან აბრეშუმს სუნთქვა უჭირს სულის სენაკში, სადაც მლოცველად დავარდნილი ნიჭის რაინდი მსხვერპლს და ასპარეზს თავის თავში დაეძებს მხოლოდ. მიქელანჯელოც ასეთია, ვგონებ, პატრიცნო"...

„მი ქე ლან ჯე ლო !.." ისე თბილად, დიადად ჟღერდა მისთა ბაგეთგან გადმოღვრილი მარცვლების აცმა, მაშინ ვირწმუნე, მეც რაღაცად ვღირდი კაცთათვის, ხოლო უფალი იმ დროს არც კი გამხსენებია, რადგან მამრს მუდამ ღმერთს ავიწყებს წყალობა მდედრის, ტკბილშეცოდებას ნიშნისგებად მიიჩნევს უფლის, ვინც ხელისმოსმით დასცა მათი კარავი და გამოდევნა მთლად შიშველნი ედემის გზიდან.

და მეც ვთქვი, რადგან საპასუხოდ ხომ უნდა მეთქვა: „ოო, სენიორა, მორჩილი ვარ მე ჩემი ხვედრის, ჩემში თვითგვემის მსახურია უფრო მეტადრე, ვიდრე მებრძოლი, დაუცხრომელი სულის რაინდი... აბრეშუმს მართლა ვერსად ვგუობ, რადგან შრიალი მუდამ ხელს მიშლის უფლის წყალობას და ჩურჩელებს მივაყურადო, რომელიც მუდამ იმას მამცნობს, რაც მაუკვდავებს"...

„მაუკვდავებსო?!." - სულ პირველად წამომცდა მაშინ და მივხვდი: ვცოდე უფლის წინა, პირველად, იქვე...

იმასაც მივხვდი, გამოჩენა მინდოდა თავის, ქალის წინაშე, ვინც პირველად მომართა მზერა ჩემსკენ და მამცნო: უფლის წყალობა მუდამ მცირე და გვიანია, თუ მასზე ადრე სიყვარული გეწვია დიდი.

ვიცი, ვცოდავდი, მაგრამ მიწის ვრცელ სანახებში, ჩემგვარ ცოდვილთა სულთა ბრბონი იძოვდნენ ბალახს, ოდესღაც ფეხგადავლილი მწყალობელ ღმერთის.

ახლა კი... სული მიბღაოდა მის თვალთა მზერას და მიხაროდა, მასში იყო ყოველი ყოვლით. ეს კი ჩემგვართა ღატაკთათვის ფუფუნებაა. ამ დროს გრძნობ კაცი, რომ შიშველი შენი სხეული ვერ იხამუშებს კანის შრიალს, ვით აბრეშუმის.

სწორედ ამიტომ, არსად ისე მორჩილი არ არს მამრი, როგორც მდედრის თვალთა წიგნის კითხვის დროს. გენიოსობას დაიბრალებს ამ დროს მოკვდავი, თუნდ ანა-ბანა არ იცოდეს მიწის დიდების. სწორედ აქ მივხვდი: ბავშვი იყო ბუონაროტი, ვინც ასე ტანჯვით გაეზარდა მიქელანჯელოს...

როცა წავიდნენ, იქვე ახლოს დავეცი მუხლზე და ვთქვი სონეტი, ამოთლილი სულის ლოდიდან:

„ვერც კი გავიგე, საყვარელო, მოხვედი როდის,
მოხვედი კია, სასწაულო გაცხადდა იქნებ...
მაგ სუნთქვის ნიავს მიეახლა ბუონაროტი
მოათქმევინოს სული ეგებ დასიცხულ ფიქრებს...
შეშლილ სახეში ორი თვალი უკვე მწირია
შენ დაგინახოს, შენი მზერის შავი ხავერდით,
მოგეახლები, მაგრამ ჩემო კვლავ მეშინია
ავი ზრახვით არ ამიმხედრდეს ჩემი ნავედრი...
ქარები ბჭობენ, გათელილი ბაღის ბილიკებს
გაჰყვება სული? დათოვლილი თმენის სვენებით...
ამ ჩვენს სიყვარულს ვიცი ვიღაც გააქილიკებს
ღვთით დავიწყებულს ქალღმერთად რომ მომეჩვენები...
გავყურებ შენს გზას და ვერცხლისფერ ხილვებს შეჰყურებს
ბედნიერება, უფრო მეტად აუბედურებს..."

ფეხზე წამომდგარს სიყვარული შემომეფეთა და მუხლებმტკივანს ისევ მიწა მომანახვინა.

დიდხანს ვიდექი ზეცისაკენ თვალებმზირალი, დავსილი მქონდა ორივე თვალი და მაინც ვმზერდი, რა უსასრულო დარჩენილა ჩემი სასრული, ჯერ სიკვდილი რომ ფეხს არსაით მოინაცვლებდა.

თუ ერთხელ მაინც არ მომკვდარხარ სიყვარულებით, მერე ვერასდროს ვერ გაიგებ ტკივილს არყოფნის...

პატარა ბიჭი ხომ არ ვიყავი, ცუნდრუკი მეწყო და ცრემლიანი თვალთა მზერით ცა ამმღვრეოდა ან მიწა ფეხქვეშ ვეღარ მეგრძნო გონებამიხდილს, ან გულის კარი ჩამლეწვოდა სიტყვის გოროხით... უჯიათი და სიტყვაძუნწი ვიყავ მაშინაც, როდესაც წამებს სჭირდებოდათ წუთებად ქცევა. მე საიმისოდ სად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცალა, ლოდი მიცდიდა, ლოდი ჩემივე დიდებისა და ჩემივ სამარის.

ოო, ვიტორია, შემოდგომის ქარი მიძარცვავს სულის ტოტებზე ამოხეთქილ იისფერ ყვავილს. ბაგის შეხების მეშინია, უფრო მრცხვენია, თვითგვემის ფარჩას ვეღარ გავცვლი მოლხენის ჩითზე, რათა ფეხზე მდგარ გაზაფხულებს ვთხოვო დარჩენა. ოო, რა ხანია ფოთოლცვენას ხსნით მისევადებს გვიანი მთვარე, ჩემებრ შლეგი, გონზე შეშლილი... რატომ მოხვედი საყვარელო, რატომ, ო, რატომ, დაგვიანებულ სიხარულებს პეშვში ვერ ვიტევ, სული მთვრალივით მიბარბაცებს დაღლილ სხეულში, შენს მკლავზე თავის მიდებასაც ვერ წარმოვიდგენ, მე მივეჩვიე სასთუმალად ლოდის დადებას. იქ ნანახ სიზმრებს სააქაოს ფერი არა აქვს, არც სურნელი აქვს შემოდგომის დამზრალ ვარდების, ეკლის ნაჩხვლეტით ამოგდებულ სისხლის კვირტიდან, გაზაფხულები ვეღარ მოვლენ ძველი გრიასით...

მაშ რა ვქნა ახლა, სად წავიდე ან სად დავბრუნდე, რაღაცა გაჩნდა გასავლელი, საკეთებელი, მე კი აღარ მაქვს სურვილები სადმე გაქცევის. არადა, ასე სახალხოდ ვერ დავუწვები მონური თმენით შემოვარდნილ გრძნობის სიანცეს.

ოო, ვიტორია, სულ მრცხვენოდა ბედის წყალობის, სულ მეშინოდა ნებივრობის და... დამშვიდების და ფუყე სულის შიმშილებით ჩაკბეჩა ყოვლის. მაშინ აღარვინ დაიჯერებს ჩემს ტიტანობას, დიდებულებას მწუხარება უხდება მხოლოდ. სად გაგონილა ბედნიერებს სული უჭრიდეთ, მათ მუდამ ენა უფრო უჭრით და კიდევ... ალღო. მე კი რა ძალმიძს? არაფერი... ლოდების მსხვრევა, რათა სულების ნამსხვრევები შევაკოწიწო. მშვენიერება ბედნიერთა ხოტბას ვერ იტანს, ვერც იმათ ლაციცს და უგნურთა სიტყვებით თამაშს. თვალებში მხოლოდ თვალს ხატავენ და მკერდში ძუძუთ და ძარღვთა მიღმა გზააბნეულ სისხლთა დინებას არ გაიყვანენ სამშვიდობოს თითქმის არასდროს, რადგან გონების საბუდარში არ უზით ბარტყი, აზრის, რომელიც გენიაში არწივებს დაზრდის. იმას ხატავენ, რაც წამწამს არ გადასცილდება, იმას ამბობენ, რაც ბაგეთგან გადმოსდინდებათ, იმას მღერიან, რაიც მძლავრ ვნებას დაუსხლტა და ჰგავს იმათი სრა-სასახლე გაჭედილ თავლას სისხლამღვრეულ და შებილწული ჯიშის ულაყთა.

ო, რა ვქნა ახლა ვიტორია, საით წავიდე, მე არასოდეს არ ვიცოდი თავის დაჭერა სინიორებთან, სიყვარულის თეთრ ანგელოზთან. მიწიან ხელთა ორთოლებაში თმენა მეღვრება და მბორგავ სულის ბილიკებზე მივქრივარ უფრთოდ, რადგან რაინდთა ღეზებიდან ფრთები გავჭედე და პაპთა ფეხქვეშ დაცემისას ჩამომტყდა ისიც.

მოხველ და ვიცი მოვალე ვარ მიყვარდე ისე, როგორც სიცოცხლე სიკვდილების ხიბლით ნასვამი. შენი ხელების სურნელებას ვატარებ შუბლით და მეშინია ჩამოღვრილი ჩემს ცივ ტუჩებთან არსად შემერყვნეს მოკრძალების ვერგამოჩენით.

ამიერიდან ის ვიქნები, ვინც შენ ინდომე და არა იგი, მე ვინც ვზარდე ასე წამებით. ერთხელ ხომ მაინც უნდა ვიყო მართლა ისეთი, იმაზე მეტი მაინც ვიყო, ვიდრე ახლა ვარ..."

„ამიერიდან" ძალზედ მოკლე აღმოჩნდა ჩემთვის...

ის „სანტა-ანას" მონასტერში გარდაიცვალა... როცა მიმიხმო სიკვდილის წინ, მითხრა ჩურჩულით: „მიქელანჯელო, მთლად უბრალო რომ ყოფილიყავ, როგორც მამაკაცს მეც გეტყოდი მდედრის ნაბოდვარს, მაგრამ რაკი შენ უკვდავი ხარ, მით ვბედნიერობ, შენს უკვდავებას შენთა ფეხთა მტვერში გავყვები ისე მალულად, ვერც გაიგებს ქვეყნად ვერავინ".

ვიდრე ვეტყოდი მისაგებელს, დადუმდა უმალ და გაფრენილ სულს დაედევნა დამჭკნარი ფრთებით.

ვერ დავიხარე, ვერ ვემთხვიე შუბლზეც ვერაფრით, საკოცნელ ტუჩებს აბა მე ვინ მომაქვავებდა. საგოდებლად და სანანებლად ეს დამრჩა მარად, მაგრამ არც ვნანობ, რადგან შეხებით განიცდება რაიც ჩემგვართა, მას მარადისი არასოდეს არ დაიმგზავრებს.

სამი დღის მერე დამესიზმრა: თოვლიან ველზე, ჯერაც ანგელოზს არ დაედგა ფეხი რომ არსად, ის მიდიოდა ფეხშიშველი და თმაგაშლილი, კაბის კალთები აეკრიფა თოვლისფერ მუხლთან და ნაფეხურში წამომართულ იისფერ ყვავილთ, ისე უხრიდა ჭკვიან თავს, რომ იქვე შემშურდა... მზე ჩადიოდა თოვლებს იქით, იქით შორეთში, როგორც დაისის ფერითავსილ ზღვის შუაგულში... ღრუბლის ქარავანს წინ უძღოდა მზე დაქანცული და თოვლიანზე ფეხწამომცდარ მის სხივთა ბავშვებს გადაცრეცვოდათ სახეები, როგორც ანგელოზთ.

მე არსად ვჩანდი, მაგრამ თვალი ვიყავი ზეცის და ვუყურებდი, დამეძებდა ყელაღერილი...

მერე დაუშვა კაბის კალთა, აკრიფა თოვლი და ჭკვიან თავზე ფანტელ-ფანტელ გადაიყარა, აღერილ პირზე გადაეხსნა ტუჩები სველი და თქვა ჩურჩულით, გასაგონად მარტოდენ ჩემდა: „აქ ხარ, ოო, აქ ხარ... თუ საერთოდ ვერ გგუობს მიწა, რომელზეც ფრთები მეც ვერაფრით ვერ დავიტიე... ყოველ დაისზე, როცა ზეცას გავეპარები, მოდი აქ, მარტო, მონატრების აბობოქრებით და მიხმე, მიხმე „ვიტორიააა"..." მიხმე ჩურჩულით. არ შეიძლება არ ვისმინო შენი ვედრება, ერთხელ შეგავლებ თვალს და ვიტყვი: არ კვდება იგი, ვინც მარადისის სახსოვარი გადაიბარა"...

თრთოდა... ფეხშიშველს წინ უძღოდა მზე ჩამავალი და უჩინარი მორჩილებით ვდევდი ფეხდაფეხ.

გამომეღვიძა, სასთუმალი მქონდა სოველი ან როდის იყო მშრალი იყო სიზმრის ნაწოლი... მაგრამ ცრემლის კვალს ვერც ნახავდა ქვეყნად ვერავინ.

წამოვდექ, თავზე ჩამოვიცვი რკინის შანდალი, ზედ კელაპტარი დავიმაგრე, სკიპტრა - პორფირად და მწუხარების მეუფებას ვექეც მსახურად.

ვკვეთდი გულდასმით, ვკვეთდი, როგორც საკუთარ სულეთს და გამოკვეთილ თეთრ ხაზებში შიგ ვიღვრებოდი.

არ შეიძლება თხიერება ნიჭის, ტკივილის ჩემსავით ერთის ხელისმოსმით გადმოიღვაროს, თანაც ქვალოდში, უსულგულო, უსისხლო ლოდში და მაინც ვგრძნობდი - ვინც მონობას რწმენად მიქცევდა, ამ ქვაში იყო ჩაკირული მთელი სხეულით.

„განკითხვის დღეში" განვიკითხე მე ჩემი თავიც, პავლეს კაპელას კედლებიდან ფეხი დაუცდა სულს, და დათმენილ ტკივილებით გადმოიღვარა, სამაგიეროდ ფეხიც მომტყდა ძირს დაცემისას და ფიზიკური ტკივილები შემომეშველნენ, რათა სულეთის სიბნელიდან გამავალ ფიქრებს, როგორღაც ფრთები შერჩენოდათ ჩემგან გაფრენის...

პავლე მესამე შემობრძანდა და რა იხილა შიშვლად მთრთოლავნი ანგელოზნი, თავებდახრილნი, გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფითრდა, ლამის დაიგლიჯა ტანზე სამოსი და მყისვე ბრძანა: შეემოსათ ურცხვათ მზირალნი!...

მეგონა, არვინ ინებებდა ხელყოფას მათდა. იქვე აღმოჩნდა სამწუხაროდ, მენიფხვე კაცი, ვინც ხელიწიფა უკვდავების გაზიარება და... გაისარჯა.

დანიელ დე ვოლტერს უხმობდნენ ვგონებ, აღარც კი მახსოვს... ან როდის იყო ვიმახსოვრებდი, ქვედასაცვლების მკერავ მამრთა უჯიშო სახელთ.

ამ დროს ისევე შემომიჩნდნენ მემკვიდრეები, ჭირწაღებული იულიუსის და მოითხოვეს კვლავ შემკობა მისი სამარის, აღთქმული სიტყვის ლოდად ქცევა ძველი დიდებით.

„მოსემ" მიშველა, დაივანა იქ, სადაც ახლა, იულიუსი მირეკავდა სამოთხის ხარებს.

ძალიან ხშირად მესიზმრება ცა ფლორენციის და მისი ღრუბლის ფრესკებიდან დაღვრილი მზერა... სიკვდილი მინდა მხოლოდ იქ და მხოლოდ მარტოსულს. რომში დიდებას დავატარებ როგორც საცხედრეს და ადგილს ვერსად ვერ ვპოულობ, სადმე ჩამოვდგა.

ძვლები მიტირის, სხეულს უკვე ჭკნობა აწამებს, გაძარცვულია ბაღებივით ძველი ელადის, სადაც მუზათა ნაყოფები დაჭკნენ სიძველით.

ორმოცი წლიდან ვკვდები, მაგრამ ვეღარ მოვთავდი, რადგან სიკვდილებს დავავიწყდი დედის მუცლიდან. სიცოცხლეც ისე მომეკიდა უყურადღებოდ, დედინაცვალად დამესახა რომში დიდებაც...

მე ვინც მიყვარდნენ, გადაეგნენ ჩემდამი ზიზღით. ვისაც ვუყვარდი - ვერც გავიგე საით წავიდნენ...

გზისკენ მზირალი თვალებიდან შემრჩნენ ცრემლები, განზავებული შუაღამის სანთლის ნაღვენთით...

ლოდიდან შექმნა დიდებისა ღვთის საქმეს მოჰგავს, ან მართლა კაცი შეიქმნება, ან ნაკაცარი. სიკეთის ნიჭი ბორიალობს უკეთურ გვამში და რაკი მონურ სურვილებში გზას ვეღარ იგნებს, წუთისოფელსაც მონად რჩება სულის ბოგანო.

მე სად წავიდე მეუფეო, საით წავიდე... არც შეცოდება აღარ მინდა და არც შენდობა, თავის მიდება მინდა ლოდზე, მშვიდი სუნთქვებით, სიზმრის ფეხებზე დაკიდებულ ღრუბლის გოროხებს ისევ საჭრეთლით დავადევნებ შეშლილ იმედებს. ეგებ როგორმე დავემსგავსო მოკვდავს რითიმე და იგი შევქმნა, წუთისოფელს რაც შეიფერებს.

მიწიერობის ვერ ატანა მაუბედურებს, იქითკენ მინდა, სადაც მზეებს დაღმართი არ აქვთ და სავსე მთვარის შუაგულში არ ჩანს მონეტა, რომელიც ისევ მოგისყიდის კაცურ ვნებებით, რათა აქ, მიწებს არ დაერღვეთ წონასწორობა და უკვდავება ქვაბივით არ ამოყირავდეს.

საით წავიდე, ვით ვაქციო ლოდი ბროლებად, ვენეციური სარკეების მონატეხებით, ვით ავირეკლო ასე გონჯი მშვენიერებად...

ქალის თვალები მენატრება ვნებით შეშლილი, გადმოსაღვრელად გამზადებულ კოცნის ზედაშეს გადმოჰყოლია ტუჩის თრთოლვა, კოცნის მძერწავი...

მისი მკლავები ჩემს კისერზე, წახრილ კისერზე, ჩემს მკერდთან მისი ამო სუნთქვა, ღრუბლის გამცრელი, სარეცელისკენ გაქცეული ქურდული მზერა, შუბებად მჩხვლეტი წამწამები, გამლესი მზერის და ორი სიტყვა, ორი სიტყვა: „კიდევ მიყვარხარ"...

გადავლილია ყვავილებზე თოვლების სპანი, რკინის დეზებით გათხრილია ზრახვათა ველი და შიგ თავჩარგულ გულცივობას და გულფიცხობას პირს დაჰფენია იისფერი შროშანთ ფურცელნი.

აღარ ვყვირივარ, არც ჩურჩული მე აღარ ძალმიძს. სიტყვის ძაძათა ნაფლეთებით სონეტებს ვბლანდავ და მათ სიღრმიდან ფეხგამოჩრილ ტკივილთა კვნესას ისევ ლიდებად მომითვლიან, ვიცი ოდესმე.

არადა, მართლა მეშინია უკვე დიდების, ჩემი ყველაზე ულმობელი, მკაცრი ჯალათის, ვინც არასოდეს არსად მომცა მცირე საშველი - ისე მეცოცხლა, დროს ერთხელაც არ მოეხედა ჩემსკენ და ნება დაერთო ისე მეცხოვრა, როგორც უბრალო ფლორენციელს, რაინდს და სატრფოს.

როგორც ატლანტებს წაუხრიათ მორჩილად თავი, რათა ცის თავანს ერთი კენჭიც არ დაუვარდეს, მე ისე ჩუმად ვემსახურე პაპებს, პატრიცებს. სინამდვილეში მხოლოდ ერთი ბატონი მყავდა და იგი იყო მბრძანებელი ჩემი მარტოდენ: რომი - სატახტო გენიათა და სულშეშლილთა, ტაშის დამკვრელთა და სიტყვათა მთლელ-მკვეთებლების... მხოლოდ მისადმი მორჩილებამ მაქცია მონად დიდების, რამაც შემიწირა სულით და ხორცით.

ახლა რაღა ვქნა, როცა სარკმელს მიწვალებს ქარი, ობოლ ბავშვივით მეაჯება სახლში შეშვებას. მე კი მცივა და სქელ ჩექმებში გაჯეჯგილ ფეხებს ისე დავათრევ, როგორც ლოდებს პადუის მთების.

თავზე ჩამოცმულ საშანდლეში ჩაქრა სანთელი.

ჩაქუჩით ხელში, გაშეშებულ ფიქრთა ქარავანს თებერვლის ღამეს ტვირთად ვკიდებ და ვუშვებ გზებზე, მაგრამ ძალიან გვიანია, აღარსად მიდის ჟამი, რომელმაც მოიყვანა შავი რაინდი.

ასეთი სახის კაცთა თესლით მოედო მიწას ავი და ლირწი, ბოროტება, უკეთურება... და უფრო მეტად მთესველია ის სიკვდილების და იქ, სადაც ჯერ არსაით არ მოელიან, მე მოველოდი...

ყველა ლოდინი დასრულდება მაინც სიკვდილით... მაგრამ მანამდე სიცოცხლეზე ამხედრებულებს მოგვიწევს ვიყოთ გარდამხდელი ათასი ომის.

ჩემი ბრძოლებით დაიღალნენ რომის სიზმრები და ფლორენციის გაზიდული თვალების მიღმა ხშირად ვხედავდი შავ რაინდთა ხმალთა ნაკვესებს, გაცოფებულებს ამხედრებულთ ავი ზრახვებით...

სად მიდის სული, როცა ფრთები მიწით ემსხვრევა და ბუმბულები მარაოებს მოჰფენს გზადაგზა.

შეშლილი გზებით ნაძიები სასუფეველი სიმშვიდეს რომ ვერ დაიმკვიდრებს, მე თავად ვუწყი. თქვენ ის მითხარით, შესაქმების ბოლო წერტილი ამოსუნთქვებით იწერება თუ ჩასუნთქვებით, მიწის ლირწებით, უსასოობით თუ უღონობით... რომელი გზებით შეიძლება გაცლა ყველასგან, სადაც შენს დარდთა მოზიარე ერთიც არ არის.

დაღლილი ვიყავ უსამანოდ და ქანცგაცლილი ცხენივით ფონს ვერგამსვლელი, მაგრამ როდესაც მათრახს დაგკრავს ზურგზე სიკვდილი, შენც შესაძლოა ულაყივით გაინავარდო, რადგან სასრულებს შელეწილი გენიოსები მუდამ უმწეო და ობოლი ბავშვის თვალებით ჭვრეტენ ბოძებული გამარჯვებების მიწიერობას, უძლურებას და უკვდავებას.

რა აზრი ჰქონდა შეუვალი სახით მებრძოლა... უკანასკნელი ბრძოლის ველი ხშირად სინდისს შობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გამარჯვებებს უსათუოდ აუფერულებს, რადგან გადამხდელს უკანასკნელი დიდი ომების, ყოველთვის ღმერთი გვახსენდება, ვისგანაც ვითხოვთ სული წაგვგვაროს მოწიწებით, უმტკივნეულოდ, რადგან გენიოსთ, თუკი რამე გვამიწიერებს, ეს არის მხოლოდ ხორციელი თმენის ტკივილი.

ზამთრის ღამეთა მოსაუბრე ვიყავი ახლა. ფლორენციიდან მოვარდნილი ქართა რაინდნი კარს მიმტვრევდნენ და ჩამძახოდნენ მუდამ მჭახე ხმით: „მიქელანჯელო, პაპი გიხმობს, გამოდი გარეთ, განზე განდგომა ვერ გიშველის, მას დამორჩილდი, ვინც მიწიერი სატანჯველი დიდებად მოგცა და დაფეხვილი, უჯიათი ბუონაროტი საუკუნეებს შეგატოვოს მიქელანჯელოდ"!..

ვძრწოდი... ყოველთვის მეშინოდა მე ამ ძახილთა, რადგან ისინი მახსენებდნენ, ვინც ვიყავ აქეთ, საითაც უკვე არაფერი არ მაკავებდა.

დაბმული მხეცი მუდამ უფრო საშიშარია, ვიდრე ბორკილებდაწყვეტილი, თმენადაცლილი. რაღა შემეძლო, ოთხმოცს უკვე აეკრა პირი... უკბილო პირის ნაჩურჩულებს სიტყვად ვერ აქცევ, თუ სმენა უკვე წართმევია სულის სასმენელს.

ძრწოდნენ ლანდები, გარდასული წლების ფრიალით და მახსენებდნენ მუდამ იმას, რაც მავიწყებდა ამ ქვეყანაზე რისთვის ვიყავ მიწას შებმული. მე რომ ლოდები არ მეკვეთა, ღმერთებს შევქმნიდი, მხოლოდ იმდაგვრებს, მოკვდავებს რომ ვნებებს წაჰგვრიდათ.

გაძევებულებს სამოთხიდან რაც თან წამოგვყვა, შურისძიების თვინიერი გრძნობა თუ იყო, რომელიც მაშინ რაინდობდა სულის ამბოხით, როდესაც მიწა აბლანდავდა ჩემგვარ უგნურებს.

შურისძიება თუ ვიყავი ბრმა მოკვდავობის, სხეულის მსხვრევას თავისთავად დავანებებდი მას, ვინაც ასე მოისურვა ჩემი აღკაზმვა, მაგრამ სურვილი სრულქმნისა და გაუკვდავების ხშირად მძლეველიც აღმოჩნდება ხოლმე ღმერთების.

ზევსის ფეხებთან მიმსხდარიყვნენ და ისევ დუმდნენ...

მეც აპოლონის ნაშიერი ვეგონე ყველას და შემცქეროდნენ ოდნავ ზიზღით, ოდნავ ამრეზით. სახე არ მქონდა მამისა და თვალთა კვესება, უგულოდ ნაკეთს რომ მოვგავდი, თავად ვიცოდი, მაგრამ როდესაც შემოვიდა ჩემი „დავითი" და მოზიდული მშვილდის მზერა მოავლო ირგვლივ, წამოიმართნენ თვინიერი თავების ქნევით, ჩამოიბერტყეს ის ღვთიური ამპარტავნობა და რაკი რაღაც უნდა ეთქვათ, თქვა აფროდიტემ:

„დიდებული ხარ, დიდებული მიქელანჯელო, მაგრამ გონება ნებას არ რთავს გრძნობას გემთხვიოს და გადაგაძროს ტუჩზე კანი ასგზის კოცნებით... ღმერთი ყოველთვის შეგეხება შუბლზე ამბორით, მაგრამ ვერცერთი მდედრი შესძლებს ვნებით შეგშალოს. შენ ის არა ხარ, ვისაც ციურს ჩამოგიმიწებს, რათა მასზე მდგომს მამრად იგრძნო თავი ყოველთვის... თუ შენში ერთხელ, ერთხელ მაინც არ მოიძიე, კაცურ ვნებათა მოცლილობის საქმედ გარდაქმნა, გენიოსობის მზიდველ მონად დარჩები მუდამ და უსათუოდ, უსათუოდ მოგენატრება, ერთხელ განძარცვა მისგან, რადგან მისით შემოსილს, ადამიანურ შეგრძნებათა უბრალოება მისთა მსახურად კისერს არსად წაგადრეკინებს".

რა გინდა, რომ ჰქნა, გაიმეტეს ვინაც დიდებად, მათ ეს სამყარო სულ ყოველთვის ეცოტავებათ. თუნდაც ღმერთების მასპინძლობით ტანდალეწილნი, ფრთების შრიალით მოაფრქვევდნენ მიწებს, ტკბილ ჰანგებს. ჰოდა, შენც დაცხრი, დაცხრი, რადგან გაცვდი, გაძონძდი, მიწიერობის სასწაულით ვერსად გაოცდი... დაცხრი, მაგ ძვალთა ამოკვნესა დროებითია, ხორცის ჩიფჩიფი ვეღარ გიქცევს გრძნობას სონეტად. რომში ვერავის გააოცებ შენი დიდები, დიდებულებას აქ მრავალჯერ ჩასჩარეს მუშტი. პირველი არ ხარ, არც იქნები უკანასკნელი, მაგრამ ერთი ხარ, ერთადერთი, ვინც ცას შერჩება მოუთოკავი სურვილების მიქელანჯელოდ"!

ჩამქრალ კანდელთა სურნელება მითბობდა ჰაერს და სასთუმალთან შემომჯდარი ღამის უკუნი აბრიალებდა სოველ თვალებს, ვით ძველი ხასა.

აღარ ვსუნთქავდი... თითქმის აღარ ამომდიოდა ხორციდან სული. ის მიმდგარიყო გულის კართან და გაბუტული ბავშვის რისხვით დაღლილ-დასჯილი აღარც ფიქრობდა გაღებული კარის გახურვას.

დილით სიცოცხლე მომიგდებდა თავის ნარჩენებს და ჩურჩულით, ისე, სხვებს რომ არ გაეგონათ ზიზღით და ბოღმით დამიგდებდა დახშულ სმენასთან: „რაო, სულძაღლო, აღარ მოკვდი ბუონაროტი?!. მეც დავიღალე შენი თრევით, შენი კაპრიზით... ოო, არსად ისე არ დამღლია სული ბოდვებით, როგორც შენს არსში, სადაც აზრი ვერ მოვიძიე იმის, თუ კაცი ასე რატომ იუბედურებს თავს, როცა ძალუძს რომში იყოს სულ მთლად პირველიც... შენ გამიმეტე თვითგვემად და გასიკვდილებად, დიდების ხელებს შეტოვილი თიხად ნაზელი. ბედნიერებას ვერასოდეს ვერ დამამგვანე... ღმერთი გეგონა შენი თავი და მეც გამტანჯე... იმაზე მეტად ყოფნა გსურდა ვიდრე გებოძა... ფლორენციიდან წამოღებულ სულის დგამ-ავეჯს რომის დიდებით სავსე ქუჩამ მოსტეხა ფეხი... სულ ბორძიკობდი, იწყებდი და ვერ ასრულებდი და ახლა სრულგყობს, დაგასრულებს მხოლოდ სიკვდილი..."

●●●

მადლობა უფალს, კარზე უკვე აკაკუნებდნენ და მუდამ მშიშარს, შეძრწუნებულს სიცოცხლის მზერით, ამიერიდან არ მექნება შიში მისგან გაქცევის.

აუსრულებელ ოცნებათა სასაფლაოზე ისეთი ვდგავარ, ვით ზევსისგან ნატყორცნი მეხი, თავზარდამცემი, ძვალთამტეხი ჩემივ არსობის, რამეთუ მიყვარს უკვე მიყვარს, ამაოების ამოსვეტება მიწის ყველა გვირგვინთა ზემოთ.

აღარაფერი შეიცვლება ამიერიდან, ამიერიდან ერთფეროვან დღეთა სიანცით, გადაიღვრება დაისები სხვათა თვალებში და ჩემი ცხადი ჩემზე მდაბალ კაცთა მზერებით, იმედისმომცემ გაღვიძებით გასიზმარდება.

მადლობა უფალს, კაკუნია კარზე სიფრთხილით... მეც მეღვიძება, ფეხზე ვდგები და მივალ კართან, მაგრამ გაღების მეშინია მაინც ისევე, რადგან სიყვარულს დახშული აქვს სმენა მომავლის, ხოლო წარსულთან განაღდებულ ყველა ვექსილით, მე ამ სიცოცხლის აღარაფრით არ ვარ მოვალე.

ხოლო სიკვდილი... სიკვდილია ყოვლისმომცემი, იმისიც, რაც კი არასოდეს არ მღირსებია და რაც არასდროს არ მქონია სულის შიმშილად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელებს ახლა, ახლა ვარქმევ თითქმის ყველაფერს... სახელი მაინც ვერ დავარქვი ამ ჩემს დიდებას.

აკაკუნებენ... ჰოი, ღმერთო, მაინც მეშინის... ალიგიერი მოსდგომია კარს და ჩურჩულებს: „კარი გააღე, მე დანტე ვარ, ბუონაროტი, შენი ძმობილი, გაქცეული მაგ ჯოჯოხეთებს. მოვედი, რათა წაგიყვანო ნავით ქარონის, იქ კი ნაპირზე გველოდება უფლის კურთხევა, მიწიერიდან გარდასახვის უცხო სიამე, რაიც სამოთხის ბილიკებზე უხვად შთაღვრილა და რითაც ასე მორწყულია ფერთა ველები. მუხლამდე ყანა გელოდება ცერით სათიბად, ჯოკონდას თითით გაწმენდილი ცათა სადაფი შენს სახეს უცდის, შიგ ჩამხედავს და გაოცებულს, ველის შროშანებს, შენი კოცნით ასახვრეპ ნამებს, სხვა ვერ აართმევს მოსაკლავად კაცურ წყურვილის... მაშ, რაღას უცდი, გეშინია? ნუთუ ისევე სხვა ვერაფერი ვერ ისწავლე კაცურ გონებით? სულ გეშინოდა და ხორციელ უძლურებაში შენც ჯვარცმულივით გამობრძმედე სული ტიტანი. გააღე კარი... გარეთ უფრო კარგი დარია, თებერვლის სუსხში მოინაცვლე მირკნის თრთოლება და ამომიწდი ზეცისაკენ გზათა მკვლევლი. სხვაგვარად მიწას ვერ გასცდები, მიქელანჯელო!"..

დანტეს ხმა ჰქონდა, თვინიერი, რბილი, მორჩილი, როგორც ეტყობა ქერუბიმთა ფრთებით გახედნილს, სიტყვაც კი აღარ დასცდებოდა უფლის საგმობი.

ნუთუ ყოველთვის სიკვდილია ბოლო მოძღვარი, ვინც იმ სიბრძნეში განგბანს, რითაც აქ თავს ვერ ზიდავ. სააქაოში უქმე ხელობით სიბრძნეს გითვლიან, მისგან ნაშოვნი ლუკმის სიტკბომ გადაამწარა, ყველაფრის გემო, რასაც კაცის ენა შეეხო.

დანტე იქ ალბათ ფრთებს უწმენდავს მფარველ ანგელოზთ და თვინიერი მზერის ბროლებს არსად მიამსხვრევს, რომელ ღრუბელზეც წაბორძიკდეს უნდა ყოველთვის. აქ ბრძნად შერაცხულს კურტანივით მოწყდა სახელი და დაუმიწდა ამ მოკვდავთა სავანეთ შორის, რამეთუ სხვა რამ ვერ იშოვა ხელმოცარულმა. იქ კი... როგორც ჩანს საგანგებო ღრუბლის მაკეტებს ყოველდღიურად შეუნაცვლებს ღვთის ხელისგულებს და ღმერთზე იქაც ისე ფიქრობს, როგორც აქ ჩემზე.

გეშინიაო?!. რას მომიტანს შეგრძნება შიშის, როდესაც უფრო მეშინია გარეთ გახედვის, სადაც თებერვლის ცივი თოვლით ალესილ მიწას აღარც კი სჯერა საეგებო გაზაფხულების...

აქ სუნთქვა მუდამ ფილტვებს ხეთქავს, გულს ალიცლიცებს, რადგან აქ ჰაერს რაც არ უნდა ფეხდაფეხ სდიო, მაინც შეჰყვება შენი წილი დიდების სუნი.

დაავადებულს კი ყოველთვის შანსი არა გაქვს ოდესმე სრული განკურნების, თავისუფლების, რადგან ყველაზე ვერაგი და ბრმა მბრძანებელი ის დიდებაა, რაც მიწაზე არსად ეტევა... დიდების ტოგაწამოსხმული ტირანთა შუბლი ისეთ აზრებს შობს, რაიც ვერასდროს დაიყაბულებს რომის პალატებს, სისხლითა და შურით მოხატულთ.

რომში ჰაერიც მსუყეა და პატივმოყვარე... თუ მისით სუნთქვით შეიძლება ისე დაბერდე, კარი არასდროს არ გაუღო თავისუფლებას. რომი არასდროს ისე არ გზრდის, მარტო შვილად გცნოს, სიყვარულის და ნებივრობის ასაკგაუსვლელს. გბადებს თუ არა, გაიძულებს ტიტანად იქცე, თუნდ მონა იყო დაბადება-გარდაცვალებით.

ფლორენციაში კი სხვა იყო... სულ სხვა, სხვაგვარად... თუმც არც იქ იყო იმდაგვარი უბრალოება, უბრალო ლოდშიც არ შეგეცნო შენი პროფილი.

ყველაზე ნაკლებ დიდებაზე ვფიქრობდი მუდამ... კი, უჯიათიც ვიყავი და ხეპრე-უბირიც, მაგრამ გონებას არასოდეს ისე არ ვჭყლეტდი, მერე მოკვდავებს ვეღარ ეცნოთ ბუენაროტი. რასაც ვიქმოდი, იმდაგვარი გრძნობის თრთოლებით, სხვათა საშურად არაფერი არ გამიხდია. ანდა რა მქონდა შესაშური: ნიჭი? იღბალი? ორი რამეა, რაიც სხვათაგან გამაღლებს და შესაშური გარემოცვა გამარტოკაცებს.

მარტოკაცობა იმითია უფრო დიადი, მთელი სამყარო ჩაგეტიოს უნდა შენს იქით, სადაც სიცოცხლე არც საწყისობს, არც დასასრულობს...

მე კი არაფერს, სულ არაფერს არ ვაბანდებდი... რაც რამ მებადა, მთელმა რომმა იცოდა მუდამ და რაც იციან, იგი არის სწორედ არარა.

საკუთარ თავის მესაფლავედ თუ ვიყავ ოდენ... სულ ნება-ნება გადავმარხე ჩემი არსობა და როცა მისგან აღარ დამრჩა აღარაფერი, მას შემდეგ მოვლენ სიკვდილები და წამიღებენ...

შემომეფლითა წელთა კბენით სხეულის ძონძი, სული ამომდის შიშით სრული თავისუფლების, ფრთათა ნამსხვრევნი წკარუნობენ ანგელოზთ ფეხქვეშ, გათელილია გასავლელი ღრუბლების მოლი, დაუსიზმრებელ სიხარულის მზესუმზირებით ყელყელაობენ მზით დაწნული მარაოები... სულისდგმა ლიცლიცს ვერ იოკებს, მეღვრება გზა-გზა, უფლამდე იქნებ აღარც მიმყვეს არც ერთი წვეთი, მაგრამ ხომ იცი - თავადვე ვარ მუდამ მწყურვალი მშიერი კოცნის, მთხოვარი მდედრის ალერსის... ქალის, რომელიც ქალზე მეტი მეგონა მუდამ, ასეთი მსურდა სილამაზის აღმოცისკრება. რომის ქუჩებში რა დალევდა ლამაზ კურტიზანს, ვისაც ხელობა ხელოვნებად უნდა ექცია... შეეძლო კიდეც, მაგრამ თავად მასალა იყო, რბილი, ადვილად გამცვეთავი თავისი სიღრმის და რადგან ქალში ვერ გავჭვრიტე მე მარმარილო, მისგან ვერ შევქმენ ვერაფერი უკვდავებისთვის.

მდედრი ალერსის საჭრეთელით თუ იკვეთება, სხვაფრივ ვერაფერს მოუხერხებ ჯიუტს, თავნებას. მე კი უხეში ხელის დარტყმით ვხლეჩდი ქვა-ლოდებს და ამიტომაც შემომეფშვნა ნატვრა ხელებში - გამრინდებოდა მარმარილოს ხორცშესხმა მდედრად...

მისი სუნთქვების მეშინოდა და მეკრძალვოდა, მე ამ მასალით ამ დიდებას რას მივკერძავდი ან ალერსებით გალოდებულ მარადიულში დავაყოვნებდი?!. მისგან ნასხლეტ თავნება წამებს, დროებით არწყულს ფიქრისა და ნიჭის სასმისებს მწყურვალ ტუჩებსაც არ შეახებს მარადიული. რა გინდა რომ ჰქნა...

კარზე ისევ აკაკუნებენ... წამით გაკრთება სიმშვიდეში ხმაურის მწიკვი და მლაშე ლუკმა სიცოცხლისა მიუგემურებს მოშიებული სიკვდილების დახვეწილ მადას.

ვერც შენ შექმენი ისეთი რამ ბუონაროტი, რომს თვალზე ცრემლი მორეოდა გულაჩვილებულს. სულ მკაცრი სახის დედა იყო და ბრძენი მამა, რომი, რომელიც სპარტანულად იმიტომ გწვრთნიდა, უკვდავებასთან არ წაგეგო არც ერთი ომი.

რა ჰქენი მერე? თუ მოიგე, თუ ივაჟკაცე, სიხარულების ფალანგები ჩაჰხოცე სრულად გამარჯვება რომ გეზეიმა მხოლოდ „დავითით"...

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მოსე“ კი... „მოსე“ ბაგეს არასოდეს არ შეატოკებს სიტყვა რომ გითხრას მაგიერი მაგ ტანჯვის ფასად... უტყვი სიბრძნიდან გადმოსულა იგი მოხუცი... საკუთარ თავის ტყვეობიდან დახსნას ლამობდი, ალბათ ამისთვის გჭირდებოდა წინამძღვრად „მოსე“.

მაინც მონა ხარ... შენი ვნების, შენი სიშმაგის, სიცოცხლის მონა, ბოლო ბრძოლების თითქმის წამგები. მხოლოდ სიკვდილი თუ დაგიხსნის ამ კლანჭებიდან...

გააღეთ კარი... გარეთ ქარი მოსთქვამს კაეშნით, იცის, რომ წახვალ... წაგიღებენ თოვლიან ფრთებით და ფიფქთა თეთრი პროცესია, ვით მონაზონნი, შენს გარდამოხსნას იზეიმებს ცრემლების ტბორით.

ანდერძი? ანდერძს გიკარნახებთ ძალიან მოკლედ: „სულს მხოლოდ უფალს მივაბარებ, სხეულს კი - მიწას“... განა რამდენი სიტყვა გინდა ის თქვა, რაც ითქმის, რაც გასაგები უნდა გახდეს სმენად მოკვდავთა. მათ მხოლოდ უნდა ის იცოდნენ, რაც გაეგებათ... სხვა დანარჩენი საიქიოს საუბარია... „ჯოჯოხეთური ქარიშხლიდან მშვიდ სავანეში“, მითხარით ერთი რამდენჯერ უნდა გაგიმეოროთ... ოო, ახლა მაინც მომასვენეთ, მარტო დამტოვეთ, იქნებ აწ მაინც მომასვენოთ ტკივილდამცხრალი. აი, ოცნება ერთადერთი, რაიც ამიხდა, აი, სურვილი ერთადერთი, რაიც დამიცხრა... სხვა ყველაფერი არაფერი ყოფილა თურმე.

გაძვალტყავებულ მკერდს მადებენ გასანთლულ მკლავებს, თან მარმარილოს მტვრით გავსებულ ფრჩხილებს მაჭრიან, შუბლზე მეჩხერ თმას მისწორებენ, დაფანჩულ წარბებს, ღია პირიდან გადმოღერილ სიტყვას მალიან და ყბებს მიკრავენ დედისეულ ჭრელი თავსაფრით...

ოო, როგორ უნდათ ახლა მაინც ვიყო ლამაზი, ისეთი, გული მოუვიდეს ჩემზე ანგელოზს. ახლა რას ვაქნევ, სააქაო პირს რომ მარიდებს, თვალზე მომდგარ ცრემლს წკიპურტით რომ იგდებს ყინჩად, ჩემნაირები მოსულან და ისე წასულან, რომ წუთისოფელს ვერ წარხოცეს პირზე ღიმილი.

ოო, როგორც იქნა დავმშვიდდი და თვალი მივლულე, შფოთიან სულის ქარტეხილებს ყურს აღარ ვუგდებ... რომმა თუ იცის ვინც დაკარგა, სხვას რას ვკითხულობ, საიქიოსკენ მიმავალი გზა ვის შეშლია.

ფლორენციაში გამატარონ ნეტავ ძველი გზით, მე ხომ ამ გზებზე მოვიტეხე ოცნების ფრთები. თან ჩამატანონ ეგებ მაინც ის საჭრეთელი, რითაც ერთგვარი მონდომებით და ნაღჭით ვკვეთდი რომის პაპებს და ანგელოზებს, უკვდავთ და მოკვდავთ, ყველას, ვისგანაც ვექსილები უხვად ავიღე და ვალი თითქმის ვერავისი გადავიხადე.

დრო-ჟამს ხელები შევახოცე ნაუცბათევად, რათა სიკვდილებს არ მოესწროთ მოცლილობის ჟამს. ჰადესის მთებში თუ ისეთი მარმარილოა, როგორც მე მინდა და როგორიც სჭირია საქმეს, მაშინ შევიძლებ გამოვთალო სულ სხვა სიცოცხლე, ისეთი მაინც, სააქაოს რომ დასჭირდება.

თან არაფერი წამიღია ისეთი, ღირდეს წამოაყვედროთ შინაურულ დამუნათებად, როგორც შემეძლო გავანაღდე ყველა ვექსილი, მოვალეც ვარ და აღარცა ვარ თითქმის არვისი. ყველა მოკვდავი ამ გზას გადის სანაპირომდე, სადაც გადასულს არაფერი აღარ გჭირდება.

დაფუსფუსებენ და საკაცის მაქმანებს სჭრიან, ალბათ აბრეშუმს მიკერავენ ბოლო სამოსად, მე კი ყოველთვის ძონძი მეცვა ხორცის და ხამის და საყვედური სულს არასდროს არ დასცდენია.

სასაცილოა, აღარ ახსოვთ „ბუონაროტი“, ახლა მარტოდენ მიწოდებენ მიქელანჯელოს, თანაც დიდების სინათლეში გაცისკროვნებულს.

მეკურტნესავით უნდა ვზიდო მე ეს დიდება, აქეთ ხანდახან მობრუნებულს მარადი ხსოვნით, შემეფეთება თქვენი მზერა, ეჭვით აღვსილი, თუ ვღირდი იმათ, რადაც შევრჩი კაცთა სამზერელს, თუ... სიკვდილებმა მომიტანეს დიდება მხოლოდ.

გთხოვთ დამასვენოთ, ხელს ნუ ახლებთ მაგ საქაღალდეს, შიგ ლექსებია, სონეტები - გულის ლოდები, მარმარილოდ რომ ვერ ივარგა ერთმა მათგანმაც.

მანდ, ქაშანურის ლურჯ ვაზაში ის ფუნჯებია, ხანდახან ღმერთს რომ რაღაც სურდა ჩემით ეხატა, გაქვავებულნი და ლოდინით ქანცგაცლილები, მიყუდებულან მრუმე ფერთა დახშულ კარებთან.

მაგ ზარდახშაში ძველისძველი ბარათებია. ნუ წაიკითხავთ ვიდრე აქ ვარ, გულხელდაკრეფილს შემიწითლდება გაყინული სახე სირცხვილით...

დღესაც მრცხვენია იმ გამხელის და გულწრფელობის, რომელშიც სული ბორძიკობდა თოთო ბავშვივით და უხაროდა თავისივე გულახდილობა.

ზოგიერთ მათგანს მტვერი ადევს, ზოგს ცრემლის ლაქა, ზოგზეც ხსოვნაა შეყინული ტრფობის სისხლებით, ზოგში სიკვდილის მონატრება ნიშნს უგებს იმ დღეს, როცა სიცოცხლეს ვანიჭებდი აზრს და სისავსეს.

ზოგი მათგანი ნაწერია პაპის თითებით, ზოგი უბრალო და მტვრიანი ხელის მოსმაა, უსუფთავესი გულისა და გონების ჰაზრით.

იქით, კუთხეში, თქვენ რომ დგახართ, სენიორ ტომზო, ჩამუხლული ზის ჩემი ბედი და მისტერია. თავი ანებეთ, ჯიუტია, არ წამოდგება... მან ის შეიძლო, ყველაფერი გადამხდენოდა, კარგად თუ ავად, გამცვითა და დამანაკუწა. მუდამ თავნება ბავშვი იყო, ჟინჟღლი, მტირალა... მეც წამდაუწუმ პირს ვუვსებდი ჩემი ლხინებით. ამიტომ მუდამ სიტკბოება მშიოდა ყველგან, ყველაფერს მუდამ აზრს ატეხდა ანდა ბზარავდა, ან აკოჭლებდა... ყველა იდეა დაღეჭილი ჰქონდა კბილებით, ყოველი ფიქრი - მთლად შიშველი, მშიერი ჰყავდა. აკი ამიტომ ვერ აღვივსე ყოფის სტომაქი. მე არასოდეს არ ვიცოდი რაა სიმაძღრე, კმაყოფილება იმით, რაც გაქვს ღვთით ბოძებული...

ის ხარბი იყო, ძალზე ხარბი და თანაც ძუნწი. მწიკვს არ მომცემდა ლხინებიდან და სიმშვიდიდან. აკი ამიტომ ტანჯვად მექცა წამი ნუგეშის და დიდებისგან მორთმეული ყოფიერება.

აი, იმ ლოდს კი ვერაფერი ვერ მოვუხერხე, იმ ლოდს, რომელშიც თმენით ვკვეთდი ბედნირებას. დროზე მომისწრო... თქვენც ხომ იცით, მუდამ ასეა, მაშინ, როდესაც მოინდომებ სახიერებას, ბედნიერებას დაკარგულის და მოლოდინის, მაშინ უთუოდ შემოგიღებს კარებს სიკვდილი.

მადლობა უფალს, მოვიდა და... დავცხრი, დავმშვიდდი. რომში ერთი წლის სიცოცხლე სჯობს სხვაგან ათას წელს, მაგრამ ის ერთი იმდენს გართმევს, რამდენსაც ასი, ან საუკუნე, მარადისის სანდო მსტოვარი.

მორჩა, დაღამდა პარასკევი და მეც დავღამდი... 18 თებერვალს, 5 საათზე ზამთრის ბინდ-ბუნდში ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომეხუჭნენ ის თვალები, თქვენ რომ გხედავდით და ჩემს ზეცაში ცახცახებდა მუდამ მზის ხვატი, რადგან ტიტანურ ამბოხების ციებ-ცხელებამ არ შეიძლება სამზეოზე სიმშვიდე მოგცეს.

დავლამდი... ზამთრის მოკლე დღეზე ხანმოთეული. გაცვეთილ ძვლებზე დამიცურდა სხეულის ძონძი და ფეხთ გაეგო სიკვდილების ატლასთა შრიალს.

ოო, როგორც იქნა შემიხვია დიდებამ ფარჩით და ახლაც როგორც სიცოცხლეში მეუხამუშა... მიუჩვეველი სიტკბოების და ალერსების, სიკვდილს უწრფელეს კოცნაშიც კი დავამუნათებ.

მე სხვა რამ მსურდა, მაგრამ ის „სხვა" უბრალო იყო, თვალსახილველად მარტივი და ხშირად მდაბალი. მე კი, მივცურავ ღრუბლებს ზემოთ და ისევ ვფიქრობ: რაა სიმაღლე, თუ არასდრსო არ დაცემულხარ და არასოდეს არ მოგიტეხავს კისერი ნიჭის...

ტოტებდასხეპილ ყვავილობას ვუმზერდი მუდამ და რომის ცაზე მეწამული ღრუბლის ნაფლეთი, საუბედუროდ, სულ მეგონა შირაზის ვარდი... მარტოსულობის სურნელებას ვნთქავდი ნიადაგ და მთვრალი ვიყავ, მთვრალი ვიყავ მუდამ წუხილით...

გამოვფხიზლდი და ვერ შევიძელ დაბლა დარჩენა, რადგან ტიტანებს მარადიულ სიმთვრალის ნებით, ძალუძთ მარტოდენ მას ხედავდნენ, რაც არ არსებობს და რაც თავად სურთ არსებობდეს ცხადის საშოში...

წარმოსახვათა ნაყოფიდან უბრალოს ვერ შობ, ვერც აზრს, იდეას, ვერც ოცნებას, ვერც უბრალო კაცს, მხოლოდ ჟამთასვლით ვერ განაძლობ მარადისობას.

ამიტომ მივალ დამტვრეული ფრთებით ვხევ ზეცას და ღრუბელ-ღრუბელ მოზომილი ლურჯი ატლასით ვცდილობ შევმოსო მიწიერი აზრის ბავშვები, დაბლა რომ დამრჩნენ დასაზრდელად ისევ სამადლოდ ჩემებრ ტიტანთა, მარტოსულთა და უბედურთა...

სადაც სიცოცხლე დასძლევს სირცხვილს სრული სიშიშვლის, ბედნიერება იქ უთუოდ ფეხს მოიკიდებს, თუნდაც სიკვდილის მეუფებამ დაისადგუროს მიწის ბებერი და დაღლილი ძვლების ძგიდეზე.

ბედნიერი ვარ, როგორც იქნა გათენდა ჩემთვის, იმ უსასრულო ღამეთაგან არც არა შემრჩა, მხოლოდ ახლა ვგრძნობ, სხვათა გზებით მივლია დღემდე და საიდანაც მოვდიოდი, იქაც არ ვიყავ. საითაც მივალ, მიწიერით არც იქ ვიქნები, რადგან ბინადარს ზეციურის მუდამ იქ მთვლიდნენ თავისიანად, უფრო მეტად სხვათა მსახურად, სადაც არასდროს მიფიქრია აზრის კვესება.

მივალ... ამ გზაზე ყველაფერი მომასადაფებს და ჩემს მოთეულ წელთა ფერებს გამიხასხასებს. სხვაგვარად ღმერთი არც მიხმობდა თვისთაა მსახურად.

აქედან წასვლას რა ფასი აქვს, თუ აღარ მოხვალ, მერე ამ ქვეყნად არავისში და არაფერში... არც მონასხლეტი დამრჩენია ჯიშის და გენის, არც სახვალიო აყვავების ნათელი ყლორტი...

სიმართლე გითხრათ, არც რწმენა მაქვს აქ კიდევ მოსვლის, ისევ კაცად და ისევ ნიჭით დაღდასმულ სულით.

სამაგიეროდ, რაც აქ მრჩება, ვინლა წაიღებს, ხელშესახები თუ რამეა ქვად თუ მოხვდებათ, მაგრამ რაც იმ ქვას სულად მივეც, ვიცი ეყოფათ საუკუნეებს სამუდამოდ და სანუგეშოდ.

არას გამადლით, ისე როგორც თქვენ ვერ შეიძლებთ ის მითხრათ, თითქოს უქმად გამიფლანგავს სიცოცხლის აზრი.

ბარი ბარში ვართ - დახარჯულ და დასახარჯავის ყველა ვექსილი გავანაღდე ულაპარაკოდ...

რა ნათელია... ცისკენ მივალ ვიწრო ბილიკებს მივდევ და ვიცი არაფერზე აღარ ვიფიქრებ, რადგან სანაღვლოდ არაფრიდან აღარაფერში ერთადერთია - მოგონება არსად ყოფილთა...

სავანებელში მონად მოჩანს ყველა ტიტანი, გინდა სიცოცხლე გითხოვია, გინდაც ხმიადი. სავანებელი სამათხოვროს წაავგავს მუდამ, მათხოვრად ყოფილს თუნდაც წამით ვინ გაგიკითხავს.

არც არას ვითხოვ, როდის იყო მიწით ვძღებოდი. ზეცის მონაკბეჩს დავეძებდი მუდამ მშიერი, უფლის ნაპირალს მოკრძალებით ვასობდი კბილებს და ატკიებულ, მადანაცრეც შიმშილებიდან ყოველთვის ბრძენზე მეტი აზრი მექვავა თავში.

აჰა, აღარ მაქვს სული თეთრი, გავთავისუფლდი... ჰა, როგორც იქნა ბორკილები შევიხსენ მისი. ამიერიდან თოვლის ფიფქსაც შევეცილები სიმსუბუქეში, სითეთრეში, სისუფთავეში...

ანთებულია თავთან თეთრი, კენტი სანთელი, საშანდლეებში ღვარღვარებენ უფრო მაღალნი, დამტრიალებენ თავს პატრონნი და მემკვიდრენი, ერთს ჩემთან ყოფნის პატივი თუ ერგო სახსოვრად მეორეს - ჩემი ოფლნალტობი ოქროს ქისები. ორივესათვის ძვირფასი ვარ და საყვარელი, მაგრამ უფრორე გარდაცვლილი, ვიდრე ცოცხალი. სიცოცხლეს მუდამ ვაჭრის ალღო ექნება ნაკლად, ვიდრე მოკვდავმა ორჯერ ორის ნამრავლი იცის.

რა სიმშვიდეა... ნანაობენ ღრუბლის ფარჩები. მე აღარ ვსუნთქავ, აღარ მიშლის ვისმინო როკვა უჩინარი და მოკრძალებით ავსილ ჰაერის.

ცის ხმიერება მიწის ყრუებს არსად გვსმენია, მხოლოდ იმიტომ, ფეხის წვერზე ვერ ავიწიეთ, რათა ცოტათი ავცდენოდით კაცად სიმდაბლეს.

რა ნათელია... მზერაჩამქრალს ისევ მაჩქროლებს ნაირფეროობა ღრუბლებისა და არილების. სად იყო ამგვარ სინათლეთა კორიანტელი, რატომ აქამდე არ მიკვეთდა საგანთა ფორმებს. თუმცა... აქ ცაა, სასუფევლის ლურჯი სიმშვიდე.

„მორჩა!.." ყოველთვის მაშინ ვამბობთ, როცა მთავრდება მიწიერობის სიმძიმეთა აუტანლობა. „მორჩა!.. დასასრულს მოიხმობენ დასაწყისები და აფეთქებულ ნეტარების თბილ ჭავლში მავალს, კვლავ მახსენდება სურვილები - ნირვანის პოვნის!..

თუ შეიძლება წამიწერეთ ეპიტაფიად: „მიქელანჯელო რომის მონა, მეუფე ქვეყნის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზურაბ ჭუბაბრია

## სახლი საქვაბის ჩიხში

(ნაწყვეტი რომანიდან)

საქვაბის ჩიხში ერთადერთი სახლი იდგა.

ეს იყო ყოვლად უშნო, აწოწილ-დაწოწილი, პირქუში და მდუმარე ნაგებობა.

არავინ, იცოდა, ვინ ცხოვრობდა ამ ბნელსა და გამოყრუებულ სახლში, არავის გაუგია იქიდან გამოსული სიმღერისა ან ბავშვის ტირილის, თუნდაც ოჯახური აყალმაყალისა და მამაპაპური მეზობლური ჩხუბის ხმები. ის კი არა, დაბეჯითებით არავინ იცოდა, რამდენსართულიანი იყო ეს შენობა. - ქალაქის ჩრდილო ნაწილის მცხოვრებთათვის ის ექვსსართულიანი იყო, სამხრეთელებისთვის - ათსართულიანი, დასავლელებსა და აღმოსავლელებს კი ამ საკითხზე გარკვეული აზრი არ გააჩნდათ, რადგან სართულების დათვლაში პირველთ ამომავალი მზის სხივები უშლიდა ხელს, მეორეთ - ჩამავალი მზისა! ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოქალაქეებს საქვაბის ჩიხი ნაკლებად აინტერესებდათ; მით უფრო, რომ ვერავინ დაიტრაბახებდა, იქ ნამყოფი ვარ და სახლის მობინადრეებიდან ვინმეს ვიცნობო. ქალაქის მამებს სხვა საფიქრალი და თავში საცემიც საკმარისი ჰქონდათ, ამ იდუმალებით მოსილ სახლზე ფიქრით ტვინი რომ არ ეჭყლიტათ! აბა რა! სამაგალითოდ ისიც კი იკმარებს, რომ თვით ქალაქის მერმა, უბრალო ადამიანებზე გამუდმებული ზრუნვით დაღლილ-დაქანცულმა მოღვაწემ, გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა და საყვარელი ცოლ-შვილი დასასვენებლად ამ ზაფხულს გაცილებით უფრო პრესტიჟული კანარის კუნძულების ნაცვლად სადღაც იტალიის რივიერაზე გაუშვა!

ერთი სიტყვით, საქვაბის ჩიხი ქალაქის მხრიდან დიდი ყურადღებით ნამდვილად ვერ დაიკვეხნიდა!

ადამიანები ისე უფრთხოდნენ აქაურობას, როგორც ეშმაკი - ეკლესიას.

მათხოვრები და ლოთები შორიდან უვლიდნენ საქვაბის ჩიხში მდებარე სახლს და შიგ მაინც არ შევიდოდნენ, ასდოლარიანში გახვეულ არაყის ბოთლს რომ დაჰპირებოდა ვინმე!

●

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დილას ახალგაზრდა ენთუზიასტმა გენომ - საქალაქო მუნიციპალიტეტის თაოსნობით შექმნილი ხანძარსაწინააღმდეგო საზოგადოების ნამდვილმა წევრმა, მისმა იმედმა და სიამაყემ, მზიანი ხალხმრავალი ქუჩიდან საქვაბის ჩიხში შეუხვია.

შეუხვია თუ არა, მომწვანო ნესტიან ქვაფენილზე ფეხი აუსხლტა და წონასწორობის დასაცავად კედლის კუთხეში გამოჩრილ აგურს მოეჭიდა.

იმდენად ცივი და სლიპინა იყო კედელი, რომ გენომ აგურს სასწრაფოდ უშვა ხელი და ჯიბეში ცხვირსახოცი მოძებნა, თუმცა ხელისგულს აყოლილი სველი სიბილწის შეგრძნება ვერაფრით მოიცილა.

მიმოიხედა.

ირგვლივ ადამიანიშვილი არსად ჭაჭანებდა.

ყიჟინ-ხივილიანი ქუჩიდან შემოსულს ეს სამარისებური მდუმარება უცებ თავს დაატყდა. ტანშიააკანკალა, ატმისფერი ლოყები გაუფითრდა და საშინელი სურვილი აღეძრა, აქედან თავქუდმოგლეჯილი გაქცეულიყო.

ასეც მოიქცეოდა, ქალაქის მამებისთვის ანგარიში რომ არ ჰქონოდა ჩასაბარებელი. შეეცადა, ღრმად ესუნთქა, დამშვიდებულიყო და დამჯდარი გონებით გაეაზრებინა, რა იყო, ბოლოსდაბოლოს, ამ შენობაში ასეთი იდუმალი და შიშისმომგვრელი.

ნებისყოფა მოიკრიბა, გული გაიმაგრა და კიდევ ერთხელ მოავლო თვალი სახლს:

ჩვეულებრივი, ნესტისგან დახავსებული აგური.

ჟანგისგან დაჭმული თუნუქის მილი.

ასევე ჩაყანგულ-ჩახვრეტილი ფირნიში, რომელზეც ძლივს მოჩანდა წარწერა - „საქვაბის ჩიხი, N°8". თანაც, აბრას ოთხი სამაგრიდან ერთიღა შემორჩენოდა და, მასზე ჩამოკონწიალებული, იაპონური იეროგლიფივით იკითხებოდა. ასე რომ, შედეგად ყოვლად ჩვეულებრივი რვიანი უსასრულობის მათემატიკურ ნიშნად გადაქცეულიყო.

ენთუზიასტ გენოს მათემატიკური ნიშნებისა ბევრი არაფერი გაეგებოდა და წამიერი ყოყმანის მერე სახლის კარი შეაღო.

სიბნელიდან თანდათანობით გამოიკვეთა უზარმაზარი დარბაზი, რომელიც წიგნებით იყო სავსე. წიგნები მაშინღა შეამჩნია, როდესაც დარბაზის სიღრმიდან მბჟუტავი შუქი მისკენ გამოემართა.

გენომ უკან მოიხედა, რომ გასასვლელი დაემახსოვრებინა, მაგრამ კარი აღარსად იყო. მის ადგილას ვეებერთელა წიგნის კარადა იდგა.

„ჩანს, სიბნელეში მხარი ამექცაო", თავი გაიმხნევა გენომ და უცებ ხის მასიურ მაგიდასთან მდგარი ერთი ბეწო დაჩამიჩებული დედაბერი დაინახა. მაგიდაზე თითქმის ბოლომდე დაღვენთილი სანთელი, ხანძარსაწინააღმდეგო ორგანიზაციის ენთუზიასტის გულის გასახეთქად, უკვე დრო-ჟამისგან გაყვითლებული წიგნის ყუას ლოკავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ნუ გეშინია, შვილო, იმის ბედი ვინ მოგვცა, რამე დაიწვას და დაინაცროს ამ დასაწვავში.

- გამარჯობა, ქალბატონო! - გენო ვერაფრით მიმხვდარიყო, დედაბერი აქ საიდან გაჩნდა.

- ჰი, ჰი, ჰი, სადაური ქალბატონი მე მნახე?! - უკბილო პირით გაიცინა დედაბერმა, მაგიდიდან მკვირცხლად გამოცუხცუხდა, დალეული სანთლიდან დაუდევრად დახვეულ სიგარეტს მოუკიდა. სიგარეტიდან გამოფრქვეული ნაპერწკლები წიგნებს შეესია.

- ბებია, აბა ასე შეიძლება?! - ენთუზიასტმა ხუმრობანარევი საყვედური შეაპარა მოხუცს, თანაც, არ ეწყინოსო, „ქალბატონის“ ნაცვლად არაოფიციალური „ბებიათი“ მიმართა.

- აგრე, გენაცვალე, ბებია დამიძახე. ცეცხლისა კი ნუ შეგეშინდება. აქ არაფერი იწვის. აი, ნახე, ხომ ვითომ ძველი და გამომშრალი ხეა, წიგნებიც სიძველისგან ლამის დაგვემსხვრეს, ალი მაინც არაფერს ეკიდება. იხრჩოლებს, იწვალებს და ბოლოს მაინც ჩაქრება.

მართლაც, თაროების გაყოლებაზე ხის მოაჯირი სულმთლიანად ჩანახშირებული და თითქმის ყველა წიგნის ყდა გამურული იყო.

- ხანძარი კი აქ არასოდეს ყოფილა, - განაგრძობდა დედაბერი, - მიხვდი, გენაცვალოს ბებია, არც არასოდეს იქნება!

- კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანს! - გაიხსენა გენომ ხალხური სიბრძნე.

- მოიტანს, მოიტანს! - დაამშვიდა გენო დედაბერმა, - აბა ერთი, სინათლეზე გამოიწიე, უკეთ დაგინახო! ვაი, ვაი, ვაი, ეს რა ბიჭი მოგვსვლია! ეს რა დღე გაგვითენებია! პატრონი არა გყავდა, შვილო, აქ ვინ გამოგიშვა?!

- მე ქალაქის შვილი ვარ, დედ-მამა არც კი მახსოვს! - ამაყად განაცხადა გენომ და ხელი უნებურად ხანძარსაწინააღმდეგო საზოგადოების სამკერდე ნიშანს შეახო.

- ჰოო, ეგ კარგია, არავინ მოგაკითხავს!

- მე ჩემს მშობლიურ ქალაქს ვჭირდები! მოქალაქეები მომაკითხავენ... - გენო შეყოყმანდა, - ხანძარსაწინააღმდეგო ორგანიზაციის წევრები მაინც!

- გინდა, ყველა გულია პატრონი და გინდა-არავინ. ჰო, კარგი, დაჯექი ახლა, მოყევი რა ხდება დედამიწის ზურგზე. გენო დედაბერს უგულისყუროდ უსმენდა და გუნებაში იმას ფიქრობდა, ერთი ისეთი მოხსენებითი ბარათი გავაშანშალო, მთელი საზოგადოება ფეხზე დავაყენო, საზოგადოების ზოგიერთი მცონარე და მთვლემარე წევრი გამოვაფხიზლო და ხანძარსაწინააღმდეგო საქმეში გამეფებულ გულარხეინობას ბოლო მოვუღოო!

- არა მცალია, ბებია, მთელი სახლი შესამოწმებელია! - თქვა გენომ და საათს დახედა, რომლის სამივე ისარი უკვალოდ გამქრალიყო.

ენთუზიასტი კარგა ხანი გაოგნებული დაჰყურებდა უისრო საათს და აღარ იცოდა, რა ეფიქრა.

ამასობაში დედაბერი სიცილისგან ლამის ჩაბჟირდა. ხველა აუტყდა, სიგარეტი პირიდან მაინც არ გამოიღო და ოთახში ნაპერწკლების კორიანტელი დააყენე.

- რაო, შვილო, რა თქვი?! არა მცალიაო?! უი, რა ნორჩია, შემოგევლე! კარგი, გენაცვალე, შენს საქმეს მიხედე, მაგრამ იცოდე, ივლი ივლი და ბოლოს მაინც აქ დაბრუნდები! ჰი, ჰი, ჰი, ეს რა თქვა, არა მცალიაო!

- ქალბატონო!

- ვიცი, ვიცი, გამოჩურჩუტებულ დედაბერთან საუბარი ვერაფერი სასიამოვნოა, თანაც შენისთანა მოუცლელი კაცისთვის!

დედაბერმა უცებ შეწყვიტა ქილიკი, ჩურჩულზე გადავიდა და მის ხმაში იმხელა სევდამ გაიჟღრიალა, რომ გენოს გული მოეწურა.

- რომ იცოდე, როგორ დავიღალე!

- არაფერია, ბებია, ყველაფერს მოევლება.

- მოევლება? შენ რა იცი, რამდენი ხანია... თუმცა, რა ხანი, როცა აქ დრო საერთოდ არ არსებობს... შეხედე, შეხედე, ყველა ეს წიგნი ჩემი წასაკითხია! დავბერდი და ამ სიბნელეში სათვალეც ვეღარაფერს მშველის.

- მერე, გადით დამსახურებულ პენსიაზე და დაისვენეთ!

- დავისვენო?! - დედაბერმა სათვალე გაიკეთა და გენო მკაცრად შეათვალიერა, - ჩემი დასვენება არ შეიძლება! ამ სახლში უამრავი ადამიანი ცხოვრობს, არც მათი დასვენება შეიძლება. ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს, თორემ აფეთქდება! აუცილებლად აფეთქდება!

- აფეთქდება? რა აფეთქდება?

- ამის გაგება ყველასთვის არ არის აუცილებელი. მილიონი სანთელი უნდა დაწვა, რომ ამ საიდუმლოს ჩაწვდე! თუმცა, ზოგიერთი ისეთია, მილიონი სანთელი ერთად რომ დაუნთო, ჩინებული მხედველობის მიუხედავად, ვერაფერს დაინახავს! იმიტომ, რომ ყურება ერთია და დანახვა მეორე!

- კარგი, ბებია მეშინია, არ დამაგვიანდეს. თქვენ კი, ძალიან გთხოვთ, ცეცხლთან მაინც ფრთხილად იყავით. კარგი?

- აქ მოხვედრილებს არასდროს არსად აგვიანდებათ! - ხაზგასმით წარმოთქვა დედაბერმა. - ცეცხლისა კი ნუ შეგეშინდება. ხანძარი ისევე მიუწვდომელია ჩვენთვის, როგორც აქედან გასვლა!

გენოს სახე შეეცვალა.

- მაპატიე, გენაცვალე, საუბარში გავერთე! იცი, რამდენი ათასი წიგნი დამრჩა წასაკითხი?! ხედავ, რამხელა სადგომია? ჰოდა, სულ წიგნებითაა გამოტენილი! ამ სახლში უამრავი პირუტყვი ცხოვრობს ისეთი, რომ მოკლა, წიგნს არ გაეკარება. აბა, იმას კი არ იფიქრებენ, ამ საწყალ დედაბერს ცოტა მაინც დავეხმაროთო. ძალიან დავბერდი. ჯერ რის ვაივაგლახით ვკითხულობ და მერე წაკითხულის აზრს ვეღარ ვიგებ. მაგრამ, რა გაეწყობა ეს საქმე, ასე თუ ისე, მაინც ჩემი გასაკეთებელია!

ბერიქალს ამდენი კითხვისაგან ჭკუა არევიაო - გაიფიქრა გენომ და ამით ახსნა ის შეშფოთება, რასაც მოხუცის გაუგებარი სიტყვები იწვევდა მასში.

- ჰო, შვილო, წადი. ჩქარა, ჩქარა, არ დაგაგვიანდეს! - ბოლო სიტყვებზე დედაბერმა ღიმილი ვერ შეიკავა და კარი ლამის ზურგზე მიუჯახუნა.

გაკვირვებული გენო შემობრუნდა, მაგრამ კარის ნაცვლად ყრუ კედელს წააწყდა.

ჯანდაბას, როცა იქნება, შუქი მოვა და ყველაფერი გაირკვევაო, - თავი დაიმშვიდა ენთუზიასტმა და უსწორმასწორო კიბით დერეფანში გავიდა. გენო ჩუმ გრძელ დერეფანს მიუყვებოდა და მხრჩოლავი გოგირდის სუნი ნესტოებში სულ უფრო და უფრო მძაფრად ულიტინებდა. გაახსენდა, რომ ასანთი გოგირდისგან მზადდება, მაგრამ ასანთს მთელი ცხოვრება ხმარობდა და ასეთი სუნი კი არასოდეს უგრძვნია.

დერეფანი არა და არ თავდებოდა.

სიჩუმე ნელ-ნელა გაიბზარა.

გენომ იგრძნო, ფეხებქვეშ იატაკი როგორ აუტორტმანდა.

გაურკვეველი ხმები შემოესმა. ხმები ძლიერდებოდა და ამაზრზენ ფანტასმაგორიას ქმნიდა. ერთმანეთში აირია რაღაც მხეცების ღრიალი, გრგვინვა, კივილი, გნიასი და ხორხოცი.

გენო დაფეთდა, გარშემო გამეფებული უკუნეთი ყოველი მხრიდან შემოსეულ ხმებს შემაძრწუნებელ ფონს უქმნიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადღაც შორს, ტალანის ბოლოს გენომ მკრთალად განათებულ ფანჯარას მოჰკრა თვალი და იქითკენ გაიქცა. კი არ მირბოდა, მიჰქროდა, მაგრამ ზოგჯერ მაინც უხდებოდა იატაკისთვის ფეხის დაკარება, იატაკისთვის, რომელიც რაღაც სლიპინა, მოწრიპინე არსებებით იყო მოფენილი.

როგორც კი ფანჯარას მიუკაკუნა, იმწამსვე ისეთმა სიმყუდროვემ დაისადგურა, თითქოსდა ამ ტალანში ქვეყნის დასაბამიდან არაფერს გაეფაჩუნოს.

- მობრძანდით!

- შეიძლება?

- შემობრძანდით, ოღონდ ფრთხილად, ჩვენთან ისეთი დაბალი ჭერია!

გენოს წინ კაფანდარა სათვალიანი კაცი იდგა გაჭვარტლული ნავთის ლამპით ხელში.

- მე ხანძარსაწინააღმდეგო საზოგადოების ნამდვილი წევრი გახლავართ! - თქვა გენომ, ინსტინქტურად წელში გასწორდა და კარის თავანს მწარედ აარტყა თავი.

- ხომ გაგაფრთხილეთ, ბატონო! - შეწუხდა მასპინძელი და ჯიბიდან შავი ფული ამოიღო, - აი, ეს დაიდეთ, იქნებ, კოპი მაინც არ დაგაჯდეთ.

- არა უშავს, არაფერია! - ტკივილისგან დაღრეჯილი გენო ზრდილობის წესებს მაინც არ ღალატობდა და გაღიმებას ცდილობდა, - მთავარია, ხანძარსაწინააღმდეგო თვალსაზრისით ყველაფერი წესრიგში იყოს!

- ეჰ, ჩვენთან ისე ცივა, ჩემო ბატონო, რომ ხანძარი კი არა, უბრალო ცეცხლი გვენატრება.

- აბა, აბა, რამდენი საუკუნეა, საქვაბეში ცეცხლი არ დანთებულა, ნამდვილი, გიზგიზა ცეცხლი, ჭვარტლიანი და მურიანი! დავწუდით, ბატონო ჩემო, მოლოდინით!

გენომ ახლაღა შეამჩნია, რომ ამ გაგანია ზაფხულში ოჯახის უფროსი ბეწვის ქურქში იყო გამოხვეული და თავზეც თბილი ფაფახი წამოეკოსებინა. შავოსანი ქალი კაცზე მაღალი უნდა ყოფილიყო, ცხადია, დაბალი ჭერის გამო ისიც წელში მოხრილი დაიარებოდა.

- არ გიჭირთ ასე სიარული? - მორიდებით შეეკითხა გენო მასპინძლებს მას შემდეგ, რაც ურთიერთგაცნობის ცერემონიალი მოთავდა.

- არაფერია, ბატონო, მივეჩვიეთ წელში მოხრას. ამათ ხელში ცოცხლები რომ ვართ, ისიც საკვირველია. სხვა რამ არ გვქონდეს სატირალი და თავში საცემი და მაგას გავუძლებთ.

ამ სიტყვებზე ქალმა კედელზე დაკიდებულ შავჩარჩოიან ფოტოს გახედა, თავსაფრის ბოლოთი თვალზე მომდგარი ცრემლი შეიმშრალა და გავიდა.

კედელზე უამრავი ფოტოსურათი ეკიდა. ყველა ამ სურათიდან ერთი და იგივე კაცი იყურებოდა. ხან მარტო იყო, ხან ვიღაცებთან ერთად. და ყველა სურათზე ისეთი დაძაბული და კრიჭაშეკრული სახე ჰქონდა, თითქოს ეს-ესაა ცხრათავიან დევს უნდა შეებრძოლოსო.

- მაპატიეთ, არ ვიცოდი, თუ მგლოვიარედ იყავით, თორემ ჩემი სტუმრობით არ შეგაწუხებდით! - უხერხული სიჩუმის გასაფანტავად გენომ ამის თქმაღა მოახერხა.

- ეჰ, ჩემო კარგო, რაც ცოლი შევირთე, მას შემდეგ მგლოვიარედ ვარ. არც კი ვიცი ვისა ვგლოვობ! - მოულოდნელად ჩვეულებრივზე უფრო ხმამაღლა თქვა კაცმა, ბოროტად შეხედა კარს, საიდანაც მისი მეორე ნახევარი გავიდა, და ღრმად ამოიხვნეშა.

- არ იცით?! - უნებურად გენოს თვალი აუთამაშდა.

- არ ვიცი! ვიცოდე მაინც, ვის და რას ვეწირები!

- სამაგიეროდ, მე ვიცი, მე! - პათეტიკურად აკანკალებული ხმით წარმოთქვა ქალმა და სურათის წინ დაიჩოქა.

ეტყობოდა, ქალს მოულოდნელად გამოჩენა ჩვევად ჰქონდა გადაქცეული.

ქალმა თვალნი კვლავაც შავჩარჩოიანი ფოტოებისკენ აღაპყრო და ლოყაც ახალმა კურცხალმა დაუსველა.

- მაგას რომ ეცოცხლა? ეჰ, მაგას რომ ეცოცხლა! - გულამოსკვნილი იმეორებდა ქალი.

- მართლა არ იცით, ვინ იყო?! - ვეღარ მოითმინა გენომ.

- მართლა არ ვიცი!

- განვედ, სატანავ! - ყოვლად მოულოდნელად ჰაერი კივილით გააპო ქალმა და თვალებიდან დაფრქვეული ნაპერწკლებით ჩასკვარამებული საცხოვრებელი გაანათა, - აიღე დოლი! ცოდვათა მონანიების ჟამი დადგა!

კაცი უსიტყვოდ დაემორჩილა ქალის კივილს, კარადიდან დოლი გამოიღო და თითებით გადაჭიმულ ტყავს შეეხო.

დოლის ხმაზე ქალმა ცრემლი შეიშრო, გაირინდა და ცეკვა დაიწყო.

დოლი გაფიცხდა და ქალი კიდევ - უარესად!

ცეკვა არა და აღარ თავდებოდა.

ცოლ-ქმარმა გენოს არსებობა დაივიწყა.

ხანძარსაწინააღმდეგო მოძრაობის ენთუზიასტმა ერთი კი გაიფიქრა, ჩემი წასვლის დრო ხომ არ დადგაო, მაგრამ ტალანში გასვლას ისევ ამ არცთუ ძალიან დალაგებულ ოჯახში ყოფნა ერჩივნა.

სწორედ ამ დროს ენთუზიასტმა გენომ შეამჩნია, რომ იმ ადგილას, სადაც ქალი ცეკვავდა ცისფერი კვამლი დაიკლაკნა და მაშინვე ალიც გაკრთა. გენომ რაღაც შორისდებული წამოისროლა, ელვისებური სისწრაფით პიჯაკი გაიხადა და ცეცხლს გადაემხო. ერთი სიტყვით, ისე მოიქცა, როგორც ეს ხანძარსაწინააღმდეგო საზოგადოების ნამდვილ წევრს ეკადრებოდა!

ქალმა გვერდზე გახტომა მოასწრო, გენო კი ცეცხლის ალში გაეხვა!

- მიშველეთ, ვიწვი! - წამოიყვირა გენომ და მაშინვე იაზრა, რომ ეს ერთი შეხედვით მრისხანე ცეცხლი ვერაფერს წვავდა. მისგან უფრო სიგრილე მოდიოდა, ვიდრე მხურვალება!

გენო ტალანში გამოვარდა. გაქცეულს დოლის ბრაგუნი კიდევ დიდხანს ედგა ყურში.

●

- სდექ! ხელები მაღლა!

ენთუზიასტ გენოს ტალანის სიღრმიდან ისეთი მჭახე ხმა მოესმა, რომ ცხადად იგრძნო, ძარღვებში სისხლი როგორ ეყინებოდა.

- ხელები მაღლა-მეთქი! ასე!

გენოს წინ შავ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მოკლედ შეკრეჭილ თეთრთმიანი კაცი იდგა, რომელსაც დიდრონი თვალები ისე მხიარულად უბრიალებდა, ეტყობოდა, გარშემო ბევრს არაფერს თვლიდა სერიოზული ყურადღების ღირსად.

მრისხანე ხმის, ტონისა და სიტყვების მიუხედავად, გენომ იგრძნო, რომ ეს შავოსანი კაცი არც მის მიმართ იყო მაინცდამაინც ბოროტად განწყობილი.

- აბა, ვნახოთ, თანამედროვე მსტოვრები რითი დაიარებიან!

- არა ვარ, ბატონო, მსტოვარი. - რბილად შეეპასუხა გენო.

- როგორ თუ არა ხარ? აბა, ვინა ხარ? რომის პაპი? თუ პარლამენტარი?!

- ხანძარსაწინააღმდეგო საზოგადოების ნამდვილი წევრი გახლავართ. თქვენი სახლის შესამოწმებლად გამომგზავნეს.

- ასეც ვიცოდი! - გამარჯვებულის იერით დაასკვნა

შავოსანმა კაცმა, - მითხარი ერთი, ხანძარს ჩვენთან რა უნდა?! თანაც, როდის იყო, მსტოვარს პირველი დაკითხვისთანავე უღიარებია, მსტოვარი ვარო!?

- მაშ, ეს დაკითხვაა?

- ამასაც ვნახავთ! გაჩხრიკეთ! - უბრძანა ხელქვეითებს შავოსანმა კაცმა და უცებ გაქრა.

თავიანთი უფროსისგან განსხვავებით, რაზმის სხვა წევრები სახით მამისმკვლელებს ჰგავდნენ, ფოლადის აბჯრებში იყვნენ ჩაჭედილნი და ხელში გრძელტარიანი ნაჯახები ეკავათ.

მათ გენო ცალკე ოთახში შეიყვანეს, გააშიშვლეს და საგულდაგულოდ გაჩხრიკეს, მერე რენტგენის აპარატში გაატარეს, დაპლომბილი კბილი ლაზერული სხივებით დაუთვალიერეს - კბილში რაცია ან ასაფეთქებელი მოწყობილობა არ ჰქონდეს ჩამონტაჟებულიო, და მხოლოდ ამის შემდეგ დართეს ნება, ხელები დაბლა დაეშვა და ტანსაცმელი ჩაეცვა.

აქამდე მაღლა ხელებაწეულ გენოს ხელების ძირს დაშვებამ აუწერელი შვება მოჰგვარა.

რაზმელებმა ორი საეჭვო ნივთი - ხანძარსაწინააღმდეგო ორგანიზაციის წევრის სამკერდე ნიშანი და ავტოკალამი თავიანთ უფროსს გადასცეს; მერე ენთუზიასტი შუაში ჩაიყენეს და მწყობრი ნაბიჯით თვალუწვდენელ, ათასობით სანთლით გაბრდღვიალებულ დარბაზში შევიდნენ.

დარბაზის შუაგულში ოქროს ტახტზე მომცრო ტანის ჩაპუტკუნებული კაცი იჯდა და ფრიად შილიფად ჩაცმული ულამაზესი მხევლის მოწოდებული ჯამიდან რაღაცას ნება-ნება წრუპავდა. ის „რაღაცა", ეტყობოდა, ძალზე გემრიელი უნდა ყოფილიყო, რადგან კაცის თვალებში განუსაზღვრელი ნეტარების ათინათი დანანაობდა.

თავთან კიდევ ორი ულამაზესი მხევალი იდგა და ვეება მარაოებით სახეს უგრილებდა.

სანთლების შუქზე ოქროს ტახტი წითლად გიზგიზებდა, ტახტის ფერხთით დაყრილი თვალ-მარგალიტი ნაირფრად ელვარებდა.

- ჩიხისთავო, მსტოვარი მოგგვარეთ! - ამაყად განაცხადა რაზმის უფროსმა.

- მსტოვარი, არა?! - ტახტზე მჯდომმა კუსპარა კაცმა აღტაცებისგან ლამის დავლური დაუარა, მაგრამ ხელქვეითების წინაშე თავი შეიკავა და მხოლოდ ხელების ფშვნეტით დაკმაყოფილდა, - აბა, დღედაღამ რას გეჩიჩინებით, მტერს არა სძინავს-მეთქი?!

- მართალი ბრძანდებით, დიდო ჩიხისთავო! აი, ეს სამკერდე ნიშანი აღმოვუჩინეთ ამ ვაჟბატონსა!

- აბა, მაჩვენეთ... არა, არ მაჩვენოთ! რა იცი, რაისაა!

- ბატონო ციხისთავო! - ენთუზიასტმა გენომ ხმის ამოღება დააპირა და ფერდში საკმაოდ მტკივნეული მუჯლუგუნიც მიიღო.

- ციხისთავო კი არა, ჩიხისთავო-თქო, თქვი, შე მუდრეგნო!

-ბატონო ჩიხისთავო! - მექანიკურად წარმოთქვა გენომ და უცებ გონება გაუნათდა, ეს სახლი ხომ საქვაბის ჩიხში იდგა, - შეგიძლიათ, შეამოწმოთ, მე გენო გახლავართ, ხანძარსაწინააღმდეგო მოძრაობის ენთუზიასტი, საზოგადოების ნამდვილი წევრი!

ჩიხისთავმა წარბი აზწია და გენოს ეჭვით შეხედა.

- ეს ნამდვილად მასონების ნიშანი იქნება! - ისეთი ავტორიტეტული ტონით განაცხადა ჩიხისთავმა, რომ ხელქვეითებში აღფრთოვანებული ჩურჩული გამოიწვია.

- ნამდვილად! - კვერი დაუკრა რაზმის უფროსმა.

- კიდევ რა ჰქონდა?

- ავტოკალამი!

- აქ მომეცი! ხედავ, არ წერს! ესე იგი, აქ რაღაც სხვა ამბავია! შესამოწმებლად ალქიმიკოსებს გადაეცით!

- არის, დიდო ჩიხისთავო!

- მაშ, მეხანძრე ბრძანდები, არა?! შეხედეთ, შეხედეთ, გამოხოხებული მეხანძრეა, აბა, სხვა ვინ უნდა იყოს!

კუსპარა ჩიხისთავმა ისეთი სიცილი ატეხა, ლამის ტახტიდან გადმოვარდა.

ამის დანახვაზე, რასაკვირველია, დარბაზში მყოფი უკლებლივ ყველა დარბაისელი ლამის ჩაბჟირდა.

ჩიხისთავმა უცებ მოსხიპა სიცილი და ხელქვეითებს დაერია:

- რას იცინიხართ, რომ იცინიხართ?! სასაცილოდ გვაქვს საქმე?! მტერს სწორედ ჩვენი უდარდელობის იმედი აქვს! გიმეორებთ, მტერს არა სძინავს!

- მაშ, არა სძინამს! - კვერი დაუკრა ჩიხისთავს რაზმის უფროსმა.

- დიახაც! - ჩიხისთავმა რაზმის უფროსს ალმაცერად გადახედა, - რა იცით, მაგ რკინაში რა იმალება! ხომ გახსოვთ, მაშინ, სურათი რომ გადამიღეს,იმის შემდეგ მთელი საათნახევარი ვერაფერი ვჭამე. ვითომ შემთხვევითია მაგი?!

რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა ჩიხისთავი, მით უფრო ღელავდა და ხმას უწევდა.

- მე ვუშლი ხელს, მე! ლამისაა გადაჭამონ ქვეყანა! ჩემი მოცილება უნდათ, რომ ისე მოიქმედონ ყველაფერი, როგორც მოესურვებათ! ამას მე არ დავუშვებ! არა!!! - ჩიხისთავს საფეთქლებთან შემორჩენილი თმა თარაზულად აებურძგნა და წითელ მელოტ თავზე ოფლმა დაასხა. - უწიგნურები უვიცები, ქურდები!

ამ დროს ჩიხისთავს უკნიდან ფაცხაფუცხით ვიღაც შავი კაცი მიუახლოვდა და დაწნული კალათიდან თავზე ბრილიანტები, თვალ-მარგალიტი, ლალ-ზურმუხტი და სხვა უამრავი პატიოსანი ქვა გადააყარა. ამ პროცედურამ, რომელსაც, როგორც ეტყობოდა, ჩიხისთავის დასამშვიდებლად იყენებდნენ ხოლმე, თავისი კეთილსასურველი ნაყოფი წამსვე გამოიღო - ჩიხისთავი თვალსა და ხელშუა დაწყნარდა.

- მაცალეთ ლაპარაკი! - უკმაყოფილო სახით ჩაიბურტყუნა ჩიხისთავმა და ფეხის ფეხზე გადადება მოინდომა, მაგრამ მოკლე და კოტიტა ფეხების გამო ეს ვერ შეძლო და აკრიახდა.

უხერხულობის გასაფანტავად რაზმის უფროსმა მემუსიკეებს ანიშნა, დაუკარითო.

დარბაზში მუსიკა აგრიალდა.

ცერემონმაისტერმა ჩიხისთავს ამცნო, კარის პოეტის ყოველდღიური გამოსვლის დრო დადგაო. ჩიხისთავმა ღრმად ამოიოხრა, მაგრამ კარის პოეტის ყოველდღიური გამოსვლა ამ დარბაზში თვით ჩიხისთავის თაოსნობა იყო და ვერაფერს გააწყობდა.

დარბაზის სიღრმიდან ვეება ქისებით დამძიმებული, წელში მოხრილი კაცი გამოვიდა, ჩიხისთავის ტახტთან დაემხო და ლექსი შეჰღაღადა.

ეს იყო უზომოდ გაჭიანურებული ლექსი, სიტყვების გარითმული ბრახაბრუხი, გაუთავებელი ხოტბა, რომელიც ყოველდღიურად თვლემას ჰგვრიდა როგორც მაქებარს, ისე ქებულსა და მსმენელს.

თვით გენომაც კი შენიშნა, ქისებთან ერთად რა სევდაც ამძიმებდა კარის პოეტს და როგორ ეზიზღებოდა ის გარითმული სისულელე, რომელსაც უცვლელი ინტონაციებით ყოველდღე იმეორებდა.

ლექსი უკვე მთავრდებოდა, როცა ჩიხისთავმა ტკბილი ფშვინვა ამოუშვა, მაგრამ კარის პოეტი დითირამბებში დახელოვნებული კაცი გახლდათ და იცოდა, ხალხის აღფრთოვანება რითი გამოეწვია: ბოლო ტაეპი და, განსაკუთრებით, დამამთავრებელი სტრიქონი ისე ძალუმად დასჭექა, რომ, მთვლემარე ჩიხისთავს კი არა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ მიცვალებულს არ გაალვიძებდა!

დარბაზი გამოცოცხლდა და ისეთი მონდომებული ტაში ატყდა, დარბაისლებმა ლამის იყო, ხელისგულები დაიხეთქეს და გადაიტყავეს.

ჩიხისთავი ტახტიდან წამოდგა, კარის პოეტს გადაეხვია და მადლობის ნიშნად კისერზე კიდევ ერთი სავსე ქისა ჩამოჰკიდა.

გაბეზრებულმა ჩიხისთავმა თვალით მცველთა რაზმის უფროსი მოძებნა.

- გისმენ, უფროსო!

- იცი, რა, - ჩასჩურჩულა ჩიხისთავმა, - ამ პოეტმა...

- გული შაგიჭამა, არა? - მიუხვდა რაზმის უფროსი, - შენი ერთი სიტყვა და...

- არა, რა საჭიროა?! შენ ეს მითხარი, ბულბულა მომღერალმა რაო?

- გაქირი ჯორივით ოჩნობს - არ ვიმღერებ, მორჩა და გათავდაო!

- მაშ, არ ვიმღერებო?!

- არაო!

- აბა, ერთი აქ მომგვარე!

- ჯერ ეს ხალხი არ გავრეკო?

- ესენი? - ჩიხისთავმა დარბაზი ღიმილით შეათვალიერა, - ესენი გინდა ყოფილან და გინდა არა. მომიყვანე!

- ბატონი ბრძანდები!

რაზმის უფროსმა მცველებს თვალი უქნა და მალე დარბაზში ერთი გაძვალტყავებული კაცი სულ მუჯლუგუნების კვრით შემოაგდეს.

ეს კაცი, ალბათ, მიხვდებოდით, ბულბულა მომღერალი იყო.

- ყმაწვილო, შენზე მითხრეს, სიმღერა არ უნდაო, მართალია?! - ჩიხისთავი პირდაპირ საქმეზე გადავიდა და წარბები გოროზად აწკიპა.

- მართალი მოუხსენებიათ! - მომღერლის ბუბუნა ხმა ზარის რეკვასავით მოედო დარბაზს.

- მერე, რომ არა მღერიხარ, რატომ არა მღერიხარ?

- არ შემიძლია!

- ვითომ რათაო?! - დიალოგში რაზმის უფროსი ჩაერთო.

- არ ვიცი. თქვენთან სუნთქვა მიჭირს.

- სუნთქვა უჭირს ბიჭს! - აღშფოთდა რაზმის უფროსი, - რა, ბორკილი დაგადეთ, დაგაბით თუ გალიაში ჩაგსვით?!

- მაინც ვერა ვსუნთქავ!

- შე ტუტუცო, იცი, რამდენი მომღერალი ოცნებობს, დიდი ჩიხისთავის სადიდებელი სიმღერა მამღერაო?! ამ ჩვენს პატრონს უმადლოდე, თორემ, ჩემი ნება იყოს, მცველებს ვეტყოდი და ყინტორა წიწილასავით წაგაცლიდნენ თავსა!

- გაჩუმდი! - უბრძანა ჩიხისთავმა ხელქვეითს.

- რა უნდა გავჩუმდე! კაცს საშუალება ჰქონდეს, დიდ ჩიხისთავს უგალობოს და იმან კიდევ უარი თქვავს? გაგონილა? - არ ცხრებოდა რაზმის უფროსი, - შენ რომ ჭკუა გქონოდა, ხმის ჩახლეჩამდე იმღერებდი, რომ ის არ აფეთქებულიყო!

- აფეთქდეს, თუ რამე ასაფეთქებელია. ამას ყველაფერი ჯობია!

- შენა, ბიჭო, არაფერი გეყურება?

- მეყურება, ყველაფერი მეყურება! თქვენზე გაცილებით მეტი მეყურება! აბა, მოუსმინეთ!

სადღაც, დაბლიდან, გაურკვეველი ხმები გაისმა. ეს ხმები თანდათან ძლიერდებოდა. გენოს ეცნო ეს ხმაური. იატაკი ატორტმანდა, აძაგძაგდა, ლამის ყალყზე შედგა. დარბაზში შეკრებილი დარბაისლები გასაძრომ სოროებს ეძებდნენ. მონა-მხევლები წივილ-კივილით დაიფანტნენ.

ჩიხისთავი ვეება მოოქრულ ქოთანში ჩაძვრა და განგებას ემადლიერებოდა, ასე პატარა რომ გააჩინა.

შავოსან რაზმის უფროსს ერთიბეწო აღელვება არ ეტყობოდა.

- მე რაც შემეძლო, გავაკეთე, ახლა ჯანდაბამდის გზა ჰქონიათ. თქვენ კიდევ კარგი ბიჭები ხრანხართ. მოდით აქა! - რაზმის უფროსმა ენთუზიასტ გენოსა და მომღერალ ბულბულას ჯიბეში თითო პეშვი თვალ-მარგალიტი ჩაუჩხრიალა და უცებ გაუჩინარდა.

- მე აქედან ვერსად წავალ! - თქვა ბულბულამ, - შენ კი წადი, შენს საქმეს მიხედე, კარგად იყავი!

- ნახვამდის!

გენოს მართლა არავითარი საფუძველი არ ჰქონდა, საქვაბის ჩიხში მდებარე სახლში დარჩენილიყო და ნაცნობ ტალანს გაუყვა.

●

გაუკვირდა, როცა კიდევ ერთი კარი შეაღო და ისევ იმ უზარმაზარ ბიბლიოთეკაში ამოჰყო თავი, საიდანაც ამ იდუმალ სახლში მოგზაურობა დაიწყო.

საკვირველება ხდებოდა - სანთელი არსად ენთო და ბიბლიოთეკის დარბაზი მაინც განათებული იყო.

მაგიდასთან დედაბრის ნაცვლად განსაცვიფრებლად თეთრსახიანი ახალგაზრდა და ძალიან ლამაზი ქალი იჯდა და უზარმაზარი შავი თვალებით გენოს შესცქეროდა.

- რას იტყვით, მოგეწონათ საქვაბის ჩიხი?

- ააარა... იცით, ამ ოთახში ერთი დედაბერი იყო...

- ბებია?

- დიხ, დიახ!

- მოკვდა!

- ვაიმე, როდის? - გულწრფელად შეწუხდა გენო.

- დიდი ხანია, ასე, სამი, ოთხი საუკუნე იქნება!

- საუკუნე?

- ან წამი! დამიჯერეთ, მაგას არა აქვს მნიშვნელობა! მან თავისი საქმე გააკეთა და აქედან ვალმოხდილი წავიდა. აი, თქვენ კი... ჯიბეში რას ინახავთ?

გენომ ჯიბიდან თვალ-მარგალიტი ამოიღო და ქალს გაუწოდა, თუმცა ეს „თვალ-მარგალიტი“ უბრალო ქვის კენჭები აღმოჩნდა.

- შავებში ჩაცმულმა კაცმა ჩაგიყარათ, არა? - ტუჩის კუთხე შეუტოკდა ქალს, რაც, ეტყობა, ღიმილის ნიშანი უნდა ყოფილიყო, - ხელწერას არასდროს იცვლის! მაშ ასე, სანამ იქ თქვენს საქმეს არ მორჩებით, საქვაბის ჩიხში აღარ შემოუხვიოთ, ხანძარსაწინააღმდეგო მოსაზრებითაც კი. და, საერთოდ, ჩემთან, საკუთარი სურვილით თითქმის არავინ ხვდება. ნახვამდის!

●

ერთ დღეს ქალაქის პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ სენსაციური ცნობა გაავრცელეს:

„საქვაბის ჩიხში მოქალაქეებმა აღმოაჩინეს უცნობი მამაკაცის გაყინული გვამი, რომელიც, როგორც საქალაქო არქივის უხუცესმა თანამშრომელმა დაადგინა, ამ ოციოდე წლის წინ უგზო-უკვლოდ გამქრალი ხანძარსაწინააღმდეგო საზოგადოების ნამდვილი წევრის გენო დ-სი ყოფილა!

პროზექტურისკენ მიმავალ გზაზე „გვამმა“ სამედიცინო პერსონალისა და სასწრაფო დახმარების მძღოლის გულის გასახეთქად ჯერ ერთი თვალი გაახჟიტა, მერე მეორე და ბოლოს სადღეგრძელოც შემოსძახა:

- თქვენ გაგიმარჯოთ, ჩემო კარგებო, ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიყვარხართ!

როგორც ჩვენი ქალაქის მთავარმა მეცნიერმა განაცხადა, ამ ფენომენის ახსნას მსოფლიოს საუკეთესო სწავლულების ძალისხმევა დასჭირდება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბესიკ ადეიშვილი

## სიკუდილ-სიცოცხლედ-“სალს კლდედ“-ესერა „ცისმხმილავს“ სარკედ-რკენა-არეკნად: მსწრაფლ-მოსევად RHA-PSOD-IE-სა!

„ლინჯი -“ჩინური ფერმწერლობის საიდუმლო“ - ჩინური კატეხიზო, რაიც ვანვეი-ს (701-761) მიეწერება, მთვარისეულ-ბნელთ-დედრულთ ასოციაციათა - სომა-ს ჰიპოსტასთა-წყების შიგან ჩართული სჩანს. „ღრუბელთ“ ხაზულობანი ვანვეჲ-სეულნი უმეტეს მჭიდროდ დედრულის საწყისისად - წყლისად-ღმრთეებრივის სასუმელისად-ღვინისად შეჰკურიდიან ვანვეჲ-ს“.

- Философские вопросы буддизма. (კრებული). Новосибирск 1984.: Ю.А. Сорокин. Поезия Ван Вея и чань-буддизм.

1: ლექსს არ მოშლიდა, სამოცდაათსმიტანილი
იგი სიკუდილის ფეხ და ფეხ „ბოლო წუთამდინ“
ჰ-სთხზუიდა _ _ _ _ _

ხსოუნა-ნა-თლიერ-მე-რხეუ-რითმი: დასესხებანი - ბგე-
-რადდახსნანი-ჟამთაუხნეს შეხსენებანი „შერაშენდინ“-გარდათქმანი: „იასამა-
-ნი ალჰყუაილდების, /იასამანი სულაც ჰ-ბოდებს სიყუარულ-
-ისად“Сирень цввететь,/сирень любовью бредит“- გარდაცული-
-ლის სუვოროვ-ის რუსის ორი სტრიქონი უსუარი. - ბორისოვ-ის-
-ნათხრობ „თეთრი იასამანი“белая сирень“- მესხური სიტყუა „ლეილალი“-
-ჰამბავი სერგეი რახმანინოვ-ის - ჭაბუკურ-თეთრი-სანუკუოი სუ-
-ლის პიანო. - უბერებლის ხელის მიხაილ ვრუბელ-ისა შემონე-
-რილს იასამანს ალუხელია. - „ყნოსუად-კეთილ“ მოსეული ულე-
-კი დენი-გალაკტიონ: „არემარე ვერ იცილებს ვერცხლ-
-ის საბანს, /სიო... იასამანს“. -“იასამანთა გროვ-
-ად გროვდება /...ვედრების ზლუა ნელინელი,/... ერთმან-
-ეთს უახლოვდება /წყნარი საალამო და ლამებნელი“. - „ვედ-
-რება“: კინოკადრ-განწილულ-ვაჟა- „ცხოვრება კაცის“-დრა-
-მა ანდრეევ-ის. „ცისფერ ღვინოებს“ ყმაწვილურ სწბო-
ბდა ნუუკუე-ეგე-ულუქუელი-აულაგმუელი, - თუცა-
-ლა ქუელ: სულთ-ასარქმელ სანსარა-სენსორ-ნა-
-ზი ესერა ანზორ სალუქვაძე, მ-ოლია-ვე
ლექსი-ზეზი ოქროანი-გეზ-უგნებ-მაოგნები. - იკითხავ-
-და როსმე ჰოფმანნსთალ: სად ჰ-სძეუ-
-დესო სიღრმე ყოულის -, ჰ-პასუხობდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიბრტყეს ჰ-სუენებს-ო შუენიერება დაფარული: ქუეყნიერისა ზე-
-დან უთუოდ მას მოისთულიდეო. - გარე-"ფენი" - წყლის და მიწის
სამყაროული წიგნი ჩინურ: ვითარ სამოთხე ჰიეროგლიფთა: მი-
-ჯნუა-შეკრება. - იაკობ ბიომე: სიფრიფანებულ-წყალი-ესე-
-რა-ციურ-კანკლედი.-ქუე-დამზიდი-წმიდა-ქართული შესიტყუე-
-ბა უმეორები: მიწა-წყალი. - ანზორ! რაზომცა მო-
-ლამაზე ყალამი ჰ-სცოდავს, - დაედგინოსცა სიღრმე, ესე იგი შუე-
-ნიერება - არა გარე-შრედ, არამედ შიგან-უშუალო-შრედ: დაენ-
-თენ ოდენ მემთამადნეთა შრენი-უშრობელ დენნი: ნოვა-
-ლის და დოსტოევსკი - რანიც შეიშრო გჲოთე-ს
ლირიკამ („ჰკუდებოდე - იქმნებოდე!"- არ ჰ-კლებდე-აღჰკრებდე). - ლირიკას
იჩნევს ნოვალისი მეცნიერებად წინარე ყოვლის -
რავდენი პოეტი „ამათ" ჩაჰლუპეს-ო,-არა-ერთ-გზის-ეგზომ-ალგზე-
ბულს დაგიჩივლნია. - „და მე ვიქნები სიკ-ვდილივით გაუხარელი" -
ჰ-ბრძანებდა ნინო თარიშვილი, - ანუ ნიპპონურ-უსადარო-გამო
-თარშუა მას მებუნეობდა. - ამას წარსთქუამდა
გალაკტიონ: „იარე, კაცი შენ აღარ გქვია". - „O,
сжальтесть над мертвым поэтом" -ჰ-შფოთ-
-ებს „უ-დრო-ო" ანდრეი ბელი - „Быть
может, проснусь...Вернусь". - ოდეს-
-ლაც სულ სხუა ლექსს უსამანო მაოშებელი-დამ-
-შეული უღელი რითმა: რილკე - ლირიკა (ლორკა-ს-გარე)
გავატანინე, - იგიც „ბოლო ლირიკის" - ერთადერთი ჩემი წიგნის - ყდამ ჩაჰ-
-ხვია. - შენდა ცოცხლისად ლექს-მომერთმია, დავთქვი- აჰა-
-მე ბედი! - ვერ გავითუალე, - სიტყუათა ვიდრე შევახამებდი, გარ-
-დაჰხუედი ვითა „ხავერდნი" უნებურნი - არაბულ-ეგრედ-მო-
-ბურულნი - „დასანანებნი" არემარენი - ანთუ შენმიერ-დასტური მა-
-ლი თეთრი სტუმარი - მეტადრე თეთრი გავლთო-
-ბილი ავტომობილი. აჰა, დღისიერ „ამშრალებს ქარი ფა-
-იფურის მომთვარულ სინებს" - თითქო ხორშაკი ჰ-ბერს ა-
-ბესსინიის. - „დაუღამები სამარხიდან ამოსული გვიანი
სული მილასლასებს ყინწვისის გზაზე". - რაოდენ ი-
-ზარდვის იორდასალამ, სანამცა ჰფშუენს
„სული ცისფერ სავანეში" - „ქალივით
ჩურჩულებს იასამანი" - ვირე „სიყვარულის
ცეცხლი მოსდებია", - სჩანს,
ჰ-გებია ჩანგს მთოვარე -მანგი.- „იასა-
-მანია და სიო" - დაშთენილს „ქაშუეთს და სიონს" - „სუ
-ნთქვაშიაც იასამანია". _ „თვალღია ღამეთა თევა". - ოცვნად დაერთოდინ
„იესოს ფერმიმკრთალ სურათთან". - „თეთრი გებურ(ოდინ) საბური...
...მინასთან... სუსტი და ბეღურასებური
დღე როგორ მინაზდა" - უთუო თქმაა: „ხელი გაგე-
-თუთა": უსათუთეს ჰ-გზნებ: „ქალაქგარეთ იზრდება სო-
-კო გლუვი და სველი." - „ერთმანეთს ხვდება ორი სივრცე - ა-
-რე და ბავშვი"- „წყლის სარკეში მზეს... აძინებს ბავ-
-შვი". - „ვინ დაყნოსა სარკეში ვარდი?" - ანუ გაჰ-
-ფარდე ფიქრთა ფრთენი ფიროსმანისად. - „მზეს
ვით სასწაულს ბავშვი მოჰხვევს... წრფელ ხელებს, /სი-
-ხარული ტანშიშველი დაირბენს ველებს - თა-
-ვისუფლება-
-თავისუფლება-
-თავისუფლება-თავისუფლება". - „ნაწვიმარ შარას, მო-
-ნაცრისფრო შიშველ ალუბლებს, გადახრილ მესერს, გაძარცვილ
ჩრდილს, შემკრთალ ვერანდას". - „ველარ გრძნობ საბანს, თითქოს გეს-
-მის, როგორ გადის ყოველი წამი"... „ფარდებზე შავად ლანდები ხეთა": ანაზ-
-დად ნაზავთა ბწკართა მზერაა ანზორი... - უბის წიგნს ობლად-რჩენილ
ჩუენ-თა-ორთა-წყობილ-მრჩობლედი: „მე და შენ კინოში-ორნი:
ეკრანი-შორი,-ეკრანზე-შმორი". -ბოლო ლოთობა იმ „ძუელ ლო-
თობას" სად მიუვა?! - იგი სხუა იყო - არცარაოდენ მილეთის
თავნად დაიწრნიდინ, დაილეოდინ, სიჭაბუკის დროს
უმაგალითოდ ორთავეს როს გვილოთავნია... ჭაბუკურის გე-
-ნის ვითარმედ ალმონაკუნეს-ალმონაქშენი ისე აის იასა-
-მანი შენს საცხედრეს ასრე უსრველ ამაგვიანდელს ენკე-
-ნობას კუნწულ-ფოთლიან-განმაოცებ-ჰ-სწყვია, ანზორ!
- „შემოდგომის მზე" ვით პოეზია, მოზრია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

-ლე-მოზარზეიმე პოზაა, ანზორ! - ახლო არი „სალ-
-მობა ლომის“- ლომის უზევეს იგივ „ლომისი“.- გა-
-ლაკტიონის განაკიდე: „აი, მიზეზი... აი, მი-
-ზეზთა მიზეზი და კიდევ მიზეზი“. - სცენა საც-
-ნაურის დრამისა „ანზორ“. - ნაშუადღევის
გვიანი თაფლი ჰ-სცეუს შენს ნეშტს, რომელს მინა-მდაბალ-ფთიან-დაჰ-
-ფლიან... შემოდგომამან - „გვიან-ტკბილმან“ დაიზამთროს, - გა-
-ზაფხულ ჰ-შუას, - ანთროპოსოფულ შეგაგონებსცა საც-
-ხედრისად ჩატმასნილი იასამან.-იმედის მითი-“ზღუის ნა-
-პირზე“ თვით „მედეა“ მიიზიდვოდეს. - „მერცხლის“ ფერცხალთა „გა-
-დანაზომ ლურჯი კამარა... ლამარა და გაზაფხული“ აგ-
-რერიგად განზიდე, ანზორ! - იმ-სოფლად მი-
-დის ანზორ: ანუ მიეშურება ჩვენებური, რო-
-მელსაცა ხუთის ნაშუადღევი საათისა ნა-
-ხუთარი მნათობი დაჰმზერს... მიცუალებულ-
-თა-განმაცოცხლებელ-გალეანისეულ-აქტიური გა-
-ლაკტიონ: კე-
-რესელიძის ძლიერი სიმი: მდინარე ვერეს მისავალსა შე-
-მეყრებოდინ მონაფენი: ბავშენი-სტრიქონნი, ზომამოვსილნი-, არ-
-სებრივ ასრე ჰაზრიანნი-ანზორიანნი... ჯუართ-ამაღლების
კვირას არი ორიათასერთს, აღესუენოსო,- ვითარ ჰ-ნიშ-
-ნებენ მეგობარნი, - ასრე სანუქფო ლექსადცა ანუ
უფლის საგალობ ზარად ანზორ სალუქვაძე უ-
-კლველ მი-ჰ-კვლევსო ვინძლო...*
-26 დეკენბერი. 2002 . ტფილისი-
-ყოელ-გაერთმთლიანებულ-

———

* „სამყაროული საწყისი ჰგიებს ცხადი, სადაგი, ვით გალობა ოკეანისა“ - („Вселенский принцип ясен, прост, как песня океана“) - მოძღურის საგალობლიდან. 26.12.2002

2: ოთახს ბინდისპირ ბაასი ორთა: ტბაა ესეთი
გენეზარეთ-ის - - - - - - - - - - - - - - - - - - - -
- - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -
- - - - ნოდარ კობერიძეს კუს ტბის გარ-
-დალმა-მთის კალთა-კიდენ თებერვლის თუეს არა-ერთს
ია უკრებია - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - „ისევ მაისის მათრობს თვალები,
ისევე სავსე მზით და ვნებებით,
გაჩნდენ ახალი თებერვალები,
ეხლა მცხოვრები მოგონებებით.
მათში აფეთქდა სიოს სისინი
და სამუდამოდ ატყდა იებად,
ო, გაუ-მარჯ-ო-ს, გრძნ-ო-ბენ ისინი
სიყვარულს, სითბოს და პატიებას“.
- (გალაკტიონ) -

-რუსთველ-გურამიშვილ-ბესიკის-ბგერა-თანაზომ-
„თრეულს სულს უსასოოს სას-
-წაულებრ უ-ალერს-ებ-ს: ის-ხსნა-უებრო-იესო ს ი-
-ო იებისა-ა-ღ-მ-ა-ვს-ებ-ი ა-რ-ს-ი ჰ-იო-
-ბ-ი-ს, ნებაი „ზესი“, ზესთა სუე-
-(საკუთარი ლექსი-ნაწყვეტი)

სანატრიო ჰამბავს მასმენ, - სმად-ესხედ-
-ვართ ორნი: დიდი ოთახი შენმიერის ბინი-
-სა, ნოდარ! მიემთხუა ბინდს, რაცა ხანია, - თითქო ტბა ერ-
-თი, -ტბა ესეთი - გენეზარეთ-ის, უფლის ფერხთ-ფენა, ნე-
-ტარ ესრეთ წყალთა მოსერვა-რეც-რეც-რო-
-მელ-სა-ცა ეხალისა - - - - - - - - - - - - - - - - -
- - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - თუი-
-ნიერცა მოყურიადე ჩუენის ქალაქის უბანნი ძუელნი-კუნ-
-ძულებად განცდენა, მანძილ-მანძილ განკრძალუა-გან-
-ცდა-განძის მოძალება განუძევები: კაცურს ზნე-
-ობას იმზნეუდინცა „მითამ“ ისინი: რაცაღა კაც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

-თა თავთ გარდაჰხ-
-და, - ცათა ოქროან ხატთა ტახტთა ჰხადებდა რა-
-იც: თხრობილისა თანა-მიხდომილ: ერთურთ-
-ესერა-ტრფობილისა - ტფობად ტბაი დაერ-
-თობოდინ: „კაცთ-მეგობრისა“* სხე-
-ული, -მზე შეზელილი თბე: მოთხრობილი-
-ცა შენმიერი, ესევითარ დიდი ოთახი შე-
-ნეულის ბინისა, ნოდარ! - იესო-ს-მიერ-ს უ-
-ზიანო სევდიანს სხივებს ძუელ-ტფილ-
-ისურ-განეზავება: იყაუნ ტბა ერთი, ტბა ესეთი-
-გენეზარეთ-ის, მიჰსთხრობდინ ტფილ-
-ისურ-ესრეთ-დარბა-ის-ლურად მასზედ, რა-
-იც სამიდლემჩიოდ დარჩა, - არ „დანისლულა“ -
-არ „დასილულა“, რაიც გა-
-ლაკტიონურ-მამებრივ „ფიცად“ უცევს „ა-
-ზიურ“-ზეულ ცას
დედისეულს,
გალაკტიონ-ის ძეო!**

Polenoff. ტბაზედ გენეზარეთის. 1889. კურსკ.
- შოთა ჩანტლაძ-ის დაბადებას 13 ივნისს 2001 -ის გარდმოსული ზეშთაგონება.

———————

* ნოვალის-ის თქმაა, - მაცხოვარს მიანიშნებს.
** ნოდარ გალაქტიონის ძე კობერიძე (დაბადებული ათას ცხრაას ოცდათოთხმეტის ცხრამეტს დეკემბერს) - სხეულ-მოგარე- „მაგარი“ რასსა,-ოდენ ალქატი უნაკლო ტონი; უცხო-უკლვადი-სანეტარო-უგლიმი დენი მეგობრობისცა

12-22. 5. 2003

გენეცარეთ-ჰებრაულად და ძუელსხანობას ტბა კინნარეთ - არაბულად ბაჰრ ელ-ტაბარჲე-ტბა ისრაელ-ის ჩრდილო-ს - ისრაელ-სირიის სამძულურის სიახლოვეს, 21 კმ.სიგრძივ და 12 კმ ფართე - 209 მეტრი ზღუის დონის ქვემო-ყოვლის ულრმეს ძეული ტბა დედამიწისა, - იორდანეს დინება გაჰსჭოლავს ტბას. გენეცარეთ-ის ტბიდან იორდან-ის წყალი ისრაელ-ის სამხრით შენაშენ კუნძულთაკენ გადაიქაჩება. თევზმრავალი ტბის ნაპირი იესოს დროებას მჭიდროდ ესახლა. ახალი ალთქმის ტყობინებისაებრ იესომ მუნ თვისი საჯარო ღწუის წინაპირველი ჟამი გამოატარა. ტიბერია-ს ტყიანი ნაპირი ნოყიერი ტროპიკული გარემოის შუაგულ ზამთრისად-სადაგი-სააგარაკო გახლავს.

-ბროკჰაუს-ის ენციკლოპედია - (გერმანული) ვ იის-
ბადენ 1969 მე-7 ტ.

# გოტტფრიიდ ბენნ

## შავნაველლი (TRISTESSE)

ჩრდილნი ჰსცუალებენ არა-მარტო წიალ კორომთა, -
ასფოდელოთა რამ მინდორი კორომთ წინა-სძეუს,
ჰსცუალებენ ჩრდილნი შორის ჩუენსა და ჩაგყოლოდენ
შენთ ჩაკონვათა შიგან, ჯერეც სიზმარმინარწეუს.

რაჲ არს ხორცი,- ვარდ-ეკალთა ეგ არს ნათხზენი,
რაჲ არს მკერდი, - ნაოჭებრ თუ ხავერდებრ ესე,
თმა რაჲ-ღა არს, მხარნი რაღა, აღრეულ ესხნან
ფოსოვნი ესრეთ, ესრეთ მზერა სახმილთ ახვევდეს.

ოდესღაც ეგრედ მოტანებულ: სანდონი ძუელნი,
ეგრედ ოდესღაც: იგი, ვისცა არღა ჰკოცნიდინ,
ნუმც უყურადებ სულაც, წყნარ და ხმაგარდამძალუელ
თვისით წარვლიან რწმუნებანი ყაველ-წარხოცილნი

და, ნოემბერი მერმე, ხალვათ, სრულ-შავნაველლოსან,
საფლავთ ებარენ ანდა არგანს ჰბრჯენდე დავრდომილ,
არცა გწყალობდინ ცანი, ესე კვიპაროსიღა
სდგეს, ხე მწუხარი, დიდროან და ტან-უძრავ-მარტო.

პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სპორტდარბაზს „სავარჯიშოდ“ რა მივაცილებდი, ირაკლიმ, ჩემმა ბადიშმა, მახსოვს, ინიშნა ქუჩის მეორე მხარეს ალმართს სივრცისგან გამომცალკევებელი - ცალად-გამდგარი კვიპაროსის „უძრაობა“: მჩინარ-მყუჩები სხვაობრივი განზომილება... ამიერ ჩემი გარდასული ბადიშიცა და მეც - მყოვრები, სამარებრივ გაგვანამდვილა: სხუა სიღრმე, სხუა სიფაქიზე, სხუა დარდი გაუდარებელ მოჰბერა ჩემზედ ნოენბერმან, რა დამაბერა... რემინისცენც: პროლოგი ჰაინე-ს პოემისა: „ნოენბერს იყო, თუეს შავნაველლოსანს, /დღენი ნამეტნავ ნისლიან იქმნენ,/ ხეთა განძარცა ქარმან ფოთოლნი, რა განვემგზავრენ გერმანიისკენ“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ელზე ლასკერ-შჲულერ

## ლოცვა

*ჩემს ძვირფასს ნახევარძმას, ლურჯს მხედარს **

ქალაქს ვეძიებ ქუეყანათა ყოელთ გარდამტარ, -
ჰ-სძენსცა რომლისად ანგელოზი დარაჯი კართა.
ანგელოზისცა გარე-მესხას ფრთე დიდროანი, -
მძიმედ-მსხურეული გარდამკიდენ ბეჭთა თანდამტან
და, კულავ ვარსკულავი ანგელოზის შუბლთაჭდობილ
დამემკუიდრება.

და, მარად აგრე შიგან ღამის დავხეტიალობ...
მომიტანია ქუეყნადაცა ესე ტრფიალი -
ლურჯფრად თვისითვე რომ ჰფურჩნებდეს გული ყოველი,
სრული ცხოვრებაც მღუიძარ თავი გავიტიალე,
ღმრთის შიგან სუნთქვა მიმბურვია მრუმედ-მყოვნელი.

ტოლამას შენსა, ო უფალო, მჭირსნედ მომჰხვევდე;
გარდავჰხდე, დავშთე შუშის სფეროს, - ცნობიერ მივჰხდე
და, კაცადკაცადს უკანასკნელს ** როს სამყარო
მივიწყებოდინ,
კულავ არ დამტოვებ, ყოვლად - ძლიერ- შენ გარდმომჰხედავ
და, რამ ახალი დედამიწა მრგვლივ-მომჰსცვიდეს თვისით
ეგოდენ.***

---

*ფრანც მარკ - დიდი მხატვარი, წინამდგომი-მესიტყვე გერმანელ ექსპრესსიონისტთა გაერთიანების „ლურჯი მხედარნი“.
**თქმული: „კაცადკაცადს უკანასკნელს“-ო, ნიტცშე-ს „ზარატუსტრა“-ს შეგახსენებს.
***ახალი ზეცა და ახალი დედამიწა, - სახარებისეული აეგ ესქატოლოგია ასოცირდება.

- ორთა-შორის-სხვაობა-თანაბრობა რაბამ: ბენნ-ის (1886-1956) და ელზე ლასკერ-შიულერ-ის (1869-1945), - ჭაბუკის ბენნ-ის ფარული სატრფოჲს თუ, „მტანჯველის“, უხვ-გამხარჯავი ქალური გენიის, ტრაგიკულის, „ღმრთივ-ბედნიერის“.-
(ორივ ლექსი გერმანულიდან ითარგმნა გასული - XX - საუკუნის დამლევს, „საბოლოოდ“ ჩასწორდა ორს თებერვალს ორიათასსამის).

# გამოსარჩლება

აი, ბესიკ ადეიშვილის ორი ტექსტი: ისინი უნდა ვიგრძნოთ მეტაპოეზიის წიაღში და ჩარჩოებში... ერთი ტექსტი ეძღვნება აწ გარდაცვლილ პოეტს ანზორ სალუქვაძეს; მეორე ტექსტი ეძღვნება ნოდარ კობერიძეს: ალბათ, ისიც პოეტი თუა, რადგან ბესიკი მას მოიხსენიებს „გალაკტიონისძედ“... ტექსტები უსრულია. აქ ნათლად იგრძნობა ესეისტური ნაკადი და, ამის კვალდაკვალ, იკითხება ნაკლებსაჩინო პათეტიკა, რაც მიძღვნითი ლექსისთვის ერთგვარ სამკაულადაც კი სჩანს...

აქვე ვიგრძნობთ განსხვავებულ პოეტურ აურას: ზეშთაგონების უჩინო ნაფლეთები, ფურცლებზე დაწებებული შავფერ მელნითა... თან რომ ახლავს ფლეთის, აგლეჯის, ჩამოჭრის თანამდევი ტკივილები და კვნესა, გულისგულში ჩაძირული, ხმამაღლა არგამოთქმული... ტექსტების ხლართებიდან კაბალისტიკის ქარი უბერავს: სიტყვების ისტორიული იდუმალება, სისხლგამყინავი უფსკრულები: ვარდნა უბოლოო და უსაშველო...

იქ მძაფრად იგრძნობა შინაგანი მელოსი: ქართული წყობილსიტყვის ეს მარადიულად თანამდევი რამ, რაც ხშირად წვრილდება, კნინდება, თუმცა მთლიანად და სრულად არასოდეს იკარგება: ის იშლება პოეტური ენის ზემძლავრ ფრთებივით და ჩვენს გულებში ცად ალმავალ სიხარულს აღვიძებს: ეს არის პოეზიით სიხარული, ღვთაებრივი ნარკოტიკი...

ტექსტები: „სხვა“ მიზეზების და გავლენების გარეშე... პოეზია, რომელსაც თავის თავის მიზეზი ქმნის... პოეტური დარდისა და მედიტაციური ჭვრეტის გადაკვეთის ადგილი: აქ იქმნება ბესიკ ადეიშვილის ლექსები: სტრიქონები, ის მოდის, როგორც მტვერი, რომელიღაც ძველისძველი, მივიწყებული საუკუნისა...

სომატური პლაზმის გაელვება ენის წიაღში, ცეცხლნაშხეფი, გარდასულისა, ლექსის უჯრედებში რომ შეიგრძნობა და გვიცხადებს დაფარულს: თაობათა მეხსიერებაში ნაშლილ უდაბურ სურათს წარსულის სულიერებისა...

ის ხშირად ახსენებს სიტყვას „რემინისცენც“, რაც მისი პოეზიის ერთგვარ საყრდენად წარმოისახება: სჩანს სიტყვაზე სიტყვის გავლენა შორეული ნათესაური: ერთურთს გადაეწვნის ფესვთა მიწისქვეშა ხლართები...

პოეტურმა სიტყვათქმნადობამ, ენის არქაული წიაღის ხელაღებით გადმოწერამ, ენის პოეტური მეხსიერების გაშიფვრამ, ერთი მხრივ, შესაძლოა გვაზიაროს დიდ პოეზიას, ხოლო, მეორე მხრივ, შესაძლოა შეგვიყვანოს მოულოდნელ ჩიხში, საზღვრულ ტაფობში, საიდანაც გასასვლელი აღარაა, სადაც გზა წყდება, მოძრაობა ჩერდება, სისხლი გუბდება... მაგრამ გამოსავალი მაინც არის: მაძიებელი თვალი მას იოლად მიაგნებს...

ჩვენ გვახსოვს, ბესიკ ადეიშვილის ადრინდელი პერიოდის ლექსები და თარგმანები: იქ მკითხველის გულს ეფინებოდა პოეტური სიტყვის იდუმალი სურნელი... პოეზიის ახსნის პრეტენზია არაპროფესიონალთა განუხორციელებელი წყურვილია. პოეზიას მხოლოდ გულით აღმქმელნი გაითავისებენ და შეიცნობენ მთლიანად...

გულისთქმათა ბუნდოვანება: მას წინ გადაუვლის გონითი ლტოლვა ზემაღალი სინათლისაკენ: იქ მზე ბუნდოვანს დააბუნდოვნებს!...

ამბობენ: პოეზიას ძალზე ცოტა მკითხველი ჰყავსო. ვფიქრობ, რომ ამგვარ პერმეტულ და გულჩახვეულ ლექსს კიდევ უფრო ცოტა მკითხველი ეყოლება... თუმცა, შესაძლოა, სხვაგვარადაც მოხდეს: შესაძლოა, ეს ლექსები მკითხველმა აიტაცოს და მარტივი ლიბრეტოების იერიშით დაღდასმული გემოვნება ამგვარი პოეზიის აღმქმელ-დამფასებლად აქციოს; ასეც რომ მოხდეს, ამაში არაფერი გასაკვირალი არ იქნება, ოღონდ ეს ამბავი თვით ბესიკ ადეიშვილისთვის აღმოჩნდება დიდად საკვირვო რამ და თავდაპირველი ქართველისათვის დამახასიათებელი გაოცება იფეთქებს მისი ბიბლიური პირისახიდან... ვნახოთ, რა მოხდება!

სხვა დროსაც მითქვამს: ეს არის მეტაპოეზია. ლიტერატურის ახალი მატერიკი, სადაც ზოგ-ზოგნი, ალბათ, ფეხს ვერ მოიკიდებენ და მათი რისხვაც და გაღიზიანებაც, ვფიქრობ, არ დააყოვნებს...

ბესიკ ადეიშვილის წყობილსიტყვას მიესადაგება მის მიერ გადმოღებული გოტფრიდ ბენნის ლექსის „შავნაღვლელის“ ეს სტრიქონი: „ხე მწუხარი, დიდროან და ტან-უძრავ-მარტო...“ აქვე გავიხსენებ ბენნისავე სენტენციას: „დიადს თანასდევს აუხსნელობა...“

დიდი ტიციანი წერს: ერთს პოეტს მაინც გულზე მოხვდება და ის ეყოფა გამოსარჩლებად... ეს არის ჩემი კასტურ-მეგობრული გამოსარჩლება: ერთგვარი ხელის გაწვდენა და სურვილი, რომ გადარჩეს ამ წყობილსიტყვის პოეტური წიაღი: ქართული ენის პოეტურ ძირისძირთან წილნაყარი სიტყვა; რომ განურჩევლობისა და გულგრილობის ბურუსში არ დაინთქას ის, რაც ღირებული და საჩინოა...

**ჯარჯი ფხოველი**
2003. მარტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გიზო თავაძე

# შოშიტას აგრონომები და ქუთაისის მერები

*„ძველი ბოლშევიკი ლონგინოზი მოლოტოვს იცნობდა.*

*მოლოტოვით სცემდნენ პატივს...*

*მოხდა ისე, რომ ქალაქს პირდაპირ სამოსკოვოდ გაუხდა საქმე. ვინ გვიშველის, ვინ გვიშველის და ლონგინოზით.*

*...უნდა დაგვეხმარო, ბატონო ლონგინოზ, მოლოტოვთან უნდა შეგვიძღვე; აგერ დელეგაცია, აგერ ჩვენ, აგერ თქვენ, შენი იმედით ვართო, გვიშველოთ უნდაო.*

*კი ბატონო, სამსახურს რავა დავამადლით, წამოგყვებით მოსკოვში, მოლოტოვთანაც შეგყვებით, ვიცნობ მარა, გაითვალისწინეთ მაინც, თვითონ არ მიცნობს!..“*

რეზო ჭეიშვილი, „კურო“

შოშიტა უხსოვარი დროიდან ხილმომარაგების სამინისტროში მუშაობს. დედაქალაქს ხომ ამარაგებს და ამარაგებს ხილით, ოჯახსაც - არანაკლებ...

პროფესიით აგრონომია, პროფესიულად - ვეგეტარიანელი. ამისი ვეგეტარიანელობა ცოლ-შვილსაც გადასდებია და, თუ სტუმარს არ ელიან, ოჯახში მხოლოდ თივა (შოშიტას ფრაზაა) და ბალახბულახი მოეძევებათ. ხილი კი ულევად, ზაფხულიდან-ზაფხულამდე. ღვინოც ასევე შემოდგომიდან შემოდგომამდე.

ქუთაისს, ბავშვობის ალაგს, იშვიათად სტუმრობს: - რა ვქნა, თბილისი უხილოდ დამრჩებაო!

ხოლო, მე თუ დედაქალაქში მომიხელთა, მოგეცათ ლხენა, ხუთ-ექვს აგრონომს მოიხმობს და დილამდე მათამადებს.

პირველ ჭიქას დარდიმანდულად ასწევს და: - მე, ძმებო, მარტო აგრონომებთან კი არ ვმეგობრობ! ეგ კაცი (აუცილებლად ბეჭზე დამკრავს ხელს) მწერალია (საოცრად ემაყება რატომღაც.) და ნუ შევეცილებით თამადობაშიო.

ასეა ყოველთვის, შუა ქეიფში ხმამაღლა მკითხავს:
- შაშიაშვილთან როგორი ურთიერთობა გაქვს?
- ნორმალური.
- მართლა უნდა პრეზიდენტობა?
- ვერ გეტყვი.
- სუფრაში რავარია?
- კარგი.
- რამდენს სვამს?
- ბლომად...

მერე აგრონომებს მიუბრუნდება: - შაშიაშვილს, მე რომ თქვენ გიცნობთ, ისე იცნობს.

შუაღამისას ავიშლებით.

რამდენიმე თვე გაივლის და ისევ შოშიტას სტუმარი ვარ. „სტუმარი კი არა, მეგობარი ხარ, თანაც ბავშვობის!“ - მმოძღვრავს, თან აგრონომებს უკავშირდება ტელეფონით.

ამჯერზე სამი ახალი პარლამენტ... ფთუ... ბოდიში, აგრონომი გავიცანი.

ისევ ვთამადობ (რა დავაშავე?!). შუა ქეიფში (ტრადიციულად) შოშიტა ხმას აუწევს:
- მელქაძე დაგინიშნეს მერად ქუთაისელებს?
- კი.
- ხომ იცნობ კარგად?
- ისე რა...
- რაიმეს გააკეთებს?
- არ გააფუჭებს!
- ალბათ, არ დააცლიან?..
- ვნახოთ.

ბოლოს აგრონომებს მიუბრუნდება:
- ეგი ქუთაისში ყველას იცნობს!..

გამთენიისას ვაცილებთ სტუმრებს.

ერთი წელი არ მენახა შოშიტა. მენატრებოდა კიდეც.

- ამ რუსთაველზე რომ დაბოდიალობ, ვინ მოგცა ვიზა?

ოპერის წინ არ შემეჩეხა?! ადამიანის გამტაცებლებსაც კი შეშურდებოდათ, ისე ჩამაგდო მანქანაში და ხილმომარაგების სამმართველოსკენ გამაქანა.

ჩიტის რძე არ აკლდა სუფრას... მარტო მარწყვი და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვთვალე რვა ჭიშისა და... ისევ მე არ მგლიჯა თამადად?!.

- აჰ! - ვიუარე თორნიკეს (არის ასეთი) გულის გასახეთქად.

- აბა, მწერალ კაცს - ამაყად მიმოიხედა. - აგრონომებმა გითამადოთ?!

შევურიგდი მუხთალ ბედისწერას.

ტრადიციას ხომ არ უღალატებდა ეს ჩემი ცოდვით სავსე მეხილეთუხუცესი შოშიტა და... შუა ქეიფისას:

- ახლა მხეიძეა ხომ ქალაქის მერი?

- კი, მხეიძეა.

- რა ქვია?

- რამაზი.

- კარგად იცნობ?

- არაუშავს...

- ქეიფი უყვარს?

- ვის არ უყვარს!..

- თუ ვინმეს რაიმე დაგჭირდეთ ქუთაისში, - მიუბრუნდა აგრარიკოსებს. - ეს ჩვენი ძმა იქ ყველას იცნობს.

აღარც კი მახსოვს, სახლში რა დროს ავედით.

ტელეფონის ზარი მაღვიძებს. „შუაღამისას ვის გავახსენდი, ხომ მშვიდობაა, ნეტავ?" - ამ ფიქრით მივწვდი ტელეფონს და უურმილი ავიღე.

- მგონებს ღამით არ სძინავთ, გამიგია...

შოშიტა მელაღავებოდა. მიკითხვ-მოკითხვის შემდგომ:

- ზეგ 45 წლის ვხდები; მაინც მრგვალი თარიღია და ჩვენი ბიჭები ვიკრიბებით. ცივი ტილოთი დაიზილე გულ-მკერდი, მაგარი მსმელები მეყოლება, იცოდე!

„ისევ აგრონომები!" - დამბურძგლა ტანში...

- შოში...

- შოში და ხოში არ ვიცი მე, გელოდები!

ტუ...ტუ... ტუ... ტუ.

ჩავმარშრუტდი.

სუფრა ოც კაცზე გაეწყოთ. შოშიტამ ჩვეულად, რიხიანად წარმადგინა (მწერლობა არ გამორჩენია.) თანამესუფრეთა წინაშე. ჭიქას თასი მოჰყვა, თასს - კათხა, კათხას - ყანწი; ყანწმა - ღვინო, ღვინომ - კაცი, კაცმა - ვაზი, ვაზმა - თხა, თხამ ვენახი შე... მი...ჭა...მა...

რამ გამახსენა?

არადა, კარგია.

იუბილარი ხის ჭამით ვადღეგრძელეთ.

ა, იმ ჭამმა იმოქმედა თუ რა იყო (აბა, შუამდე ჭერ სად ვიყავით), შოშიტამ ჩაფი ხმით იკითხა:

- სვანი დანიშნეს ქუთაისში მერად?

- არ დაუნიშნავთ, აირჩიეს.

ძველებურადაც გაუტია:

- ხომ იცნობ?

- ვიცნობ, მარა რა დროს ეგ არი, მაცალე სადღეგრძელო! - გავხედე მეალავერდეთ გაბრაზებულმა.

- სადღეგრძელოებს მოვასწრებთ შენ ეგ მითხარი, მიხედავს კი ქარების ქალაქს?

- ცდილობს, შოშიტა, ძალიან ცდილობს.

- მართლა კახელი სვანია?

- „თურქი-მესხი" გამახსენდა და გამეცინა.

- ქართველია!

- აგაშენა ღმერთმა! სიტყვის კაცი თუა?

- კი, უნდა იყოს.

- ჰოდა, ხილმომარაგების საქმეზე უნდა მიგვუვე ფალიანთან!

-ჰოო! - ჩავფიქრდი ყანწიანად.

- კი, ხვალვე წამოგყვებით ქუთაისში მე და ანტიფო, - წითური ანტიფო წამოდგა. - შენ იქ უარს ვინ გეტყვის!

- არ გამოვა მაგ საქმე ასე ადვილად, შოშიტა ჩემო.

- რატომ ვითომ? - ხმა გაებზარა იუბილარ აგრონომს.

- არ მიცნობს ბატონი ნუგზარი (ფალიანი), ჩემო ძმაო, და გინდ მე შეგყოლივარ და გინდ დიომიდე ფანცხი...

- აკი ვიცნობო!

- ცნობით, პრეზიდენტსაც ვიცნობ... ხელიც ჩამომართვა, მხოლოდ ერთხელ, მარჯვენა, ბაგრატის ტაძრის ეზოში, ჭასთან...

P. S.

ჩემო შოშიტა! შამიაშვილს, მელქაძეს და მხეიძეს არა მარტო მე ვიცნობდი, ისინიც მიცნობდნენ; ჰოდა, გეთხოვა მაშინ, თუ რაიმე სათხოვარი გქონდა, დალოცვილო...

ისე, გულგატეხილობაც არვარგა, გამიცნობს ფალიანი ოდესმე და... შეგყვები, აბა რას ვიზამ, შე კაცო!

# ალიფაშას მეორე ღალატი

*ვუძღვნი იონა და ალიოშა თავაძეების ხსოვნას*

სურები გურულების აღმოჩენილი სოფელია, თავიდან ამ ადგილზე სოფელი არც იქნებოდა, ერთი ან ორი თავზეხელაღებული გურული, სულაც ფირალყოფილი დაიდებდა ბინას; თხმელისგან კარავს შეწნავდა, ისლით ჩამოხურავდა და შუაცეცხლს გააჩაღებდა, დილას ფრინველ-ჩიტნი დაუფრთხობდნენ, ღამეს - დათვის ჭლაბი, მერე შეეჩვეოდა ალაგობრიობას და (დათვის ჭიბრზე) თავის ჭლაბს უხმობდა. ხარ-ძროხასა და ქათამ-ინდაურს ამოასხამდა. თხას აქვე დაიმეგობრებდა და მოაშინაურებდა. სუფსის გიჟმაჟ კალმახსაც (დამეგობრების რა მოგახსენოთ) გაისხმარტალებდა დაკოჟრილ თითებში, ხეჭეჭურს ძირში ადესას მიურგავდა, პანტას და ქვავაშლას გააკეთილშობილებდა (დაამყნიდა). თხილს და ნიგოზს წალდით ეკალ-ბარდს მოუგერიებდა, საკეცე თიხას მოძებნიდა, კელამიდებს გამოწვავდა; ამასობაში ადესაც გაიზრდებოდა, მოისხამდა და... საწნახელს დიდი ცაცხვისგან გამოკოდავდა, საკეციაზე ჭურს ამოაყელყელავებდა, მერე ისევ მიწაში ჩააბრუნებდა, ხარხარით გადაუძახებდა ღიპიანი ჩაფით თხმელის კენწეროდან გიდლით ჩამოტანილ და ზარმაც საწნეხელში ქუსლით გასრესილ მტევნის (ბახუს-დიონისურ) ღვთაებრივ სითხეს, დაახურავდა მწარე ბლის გულისგან გამოთლილ როგოს და ნედლი მიწით მოუგოზავდა თავს.

სხვა, მიწაში შესანახი, მიწის შვილს რა უნდა ჰქონოდა (ოქრო და ვერცხლი, გინდ სხვა სიფერადე, თავისთავად იქ არ არი?). დანარჩენი სიმდიდრე ცაში ეგულებოდა და შუბლზე ხელმიფარებული სულ ცისკენ იყურებოდა. არც ის ტოვებდა უყურადღებოდ, ხან ხასანბეგურას გამოუგზავნიდა, ხანაც კრიმანჭულს უწყალობებდა: ე, მაშინ გაახსენდებოდა მიწაში დამალული სიმდიდრე (ოქროს დედაც...) და ამოამზევებდა თხილ-

ტარიანი მწარე კვახით - კოხტა კოპეთი დაბრძენებულ, დავაჟკაცებულ ღვინოს. გადაუყიყინებდა მასავით თავზეხელაღებულ, შქერისგან ღობემოწნულ ეზოში აბდალასავით ცისკენ მოყურადე რომელიმე ბარამიძეს ან უფრო მერომელიმე ჩიგოგიძეს, სახელდებულს კაციად ან ხარებად, და მამლის ყივილამდე ისმოდა მათი კრიმანჭულობა.

ამ დროს კვამლიც ამოდიოდა კერიიდან და მჩეცნადირნიც უფრო საიმედო ალაგისკენ, ზეით და ზეით ილალებოდნენ.

სურებზე „ზეით“ სად წავიდოდნენ?

●

ძნელ მისადგომობის და უგზო-უკვლობის გამო სურებზე იტყოდნენ ხოლმე: მაქეთ ჩვენი ფული არ გადისო, იქით მამალი არ ყივისო (ე.ი. ტყეაო):

სურებში ლენინის სიკვდილი ჯერ არ გაუგიათო (ნეტავ, არ დაბადებულიყო, რომ შეეტყოთ, სახეს დაიხოკავდნენ თუ ძაძით შეიმოსებოდნენ? არადა, ყველაფერი იცოდნენ სხვებზე არანაკლებ: ის ოხერი და ათაშანგიანი ვ.ი. ლენინი სანამ მოკვდებოდა, მანამდე იყო ამათთვის მკვდარი. დიდად არ სწყინდათ აგრერიგი მეხუმრებანი, იუმორი ხომ, უჰ და აჰ... თავზესაყრელი ჰქონდათ; რაც რომ იუმორის მარაგი ამათ გააჩნდათ, იმდენი სიმინდი არ მოეძევებოდათ თხმელის ნალიაში).

მიჰყვებოდნენ ცხოვრების დინებას და, რადგანაც უკვე სოფელი იყო, თან მამალიც მოქილიკეთა გულისსაწყენად ჭეროვნად ყიოდა. კოლექტივის თავმჯდომარეც ჰყავდათ, სახელად სამანა, გვარად მამალაძე. ორი გამორჩეულობა ახასიათებდა თვითნასწავლ სამანას ოთხწლედი კი ჰქონდა გაძალლებით დამთავრებული და ფაქსიმილესაც აჯახირებდა, კაი თამადობა და კაი სიმღერა. სამანას ბანის გამგონე დათვები სურებიდან ბახმაროზე არბოდნენ თურმე და ერთიორი კვირა მაღალ ჰაერზე ისვენებდნენ გულგახეთქილნი. ამ ორი გამორჩეულობის გამო აირჩიეს თავმჯდომარედ; იქვე მიექილიკენენ: მაინც ჩვენს კერიაზე ათენ-აღამებდა დუნიის ამბებს გაგვაგებინებო, გაზეთსაც კითხულობდა შიგადაშიგ თავმჯდომარე. „აბა, რას ვიზამ, თქვენი იდეური აღზრდა მე მაქვს მონდობილი - გადაიხარხარებდა წვერგაუპარსავი სამანა და ჩექმაში წალდგარჭობილი მეიდნისკენ, ანუ სოფლის საკრებულო ალაგისკენ გასწევდა.

სამანას წინაპრები ნაბეღლავიდან იყვნენ, ხშირად გადადიოდა მთებზე მთის მკვირცხლი იორღით და ბიძაშვილებთან (რომელთა წინაპრები პაპისეულ კერაზე დარჩნენ) აგუგუნებდა თავის განუმეორებელ ბანს. ნაქეიფარზე ნაბეღლავის სასწაულმოქმედ წყალს (ეს ის წყალია, აწი რომ გაიცნობს მსოფლიო) შესვამდა პეშვით, რაღა პეშვით, ტორით და იქვე თავ-პირზე ისხურებდა მაცოცხლებელ, ბრჭყვიალა წვეთებს მინერალისას: „თუ არ გაიცნობს (მსოფლიო), აი, დარდი!“

მერე დაემშვიდობებოდა ნათესავებს, მათარას „ნაბეღლავით“ აივსებდა და რაიონის ცენტრისკენ მიმართავდა თავის „კუკურის“ (ცხენს ერქვა, უფრო ხშირად ადამიანებს ჰქვიათ). ვიდრე რაიკომის შენობასთან მივიდოდა, სადალაქოში შეივლიდა: გაგიჟირდება, მარა გამალამაზეო - ეტყოდა ხისფეხა (ცალფეხაც შეიძლება ეწოდოს) დალაქს, წყაროსთან გალიფეს გაიწმენდდა სველი ხელისგულით, მერე ქოჩორზე გადაისვამდა იგივ სველ ხელისგულს და რაიკომის მდივნის კარს შეაღებდა.

- შეიძლება?

რაიკომის მდივანი (რვაწლედდამთავრებული ხომ მაინც იქნებოდა.) დინჯად ასწევდა თავს, სათვალე თუ ეკეთა, ხომ გაისწორებდა და ზემოდანაც ხომ გადმოხედავდა, მაგრამ ამას სათვალე არ სჭირდებოდა, ისედაც მიმინოსავით იხედებოდა.

- ოჰ, შე კაცო, როგორ მჭირდებოდი, ცხენს ვეძებდი საჯინიბოში, კაცი რომ გამომეშვა შენთან და, აგერ, შენი ფეხით არ მომადექი! აგაშენა ღმერთმა! მოდი, ჩემო სამანა, მოდი.

„რამ გადარია აი ყაზახი?“ - გაუკვირდა და შევიდა.

- ჩემო სამანა, - ჩაახველა რაიკომის მდივანმა. - ერთ თვეში ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადა გაიმართება დედაქალაქში, მანამდე კი ხალხური შემოქმედების დეკადა რაიონში უნდა მოეწყოს. ყველა სოფელი და - კიდევ ჩაახველა - ყველა კოლმეურნეობა უნდა წარმოჩინდეს, გამარჯვებულს თბილისში გავაგზავნით. შენი ბანის ამბავი ცეკაშიც კი იციან და აბა, შენ იცი!

- სიმღერა კი, მარა ცეკვაში ვერ გვაქვს საქმე სამარქაფოთ! - ქეჩო მოიფხანა სამანამ.

- ქორეოგრაფს დაგახმართ რაიონიდან, ერთი კვირა გეყოფათ მაგისთვის. მთავარი მაინც სიმღერაა! ხომ იცი, გურული სიმღერა მსოფლიოში პირველი რომ არის! სიმღერაში ყველაზე მეტად თქვენი სოფელი მეიმედება. ყველა მომღერალი გვარი ერთად ხართ თავშეყრილი. არ შემარცხვინოთ, თვარა ცოცხალს არ დაგტოვებთ არც ერთს!

- თავს არ დავზოგავთ, ყოველნაირად ვეცდებით! - დადო ფიცი სამანამ.

რაიკომის მდივანმა კულტურის განყოფილების გამგე გამოიძახა.

- გააყოლე ამას - სამანაზე მიუთითა. - კაი მოცეკვავე! ფასეიშვილი თუ იქნება, მთლად გადასარევი.

ერთი კვირა აბუქნავა სურებლები დოლის ბაგაბუგის თანხლებით ფასეიშვილმა.

ერთი კვირა სვა ადესა და ალადასტური კეცზე შემწვარი დედლის ზეყოლებით.

ორი ცეკვა: „ქართული“ და „განდაგანა“ შეუკოწიწა სახელდახელოდ შექმნილ ანსამბლ „სურებს“ და თხისგუდგადაკიდებული (გუდა ღვინით აევსოთ) დაბრუნდა რაიონულ ცენტრში.

სიმღერებს კი თავად სამანა მამალაძე არჩევდა. ანსამბლის ხელმძღვანელიც თვითონ იყო (ვითომ თავმჯდომარეობა არ ყოფნიდა), ლოტბარიც და ბანიც. შუაღამემდე ისმოდა სოფლის სამკითხველოდან (კულტურის სახლი, კლუბი და მისთანანი ჯერ არ ჰქონდათ.) ნადური და მოძახილი. შუაღამემდე ელოდა თხუთმეტი ცოლი (იგივე მეუღლე) თავიანთ კაცებს შეფიცხებული მჭადით და კარდალაში გაცხელებული ლობიოთი.

- სამანა ბატონო! გაგვიშვი სახლში, ალიონია უკვე და აწი ამ დამფრთხალმა და უძინარმა ჩიტ-ფრინველმა იმღეროს! არ იცის თუ რაი?

- ოლიმპიადაზეც უღვინოდ უნდა ვიმღეროთ?

- მორჩით ლაყბობას, წაით სახლებში და ხვალ ბოლო რეპეტიცია გვექნება. - გასცა ბრძანება სამანა ლოტბარმა.

პირველად მღეროდნენ სურებლები უღვინოდ.

●

საბარგო მანქანა ღმუილ-ბღავილით ამოასკდა სურებს. ცხენები ყალყზე დადგნენ... მოზვრებმა აიწყვიტეს...

რაიკომის მდივანს გამოეგზავნა მანქანა მომღერალმოცეკვავეთათვის.

ზოგიერთები (გვარ-სახელებზე ბოდიში.) ხელითაც კი შეეხნენ ავტომობილს (ფრიად საკვირველ-საჭვრეტი იყო იმხანად).

მოგროვდა ხალხი. ხურჯინები და ტიკები ერთად შეაქუჩეს (საგზალი და ყელის გასასველებელი აუცილებლობაა ამათთვის).

- აი მანქანა ამ ხურჯინებს არ ეყოფა და კიდო ხომ არ მოგვეთხოვა? - იხუმრა ვიღაცამ.

- ხურჯინი გადაიკიდე ზურგზე და დეეტევი! - დამოძღვრა ის ვიღაცა სხვა ვიღაცამ.

სამანაც გამოჩნდა. გზადაგზა ყაბალახს ისწორებდა. გვერდით ხურჯინგადაკიდებული, ახლადშეღერებული ყმაწვილი მოალაჯებდა, თან გაცხარებით უმტკიცებდა, ვინ იცის, მერამდენე ჭეშმარიტებას:

- კრიმანჭულზე თუ არ წამომეშველეთ, თოფის ლულასავით გამისკდება აი თუთუნით გაბოლილი ყელი!

- კი, ბიძია, მოგეშველებით, აბა რას ვიზამთ და, საერთოდ, რისი მაქნისია აი ყაზახები (მომღერლებზე მიათითა სამანამ.), ოღონდ დროზე ადრე ნუ გაურეკავ შენებურად, ცხონებულმა მამაშენმაც იცოდა უადგილო ადგილას მოძახილი, მარა, ვენაცვალე იმის სულს, უკეთესი მომღხენი ამ ბარობაზე არ გაჭაჭანებულა.

იმატა ქალ-ბავშვთა კისკისმა, თითოეულ მომღერალს თუ მოცეკვავეს („ცეკვა თოხებით“ დაედგათ, ვინ აჯობებდათ?) ომში წამსვლელივით ემშვიდობებოდნენ, კოცნიდნენ, წალმა ატრიალებდნენ, რაღაცას აბარებდნენ...

- ქალებო! წაით აწი სახლებში, ნუ გეშინიათ, ამათ თავს არავინ წაგართმევთ, თუ გეიმარჯვენ, თბილისს მაინც ნახავენ, თუ არადა, ხვალიდან კოლექტივის ყანებში ამოვხდი სულს სათითაოდ.

- ყაზილრებო, დაჯდებით თუ უნაგირი დაგიდგათ „კუზაოზე?“ - იხუმრა ლომგულია დევაძემ და კატასავით აძვრა ძარაზე.

სხვებიც მიჰყვნენ, ზოგმა ნაბადი გააფინა ძირს, ზოგი ხურჯინზე მოთავსდა, რომელიღაც წინდახედულს სამფეხა ჯორკო წამოეღო და ზედ წამოსკუპდა. სამანა კაბინაში მოეწყო შეძლებისდაგვარად და ადგილიდან დაძვრის ბრძანება გასცა.

ათიოდ კაცი (საბარგომ ყველა ვერ დაიტია.) ცხენებით აედევნა მანქანას, რომელმაც უკან ისეთი ბული წამოკრიფა, ცხენ-კაცის ცხვირის ცემინებას ნასაკირალზე გაიგონებდა სმენამახვილი მონადირე. ჭკუა იხმარეს მომღერალმა ცხენოსნებმა და საცალფეხო ბილიკებით მოუჭრეს გზა ღმუილით მიმავალ ავტოს, რომლის ძარაზე ნაცემ-ნაბეგვ-დაგუნდავებული ანსამბლის წევრები თვლემდნენ. ფხიზლობდა ახალწვერაბიბინებული მოკრიმანჭულე, რომელიც ნაბადზე წამოგორებული ღიღინებდა:

*„სანამ დასჭექს არსენალი,*
*გამისტუმრე არსენ ვალი...“*

●

ჩოხატაურის კულტურის სახლი (რამდენადაც იძლეოდა ამის საშუალებას) საზეიმოდ მოეწყოთ.

ლოჟაში რაიკომის მდივანი და დედაქალაქელი სტუმარი ბაასობდნენ.

პატივდებულ ჟიურის პირველი რიგი დაეკავებინა. მათ შორის ორიოდ უცნობი - საშიში სამსახურის („კგბ“) წარმომადგენელიც შეიმჩნეოდა.

წამყვანი, ანუ კონფერანსიე ფარდის უკან ლიფს (თუ უჭერდა) ისწორებდა.

როგორც იქნა, გაისწორა და გამოკეკლუცდა ხალხით გადაჭედილი სასახლის გაბრდღვიალებულ სცენაზე. ცოტა ხნით დაიბნა (იქნებ, იქაც გაიკეკლუცა?) თუ სინათლემ მოსჭრა თვალი და ხმის ნარნარ-კანკალით მიესალმა საზოგადოებას.

გაიხსნა ფარდა.

გამოანათა ადგილობრივი მხატვრის ნახელავმა საბჭოთა კავშირის გერბმა (იქვე საბჭოთა დროშა გაეშალათ). სცენის სიღრმეში ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი მომღერლები იდგნენ.

- მოგესალმებათ ჩოხატაურის კულტურის სახლთან არსებული ცეკვისა და სიმღერის უხუცესთა ანსამბლი „გურია“. - გამოაცხადა კონფერანსიემ.

ჩქარი ტაში.

- სიმღერა „თხამ ვენახი შეჭამა“, ასრულებენ ძმები ჭკუასელები.

სამი დარბაისელი ჩოხოსანი გამოეყო სცენის სიღრმეში გამწკრივებულ ჩოხოსნებს. ნახევარწრე შეკრეს, დარბაზს ჩაავლეს თვალი და სჭექეს... ავარდა ალი, გაჩნდა ხანძარი შუაგულ სცენაზე, ვინაა მისი ჩამქრობი, თვალყურდაჭყეტილი მსმენელი ხომ არა და ესენი, პირიქით, სულს უბერავენ და აძლიერებენ... „იაპონიის (სოიო) ასაღებად დადიან შემოდეგზეო,“ აიღებდნენ ულაპარაკოდ, „თხამ ვენახი შეემიიჭაამააა...“

ტაში მქუხარე.

აზლუდმორგებული კონფერანსიე: „ხასანბეგურა“.

ისევ ტაში.

ჟიურის წევრები ქარმონაბერი ჯეჯილივით მიირწმოირწევიან. შიგადაშიგ ფურცლებზე რამერუმეს ჩაინიშნავენ და დარბაისლურ მზერას კვლავ სცენისკენ მიმართავენ.

- ცეკვა ქართული! - საზეიმო ხმით აცხადებს წამყვანი. - ასრულებს ბუკისციხის კულტურის სახლთან არსებული ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი „ბახმარო“.

- ამის მერე კოხნარია, მერე ვანზომლეთი და ჩვენი რიგიც მოაწევს! - მიირბინა სამანასთან საშურა ბიბლიოთეკარმა.

- მოაწევს და აგერ ვართ კრინიც და ბანიც, მაი არ გვეშლება მამალაძეებს! - აიწკიპა ულვაშები ერმალო მამალაძემ და სამანას თვალი ჩაუკრა.

თამაშ-თამაშ ჩამოიმარცვლნენ აბდღვირებულ სცენაზე: ბუკისციხელები, კოხნარლები, ვანზომლეთელები, გაიყოლიეს ტაში და შეძახილები, გამონარნარდა მჩატედ (უკეთესია - მსუბუქად) კონფერანსიე, ამცნო საზოგადოებას: „თქვენს წინაშეა სოფელ სურების კულტურის სახლთან (ჯერ არ ჰქონდათ) არსებული ცეკვისა და სიმღერის ფოლკლორული ანსამბლი „სურები“, ცეკვა „განდაგანა“.

ერთ კვირაში ნასწავლი „განდაგანით“ სულ განდაგან იარეს და იცეკვეს სურელებმა, ხოლო მასწავლებელი მათი - ფასეიშვილი პატივცემულად იჯდა ჟიურის პატივდებულ წევრთა შორის.

ტაში არ დაუმადლებიათ.

კონფერანსიე: „გურული ხალხური სიმღერა „ალიფაშა“.

სცენაზე ჯგროდ შეყრილი მომღერლები გაჭირვებით დაალაგა სამანამ (სცენა სამკითხველო კი არ არის!), თვავდ შუაში ჩადგა და...

ოოი...

თათარი და რუსი ჩხუბობს...

დელი და... ეაო და... ვაჰიდელა...

აბა დელა... ორერა დაა...

ოი... აო... უა... ოი... აო... უა...

ჰოოო....

აი აქ ამისთანა სიმღერის გაწყვეტა კია ცოდვა, მარა, უთქმელობაც არ ვარგა; სამანასგან წაქეზებულმა მოკრიმანჭულემ ცას რომ უწვდინა ხმა (ეს ის ხმაა, პოლიტბიუროს წევრმა რომ თქვა სტალინის ხათრით „ხაროშაია პესნია, ნო ადინ შაკალ მეშაეტ“!!.) დარბაზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაშით შეზანზარდა, ამით გულმოცემულმა და უფრო მეტად წაქეზებულმა ყმაწვილმა მთლად აიწყვიტა:

უაო...უაო... უაო...
უაო...უაო...უაო...
იაო...უაო...იაო...უაო...
იაუაო...იაუაო...იაუაო...

და, რომ იფიქრებდი, სულს ამოაყოლებს, სადაცაა-ო, ჩაეშველა ამხანაგი რომელიღაცა:

ალიფაშამ გვიღალატა,
ჩაგვიყვანა კვირიკეში,
იმან ფულები ეიღო,
ჩვენ ჩაგვტია რუსის ხელში

- რაიო! - წინა რიგიდან.

...უსწრაფესად დაიხუარ ფარდა. მომღერლებს პირი (ყველანაირი გაგებით) დაღებული დარჩათ, ერთმა სიმღერის გაგრძელებაც სცადა, ვინ აცალა? რუსის ხელშიო ხომ? კაი ხელს მოგცემთ, თქვე ტყიურებო, მე თქვენი... ბობოქრობდა (სულ რომ არ ენახათ) ტყავისქურთუკიანი კაცი. „თეთრ დათვებზე ჩამოგართმევინებთ ხელს, თუ ვყოფილვარ კაცი!“ რა დააშავეს, არ უთქვამთ. უკანა კარით გამოაპარეს. - იბწკინეთ ახლა უკანალზე და წეეთრიეთ თქვენს სატურიაში- წარმოშობით სურებელი - ჩეკას მუშაკი ეუბნებოდათ. ვისაც ცხენი ჰყავდა, ამხედრდა, სხვები, თავჩაქინდრულები, ფეხით გაუყვნენ გზას.

ისევ ნაყივჩაღარს თუ ნასურებელს - ჩეკას მუშაკს შესცოდებია და მანქანა დააწია, იგივ საბარგო, რომლითაც ჩამობარგდნენ. ძლივს აითრიეს წელი, სამანაც ძარაზე აძვრა და იქვე მიწვა კუთხეში. ღმუილით შეუყვა ციცაბოს სატვირთო, ცაზე ვარსკვლავები იცინოდნენ... პირშეღინღლული ბიჭი თავისთვის ღიღინებდა:

*„სანამ დასჭექს არსენალი,*
*დამიბრუნე, არსენ, ვალი“.*

●

კიდევ ერთხელ უღალატა ალიფაშამ გურულებს. სიმღერისთვის კინაღამ გადაასახლეს ხალხი. უნდა ეთქვათ: „ჩვენ ჩაგვტია მტრების ხელში“.სიმართლე თქვეს: „ჩვენ ჩაგვტია რუსის ხელში“.

მაშინ ამის თქმა არ შეიძლებოდა!
მაშინ იოსებ ჯუღაშვილი მეფობდა!!!
ამხანად, როგორადაც გინდა, იმღერე!
ამხანად ედუარდ გურიელი მეფობს...



## თამარ დაუშვილი



●

ბრძამი სადა მაქვს?
დაჭრილი შურით
შენს მოლოდინში
ვზი მარტოდმარტო, -
ვისინჯავ ნაპრალს
გამსკდარი გულის
და... ბალახების
სიგრილეს ვნატრობ!

### მიუწვდომლობის ღიმილი

ჰგავს მონა-ლიზას სევდას
ნიჭი - მიჰხვდება ვინ-ვის!
ღმერთკაც და-ვინჩში ვხედავ
მიუწვდომლობის ღიმილს!

●

დაკარგული ოქროს ქოში..
ბაზმას მიბოლებენ წივის,
ვზივარ ცრემლის საუფლოში,
როგორც თუთაშხიას ქვრივი, -
მახვილს გაუვლია მკერდში,
ცრემლი ერთვის გვადალკვივირს!

●

ლექსს ვაწრთობ ცრემლის ქურაში,
დარდი არა ღირს კამათად,
თქვენ - კოშკში,
მე ჩემს ხულაში
ვზი -
თამარ-ქალი
სანათა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პასუხი კითხვაზე „როგორ ხარ?!“

ფერი წასვლიათ სანახებს,
მზის ვაზი ძლივსღა სუნთქავს,
როცა ქვეყანა ვაგლახებს -
- მე ღმერთმა კარგად ნუ მქნას!

კოშკი გვედგა და დაგვამხეს
(ეს არც ზღაპარში უთქვამთ)
ზეცა გაეხსნათ წარმართებს, -
მე ღმერთმა კარგად ნუ მქნას!

სად, სად გეძიოთ, ღვთის შვილო?
უვიცი უვლის ბუქნას,
როცა ქვეყანა შიმშილობს -
- მე ღმერთმა კარგად ნუ მქნას!

საქვეყნოდ ხელი გაწვდილი,
არც გაგრის, რიწის სუნთქვა,
არც სამაჩაბლოს გზაწვრილი, -
- მე ღმერთმა კარგად ნუ მქნას!

## ჩემი თბილისი

ვიდრე მორთავდნენ საქორწინოდ
მეფე-დედოფალს,
ამ შუაღამით ნათლის სვეტებს,
სთქვი, თუ ვინ ითვლის?
ათას რუსთაველს შთაგონებად,
ვიცი, ეყოფა
ოქროსფერ ნისლში ჩაძირული
ჩემი თბილისი...

•

ვინ რას უკრაძალავს მიეთ-მოეთებს?
ვაგროვებ ცრემლებს ვით ღვარეულებს,
კვიპაროსები ჰგვანან პოეტებს -
ლერწმებს - ქარისგან გადამტვრეულებს...

ოჰ, ვინ დაითვლის უცნობ რებუსად
როკებს, მათ ტანზე მიმობნეულებს?

სათქმელს, ტკივილად შემდოვრებულს, და
წამში გამოვლილ ათასწლეულებს!

ხშირად წინმსწრობი საუკუნეთა
ჰგვანან უმწეო ბალღებს სნეულებს,
ქნარებს-სიმღერაწართმეულებს და
ღმერთებს - უფლებაჩამორთმეულებს!

•

ქართველია?
- გარეგნობა რუსის -
მოგვანატრა
სოფლის გზა და ხულა,
„იყლიტება საქართველო“ -
ვწუხდით,
იყიდება! -
არ გვაწუხებს სულაც!
ამ გაზაფხულს ია-ია ლურჯი
ვის გინახავთ?
ბუჩქქვეშ ამოსულა,
იყიდება საქართველო -
ვწუხდით,
იძარცვება -
არ გვაწუხებს სულაც!

•

სამყარო - ავი ცერბერი -
მიწის, წყლის, ზეცის დარაჯი, -
სისხლს იწმენდს შობა-სიკვდილით
ტლუ ჯარისკაცის ფარაჯით...
გვპოვა უფალმა ხარისხის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ-ხორცის ძვალშესალაგთა,
ვით უცოდველი ტარიგი
მიგვაბა საყდრის კარავთან, -
ბრძანა: - წალამი ვენახის
პირველ ჩვენს მკერდზე ასხეპოს...

დგას საქართველო - კვერნაქი
ქვეყნიერების სამხვერპლო...

●

ვარ გოლიათთა ვალში -
სულო სიმაღლის ხარბო,
ცისფერს ურევდი ზღვაში -
თვალიც სიმწვანით ვარგობს,
გაქრა ლიცლიცი ფერთა,
მწვანეს ყვითელი სჭარბობს,
ჭაობს რა უნდა ჩემთან -
ვკვდები, ვით გრეტა გარბო!

●

ვაი, მიჩეხავენ
ლურჯ მთას და მდელოს,
მტრის ფკალი მეხლება
არწივის ნისკარტად,
ოქროს მიხვეტავენ, -
სტოვებენ ჭრელოს,
სადა ხარ, სად კვნესი,
ფრთათეთრო ინფანტავ?
...
არაფერია...
მე საქართველოს
ფიროსმანისგან გადავიხატავ!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბადრი სულაძე

## ჭიაკოკონა

უცნაურ განცდით დაიკოცნება
ზეცა - იისფერ სიმთა მოკონვა...
ანთია მთრთოლავ ღამის ოცნებად
გვიმრის ფოთლების ჭიაკოკონა...
დილა ცინცხალა და ნუშისგულა
გაიფურჩქნება ვარდის კოკორად...
ანთია მთრთოლავ ღამის ოცნებად
გვიმრის ფოთლების ჭიაკოკონა.

## ზღვისფერი აფრა

ზღვისფერი აფრა მზისკენ გაფრინდა,
გადმოსულს ჰგავხარ ლამაზ ზღაპრიდან...

ცა უნაზესი შუქით წნულია,
მზე ხომ კეთილი უფლისწულია...

## ბედის საქანელა

რაც დრო გადის,
დარი ცრემლსაც გამოურევს,
ქარი თუა?
ფიქრი მოაქვს ხეთა შრიალს,
მერე რა, რომ
მოიწყინა კედელ-ყურემ,
გაღმით ჩემი
ოცნებები მეძახიან;

გული რაა,
ერთი ციდა საყანეა,
რასაც დასთეს,
ის მარცვალი გაღვივდება;
ცა ირწევა,
როგორც ბედის საქანელა,
რომ არ ელი,
სწორედ მაშინ გაწვიმდება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მარტოობა

ნუშის რტოზე
უნუგეშოდ დანატოვი,
განა წვიმის,
სიმარტოვის ცრემლებია;
ჩემი ფიქრის
ქარავანთან განატოლნი
გულში დარდის
კრიალოსნად ებმებიან...

ცისკრის ტბათა
სილამაზე რომ ფერავდა,
მე სითეთრე
მათრთოლებდა იმ გედების;
გაზაფხულის
გაღიმება მომენატრა,
შენ კი თურმე
სიბნელისთვის მიმეტებდი...

მთვარის ჩრდილი
ეფინება სარკმელს ისე,
ალბათ, ისევ
მონატრების ჟამი დგება;
ეს ტირიფიც
ტკივილებით თვალს დაივსებს
და მერე კი,
ღმერთმა იცის, რა იქნება...

## თუთობა

თუთობაა,
თითბრის ზეცამ
თუთისფერში ციალით
ააცეკვა
თვით ფრთის კეცვა,
დღე თვალთმაქცობს
მცინარი;
თუთობაა,
მისი პეწი
მაგ თვალებსაც სწვევია,
თუთის ხეებს
ვეფერები,
ნაზად რომ ირწევიან...

## ნუ მკითხავ

მზით მონაქსოვი
ცის მერდინები,
მინდა, მოვნათლო
ჯადოაფრებად
და მოვაგროვო
ზღვისფერი ქვები
შენს წამწამებზე
გადმოსაფრქვევად...
თუკი მაცდურად
მინდვრებს გავხედო,
ნუ მკითხავ, ასე
რად ვიმზირები;
მინდა ბოღმისგან
გულზე გავხეთქო
ეს ჭორიკანა
ვარდის კვირტები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჯუმბერ ხანთაძე

# ვიქტორია, მერსედესი, ბირინა და ვილისი

ომი ახალი დამთავრებული იყო, ჩვენს უბანში მოტოციკლეტი რომ გამოჩნდა, უფრო სწორად, მოპედი. ფართე საბურავები ჰქონდა, დიდი დასაჯდომი და მკვახე ხმა. უცხოური იყო, წითელი, ძალიან ლამაზი. „ვიქტორია" ერქვა. ერთ, ჩემზე უფროს ბიჭს საიდანღაც უშოვნა მამამისმა. კარგა ხანს დავდევდით უბნის ბიჭები კუდში. ხანდახან ჩვენც დაგვსვამდა ხოლმე. დედამისი წუხდა, პირსახოცივით სულ აივანზე იყო გამოფენილი. როგორც კი შვილი მის თვალს მიეფარებოდა, ქუჩაში გამოვარდებოდა და წივილ-კივილით ზემოთქვემოთ დარბოდა.

ძალიან შეწუხდა ოჯახიც და ქუჩაც. ისედაც „სამოკატკებით" გვქონდა იქაურობა აკლებული და ახლა მოტოციკლეტის რიხინმა მთლად გადარია ხალხი. გარდა ამისა, ამ ბიჭმა ერთი ორჯერ ცხვირ-პირიც დაიმტვრია და მოტოციკლეტიც გვარიანად შელანძლა. ერთი სიტყვით, ერთ მშვენიერ დღეს განაცხადა - ვყიდიო.

გადავირიე სიხარულით. სხვა ბავშვებმაც მოინდომეს ყიდვა, მაგრამ რეალური მყიდველი არც ერთი არ აღმოჩნდა - ფული არ ჰქონდათ. დიდი ვაჭრობის შემდეგ მივეცი ჩემი ველოსიპედი, „კამერა-აბალოჩკა", ოჯახის რელიკვიად ქცეული ძველისძველი, უზარმაზარი ფოტოაპარატი, ფერადმინებიანი ჯიბის ფარანი და ათი მანეთი ფულად. ყველაფერი გავყიდე, რაც მებადა: კოჭები, მათ შორის, ოთხი ჯილა, ჩემი გაკეთებული ჩიკორები და „სამოკატკა", მარკები, „პოდშიპნიკები", კარამელები, კალმები და მოტოციკლი სახლში მოვაგორე. იმ ხანად უკვე აღარ მუშაობდა - მაგნეტო ჰქონდა გაფუჭებული.

ბინა ვიწრო გვქონდა და ძლივს გამოვძებნე ადგილი „ვიქტორიასთვის". ბენზინითა და ზეთით მოვსვარე ყველაფერი. დედაჩემს ნაჭერი აღარ შევარჩინე. სახლში სულ მეჩხუბებოდნენ: გააგდე გარეთო. ერთ დღეს დედამ ძლივძლივობით შეძენილი „კრეპჟორჟეტის" ახალი კაბა ზეთით გაისვარა, გამოვიდა მოთმინებიდან და „ვიქტორიას" უთო ჩაარტყა. საოცრად მეტკინა. ჩემთვის რომ ჩაერტყა, ნამდვილად ისე არ მეტკინებოდა. ბევრი ვიდარდე. ვერაფრით მივხვდი, რატომ ჩაარტყა „ვიქტორიას", რატომ შეიძულა ასე. მართლა ხომ ვერ გავაგდებდი და დავტოვებდი გარეთ მარტოს, გაფუჭებულს. მერჩივნა, მე გავეგდე იმიტომ, რომ ძალიან მიყვარდა და მეცოდებოდა. ის კი არა, ნამდვილად ლოგინში ჩავიწვენდი, მაგრამ არ ეტეოდა. მე ყველას ძალიან შევეცოდე, ის კი არავის შეცოდებია. მადლობა ღმერთს, ჩვენმა მეზობელმა, კეთილმა ქალმა, დეიდა ვენერამ „ვიქტორია" თავის ოთახში შეუშვა. კარგი ქალი იყო დეიდა ვენერა, ამის შემდეგ უფრო შემიყვარდა, მიუხედავად იმისა, რომ „ვიქტორია" მაინცდამაინც არც იმას უყვარებია. არც ოთახში დაქოქვის უფლებას მაძლევდა - ხმაურიანია, სუნი აქვს და ბოლიო.

დიდი წვალების შემდეგ როგორც იქნა, აღვადგინე მაგნეტო და ჩემი „ვიქტორია" ავარახრახე, მაგრამ ჩქარა ბარბაცა გაუტყდა და გაჩერდა. რა არ ვიღონე, რა არ ვცადე, მაგრამ ვერა ვუშველე რა. მსგავსი ნაწილი ვერსად ვიშოვე იმიტომ, რომ „ვიქტორია" ერთადერთი იყო ქალაქში. მერე საწყალი ჩემი „ვიქტორია" ორ ვაკელ ბიჭს ფოტოაპარატში და ძალიან ლამაზ გერმანულ მუდმივ საწერ კალამში გავუცვალე. აპარატი კარგი იყო - „ფედი". ისე, ის ბიჭები კი გავაფრთხილე: „ვიქტორიას" ვერ გააკეთებთ-მეთქი. კაცო", ჩვენ ვიცით ჩვენი საქმეო. მართლაც ვერ გააკეთეს და, როგორც ველოსიპედს, ისე აგორავებდნენ. სამუდამოდ დამუნჯდა საწყალი.

●

მანქანებისადმი სიყვარული „ვიქტორიადან" დამეწყო და ნამდვილ ციებ-ცხელებად მაშინ გადამექცა, როცა სტუდენტი გავხდი და ვერაზე, არაგვის ქუჩაზე, ჩემი მეგობრის ეზოში, გერმანული მანქანა „მერსედესი" ვნახე. 400 მანეთად იყიდებოდა. შავი კაბრიოლეტი იყო, საოცრება, წითელი ფერის ტყავისგან გაწყობილი სავარძლებით. არ მუშაობდა, გაფუჭებული იყო, ჩაფუშულ საბურავებზე იდგა. პატრონმა უფლება მომცა, გამერეცხა. მთელი დღე ვრეცხავდი და ვაპრიალებდი. მერე საბურავები მოვიყვანე წესრიგში. აკუმულატორი არ ქონდა და კიდევ სხვა წვრილმანი, მაგრამ 400 მანეთი ნაღდად ღირდა. ხალხი მაშინ მოკრძალებულად და წესიერად ცხოვრობდა, ძნელი იყო ამოდენა ფულის შოვნა. „მოსკვიჩს" მაღაზიაში იყიდდი კაცი, ახალთახალს 9000 მანეთად, მაგრამ ხალხში ფული არ იყო და ვერ ყიდულობდნენ. დღეში ორჯერ მივაკითხავდი ხოლმე ჩემს მერსედესს და ვეფერებოდი. ფულის შოვნის არავითარი წყარო არ გამაჩნდა. ორმოცმანეთიანი სტიპენდია იყო ჩემი ერთადერთი შემოსავალი. ფოტოგრაფობა გადავწყვიტე. „ფედი" მქონდა და მეგობარი მყავდა, რომელმაც კარგად იცოდა ეს საქმე. იმას შევუამხანაგდი. იმ მეგობარს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ სიარული უჭირდა, ამიტომ მის ფუნქციებში შედიოდა ფირის გამჟღავნება და სურათების დაბეჭდვა, მე კი უნდა მევლო და სურათები გადამეღო - თითო 30 კაპიკად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველად აბრეშუმის ფაბრიკას მივაკითხე. შესვენების დროს უამრავი ქალი დამესია. ვილე და ვილე ჯგუფური პორტრეტები. ზოგს ამასთან უნდოდა, ზოგს იმასთან, ზოგს აქ, ზოგს იქ. მთელი ღამე ვბეჭდავდით სურათებს. ერთი დიდი დასტა მივიტანე მეორე დღეს. დამეხვივნენ ქალები: უი, რასა ვგავართ? თვალი დახუჭული რათა მაქვსო? აბა, ეგეთი როდის ვართ? რა ვიცი, რა ბრალდება არ წამომიყენეს, ფულიც ცოტამ მომცა, დიდი ნაწილი მუქთად დავარიგე, დანახარჯი ძლივს ავინაზღაურე. იმედი მაინც არ დამიკარგავს და ამის შემდეგ შოკოლადის ქარხანას მივადექი. აქ თეთრხალათიანი ქალები გამოვიდნენ. მე უკვე გამოცდილება მქონდა, ამიტომ სარკე თან წამოვილე და ყველას ვთხოვე, მოწესრიგებულიყვნენ, რათა „უი, რასა ვგავართოსგან“ დაზღვეული ვყოფილიყავი. კარგად ვიმუშავე, სურათებიც კარგი გამოვიდა, ფული კი არა. ყველამ მომიწონა ნამუშევარი და გასამრჯელოდ შოკოლადები მომიტანა, სხვადასხვა კამფეტი, ათასგვარი ტკბილეული - ნატურით ამინაზღაურეს შრომა. აკი მოგახსენეთ, ხალხს უჭირდა ფულის გადახდა, არ ჰქონდათ და იმიტომ.

მივედი ჩემს მეგობართან ტკბილეულით დატვირთული, ვჭამეთ და ვჭამეთ. მე რახათ-ლუხუმი მომეწონა განსაკუთრებით, მაგრამ იმდენი ვჭამე, რომ მის ხსენებაზე დღესაც გული მერევა ხოლმე.

შემდეგ პაპიროსების ფაბრიკაში გადავილე სურათები და გასამჯელოდ მივილე პაპიროსები: „ურმული“, „კურორტნი“, „რეკორდი“, „ყაზბეგი“, „ტემპი“ და თუ რამ პაპიროსი იყო - ყველა. მთელი ჩემი ძმაკაცობა ერთი თვე მუქთად აბოლებდა. მეც მაშინ შევეჩვიე და დღესაც მაგრად ვქაჩავ. საქმე კი ჩიხში მოექცა, ხარჯი გავწიეთ, მოგება ვერ ვნახეთ.

ერთმა ნაცნობმა მითხრა: ბიჭო, წადი კახეთში, იცი, რა ფულს გააკეთებო და მეც დავიძარი. სოფლები შემოვიარე საგარეჯოს მახლობლად: ნინოწმინდა, გიორგიწმინდა და პატარძეული. კარდაკარ დავდიოდი. აქაური ხალხი ალალია და თავიდანვე მაფრთხილებდა: გადამილე და პურს, ხილს, ლობიოს, კვერცხს მოგცემო. ისევ ნატურით ამინაზღაურეს. უფრო ხილს ვამჯობინებდი. იქ კარგი ხილი იცის, გემრიელი.

დავრწმუნდი, რომ ფოტოგრაფობით ფულს ველარ ვიშოვნიდი და შევეშვი ამ საქმეს, „მერსედესზე“ ფიქრსა და ოცნებას კი ვერ შეველიე. კიდევ დავიწყე მასთან სიარული. საწყალს ბორბლები ისევ ჩაფუშვოდა. მტვერი დასდებოდა. საცოდავად გამოიყურებოდა. მაგრამ მე მაინც ძალიან მიყვარდა. ნაღდად ღირდა 400 მანეთი. საგონებელში ჩავვარდი.

იმ ხანად ცირკს სასტუმრო არ ჰქონდა და გასტროლებზე ჩამოსულ ცირკის მსახიობებს ცირკის მახლობლად კერძო ბინებში ათავსებდნენ. ხალხს უჭირდა და კაპიკებად აქირავებდა თავის კუთხე-კუნჭულს. ფიქრის გორაზე, ბებიაჩემის ეზოშიც გამოჩნდნენ „ცირკაჩები“. მაშომ ოთახი მიაქირავა არენის ხუმარას. ხუმარა ძალიან კარგი კაცი იყო, პატარა ტანის, უცნაური, მეტისმეტად მარჯვე, მოქნილი და კეთილი. გვერდით ეზოშიც ცხოვრობდნენ „ცირკაჩები“ - სამი ქალი ცხოვრობდა ერთად, ერთი სულ ახალგაზრდა, გვარად ბირინა, შოლტივით გოგო იყო, სპორტული აღნაგობის. მშობლებიც ცირკის მსახიობები ყოლია, ისინი სხვა ქალაქში იყვნენ გასტროლებზე და ამჯერად ბირინას ეს ორი ქალი მეურვეობდა.

მე და ხუმარა დავძმაკაცდით. ვუამბე „მერსედესზე“, ისიც ვუთხარი, ცირკი ბავშვობიდან როგორ მიყვარდა. მერე ვთხოვე: წამიყვანე, ცირკში მუშაობა მინდა-მეთქი. ძალიან კარგს იზამო, ცირკი აკეთილშობილებს ადამიანს, თანაც ერთ-ორ გროშს იშოვნიო - მითხრა და ცირკის დირექტორს მიმგვარა. ლამაზი კაცი იყო დირექტორი, თუ არ ვცდები კავსაძე იყო გვარად, ყოფილი მომღერალი. განცხადება დამაწერინა და რეზოლუციაც დაადო. სცენის მუშად გამაფორმეს. იმავე დღეს მომცეს ყვითელლამპასებიანი შარვალი და სამხრეებიანი კომზოლი. ძირითადად არენას ვხვეტავდი ხოლმე, ერთი-ორჯერ გამნათებელსაც მიმახმარეს: ნათურებს ვანთებდი - ვაქრობდი. ხელფასი მცირე მქონდა, მაგრამ სამუშაო ძალიან კარგი იყო, განსაკუთრებით კულისებში იყო საინტერესო.

მე, ხუმარა და ჩვენი მეზობელი ქალები ცირკიდან ერთად ვბრუნდებოდით ხოლმე. ისინი დღისითაც იქ იყვნენ - ვარჯიშობდნენ. მე საღამოობით მივდიოდი, დღისით ინსტიტუტში უნდა მევლო. ბირინა მომწონდა ძალიან, ისე მომწონდა, რომ „მერსედესი“ დამავიწყდა. ხუმარამ მითხრა - ჩვენს დასში ამაზე ნიჭიერი არავინ არისო. ეკვილიბრისტი იყო. შავი კალიპსოთი გამოდიოდა ნახევრად ჩაბნელებულ არენაზე. ჩამოსხმული სხეული ჰქონდა, შავი მარმარილოსგან ჩამოქნილს ჰგავდა. გამოიტანდა კიბეს, ვერტიკალურად დააყრდნობდა ხანჯალზე, შუბლზეც ხანჯალს დაიდებდა ტარით, ხოლო მის წვერზე დიდ ბურთს მოარგებდა და ისე ავიდოდა კიბეზე ერთი მხრიდან და ჩამოვიდოდა მეორედან. რისკიანი იყო, არც ბაგირით ებმებოდა თაღში. ნომერი არც ისე ეფექტური იყო, ხალხს უფრო ბატუდზე ხტომა და ჰაერში ფრენა მოსწონდა, ბირინას ნაკლებად უკრავდნენ ტაშს. ისე კი, ძალიან ძნელად შესასრულებელი ნომერი იყო, წონასწორობის არაჩვეულებრივი, ღმერთისგან ბოძებული ნიჭი თუ არა გაქვს, ამას ვერ ისწავლი თურმე. ხტუნაობასა და ფრენა-ფრენას კი ყველა სწავლობს. ვერაფრით ბირინა მარტო ვერ მოვიხელთე, დღისით სულ ვარჯიშობდა, საღამოს არენაზე გამოდიოდა, სახლში კი კოლექტიურად ვბრუნდებოდით. ერთ დღეს ბირინა გადმოვარდა და მკლავი მოიტეხა. თაბაშირი დაადეს. რამდენიმე დღე გარეთ არ გამოსულა. მერე ისევ დაიწყო ცირკში სიარული მაყურებლისა და გულშემატკივრის როლში. ერთხელ კონტრამარკები იშოვნა და შემომთავაზა: „წამო, თუ გინდა თეატრში წაგიყვანო (კონტრამარკა - ბარათი, რომელიც აძლევს მის მფლობელს უფლებას, უსასყიდლოდ შევიდეს კინოში ან თეატრში.)

როგორ არ მინდოდა! დავეთხოვე ადმინისტრატორს და ბირინას გრიბოედოვის თეატრში გავყევი. კარგი რეპერტუარი ჰქონდათ მაშინ, იქ ვნახე პირველად „ტურბინების დღეები“ - ბულგაკოვის მიხედვით, ძალიან საინტერესო სპექტაკლი იყო.

მე და ბირინა დავმეგობრდით და ხშირად დავდიოდით კინო-თეატრებში. ერთხელ გამანდო: სიყვარულმა ასე იცისო, როცა იარაღზე მუშაობ, სიყვარული არ შეიძლებაო, არც მოწონებაო; შენ რომ მომეწონე იმიტომ გავადინე ზღართანიო, მაგრამ არ ვნანობო. მერე მითხრა, რომ ცირკის მსახიობები მკაცრ რეჟიმს იცავენ, კვებაც ზომიერი აქვთ, არც მოჭარბებული ემოციები შეიძლება, ვინაიდან ვარჯიშში უშლის ხელს. მოკრძალებულად თუ არ იცხოვრეს, დიდხანს ვერ იმუშავებენ. პენსიაც პატარა ჰქონიათ და, საერთოდ, ძალზე ცოდო ხალხია.

ნელ-ნელა მეც მივხვდი, რომ ჩემი და, საერთოდ, ჩვენი საზოგადოების წარმოდგენა ცირკის შესახებ სრულიად მცდარი და უმართებულოა. ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე გვეგონა, რადგან ტიტველი ქალი გამოდის არენაზე, ეცი და ეგ არი, შენია, ნურას უკაცრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვად, ძალიან თავშეკავებულები არიან და უაღრესად მეგობრულები ერთმანეთის მიმართ, კარჩაკეტილები და უცხოსთან მოკრძალებულები. არადა, ჩემი მეგობრები შემოჩენილები იყვნენ: მიდი, ცირკის გოგოები მოგვიყვანეო. განსაკუთრდებით ერთი, თემიკო იყო საწყალი, სულ ტვინს მიხვრეტდა. საწყალი იმიტომ ვთქვი, რომ ახალგაზრდა გარდაიცვალა და ბოლომდე ვერ დავაჯერე, რომ მე ცირკში იმ ბირინასთვისაც კი თითი არ მქონდა დაკარებული.

მალე ბირინას დასი იალტაში გაემგზავრა. ძალიან მოვიწყინე. ამას მეორე უბედურება დაერთო - ერთხელაც რომ მივაკითხე ჩემს „მერსედესს", იქ, არაგვის ქუჩაზე აღარ დამხვდა - გაუყიდიათ. ბირინაზე ფიქრი „მერსედესზე" დარდმა შემიცვალა. ამასობაში მამაჩემმაც გაიგო ღამღამობით ჩემი სახლში არყოფნის მიზეზი, ძალიან მისაყვედურა - ცირკისთვის მინდიხარო? მეც დავკარგე ინტერესი და მალე ჩემი განცხადების საფუძველზე ცირკიდან წამოვედი.

ყველამ იცოდა ჩემი უბედურების ამბავი, ყველას ძალიან ვეცოდებოდი, იმიტომ, რომ ძალიან დადარდიანებული ვიყავი. ერთი კახელი მეგობარი მყავდა, მალხაზი, სკოლაში ერთად ვსწავლობდით, ინსტიტუტშიც. ერთ დღეს მომახარა: გავიგე - გურჯაანში, ჭანდარში ესა და ეს კაცი ამერიკულ „ვილისს" ყიდისო. ვნახე და შენს „მერსედესზე" არაფრით ნაკლები არ არისო.

მე მანქანის ტარებაც ვიცოდი და მართვის უფლებაც მქონდა. მალხაზმა არ იცოდა და მანქანისაც არა გაეგებოდა რა, მაგრამ დაინტერესებული იყო და წილში შემოსვლაზე დამთანხმდა.

გავვარდით გურჯაანში, მივადექით იმ ოჯახს. მანქანა ეზოში დაგვხვდა, პატრონი არა. საღამოს მოვაო. მთელი დღე ვუტრიალეთ „ვილისს". ქათმებს საბუდრად ჰქონდათ ქცეული. ისე, კარგი მანქანა იყო, ყველაფერი ზედა ჰქონდა, ზოგი ძველი და გატეხილი, მაგრამ ჰქონდა. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს რესტავრაციისათვის.

საღამოს მოვიდა პატრონი, მძღოლი იყო. გამოგვკითხა, ვინა ვართ და რა გვინდა. მერე ჩვენ ვკითხეთ, რა უნდა.

- აბა, შენ სტუდენტი კაცი ხარ, ფული სად გექნება, რა უნდა მომცეო - მითხრა. მერე - კარგიო, **500** მანეთი მომე და შენი იყოსო, თანაც დამპირდა - იქითა კვირაში ქალაქში უნდა წამოვიდე, დავუდებ მანქანაზე და ჩამოგიტანო. შევთანხმდით, დავუტოვე მისამართი და, მართლაც, ჩქარა სახლში მომიგრიალა ჩემი „ვილისი".

იმ ხანად იქ, სადაც ახლა აკადემქალაქია, გეოფიზიკის, მათემატიკის ინსტიტუტი, ბიბლიოთეკა და სხვა აკადემიური დაწესებულებები, მაშინ არმიის ავტოშემკეთებელი სახელოსნოები იყო განლაგებული. სახელოსნოები ერქვა, თორემ ქარხანა იყო, მთელი ეს უზარმაზარი ტერიტორია ეკავა. უფროსი იყო პოლკოვნიკი მარგველაშვილი. მყვირალა, ჯაჯღანა კაცი, შიშის ზარს მცემდა იმის დანახვა.

მაშინ ჯარში სულ უცხოური საავტომობილო ტექნიკა იყო: ფორდები, დოჯები, სტუდაბეკერები, ვილისები, ბალტამები, რა არ იყო ამ სახელოსნოებში შესაკეთებლად მიტანილი. ზოგს ძრავაში ჰქონდა რაღაც ნაკლი, ზოგს ხიდში, გამანაწილებელში, კოლოფში, თორემ სხვა მხრივ ბედაური მანქანები იყო. „ვილისისთვის" რამის შოვნა თუ გინდოდა, მხოლოდ აქ იშოვნიდი, ჯარისკაცების მიერ მოპარულს და ჩუმად გარეთ გამოტანილს.

დავიწყე იქ წანწალი და ნაწილ-ნაწილ ჩემი „ვილისის" აღდგენა. ყველა გავიცანი, ყველამ გამიცნო, მათ შორის პოლკოვნიკმაც, მაგრამ მას სათოფედ არ ვეკარებოდი, გამოჩნდებოდა თუ არა გავრბოდი, ვიმალებოდი. ყველას უყვიროდა და არ მინდოდა ჩემთვისაც ეყვირა. ყვირილს ვინ ჩივის, მეშინოდა, არ დავეჭირე. ერთხელ კი ვეღარ გავექეცი, ხელში შევრჩი. რას აკეთებ აქო - დამიყვირა. ეს და ეს ნაწილი მინდა ჩემი „ვილისისთვის" - ამოვღერღე. ხელი წამავლო და ქარხანაში შემიყვანა. გავფითრდი, ნამდვილად დამიჭირა და „კუტუზკაში" მიკრავს თავს-მეთქი, გავიფიქრე.

მიმიყვანა ბადით შემოფარგლულ ტერიტორიასთან, კარი გააღო, შიგ შემიშვა და კარი გარედან ჩაკეტა, ვიცი, სადაც ვარ: ამ ტერიტორიაზე შესაკეთებლად შემოსული მანქანების სადგომია. „ვილისებიც" ბლომად დგას. პოლკოვნიკმა გარედან დამიყვირა ბრძანების კილოთი: ახლა იარაღებს მოგიტანენ, მოხსენი ამ მანქანებს, რაც გინდა, მერე კი აქ აღარ გნახოო. მართლაც, მომიტანა „სტარშინამ" იარაღების ყუთი, ღობიდან გადმომაწოდა, თვლით ჩამაბარა, გამაფრთხილა, არ დამიკარგოო და დამტოვა. მივადექი და სამი მანქანა პირწმინდად დავშალე. საღამოს პოლკოვნიკმა მინახულა. გაგიჟდა, დაშლილი მანქანები რომ დაინახა და დამიყვირა: მარტომ დაშალეო? მერე მკითხა - რით წაიღებო? თქვენ ნება მომეცით და წაღება ჩემზე იყოსმეთქი - ვუპასუხე.

ქარხანაში საამქროებს შორის ტვირთის გადასატანად ძარადამოკლებულ სტუდაბეკერებს იყენებდნენ. ზედ ამწეც იყო დამონტაჟებული. დაუძახა ერთ-ერთი სტუდაბეკერის მძღოლს და უბრძანა - დატვირთეო. დამიტვირთეს, მაგრამ რა დამიტვირთეს: ერთი ძრავი, ორი უკანა ხიდი, ერთი წინა ხიდი, ორი კოლოფი, გამაძლიერებელი, ექვსი ბორბალი და კიდევ უამრავი წვრილმანი, მოკლედ, გაივსო ძარა. სად მიგაქვსო - მკითხა პოლკოვნიკმა. ვერაზე - ვუპასუხე. „სალდათს" უბრძანა: გააფორმეთ საგზური და სახლში აუტანეთო. მეორედ აღარ გნახო აქ მოსულიო - დამიყვირა, როცა ვემშვიდობებოდი.

ცოტა ხანში მითითება გამოვიდა - „უკაზი", საბჭოთა არმიაში საზღვარგარეთული ტექნიკის ჩამოწერის შესახებ. - საბჭოთა არმია საბჭოთა ტექნიკით უნდა აღჭურვილიყო. მე და პოლკოვნიკმა გავუსწარით მოვლენებს.

დიდხანს იყო მოფენილი ჩვენს ეზოში ზეთიანი რკინები. მერე კარგა ხანს აღარც ბალახი იზრდებოდა და არც არა ხარობდა რა ბენზინითა და ზეთით გაპოხილ მიწაზე. სამაგიეროდ, ჩვენი „ვილისი" ავაწყვეთ, გავხედნეთ, რაშივით დაქროდა. „მერსედესსა" და ბირინას სილამაზით ნამდვილად ვერ შეედრებოდა, მაგრამ ღონიერი იყო, იერი და ხმა ვაჟკაცური ჰქონდა. ძალიან შეგვაყვარა თავი მეც და ჩემს მეგობრებსაც. სად არ გვატარა, რა არ გვაჩვენა. დიდხანს მაინც არ გვეწერა ჩვენი რაშით ტკბობა, ვინაიდან მე და მალხაზი ინსტიტუტს ვამთავრებდით და განაწილების თანახმად რუსეთის ქალაქებში უნდა წავსულიყავით სამუშაოდ.

საბურთალოს ბაზარში გავყიდეთ ჩვენი ბედაური. იქ, სადაც ახლა სპორტის სასახლეა, კვირაობით ბაზრობა იყო - „ტალკუჩკა". ყველაფერი იყიდებოდა: ნალი, ქინძისთავი, ნამცხვარი, ძროხა, ტანსაცმელი, მანქანა. ერთი უკრაინელი გლეხი შემოგვევაჭრა, დიდი ლამაზი კოპლებიანი ხატაველა ძროხები ჰყავდა გასაყიდად ჩამოყვანილი. ამათ გავყიდი და თქვენს ბედაურს ვიყიდიო - გვითხრა და მართლაც, ორი დღის შემდეგ **1400** მანეთი ჩაგვითვალა, მძღოლი იქირავა და მერე ტელეგრამაც გამოგვიგზავნა _ ბედნიერად ვიმგზავრეო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გილიოტინა

შაბათი დღე გათენდა. თავსხმაა. მაინც სოხუმმა ნამეტანი იცის, გახსნის ცა პირს და ჩამოიქცევა, მოდის და მოდის დაუსრულებლად. გავუყევით მე და ნუგზარი ჩუმად, საიდუმლოდ ქალაქისკენ. მთელი ღამე ვბორგავდი, სულ მოტოციკლეტი მელანდებოდა, ხან გავაქანებდი, ხან დავფრინავდი, ხან უფსკრულში ვვარდებოდი და  კოშმარებში მეღვიძებოდა. დღეს ასრულდება ჩემი ბავშვობის ოცნება, მექნება მოტოციკლეტი. მართალია, საზიარო, მაგრამ ხომ ჩემიც იქნება.

ნუგზარი ჯერჯერობით ჩემი ერთადერთი კომპანიონია, გუშინ ხელფასი ავიღეთ თუ არა, საბოლოო კაპიკამდე ამ საქმეში ჩავდეთ. რაც დაგვაკლდა, გურის, ჯიმშერსა და ლელიკას ვესესხეთ. არც იციან ჩვენი ჩანაფიქრის შესახებ, მაგრამ იმედი გვაქვს, ისინიც შემოგვიერთდებიან, თუ არადა, შიმშილით ხომ არ მოგვკლავენ, გვეშველება რამე.

მე რომ მინდა, ისეთი მოტოციკლეტი იქ არის, სპორტულ მაღაზიაში. შავიც არის და ლურჯიც. ისე, წითელი რომ იყოს, ნამდვილად აჯობებდა. რატომღაც მჯერა, რომ მოტოციკლეტი აუცილებლად წითელი უნდა იყოს, ისეთი, „ვიქტორია“ რომ იყო.

ამ ფიქრებში გართული სოხუმში შევედით. სირბილით მივადექით მაღაზიას. შავის ყიდვა ვარჩიეთ. უზარმაზარ ხის ჩარჩოშია შეფუთული, სულ ახალია, ლაპლაპებს. გადავიხადე ფული, საწყობიდან კაცი გამოვიდა და ჩარჩოს გახსნა დაიწყო. ჩაქუჩს ხმარობს უდიერად, ფიცრებს ამსხვრევს. გული შემეკუმშა - შიგ ხომ მოტოციკლეტია! მინდა, გამოვართვა ჩაქუჩი და ძალაყინი, არ მაძლევს, მეჩიდავება. შევატყვე, ეშინია „ჩაევოი“ არ დაკარგოს. მივაშავე ხუთი მანეთი და ვუთხარი, პირდაპირ რომ ლუდხანაა, იქ გაგრილდი და ათ წუთში მომაკითხე-მეთქი. გაეხარდა.

გავათავისუფლეთ ტყვეობიდან ჩვენი მოტოციკლეტი. ის ტიპიც მოვიდა, სამლიტრიანი ქილით ბენზინი მომცა. ზეთი პატარა ბოთლით მე მქონდა მოტანილი - თადარიგიანი ვარ. ჩამოვკარი, ეგრევე დაიქოქა, ხმა კარგი აქვს. გამოვაგორე ქუჩაში, მოვიჯინე ნუგზარი, გავხსენი აქსელერატორი. მანქანა აზანზარდა, მერცხალივით გაფრინდა.

აფსუს, წვიმს, სათვალეს მისველებს, ცუდად ვხედავ და ვეღარ ვუმატებ სიჩქარეს. ისე, სათვალესაც რომ „დვორნიკები“ გაუკეთონ, - მანქანას რომ აქვს, ისეთი, - არ იქნებოდა ურიგო. ნუგზარმა წელზე ხელები შემომხვია, მომეკრა. არც სათვალე აქვს და არც ქუდი, მაგრამ მაინც უხარია, ვერ ფარავს აღფრთოვანებას. არა, ნუგზარმა ნამდვილად იცის მწვავე ემოციების ფასი, მას არაფერი ეშლება. აი, სხვები როგორ შეხვდებიან ჩვენს მოტოციკლეტს, შეიყვარებენ თუ ვალის გასტუმრება მოგვიწევს, რა ვქნა, თუ არ შეიყვარებენ, ნელ-ნელა გავისტუმრებთ და ეგ იქნება.

მალე აგუძერაში ჩავუხვიეთ და ობიექტის შლაგბაუმსაც მივადექით. ყარაულის უფროსს ვეახელი, მოტოციკლეტი შევიძინეთ-მეთქი ვუთხარი. დროებითი საშვი მომცა, მუდმივს, ნომრებს რომ აიღებ, მაშინ მოგცემო. შევგრიალდით მე და ნუგზარი ობიექტში. მთლად სველები ვართ, ძაფი არა მაქვს მშრალი. გავჩერდით ჩვენს სახლთან, მივეცი სიგნალი, ვაპიპინებ, ვაპიპინებ, დეკომპრესორიც ავატკაცუნე, ვაგრიხინებ ძრავას, კაცი არ გამოდის. ბოლოს, როგორც იქნა, ჯიმშერმა მოგვაქცია ყურადღება და ტერასაზე გამოვიდა.

ჩვენი სახლის წინ მაისის ვარდების უზარმაზარ ბუჩქს გამარჯვებული კაცის იერით შემოვუგრიალე და სახლთან მკვეთრად გავაჩერე. ყველანი პირგახეულები გამოცვივდნენ, შიშვლები ამ თავსხმაში. მალე სხვა ბიჭებიც გამოჩნდნენ: კოლია, გურამი, ხოტო, არსენა. საოცარი ინტერესი და აღფრთოვანება გამოხატეს. ყველას ხელის მოკიდება უნდა, ყველა რაღაცას მეკითხება, ყველას პასუხი უნდა გავცე. ალბათ, ასე ჩკალოვს არ შეხვდებოდნენ პოლუსზე გადაფრენის შემდეგ ამერიკაში.

გურია მხოლოდ გაბუსუნებული, ვხვდები, რატომაც - ჩვენი ხაზინადარია, ფინანსისტი, ეს გვაჭმევს, გვაცმევს, გვირეცხავს, კინოშიაც მაგას დავყავართ. იჯექით აწი მშივრებიო თქვა, ზურგი შეგვაქცია და სახლში შევიდა. ჩვენც მივაშურეთ გადმოფარებულს, მოტოციკლეტით დავიწყეთ ტკბობა. ჩვენს მშვენიერ, ვრცელ სამოთახიან კოტეჯში ოთხნი ვცხოვრობდით - მე, გური, ჯიმშერი და ნუგზარი. ადრე, სანამ გერმანელების დეპორტაცია დაიწყებოდა, ამ სახლში გერმანელის ოჯახი ცხოვრობდა. როგორც მათ ჩვევიათ, ეზოც კარგი მოვლილი ჰქონდათ და საჩრდილობელიც - „ბესედკა“. იქ ვიკრიბებოდით ბიჭები სალაზღანდარაოდ. გადაწყდა - ამიერიდან მოტოციკლეტის ადგილსამყოფელიც იქ იქნებოდა.

ჩავატარე პირველი გაკვეთილი, ყურადღებით მისმენდნენ. ყველას ძალიან უნდოდა გაგრიალება. გური გვითვალთვალებს მხოლოდ ფანჯრიდან ამრეზილი. დავიწყეთ მოტოციკლეტის ათვისება. პირველად ნუგზარმა გაინავარდა, ყალყზე აყენებს, აქეთ-იქით აქანავებს, აძაგძაგებს მანქანას. ნუგზარს იტალიური ლაბადა გარღვევია ქარისგან, მოძრაობის დროს სულ მტლაშამტლუში გაუდიოდა. ჯიმშერმა თქვა პეპელასავით დაფარფატებსო. როგორც იქნა, მშვიდობით დაეშვა. მერე სხვებმაც სცადეს, ყველამ გაიგრიალა, ყველა აღფრთოვანებულია. გასაწურრები გავხდით, მოტოციკლეტს კი არ ვეშვებით. ბენზინი გაგვითავდა, მეზობელმა მანქანიდან გადმოგვისხა. მეც ძალიან კმაყოფილი ვარ, ვხარობ მათი სიხარულით. ასე გაგრძელდებოდა, ალბათ, უსასრულოდ, ჯიმშერს რომ არ მოსვლოდა მარცხი: ბოგირზე მანქანა ვერ შეაკავა და წუმპეში გაადინა ზღართანი, მთლად ამოილუმპა, ძლივს ამოვაძრეთ მოტოციკლეტი ლაფიდან. შევეშვით ტკაცატკუცს, მოტოციკლეტი გადმოფარებულში შევაგორეთ და სახლში შევედით. ეს იყო მოტოციკლეტთან დაკავშირებული პირველი მარცხი, მაგრამ თურმე ჯერ სადა ხარ! ყველაფერი დაგვისველდა, მთელი კვირა დღე ვშრებოდით. მხოლოდ გური იყო მშრალი და ახლა ის უტრიალებდა მოტოციკლეტს. მორიდებულად დამიწყო გამოკითხვა და ბოლოს მითხრა - მაჩვენე ერთი, მოვსინჯავ რაფერიაო.

მეორე დღეს გამოიდარა. მთელი ობიექტის ახალგაზრდობა ჩვენთან შეგროვდა. ჩვენი ეზო-სახლი ისედაც იყო ბიჭების თავშესაფარი, ახლა კი მოტოციკლეტის გამოჩენამ მთლად გადარია ხალხი, უკლებლივ ყველა მოვიდა. ატყდა ჭირითი. გურამმა და ვაჟამ მთხოვეს ორი წუთით გულრიფშში გავვარდებითო. უარს როგორ ვეტყოდი. დაღამებული არ იყო, გულრიფშელმა კაცმა რომ ამბავი მოგვიტანა - თქვენი ბიჭები ობიექტის საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ ნუ გეშინიათ მოტოციკლეტი სანდო ოჯახშია, ჩემი მეზობლები არიანო.

გავვარდით საავადმყოფოში. ვაჟა უბედურადაა დაჟეჟილი და დაკბენილი. გურამს კოჭი აქვს მოტეხილი. ძაღლი დადევნებიათ, ვაჟას ფეხით მოუგერიება

ეროვნული ბიბლიოთეკა

და წიხლი ჩაუზელია. როგორ თუ ჩამარტყიო და დაუთრევია ძაღლს ჩვენი ვაჟა, ორი სამწვადე ამოუგლეჯია კანჭიდან. ამასობაში გურამსაც წონასწორობა დაუკარგავს, მოტოციკლეტი ვეღარ დაუმორჩილებია, გადმოვარდნილა. გაქანებული მოტოციკლეტი უკაცოდ შევარდნილა ვიღაცის ეზოში და ხეს დასჯახებია. გადავრჩით - მსხვერპლი არ არის!

- ის ძაღლი მოძებნეთ, თორემ ცოფის საწინააღმდეგო ორმოცი ნემსი არ აცდება თქვენს მეგობარსო - გვითხრა ექიმმა.

ძაღლის ზეპირი პორტრეტი ვიცით და დილაადრიან შევუდექით მის ძებნას ბიჭები. მეორე დღესაც ვეძებეთ, ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ, ვერ დავადგინეთ. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გვითხრეს მაგნაირი ძაღლი ამ უბანში არავის ჰყავსო. ურტყეს და ურტყეს საწყალ ვაჟას ნემსები, გურამიც გაკოჭეს თაბაშირით გვარიანად და კარგა ხანს აყურყუეტეს საავადმყოფოში. მოტოციკლეტი კი საბარგო მანქანით მოვიტანეთ სახლში და პირდაპირ სამზარეულოში შევაგორეთ იმ მიზნით რომ ღამეც შეგვძლებოდა ჩხიკინი.

13 თარსია, მაგრამ რა ვქნა, 13-ში შევაკეთე მოტოციკლეტი და გავაბრძანე გარეთ. კოლია მოკრძალებული ბიჭია. ყველაზე ცოტა, მე მგონი, იმან იგრიალა და, ახლა რომ მთხოვა, უსიტყვოდ დავუთმე. დაქოქა, გააქანა, ლაფს გვერდი აუარა და ჩვენი სახლის წინ ვარდის ბარდებს ეძგერა. აქედან შევიდა, იქიდან გამოვიდა და მაინც არ გაუშვა საჭეს ხელი. გამოვიდა, მაგრამ რა გამოვიდა - მთლად დაკაწრული, ტანსაცმელშემოფლეთილი, დასისხლიანებული. „სტოლბნიაკ ვ პერვუიუ ოჩერედ“ - საავადმყოფოში გვითხრეს და ახლა ჩვენს ნიკოლოზს ურტყეს ნემსები. საღამოს ქავილი აუტყდა და დასივდა, რუმბივით გახდა. მთელი ობიექტის ბიჭები ერთი კვირა მორიგეობით ვფხანდით. მოტოციკლეტიც გვარიანად დაიკაწრა, მაგრამ მაგას ვინღა ჩიოდა.

ცოტა ხნით შევასვენეთ, თან შევაკეთეთ მოტოციკლეტი. ამასობაში ნათლიღებაც დადგა და თოვაც დაიწყო. რა ლამაზია თოვლი ზღვისპირეთში. ტყის ქათამიც ჩამორეკა მთებიდან თოვლმა. ჩვენი ობიექტის მახლობლად ევკალიპტების დიდი კორომი იყო, გაივსო ტყის ქათმით. გადავწყვიტე სანადიროდ წასვლა. ერთ გულრიფშელ ბიჭს ძალიან კარგი მონადირე ძაღლი ჰყავდა, ჩვენთან რომ მოდიოდა, ისიც მოჰყავდა ხოლმე. იმ ბიჭსაც ვუყვარდი და ძაღლსაც. ვთხოვე ძაღლი. ღამე ჩემთან ერთად გაათია. სახელდახელოდ შევკარი ხის ყუთი, დავამაგრე მოტოციკლეტზე, უთენია ჩავსვი შიგ ძაღლი, დავახურე ხუფი, გადავიკიდე ჩემი ორლულიანი თოფი და დავადექი გზას.

მთავარი გზიდან მარჯვნივ ბილიკით ზღვისკენ ჩავუხვიე. პატარა ღელე მაქვს გასავლელი. იქითა ნაპირი ციცაბოა, თან თოვლიანი და ჯაგებით დაფარული. იმის შიშით, წყალში არ ჩამიქრეს და ციცაბოზე არ მოვცურდე-მეთქი, გავაქანე მოტოციკლეტი, წყალში გავტოპე, ციცაბო ავიარე და უცებ რაღაცამ გამაჩერა, მკერდზე გამჭრეს თითქოს, მხრები ამომივარდა, კისერი კინაღამ მომწყდა. მოტოციკლეტი ლაჯებიდან გამისხლტა და ჯაგებში შევარდა. ჩემდა უნებურად ძაღლი ყუთიანად მოვგლიჯე უკანა საჯდომს, ყუთი დაგორდა და ყინულივით ცივ წყალში ჩავარდა. მე კი ვერ ვინძრევი, სუნთქვა მაქვს შეკრული, დალეწილი ვარ. ორად ვარ გაჭრილი თითქოს. როგორც მივხვდი, თოფს გარდიგარდმო მდგომარეობა მიუღია, ბარდებს გამოდებია აქეთ ლულა, იქით კონდახი, ღვედიც მაგარი ყოფილა, არ გაწყდა, არც კონდახში გაიხსნა. ძლივს, როგორც იქნა, ამოვისუნთქე. ძაღლის საცოდავი წკმუტუნი გავიგონე, მდინარისკენ ჩავხოხდი და ყუთს თავი ავაგლიჯე. ძაღლი ამოხტა. საცოდავი მთლად სველი იყო. ტანი გაიბერტყა, უცნაურად შემომხედა და წკმუტუნით გაიქცა. იმის მერე ჩემს დანახვაზე კრუსუნით გარბოდა, სათოფეზე აღარ მეკარებოდა.

ამასობაში მოტოციკლეტიც გაჩუმდა. მივწექი თოვლზე. კარგა ხანს ვიყავი ასე. მოვსულიერდი. შემდეგ ბარდებში შევძვერი და მოტოციკლეტის გამოთრევა ვცადე, ძვრა ვერ ვუყავი. კიდევ კარგი, დიდი მონადირის დანა მქონდა, იმით ძლივს ავჩეხე ჯაგები. საღამოს დავბრუნდი „ნანადირევი“. ძლიერი ტკივილები მქონდა მკერდის და მუცლის არეში. ვეღარ გავუძელი და საავადმყოფოს მივაკითხე.

რა ამბავია? ომი გაქვთო - ექიმმა მკითხა. ნეკნები გაქვს დამტვრეულიო და ისე გამკოჭა, რომ თვეზე მეტი ვერ ვინძრეოდი, სულს ძლივს ვითქვამდი. აი, სწორედ მაშინ შევარქვით ჩვენს მოტოციკლეტს „გილიოტინა“.

მე კი ვიყავი შეუძლოდ, მაგრამ „გილიოტინა“ ერთი წუთით არ მოცდენილა, განაგრძობდა თავის საქმეს. მისი ხმის გაგონებაზე ობიექტის ხეივნებში მოთამაშე ბავშვებს დედები სახლებში მიერეკებოდნენ, ქალები გაზონებში იმალებოდნენ. მართალია, ჩვენებიც ერიდებოდნენ ხალხმრავალ ადგილებს, მაგრამ ყოველთვის ვერ ახერხებდნენ.

ერთ მშვენიერ კვირა დღეს ბიჭებმა ფეხბურთის თამაში გადაწყვიტეს. ნუგზარი „გილიოტინას“ დაატარებდა. მოდის ხეივანში ნოდარი თავისთვის, მოაქვს სპორტული ფორმა, ფეხბურთის თამაშს აპირებს. გაუჩერა ნუგზარმა „გილიოტინა“ - მომიჯექი, მიგიყვანო. არა, ფეხით გამოვისეირნებ, უარი უთქვამს ნოდარს. ფრთხილია, ჭკვიანი, თადარიგიანი და იმიტომ. არა, გინდა თუ არა, მომიჯექი, ხომ არ გეშინიაო - დაუჩემებია ნუგზარს. მიჯდომია საწყალი. თავმოყვარეობაც ხომ აქვს სიფრთხილესთან ერთად. ფრთხილია, მშიშარა ხომ არა. მოგრიალდა ნუგზარი სტადიონზე და განცვიფრებული ბიჭებს ეკითხება: ნოდარი მომყავდა, ხომ არ გინახავთო.

რომ აღარ გამოჩნდა, დავუწყეთ ძებნა. ვიღაცა მადლიანს საავადმყოფოში მიეყვანა - მუხლები ჰქონდა დაჩეჩქვილი. ისიც კარგა ხანს იწვა საავადმყოფოში. მერე და მერე ნაკლიც დაუტოვა, მოგვიანებით მენისკის ოპერაცია დასჭირდა.

ყველაფერი კი მაშინ დამთავრდა, როცა ერთ მშვენიერ საღამოს ნუგზარმა „გილიოტინით“ ობიექტის შლაგბაუმი გაანგრია. პირველებმა მე და იორამმა მივირბინეთ. უფრო საზარელი არაფერი მენახა. მთლად სისხლში ამოსვრილი ნუგზარი უგონოდ ეგდო. საავადმყოფოში მოვათავსეთ. მძიმე ტვინის შერყევა ჰქონდა კონტუზიის ნიშნებით და მრავალი ტრავმა. ექვსი თვე იავადმყოფა. აი, მაშინ გადავწყვიტე ჩვენი „გილიოტინის“ თავიდან მოცილება. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მეორე დღეს ჩვენი ობიექტის უფროსი, ბატონი ირაკლი გვერდწითელი, იმხანად სრულიად ახალგაზრდა კაცი, გვეწვია საავადმყოფოში, მოინახულა „გილიოტინის“ ყველა მსხვერპლი და მერე მთხოვა: დროებით მაინც გადამალეთ მოტოციკლეტიო, ძალიან ბევრი საჩივარია, ხალხი შეწუხდა, საავადმყოფოშიც აღარაა ადგილი და, თუ ასე გაგრძელდა, ინსტიტუტი დაიცლებაო.

ჩავკეტეთ გილიოტინა. შემდეგ ბადეში და უცხოურ სპინინგზე გავცვალე. ისე გავასხვისეთ, რომ მუდმივი საშვი არ ღირსებია. ესენიც საზიარო იყო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩემს გარდა არავინ ხმარობდა, თევზაობის მოყვარული მარტო მე ვიყავი. ვალები კი, დამავიწყდა მეთქვა, მოტოციკლეტის ყიდვისთანავე ჩამომაწერეს ბიჭებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ემზარ კვიტაიშვილი

## დღიურები

### ბავშვობის ფოტოსურათები

**14.02.2003.** შორეული ბავშვობიდან დაწყებულ, შეუმჩნევლად, სრიალით გავლილ წლებს როცა ვიხსენებ, ხანდახან შევკრთები - რამდენ რამეს გადავურჩი, თუმცა ამ მხრივ გამონაკლისი სულაც არა ვარ, სხვები უარეს დღეში ჩავარდნილან და ბოლოც ბევრად სავალალო ჰქონიათ. ამდენად, კაცი, თუკი ნაირნაირ ხიფათებს დაუძვრა, სამშვიდობოს დაიგულა თავი, წუწუნს უნდა შეეშვას, აღარ დაიჩივლოს, ღმერთს მადლობა უთხრას.

რვა თუ ცხრა თვისას, ანუ კბილების ამოჭრამდე, ენის ამოდგმამდე და ფეხის ადგმამდე, მძიმე ფორმის ყბაყურა დამმართნია; მარცხენა მხარე საშინლად ჩამომსიებია და გაუსაძლისი ტკივილისგან გამწარებული, ხმაწართმეული, დღე და ღამე ვხაოდი თურმე, ძილი არ მეკარებოდა. მშობლები (ექიმები) მიხვდნენ, უოპერაციოდ არაფერი რომ არ მეშველებოდა და ცნობილ დასტაქართან, კონსტანტინე ერისთავთან მიმიყვანეს. ოპერაციას კარგად ჩაუვლია, უამრავი ჩირქი გამოდენილა და მაშინვე დავწყნარებულვარ. დედაჩემმა მითხრა, იმდენად იყავი გატანჯული, ორი დღე და ღამე გადაბმულად გეძინაო. ნაჭრილობევი თავდაპირველად ყელზე დამმჩნევია, მერე, ზრდის კვალობაზე, ზემოთ-ზემოთ აცოცებულა და, საბოლოოდ, ყბის ქვემოთ გაჩერდა ავად მოსაგონარი ყბაყურას წარუხოცელი ნაკვალევი.

შემდეგი ხიფათი გაცილებით საშიში ყოფილა. წლინახევრისა მამაჩემს თავის საავადმყოფოში წავუყვანივარ ათარბეგოვის (ახლანდელი ძმები ზუბალაშვილების) ქუჩაზე. ეტყობა, ცოტა ხნით ოთახში მარტო დამტოვა - ალბათ, დაუძახეს. სკამიდან ფანჯრის რაფაზე ავცოცებულვარ (რა მინდოდა?!), ფარდას წავპოტინებულვარ (ეტყობა, სამოძრაო არე არ მეყო), წონასწორობა დამიკარგავს, უკან გადმოვვარდნილვარ, კეფა (ისევ მარცხენა მხარე) საწერი მაგიდის მახვილ ძგიდეზე ჩამომირტყამს და იატაკზე დავცემულვარ. ჩემ კივილს შეუძრავს იქაურობა. რაღა აღწერა უნდა, რა დღეში ჩავარდებოდა მამაჩემი, გადაფიჩინებულს და სისხლში მოთხვრილს რომ დამინახავდა. რახან ეს მარცხი საავადმყოფოში შემემთხვა, შორს წაყვანა აღარ დამჭირდებოდა, წამსვე ქირურგიულ კაბინეტში გამაქანეს. როგორც ასეთ დროს ხდება, ანტიტეტანური შრატი გამიკეთეს, ჭრილობა დამიმუშავეს და გამიკერეს. კეფაზე, მარცხნივ, ქვემოთ, ახლაც მეტყობა პატარა ჯვარი, ჩემი მაშინდელი ონავრობის ნიშანი (საპარიკმახეროს უკანა სარკეში თავად შომიკრავს თვალი, როცა თმას მკრეჭდნენ). ალბათ, ღმერთს არ ვყავდი გაწირული, თორემ ბევრად უარესი შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა იმ დავარდნას. წარმოდგენილი მაქვს, რა გულგახეთქილი იქნებოდა მაშინ დედაჩემი, რომელიც, უკვე მოზრდილს, ყოველივეს მომიყვა.

ის საავადმყოფო ჩვენი ოჯახისთვის მაინც უიღბლო, დაწყევლილი გამოდგა. მანამდე ერთი შემთხვევაა აღსანიშნი. **1937** წელს მამაჩემი თურმე მძიმე ავადმყოფ ბავშვს მკურნალობდა ახლადდაპატიმრებული და, ალბათ, იმ ხანებშივე დახვრეტილი კაცის ერთადერთ შვილს (ის ბავშვი დღეს სახელგანთქმული კიბერნეტიკოსი ნოდარ ნანობაშვილია). მამაჩემი, როგორც სჩვეოდა, ყოველდღე აკითხავდა უმწეო პაციენტს, გვიან ღამემდე რჩებოდა, ვიდრე შედარებით საიმედო მდგომარეობაში არ დატოვებდა. ერთხელაც სადარბაზოსთან მოთვალთვალე ჩეკისტებს შეუჩერებიათ, მავნებლის ოჯახში ძალიან ხშირად დადიხართო. მამაჩემს უპასუხნია - არავითარი მავნებელი არ ვიცი, პატარა ბავშვი ავადაა და შველა ჭირდებაო. იმათ უკან დაუხევიათ. ეს ამბავი თავად დედამისს მოუყოლია ბატონ ნოდარისთვის და თან ჩაუგონებია - გახსოვდეს, სიცოცხლე ექიმმა დავით კვიტაიშვილმა გაჩუქაო. ასეთი შემთხვევა ცხოვრებაში მამაჩემს უამრავი ჰქონდა. მაშინ ვერაფერი უყვეს, ხუთი წლის მერე კი, **1942** წლის **25** ნოემბერს, საავადმყოფოში ნამორიგევს და ღამენათევარს, იქვე, შენობასთან დახვდნენ ჩეკისტები და დაპატიმრების ორდერი წარუდგინეს. მაშინ უკვე მას ჰქონდა წაყენებული მავნებლისა და მოღალატის მუხლი, რომელსაც კინაღამ გადააყოლეს. განგების წყალობით, **1956** წელს ცოცხალი დაგვიბრუნდა უკიდურეს ჩრდილოეთში (ქალაქი ვორკუტა) გადასახლებული.

აქ აღარ მინდა, ვილაპარაკო მეტისმეტად სახიფათო შემთხვევაზე, როცა სოფელში მყოფს, ცხრა თუ ათი წლისას, ნათამაშევს, დაბანილს, მამიდაჩემი მამშრალებდა და უეცრად პირსახოცზე შერჩენილი ნემსი მარცხენა ფეხში, მუხლს ქვემოთ, გვერდიდან შემატეხა. მამიდაჩემმა, ამის შემხედვარემ, სიცოცხლე კინაღამ გაათავა, მაგრამ მერე ეს ამბავი ორივეს გადაგვავიწყდა. იგი ერთგან ადრე მაქვს აღწერილი და ახლა აღარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიმეორებ. მთავარია, საბედისწეროდ რომ არ დამთავრდა ის ფათერაკი (ერთი წლის მერე ჩატეხილმა ნემსმა, გაშავებულმა, სისხლისგან დაჟანგულმა, ცოტათი ზემოთ ამოყო თავი და ფრჩხილით გამოვიძრე, კარგა ხანს ვინახავდით).

ყველაზე ცოცხლად და უტყუარად ჩვენი პატარაობა ფოტოებზეა შემონახული. ნაწილი ჩემი ბავშვობისდროინდელი სურათებისა გაიბნა და დაიკარგა, ნაწილი შემომრჩა. ამას წინათ იმათგან ხუთიოდე გადავარჩიე და დავაკვირდი. ერთზე დედაჩემს და მამაჩემს ვყავარ ხელში ზიარად დაჭერილი. შავი, გრძელი პალტოები აცვიათ; დედას შავი ბეწვი აქვს შემოდებული, ბერეტი ახურავს, მამას - კეპი. ქვის კედელზე სუროა გაბარდღნილი. ეს ის აღმართიანი, მიხვეულ-მოხვეული ეზო უნდა იყოს ვერაზე, ჯავახიშვილის ჩიხს რომ ებჯინება. მე თეთრებში ვარ გამოხვეული, თავშიშველი (ალბათ, დროებით მომხადეს ნაქსოვი ქუდი, სანამ სურათს გადამიღებდნენ), გაკვირვებული ვიჭყიტები, ხუთიოდე თვისა თუ ვიქნები, ჭყინტი. ადრეული გაზაფხული უნდა იდგეს **1936** წლისა...

მეორე სურათი კვლავ იმავე ეზოშია გადაღებული შეგულებულ, ჩემი მშობლების ნაცნობ ფოტოგრაფთან. ისევ პალტოჩაცმულ და კეპიან მამაჩემს ვყავარ ატატებული. წელიწადზე ცოტა მეტისა ვიქნები. თბილი, თეთრი, ყურებიანი ქუდი მხურავს, ყელზე მოხვეული ნაჭერიც ჩანს, პატარა, მოკლე პალტო და თბილი, ნაქსოვი ნაცრისფერი შარვალი მაცვია. კარგად გამოვიყურები. ოდნავ გაბუსხული მაქვს ტუჩები. სადმე რომ დავკრავდე თვალს ისეთ ბარტყს, მეც სიხარულით ავიტაცებდი ხელში და შევათამაშებდი. გული მწყდება, თუმცა მრავალმა წელმა კი ჩაიარა, მაგრამ ასე საწუხად რამ შემცვალა და წამახდინა, გურულ კილოზე რომ ვთქვა - დამაჩაირა. ჯობს, ამაო ვიშვიშს თავი ვანებო; კარგად ვიცი, დიდი დრო არ გავა და ახლანდელი შესახედაობაც სანატრელი გამიხდება.

რაღაცით მიმზიდველია ერთი კაბინეტური სურათი. იგი ზემელზე, ცნობილ ფოტოატელიეში უნდა იყოს გადაღებული. ვზივარ დაბალ სკამზე (პუფზე), რომელზეც ცხვრისბეწვიანი ტყავია გადაფარებული. შალის გრძელსახელოებიანი ყავისფერი ხალათი და მუხლს ქვემოთ შემოჭერილი, ღილებზე შეკრული ასეთივე შარვალი მაცვია. ტყავის ლამაზ ფეხსაცმელებსა და თეთრ, თხელ წინდებს ზემოთ წვივები მიჩანს, ფეხი ფეხზე მშვიდად მაქვს გადადებული. გამომეტყველებაც მშვიდია. ხელისგულები ფაფუკ ბეწვზეა დაბჯენილი. დიდი აზრიანობა არ მეტყობა სახეზე. ჩემი შეტყობით, ორი წლისას ვგავარ. რას ვიფიქრებდი მაშინ, რომ სამოცს გადაცილებულს, ღამით, საფეხურზე მარჯვენა ფეხი ამიცდებოდა, ამომიტრიალდებოდა და მუხლს ზემოთ თხუთმეტივე მყესი ერთად, მყის გამიწყდებოდა. კვირისტავი გასხლტა, ცალკე დარჩა, მოფამფალებული და წამომართვა, ფეხზე დადგომა ზღაპარი იყო. მთელი ღამე მოჩვარულ, დაფუშულ მუხლზე ყინული მედო. ორი დღის მერე ნარკოზით გაბრუებულს (ჩემდა გასაკვირად, გულმა გაუძლო) გამიკეთეს საკმაოდ რთული ოპერაცია (კეთილი, ღვთისნიერი ადამიანების წყალობა იყო, რომ სამუდამო ხეიბრობა ამცდა; მათ გვარ-სახელებს აქ აღარ ჩამოვთვლი, ისედაც იციან, როგორ ვემადლიერები). დაწვრილებით ჩემი მარცხის ამბავი ცალკე მაქვს აღწერილი. ამაზე აქ აღარ მოგაცდენთ და ძირითად სათქმელს მივუბრუნდები.

რაოდენობრივად ყველაზე მეტი ადრეული ბავშვობის ფოტოები ბახმაროდან შემომრჩა; ზაფხულობით, კოჯრის მერე,იქ დავყავდი დედ-მამას. ერთი განსაკუთრებულად მიზიდავს და მაფორიაქებს. მარწყვის თუ სხვა ხილის პატარა ორნამენტით ალაგ-ალაგ ამოქარგული ჯემპერი მაცვია. კისრის გარშემო თეთრი, მოფლაშული საყელოა ამოჩენილი. პატარა, ახალგადახოტრილ, საზამთროსავით მომრგვალებულ თავზე ხავერდის შავი ქუდი მახურავს, შავად გამომზირალ თითებში რაღაც ჩხირისმაგვარი მიჭირავს. შავი, მოკლე შარვლის ქვემოთ შავად მიბზინავს ცალი, მარჯვენა მუხლი. ფოტოგრაფმა, ჩანს, ზედმეტად რომ არ მემოძრავა, ფესვების ღრმულში მოხერხებულად ჩამსვა და ზურგით ვეება ფიჭვზე ვარ მიყრდნობილი. მეორე, იქვე ამოზრდილი და თითქმის ასეთივე ზომის ფიჭვი გვერდზეა გადაზნექილი. ხეებს ხაოიანი ქერქი დახეთქილდა-



ბზარული, ატკეჩილი აქვთ, პრეისტორიული ხვლიკისა თუ გიგანტური ნიანგის (კაიმანის) ზურგს მიუგავთ დაშაშრული ტანი. ამგვარი პირქუში ჩრდილების დამფენი ხეების ხატვა უყვარდა გუსტავ დორეს (გავიხსენოთ „დონ კიხოტის“ ზოგიერთი ილუსტრაცია). ეტყობა, იმ დროიდან ჩამინერგა ტყემ იდუმალების ენით გამოუთქმელი, შიშნარევი განცდა და ახლაც, ღამეში, მანქანის ფარები რომ მიანათებს გზისპირა ტყის კიდეებს, იქიდან ცახცახით გამოვარდნილი, მოშიშვლებული, დაკლაკნილი ძირებიდან ასხლეტილი ლანდები უცნაურ, ერთმანეთზე გადაგრეხილ არსებებად მეჩვენება და, შემკრთალს, ჩემივე გულის აჩქარებული ბაგუნი მესმის.

ბახმაროში, იმ ფიჭვის ხესთან მიჭუჭკულს, გაფანტული და მოწყენილი, თანდაყოლილად მიამიტური სახე მაქვს, თითქოს ვიღაცას თუ რაღაცას ვემდური. მართალი კი გამოვდექი. ხშირად ბრაზი შემომენთება - მიახლოებით მაინც რო მცოდნოდა, ცხოვრება რა საშინელებებს მიმზადებდა, ალბათ, ირგვლივ მყოფთ დავკბენდი, ყველას მოვიცილებდი და სადმე, ეკალ-ბარდებში გადავიკარგებოდი.

**1938** წლის აგვისტოშია გადაღებული ის სურათი (მამაჩემის ხელით აწერია). სამ წელიწადს სამი თვე მიკლია. ერთ თავისუფალ ლექსში („მე ვარ პეპელა...“) სწორედ ამ ფოტოს აღვწერ, ცოტა განსხვავებულად, რადგან იქ სულ სხვა ჩანაფიქრი მქონდა - დაღუპულ შვილთან ჩემთვის მეტად სამწუხარო პარალელს ვავლებ. თანაც ლექსში ერთი შეცდომა გამეპარა - ბიჭის,

ანუ ჩემ ასაკად სამის ნაცვლად ხუთი წელია დასახელებული. შეუმოწმებლად არავის, შენ თავსაც, არ უნდა ენდო - ზეპირი განსჯა მაცდუნებელია, შეგარცხვენს.

საბოლოოდ ერთ ჯგუფურ სურათს მიმოვიხილავ. სუროთი შესუდრულ აგურის კედელთან ვართ გადაღებული 1939 წლის 29 მაისს. წინდახედულ, თავის დროზე სახელმოხვეჭილ ფოტოგრაფს (გრანტიკას) თარიღი და გადაღების ადგილი (თბილისი) აკურატულად ჩაუსვამს და თავისი სახელიც, რამდენადაც შეეძლო, უკვდავუყუვია. თხუთმეტი ბავშვი ორ მწკრივად არის განლაგებული. შუაში ფართოსახიანი, გადაშლილ საყმაწვილო წიგნზე თავდახრილი მშვენიერი მასწავლებელი, დიდებული ქალბატონი ნინო ახმეტელი ზის (დედაჩემისგან გამიგია, ძალიან ვუყვარებივარ და მეფერებოდა თურმე). მე, შიშველ მუხლებზე ხელებდაბჯენილი, მასწავლებელს გვერდით მოვუჯენივარ და ნახატებიანი წიგნის სტრიქონებისკენ თვალს ვაპარებ, თუმცა წერაკითხვისა არაფერი გამეგება. აქ სრული ოთხი წლისაც არა ვარ. მშობლებმა, რადგან ჩემი შინ დატოვება მთლად უსაფრთხო არ იყო, ნაადრევად მიმაბარეს მახლობელ ბაგა-ბაღში.

სურათზე, მეორე რიგში, ბოლოს, ერთი მოწყენილი, თავთეთრა ბიჭია აღბეჭდილი, გერსიკო ერქვა. ვიცოდი, ჩვენი ლანჩხუთელი ახლობლის ნათესავი იყო და ხშირად ახსენებდნენ. მის წინ წარბწამწამიანად თეთრი (ფუშფუშა თმის სითეთრეზე აღარას ვამბობ), თეთრკაბადაწინწკლული გოგონა, ალბათ, ალბინოსი, პეპელასავით არის ძელსკამზე დასკუპებული. ჩემი არ იყოს, ვერც ის აწვდენს მიწამდე ფეხს.

მოხდა საკვირველი რამ, საამბობლად რომ ღირს - ამ ათი წლის წინ, თითქმის სამოცს მიტანებული, ერთ ოჯახში, საქვეყნოდ ცნობილი სახალხო მომღერლის, დედას ლევანას (ასაბაშვილის) პირდაპირ შთამომავლებთან ვიყავი დაპატიჟებული. სუფრის თამადად წოთური, თეთრთმიანი კაცი (სახელიც ითქვა მისი, გერასიმე) დაასახელეს. მე მაშინვე მეცნო საბავშვობაღელი გერსიკო და მას ეს ამბავი გავახსენე. გაკვირვებულმა შემომხედა და დამეთანხმა, ბავშვობაში მართლაც გერსიკოს მეძახდნენ და საბავშვო ბაღში ზემელზე ვიყავი მიბარებულიო. მისამართი და ტელეფონი არ გამომირთმევია. გვარიც გადამავიწყდა. თუ მოვინდომე, შემიძლია დავადგინო. მხედველობითი (ვიზუალური) მეხსიერება ძალზე ძლიერი მაქვს. საერთოდაც, ხატი გაცილებით მდგრადია და ბევრად უფრო ხანგრძლივად რჩება გონებაში, ვიდრე ასო-ნიშნებზე დამყარებული სიტყვა.

იმ სურათზე ერთი ლამაზი, მოწყენილი, თავდახრილი გოგონაც მოჩანს. მასაც შერჩა პატარაობის სახე და ახალგაზრდობაშიც ხშირად ვხვდებოდი. ეს იყო უსაზღვროდ კეთილი და სანდომიანი ოლია მიქელაძე. ჩემი ახლო ნათესავის, ლექსო ფრუიძის გვერდით ცხოვრობდა იაკობ ნიკოლაძის ქუჩაზე, მეორე სართულზე. დედა რუსის ქალი ჰყავდა. ქმარ-შვილის პატრონი, კარგა ხანია გულის დაავადებამ იმსხვერპლა. დარჩა მასავით კეთილი და მოსიყვარულე უმცროსი და სვეტა (ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს). იგი უფრო ჰგავს რუსს. უფროსი დის მსგავსად, გულგახსნილი და ყურადღებიანია. ვგონებ, დღემდე ლიტერატურის მუზეუმის შენობაში მუშაობს, სურათების გამოფენას მეურვეობს.

ხსენებული ფოტოს ბიჭებიდან, გამორჩეული ელფერისა და გამომეტყველების გამო, ორს თუ სამს სახეზე წლების მანძილზე ვცნობდი, ქუჩაში როცა მხვდებოდნენ, მაგრამ არ გამოვცნაურებივარ. ახლა უკვე საეჭვოა, შევძლო მათი ცნობა. ნეტავ, ცოცხლები იყვნენ.

ერთი უეჭველია, ჩემი ბუნების გადამკიდე, აშკარად ვიტანჯები, არც ავი და არც კარგი, არაფერი მავიწყდება; ღმერთმა გაუნელებელი, გამჭოლი მეხსიერებით დამსაჯა და მინდა, როგორმე გავთავისუფლდე იმისგან, რაც ოდესმე თავს გადამხდენია ან მინახავს არაფრით არ შემიძლია, ზოგიერთივით, გაბმულად, დალაგებულად მოვყვე ყოველივეს. ამიტომაც ნაკუწ-ნაკუწ, ნაფლეთ-ნაფლეთად ვიშორებ სათხრობს და იმაზეც ნაკლებად ვწუხვარ, ვინმე მოცლილად ან უდღეურ მედღიურედ თუ ჩამთვლის. რა გაეწყობა, ყველა იმას უნდა დასჯერდეს, რისი უნარიც დაანათლა გამჩენმა. მცირედ წყალობაზედაც მადლობაა სათქმელი.

## უცნაურობანი

**31. 12. 1999.** დედაჩემს ბავშვობისას ხშირად ჩავყავდი ხოლმე თავის მშობლიურ ქალაქ ფოთში, სადაც გულითად მასპინძლობას მისი უმცროსი ძმა, ქალაქის მთავარი ინჟინერი გრიგოლ იმნაძე გვიწევდა. მომდევნო ბიძა, ასევე დიდად კეთილი ადამიანი, ელექტროინჟინერი ვანო იმნაძე მუდამ სხვადასხვა ადგილებში (საქართველოს ფარგლებს გარეთაც) იმყოფებოდა ხაზების გასაყვანად და თვეში ერთხელ თუ ჩამოაკითხავდა ფოთში დატოვებულ ცოლ-შვილს. მოგვიანებით, იგი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. ბიძებში ყველაზე უმცროსი, კაკო, ყოფილი ფეხბურთელი, ბორის პაიჭაძის მეგობარი, მამაჩემთან ერთად დაპატიმრებული, ნოვოსიბირსკში იყო გადასახლებული; იქიდან დაბრუნებულს გერმანელი ცოლი და შვილები ჩამოჰყვა (სამივე ბიძას ოთხ-ოთხი შვილი დარჩა).

სანამ უშუალოდ გადავიდოდე ბავშვობისდროინდელ ცდუნებებსა და ჩემს პატარა „აღსარებაზე“, მინდა, ზოგი რამ ვთქვა ჩემი წინაპრების (დედის მხრიდან) ოჯახზე. ბევრი ლამაზი ნივთი და სურათი მახსოვს ფოთში, ჩემი ბიძების სახლში, სადაც მთავარი დიასახლისი მაინც ბებიაჩემი, მთელს უბანში სიკეთითა და ჭკუა-გონებით ცნობილი ლიზა მასხულია იყო. ის არასდროს არ გვაგრძნობინებდა ძვირფასი მეუღლის დაკარგვით გამოწვეულ დიდ პირად უბედურებას და შვილიშვილებს თავს გვევლებოდა, ყველაფრის უფლებას გვაძლევდა, გარდა უზრდელობის, უსაქციელობისა. თვალი დავადგი და განსაკუთრებულად მომწონდა ერთი დიდი, დეკორატიული ლანგარი, რომელზედაცნაირფერი, სანთლისგან ჩამოსხმული ხილი (მსხალი, ატამი, ყურძენი...) ეწყო, უფრო სწორად, ემაგრა. ბიძაშვილებიც ავიყოლიე და იმ თავისებურ ნატურმორტს იმდენი ვუტრიალეთ, სანამ არ გავფცქვენით, დავამახინჯეთ, გავაუბედურეთ და გადასაგდები არ გახდა. ძველებურ ბუფეტში, სხვა ჭურჭელთან ერთად, მწკრივად იდგა დავით სარაჯიშვილის გამოშვებული კონიაკის ბოთლები, ეტიკეტზე კავკასიური ჯიხვი ეხატა (იმ ბოთლებს, ბებიაჩემს ბედნიერ ხანას რომ აგონებდა, ვილა შეინახავდა).

დასავლეთის მხარეს, კედელზე, ფანჯრის სიახლოვეს, ეკიდა რევოლუციამდელი ჯგუფური ფოტოსურათი, სადაც ფოთის რჩეულ საზოგადოებასთან ერთად ბაბუაჩემი აპოლონ იმნაძეც იყო (იგი 1937 წელს დააპატიმრეს და მოსპეს; ლელო-ბურთის თამაშის დროს გურულების მხარე ეჭირაო, ეს წაუყენეს ბრალდებად). ახლობლებისგან ვიცოდი, რომ ხსენებულ სურათზე გადაღებულ ჯგუფში ერია ეგნატე ნინოშვილის პერსონაჟის - მოსე მწერლის პროტოტიპი, ლანჩხუთელი კაცი მოსე ცინცაძე. სურათის უკანა მხარეს ეს მოსე ცინცაძე, როგორც ამბობდნენ, არც იმდენად გაქნილი და გაიძვერა პიროვნება, ბებიაჩემს მიმართავდა (ჩემი თვალით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაქვს წაკითხული) - ქ-ნო ლიზა, ღმერთმა თქვენს ოჯახთან ერთად მრავალ აღდგომას დაგასწროთო, საიდანაც ჩანდა, რომ ის სურათი, ჯერჯერობით მიუკვლეველი, აღდგომის დღესასწაულზე იყო გადაღებული. ახლა გულდაწყვეტილი ვფიქრობ: ჩვენი დიდი უჭკუობა, წინდაუხედაობაა იმ მშვენიერი, ოქროსვარაყიან ჩარჩოში ჩასმული სურათის მოუვლელობა, არშენახვა.

ბაბუაჩემს, რევოლუციამდე ხე-ტყის ქარხნის მეპატრონეს, ახლო, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა დიდ ნიკო ნიკოლაძესთან, რომელსაც მუდამ მხარში ედგა, როცა ქალაქ ფოთის აღმშენებლობისთვის ქველმოქმედება იყო საჭირო. ბებიას სათუთად ჰქონდა შენახული ნიკო ნიკოლაძის ფოტოსურათი, ბაბუაჩემისადმი გულთბილი წარწერით მიძღვნილი. საერთოდ, ბაბუაჩემის საოჯახო ფოტოები და წერილებიც მოსაძებნია მის შთამომავლებში, თუმცა ბევრი ძვირფასი რამ დროთა განმავლობაში დაიკარგა და განადგურდა.

ჩემს ბავშვობისას ფოთს ხელმძღვანელობდა მშენებლობის უნარითა და სიმკაცრით განთქმული გრიგოლ კოკაია. ბიძაჩემს, თავისი თანამდებობის გამო, თითქმის ყოველდღე უხდებოდა მასთან ურთიერთობა და საკუთარ თავზე ჰქონდა გამოცდილი კოკაიას ხასიათის ავკარგი. გამიგია, რომ იმ პიროვნებამ, თუ რაიმეზე გაბრაზდებოდა, მოურიდებელი გინება იცოდა, მაგრამ კაცის გაფუჭება არ უყვარდა, სამსახურიდან იშვიათად ხსნიდა ვინმესო, ამასაც ამბობდნენ.

გახმაურებულ „მეგრელების საქმეზე" გრიგოლ კოკაიაც დაიჭირეს და მასზე მაკომპრომეტირებელ მასალებს აგროვებდნენ. ერთ-ერთ ბრალდებად უხეშობა და გინება წარუდგინეს. ბევრი მისი ყოფილი ხელქვეითი გამოიძახეს მოწმედ და პირში წაუყენეს. მსჯავრდებული თითქმის ყველამ გაწირა; ერთხმად სთქვეს, დესპოტი, გაუსაძლისი იყო და დედ-მამის სულს გვიტრიალებდაო. გამოიძახეს ბიძაჩემიც და დაუპირისპირეს პატიმარს რომელიც მანამდე მთელ ფოთს აზანზარებდა. დაბარებულმა გამომძიებელს უპასუხა, რომ მსგავსი რამ არასოდეს მომხდარა, ქალაქკომის თავმჯდომარე საქმის მკეთებელი და მომთხოვნი ხელმძღვანელი იყო და ეს, არა მგონია, დანაშაულად ჩაეთვალოსო. მანამდე ასეთივე ვაჟკაცობა, რაინდული საქციელი გამოეჩინა ფოთის გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამმართველოს უფროსს არსენ ჭყონიას. ბიძაჩემის წასვლის შემდეგ გრიგოლ კოკაიას სინანულით ეთქვა - ათასობით ადამიანთან მქონდა ცხოვრებაში ურთიერთობა და მათგან კაცობა მხოლოდ ორს, არსენ ჭყონიას და გრიშა იმნძეს აღმოაჩნდაო. ამ ამბავს ახლაც სიამაყით იგონებენ ჩემი ბიძაშვილები.

ბიძაჩემი ქერა, დედამისივით ზღვისფერთვალება, პატარა ტანის, გამხდარი, მაგრამ კაჟივით მაგარი, შეუდრეკელი კაცი იყო. არ ყოფილა შემთხვევა, სიტყვა გაეტეხა. ოჯახში მისი უზომო რიდი ჰქონდათ. ცხოველები უყვარდა და მახსოვს მისი მშვენიერი გერმანული ნაგაზი - „ბეკა" - სამსახურიდან მის დაბრუნებას მოუთმენლად რომ ელოდა, კისერზე ახტებოდა. გრიშა ბიძიას შვილები რაიმე უკეთურობას, არმოსაწონ საქციელს როგორ გაბედავდნენ. მისი წარბის აწევა კმაროდა, რომ მწყრებივით გატრუნულიყვნენ. აი, ასეთი კაცის გახსენება მიწევს, და თანაც, ჩემი ერთი საჩოთირო, სულელური საქციელის ფონზე.

სტუმრად მყოფიც სულ რაღაცას ვჩხირკედელაობდი, და ერთხელაც კარადის თავზე შემოდგმული ორიგინალური ფორმის ყულაბა დავინახე; თეთრი კატა იყო, თაბაშირისგან გაკეთებული, შეფერადებული. კისერზე მწვანე ბანტი ჰქონდა მიხატული. თან გვერდზე, ყელთან, განივი ჭრილი იყო, ქაღალდისა და ხურდა ფულის ჩასაგდები. სულმა წამძლია და მაკრატლის წვერით ვცდილობდი ბიძაჩემის ჩატენილი გაკეცილი ფულის ამოღებას. ამ წვალებაში მოძრაობა ვერ მოვზომე და კატას - ყულაბას - თავი აატყდა. შეშინებულმა დედაჩემთან მივირბინე და ვუთხარი, რაც დამემართა. დედა ძალიან შეწუხდა, ლოყაზე ხელი იტკიცა, ეს რა გიქნია, შე საძაგელოო. დაზაფრული ველოდი სამსახურიდან გრიშა ბიძიას დაბრუნებას. საღამო ხანს დაბრუნდა, გაიგო ეს ამბავი, მაგრამ ხმა არ ამოუღია, ჩემთვის სიტყვა არ უთქვამს სასაყვედურო. ამან კიდევ უფრო დამთრგუნა, აღარ ვიცოდი, რა მექნა. არადა, იმ წლებში უმამოდ დარჩენილს ბიძაჩემი განსაკუთრებული მზრუნველობით მეპყრობოდა. ფოთიდან გამომგზავრებისას მუდამ საერთაშორისო ვაგონით გვისტუმრებდა თბილისში მე და დედაჩემს. მაშინდელი სინდისის ქენჯნა ახლაც მაწუხებს.

მსგავსი ახირებული საქციელი სხვა დროსაც ჩამიდენია. თბილისში, ახლანდელი ინგოროყვას ქუჩაზე, ჩიტაძის გადაკვეთასთან, დედაჩემს ჰყავდა ახლო ნათესავი ბუცუ (სალომე) ბოკუჩავა, ძველი რევოლუციონერის, რკინიგზელ ვალოდია ჭკუასელის ცოლი. ქალბატონი ბუცუც ძველი რევოლუციონერი იყო, მამალი ქალი; ახალგაზრდობაში ეკლესიების დანგრევაში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული, მაგრამ თვითონ ამის გახსენება არ უყვარდა. მათი შვილიშვილი, ჩემზე სამი წლით უფროსი, დიდი მომავლის უნიჭიერესი ბიჭი ვაჟა კარანაძე **14** წლისა დაიხრჩო სოხუმში. ეს მთელი სანათესაოს საშინელი ტრაგედია იყო. ჭკუასელების ოჯახში დედაჩემს ხშირად დავყავდი საღამოობით და იქ ჩემებურად ვერთობოდი. ერთი ცოტა სხვანაირი ნივთი თუ ხელსაწყო ჰქონდათ - მომრგვალებულ, ჩამოგრძელებულ წითელ ხეში (ურთხმელი) გვერდიგვერდ ჩასმული იყო ორი ოთხკუთხა ბროლი - გამადიდებელი შუშა, ჩემი მიხვედრით და ისედაც, სურათების დასათვალიერებლად განკუთვნილი. ბროლისადმი (ალბათ, უცნაური ბრჭყვიალის და ელვარების გამო) პატარაობიდანვე დაუოკებელი ლტოლვა მქონდა. ერთი საათი მაინც ვეჯაჯგურე და ბოლოს, როგორც იქნა, ჩარჩოებიდან ამოვაგდე ის ბროლები და ჩავბლუჯე, შინ წამოვიღე. ბატონი ვალოდია გაგიჟებულიყო - პატარა ბიჭი როგორ ექიჩავა ამდენს, რა ძალა ჰქონია, ისე მჭიდროდ ჩასმული შუშები რანაირად გამოაძროო. დედაჩემმა გამომართვა ამოგდებული ბროლები და დაუბრუნა დაზარალებული ჭკუასელების ოჯახს, გვარიანადაც დამტუქსა, კარგა ხნით დამაკარგვინა ასეთი რაღაცების გაკეთების ხალისი. ჩემგან დასახიჩრებული ის უცნაური ნივთი ვიღაც ოსტატს შეაკეთებინეს და სადღაც გადამალეს, მერე მე თვალით აღარ მინახავს.

იმ ეზოში (ყოფილი ძერჟინსკის 22) ცხოვრობდნენ კარგი ბიჭები - ძმები ნუგზარ და გურამ გიორგობიანები. გურამი, ნიჭიერი ფიზიკოსი (თავისუფალ ლექსებსა და თავისებურ მოთხრობებს წერდა) ამ ზაფხულს გარდაიცვალა სრულიად მოულოდნელად. უზომოდ კეთილი პიროვნება იყო. ერთავად რუსთაველზე იდგა ბოლო წლებში, მოედნამდე მაცილებდა და სულ მეკითხებოდა, ნუთუ აფხაზეთს ველარ დავიბრუნებთო. უფროსმა ძმამ, ნუგზარმა ორმოცისთვის წიგნი გამოუცა. ამას წინათ ლექსიც მივუძღვენი მის ხსოვნას. ჭაბუა ამირეჯიბს მივუტანე მის გაზეთში („ახალი ივერია") და, ალბათ, მალე გამოაქვეყნებს, მაგრამ ეს **2000** წლის იანვარში თუ იქნება მოსახერხებელი. ყველაფერი იქით იყოს და, ბავშვობაში მართლაც ნამეტანი მოუსვენარი, მავნე ვინმე ვიყავი, რაც აქ მოხმობილი ორიოდე, არცთუ მოსაწონი, შემთხვევიდანაც დამაჯერებლად ჩანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●●●

**13. 08. 1993.** ეს ოცი წლის წინანდელი ამბავი მაინც იქნება, როცა ჯანსულ ჩარკვიანის რედაქტორობის დროს „ცისკარში“ ვმუშაობდი. რომელიღაც ჩემი ნაცნობი (ვეღარ ვიხსენებ, ვინ) ერთ ავტორს მოჰყვა და მაგიდაზე გატენილი საქაღალდე დამიდეს, ამ რომანზე შენი აზრი გვითხარიო. სიზმრისეული ბურუსი აკრავს იმ შემთხვევას. დიდი ჭაპანწყვეტით წავიკითხე. პირველივე გვერდებიდან ცხადი გახდა, რა აბდაუბდაც იყო, დეტექტივის მსგავსი მონაჩმახი, სასტუმრო „ივერიაშიც“ ხდებოდა მოქმედება. დანამდვილებით არაფერი მახსოვს. თვითონ ნაწერი, როგორც ვთქვი, ყოვლად უსუსური იყო, მაგრამ რაღაც შთაბეჭდილება დღემდე მაქვს დალექილი ტვინის უჯრედებში. შეიძლება, ეს შეგრძნება ნაზავია ყოველივესი, რისი წაკითხვაც იმუამად მიხდებოდა და ზოგჯერ იძულებულიც ვხდებოდი, მოკლე-მოკლე რეცენზიები დამეწერა ამნაირთა მოსაგერიებლად, რათა ისინი როგორმე მათი ნაწერების უვარგისობაში დამერწმუნებინა.

ერთი კარგი წესი მქონდა - ზოგიერთთა მსგავსად, ტყუილს არასოდეს ვკადრულობდი, ყველას დაუფარავად, მაგრამ მორიდებულად ვეუბნებოდი სათქმელს, თანაც ხელნაწერს დათქმულ დროზე წაკითხულს ვახვედრებდი, ეს კი მათ ნაკლებ საბაბს აძლევდა, ეჩივლათ, ჩხუბი აეტეხათ, თუმცა რამდენჯერმე მეც შემახვედრეს უსიამოვნება ზომაზე მეტად აღგზნებულმა დაბეჭდვის მსურველებმა. ჭეშმარიტად საკვირველია - რომანად სახელდებული იმ წყალწყალა ნაცოდვილარის ხელში დაჭერის ცხადი შეგრძნება სამუდამოდ დამრჩა (შესაძლოა, ეს ახალგაზრდობის წლების შეფარული მონატრებაც იყოს). მახსოვს ის სიჩქარეც, როცა რაიმე აზრის გამოსატანად თაბახებს ვფურცლავდი და ბოლოში გასვლას ვეშურებოდი; ვერაფრით მივმხვდარვარ, ზუსტად რა ჰქვია ამას. გვარი რომც გავიხსენო იმ კაცისა, ვიცი, ხელთ ჩვეულებრივი გრაფომანი შემრჩება და ამ უცნაურ, აქამდე გაგრძელებულ შეგრძნებას ყოველგვარი იდუმალება დაეკარგება, დროისეული საბურველი ჩამოეცლება. აჯობებს, ხსენებული შემთხვევა კვლავ ბუნდოვნად, გაურკვევლად დარჩეს, როგორიც ჩვენი უთავბოლო ცხოვრებაა.

რახან გრაფომანი ვახსენე, აქვე ბარემ სხვა, უფრო კურიოზულ შემთხვევასაც გავიხსენებ, არაა დასავიწყებელი. ერთი პირფართო, ჯმუხი, კეთილი ბუნების კაცი, იურისტი ბეჟან ხორ-ელი, უნივერსიტეტის პროფესორი, ხშირად მოდიოდა რედაქციაში და თავისი სუსტი, გამოსაქვეყნებლად გამოუსადეგარი მოთხრობები მოჰქონდა. როგორც ვიცოდი, თავისი დარგის საუკეთესო, დაფასებული სპეციალისტი იყო, მაგრამ ამასთანავე მწერლობაც მოინდომა. ვუხსნიდი, ვარწმუნებდი, რომ, რასაც იგი გვთავაზობდა, იმის გამოქვეყნება არ მოხერხდებოდა და უკან ვატანდი. ერთხელ ბლომად მომიტანა გადაბეჭდილი მოთხრობები და წინ დამიწყო. ვუთხარი, ერთი კვირის შემდეგ შემოევლო. მის ნაწერებში შემთხვევით (აკურატულობით არასოდეს გამოვირჩეოდი) პროფესიონალი ახალგაზრდა მწერლის მოთხრობა შეერია, გვარი გარკვევით არ ეწერა და მის ავტორად ბეჟან ხორ-ელი ჩავთვალე; წავიკითხე და ვნახე, რომ აშკარად დასაბეჭდი იყო (დანარჩენი რვა არაფრად ვარგოდა). კვირის თავზე მობრძანდა ბატონი პროფესორი, რომელსაც ვუთხარი, რომ რვა მოთხრობამ ვერ დატოვა სასურველი შთაბეჭდილება, ხოლო მეცხრე უთუოდ გამოსაქვეყნებელია და რედაქტორს ნომრის სხვა მასალებთან ერთად გადავცემ-მეთქი. შეცბუნებულმა და გაოცებულმა მითხრა, ეგ ჩემი დაწერილი არ არისო.

სამწუხაროა, თუ ასეა, მაშინ მე ვერაფერს მოგიხერხებთ, გულწრფელად მინდოდა, ჟურნალში დაბეჭდილიყავით-მეთქი. თან ბოდიშიც მოვიხადე გაუგებრობის გამო.

ბატონი ბეჟანი მაინც განაწყენებული დარჩა; დახვია ხელი თავის მოთხრობებს და უკმაყოფილო ბუზღუნით გამშორდა. მეტად აღარ გამოჩენილა.

ჩვენ დიალოგს რედაქციის თანამშრომლები ესწრებოდნენ და სიცილი აუტყდათ, იმ კაცს შენ ეს განზრახ გაუკეთე, გეტყობა, ეშმაკური მუღამი დაამუშავეო. ვიფიცე, წელანდელი გაუგებრობა სულ შემთხვევით მოხდა-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერეს.

სხვადასხვა მეცნიერებათა ისტორიიდან ცნობილი გახლავთ, რომ არაერთ მნიშვნელოვან აღმოჩენას შემთხვევა დასდებია საფუძვლად (საამისოდ არქიმედესა და ნიუტონის ქრესტომათიული მაგალითებიც კმარა). ამდენად, აბეზარი ავტორებისგან აკლებულ რედაქციებს შედარებით მშვიდი სამუშაო პირობები თუ უნდათ, ეს მარჯვე მეთოდი უნდა დანერგონ თავიანთ საქმიანობაში და გრაფომანიით შეპყრობილ არასასურველ ავტორებს ყოველგვარი დაძაბულობისა და შეხლა-შემოხლის გარეშე მოიგერიებენ.

●●●

**11.03.1997.** გუშინ ძალიან მძიმე, გუნების მომშხამავი დღე გვქონდა. ჩვენი მშვენიერი კატა ალისა (სახლიდან სამი დღის გასული) ტროტუარზე, ქუჩის პირას, მომაკვდავი ვიპოვე, მაშინვე შევიცანი, დავიხარე და საწყალს სახელი დავუძახე. მანაც მიცნო, სუსტად შემომკნავლა. ხელი დავავლე და სახლში ავიყვანე, მაგრამ ლიქვე ეტყობოდა , კარგი ამბავი რომ არ სჭირდა. არაკაცს, უბოროტეს ნაძირალას რაღაც დაერტყა და ხერხემალში გადაემტვრია. იმავე დღეს შინ თავგაჩეხილი მიხოხებულა მეზობლის ხვადი კატა, რომელსაც ალისა ჯერ კიდევ შარშან ამ დროს დაუწყვილდა და ოთხი კნუტი გააჩინა. პატრონმა ვერც ის კატა მოასულიერა, თუმცა ნემსები გაუკეთეს. როგორც ეტყობა, იმ სატანამ ორივეს ალერსის დროს, გაბრუებულებს, დასცხო კეტი თუ რკინა გვერდითა (N 11) ეზოში. ამ სისაძაგლის გამკეთებელი, თუ სადმე სამართალია, ასეთივე საშინელი სიკვდილით უნდა გათავდეს.

ბევრჯერ უკითხავთ - რა ბადებს ასეთ ბოროტ, სისხლმოწყურებულ არსებებს? ძნელი სათქმელია, მაგრამ, სამწუხაროდ, იბადებიან და გარემოს წამლავენ. საბურთალოზე როცა ვცხოვრობდი, ათსართულიანი სახლის მეათე სართულზე, მეზობლის ბიჭმა, კარგი, წესიერი დედ-მამის შვილმა, ჩვიდმეტი თუ თვრამეტი წლისამ, უცნაური ხასიათის მქონემ, ეზოში სრულიად უმიზეზოდ ყოვლად უწყინარ ძაღლს, ყეფითაც რომ არავის უყეფდა, თავი გადაუწია და დანით ყელი გამოღადრა. განცვიფრებულმა და გამწარებულმა მაშინ ვთქვი, რომ ის ბიჭი ვერ გაიხარებდა, ცუდად დაამთავრებდა სიცოცხლეს. მართლაც, რამდენიმე წლის მერე იმ უბედურმა, განარკომანებულმა, თავი მოიკლა.

ელენესაც (ჩემ მეუღლეს) უზომოდ უყვარდა ალისა. ამ ყოფაში ჩავარდნილს დღე და ღამე ცხარე ცრემლით დასტიროდა, უვლიდა, ასუფთავებდა, მაგრამ ვერაფერს გავხდით. წინა ფეხებს ეყრდნობოდა და საცოდავად დახოხავდა. უმეტესად ელექტროღუმელთან იწვა, გასაწყლებული თვალებით შემოგვცქეროდა; სისხლიანი შარდი გასდიოდა გაუთავებლად, ჭამის თავი კი, ჩვენდა გასაკვირად, მაინც ჰქონდა. მუცელზე გაიბერა საშინლად. ელენემ ვეტპუნქტში ჩაიყვანა, გასინჯეს. საშარდე ბუშტის დამბლა აღმოაჩნდა. ხერხემალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტვრეულს ზურგის ტვინი დაუეუვოდა, თირკმელებიც ჩაწყვეტილი იყო. არაფერი ეშველება, უარესად და უარესად გახდება, ერთი კვირის შემდეგ, მთლად დაუძლურებული, დაიღუპებაო, უთხრეს. ექიმმა ასეთივე ბოლო უსურვა ამ სისაძაგლის ჩამდენს. სხვა გზა არ იყო; საწყალი ალისა ბანგით დააძინეს და მერე ნემსით წამალი გაუკეთეს, მოაკვდინეს, არ უწვალია. ელენემ, თვალცრემლიანმა, თავის ხელით დამარხა ვერის ბაღში; ქვებიც დავადეო, თქვა. მეტად ცხოველს სახლში აღარ მოვიყვან, რა დარდი სცოდნიაო, დღესაც ტირის. ბავშვს, ბაქარს, ალისას სიკვდილს ვუმალავთ, ვეუბნებით, რომ ხეიბარი კატების საავადმყოფოს ჩავაბარეთ, იქ მოუვლიან და განკურნავენო, ვარწმუნებთ.

გასაოცრად ჭკვიანი კატა იყო, საყვარელი და საზრიანი. შვილებს თან ჰყვებოდა. სანამ ისინი არ შეჭამდნენ, მანამ პირს არ აკარებდა საჭმელს. პატარაობისას ციცდლებს ლუკმას უღეჭავდა და ფაფად ქცეულს წინ უღვრიდა, რათა იმათ აელოკათ. ეს ინსტინქტზე მეტი ჩანდა რაღაცათი. თავის ძირითად მოვალეობასაც პირნათლად ასრულებდა - თაგვს ახლომახლო არ აჭაჭანებდა; გამოჩენისთანავე გაძაგრავდა და აივანზე დადებდა ხოლმე გაგუდულს. ამით მოითავებდა ამ საქმეს. ვინმე სტუმარი რომ მოვიდოდა, ფეხზე დასუნავდა, იყუცხოვებდა. ცნობილია, კატებს უფაქიზესი და უმძაფრესი ყნოსვა აქვთ. ალისას ხელში ვერ აიყვანდი, თავს არ მოგაფერებინებდა. როცა ვმუშაობდი, მაშინ ამოსკუპდებოდა მაგიდაზე და წინ გამიწვებოდა. ხელს გადავუსვამდი და სიამოვნებისგან კრუტუნებდა. თითს როცა ჩავუდებდი პირში, კბილებს მომიჭერდა, მაგრამ ისე ნაზად, რომ არ მტკენოდა. ასე სცოდნიათ ოჯახში გაზრდილ კატებს. ბაქარი აწვალებდა ხოლმე და გაურბოდა, მისი გამოჩენისას შეკრთებოდა. თუმცა ბოლოს შეეჩვია და თათით ეთამაშებოდა. როცა შინ მოვიდოდი, ხმაურს გაიგებდა და კარებთან მხვდებოდა. შარვლის ტოტზე ალერსიანად ამოსვ-დამოსვამდა კუდს, იცოდა, რაღაცა სასუსნავს მოვუტანდი და სამზარეულოსკენ გარბოდა, ადგილი ჰქონდა შერჩეული და იქ დაიჭერდა პოზიციას. ლუკმას ჯერ დაყნოსავდა, ცოტა ხნით გაშორდებოდა და მერე დაითრევდა (ასე იციან კატებმა, ალბათ, მათებური რიტუალია). კისერი უძაგძაგებდა ჭამის დროს. ყველაზე უფრო მაშინ წააგავდა ნადირს. მერე და მერე დავრწმუნდი, ეს კატების საერთო თვისებაა. ორიოდე ფოტოზე კი დარჩა მისი სახე; ერთზე თვალები ნაკვერჩხლებივით უელავს, მეორეგან განზე იყურება, კარადის გვერდითაა გადაღებული. რამდენიმე ლექსი დავუწერე ჩვენ ალისას. მათგან ერთი, ახლანდელი, ელეგიური შეფერილობისაა. შევეცადე, ჩემებურად გამომეხატა წუხილი და სიყვარული ამ ერთგული ოთხფეხის მიმართ. ლექსში ახალი, პროზაული ტექსტისგან განსხვავებული, თითქმის არაფერია ნათქვამი, მაგრამ მაინც მომაქვს:

*მოგვიკლეს ჩვენი კატა*

*არ ილოკავს თათებს ლამაზს,*
*დღე უმისოდ გადის;*
*სად სრიალებს, რომელ ცაზე*
*სული ჩვენი კატის.*

*არც ფარდაზე ფხოკიალი,*
*არც კნავილი ნაზი...*
*ვიცრემლებით, ხმა არ ისმის*
*ჩვენი ალისასი.*

*შენ რაც გიყვეს, ჩვენო ფისო,*
*კაცი როგორ იზამს,*
*ხერხემალი დაგიმტვრია*
*ხელმა ბოროტისამ.*

*ნემსით დავაძინეთ, აღარ*
*გაგვიწვალებია,*
*ვარსკვლავი რომ ბრწყინავს წყვილი,*
*მისი თვალებია.*

*კრუტუნი და ფაცხაფუცხი*
*კეთილის და ფიცხის,*
*თვალწინ მიდგას საბრალოსი,*
*ძნელად დასავიწყის.*

## ზოგი რამ რითმაზე

**20. 10. 1999.** დღეს, როცა სხვენში შემოსულ ჩვენს აკანვლებულ კატას, მუნანოს, კარს ვუღებდი, ძველ აგურთან დაგდებული ფურცლის ნაგლეჯი ვნახე, უთარიღო, ალბათ, ათი წლის წინანდელი (ელენე გადააგდებდა, ცოცხს გააყოლებდა სხვა, უწესრიგოდ მიმოფანტულ პატარ-პატარა ხელნაწერებთან ერთად), რითმის გამო დამიწერია; ეგებ გამოყენებულიც მქონდეს რომელიმე წერილში. რითმა შეიძლება მთელი ლექსის ბიძგი გახდეს (ეს არცთუ იშვიათად ხდება და, ცხადია, ახალი, მოხდენილი რითმა იგულისხმება), მას დაეშენოს ყველაფერი, რაც მანამდე სულში თვლემდა. მან ერთგვარად თავისებური საფუძარის როლი უნდა იტვიროს. რადგანაც იმ გაჭუჭყიანებულ ქაღალდის ნაფლეთზე გამოთქმული ტრივიალური აზრი არ შემიცვლია, ეს პაწია ჩანაწერი მთლიანად მომყავს:

*„მართალია, დღევანდელი ქართული ლექსი, გარკვეულ მიზეზთა გამო, ნაწილობრივ უარს ამბობს რითმაზე, მაგრამ ეს ტენდენცია სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ჩვენი პოეზიიდან რითმა თანდათან განიდევნება. რითმა იყო, არის და მუდამ იქნება ქართული ლექსის დამამშვენებელი, მისი ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი“.*

მე ყოველთვის ვცდილობ, ლექსში სუსტი, მოურჩუებული რითმა არ გამეპაროს, მაგრამ ისიც გაცნობიერებული მაქვს, რომ ზედმეტ ყურადღებას ვუთმობ სტრიქონთა ბგერით აღნაგობას და ვშიშობ, ამან ნაძალადეობის, ხელოვნურობის შთაბეჭდილება არ შექმნას. მუსიკა მაინც სიღრმიდან, სულიდან უნდა იძვროდეს. გარედან წაშველებისას ესოდენ საჭირო ზომიერება უნდა დაიცვა, რათა ლექსს ნაკერები, ნაწიბურები არ დაეტყოს. ვფიქრობ, ეს უხერხულობა როგორმე დაიძლევა. თანაც, ვატყობ, სტრიქონის ტექნიკურად დახვეწაზე ზრუნვა შინაგან მოთხოვნილებად, განუშორებელ თვისებად მექცა. ზოგი რამ თითქოსდა უწვალებლად, თავისთავად ჩნდება; მერეღა მიკვირს, როცა ვაკვირდები.

ისიც ხშირად მიფიქრია (ეს აღიარებული ჭეშმარიტებაა და სხვადასხვა ფორმით, მეტ-ნაკლები სიმწვავით ბევრჯერ უთქვამთ) - ნამდვილი, ღირებული თავისუფალი ლექსი იმას უფრო გამოუვა, ვინაც ტრადიციული ლექსის საიდუმლოებანი რამდენადმე მაინც აითვისა, ანუ სიტყვის ოსტატია. ვისაც ფორმის გრძნობა მოჩლუნგებული აქვს, სტრიქონთა მოწესრიგებულ სიმკვრივეს, ნაჭედობას ვერ გრძნობს (ნამდვილი შემოქმედი კი ნიადაგ ალესილი და შემართული უნდა იყოს), ქაღალდზე გადატანილი მისი მოჩვენებითად ღრმა ნააზრევი ლაყბობას, უბედობას, გაუთავებელ ლაქლაქს ემსგავსება. საამისო მაგალითების მოხმობა უხვად შეიძლებოდა, მაგრამ თავს აღარ შევაწყენთ. გარდა ამისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მინდა, ზოგიერთი, პატივს და ქებას დახარბებული, დიდების მოყვარული კალმოსანი გავანაწყენო, მტრად მოვიკიდო. ცხოვრება ისედაც უამრავი სიგლახითაა დამძიმებული.

●●●

**10.11.1994.** *„ჩვენ სრულიად გამოფუტუროებულები, ცარიელები ვართ“.* - წერს ერთგან მონტენი და ოთხი საუკუნის შემდეგ თითქმის ამ სიტყვებით იწყებს თავის „ცარიელ ადამიანებს“ თომას ელიოტი. ეს, ალბათ, ეპოქათა თუ კულტურათა გადაძახილია, სავსებით გამართლებული და კანონზომიერი მოვლენა; საკუთარ თავზე, გარემომცველ სამყაროზე დაკვირვების მერე ასეთი აზრი ბევრს გაჩენია. ამდენად, როცა რაიმეს ქმნი, მთავარია, ნაფიქრ-ნააზრევი თავისებურად გამოხატო.

კარგა ხანია, ვაპირებ, დავწერო მოზრდილი თავისუფალი ლექსი, ეგებ პოემაც, ცოცხალი არსებების (მწერებიც იგულისხმება) სიცარიელეზე. უფრო ფიზიკურ პლანს დავჭერდები, მაგრამ ეს არ იქნება ნატურალისტური აღწერა. აქ ჩემი მიზანი არ გახლავთ ადამიანის გამოფიტვაზე, სულიერ სიცარიელეზე მინიშნება. შეწუხებულს უფრო იმის თქმა მინდა, რომ სხეულში ყველა ჩვენგანს იოლად წარმოსაჩენი ფუღურო აქვს და შიგნეული დროებით, მაგრამ სასიცოცხლო მნიშვნელობით არის ჩალაგებული. ჩვენი საბოლოო და შეულამაზებელი მდგომარეობა ის გახლავთ, რომ შიგნიდან გამოვიღრუტნებით, გამოვსუფთავდებით, სისხლჩამდგარ საწნახელს დავემსგავსებით. ამის მეტაფორებადვე მესახება მტევანს შერჩენილი,გაქვავებული, გულჩამხმარი ყურძნის მარცვალი და კეცა-კეცად ტილოდახვეული მუმია.

ახლა გამიძნელდება თქმა, გრაფიკულად ჩამოქნის, განხორციელების ჟამს რა სახე და ფორმა მიეცემა ჩემს არც მთლად ორიგინალურ ჩანაფიქრს. ერთი რამ წინასწარ ვიცი - გატკეპნილი გზით არ ვივლი და შევეცდები, კომპოზიციურად მაინც ისე დავალაგო, შევკრა სათქმელი, რომ ძალდაუტანებლად იკითხებოდეს, სიყალბე არ დაეტყოს და საგრძნობი სიახლის შთაბეჭდილებასაც ახდენდეს; მიუხედავად უკიდურესი სასოწარკვეთისა, სულიერად გაამდიდროს და აამაღლოს წამკითხველი. გამჭოლი განწყობილება, ძირითადი მიზანდასახულობა, ერთ ძაფზე ასხმულმა ცალკეულმა სურათებმა უნდა გადმოსცეს. მრავალსიტყვაობა, გაჭიანურება ასეთ დროს ყველაზე მეტი ზიანის მომტანია; რამდენადაც შემეძლება, თავს არ დავზოგავ, რათა სტრიქონს სიმკვრივე-ნაჭედობა ეტყობოდეს. თუ ამას ვერ მივაღწიე, ჩემს წვალებას არავითარი აზრი არ ექნება.

●●●

**10.04.1997.** 10 აპრილი დაიწყო. შუაღამეა. ლაგამაწყვეტილი ქარი გლეჯს სახურავებს. როგორ დაქრის და დაქანაობს. ვერავინ დამარწმუნებს, რომ იგი სულიერი არსება არ იყოს - წახრილი, წაგრძელებული, თმააწეწილი (ხომ ამბობს ვაჟა პერსონიფიცირებულ, გამწარებულ სინდისზე: *„მინახავს ეს ხმა თმააწეწილი...“*). რას უზამ, როგრ მიუდგები გავეშებულ ქარს?!. ქეჩოზედაც რომ მოვექცე, მომიტრიალდება, გაფოფრილ კუდს ჩამჩრის პირში, გამგუდავს და მომისვრის; თან მაშინებს, თან მსიამოვნებს მისი გაუთავებელი ქრიალი - რაღაცებზე ფიქრისთვის განმაწყობს, მკვდრულ სიჩუმეს მაინც მირჩევნია. საბანს ვიკეცავ გარშემო, მჭიდროდ, მუმიასავით ვეხვევი. კიდევ გადაიბრაგუნა, ალაგ-ალაგ ჩაზნიქა, ალბათ, ჟანგისგან დამბალ ფიცრებს სანახევროდ აგლეჯილი, აღუნული თუნუქი. დილისთვის შეიძლება ცოტათი ჩაცხრეს, მთლად ასე არ იქნეს გადარეული. უცნაური, კოშმარული სურათები მეძალება ამ დროს; თვალნათლივ წარმოვიდგინე, რომ ათი დღე გადაება ერთმანეთს, რასაც, ალბათ, მოჰყვება ათმაგი, ასევე ერთმანეთზე წაბმული და გაერთიანებული ღამეები. რომელი სულიერი გაუძლებდა ამას?! ახლა იმაზედაც ვწუხვარ - სიკეთე, დანდობა უფრო მეტად უნდა შემოვიდეს და დასადგურდეს ჩემს არსებაში. იოლად არაფერი უნდა მაღიზიანებდეს, მაგრამ თავს ველარ ვთოკავ, ამდენმა უბედურებამ, ჩემმა თუ სხვისმა, ნერვები დამიფლითა მშვიდი, გაბმული ძილი სანატრელი გამიხდა.

ზოგჯერ ისეთი დამთრგუნველი, შემაძრწუნებელი შეგრძნება მაქვს, მგონია, ფეხის ძირა კუნთები, მუხლს ქვემოთ, პატეფონის ნემსებით მაქვს გაძეძგილი; მწიწკნის რაღაცები, თითქოს წამახული წვეტები მესობა ძარღვებში. შეიძლება, ეს სხეულში ჩარჩენილი ბავშვობისდროინდელი შიშიც იყოს, როცა მამიდაჩემმა, შემთხვევით, ფეხის გამშრალებისას, კუნთში პირსახოცზე მიბნეული ნემსი შემატეხა... ისიც მეჩვენება - მტკივანი კუნთების დაჭიმვა ან ზედ ხელის დაკვრა კმარა, ეს აჩორჩხილი, მოკლე-მოკლე ნემსები ერთბაშად გადმოცვივდეს და იატაკზე გაიბნეს. ხანდახან ამაზე უარესადაც ვიტანჯები; თითქოს ზურგი მაქვს გადაშვლეპილ-გადატყავებული, მთელ სიბრტყეზე გამოუონილი ლიმფისგან გადაწითლებული და პერანგის ჩაცმისა მეშინია, გაუსაძლისი ტკივილისგან რომ არ შევყვირო, მაგრამ ამნაირობათა აღწერა ცუდად გამხდის და უნდა შევეშვა. თანაც უხერხულია, სხვას მოახვიო თავს, რაც შენ არ გაძლევს საშველს.

●●●

**26.08.2000.** უცნაური რაღაც იყო, ძნელად დასავიწყებელი - სამი დღის წინ, ვერაზე, ვაშლოვანის ქუჩის კუთხესთან, ბებიამ და შვილიშვილმა, გოგონამ ჩაიარეს (ასაკის მიხედვით გამოვითვალე ეს თანაფარდობა). ბებია სამოცს გადაცილებული იქნებოდა, საკმაოდ შემჭკნარი, მაგრამ, ეტყობოდა, გაპრანჭვის, კოხტაობის მოყვარული. ბუმბულგაყრილი ჭილის ქუდი ეხურა, თეთრი ზედა და ქვედაწელი ეცვა. სახე თეთრად შეეპუდრა. ლურჯ-ჭროლა, ფართოდ გახელილ, ლამის დაუხამხამებელ ჭყეტელა, ტიკინას თვალებზე მკვეთრ კონტრასტს ქმნიდა სქლად წასმული პომადა, რომელსაც მოკლე, ცეცხლოვან მუსიკალურ ფრაზასავით ეხმიანებოდა თუ ეხამებოდა მისი შვიდი-რვა წლის შვილიშვილის წითელი კაბა. ქუჩის მოცახცახე აკვარიუმში ორი არსების ერთ წამით გაელვებისას მეტი რაღა უნდა შემემჩნია?!

იმ ქალის ფურფუტა სითეთრემ ჭრიჭინობელას ფიტული გამახსენა. რამდენჯერ მინახავს სოფელში, სწორედ აგვისტოში, ხეზე დარჩენილი მთლიანი, გამოცვლილი კანი ჭრიჭინასი, ყურძნის მწიფობისას გამაყრუებლად რომ ფხაჭნის ისედაც შეწუხებულ, დახუთულ ცხელ ჰაერს. ფიტული ასევე რჩება ბებერი მსხლის ხის ხავსით მოფენილ, ჩრდილოეთის მხარეს ბასრი კლანჭებით ჩაბღაუჭებული. ზურგზე მინიატურულ ყულაბასავით აქვს გასერილი უკვე სხეულს გაშორებული გამჭვირვალე კანი და იოლი მისახვედრია - იმ ჭრილიდან ამოძვრა და გაუჩინარდა, გაქრა ის გულის გამაწვრილებლად, დილიდან დაღამებამდე მოჭრიჭინე მწერი. რატომღაც ვიფიქრე (ნუ გამიმტყუნებთ), რომ ის მოკოპწიავე, შვილიშვილს ხელჩაჭიდებული ქალბატონი სწორედ იმ ჭრიჭინასავით მიატოვა მისმა ყმაწვილქალობამ, სადღაც გავარდა გულის შეღონებამდე საფრენად და საფრთხიალოდ და აქ დატოვა გამოთეთქვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრი ფიტული, რომელსაც ქარის ერთი წამოქროლება ეყოფა, რათა სადმე, მიყრუებული კვარტლის კუთხეში მიახვეტოს. ნურავინ იკითხავს, რა აქრობს და აცამტვერებს სილამაზეს...

●●●

**09.07.2002.** ბევრ რამეში იჩენს ხოლმე თავს და უკან მწევს (ამას თითქმის აღარ განვიცდი) საკუთარი უცნაური, არასახარბიელო ბუნება და, უფრო მეტად, მდგომარეობა, ყოფის წესი. ჩემი არეული, ყოვლად დაულაგებელი ცხოვრების გამო (ცხადია, სხვა, არანაკლებ ხელისშემშლელი მიზეზების დასახელებაც შეიძლებოდა) ახლა ვწერ - თანაც უხალისოდ ზლაზვნით - იმას, რაც ოცი, ოცდახუთი, ოცდაათი წლის წინათ უნდა დამეწერა (შესაძლოა, ამ სიზარმაცის წყალობთ ძალ-ღონეც შემოვინახე).

ბევრი ფურცელი გამეფანტა, დამეკარგა (რაღას აღვადგენ), ბევრიც სადღაც, ყუთებში ჩალაგებულ საქაღალდეებშია გაცოცხლების მომლოდინე ფრაგმენტებად ჩაწყობილი. ვიცი, მცირე ნაწილის ხორცშესხმასაც ვერ მოვასწრებ თითქმის ფსკერზე დასულ დარჩენილ დროში. ძალიან მირევს და მიბურდავს თავგზას პატარ-პატარა, პირადად ჩემთვის არაფერში მოსახმარი წერილები, რომელთა დაწერასაც ხშირად მთხოვენ (კარგად გამოგდისო, მარწმუნებენ) და ნაცნობებს ხათრს ველარ ვუტეხ. იუბილეებსა და ნაირ-ნაირ თარიღებს რა გამოულევთ ქართველებს. ამასობაში გულისგამაწვრილებელ წვრილმანებზე გავიხარჯე და მთავარისთვის ველარ მოვიცალე, შეუმჩნევლად, ვერაგულად შემომადნა წლები (ამაზე რამდენს დაუჩივლია!). ამას წინათ ერთმა ახლო მეგობარმა, ჩემზე წლითა და რამდენიმე თვით უმცროსმა, მითხრა, შენი თავი პატარა ხომ არ გგონიაო. პატარა არა მგონია, მაგრამ გაცვეთილი, გამოფიტული ჯერჯერობით ნამდვილად არ ვარ, ვფიქრობ, ძლიერი რაღაცების დაწერა შემიძლია და საამისოდ უნარიც შემომრჩა - მოდუნება, რამდენადაც ვატყობ, არ ემჩნევა ჩემს სტრიქონებს, თუმცაღა ნაუცბათევი ნასხლეტები (გიორგი ლეონიძე ამათ „ანაზდაით ლექსებს" ეძახდა) ყოველდღიურად შემაქვს უკვე დანომრილ დიდ რვეულებში. ვინ იქნება იმათი ამომრჩევი და თემატურად დამლაგებელი, გამომცემი, ანკი ვის რაღად დასჭირდება?! ტყუილად გულს ვიფხან და ვცდილობ, ფხაალესილი ვიყო, ჟინი არ გამინელდეს და არ მოვეშვა (ეს, რა თქმა უნდა, მარტო სურვილზე არაა დამოკიდებული, ისედაც ასეთი ვარ). კითხვით კი, შეძლებისდაგვარად, ბევრს ვკითხულობ. ესაა ჩემი ერთადერთი შვება თუ სიამოვნება, ამ ქვეყანაზე რომ მაძლებინებს.

●●●

**14.04. 2002.** წლევანდელი გაზაფხული საგრძნობლად, ზომაზე მეტად ცივია. ზოგჯერ, თუ სადმე მოფარებულში არ იქენი, თავ-პირს სახეს გაგითოშავს მოსახვევიდან წივილით გამოვარდნილი, მტვრისა და ქაღალდების ამხვეტი, აღმა-დაღმა მოწანწალე ქარი. საშიშია, ყინვამ უკვე გამოტანილი ყვავილები არ დააზროს და ხე-ხილი არ წაახდინოს.

ჩემდა უნებურად, დიდი ხნის წინანდელი, ღვთის წყალობასავით სხივმოსილი შემთხვევა გამახსენდა. მეოთხე კურსზე ვიყავი, **1958** წლის აპრილი იდგა. ზაურ ბოლქვაძე და მე მწერალთა კავშირისკენ მივდიოდით. უეცრად მაჩაბლის ქუჩის თავში, ხილის მაღაზიასთან, ს-კო შეგვეფეთა. სიზმარეულ ნისლიდან გამოსულს ჰგავდა, წარმოუდგენლად ლამაზი და მიმზიდველი იყო, სახე არაამქვეყნიური ღიმილით ჰქონდა გადანათებული. თბილი, მზიანი დღის გამო, თხელი კაბა ეცვა. საყელოზე თეთრად ნაქარგი წვრილ-წვრილი, უფაქიზესი ყვავილები ჰქონდა მოვლებული, ალუბლის ტოტმა რომ იცის გამოფეთქვა, ისეთი. ორივენი მოგვიკითხა, როგორ ხართო, პატარძეულში მივდივარო (ალბათ, თავისიანებს მიჰყვებოდა), გვითხრა და ასე გაცინებული გამოგვეთხოვა. მე არ შევიმჩნიე, რომ მისმა მოულოდნელმა შეხვედრამ შინაგანად შემძრა, ამაფორიაქა. წლების მერე ხშირად მიფიქრია და მინანია - ნეტა, იმ ანგელოზთან არ დამეკავშირებინა ჩემი აბურდული, მოუსვენარი ცხოვრება, ეგებ ბევრად უკეთესი ბედი რგებოდა და არც დაღუპულიყო, ეცოცხლა... მუდამ თავს ვიდანაშაულებ, მაგრამ სულ ტყუილად ვეხეთქები კედლებს - ეს ვეღარაფერს შეცვლის და უშველის...

ახლა ისეთი მწარე, ნერვების დამწიწკვნელი განცდა მაქვს, რომ ლამის დავიჯერო ბუნების უხილავი ხელით დაგვირისტებულ ალუბლის ნამცეცა ყვავილებთან ერთად მასაც ეყინება შემცივნული, ბროლივით ყელი, ირგვლივ ნატიფად მოვლებული, ჰაერში მოფარფატე ფიფქებივით ქათქათა ნაქარგი. გაგლეჯაზეა გული - რამ გამაჩინა ასეთი გამყოლი ხასიათის, გამუდმებულად ჯავრიანი?! არ არსებობს ხანი, წელთა რაოდენობა, რომ ეს მწუხარება ოდნავ მაინც დააბლაგვოს, გაანელოს, ნაკლებ მომაკვდინებელი გახადოს. თუმცა ტკივილს არც ვემალები. დროდადრო სხეულში შხამი მიგროვდება და მწამლავს. ყველაფრის გახსენება მთლად ბოლოს მომიღებს და დამაქვესკნელებს. შევეცდები, ასეთ მტანჯველ რამეებზე აღარ ვიფიქრო, თუ, რაღა თქმა უნდა, შევძელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა


# „ნობათი“ „ცისკარში“

## ეკატერინე აბუთიძე

•

ფიქრთა იდუმალ სავანეში მივალ დაღლილი
მიმძიმს, გავშორდე შენ სამყოფელს, ოცნებით მოვკვდე,
თუმც სიყვარულის სენი მტანჯავს დღემდე ნამდვილი
და სევდიანი ღამეები ფეხდაფეხ მომდევს...
ცრემლების ზღვაში დღის სინათლე კვდება ნელ-ნელა,
ტალღები ქრიან პაწაწინა სხივების ნთებით,
სიკეთის ღიმილს მე მოგიტან უკანასკნელად,
მერე ზღვის ხმაურს გრიგალივით შევუერთდები...

•

გახსოვს სოფელი, ლამაზი ოდა
იქვე მთვარეში ყანები კრთოდა...
შენ, როგორც ირემს ბალახი მთაში,
მიხმობდი, რომ ცა ჩაგეწნა თმაში.
გახსოვს ღობეში მზე მოცინარე,
ხავსიან ქვებზე თვლემდა მდინარე
სივრცე კი მიწის სურნელით კრთოდა
გახსოვს სოფელი, ლამაზი ოდა...

## გელა დაიაური

### ოცნებით შენ-თან

თეთრად ანთებულ მთა-გორთა
ქათქათა მთვარე ანათებს,
ორთავე ვფანტავთ ამბორთა -
უმისამართო ბარათებს.

ვარსკვლავთა თქეშით ირთვება,
ისე მათრობენ თოლები,
თმაში თამაშით ითვრება
თითები ანათრთოლები.

ნათქვამის სითბო დამთენთავს.
„– თუ გავძლებთ უერთმანეთოდ...“,
თხოვნის უთქმელად გათენდა
და განთიადი აენთო.

ქართლის მთებს ათოვს სითეთრე,
თან განთიადი ანთია,
ან უნდა დავთმო ერთ-ერთი,
ან განთიადი, ან თეა.

## ლანა კალანდია



•

ირგვლივ ქარია, მალე ღამდება,
ფიქრი ეხება შორეულ წარსულს,
ო, რა ცუდია განმარტოება,
რა დააწყნარებს ოჰ, ნეტა ამ გულს?!
მართლაც, კარგია თავისუფლება,
მაგრამ, ვინ იცის, ის როდის მოვა,
გულში არასდროს აღარ შეწყდება
ნაზი და ანცი ფიფქების თოვა...

•

შემოდგომის მზე,
გაზაფხულის ცა,
სიყვარული შენი
სიშორიდან მწვავს.
გაზაფხულის ცა,
შემოდგომის მზე...
სიყვარული - შენ!
სიხარული - მე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაზი მკალავიშვილი

### ასე იწყება

მე ფირუზისფერ ოცნებათა უღრმეს მორევში
ვიკარგებოდი, ვეძლეოდი თავდავიწყებას,
ეჰ, რა ვიცოდი, რა ვიცოდი ჯერ ისევ ბავშვმა,
რომ სიყვარული, სანატრელო, ასე იწყება!

მე ვუცინოდი ვარსკვლავებს და იდუმალ მთვარეს
და შენს სილუეტს სხივმფრქვევ ფანქრით ვხატავდი ცაზე,
ეჰ, რა ვიცოდი, რა ვიცოდი, რომ ბავშვურ სულში
ტრფიალის კვირტი იშლებოდა, ძვირფასო, ასე!

●

დღეს თეთრ სიკვდილთან ვიცეკვებ ტანგოს
თვალებდახრილი და ფერმიხდილი,
უბრალოდ მინდა, ტრფობამ გამთანგოს
და სიყვარულით ვპოვო სიკვდილი.

აღარ დავუსვამ სიცოცხლეს მძიმეს,
აღარც ვიტირებ, აღარც შევკრთები,
რა ვქნა, ვერ ვუძლებ მიწის სიმძიმეს
და გავფრინდები სიკვდილის ფრთებით.

## სოფიო კაკაჩია

●

მე მახსენდება
ცა... მზე და დილა...
ყვითელი სილა
ლურჯი ზღვის პირას...
ლამაზი ბიჭი -
გოგონას კბილა...
ცისფერი ზეცა
და ღრუბლის ფთილა...

ნაზი ამბორი
პალმების ძირას,
გადაღლილ მთვარეს
ცის თაღზე ძინავს...
ეგებებიან
მამლები დილას...
და თოლიები
ფრენენ ზღვის პირას...

მე მახსენდება
ბავშვობა შორი...
ცისფერი ზღვა
და რძისფერი დილა...



## ლუი მეღვინეთუხუცესი

### ნელის

ნელი...
შენ ამქვეყნის გშთანთქავს ბნელი,
გაასვენეს შენი მხსნელი;
კვლავ სიყვარულს, ალბათ, ელი,
ყურში ჩურჩულს: - ნელი... ნელი...
თვალს გიბურავს ძველი დარდი,
სევდის თოვლი თეთრად ბარდნის.
სულს მოგტაცებს ნიავ-ქარი,
თითქოს რწმენაც მიაკალი.
ნელი, ქერა როგორ გშვენის,
გამოხედვა ნუკრის, შველის.
კვლავ შეგამკობს თეთრი ფერი
და იქნები ბედნიერი.

●

ეს ცხოვრება კიდე-კიდე,
მსურს, ვიარო კიდევ, კიდევ.
არ ვითვლიდე წუთებს, წამებს;
არ ვდარდობდე გულს ნაწამებს.
მთვარეს მივალ კიბე-კიბე,
ვით ვარსკვლავი, ნატვრა ვკრიფე.
ვცვითე, ვცვითე, ვერ გავცვითე
წუთისოფლის თეთრი სივრცე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მაია ლიპარტელიანი

•

შენ ერთი მშვიდი ფიქრი დარჩი
ჩემს ცხოვრებაში
და მე ვცდილობ, რომ
არ შევეხო ამ ერთ
სიმშვიდეს,
შემოვინახო მომავლისათვის,
როცა ჩემთვის აღარავის
აღარ ეცლება.

•

გზატკეცილზე იდგნენ, მანქანასთან.
- მე გიყვარვარ?! გიყვარვარ-მეთქი?! - ყვიროდა კაცი.
ქალი იდგა. თავჩაღუნული.
ბავშვი ძაან ხმამაღლა ტიროდა. ძაან.

## ეთერ ელერდაშვილი

### დედას

სტრიქონებს ვწერ და შენ მაგონდები
შენი დარდით და შენი გოდებით...

იყო მოლხენა და იყო სევდა, -
დაუსრულებლად რომელიც გდევდა...

იყო ცხოვრება ისეც და ასეც, -
მზის სხივებიც და მუქი ფერებიც,
დედაშვილური გრძნობებით სავსე
მოვალ და ჩუმად მოგეფერები...

### მერე რა

გაზაფხულია? - მერე რა რომ ვერ იკლავ სურვილს?
ზაფხული დადგა? - მერე რა რომ თბილი გაქვს გული?
შემოდგომაა? - მერე რა რომ ფოთლები ცვივა?
ზამთარი დადგა? - მერე რა რომ კვლავ გული მტკივა?..

## გიორგი გაჩეჩილაძე

•

ითოვებს... თოვლი ფარავს სახურავს,
ქუჩები ზამთარს ისევ აწვალებს.
სახლში ვცხოვრობ და ზეცა მახურავს,
გიკოცნი დაბლა დახრილ წამწამებს.

ვშორდები სულის შიშველ სადგურებს...
და ნოემბერი მიკოცნის ხელებს,
ქარი ჩემს ლექსებს გაანადგურებს -
გაცოფებული ჩაჰყვება ხევებს.

დაგეძებ... სევდას ფრთხილად ვაწუხებ,
ვით ამორძალის ძუძუს ნამიანს,
სიზმარი ისევ მომხვევს მარწუხებს
და მოკლავს ჩემში კაცს, ადამიანს!

ითოვებს... თოვლი ფარავს სახურავს,
ქუჩები ზამთარს ისევ აწვალებს.
სახლში ვცხოვრობ და ზეცა მახურავს
გიკოცნი დაბლა დახრილ წამწამებს.

## ილია შუღლიაშვილი



### კაენი

რა ქენი, კაენ!..
და სიზმარი თითქო დასრულდა,
სისხლი შეჩერდა,
გზა მომავლის დაბნელდა ძალზე,
უმანკოების ცაზე
მეხმა, დაისადგურა
და ცეცხლში იწვის სინანული
მიუვალ მთაზე.
ცოდვით ავსილი ზღვა
გადასცდა ყოველგვარ ზღუდარს!..
ტირის სამყარო...
ეს რა ქენი,
რა ქენი, კაენ!..

•

სასაცილოა,
როცა კაცი
ფიქრობს სიკვდილზე
და თანაც გულში
ამ ცხოვრების
განცდა აწვალებს,
სასაცილოა,
როცა აუგს
ამბობს ტკივილზე
და დაუძლეველ აჩრდილივით
სულ თან ატარებს...

## სოფიო ტატურაშვილი

# მარადიული წუთები

●

სწრაფად გაქანდა სივრცე და ჰაერი. ისე სწრაფად და ელასტიკურად მიემართება, რომ საოცარი გრძნობა იპყრობს ადამიანს. იმ გაჭვარტლულ კედლებს მოედო, საოცრებად დაელექა თბილ სიშავეს. გიზგიზებს ცეცხლი ბუხარში. მგზნებარე ენები ჯერ ერთმანეთს უერთდებიან, მერე წუთით შორდებიან. აი, ხელებიც გასწიეს ერთმანეთისკენ. მაგრამ ერთი სწრაფად ავარდა მაღლა და ფერად ალად გადაიქცა. ამ გაჭვარტლულ, მაგრამ მოზრდილ ოთახში სტუმარმასპინძლობა გამართულა. ჯამებით სვამენ ღვინოს და მღერიან. ხმას აწვდენენ ჭვარტლიან ჭერს, უხმო კედლებს.

გოგო გამოცქრიალდა. მერე რა გოგო, ლერწამივით აზიდული ტანით და დიდრონი თვალებით. ბიჭი შორიდან უმზერს ვნებით. აი, შევარდა წრეში, ფეხი იატაკს დაჰკრა, ხელებმა მაღლა დაიწყეს ტრიალი და, თითქოს... თითქოს, შეზანზარდაო გაჭვარტლული კედლები. გოგომ მკლავები ჩაუფარფატა, თავი უკან გადააგდო და წინ გაიჭრა, ბიჭი დაედევნა და...

საოცარმა წუთმა ჩაიქროლა.

- ბაჩო მათხოვარო, ბაჩო მათხოვარო! - კიბეზე ჩაურბინეს ბავშვებმა.

- დამეხსენით, თქვე ეშმაკებო!

ქუდი ჩამოიფხატა გაშავებულ სახეზე და თავის ძონძებს დახედა სევდიანად. მათხოვრულმა წუთმა შეყლაპა საწყალი ბაჩო.

- შეიწყალეთ ბაჩო, შეიწყალეთ! - ხელი გაიშვირა.

გზა გადაუჭრა ბიჭმა და ხელები გაშალა, თითქოს მის მკლავებში მოქცევას ლამობსო. გოგო სწრაფად დაუსხლტა და გაცქრიალდა. ბიჭმა დაუჩოქა - ახლა მაინც შემიბრალეო. გოგომ სწრაფად შემოურბინა ბიჭს და ხელი გაუშალა. ბიჭი ზეწამოიჭრა და...

„რაო, ბაჩო, მაინც რა არის ცხოვრება?“

- ჰმ, ცხოვრება, ცხოვრება არ არის ბინძური კიბეები და ჩემს წინ გაშვერილი ხელი. ცხოვრება გახურებული ცეკვაა, სიმღერას რომ აგუგუნებენ, შედევრებს რომ ქმნიან, ერთმანეთი რომ უყვართ და...

და კიდევ...

„კიდევ რა, ბაჩო?“

- კიდევ, ბაჩო მათხოვარს რომ არ იძახიან.

„ბაჩო, შენ ხომ თქვი ცეკვა-თამაშიაო ნამდვილი ცხოვრება. ჰოდა, უსმინე, ნუთუ არ გესმის ცეცხლოვანი ხმა? ეს ცხოვრების გუგუნია, ბაჩო, თავისი ცეკვით, მრავალჟამიერით, შედევრებით და კიდევ სიყვარულით. ხედავ, როგორ მისდევს ის ბიჭი გოგოს? როგორი თვალებით უმზერს? ეს სიყვარულის თვალებია, ბაჩო. ეს საოცარი წუთი მაგ მათხოვრულ წუთს სძლევს, მაგ ღარიბულ წუთს იხსნის და ნათელ სხივებში მოაქცევს, რადგან ის ცეკვა, ის სიმღერა და ის შედევრები მოდიან და მოდიან. და კიდევ, შეხედე, როგორ შემომდგარა მწვერვალზე ადამიანი და როგორი სიყვარულით გადასცქერის თავის ქვეყანას. მისთვის არის მზად, მისთვის არის მარადის. ეგ მათხოვრული წუთი ამ საოცარი წუთის სინათლეში მოექცევა.

- ეეეჰ!

ერთმანეთს გაუსწორდნენ, ერთმანეთს შეაცქერდნენ თვალებში და თითქოს დანებდა გოგო, მოდუნდა და ბიჭი ხელზე ეამბორა, ჩამოთლილ თითებზე.

ტაშმა იგრიალა. კედლებმა ზანზარი იწყეს. სადღეგრძელო შესვეს მომავლის. იმ გოგოსა და ბიჭის სადღეგრძელო, რომლებიც ფეხდაფეხ აჰყვნენ იმ საოცარ წუთს ბნელი წუთის დასამარცხებლად.

„რაო, ბაჩო, გჯერა მომავლის?“

ღმერთო ჩემო! ამ წუთმა ბაჩოც დააჯერა.

ამიტომაა საოცარი.

●

ვაშტერდები წუთს სიყვარულისას. როდესაც იგი გაჩნდა, მაშინ დაიწყო მარადისობამ აქაფება და ტალღებად წამოსვლა. ადამიანმა კი შეიგრძნო იმ წუთის სიბობოქრე. მას დაემონა და ბრმად მიჰყვა მის ღელვას.

ნეტავ, რამ გაგაჩინა ამქვეყნად. ნუთუ შენზე ძლიერი კიდევ არსებობს თვალსაწიერზე?! მხოლოდ ღმერთებმა იციან შენი სამყოფელი. მხოლოდ ისინი ცნობენ შენს იდუმალ გზებს. ღმერთებმა იციან მოხოლოდ, იმიტომ, რომ შენც მათსავით მარადიული ხარ.

ერთი წამი, ერთი ქროლვა გამოივლის. ერთმანეთს შეხვდებიან და... ამაღლებას იწყებს დრო. თითქოს კოსმოსში გადაინაცვლებს სივრცე და იქიდან ხდება შესაძლებელი სამყაროს დანახვა.

სიყვარულშია ბედნიერება
უბედურებაც სიყვარულშია
სიყვარულშია ტკივილი დაუსაბამო
სიყვარულშია ამაღლებული სივრცე და დრო
სიყვარულშია თავგანწირვა

სიყვარულია ნაზი, სიყვარულია ძლიერი და ამიტომაც ბუდობს მასთან ერთად საოცრება.

თმები გაუშლიათ. ქალღმერთებივით ჩამომსხდარან მდინარის პირას და ამღერებენ ჩონგურს. ლამაზი ყვავილები რიალებენ მთის მწვერვალებზე, სხედან და ამღერებენ.

მიჰქრის მატარებელი.

ჩურჩულებენ. თითქოს ფოთლები შრიალებენ. ეს ჩურჩული ტაძრის კარიბჭემდე აღწევს და იქ იქცევა ხმამაღალ სიტყვად.

მიჰქრის მატარებელი.

ვიღაც უძირო ზეცას შესცქერის. ვიღაც ხმალს დაჰყურებს, ვიღაც დროშას იღებს და წასასვლელად ემზადება.

სამყარო შეკრიბა სიყვარულმა.

მიჰქრის მატარებელი.

P. S. წვიმიან ღამით მის ნაკვალევს გამოუდგება და ლოცვას დაიწყებს. თუნდ არ გამოჩნდეს, მაინც დაადგება მარადიულ ბილიკს. ივლის და დაქანცვამდე ილოცებს, უკანასკნელად შეხედავს გზებს.

იქნებ, მთვარე ამოგორდეს ან, იქნებ, მისმა თვალებმა დაიწყონ კამკამი?

●

რომ დაგინახე, სულ პირველად რომ დაგინახე, რა გავიფიქრე, ნეტავ? როდესაც შენს ათრთოლებულ სხეულს, შენს მკერდს შევეხე, რა ვიგრძენი, დედა?

მაშინ დაიწყო ალბათ, მარადისობა ჩემთვის. მაშინ შევიგრძენი ამაღლებული წუთი. იმ წუთზე კი ახლა ვწერ. გიძღვნი მთელ ჩემს სიცოცხლეს, ჩემს ამოსუნთქვას, ჩემი ლექსების, ჩემი ფრაზების ქროლვას შენ გიძღვნი.

სიყვარულმა შეკრიბა სამყარო. შენ კი სიყვარული შობე, შობე და გზა მიეცი დაუსაბამოდ. სათავე ხარ სიძლიერის. ასეთი სიწმინდე ტაძრების ფრესკებზე თუ მინახავს მხოლოდ. მათში მიგრძვნია ის ამაღლება და სიდიადე.

სხივი რომ შემოიჭრება და ტაძარს გაანათებს, შიგნიდან მეც ვნათდები. გუმბათთან ახლოს ზარი რეკავს და წმინდა მამა ქადაგებას იწყებს. მეც ვდგავარ და ვუსმენ, ვუსმენ უსასრულოდ.

ნანაუ... ნანაუ... ნანაააა

დედა ღვთისმშობელი ტაძარს ჩამოსცქერის.

მე ქადაგებას ვუსმენ. წმინდა მამას სივრცისთვის მიუპყრია თვალები. ტუჩები ათრთოლდნენ.

მრევლი გაოცდა. მრევლს გაუკვირდა. პირჯვარს იწერენ. მე არ მიკვირს. სულაც არ ავთრთოლებულვარ. პირიქით. უფრო ძლიერად დარეკა ზარმა. ღვთისმშობლის თვალებმა დასტური მითხრეს.

ნანაუ... ნანაუ... ნანააა

გესმის დედა? შენ ღმერთთან ერთად დაიბადე, შენ ღმერთს შეგადარეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ვანო გოლიაძე

•

ხმა ჩამესმოდა იმედის,
ზეცით მოჰქონდა ნიავსა,
მიწა შემკული იებით
შეეპყრო ეშმას ტიალსა...

ბერმუხა მაინც შრიალებს,
ქართლ-კახეთს ვხედავ მთიანსა;
ეს ჩვენი ტურფა სამშოლო
ემსგავსა ურმის ჭრიალსა...

•

ჩემს ოცნებებში ვიარებით ერთად მე და შენ,
ვარდ დაფენილი ბილიკები იკლაკლებიან,
ჩემო სიცოცხლევ, თვით ოცნება - ეს თავად შენ ხარ
და ოცნებები ჰგვანან გემებს იალქნებიანს...



## ცია ცხოვრებაშვილი

დედი!

ყოველდღე ლექსს გწერ,
ყოველდღე გაბრაზებ,
ყოველდღე გეკერები,
გაღმერთებ, გაფასებ,
შენზე უკეთესი, შენზე უნაზესი
არვინ მეგულება
ამქვეყანაზე...

•

მინდა, ვიყო მზე,
ქარი ანდა ზღვა,
მინდა, გიმღერო შენ
და არა სხვას...

•

წუთისოფელი ძლიერ ჭრელია,
ავის და კარგის ერთად მქმნელია,
ხშირად შლეგია, ხშირად ბრძენია,
ბოლოს კი მაინც... მოსაწყენია.

## გიული შაბაშვილი

•

გიბოძებ სამყაროს,
გაჩუქებ ქარს,
გაგიყოფ ვარდობის
ერთადერთ წამს...

გაგიცვლი გულს გულში,
გაგიშლი მკლავს,
ამდენ ხანს რატომ
ვიტყუებ თავს...

•

მთვარე მთოვარე,
მთვარე მთოვარე,
შენთან ნისლებში
ღამე მოვალ მე...

იქნებ გუმბათებს
თვალი მოვავლე,
შავებს გაიძრობს
ქალი მგლოვიარე...

მთვარე მთოვარე,
მთვარე მთოვარე,
შენთან არასდროს
აღარ მოვალ მე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დათო ყანჩაშვილი

●

ჰორიზონტს მიღმა
ცას და ხმელეთს
ერთურთს მივკვანძავ.
სიცოცხლის ბოლოს მივადგები
სიკვდილის საზღვარს,
არვინ მასწავლა,
რომ ბოლოში არ ღირდა გასვლა...
ცელქი ბავშვი დამტუქსეს წლებმა,
თეთრი თითები ბერიკაცმა
თავს გადამისვა,
გვერდით დამისვა
სიმარტოვის ბნელმა აჩრდილმა,
ჩემი ბავშვობის ცრუ მეგობარმა...
და დედოფალა,
ბავშვობაში მე რომ მიყვარდა,
მიატოვეს ბოროტმა წლებმა.
გახუნდა და ვერ გაიზარდა,
ბავშვობის სევდა,
გულისსწორთან ნაზიარები,
სულ დაიკარგა...
სიცოცხლის ბოლოს მივადექი
სიკვდილის საზღვარს...
შენ არსად ჩანხარ,
დედოფალავ,
შენ არსად ჩანხარ,
სიკვდილთან არ ხარ,
მიხვდა, ალბათ, რომ
სხვაგვარი სული გეხატა
ლურჯფერ თვალებში
და დაგიმალა სიკვდილის განცდა...

## თამუნა ბერუჩაშვილი

### ტირიფი

*შოთა ნიშნიანიძის ხსოვნას*

შეკრთა ტირიფი ცად ატოტილი,
თითქოს ღვთიური ხმები მოესმა,
ვეღარ იკმარა მიწა ცოდვილი
სულმა ამაყმა, უსათნოესმა.
მიდიხარ, დიდი სიკეთე გახლავს
შარავანდედით სივრცეებს კეცავ,
დიდრონ ტოტებით აერთებ ახლა
შენი მამულის მიწას და ზეცას.
შენ საქართველო გიხსენებს რიდით,
დილა სტრიქონებს სხივებად გაშლის
და ამქვეყნიურ სამყაროს იქით
აშრიალდება ტირიფი ქარში!..

●

ოდითგან დადის ლანდი ვიღაცის
და ამ ცხოვრებას ამსგავსებს სიზმარს, -
- პირველობისთვის ვინაც ისწრაფვის,
ის ვერასოდეს მიაღწევს მიზანს.
სხვა რაღა გინდა იმაზე მეტი,
თუ შენი შრომით ხარ ბედნიერი,
მხოლოდ თავმდაბალს უღიმის ბედი
და თავმდაბლობით არის ძლიერი.
წინ ივლი, როცა მოყვასი გიყვარს,
თუკი ერთი გაქვს სიტყვაც და საქმეც,
სჯობს, სხვამ ჩაგთვალოს სახელის ღირსად,
ვიდრე სიცრუით იხვეჭდე სახელს!..

### დილა

ბალახზე ნამი ისე ანათებს,
ცისკრის სხივები დაიბნა თითქოს,
უნდა იცოცხლო ქვეყნად, სანამდე
უფალი შენგან სიკეთეს ითხოვს.
დგას განთიადი მზით სავსე თასით,
სინათლე შველის სინანულს ჩემსას
და მიხარია, სიცოცხლის ფასი,
რომ არაფერი არ არის ქვეყნად!..

## თამარ მამისაშვილი

●

მინდა, მესიზმრო და მუქ თმაში მთვარეს მიწნავდე,
მოხვალ მზით სავსე და შემკრთალი მომეფერები...
და გესმის ნუშის ყვავილების ცვენა მიწაზე
და საღამოჟამს წყნარი ლოცვა მწუხრის ბერების.

მეცმევა კაბა მე წყლისფერი და მზის წინაშე
მზესუმზირები ჩამოხრიან თავებს სევდიანს
და შროშანები მარტოობით შეშლილ წვიმაში,
როგორც მოწყენილ მონასტერში, აღარ შედიან.

მაკრთობ... მაღალი გათენება, ღამის მიქცევა...
და როგორ მინდა, თმაში წყლისფერ შროშანს მიწნავდე,
სუნთქვაშეკრული უსმენ შემკრთალ ჩემს გულისცემას
და გესმის ნუშის ყვავილების ცვენა მიწაზე.

●

შენი მკლავებით მარტვილობა დამაქვესკნელებს -
მოვალ ალერსით გაცრეცილი მთვარით შიშველი.
ბინდის საყდარი აივსება ლურჯი ფრესკებით
და გაზაფხულზე მოვლენ თოვლი და ბოტიჩელი.

სამრეკლოებზე დასხდებიან ანგელოსები,
შენი ალერსი გააოცებს ცათა ხვეულებს.
სველ დედამიწას გაზაფხული დაელოცება
და მთვარით სავსე იმარხულებს ჩემი სხეული.

ილოცებს მიწა გაზაფხულის არაბესკებით.
ალერსით მკრთალად გაცრეცილი მთვარით მიშველი.
ნაზი ამბორით მაზიარებ ვნებას ფრესკების,
როგორც გაზაფხულს, მარტვილობას და ბოტიჩელის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გზა - 1974-დან დღემდე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრეს ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ უნივერსიტეტში მანამდეც არსებობდა ახალგაზრდა შემოქმედთა ერთგვარი გაერთიანება. ამგვარი აზრის გამოთქმის საფუძველს ისიც გვაძლევს, რომ წიგნში „ლიტერატურის მატიანე" (N7-8, 1982 წ.) დაბეჭდილია ერთი ფოტოსურათი, რომელსაც ქვეშ ასეთი მინაწერი აქვს: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრე (1939 წ.)!. ფოტოზე არიან: ალექსანდრე საჯაია, რევაზ მარგიანი, ლადო ბალიაური, კოტე ხიმშიაშვილი, ნიკოლოზ ტატიშვილი, ვლადიმერ უბილავა, გიორგი ძიგვაშვილი, ლადო სულაბერიძე, გაბრიელ ჯაბუშანური, იოსებ ნონეშვილი, ანდრო თევზაძე.

უნდა ვიფიქროთ, რომ მეორე მსოფლიო ომს და 1942 წლის შეთქმულთა ჯგუფის დახვრეტას, რომელშიც ძირითადად ახალგაზრდა მწერლები და ლიტერატორები იყვნენ გაერთიანებულნი, ამ წრის არსებობაც უნდა შეეწყვიტა.

და აი, 1947 წელს უნივერსიტეტის რექტორმა ნიკო კეცხოველმა შემოიკრიბა შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ოცდაათამდე ახალგაზრდა და მათი ნაწარმოებების საჯარო კითხვა-განხილვა მოაწყო. სხდომაზე წამოიჭრა საკითხი - დამწყებ მწერალთა ძალებით შექმნილიყო ლიტერატურული წრე. ამ ფაქტს მოგვიანებით ასე იხსენებდა ნიკო კეცხოველი: ახალგაზრდა მწერლები „მეორე დღეს რექტორის კაბინეტში შეიკრიბნენ და გადაწყდა, ალმანახი გამოგვეცა და მისთვის „პირველი სხივი" გვეწოდებინა. ეს იმიტომ კი არა, რომ ვითომ უნივერსიტეტის პირველი კრებული იყო, არა. ეს ალმანახი იბადებოდა იმ ოთახში, სადაც 1914 წელს ქართული გიმნაზიის მოწაფეებმა თავისი ხელნაწერი ჟურნალი „პირველი სხივი" დააარსეს" (ნიკო კეცხოველი, სიცოცხლის სახსოვარი, „ლიტერატურული საქართველო", 1968 წ., 18 ოქტომბერი, N 42).

ალმანახის პირველი ნომერი 1950 წელს გამოვიდა.

უნივერსიტეტის რექტორის, პროფ. ნიკო კეცხოველის 1951 წლის 24 დეკემბრის ბრძანებით ამ წრეს ოფიციალურად ეწოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალზგაზრდა მწერალთა წრე". ხელმძღვანელად დაინიშნა კრიტიკოსი ბესარიონ ჟღენტი.

ალმანახში დაბეჭდილ ავტორთაგან თანდათან გამოიკვეთა ქართულ მწერლობაში დღეისთვის კარგად ცნობილი სახელები: ნოდარ დუმბაძე, თამაზ ჩხენკელი, არჩილ სულაკაური, რევაზ ინანიშვილი, აკაკი გეწაძე, მაგალი თოდუა, მუხრან მაჭავარიანი, შოთა ნიშნიანიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, მორის ფოცხიშვილი, ნაზი კილასონია, ნოდარ ჩხეიძე, ოთარ ჭილაძე, თამაზ ჭილაძე, გივი გეგეჭკორი, ვახტანგ ჯავახაძე, ლია სტურუა, ბესიკ ხარანაული...

დღეს მოქმედ ახალგაზრდა მწერალთა უმრავლესობაც უნივერსიტეტის ლიტერატურული წრის აღზრდილია.

მწერალთა წრე ამჟამად აერთიანებს უნივერსიტეტის სტუდენტებს, ასპირანტებსა და ახალგაზრდა თანამშრომლებს. ლიტერატურული წრის კარი ღიაა რესპუბლიკის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული სტუდენტებისა და, საერთოდ, ახალგაზრდობისათვის.

მალე გამოვა „პირველი სხივის" საიუბილეო, 30-ე ნომერი.

**ტრისტან მახაური**

*„ცისკრის" დამატება „ნობათი" წარმოგიდგენთ რამდენიმე ნიმუშს თსუ ახალგაზრდა მწერალთა წრის წევრების ერთი ნაწილის შემოქმედებიდან.*

# ნინო ხანდოლიშვილი

## მე და ის

შიშველ ხეს ვუახლოვდები... მიმზიდველად დაჰყურებს მთვარე და დედამიწას ჩრდილავს ხის ტოტები.

ღამეა... ცივა... სიჩუმეა...

მეც შიშველი სულით დავდექი ხესთან. თმაზე სუსხიანმა სიომ დამიბერა. დედამიწა დახაზა ჩრდილებმა... ცაზე ვარსკვლავები კიაფობენ.

მთვარე გაშიშვლებულ ტოტებს ეფსალმუნება... ჩურჩულებს ქარიც. მკერდზე ეფერება ხის ტოტებს...

ლურჯ ზღვასავით ლივლივებს ცა...

ნელ-ნელა ვუახლოვდები ხეს... სიჩუმეა... ხელით შევეხე და ვიგრძენი, სიცოცხლე არსებობდა მასში, თითქოს სისხლმა დაიწყო ძარღვებში ჩქეფა... გულისცემამ მიმატა. ვიგრძენი, მასში ნაცნობი სული რომ იყო. არ მსურს, ხელი ავუშვა... თვალები დავხუჭე...

მუსიკის ფონზე ლამაზად ვცეკვავთ მე და ის... სათნოებით შევეხე ხელს, ვიგრძენი, სითბო ჩამეღვარა სხეულში. ვთრთი. თვალები დავხარე. ვიგრძენი, ჩემს სახეს სიყვარულით გამთბარი სხეული შეეხო...

...გამოვფხიზლდი...

მირაჟივით გაქრა ყველაფერი...

...სად ვარ?!

ნუთუ აქ?! ამ სივრცეში. ნუთუ მომეჩვენა.

ნუთუ ეს ყველაფერი მირაჟი იყო, ლურჯი მირაჟი...

...ვთრთი... სიცივემ გულში შემოაღწია. უშენოდ ვარსებობ... დაბრუნდი, გთხოვ!!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხსოვნა

## ნონა გიორგაძე

*შარშან ტრაგიკულად დაიღუპა ახალგაზრდა პოეტი გოგიტა არაბული. გთავაზობთ მოგონებას და მის ერთ ლექსს.*

გამარჯობა, გოგიტა...

ეს ყველაზე ტკივილიანი ბარათია, რაც კი ოდესმე მომიწერია...

არადა, წინა ბარათი იების ლურჯი ღიმილით იყო განათებული.

ბატონ ტრისტან მახაურს ვთხოვე: გოგიტა ძალიან მენატრება, იქნებ, ჩემი ხმა როგორმე მიაწვდინოთ-მეთქი ჩვენს არეულ ყოფას ნებით თუ უნებლიეთ განრიდებულს...

რა თქმა უნდა, დამთანხმდა...

იმ წერილშიც მენატრებოდი და ახლაც მენატრები...

ოღონდ მაშინ იმედებით სავსე გწერდი... ახლა უიმედობით უმწეოდ თავდახრილი...

გოგიტა! ჩემო ზნეკეთილო მეგობარო!

ამ მტვრიან ქვეყანაში რა სუფთა და გულმართალი დააბიჯებდი.

უხდებოდი ქალაქს... უხდებოდი უნივერსიტეტს...

ძალიან თბილი... ძალიან კეთილშობილი...

მენანები.

„არავინ იცის, საწუთრო ვის როგორი ხვედრით აგვზომ-აგვწონის, საწუთრო, რომელიც მწერლისთვის უზომოდ ხიფათიანი და ხარბია; „-ეს ხომ შენი სიტყვებია, გოგიტა... შენთვის მართლაც ხიფათიანი და ხარბი საწუთროს ნაკარნახევი საშინელი წინათგრძნობა.

ვხედავ, როგორ ჩამოდის წყაროზე ნარნარ მხრებზე მთვარის ჩქერ-ნათელდაფრქვეული შენი შუქია... ვხედავ შენს მოლოდინით ანთებულ, სიყვარულმოწყურებულ თვალებს სწორფერის.

არ გეკითხები, რატომ? ჩემო ამაყო გოგიტა!

ალბათ, იმიტომ, რომ ცხოვრება ბაირონის „წყვდიადს“ დაემსგავსა... მთელ სამყაროში მეუფება ხელთ იგდო წყვდიადმა...

შენ ვერ იგუებდი ასეთ წყვდიადს...

შენ სულნათელი იყავი და სინათლისკენ მიიწევდი...

ალბათ, ამიტომაც გაშალე ასე თამამად მკლავები... თითქოს გულში ჩაიხუტე მთელი თბილისი...

ხშირად მოვყვები შენს ნაკვალევს, გოგიტა...

არ მეშლება... ვცნობ მის განუმეორებელ სისუფთავეს...

მოვყვები და მომაქვს შენთვის მინდვრის ყვავილები... უფრო ხშირად - იები... დავცქერი დიდხანს... საოცრად დიდხანს ამღვრეულ ზვირთებს და ცრემლებივით ვყრი მტკვარში ხელისგულსითბოშეჩვეულ ყვავილებს...

## გოგიტა არაბული

### უღელი

მედგა უღელი და სულს ვღაფავდი
და ჯაჭვ-ბორკილი ქედზე მეკიდა.
ვინ გამიძარცვა ჩემი ახადი,
ვინ გამიფრინა გნოლი დეკიდან.
უფალს რად უნდა ჩემი წამება,
მე მირჩევნია ბორკილს უღელი.
ვით იმედების აწამწამება,
ისე მოვიდა მტერი წუხელის.
ვიცი, მიჯაჭვულს მე ვერ მნახავენ,
თუმც, ვით პრომეთე, ცეცხლს ახლაც
ვპარავ...
სიტყვის ულლისთვის ვერ დამძრახავენ,
არა და არა, არა და არა!
ან ვის გავანდო სიტყვა საღარი,
ირგვლივ ქაოსის ბნელი ხაროა,
მტოვებს სხეული ნატუსაღარი
(და გამოგლოვაც სამწუხაროა).
...მთვარის სიკვდილი ვინ დაიჯერა,
ენგურში კვდება ყველა თარაში.
ჩემი ვის ესმის, ჩემი ვის სჯერა
და მე რა მინდა ამქვეყანაში.

**1995 წ.**

## ნინო მაღრაძე

•

ყველა აღმართი ცხოვრებიდან მართმევს რაღაცას,
ღალატს მოუნდა, სასიკვდილოდ ხმალზე ამაცვას.
...დაიმედება დამიდგება ღამის თავდებად,
...მონატრებული მოლოდინიც დამიმთავრდება!
თუმც ყურთასმენას ხმა მისწვდება სხვა მედავითნის,
ცა დაჩოქილი დამნაშავე წუთებს დაითვლის
ო, დედამიწავ,
შენ ხარ მხოლოდ ჩემი მშობელი,
ხელი მომეცი... სულ ცოტა ხნით
გემშვიდობები...

•

დღევანდელი დღეც მიიწურა თითქმის ტაატით...
მარადისობის უფსკრულეთში გაიქღარუნა.
თორმეტს გადასცდა...
შენ რაც გინდა, ამას დაარქვი.
უძილობა მჭირს,
...შემაწუხა ღამის ხმაურმა
გული გონებას ჩანაფიქრსაც არ დაანახებს,
რადგან შეცდომის არ ისურვა გამოსწორება.
მინდორზე დავკრეფ მოთმინებით ცვრიან ზამბახებს
და მუზად ვაქცევ...
რომ მივუძღვნა მთელი ცხოვრება!

•

ქარიშხალია, ხვალ დაგითვლი მარტო ნამსხვრევებს,
„გმირთა ვარამი“ იმქვეყნადაც არ მომასვენებს.
თავზე მატყდება შუა ზამთრის ცივი ყინული,
როდემდის ვივლი ასე ბრმა და თვალახილული.
მიზანი ცისკენ ატყორცნილი ვის დაუთმია,
მარადისობა უსაშველო ერთი წუთია.
ოკეანეში ყველა წვეთი ზვირთის მონაა.
დღეს ჩემი სულის ამორძალი მე თვითონა ვარ.
რატომ უხდება უკუნეთსაც ზოგჯერ შერისხვა?!
მონატრებული მოთმინება ჯერ ვერ მეღირსა
შემისვა მხრებზე ანგელოზმა და დამანარცხა
მომკლა ტკივილმა, მაგრამ მაინც ვერ დამამარცხა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ომარ სეიფედდინი

## ფორსა [1]

ერთი გასაცოდავებული თურქი ტყვე მენიჩბე იყო, რომელსაც მუდამ მის გასათავისუფლებლად უთვალავი, გაბერილი იალქნით მოსული თურქული გემები ესიზმრებოდა. ტყვეობიდან 40 წელზე მეტი იყო გასული.

30 წლის წუნარი მედიდური ვაჟკაცი მალტის მეკობრეებს ჩაუვარდა ტყვედ. 20 წლის განმავლობაშიმ ათ გემებზე მენიჩბედ იყო. 20 წელი ჯაჭვით ორივე ფეხშეკრულმა მათი გემების ნესტიან სარდაფში იცხოვრა...ჯაჭვი დაუანგდა, დალპა, გაწყდა... მის რკინასავით ძლიერ სხეულს კი არაფერი დაუშავდა. როცა 40 წლისა გახდა, მეკობრეებმა - ამიერიდან მენიჩბედ ვეღარ ივარგებსო, თქვეს და ერთ-ერთ კუნძულზე მონად გაყიდეს. ბატონი საშინლად წუწკი ვინმე გამოდგა, რომელთანაც 10 წელი მხოლოდ გამხმარი პურის საფასურად იმუშავა. თუმცა ბედის კმაყოფილი იყო და ღმერთს ბევრ მადლს სწირავდა, რადგან წინანდებურად ფეხებმიჯაჭვული არ იყო. წესისამებრ იღებდა აბდესთს[2], პირს ყიბლესკენ[3] მოაქცევდა და ლოცულობდა. მისი ერთადერთი სურვილი სამშობლოს ნახვა იყო. მთელი 30 წლის მანძილზე ეს სურვილი ოდნავადაც არ განელებია.

იგი ყველაზე სახელგანთქმული და ცნობილი თურქი მეზღვაურებიდან ერთ-ერთი იყო. ჯერ კიდევ 20 წლის ასაკში ჩრდილოეთის ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით თვეების განმავლობაში უმოგზაურია და ტარიკის სრუტე გადაულახავს. გზად შემხვედრი დასახლებული კუნძულებიდან „ჯიზიებიც" აუკრეფია, მტრადმომხდური დიდი თუ მცირე ფლოტი მარტოს თავისი მსუბუქი გემით დაურბევია. იმ ხანად მისი სახელი, მართლაც და ლეგენდად იყო ქცეული.

...შვილი თურქუთი ახლა 40 წლისა უნდა ყოფილიყო. ნეტავი, მეუღლე ქალი, რომელზეც ჭკუას კარგავდა, ცოცხალი იყო?! 40 წელია, რაც ტყვეობიდან გავიდა, მაგრამ სტამბულის მინარეთებიანი ქუჩები მისი მეხსიერებიდან მაინც არ იყო ამოშლილი.

„გემი რომ მქონოდა, ღუზას ავწევდი, თვალს დავხუჭავდი და უკიდეგანო ზღვაში გავცურავდი" - ფიქრობდა იგი.

60 წელს რომ გადააბიჯა, ბატონმა სიტყვით „გაათავისუფლა". ეს გათავისუფლება კი არა, ქუჩის შიმშილსა და სასოწარკვეთაში მოსროლა უფრო იყო. მოხუცი ტყვე ახლა ერთ მიგდებულ ძაღლის ბუნაგში იფარებდა თავს. აქ შესვლა მისთვის არავის დაუშლია.

...სიზმრები კი კვლავინდებურად არ ეშვებოდნენ, 40-წლიანი სიზმრები... თურქების, თურქული გემების მოსვლა.

- მოდიან!.. მოდიან! შენს გადასარჩენად მოდიან! - მთვლემარეს თოლიების ჟივილ-ხივილი ამ სიტყვებად ჩაესმა; სიზმრად თურქული გემების ნავსადგურში მძიმედ შემოსვლას ხედავდა...

- ჩვენები! ჩვენები! - იყვირა და თავის ყვირილზე გაეღვიძა.

სიზმარი გამართლდა. მის ტანზე ამძვრალი ხვლიკები დაფრთხნენ და გაუჩინარდნენ. მოხუცმა ნავსადგურისკენ გაიხედა. მართლაც, ციხესიმაგრეს გემების ფლოტი უახლოვდებოდა. სამხედრო გემების აფრებსა და ნიჩბების ზომას დააკვირდა, თვალები გაუფართოვდა, გული საგულედან ამოვარდნას ლამობდა, ხელები გულზე მიიდო. ესენი თურქი მეზღვაურები იყვნენ, სანაპიროს უახლოვდებოდნენ. თვალებს არ დაუჯერა, ნეტავი, სიზმარი ხომ არ გრძელდებაო? - გაიფიქრა შემცბარმა. მაგრამ გაღვიძების შემდეგ განა სიზმრის ნახვა შესაძლებელია?.. ცხადში დასარწმუნებლად ხელზე იკბინა, მიწიდან წვეტიანი ქვის ნატეხი აიღო და შუბლზე მიიჭირა. დიახ, აგერ გრძნობს, ღვიძავს, ე.ი., ნანახი სიზმარი არ ყოფილა. სიხარულისა და გაკვირვებისგან მუხლები მოეკეცა, მყისვე ჩაიჩოქა. სანაპიროზე გადმოსული სამხედრო ნაწილები წითელი დროშის ფრიალით ციხესიმაგრეს უახლოვდებოდნენ. 40-წლიან ლოდინს ბოლო ეღებოდა...

ყვავილებით დახუნძლული ნუშის ხეების ტოტებით დაჩრდილულ გზაზე თავაწყვეტით მირბოდა მოხუცი ტყვე. ჯარისკაცებმა ვიღაც თეთრწვერა მოხცი მათკენ მორბენალი რომ დაინახეს, გაჩერდიო - დაუყვირეს, მოხუცი არ გაჩერებულა, მხოლოდ ხმამაღლა იძახდა:

- მე თურქი ვარ, შვილებო, თურქი ვარ!

ჯარისკაცები დაელოდნენ. მოხუცი მიუახლოვდა თუ არა, პირველ შემხვედრსვე გადაეხვია. თვალებიდან ცრემლი სდიოდა. ჯარისკაცებსაც აუჩუყდათ გული. მოხუცმა ცოტათი რომ მოითქვა სული, კითხეს:

- რამდენი წელია, რაც ტყვედ ხარ?
- ორმოცი.
- სადაური ხარ?
- ედრემეტელი [4]
- რა გქვია?!
- ყარა მემიში
- კაპიტანი იყავი?
- დიახ.

უცებ მოხუცის გარშემო შეკრებილ ჯარისკაცებში ჩოჩქოლი ატყდა. „უფროსს მოახსენეთ, უფროსს მოახსენეთ!" მოხუცს მკლავებში შეუძვრნენ და მყისვე სანაპიროსკენ გაიტაცეს. ნავში ჩასვეს და გემზე აიყვანეს. ჯარისაცებს შორის არ მოიპოვებოდა ისეთი, რომელსაც მოხუცის დიდებაზე მოარული ლეგენდები არ სმენოდათ.

40-წლიანი ლოდინის შემდეგ თანამემამულეების ასეთი მოულოდნელი ხილვისგან მოხუცი ერთბაშად გაშტერებულიყო. გემბანზე ცოტა ხანს შეაყოვნეს. შარვალი ჩააცვეს, ქურქი მოასხეს, თავზე ფოჩებიანი ქუდი დაახურეს და - აბა უფროსთანო - დაიძახეს და გემის უკანა კიჩოსაკენ გააქანეს. მოხუცი უცებ ჯავშანჩაცმული, შავულვაშიანი, გოროზი შესახედაობის კაცის წინაშე აღმოჩნდა.

- შენ კაპიტანი ყარა მემში ხარ?
- დიახ.
- მართალს ამბობ?
- ტყუილი რატომ უნდა ვთქვა!
- მანახე მარჯვენა მკლავი.

მოხუცმა ქურქის სახელოდან მარჯვენა მკლავი გამოაძრო, აიკაპიწა და უფროსს გაუწოდა. კუნთზე ჯვრის ფორმის ღრმა ნაჭდევი ჩანდა. ეს ჭრილობა მან ერთ კუნძულზე მიიღო. უფროსმა მოხუცი გულში ჩაიკრა.

- მე შენი შვილი ვარ, - უთხრა
- თურქუთი ხარ? - დიახ.

თურქულიდან თარგმნა ოქტაი ქაზუმოვმა

1. ფორსა - ტყვე მენიჩბე
2. აბდესთი - ისლამურ რელიგიაში - ლოცვის წინ მცირე განბანვა
3. ყიბლე - მიმართულება
4. ედრემეტი - რაიონი (თურქეთში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნანა ეჯიბია

## სიგიჟის ზღვართან

ქალაქის ქუჩები; ხმაური - ყაყანში გადაზრდილი, მძიმე ჰაერი, მტვერი. მიდიხარ... მაგრამ ვერ გრძნობ: ფეხქვეშ - მიწას, მაღლა - ცას, ირგვლივ - ადამიანებს. მხოლოდ ხედავ: ტკივილისგან დაკლაკნილ ბიოლოგიურ არსებებს; გაცრეცილი სახეებით, გაყინული მზერით, დაჭიმული ძარღვებით. ყურთასმენისწამღები, გამკივანი ხმები: „დამეხმარეთ“, „მიშველეთ“, „საზიზღარო, „ბოროტო“. სმენა დახშულია, გამოხედვა - კვლავ შეშლილი; ნისლი ძლიერდება და ჩვენ უფრო მეტად ვიკეტებით საკუთარ არსებაში, უფრო მეტად ვეკარგებით ერთმანეთს. „ღმერთო, რა საშინელებაა!.. მინდა, გავიქცე!..“ გავრბივარ კიდეც, არ ვიცი, საით. ქარი მაყრის მტვერს, გამხმარ ფოთლებს, ვჩერდები; ვიტრინის წინ ვისწორებ გაწეწილ თმას, გამომცდელად ვუმზერ საკუთარ ორეულს, თითქოს პირველად ვხედავ, თუმცა დღეს ხომ ასჯერ, ათასჯერ წავაწყდი მსგავს სახეებს. ათრთოლებული თითებით ვეხები შუბლზე გაჩენილ ხაზებს, აზიდულ წარბებს დაბლა ვექაჩები. ნუთუ შეიძლება მხოლოდ ოცდაერთმა ზამთარმა დაგათოვოს და ასე დამძიმდე?! ორეული დამცინავი ღიმილით მშვიდად შემომცქერის, მე თვალებს ვაცეცებ, მძიმე საგანს ვეძებ; უნდა დავამსხვრიო წყეული მინა, რომ ბოლო მოვუღო სიგიჟეს. „არა, არა, ნუ იზამ მაგას“, - მემუდარება სულის სიღრმეში ჩაბუდებული ანგელოზი. მოთვინიერებულივით ვშორდები ჯადოსნურ მინას. მივდივარ... თან მიმყვება ქარი, მტვერი, ფოთლები.

სახლის კარს ერთად შევაღებთ მე და ღამე. ცარიელი ოთახი, ოთხი ცივი კედელი, დაჭყეტილი ნათურა, მაგიდაზე დაყრილი წიგნები, რვეულები, გაზეთები. აუტანელია ეს ყველაფერი!.. აივანზე გავდივარ, ხარბად ვისუნთქავ გრილ ჰაერს. ქალაქს სძინავს, დაღლილ ძარღვებში მდორედ მიედინება სისხლი, გული ფეთქავს და არც ფეთქავს... გათანგული მივეყრდნობი მოაჯირს, ორი პატარა სარკმლიდან სიკვდილი ნაცრისფერი მზერით გაზომავს მანძილს მიწამდე... „ღმერთო, დამიფარე!“ კვლავ კეთილი ანგელოზი მძლავრობს, ტკბილი ხმით ჩამძახის, თითქოს ნანას მიმღერის, რომ თვლემა მომგვაროს და ძილში მაინც მაპოვნინოს შვება. ამაოდ... ვიცი, კვლავ შემახსენებენ თავს სიზმრები თუ კოშმარები, გათენებამდე გამოვივლი ათას უბედურებას, ტანჯვას, მაგრამ მე მაინც მოთმინებით დაველოდები დილას, რადგან მჯერა: როგორც კი ინათებს, გულში ჩამეკვრება სარკმლიდან შემოპარული მზე, საოცარ სითბოს ჩამიღვრის სულში და მე მივხვდები, რომ ცხოვრება არ ყოფილა ისეთი საშინელი, როგორიც გუშინ მომეჩვენა.

# მაქსიმილიან ვოლოშინი

•

თითქოს წყვდიადმა შთანთქა ყოველი
და დავიბენით... ცახცახებს სული!..
თითქოს მარტო ვართ მთელ სამყაროში
ჩვენ - ბავშვებივით ერთურთს მიკრულნი...

მე სასწაული მჯერა რომ ხდება.
ბედმა·საჩუქრად მე შენი თავი
მომივლინა და, შენ რომ დაგკარგო,
ამის გაძლების არ შემწევს ძალი!

უაზრო დარდით ძლივს ფეთქავს გული.
სანამ ჯერ კიდევ თბილია გრძნობა...
სადღაც შორიდან მესმის ჩურჩული:
ნათიას ვნატრობ და, ვიცი: მოვა?

თარგმნა: **ნათია კასრაძემ**

# ნათია ნაცვლიშვილი

•

დამეკარგე.
ხეზე -
ტოტთა გასაყართან ჩარჩენილი თოვლივით ვარ.
შენამდე თოვლის
დამდნარი და
უსუსური ნაბიჯია...
ვერ გიპოვი.

•

შენი ბილიკი სადღაც აქ დამეკარგა.
სიცარიელეში ბილიკი არ არსებობს.
მე აუტანელი სიჯიუტით ვეძებ.
და, როცა ვცდილობ,
რომ საკუთარ თავსაც გავექცე,
არანაკლებად აუტანელი სიჯიუტით
მომდევენ უკან
ჩემი, საკუთარი ნაფეხურები...

•

მსურდა, ყოფილიყავი ჩემთან,
სული შემომეფარებინა შენთვის ხანდახან...
მსურდა, ყოფილიყავი, ჩემო,
ჩემი საყდარი და სალოცავი...
მაგრამ ბილიკ-ბილიკ სული
სადღაც გტოვებდა და გკარგავდა
ფერდობზე პეშვით ამოტანილ
წყაროსავით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოფიკო ბაშარული

## წულის ცეკვა

დილის ნიავი მოჰქრის ეული,
კეკლუცი ზვირთი წამოვა ნაზად,
კლდეს შეასკდება ანაზდეული
და ტანს შეარხევს ჰაერში, მწყაზარს.
გამოიცეკვებს, დაუვლის ლოდებს,
ხან დაყუჩდება ვნებით აღვსილი.
ახოს სიანცით სიგიჟეს მოსდებს,
მერე იძინებს ქარებს დახსნილი...

## განთიადი

იმედებს მზისას შეეხო ქარი
და ჟრუანტელმა დაუარა ხის ლორთქო ყლორტებს,
შეხეთ, რიჟრაჟი - უცნაური ღამის სარქალი,
ბინდს გააცილებს, შესახვევში გადასცხებს შოლტებს.
მაისის პირზე, მზე რომ მთვარეს გაებუტება,
ცვარი ანაყრებს გაველშებულ ტყეებს უტევანს,
ცას აეწვება ვიწრო ზოლად კალთა კაბისა
ნეტავი, ხილვა განთიადის კვლავაც მაღირსა!

# ხათუნა ჰატაშური

## ფოთლების ეტლით

როს გადაიფრენს კაკბების გუნდი,
მერე მეც წავალ...
წამოვწვები გამხმარ ბალახზე
და შემოდგომის ცივი სუნთქვით
ათრთოლებული
სახეს მივუშვერ ფოთოლთა ნამქერს...
როს აკივლდება აფთარი მთაზე,
მას გავიხსენებ...
გავინედლებ სულის ხრიოკებს!
როს დავასრულებ წესის აგებას,
სამგლოვიარო პროცესიას ქარი გაჰყვება,
მე სახლში წავალ
ფოთლების ეტლით!

●

არც ახლა ვიცი, ვინ მაჩოქებს, ვინ ტირის ჩემში...
ეს სიყვარული თვითნებობს თუ ეჭვი წვავს სხეულს,
ან ეს წყურვილი რაღაა ბრძოლის?
ვის ვევედრები, ვის ვეძებ მზერით?!
ან ეს ამბოხი, ეს ქვითინი... ყვედრება სულის?!
ან ირონია - წარსულისგან დაღად რომ დამრჩა,
ან ეს რუტინა, ეს ჭაობი... მე რომ გარს მარტყამს,
ნუთუ დამახრჩობს, ვერაფერს მე გვერდს ვერ ავუვლი,
განა ცოტაა გაღებული გამოსასყიდი?!
მე რატომ ვკვდები,
სიწმინდისთვის უცხო რად ვხდები...

# ნახატმა გამოფენაზე უნდა დაიჭიროს მნახველი

*(„ცისკრის" თანამშრომელი მიხო მოსულიშვილი ესაუბრება მხატვარ ნანა ცინცაძეს)*

*— ქალბატონო ნანა, მამათქვენის, ვახტანგ ცინცაძის სახელი, როგორც ჩვენი ტაძრებ-მონასტრების დაუღალავი მეჭირნახულისა, მარტო ჩვენში კი არა, ევროპაშიც არის ცნობილი ...*

— დედა, რუსუდან მეფისაშვილი და მამა ხელოვნების ისტორიკოსები იყვნენ, მამაჩემი კი რესტავრატორიც. რაც თავი მახსოვს, სახლში სულ ამ თემაზე ლაპარაკობდნენ — რომელი ძეგლი როგორ უნდა აღადგინონ, სად რა უნდა გაკეთდეს; წიგნებსაც უშვებდნენ. მაგალითად, „შიდა ქართლის ძეგლები". ეს წიგნი რუსულ ენაზეა დასტამბული და მასში სამაჩაბლოს ის ქართული ძეგლებია აღწერილი, ახლა ჩვენი საკუთრება რომ აღარ არის. მამა აფხაზეთშიც ძალიან ხშირად დადიოდა, იქ დრანდაზე მუშაობდა, ბიჭვინთაშიც. დიდხანს მუშაობდა იქ, მახსოვს, კონფლიქტიც ჰქონდა არძინბასთან...



*— არძინბასთან რაზე?*

— არძინბა უნივერსიტეტის პროფესორი იყო. ჰოდა, ერთხელაც ჩამოვიდა მამა, გაბრაზებული იყო საშინლად. ასე უთქვამს არძინბას, „გრუზია პლოხო რაბოტაეტ ნად აბხაზსკიმი პამიატნიკამიო", — და მამა კინაღამ კისერში სწვდა თურმე.

ბაგრატის ტაძარზე ოცდაათი წელი იმუშავა, — 1953-დან 1993 წლამდე. უნდა ნახოთ, რა მდგომარეობაში იყო ბაგრატის ტაძარი და როგორია ახლა.ძალიან დიდი შრომა აქვს გაწეული. მინდა, რომ ეს ცალკე წიგნად გამოვიდეს.

*— ის, რაც ბატონ ვახტანგის ნამუშევარია ბაგრატის ტაძრის აღსადგენად?*

— დიახ, ის შემოგარენი, ახლა რომ თავისუფალია, მთლიანად შენობებს ეკავა. დასავლეთის კარიბჭე საერთოდ არ იყო. კედლები ჩამონგრეული, ხავსმოკიდებული... ოცდაათი წელი დასჭირდა ტერიტორიის გასუფთავებას, კედლების გამაგრებას; დასავლეთის კარიბჭე მთლიანად თავიდან არის აშენებული...

გერმანიაში დედამ და მამამ გამოსცეს ორი წიგნი — „ქართული ხელოვნების ისტორია" და „ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია".

ეროვნული ბიბლიოთეკა

*— ეს წიგნები ბატონმა გოგიმ მანახა. მართლაც დიდებული გამოცემებია და ჩვენ ქვეყანას დამსახურებულად განადიდებს ევროპელთა თვალში... ქალბატონო ნანა, რა აზრის იყო მამათქვენი ბაგრატის ტაძრის აღდგენაზე? ერთნი ამბობენ, დავტოვოთ ისე, როგორც არისო და მეორენი ირწმუნებიან, არა, უნდა აღვადგინოთო...*

— მაშინაც ასეთი ამბავი იყო. მამას გამზადებული აქვს გუმბათის გადახურვის პროექტი, მის კაბინეტში ჰკიდია ის ნახაზი.

*— ესე იგი, უნდოდა, რომ აღდგენილიყო, ხომ?*



— არ ვიცი, ასე კონკრეტულად ვერ ვიტყვი. არ ჰქონდა გადაწყვეტილი, თუ გულის სიღრმეში უნდოდა რომ აღდგენილიყო.

*— ჯვარზეც მუშაობდა და სვეტიცხოველშიც, არა?*

— დიახ, ორივე ადგილზე მუშაობდა. სვეტიცხოველში მუშაობისას ერთი საინტერესო ამბავი მოხდა. პირველად ვყვები ამას საჯაროდ.

თუ მიგიქცევიათ ყურადღება, იქ მინების ქვეშ წმინდა ნინოს ეკლესიაა. ის მამაჩემის ნაპოვნია, ოღონდ ძალიან დიდხანს ეძებდა. ეს არის მეხუთე საუკუნის ქვის ეკლესია, რომელიც ვახტანგ გორგასალმა ააგო ხის ეკლესიის ადგილზე.

ერთ დილას მამა გამოვიდა თავისი ოთახიდან და მეუბნება: წმინდა ნინო ვნახე სიზმარში და მიმანიშნა, სად უნდა გავთხაროო. ჰოდა, წავიდა მცხეთაში და მართლა იპოვა. სადაც წმინდა ნინომ მიანიშნა სიზმარში, მართლაც იქ აღმოჩნდა.

*— სასწაულებრივი ხილვა იყო, ალბათ. თქვენ თან დაყვებოდით ყველგან, არა?*

— ძალიან ხშირად. სამაჩაბლოში, ქვემო ქართლში, სვანეთში. რა კარგი იყო, წავიდოდა ექსპედიცია, დაიწყებდნენ მუშაობას. აზომვა ხდებოდა, ფოტოფიქსირება, დაათარიღებდნენ ხოლმე, რომელ საუკუნეს ეკუთვნოდა. თუ უცნობი ძეგლი იყო, დაუფიქსირებელი, რამდენიმე დღე მაინც სჭირდებოდათ სამუშაოდ.

ძალიან კარგია, რომ ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქის ნებართვით, მამა დასაფლავებულია მაყვლოვანში, სამთავროს მონასტერში.

*— დიახ, ძალიან სადა და ლამაზი საფლავია, თქვენმა მეუღლემ, ბატონმა გოგი წერეთელმა გააკეთა, არა?*

— ჰო, გოგიმ და მამას მოწაფეებმა. სოსო ბანძელაძემ გააკეთა პროექტი. ძალიან გვეხმარებოდნენ. კარგი ადგილია და მამას თვითონაც უნდოდა იქ. მაგრამ დედაჩემის იქ დასაფლავებაზე არ დაგვეთანხმნენ. არადა, დედა მთხოვდა-ხოლმე — ნანა, წამიყვანე, მონასტერში დამტოვეო. სხვებთანაც უთქვამს ამის შესახებ საყვედური. სად წამეყვანა, უძლური იყო.

*— რომელი სკოლა დაამთავრეთ?*

— პირველი. მერე ჩავაბარე აკადემიაში. პირველ-მეორე კურსზე ლადო გრიგოლია მასწავლიდა. მესამე კურსიდან, სახელოსნოებად რომ დაიყო— ლადო ქუთათელაძე.

*— მას შემდეგ, როგორც ვხედავ, თითქმის ქვეყანა აღარ დარჩა, მონაწილეობა რომ არ მიგეღოთ გამოფენებში. ბატონი გოგი ამბობს, — ნანას უცხოეთში უფრო კარგად იცნობენ, ვიდრე ჩვენშიო.*

— არა, იცით, აქაურ გამოფენებშიც ყოველთვის ვმონაწილეობდი. უბრალოდ, ახლა სხვა დროა, პერსონალური გამოფენა უნდა გააკეთო. პერიოდია ისეთი, რომ... ბევრი პრობლემაა.

*— ისე, მხატვრისთვის, ალბათ, ძალიან ძნელია, დახატოს, დააწყოს და არ გამოფინოს...*



— ერთი პერიოდი ძალიან მინდოდა... იცით, რისთვის მინდოდა, რომ მე თვითონ მენახა. სახლში რომ უყურებ, სახელოსნოში, რაღაც მყუდრო ხარ და ეს სხვა არის. გალერეაში რომ გაიტან, იქ თუ გაუძლო სივრცეს და თუ იმოქმედა, აი, მაშინ გამართლებულია შენი შრომა. ნახატმა გამოფენაზე უნდა დაიჭიროს მნახველი. ეს გამოცდასავით არის.

*— დიახ, ნახატმა მნახველი უნდა გააჩეროს და თავი მოაწონოს.*

— რა თქმა უნდა, ზოგჯერ არის, რომ სახელოსნოში მოგწონს ნახატი, გამოფენაზე გაიტან და იკარგება .

*— დიახ, მაგრამ, მე რასაც ვხედავ, ამ ნახატებს აქვს დიდი შინაგანი ძალა.*

— ეს აქ აქვს...

*— რა ვიცი, არა მგონია, ეს გამოფენაზე ძალიან შეიცვალოს...*

— აი, ეგ მაინტერესებდა. მაგრამ ამ არეულობამ გამაჩერა, ჩარჩოები უნდაო, გოგიმ. ახლა აღარც მინდა...

*— თქვენი ნამუშევრები რომ დამათვალიერებინა ბატონმა გოგიმ, უკვე დავუკვეთე თქვენი პერსონალური გამოფენის მოწყობა, ყოველ მიზეზგარეშე! და იქნება კიდეც... ქალბატონო ნანა, მუშაობის დროს იქმნება თქვენი ნახატი თუ უკვე მოფიქრებული გაქვთ და ისე ხატავთ?*

— სანამ მზად არა ვარ, მანამდე არ ვჯდები. რაღაცამ უნდა შემაწუხოს და ამაღელვოს, რომ დავხატო.

*— აი, დავუშვათ, ეს კომპოზიცია — „აქლემი“ როგორ შეიქმნა, როგორი იყო მისი შექმნის წინაპირობა?*

— წინაპირობა იყო ინდოეთში მოგზაურობა. ეს აბსოლუტურად სხვა სამყაროა. ბომბეიში ჩავედით, არა, ჯერ დელიში ჩავფრინდით, აგრა, ბატონო და მერე კაჯურახო. მერე ნეპალში გადავფრინდით. ეს ხომ რაღაც სასწაულია. სულ სხვა სამყაროა. როგორც ამბობენ, იქ ასტრალია გახსნილი. ამას ჩვენზეც ამბობენ, — კავკასიაზეც. რაღაც ხდება იმ ჰიმალაებში... თანაც ძალიან მომწონს მათი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი. ყოველგვარი ფაციფუცის გარეშე ტკბებიან ცხოვრებით. მისტიკური სული იგრძნობა. ჩამოვედი და ასეთი ზოგადი ნამუშევრები გავაკეთე. რამაც იმოქმედა იქ, ის გავაკეთე. აი, ეს ბუდას ხელებია და შუაში მოქცეულია მთელი მათი სამყარო.



*— თქვენი ადრეული ნამუშევრები უფრო აკადემიური მეჩვენება და ამიტომ, ცოტა ცივიც, შუა პერიოდია, როცა თქვენი სტილი მიდის სილაღისკენ, თავისუფლებისკენ და ერთგვარი დისონანსის შექმნისკენ, რითაც დღევანდელი ყოფა შეიგრძნობა. ბოლო პერიოდში ეს მომენტი უფრო ძლიერდება. თქვენ თუ ატყობთ, რომ ხელწერა შეგეცვალათ?*

— რა არის, იცით? მაშინდელი პერიოდი იყო ჩაკეტილი. ახლა ინფორმაცია დიდია, თან იმდენი რამ გადავიტანეთ, ჯერ მარტო აფხაზეთის დაკარგვა რად ღირს, ამას რომ არ ემოქმედა, ხომ შეუძლებელი იყო.



*— თქვენ მთელი სერია გაქვთ დახატული ჭუბერ-საკენის უღელტეხილზე აფხაზეთიდან ლტოლვილების გადასვლისა...*

— დიახ, მამაჩემიც მაგ უბედურებას გადაჰყვა 1993 წელს. ყოველდღე გამოჰქონდა საქართველოს რუკა და უყურებდა, როგორ პარატავდებოდა საქართველო და რა ხდებოდა... ჰოდა, მე მგონი, ჩემს ხელწერაში იმიტომ მოხდა ეს ცვლილება, რომ ამდენი გადავიტანეთ. ძველებურად რომ მეხატა, უკვე შეუძლებელი იყო.

*— ამ გარდატეხამ დამთრგუნველად იმოქმედა ბევრზე, მაგრამ თქვენთან უფრო მეტი სილაღეა ეს, ალბათ, გამოცდილებას მოაქვს, ოსტატობის დახვეწას და ზრდას, ერთგვარ დამშვიდებასაც...*

— არ ვიცი, მაგრამ რომ გავბრაზდები, უფრო უკეთ ვმუშაობ.

*— ვფიქრობ, გუაშისა და აკვარელის შერეული ტექნიკით შექმნილი თქვენი ბოლო ნამუშევრები უახლოვდება ზეთის საღებავების გამომსახველობას.*

— არა მგონია, ტექნიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. მთავარია „კოკასა შიგან რაცა სდგას“...

*— რომელი მხატვრები არიან თქვენთან უფრო ახლოს?*

— ლადო გრიგოლიამ ძალიან ბევრი მომცა. მერე გრაფიკის შემოქმედებით სახელოსნოში ვმუშაობდი ბატონ სერგო ქობულაძესთან. პიროვნულად ძალიან იმოქმედა ჩემზე. ვან გოგი მიყვარს, ფიროსმანაშვილი. ბევრი კარგი მხატვარია, რა ვიცი... ექსპრესიონისტები — მუნკი... კიხნერი, ნოლდე.

*— როგორც მეუღლე კი არა, როგორც მხატვარი, როგორ შეაფასებთ გოგი წერეთლის ნამუშევრებს?*

— რა ვიცი, გოგის ნამუშევრები ძალიან მომწონს. დაზგური ნამუშევრები, ლითოგრაფიები. ჩეხეთი სავსეა გოგის მონოტიპებით, დაუტოვა იქ ვიღაცას, ვითომ გასაყიდად. წიგნის გრაფიკაშიც ხომ მუშაობს უკვე რამდენი წელია.

*— წიგნის გრაფიკაშიც დიდ წარმატებას აღწევს.*

— კი, მაგრამ ეს არ არის მისი გაქანება. დაზგური ნამუშევრები უფრო საინტერესოა.

*— თქვენ მხატვრების ოჯახი გაქვთ, აი, თქვენმა ვაჟმა, ვატომაც მშობლების გზა გააგრძელა თავისებურად, მხატვრული ფოტოგრაფია შეისწავლა ბელგიაში...*

— ის სულ სხვა სამყაროა, იქ უკვე კომპიუტერი და ახალი მედიებია ჩართული. ხშირად ვფიქრობ ამაზე, ისეთი ახალი ტალღა წამოვიდა... იყავით ხომ ქარვასლაში? ვიდეოარტები იყო გამოფენილი.

*— არა, არ მინახავს. ისე კი ვიცი, რაზეც ლაპარაკობთ. ვატოს რამდენიმე ნამუშევარი მაქვს ნანახი და ვფიქრობ, საინტერესო ხედვა აქვს.*

— დიახ, ვატყობ, რომ ვატო ამჟამად უფრო ძიებაშია. ყველა ძიებას კი თავისი შედეგი მოჰყვება.

*— ქალბატონო ნანა, ვიცი, რომ გიყვართ ლიტერატურა და ბევრსაც კითხულობთ.*

— ვცდილობ ვიკითხო. ახლა მაინტერესებს, რა ხდება ჩვენს ლიტერატურაში, რა არის ახალი ფორმის მხრივ. ასე მგონია, რომ ქართველი მწერლები მხატვრებზე წინ წავიდნენ. ქართულმა ლიტერატურამ უფრო თამამად გაარღვია ის სტერეოტიპული გარემო და ამოქმედდა უფრო მეტად, ვიდრე ქართული მხატვრობა. გამოფენებზე ნაკლებია რაღაც ახალი, მნიშვნელოვანი... ხომ გესმით, რასაც ვამბობ — სტერეოტიპების არახელოვნურ რღვევას ვგულისხმობ. აი, ეს უფრო მოახერხა მწერალთა ახალმა თაობამ.

*— მაინც რატომ მოხდა ასე?*

— მე მგონი, ჩვენთვის უფრო ახლოა მწერლობა, ვიდრე მხატვრობა. ჩვენ გაცილებით დიდი ხანია, რაც ვწერთ.

*— მაგრამ ჩვენი ფრესკები?*

— ფრესკას სხვა დატვირთვა აქვს, სხვა ამოცანა. ქართული ფრესკები უნიკალურია და წინ უსწრებს იტალიურ რენესანსს. ამ ბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო დროს ხშირად ვკითხულობ, რომ საქართველოში რენესანსი არ ყოფილა და მიკვირს, როგორ წერენ ამას. რენესანსი ხომ ანტიკური და ქრისტიანული აზროვნების ერთგვარი სინთეზია. პეტრე იბერი, რუსთაველი, ყინწვისის და ატენის მხატვრობა ზუსტად ამის შედეგია. სამწუხაროდ, ფერწერის განვითარების პროცესი შემდეგ ისე ვეღარ გაგრძელდა.

*— თუ მაგ აზრს გავიზიარებთ, გამოდის, რომ ჩვენი მხატვრობა XX საუკუნიდან იწყება?*

— XIX საუკუნიდან იწყება ჩვენი დაზგური ხელოვნება. ლიტერატურა კი უწყვეტია V საუკუნიდან.

*— ესე იგი, ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევრების მიმართ მაინც უკმარისობის გრძნობა გრჩება?*

— გამოსახვის ფორმის ძიება მიმდინარეობს, ჯერ არ არის ნაპოვნი. საერთოდ ეს მდგომარეობაა ყველგან და თანაც ყველა სფეროში. არის საუბარი, რომ მუზეუმები აღარ არის საჭირო. ახლა ხელოვნება ინფორმატიულობა და მნახველის თანამონაწილეობაა — ერთად არის ყველაფერი. ამბობენ, რომ ნახატი მუზეუმისთვის არ იხატება. ხელოვნება უნდა გავიდეს ხალხთან, ქუჩებში, გარაჟებში, მეტროში და ასე შემდეგ. უნდა დაფიქსირდეს ეს მდგომარეობა და ამ ახალი ხელოვნების ნაკადის არმიღება არაფერს მოიტანს. თუმცა, თავადაც აგრესიული გამოხატვის ფორმა აქვთ — ყველაფრის უარყოფა, რაც ადრე იყო...

*— და, თქვენთვის მაინც რა არის აქედან მთავარი?*

— ადამიანმა არ დაკარგოს თავისი სახე, მეტი არაფერი მინდა. ქვეყანა არ დაიკარგოს და პიროვნება არ დაიკარგოს. მე ვფიქრობ, შეიძლება ამ ინფორმაციულ საუკუნეში თავის გადარჩენა, თუმცა მარწუხებს მაგრად კი გვიჭერენ.

*— ყოველ შემთხვევაში, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, როგორ შევხვდეთ გლობალიზაციას.*

— რა თქმა უნდა!



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორის აკუნინი

# აზაზელი

## სასისხლო საქმის რომანი,
ანუ
## კონსპიროლოგიური დეტექტივი

### მეექვსე თავი
### სადაც გამოჩნდება მერმისის კაცი

-იწექით, გენაცვალე, იწექით, -კარის ზღურბლზევე სთქვა ქსავერი თეოფილაქტოვიჩმა, როცა დარცხვენილმა ფანდორინმა უხეში ტახტიდან ფეხები გადმოუშვა წამოსადგომად. - რა გიბრძანათ აქიმმა? ყოვლისფერი ვიცი, ცნობები მოვკრიფე. სასნეულოდამ გამოწერის შემდეგ მწოლიარე განაწესი, რომ, როგორც საჭირო გახლავსთ, ისე შეიკრას იარა და შერყეული ჭკუა თავისს კალაპოტში ჩადგეს, თქვენ კი ჯერ ათი დღე არა სწოლილხართ.

სტუმარი ჩამოჯდა და კუბოკრული ხელსახოცით წამოჭარხლებული, მოტვლეპილი თავის მშრალებას მიჰყო ხელი.

-უჰ, გვახურებს მზე, გვახურებს. აი, გახეხილის ნუშისგან, ნიგვზისგან და, ეგებ, გარგარის გულისგან მომზადებული ნამცხვარი მოგართვით, მარციპანს რომ უხმობენ ჰიტალიელნი და ცინცხლათ მოკრეფილი ბალი, მიირთვით. სად დავაწყო?

ბოქოულმა ჭვინტისებური ფორმის მომცრო ოთახს გადახედა, სადაც კოლეგიის რეგისტრატორი იდგა. მოსაკითხიანი ფუთის დასადები არსად იყო: ტახტზე მასპინძელი იწვა, სკამზე თვით ქსავერი თეოფილაქტოვიჩი იჯდა, სტოლზედ კი წიგნები წამოხოხოლავებულიყო. სხვა რამ ავეჯეული სადგომში არ არსებობდა, შკაფიც კი - გარდერობის მრავალნი ნივთნი კედელში ჩარჭობილ ლურსმნებზე ეკიდა.

-როგორა გაქვსთ, გსტკივათ?

-სრულიადაც არა, - ცოტათი იცრუა ერასტ პეტროვიჩმა, - ხვალ გაკერილიდამ ძაფები უნდა ამომაძრონ, მხოლოდ ნეკნების გასწვრივ გაიარა მსუბუქათ, ისე რა უჭირს, თავიც რიგიანად მაქვს.

-იავადმყოფეთ, მერე რა, ჯამაგირი ხომ მოდის, -ქსავერი თეოფილაქტოვიჩი დანაშაულის შეგრძნებით შეიჭმუხნა, - არ გეწყინოსთ, ჩემო კეთილო, აქამდისინ რომ ვერ მოგინახულევით. ალბათ, მოხუცის პირშავობაზედ ჰფიქრობდით, - ღმერთმა ხომ იცის, როგორც კი რაპორტი ჩავიწერევი, ეგრევე სასნეულოში გავქუსლე, მერე კი დაუჭირვებელი შევიქმენ, ცხვირიც ვერ გამოვყავი. ექიმის გასაგზავნს კი ვუძღვებოდი, თქვენთან ვერ გამოვაღწივე. ჩვენ სამმართველოში ისეთი ამბავია, ვათენებსთ და ვაღამებთ, სწორეთ მოგახსენოთ. – ბოქოულმა თავი გადააქნია და მიმნდობლუ-

---

გაგრძელება. დასაწყისი „ცისკარი" №. 3-4

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად დაიდაბლა ხმა, - ეს თქვენი ახტირცევი ვინმე უბრალო კი არ აღმოჩნდა, არამედ მისის ბრწყინვალების კანცლერ კორჩაკოვის ჰალალი შვილიშვილი, არც მეტი, არც ნაკლები.

-რას ჰბრძანებთ? - წამოიძახა ფანდორინმა.

-იმისი მშობელი მამა ჰოლანდიაში ელჩათ გახლავსთ, მეორე ქორწინებაშია, ხოლო თქვენი ნაცნობი მოსკოვში დეიდასთან ცხოვრობდა, კნეინა კორჩაკოვასთან, საკუთარს პალაცოში გონჩარნის ქუჩაზედ. კნეინა გასულს წელს წარსდგა უზენაესთან, მთელი ქონება ამას დაუწერა, არადა, განსვენებულს დედისმამისგანაც ისედაც საკმაოდ ჰქონდა. ოჰ, და, დაიწყო ჩვენთან სტვირებზედ ტანციობა, სწორედ მოგახსენოთ. ყველაზედ პირველს რიგში საქმე პირადს კონტროლზედ აიყვანეს გენერალ-ღუბერნატორთან, თვით კნიაზ დოლგორუკთან. რამე კარგათ ვერ გავაკეთოთ და ბრეს გაგვადენენ. არადა, საქმეშიც არაფერია, გეშების და ნიშნების საპოვნელათ. რას და ვის დავეყრდნოსთ? თქვენ გარდა მკვლელი არავის დაუნახავს. ბეჟეცკაიამ, როგორც ამას წინებზედ გითხარით, კვალი მოსპო. სახლი ცარიელია. არც მსახურები, აღარც ქაღალდები. წადი და დასძებნე მინდორში ქარი. ვინ არის – გაუგებელია, საიდან მოეთრია –არა ვუწყით რა. პაშპორტით ვილნელი კნეინა გახლავსთ. გავაგზავნეთ შეკითხვა ვილნოში – იქ ამისთანა ვინმე აღნიშნული არ არის. კეთილი, ერთის კვირის წინეთ მისი აღმატებულება მიბარებს. „ჩემს განსჯასო, მეუბნება, სახეში ნუ იქონიებ, ქსავერი, მე დიდი ხანია გიცნობ და შენ კეთილს სინდისიერებასაც შორს ვაფასებ, მაგრამ ეს საქმე შენის თვალსაწიერის მაშტაბისა არ გახლავსთ. ჩამოვა პეტერბურღიდამ ჟანდარმერიის შეფთან და მესამე განყოფილების უფროსთან, მის მაღალაღმატებულება ღენერალ-ადიუტანტ მიზინოვ ლავრენტი არკადიევიჩთან არსებული სპეციალური გამომძიებელი, განსაკუთრებულ საქმეთა მოხელე. ჰგზნობ, როგორი ფრინველია? ახლებიდამ გახლავსთ, რაზნოჩინელი – უაზნოთაგან შობილი და ისეთი ჩინოვანი, ღვთის წყალობა თქვენ გქონდესთ, მერმისის კაცი. ყოვლისფერს მეცნიერულათ აკეთებს. ეშმაკურს საქმეების ჰოსტატი გახლავსთ, მე და შენ კი არა გვგამს." - ქსავერი თეოფილაქტოვიჩმა განაწყენებით ამოიზმუილა, - ესე იგი, ის მერმისის კაცი გახლავსთ, ხოლოთუ გრუშინი – უწინდელი კაცი. კეთილი. მესამე დღის დილაზედ ჩამოდის. ეს უნდა ყოფილიყო ოთხშაბათს, ოცდაორში. ივან ფრანცევიჩ ბრილლინგი ჰქვიან, სამოქალაქო მრჩეველი. სულ ოცდაათის წლისა გახლავსთ! და დაიწყო და რა დაიწყო. აი, დღეს შაბათია და დილის ცხრიდან სამსახურში ვარ. გუშინ საღამოს თერთმეტ საათამდინ ვითათბირეთ, სქემებსა ვხაზავდით. საბუფეტე გახსომთ, ჩაის რომ შევექცეოდით? იმ ალაგას ეხლა სამოვარის მაგიერში ტელეგრაფის აპარატი მორიგეობს თავისი ტელეგრაფისტიანად. თუ გსურთ ვლადივასტოკში ან, თუ გნებავთ, ბერლინში აფრინეთ დეპეშა და უმალ პასუხიც მოვა. ნახევარი აგენტები დაიფრინა, ნახევარი თავისები ჩამორეკა პიდერიდამ, მარტო იმას უჯერებენ. მე ყოვლისფერი ჩაკირკიტებით გამომკითხა და დიდი ყურადღებით მომისმინა. იმის ფიქრში ვიყავი შესული, გადამდგარობაში გამიშვებს-მეთქი, მაგრამ არა, ბოქოული გრუშინი ჯერ კიდევ საჭირო გახლავსთ. მე, თავათ, გენცვალე, რატომ მოვედი და, - გაახსენდა ქსავერი თეოფილაქტოვიჩს, - უნდა გაგაფრთხილოთ. ახლა უკვე თავათვე აპირებს მოსვლას, პირადად უნდა დაგკითხოთ. თქვენ ნუ მოიქრუშებით, დანაშაული თქვენზედ არაფერია. აღსრულებისას ჭრილობაც კი მიიღეთ. და კიდევ ისიც, რომ ბერიკაცი არ უნდა დაადალატოთ. ვინ მიხვდებოდა, რომ საქმე ასე შემობრუნდებოდა?

ერასტ პერტოვიჩმა ნაღვლიანად მოათვალიერა თავისი ღარიბული საცხოვრებელი. კარგ წარმოდგენას კი შეუქმნის იმ პეტერბურღელ დიდს კაცს.

-ხომ არ აჯობებდა, თავად მოვსულიყავ სამმართველოში? ჰატიოსან სიტყვას გაძლევთ, უკვე კარგათ გახლავარსთ.

-არც კი იფიქრო! – ხელები გაასავსავა ბოქოულმა, - გინდათ, გამცეთ, რომ წინდაწინ შემოვიარე? არა, იწექით. თქვენი ადრესი ჩაიწერა. დღეს ყოველმიზეზგარეშე მოვა.

„მერმისის კაცი“ საღამოს მოვიდა, მეშვიდე საათზე და ერასტ პეტროვიჩმაც საგანგებოდ მომზადება მოასწრო. აგრაფენე კონდრატიევნას უთხრა, რომ გენერალი უნდა ეწვიოთ და დეე, მალაშკამ შემოსასვლელის იატაკი მოწმინდოს, ფუტური სკივრი აიღოს და, რაც მთავარია, შჩის მოხარშვაზე არც კი იფიქროს. ხოლო თავის ოთახში დაჭრილმა კაპიტალური დალაგება-დასუფთავება გამართა: უფრორე ავანტაჟურად, ანუ, სანდომიანად დაჰკიდა ლურსმნებზე ტანისამოსი, წიგნები საწოლის ქვემოთ გადამალა, სტოლზე მხოლოდ ფრანციცული რომანი დატოვა, დევიდ იუმის "ფილოსოფიური ესეები" ანღლიურ ენაზედ და ჟან დებრეს „პარიზელი მაძებრის ჩანაწერები“. მერე დებრე აიღო და მაგიერში დადო „სწორი სუნთქვის დარიგებები ნამდვილი ინდოელის ბრაჰმინის, ბატონ ჩანდრა ჯონსონის მიხედვით“, რომლის მიხედვითაც ყოველ სისხამზედ გიმნასტიკას აკეთებდა სულის გასამაგრებლად. დეე, ჰნახოს ეშმაკურ საქმეთა ჰოსტატმა, რომ აქ ღარიბი კაცი ცხოვრობს და არა გამოცარიელებული. თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისი იარის სიმძიმისთვის რომ გაესვა ხაზი, ერასტ პეტროვიჩმა სკამზე, ტახტის მახლობლად ბუშტურა შუშა დადგა რაღაც მიქსტურით (აგრაფენა კონდრატიევნას სთხოვა), თავად კი დაწვა და თავი თეთრი კაშნეთი შეიხვია. სჩანს, ის გამოვიდა, რაც საჭირო იყო – თანაგრძნობის გამომწვევად და ვაჟკაცურად.

ბოლოს, როცა წოლა ძაან მოსწყინდა, კარზე მოკლედ დააკუნეს და მაშინათვე, ანაზდეული გამოხმაურების დაულოდნელათ, შემოვიდა მეტისმეტი ენერგიის მქონე ბატონი, ჩაცმული მსუბუქ, მოხერხებულ პიჯაკში, ნათელ შალვარ-პანტალონში და მთლად თავსარქველის გარეშე. რიგიანად დავარცხნილი ქერა თმა თეატრის ფარდისებრ გახსნილიყო მაღალ შუბლზე, ნებისყოფიანი პირის კუთხეში გაწოლილიყო ორი დამცინავი ნაოჭი, გაპარსული, ღრმულიანი ნიკაპიდან საკუთარ თავში დაჯერებულობა იგრძნობოდა. გამჭრიახმა ნაცრისფერმა თვალებმა ელვის უმალ მიმოიხილეს ოთახი და ფანდორინზე შეჩერდნენ.

-ვხედავ, წარდგენა აღარ მჭირდება, -მხიარულად აღნიშნა სტუმარმა, -ჩემს შესახებ მთავარი უკვე იცით, თუმცაღა წამგებიანი კუთხით. ტელეგრაფზე თუ იწუწუნა გრუშინმა?

ერასტ პეტროვიჩმა თვალები დაახამხამა და ამაზე არაფერი უთქვამს.

-ეს დედუქციური მეთოდი გახლავსთ, უძვირფასესო ფანდორინო. საერთო სურათის აღდგენა ზოგიერთი მცირე გეშით. აქ მთავარია, არ ავფეთქდეთ და არაკორექტულ დასკვნამდე არ მივიდეთ, თუკი ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაცია სხვადასხვანაირი ახსნის საშუალებას გვაძლევს. თუმცა ამაზე კიდევ ვილაპარაკებთ, დრო გვექნება. გრუშინის შესახებ კი ყოვლისფერი მეტად მარტივი გახლავსთ. თქვენმა დიასახლისმა, ლამის იყო და, იატაკამდე დამიკრა თავი და „აღმატებულობით" მომმართა – ეს ერთი. მე, როგორც ხედავთ, „აღმატებულებას" არაფრით ვგავარ, ჯერჯერობით არც გახლავარსთ, რამეთუ ჩემი ჩინი განეკუთვნება მარტოკა „მაღალკეთილშობილობის" თანრიგს - ეს ორი. გრუშინის გარდა, თქვენთან მოსვლას რომ ვაპირებდი, არავისთვის მითქვამს - ეს სამი. ცხადია, ჩემს მოღვაწეობაზე ბატონი საგამომძიებლო ბოქაული სათაკილოდ იტყოდა – ეს ოთხი. ხოლო თუ ტელეგრაფზე,ურომლისოდაც თანამედროვე ძიებაში, დამეთანხმებით, სრულიად შეუძლებელია და თქვენი სამმართველოს პირად შემადგენლობაზე არცთუ ხელიხელსაგოგმანებელი შთაბეჭდილება მოახდინა, ჩვენი მძინარა ქსავერი თეოფილაქტოვიჩი ვერაფრით შესძლებდა გაჩუმებას – ეს ხუთი. ასეა?

-ასეა, - უსირცხვილოდ გასცა უკეთილესი ქსავერი თეოფილაქტოვიჩი განცვიფრებას მოსულმა ფანდორინმა.

-თქვენ რა, ასეთ ახალგაზრდულ ასაკში უკვე ჰემონია, ანუ ბუასილიც გაქვთ? - შეეკითხა მკვირცხლი სტუმარი, სკამიდან აღებული მიქსტურა სტოლზედ გადადგა და ჩამოჯდა.

-არა! -ქარიშხალისებურად გაწითლდა ერასტ პეტროვიჩი და აგრაფენა კონდრატიევნას დაუსწრებლად ბუასილისგან განზე გადგა, - ეს... ეს დიასახლისმა აურია. ის სულ ასერიგად ურევს, თქვენო მაღალკეთილშობილებავ. ასეთი დაულაგებელი დედაკაცი გახლავსთ.

-გასაგებია. ივან ფრანცევიჩი დამიძახეთ ანდა უბრალოდ „შეფი", რადგან ერთად მოგვიწევს მუშაობა. წავიკითხე თქვენი მოხსენება, - ყოველგვარი მცირე გადასვლის გარეშე განაგრძობდა ბრილლინგი. -ჭკვიანურია. დაკვირვებით არის შედგენილი. რეზულტატურია. სასიამოვნო გაოცებაში მოვდივარ თქვენი ინტუიციით – ეს ჩვენს საქმეში ყველაზე ძვირად ფასობს. ჯერ კიდევ არ იცი, როგორ განვითარდება სიტუაცია, გრძნობა კი გკარნახობს, ესა და ეს ღონისძიებები მიიღეო. როგორ ჩახვდით, რომ ბეჟეცკაიასთან ვიზიტი სახიფათო შეიძლებოდა გამომდგარიყო? რატომ ჩათვალეთ აუცილებლად დამცავი კორსეტის ჩაცმა? ბრავო!

ერასტ პეტროვიჩი წინანდელზედ უარესად აჭარხლდა.

-დიდებულადაა მოფიქრებული. ტყვიას, რასაკვირველია, ვერ წაუხვალ, მაგრამ ცივი იარაღისგან თავის დასაცავად ურიგო არ არის. მე განკარგულებას გავცემ, რომ იმ აგენტებისთვის, ვინც სახიფათო დავალებებზე მიდიან, ასეთი კორსეტების პარტია შეიძინონ. რომელი სავაჭრო ტვიფრი აქვს?

ფანდორინმა მორცხვად მიუგო:

-„ლორდ ბაირონი".

-„ლორდ ბაირონი", - გაიმეორა ბრილლინგმა ტყავის წიგნაკში ჩაწერისას, - ახლა კი მითხარით, როდის შეძლებთ სამუშაოს დაწყებას? მე თქვენზე განსაკუთრებული შეხედულებები მაქვს.

-ღმერთო, თუ გნებავთ, ხვალვე! – გულმხურვალედ წამოიძახა ფანდორინმა, სიყვარულით რომ უყურებდა ახალ უფროსს, ანუ შეფს. – დილაზე ექიმთან შევირბენ, ძაფებს მოვიხსნი და უკვე შეგიძლიათ განკარგულებაც მომცეთ.

-ჰოდა, დიდებულია. ბეჟეცკაიას თქვენეული დახასიათება?

ერასტ პეტროვიჩმა დაირცხვინა და საკმაოდ დაუწყობლად დაიწყო, თან საკუთარ თავს მდიდრული ჟესტიკულაციით ეშველებოდა:

-ეს... ეს იშვიათი ქალია. კლეოპატრაა. კარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენი... აღუწერელი სილამაზისა გახლავთ, მაგრამ არც სილამაზეშია საქმე... მაგნეტური შემოხედვა აქვს. არა, შემოხედვაც არ არის მთავარი... აი, ძირითადი: მასში განუზომელი ძალა იგრძნობა, ისეთი ძალა, რომ, თითქოს ყველასთან თამაშობს. და ეს თამაშიც რაღაც გაუგებარი წესებით მიდის, მაგრამ მეტად სასტიკი თამაშია. ეს ქალი, ჩემი ჭკუით, ძალზე ბიწიერია და იმავდროულად... აბსოლუტურად უდანაშაულო. თითქოს ბავშვობისას არ უსწავლებიათ, როგორც ხამს. არ ვიცი, როგორ აგიხსნათ. . . – ფანდორინმა ვარდისფერი მიიღო, რაკი ესმოდა, რომ ბევრ სისულელეს ლაყბობს, თუმცა მაინც დააბოლოვა. -მეჩვენება, რომ არც ისეთი ცუდია, როგორადაც თავს გვაჩვენებს.

სამოქალაქო მრჩეველმა გამომცდელად შეხედა ახალგაზრდა კაცს და ცელქად დაუფშტვინა:

-აი, თურმე რა ყოფილა... ასეც ვიფიქრე. ახლა კი ვხედავ, რომ ამალია ბეჟეცკაია – არსებაა და მეტად სახიფათო არსება... განსაკუთრებით ყმაწვილი რომანტიკოსებისთვის სქესობრივი მომწიფების ასაკში.

ამ ხუმრობისგან თანამოსაუბრეზე მოხდენილი ეფექტით კმაყოფილი ივან ფრანცევიჩი წამოდგა და ერთხელ კიდევ მიმოიხედა გარშემო.

-ამ სენაკში ათს რუბლს უხდით?

-თორმეტს, -ღირსებით მიუგო ერასტ პეტროვიჩმა

-ცნობილი დეკორაციაა. მეც ამგვარად ვცხოვრობდი ერთ დროს. გიმნაზიელი რომ ვიყავი დიდებულ ქალაქ ხარკოვში. მე, იცით, თქვენსავით ადრეულ ასაკში დავრჩი უმშობლებოდ. თუმცა ეს პიროვნების ფორმირებისას უკეთესიც კია. ჯამაგირი ხომ ოცდათხუთმეტი გაუტეხელი გაქვთ, რანგების ტაბლის მიხედვით? -კვლავაც უმცირესი გადასვლის გარეშე დაინტერესდა სამოქალაქო მრჩეველი.

-და ბინის დამატება დაწესებულზე დართულად.

-მე განკარგულებას გავცემ, რომ თქვენ განსაკუთრებული ფონდიდან პრემია მოგცენ, ხუთასი რუბლი. სიბეჯითისა და გადატანილი ფათერაკისთვის. მაშ ასე, ხვალამდე. მობრძანდით, ვერსიებზე ვიმუშაოთ.

●●●

სამხედრო პოლიციის სამმართველო მართლა აღარ იცნობოდა. დერეფნებში საქმიანად დაჭენაობდნენ ვიღაც უცნობი ბატონები იღლიებში ამოდებული საქაღალდეებით და უწინდელი თანამოსამსახურენი მოღვენთილად კი არა, ფხიზლად, დაძაბულად დადიოდნენ. თამბაქოს მოსაწევ ოთახში - ო, საკვირველებავ - სულიერი არ ჭაჭანებდა. ერასტ პეტროვიჩმა ცნობისმოყვარეობით შეიხედა ყოფილ საბუფეტეში და ნამდვილად - სამოვარის და ფინჯან-ლამბაქების მაგივრად სტოლზე ბოდოს აპარატი იდგა, ხოლო ფორმის კურტაკიანმა ტელეგრაფისტმა შემოსულს მკაცრად და კითხვის თანხლებით შეხედა.

საგამომძიებლო შტაბი სამმართველოს უფროსის კაბინეტში მოთავსებულიყო, რაკიღა ბატონი პოლკოვნიკი გუშინდილიდან საქმეს ჩამოშორებულ იქნა.

ძაფების ამოღების პროცედურისგან ჯერ კიდევ გაფითრებული პირისახის ერასტ პეტროვიჩმა დააკაკუნა და შიგნით შეიხედა. კაბინეტიც შეცვლილიყო: დასასვენებელი ტყავის სავარძლები გაქრა, მათ მაგივრად სამრიგად გამოჩნდა უბრალო სკამები, ხოლო კედელთან ორი სასკოლო დაფა იდგა, სულერთიანად დახაზული რაღაც სქემებით. ჩანდა, ახლახან დასრულებულიყო თათბირი - ბრილლინგი ცარცით დასვრილ ხელებს მჩვრით იწმენდავდა, ხოლო მოხელეები და აგენტები საქმიანი ბაასით გასასვლელისკენ მიდიოდნენ.

-შემოდით, ფანდორინო, შემოდით. დირეზე ნუ აიტუზებით, - აჩქარა შემკრთალი ერასტ პეტროვიჩი კაბინეტის ახალმა პატრონმა, - ნაკერები აგხსნეს? ჰოდა, ბარაქალა! თქვენ უშუალოდ ჩემთან იმუშავებთ. სტოლს არ გამოგიყოფთ - სულ ერთია, ჯდომა არ მოგიხდებათ. სამწუხაროდ, გვიან მოხვედით, ჩვენ აქ მეტად საინტერესო დისკუსია გვქონდა თქვენი რაპორტის, „აზაზელის“ შესახებ.

-არსებობს ამგვარიც? მე მართლა გავიგონე? – ყურები სცქვიტა ერასტ პეტროვიჩმა, - მე კი ვშიშობდი, რომ მომეჩვენა.

-არ მოგჩვენებიათ. აზაზელი - ეს დაცემული ანგელოსია. სადვთო სჯულში რა ნიშანი გქონდათ? განტევების ვაცზე გახსოვთ? ჰოდა, თუკი დაგამახსოვრდათ, ისინი ორნი იყვნენ. ერთი ცოდვათა გამოსასყიდად ღმერთისთვის იყო დანიშნული, მეორე - აზაზელისთვის, რომ არ განრისხებულიყო. ებრაელებთან, „ენოქის წიგნში“ აზაზელი ადამიანებს ყოველისფერ ფინთობას ასწავლის: კაცებს ომს და იარაღის კეთებას, დედაკაცებს – სახის შეღებვას და ნაყოფის მოწამვლას. ერთის სიტყვით, მოჯანყე დემონი გახლავთ, განდევნილი სული.

-მაგრამ ეს რას უნდა ნიშნავდეს?

-კოლეგიის ერთმა ასესორმა თქვენებიდან, მოსკოველებიდან აქ მთელი ჰიპოთეზა განავითარა. საიდუმლო იუდეურ ორგანიზაციაზე. ურიების სინედრიონზეც მოჰყვა, ქრისტიანი ყრმების სისხლზეც. იმან ბეჟეცკაია ისრაელის ასულად დაგვისახა, ხოლოთუ ახტირცევი – კრავად, ებრაული ღმერთის სამსხვერპლო საკურთხეველზე რომ მოუყვანიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოდ, ჩმახვაა და აბდაუბდა. მე ეს იუდოფობიური ბოდვები პეტერბურგიდან ძალიან კარგად ვიცი. თუ უბედურება შეგემთხვა, ხოლო მიზეზები გაურკვეველია – მაშინათვე სინედრიონი უნდა ახსენოთ.

- მერე, თქვენ რას ფიქრობთ... შეფ? - ვერცთუ შინაგანის ყოყმანის გარეშე წარმოსთქვა ფანდორინმა უჩვეულო მიმართვა.

-მაშინ აქეთ გამოხედვა ინებეთ, - ბრილლინგი ერთ-ერთ დაფასთან მივიდა, - ზემოთ ეს ოთხი წრე – ოთხი ვერსია გახლავთ. პირველი წრე, როგორც ხედავთ, კითხვის ნიშნით გახლავთ. ეს ყველაზე უიმედო ვერსიაა: მკვლელი მარტოკა მოქმედებდა და თქვენ ახტირცევთან ერთად ანაზდეული მსხვერპლი იყავით. შეიძლება მანიაკია, დემონიზმშია გარეული. აქ ჩიხში ვართ, სანამდე ახალი და მსგავსი დანაშაული არ მოხდება. მე ტელეგრაფით ყოველ გუბერნიაში გავაგზავნე შეკითხვები, ხომ არ ყოფილა ასეთივე მკვლელობანი. წარმატებაზე ეჭვი მიმაქვს – ამ მანიაკს რომ ადრე გამოევლინა თავი, უსათუოდ მეცოდინებოდა. მეორე წრე ასო-ნიშნებით "აბ" – ეს ამალია ბეჟეცკაია გახლავთ. ლაპარაკი არ უნდა, საეჭვოა. მისი სახლიდან თქვენთვის და ახტირცევისთვის მარტივად შეეძლოთ „კრიმამდე“ მოგყოლოდნენ. კვლავაც გაქცევა, თუმცა გაუგებარია მკვლელობის მოტივი.

-გაიქცა, ესე იგი, გარეულია, - გულ-აღტკინებით თქვა ფანდორინმა, - და გამოდის, რომ თეთრთვალა არანაირი მარტოკა არ არის.

-ფაქტი არ არის, არამც და არამც არ არის ფაქტი. ვიცით, რომ ბეჟეცკაია ცრუ-თვითმარქვიაა და ყალბი პასპორტით ცხოვრობდა. ნამდვილად ავანტურისტია. ნამდვილად მდიდარი მფარველების ხარჯზე ცხოვრობდა. მაგრამ მკვლელობა, თანაც ასეთი მარჯვე ბატონის ხელით? თქვენი მოხსენების მიხედვით თუ განვსჯით, ეს ვიღაც დილეტანტი კი არ იყო, არამედ სრულიად პროფესიონალი მკვლელი. როგორი დარტყმაა ღვიძლში - იუველირის ნამუშევარია. მე ხომ მორგში ვიყავი, ახტირცევი დავათვალიერე. ის კორსეტი რომ არა, თქვენც იქ იწვებოდით, ხოლო პოლიცია კი ჩათვლიდა ძარცვად ან მთვრალების ჩხუბად. მაგრამ დავუბრუნდეთ ბეჟეცკაიას.. მომხდარზე მას შეეძლო გაეგო რომელიმე შინამოსამსახურისგან - „კრიმი“ მისი სახლიდან რამდენიმე წუთის სავალზეა. დიდი ხმაური იყო – პოლიცია, აღტყინებული ბუზიყლაპიები. ვინმემ მსახურებიდან ანდა, ვთქვათ, მეეზოვემ მოკლულში ბეჟეცკაიას სტუმარი ამოიცნო და ენა მიურბენინა. იმას მართებულად შეეშინდა პოლიციის წინდაწინ მოკვლევისა და გარდაუვალი გამოაშკარავებისა, ამიტომ დაუყოვნებლივ მიიმალა. დრო ამისთვის საკმარისად ჰქონდა – თქვენმა ქსავერი თეოფილაქტოვიჩმა მხოლოდ მეორე დღეს მოაკითხა ორდერით, შუადღეგადასულზე. ვიცი-ვიცი, თქვენ ჭკუაშერყეული იყავით, ანაზდეულად არ მოსულხართ ცნობაზე. სანამ მოხსენებას კარნახობდით, ვიდრე ხელმძღვანელობა კეფას იქექავდა... საზოგადოდ, ბეჟეცკაიაზე ძებნა გამოვაცხადე. მოსკოვში, უპირველეს-ყოვლისა, ის, ალბათ, აღარ იმყოფება. ვფიქრობ, არც რუსეთშია - სამასხრო ამბავი ხომ არ არის, ათი დღე გავიდა. ვადგენთ მასთან ნამყოფთა სიას, მაგრამ მათი მეტიწილი სოლიდური ხალხია, აქ დელიკატურობა უნდა. ჩემ სერიოზულ ეჭვს მხოლოდ ერთი იწვევს.

ივან ფრანცევიჩმა საჩვენებელი მესამე წრეს ატაკა, რომელზედაც ეწერა „გზ“.

-გრაფი ზუროვი, იპოლიტ ალექსანდროვიჩი. ჩანს, ბეჟეცკაიას საყვარელი. კაცი, რომელიმე ზნეობრივი საფუძვლის გარშე, მოთამაშე, ბრეტერ-მოდუელე, თავგუნება. მსუქანი-ამერიკელის ტიპი. მის შესახებ გაგვაჩნია ირიბი გეშები. მეტად განრისხებული წავიდა მკვლელთან კამათის შემდგომ – ეს ერთი. შესაძლებლობა ჰქონდა ჩასაფრებისაც, თვალყურის დევნებისაც და მკვლელის მოგზავნისაც - ეს ორი. მეეზოვემ უჩვენა, რომ მხოლოდ გამთენიისას დაბრუნდა ზუროვი სახლში – ეს სამი. მოტივი, თუმცა კი უძლური, არსებობს კიდეც: ეჭვი ანდა სნეულებრივი შურისმაძიებლობა. შესაძლოა, კიდევ იყო სხვა რამეც. მთავარი ეჭვია: ზუროვი ის კაცი არ არის, სხვისი ხელით მოკლას. სხვათა შორის, აგენტურული მონაცემებით, მაგის გარშემო მუდამ ტრიალებენ ყველანაირი ბნელი პიროვნებები, ასე რომ, ვერსია პერსპექტიული გახლავთ. თქვენ, ფანდორინ, სწორედ ამით დაკავდებით. ზუროვს აგენტების მთელი ჯგუფი ამუშავებს, მაგრამ თქვენ მარტოკა იმოქმედებთ, კარგად გამოგდით. დავალების გარემოებაზე მოგვიანებით მოვილაპარაკებთ, ახლა კი ბოლო წრეზე გადავიდეთ. ამას მე თვითონ ვამუშავებ.

ერასტ პეტროვიჩმა შუბლი შეიჭმუხნა, ცდილობდა, წარმოედგინა, რას შეიძლება აღნიშნავდეს ასო-ნიშნები „ნო“.

-ნიღილისტების ორგანიზაცია, -აუხსნა შეფმა, -აქ არსებობს შეთქმულების ზოგიერთი ნიშანი, მაგრამ არა იუდეური, არამედ უფრო სერიოზული. ამის თაობაზე, კერძოდ, გამომგზავნეს კიდეც. ანუ, რასაკვირველია, კნიაზმა კორჩაკოვმა მთხოვა – როგორც თქვენთვის ცნობილია, ნიკოლოზ ახტირცევი მისი განსვენებული ქალიშვილის შვილია. თუმცა, შესაძლოა, აქ ყველაფერი არცთუ უბრალო აღმოჩნდეს. ჩვენი რუსეთის რევოლუციონერები განხეთქილების ზღვრამდე არიან. ნაკლებად მოყოყმანეებსა და მოუთმენლებს ამ რობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერსპიერებიდან მოსწყინდათ გლეხუჭას განათლება – დაუსრულებელი საქმეა, საკირკიტო, ერთი სიცოცხლე არ ეყოფა. ბომბა, ხანჯალი და რევოლვერი უფრო საინტერესოა. უახლოეს ხანებში დიდ სისხლისღვრას ველი. ის, რაც აქამდე იყო – ყვავილებია. მმართველი კლასის მიმართ ტერორი შეიძლება მასსობრივი გახდეს. გარკვეული დროიდან მესამე განყოფილებაში მე ვაწარმოებ საქმეებს ყველაზე აღვირახსნილ და კონსპირირებულ ტერორისტების ჯგუფებთან. ჩემმა პატრონმა, ლავრენტი არკადიევიჩ მიზინოვმა, მესამე განყოფილებაში ჟანდარმთა კორპუსს რომ ხელმძღვანელობს, დავალება მომცა, გავრკვეულიყავი, თუ მოსკოვში ეს რა „აზაზელი" გამოჩნდა. დემონი – ერთობ რევოლუციური სიმბოლოა. აქ ხომ, ფანდორინო, რუსეთის ბედია კარტში ჩასული. -ბრილლინგის ჩვეულებრივი დამცინაობიდან კვალიც აღარ დარჩა, მისი ხმიდან კი მძვინვარება მოისმა. -თუკი სიმსივნე ჩანასახშივე არ მოვკვეთეთ, ეს რომანტიკოსები ოცდაათ წელიწადში და, შესაძლოა უფრო ადრეც, ისეთ რევოლუციონს მოიყვანენ, რომ ფრანგული გილიოტინა ძვირფას ცუღლუტობად მოგვეჩვენება. მე და თქვენ წყნარად დაბერებას არ გვაცდიან, ჩემი სიტყვა დაიმახსოვრეთ. წაიკითხეთ რომანი „ეშმაკნი" ბატონი დოსტოევსკისა? ამაოდ. იქ ლამაზად არის პროგნოზირებული.

-ესე იგი, სულ ოთხი ვერსია? – ყოყმანით ჰკითხა ერასტ პეტროვიჩმა.

-ცოტაა? რაიმე გამოგვრჩა მხედველობიდან? ბრძანეთ-ბრძანეთ, მე მუშაობაში ჩინებს არ ვაღიარებ, - გაამხნევა შეფმა, -და ნუ გეშინიათ, სასაცილო გამოჩნდეთ - ეს ახალგაზრდული ასაკით მოგდით. სჯობს, სისულელე თქვათ, ვიდრე მნიშვნელოვანი გამოგრჩეთ.

ფანდორინმა ჯერ მორიდებულად დაიწყო, მერე უფრო გულმხურვალედ ალაპარაკდა:

-მე მეჩვენება, თქვენი მადლ... ესე იგი, შეფ, რომ თქვენ ამაოდ სტოვებთ გვერდზე ლედი ესტერს. იგი, რასაკვირველია, ძალზე ღირსეული და პატივსაცემი არსებაა, მაგრამ... ის მილიონიანი ანდერძი! ბეჟეცკაიას აქედან არანაირი სარგებელი არ გააჩნია, არც გრაფ ზუროვს, ნიჰილისტებს - მხოლოდთუ საზოგადო კეთილდღეობის აზრით. . . მე არ ვიცი, რა შუაშია აქ ლედი ესტერი, შესაძლოა, არც არაფერში, მაგრამ თანამიმდევრული რიგიანობისთვის კარგი იქნებოდა... ხომ არსებობს საგამოძიებო პრინციპი – cui prodest, „მოძებნე, ვისთვისაც სასარგებლოა".

-მეღსი თარგმანისთვის, -თავი დაუკრა ივან ფრანცევიჩმა და ფანდორინი აირია. -შენიშვნა სავსებით მართებულია, თუმცა ახტირცევის მონათხრობში, რომელიც თქვენს მოხსენებაშია აღნიშნული, ყველაფერი ამომწურავად არის ახსნილი. ბარონესა ესტერის სახელი შემთხვევით გამოჩნდა. მე ის არ ჩავრთე ეჭვმიტანილთა სიაში, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ დრო ძვირფასია, მეორეც, კიდევ იმიტომაც, რომ მე ამ დამას ცოტათი ვიცნობ, მქონდა ბედნიერება, შევხვედროდი. -ბრილლინგმა კეთილად გაიღიმა. -სხვათა შორის, ფანდორინო, თქვენ ფორმალურად მართალი ხართ. არ მინდა, ჩემი დასკვნები მოგახვიოთ თავზე. თქვენ თავად იფიქრეთ, არავის სიტყვას არ ენდოთ. შეხვდით ბარონესას, გამოკითხეთ, რაზედაც საჭიროდ ჩათვლით. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ნაცნობობა, ბევრი სხვა რამის გარდა, სიამოვნებასაც მოგანიჭებთ. საქალაქო მორიგის სამსახურში გამოგიცხადებენ ლედი ესტერის მოსკოვურ ადრესს. და აი, კიდევ რა, გასვლის წინ საკოსტიუმოში შებრძანდით, ზომა აგიღონ. სამსახურში მუნდირით აღარ გამოცხადდეთ. ბარონესას ჩემი მდაბალი სალამი და როცა დაჭკვიანებული დაბრუნდებით, საქმეს მივხედოთ, ესე იგი, გრაფ ზუროვს.

## *მეშვიდე თავი, რომელშიც მტკიცდება, რომ პედაგოგიკა მეცნიერებებიდან უმთავრესია*

მორიგის მოცემულ მისამართზე მისულმა ერასტ პეტროვიჩმა კაპიტალური, სამსართულიანი სახლი დაინახა, ერთი შეხედვით ყაზარმას რომ მოგაგონებდათ, მაგრამ ბაღით გარშემორტყმული და სტუმართმოყვარედ გაღებული ჭიშკრით. სწორედ ეს გახლდათ ანგლიელი ბარონესას ახლად გახსნილი ესტერნატი. შავ-თეთრ ზოლიანი ჯიხურიდან ვერცხლისფერბუზმენტებიან, რიგიან ლურჯ სერთუკში გამოწყობილმა მოსამსახურემ გამოიხედა და ხალისიანად აუხსნა, რომ ქალბატონი მილედი აქ კი არა, ფლიგელში ცხოვრობს, მარჯვენა კუთხეში მოუხვევთ და იმ შესახვევთან არის შესასვლელი.

ფანდორინმა დაინახა, რომ შენობის კარიდან ლურჯსავე მუნდირებში ჩაცმული ბიჭების გუნდი გამოიშალა და ველური ყვირილით დაიწყეს გაზონზე სირბილი, კენჭობანას თამაშობდნენ. მოსამსახურეს არც უფიქრია, ამ ცელქებისთვის წესრიგისკენ მოეწოდებინა. ფანდორინის გაკვირვებული მზერა რომ დაიჭირა, აუხსნა:

-აკრძალული არ არის. შესვენებაზე, თუ გინდა, ბორბლებით იარე, მარტო ქონება არ გააფუჭო. ესეთი წესებია.

ვერაფერს იტყვი, როგორც ჩანს, ობლები აქ თავის ნებაზე იყვნენ, გუბერნიის გიმნაზი-

ის მოსწავლეებივით კი არა, რომელთა რიცხვშიც არცთუ ისე ადრე ჩვენი კოლეგიის რეგისტრატორიც შედიოდა. იმ საწყლების მაგივრად გახარებულმა ერასტ პეტროვიჩმა მითითებული მიმართულებით, მესერის სისწვრივ გასწია.

მოსახვევიდან ჩრდილებიანი შესახვევი იწყებოდა. ასეთები აქ, ხამოვნიკებში უთვალავი იყო: მტვრიანი ქვაფენილი, მთვლემარე სახლები ბაღჩებით და მესერებით, ტოტებგაშლილი ალვები, რომლებიდანაც მალე ფრენას დაიწყებენ თეთრი ბუმბულები. ორსართულიანი ფლიგელი, სადაც ლედი ესტერი იდგა, გრძელი გალერეით უერთდებოდა ძირითად კორპუსს. მარმარილოს დაფაზე ეწერა: „პირველი მოსკოვური ესტერნატი. დირექცია". მის მახლობლად მზეზე თბებოდა მედიდური შვეიცარი - ერთიანად აბრჭყვიალებული, დავარცხნილი ბაკენბარდებით. ასეთი სადიდკაცო შვეიცარები, თეთრი წინდებით და ოქროსკოკარდიანი სამკუთხა შლაპებით ფანდორინს გენერალ-გუბერნატორის რეზიდენციის მახლობლადაც კი არ ენახა.

-ახლა მიღება არ არის, - შლაგბაუმივით დაუყენა ხელი იმ იანიჩარმა, - ხვალ მობრძანდით. სახელმწიფო საქმეებზე ათიდან თორმეტამდე, პირადზე კი ორიდან ოთხამდე.

მოკლედ, კარგი ურთიერთობა ვერააწყო ამ შვეიცარების ჯილაგთან. ან გარეგნობა ჰქონდა არასოლიდური, ანდა მის პირისახეზე რაღაც ვერ იყო წესრიგში.

-სამძებრო პოლიცია. ლედი ესტერთან ვარ, სასწრაფო საქმეზე, - გამოსცრა მან, შურისძიებით გაივლო, როგორ მოიხრის ქედს ეს ოქროს სირმებიანი, გაქვავებული კერპი.

მაგრამ გაქვავებულ კერპს ყურიც არ შეუბერტყავს.

-მეტი საქმე არა აქვს მის ბრწყინვალებას, არ შეგიშვებთ. თუ ისურვებთ, შემიძლია მისტერ კანინგემს მოვახსენო.

-არავითარი კანინგემი არ მჭირდება, -განრისხდა ერასტ პეტროვიჩი, -ეხლავე მოახსენე ბარონესას, შე საქონელო, თორემ უბნის დილეგში მოგიწევს ღამის გათენება! და ეგრე უთხარი – სამძებრო სამმართველოდან არის სასწრაფო, სახელწიფო საქმეზე-თქო!

შვეიცარმა საეჭვო მზერით გაზომა გაბრაზებული ჩინოვნიკი, თუმცა მაინც გაქრა კარს მიღმა. შესვლა კი მაინც არ შეუთავაზებია ამ არამზადას.

დიდხანს მოუხდა ცდა, ფანდორინი შეუპატიჟებლად აპირებდა შეჭრას, როცა კარის მიღმიდან კიდევ გამოიხედა ბაკენბარდებიანმა მოღუშულმა სიფათმა.

-მიღებით მიგიღებენ, მაგრამ ჩვენებურად არცთუ კარგად ბაასობენ, მისტერ კანინგემს სათარგმნელად არა სცალია, დაკავებულია. აი, თუკი ფრანგულად აუხსნით... -ხმის მიხედვით გასაგები იყო, რომ ამგვარი შესაძლებლობისა შვეიცარს ნაკლებად სჯერა.

-ინგლისურადაც შემიძლია, -ცივად დაუკრა თავი ერასტ პეტროვიჩმა, -საით?

-გაგაცილებთ, მე მომყევით.

სუფთა, შტოფგაკრული შემოსასვლელი. მერე ნათელი, მზით სავსე დერეფანი გაიარეს, მონაცვლეობით რომ გასდევდა მაღალი, ჰოლანდიური ფანჯრები, ფანდორინი იანიჩარს მიჰყვებოდა თეთრი, მოოქროვილი კარისკენ.

ინგლისურად საუბრისა ერასტ პეტროვიჩს არ ეშინოდა. ის ნენნი ლისბეტის (მკაცრ წუთებში – მისის ჯეისონი) ზედამხედველობით გაიზარდა, ნამდვილი ინგლისელი გადიისა. ეს იყო გულითადი და მზრუნველი, მაგრამ მეტისმეტად თავდაჭერილი გაუთხოვარი ქალი, რომლისთვისაც მით უმეტეს „მის" კი არა, „მისის" უნდა დაეძახა – მისი საპატიო პროფესიის პატივისცემით. ლისბეტმა თავის აღსაზრდელს ასწავლა, რომ შვიდის ნახევარზე ამდგარიყო ზაფხულში, ევარჯიშა ოფლის გამოსვლამდე და მერე ცივი წყლით ებანავა, ორასამდე დათვლამდე ეხეხა კბილები, არასოდეს ეჭამა მაძღრად და კიდევ უამრავი, ჯენტლმენისთვის აუცილებელი რამეები.

კარზე რაკუნს ქალის ნაზი ხმა გამოეპასუხა:

-Come in! Entrez!(„შემოდით!"-ინგლ., „მობრძანდით!"-ფრანც.).

ერასტ პეტროვიჩმა შვეიცარს ქუდი მისცა და შევიდა.

ის აღმოჩნდა ფართო, მდიდრულად მოწყობილ კაბინეტში, სადაც მთავარი ადგილი დაეჭირა განიერ, წითელი ხის საწერ მაგიდას. მაგიდასთან იჯდა ჭაღარაშერეული დამა უბრალოდ სასიამოვნო კი არა, არამედ რაღაც განსაკუთრებული თბილი და მყუდრო გარეგნობით. ოქროს პენსნეს მიღმა მასპინძლის ღია-ცისფერი თვალები ანათებდნენ ცოცხალი გონიერებით და სტუმართმოყვარეობით. ულამაზო, მოძრავი სახე იხვისებური ცხვირით და ფართო, მოღიმარე პირით ფანდორინს მაშინვე მოეწონა.

ინგლისურად წარუდგა, თუმცა თავისი ვიზიტის მიზანზე ჯერ არაფერი უთქვამს.

-თქვენ დიდებული წარმოთქმა გაქვთ, სერ, - შეაქო ლედი ესტერმა იმავე ენაზე, თან გამოკვეთილად გამოთქვამდა თითოეულ ბგერას, - იმედი მაქვს, ჩვენი მრისხანე ტიმოთი... ტიმოთემ ძალიან ხომ არ შეგაშინათ? გამოგიტყდებით, მე თვითონაც მეშინია მაგისი, მაგრამ დირექციაში ხშირად მიდიან თანამდებობის პირები და აქ ტიმოთე შეუცვლელია, ინგლისელ ლაქიას სჯობია. თქვენ კი დაბრძანდით, ყრმაწვილო კაცო. აი იქ, სავარძელში აჯობე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბს, მანდ უფრო მოხერხებულად იქნებით. ესე იგი, კრიმინალურ პოლიციაში მუშაობთ? ალბათ, ძალიან საინტერესო სამუშაო უნდა იყოს. მამათქვენი რაღას აკეთებს?

-გარდაიცვალა.

-ძალიან ვწუხვარ, სერ. დედილო?

-ისიც, -ჩაიბურტყუნა საუბრის ამგვარი შემობრუნებით უკმაყოფილო ფანდორინმა.

-საწყალი ბიჭი. ვიცი, როგორ სიმარტოვეს განიცდით. აი, უკვე ორმოცი წელიწადია, თქვენსავით უბედურ ბიჭებს ვეხმარები სიმარტოვისგან თავის დახსნაში და საკუთარი გზის პოვნაში.

-გზის პოვნაში, მილედი? - მთლად ვერ მიხვდა ერასტ პეტროვიჩი.

-ო, დიახ, -გამოცოცხლდა ლედი ესტერი, ჩანდა, საყვარელ თემასთან მოსულიყო, - საკუთარი გზის პოვნა ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე მთავარია. მე ღრმად გახლავართ დარწმუნებული, რომ ყოველ ადამიანს თავისებური ტალანტი აქვს, თითოეულში ჩადებულია ღვთიური ნიჭი. კაცობრიობის ტრაგედია ის არის, რომ ჩვენ არ შეგვიძლია და არც ვცდილობთ, ეს ნიჭი ბავშვში აღმოვაჩინოთ და გამოვზარდოთ. გენიოსები ჩვენთან - იშვიათობა და თითქმის საოცრებაა, თუმცა ვინ არის გენიოსი? ეს უბრალოდ ის ადამიანია, ვისაც გაუმართლა. მისი ბედი ისე აეწყო, რომ ცხოვრებისეულმა გარემოებებმა თვითონ უბიძგეს ადამიანს, რომ თავისი გზის სწორი არჩევანი გაეკეთებინა. ამის კლასიკური მაგალითი მოცარტია. მუსიკოსის ოჯახში დაიბადა და ადრეული ბავშვობიდან აღმოჩნდა გარემოში, იდეალურად რომ ჰკვებავდა მასში ბუნებიდან ჩადებულ ტალანტს. ახლა კი, ძვირფასო სერ, წარმოიდგინეთ, რომ ვოლფგანგ ამადეუსი გლეხის ოჯახში დაბადებულიყო. მისგან, შესაძლებელი გახლდათ, მდაბიო მწყემსი გამოსულიყო, ძროხებს რომ გაართობდა ჯადოსნური სალამურით. სალდაფონის ოჯახში თუ გაჩნდებოდა - უნიჭო ოფიცრად გაიზრდებოდა, სამხედრო მარშებს სცემდა თაყვანს. ო, დამერწმუნეთ, ყმაწვილო კაცო, თითოეული, გამონაკლისის გარეშე, თითოეული ბავშვი თავის საუნჯეს მალავს, მხოლოდ ამ საუნჯემდე ჩაღრმავება უნდა შეგვეძლოს! არის ერთი კეთილი ჩრდილოამერიკელი მწერალი, რომელსაც მარკ ტუეინი ჰქვია. მე მას ვუკარნახე იდეა მოთხრობისა, რომელშიც ადამიანებს აფასებენ არა მათი რეალური მიღწევებით, არამედ იმ პოტენციით, იმ ტალანტით, რომელიც მათში ბუნებრივად იყო ჩადებული. და მაშინ გამოჩნდება, რომ ყველა დროის ყველაზე დიადი სარდალი რომელიღაც უცნობი თერძი აღმოჩნდება, არასოდეს რომ არ უმსახურნია არმიაში; ყველაზე დიად მხატვარს ხელში არა სჭერია ფუნჯი, რადგან მთელი ცხოვრება ფეხსაცმელებს უკერებდა. აღზრდის ჩემი სისტემა იმას ეფუძნება, რომ დიადი სარდალი აუცილებლად მოხვდეს სამხედრო სამსახურში, ხოლო დიადმა მხატვარმა თავის დროზე მიიღოს ფერებთან მისვლის შესაძლებლობა. ჩემი პედაგოგები დიდი ცდით და მოთმინებით შეისწავლიან თითოეული აღსაზრდელის სულიერ აგებულებას, იქ ღვთიურ ნაპერწკალს ეძებენ და ათიდან ცხრა შემთხვევაში პოულობენ კიდეც!

-აჰა, მაინც ყველაში არა ყოფილა! - ზეიმით ასწია თითი ფანდორინმა

-ყველაშია, ჩემო ბიჭიკო, აბსოლუტურად ყველაში, უბრალოდ, ჩვენ, პედაგოგები საკმაოდ დახელოვნებული არა ვართ. ანდა ბავშვში ჩადებულია ტალანტი, რომელსაც თანამედროვე სამყაროში გამოყენება ჯერ არა აქვს. შესაძლოა, ეს ადამიანი პირველყოფილ საზოგადოებაში იყო აუცილებელი ანდა მისი გენია შორეულ მომავალში გახდება საჭირო - ისეთ სფეროში, რომლის წარმოდგენაც კი არ შეგვიძლია დღეს.

-მომავალზე - კეთილი, განსჯას ვერ შევუდგები, -გატაცებული კამათი დაიწყო ფანდორინმა,- მაგრამ პირველყოფილ საზოგადოებაზე რაღაც გაუგებარია, რა ტალანტები გაქვთ მხედველობაში?

-თავადაც არ ვიცი, ჩემო ბიჭო, - ფარ-ხმალის დამყრელად გაიღიმა ლედი ესტერმა, - მაგალითად, დავუშვათ, მიწის ქვეშ წყლის პოვნის ნიჭი ანდა ტყეში ცხოველის შეგრძნების უნარი. შესაძლოა, საჭმელი ფესვების გარჩევა არასაჭმლისაგან. მხოლოდ ერთი ვიცი, რომ იმ შორეულ ხანაში სწორედ ასეთი ადამიანები იყვნენ მთავარი გენიები, ხოლო მისტერ დარვინი ან ჰერრ შოპენჰაუერი გამოქვაბულში რომ დაბადებულიყვნენ, თავ-თავიანთ ტომებში ბრიყვების მდგომარეობაში იქნებოდნენ. აქვე უნდა ითქვას, რომ იმ ბავშვებს, რომლებსაც დღეს გონებრივად განუვითარებლად სთვლიან, აგრეთვე, აქვთ ნიჭი. ეს, რასაკვირველია, რაციონალური თვისებების ტალანტი არ გახლავსთ, მაგრამ ამის გამო არანაკლებად ძვირფასია. მე შეფილდში მაქვს სპეციალური ინტერნეტი იმათთვის, ვისაც ტრადიციულმა პედაგოგიკამ ზურგი შეაქცია. ღმერთო, გენიალურობის რა საოცრებებს ამჟღავნებენ ეს ბიჭუნები! იქ არის ბავშვი, ცამეტი წლისამ ძლივს რომ აიდგა ენა, მაგრამ ხელისგულის მიდებით ნებისმიერ შაკიკს არჩენს. მეორეს - ის, საერთოდ, ხმას ვერ იღებს - სუნთქვის შეჩერება შეუძლია მთელი ოთხ-ნახევარი წუთით. მესამე შეხედვით ათბობს წყლიან ჭიქას, წარმოგიდგენიათ?

-დაუჯერებელია! მაგრამ... რატომ მხოლოდ ბიჭები? გოგონები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლედი ესტერმა ამოიოხრა, ხელები გაშალა.

-თქვენ მართალი ხართ, ჩემო მეგობარო. რა თქმა უნდა, გოგონებთანაც უნდა ვიმუშაოთ. თუმცა გამოცდილება მკარნახობს, რომ ქალის ნატურაში ჩადებული ტალანტი ხშირად ისეთი თვისებისაა, რომ თანამედროვე საზოგადოების მორალს სათანადოდ არ შეუძლია მისი მიღება. ჩვენ მამაკაცების საუკუნეში ვცხოვრობთ და ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ. საზოგადოებაში, სადაც კაცები მართავენ, არაჩვეულებრივი, ნიჭიერი ქალი ეჭვებს და მტრობას იწვევს. მე არ ვისურვებდი, ჩემი აღზრდილები უბედურები ყოფილიყვნენ.

-მაგრამ როგორ არის მოწყობილი თქვენი სისტემა? როგორ წარმოებს, ასე ვთქვათ, ბავშვების დახარისხება? - ცხოველი ინტერესით შეეკითხა ერასტ პეტროვიჩი.

-მართლა გაინტერესებთ? - გაუხარდა ბარონესას. - წამობრძანდით სასწავლო კორპუსში და თავად ნახავთ.

ის თავისი ასაკისთვის შეუფერებელი სიმარდით წამოხტა, მზადმყოფი, წაეყვანა და ეჩვენებინა.

ფანდორინმა თავი დაუკრა და მილედიმ ახალგაზრდა კაცი ჯერ დერეფნით წაიყვანა, მერე კი გრძელი გალერეით ძირითად ნაგებობაში.

გზაში უამბობდა:

-აქაური დაწესებულება სულ ახალია, სამი კვირაა გავხსენით და მუშაობას ჯერ კიდევ ახლა ვიწყებთ. ჩემმა ხალხმა თავშესაფრებიდან და ზოგჯერ პირდაპირ ქუჩიდანაც კი აიყვანა ას ოცი ობოლი ბიჭი, ოთხიდან თორმეტი წლის ასაკამდე. თუ ბავშვი უკვე დიდია, მასთან ძნელია რამის გაკეთება – პიროვნება ჩამოყალიბდა. თავიდან ბიჭები გავყავით ასაკობრივ ჯგუფებად, თითოეულს თავისი მასწავლებელი ჰყავს, მოცემული ასაკის სპეციალისტი. მასწავლებლის მთავარი მოვალეობაა, დააკვირდეს ბავშვებს და თანდათან მისცეს სხვადასხვა მარტივი დავალებები. ეს დავალებები თამაშს ჰგავს, მაგრამ მათი მეოხებით ადვილი გასაგებია ბავშვის ბუნების საერთო მიმართულება. პირველ ეტაპზე უნდა გამოვიცნოთ, რა უფრო ტალანტიანია მოცემულ ბავშვში – სხეული, თავი თუ ინტუიცია. მერე ბავშვები დაიყოფიან არა ასაკობრივ, არამედ პროფილურ ჯგუფებად: რაციონალისტები, არტისტები, ხელმარჯვეები, ლიდერები, სპორტსმენები და ასე შემდგომ. ეს პროფილი თანდათან ვიწროვდება და უფროსი ასაკის ბიჭებს ხშირად ინდივიდუალურად ამზადებენ. მე ბავშვებთან ორმოცი წელი ვმუშაობ და ვერ წარმოიდგენთ, რა ბევრს მიაღწიეს ჩემმა აღზრდილებმა - სულ სხვადასხვა სფეროებში.

-ეს გრანდიოზულია, მილედი! -აღფრთოვანდა ერასტ პეტროვიჩი, -მაგრამ საიდან უნდა მოვუყვანოთ ასეთი ჩინებული პედაგოგები?

-მე ძალიან კარგად ვუხდი ჩემს მასწავლებლებს, რადგან პედაგოგიკა მეცნიერებათაგან უმთავრესია, -ღრმა რწმენით თქვა ბარონესამ, -ამას გარდა, ბევრი ჩემი ყოფილი აღზრდილი გამოთქვამს სურვილს, ესტერნატებში დარჩეს აღმზრდელად. ეს ხომ ბუნებრივიც არის, ესტერნატი ხომ ის ერთადერთი ოჯახია, რაც მათ იციან.

ისინი ფართო, რეკრეაციულ დარბაზში შევიდნენ, სადაც რამდენიმე საკლასო ოთახის კარი გამოდიოდა.

-სად მიგიყვანოთ? – ჩაფიქრდა ლედი ესტერი - აი, თუნდაც ფიზიკურში. იქ საჩვენებელი გაკვეთილი აქვს ჩემ დიდებულ დოქტორ ბლანკს, ციურიხის ესტერნატის კურსდამთავრებულს, გენიალურ ფიზიკოსს. მე მოსკოვში გადმოვიტყუე, რადგან აქ ელექტრობაზე ცდების ჩასატარებელი ლაბორატორია მოვუწყვე. ამასთან ერთად, მან ბავშვებს უნდა უჩვენოს ყოველგვარი ეშმაკური ფოკუსები, რათა ამ გზით მათი ინტერესი გააღვიძოს ამ მეცნიერებისკენ.

ბარონესამ ერთ-ერთ კარზე დააკაკუნა და მათ კლასში შეიხედეს. მერხებს თხუთმეტამდე თერთმეტი წლის ბიჭი უჯდა ლურჯი მუნდირებით, რომელთა საყელოებზე ოქროს ლიტერა „ე" ამოექარგათ. ყველა ისინი სუნთქვა შეკრულნი უყურებდნენ თუ პირქუში, ახალგაზრდა ბატონი უშველებელი ბაკენბარდებით, საკმაოდ უწესრიგო სერთუკით და არცთუ სუფთა პერანგით, როგორ ატრიალებს რაღაც მინის ბორბალს, რომელიც ლურჯ ნაპერწკლებს ისვრის.

-Ich binsehr beschaftigt, milady! („მე ძალიან დაკავებული ვარ, მილედი!"-ნემენც.) - წყენით დაიყვირა დოქტორმა ბლანკმა, - Spater, spater! („მერე, მერე!"-ნემენც.) - და დამტვრეულ რუსულზე გადასულმა ბავშვებს მიმართა: - ახლა კი, ჩემო ბატონებო, თქვენ ნახოტ ნამდვილი პატარა ცისარტკელა! მას ჰქვია – Blank Begenbogen, „ბლანკის ცისარტკელა". ეს მე მოვიფიკრო, როცა ისეტი ახალგაზრდა ვიკო, როგორც ტკვენ.

უცნაური ბორბლიდან მაგიდამდე, რომელზედაც ყველანაირი ფიზიკური მოწყობილობები იყო დადგმული, მოულოდნელად პატარა, დაუჯერებლად ნათელი შვიდფერა ცისარტყელა გაიჭიმა და ბიჭებმაც აღტაცებით დაიგუგუნეს.

-ცოტა შეშლილია, მაგრამ ნამდვილი გენიაა, -ფანდორინს უჩურჩულა ლედი ესტერმა.

ამ წამში მეზობელი კლასიდან მოისმა ბავშვის ხმამაღალი ყვირილი.

-ღმერთო! -გულზე ხელი იტაცა მილედიმ.- ეს გიმნასტიკურიდან იყო! ჩქარა, იქით!

დერეფანში გაიქცა, ფანდორინიც მიჰყვა. მათ ერთად შეირბინეს ცარიელ, ნათელ აუდიტორიაში, რომლის იატაკიც თითქმის ბოლომდე გადაჭრელებული იყო ტყავის ჭილობებით, ხოლო კედლების გაყოლებაზე განლაგებული იყო სხვადასხვაგვარი გიმნასტიკური იარაღები: შვედური კედლები, რგოლები, მსხვილი ბაგირები, ტრამპლინები. რაპირები და საფარიკაო ნიღბები დამეზობლებოდნენ ბოქსიორის ხელთათმანებს და ასაწევ გირებს. შვიდი-რვა წლის პატარების გუნდი ერთ-ერთი ჭილობის გარშემო შეკრებილიყო. ბავშვები რომ გასწია, ერასტ პეტროვიჩმა ტკივილისგან დაკრუნჩხული ბიჭი დაინახა, რომელთანაც დახრილიყო გიმნასტიკურ ტრიკოში გამოწყობილი ოცდაათიოდე წლის კაცი. ცეცხლისფერ-ჟღალი კულულები ჰქონდა, მწვანე თვალები და ნებისყოფიანი, ძლიერ ჭორფლიანი პირისახე.

-კაი-კაი, ვაშკაც, -რუსულად მსუბუქი აქცენტით ლაპარაკობდა, -ნუ გეშინია, ფეხი მაჩვენე. არ გატკენ. ვაჟკაცურად გაუძელი. Fell from the rings, m'lady,-აუხსნა ბარონესას, -Weak hands. I am afraid, the ankle is broken. Would you please tell Mr. Izyumoff? („რგოლებიდან ჩამოვარდა, მილედი. სუსტი ხელები აქვს. ვშიშობ, კოჭი აქვს მოტეხილი. თუ შეიძლება, უთხარით ბატონ იზიუმოვს“ - ანღლიური).

მილედიმ უხმოდ დაუქნია თავი, ერასტ პეტროვიჩს ხელის გაქნევით გაყოლა ანიშნა და სწრაფად გავიდა კლასიდან.

-ექიმთან შევივლი, მისტერ იზიუმოვთან,- ჩქარი ლაპარაკით გამოუცხადა მან, - ასეთი უსიამოვნება ხშირად ხდება – ბიჭები მაინც ბიჭები არიან... ეს ჯერალდ კანინჰემი იყო, ჩემი მარჯვენა ხელი. ლონდონის ესტერნატის კურსდამთავრებული. ბრწყინვალე პედაგოგია. მთელი რუსეთის ფილიალს ხელმძღვანელობს. ნახევარ წელიწადში შეისწავლა თქვენი რთული ენა, რომელიც მე ვერაფრით შემითვისებია. ჩავლილ შემოდგომაზე ჯერალდმა პეტერბურღში გახსნა ესტერნატი, ახლა აქ დროებითაა, საქმის აწყობაში გვეხმარება. უმაგისოდ ხელმოჭრილივით ვარ.

ის შეჩერდა კართან, რომელზედაც „ექიმი“ ეწერა.

-გთხოვთ, მაპატიოთ, სერ, ჩვენი საუბრის შეწყვეტა მოგვიწევს. სხვა დროს იყოს, კარგი? ხვალ მობრძანდით და ვილაპარაკოთ. თქვენ ხომ ჩემთან რაღაც საქმე გქონდათ?

-ისეთი არაფერი, მილედი, -გაწითლდა ფანდორინი, -ისე, მართლა... მერე, როდისმე. წარმატებას გისურვებთ თქვენს კეთილშობილურ ასპარეზზე.

მოუხერხებლად დაუკრა თავი და აჩქარებით წამოვიდა. ერასტ პეტროვიჩს ძალიან რცხვენოდა.

●●●

-აბა, რა ქენით, აიყვანეთ ბოროტმოქმედი სამხილებით? -უფროსმა რაღაც ბრძნული დიაგრამებიდან ასწია თავი და მხიარულად მიესალმა დარცხვენილ ფანდორინს. კაბინეტის ფარდები გაწეული იყო, მაგიდაზე ლამპა ენთო, რაკი სარკმლებს მიღმა ბინდდებოდა.- მოდით, გამოვიცნობ. მისტერ Kokorin-ის შესახებ მილედის თავის სიცოცხლეში არაფერი სმენია, მისს Bezhetskaya-ზე მით უფრო, თვითმკვლელის ანდერძზე ცნობამ იგი საშინლად გააბრაზა. ასეა?

ერასტ პეტროვიჩმა მხოლოდ ამოიოხრა.

-მე ეს პიროვნება პეტერბურღში ვნახე. მისი თხოვნა რუსეთში პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ ჩვენთან, მესამეში განიხილებოდა. გენიალურ დებილებზე მოგიყვათ? კეთილი, ახლა საქმეზე. მაგიდას მოუჯექით,- ფანდორინს სკამისკენ მიუთითა შეფმა, -თქვენ წინ წარმტაცი ღამე გელოდებათ.

ერასტ პეტროვიჩმა სასიამოვნო შემაშფოთებელი წკმენტა იგრძნო მკერდში – ასეთ ზემოქმედებას ახდენდა მასზე ბატონ სამოქალაქო მრჩეველთან ურთიერთობა.

-თქვენი სამიზნე ზუროვია. თქვენ ის უკვე ნახეთ. გარკვეული წარმოდგენაც გაქვთ. გრაფთან მოხვედრა ადვილია, რეკომენდაციები საჭირო არ არის. მაგას სახლში რაღაც სათამაშო ბუნაგი აქვს, არცთუ უმტკივნეულოდ კონსპირირებული. იქ ერთგვარი ჰუსარულ-გვარდიული ტონია მიღებული, მაგრამ საკმაოდ დაწანწალებს ყველანაირი ვიგინდარა. ასეთივე სახლი ზუროვს პეტერბურღშიც ჰქონდა, ხოლო პოლიციის ვიზიტის შემდეგ მოსკოვში გადმობარგდა. თავისუფალი ბატონი გახლავსთ, პოლკში უკვე მესამე წელია უვადო შვებულებაში ითვლება. გადმოგცემთ თქვენს ამოცანას. ეცადეთ, მის სიახლოვეს მიაღწიოთ, დააკვირდით მის გარემოცვას. იქ ხომ არ არის თქვენი თეთრთვალა ნაცნობი? ოღონდ თვითმოქმედების გარეშე, თქვენ მაგას მარტოკა ვერ გაუმკლავდებით. სხვათა შორის, საეჭვოა, იქ იყოს... არ გამოვრიცხავ, რომ გრაფი თავადვე დაინტერესდება თქვენით - ხომ უკვე გნახათ ბეჟეცკაიასთან, რომლის მიმართ ზუროვი, როგორც ჩანს, გულგრილი არ არის. სიტუაციის მიხედვით იმოქმედეთ. ნუ ჩაეფლობით. ამ ბატონთან ხუმრობა საშიშია. უპატიოსნოდ თამაშობს, როგორც იმათ საზოგადოებაში ამბობენ, „ზიხერზე აჰყავხარ“, და თუ გამოააშკარავებენ - სკანდალს ატეხავს. იმის ანგარიშზეა ათზე მეტი დუელი, თან ყველა დუელზე ცნობილი არ არის. შეიძლება, უდუ-

ელოდაც გადაგიხსნას თავის ქალა. მაგალითად, სამოცდათორმეტში ნიჟეგოროდის ბაზარში კარტის თამაშისას ვაჭარ სვიშჩოვს წაეკინკლავა და მერე ფანჯრიდან ისროლა თავისი წვერიანად. მეორე სართულიდან. ვაჭარი დაიმტვრა, ერთი თვე ხმისამოუღებლად იწვა, მხოლოდ ანიშნებდა. გრაფს კი არაფერი, გამოძვრა. გავლენიანი ნათესავები ჰყავს სხვადასხვა სფეროებში. ეს რა არის? – ჩვეულებრივ, გადასვლის გარშე შეეკითხა ივან ფრანცევიჩი, მაგიდაზე კი სათამაშო კარტის დასტა დადო.

-კარტი, - გაოცდა ფანდორინი...

-თამაშობთ?

-საერთოდ არა ვთამაშობ. მამა ხელში აღებასაც მიკრძალავდა, ამბობდა, რომ თავის მაგივრადაც ითამაშა, ჩემს მაგივრადაც და კიდევ ფანდორინების მომდევნო სამი თაობის მაგივრადაც.

-სამწუხაროა, - შეწუხდა ბრილლინგი. -უამისოდ გრაფთან საქმე არა გაქვთ. კეთილი, აიღეთ ქაღალდი, ჩაიწერეთ...

მეოთხედი საათის შემდეგ ერასტ პეტროვიჩს შეეძლო წაუბორძიკებლად გაერჩია კარტის ფერები და იცოდა, რომელი კარტია მაღალი, რომელი - დაბალი, მხოლოდ სურათები ერეოდა – სულ ავიწყდებოდა, უფროსი რომელია, დამა თუ ვალეტი.

-უიმედო ხართ, -დაასკვნა შეფმა, -მაგრამ ეს საშიში არაა. პრეფერანსს და სხვა გონებრივ თამაშებს გრაფთან მაინც არა სწყალობენ. იქ უფრო პრიმიტიულები უყვართ, ჩქარა რომ წავიდეს და ფულიც ბევრი მოვიდეს. აგენტები გვაცნობებენ, ზუროვს შტოსსი ურჩევნია, თანაც გამარტივებული. გიხსნით წესებს. ვინც კარტს არიგებს, ბანკომეტი, ანუ ბანქოს დამრიგებელი ჰქვია. მეორეს – პონტერი, ანუ მეფსონე. ამასაც და იმასაც თავისი დასტა აქვთ. პონტერი თავისი დასტიდან ირჩევს კარტს - ვთქვათ, ათიანს. თავისთვის დაიგდებს პერანგით მაღლა.

-პერანგი - ეს ხომ მოხატულობაა კარტის მეორე მხარეს? – დააზუსტა ფანდორინმა.

-დიაღ. ახლა პონტერი ჩამოდის ბანკში - დავუშვათ, ათ რუბლს. მაშინვე იწყებს „დარიგებას“: ხსნის დასტიდან ზედა კარტს მარჯვნივ (ამას ჰქვია „შუბლი“), მეორეს – მარცხნივ (ამას ჰქვია „მძინარა“).

„შუბლი“ - მარჯვ., „მძინარა“ - მარცხნ.“ - სწრაფად იწერდა ბლოკნოტში ერასტ პეტროვიჩი.

-ეხლა პონტერი ხსნის თავის ათიანს. თუკი „შუბლიც“ ათიანი აღმოჩნდა, ფერს მნიშვნელობა არა აქვს, - მებანკეს დადებული თავისთვის მიაქვს. ამას ჰქვია „ათიანის გაჭრა“. მაშინ ბანკი, ანუ თანხა, რაზედაც თამაშობენ, ორმაგდება. თუკი ათიანი აღმოჩნდება „მძინარა“, ანუ მეორე კარტი, - ეს პონტერის მოგებაა, მან „იპოვა ათიანი“.

-თუკი წყვილში ათიანი არ არის?

-თუ პირველ წყვილში ათიანი არ აღმოჩნდა, ბანკომეტი კარტის მომდევნო წყვილს არიგებს. და ასე, იქამდე, სანამ ათიანი არ გამოხტება. ესეც მთელი თამაში. ელემენტარულია, მაგრამ შეიძლება გაუგონრად წააგო, განსაკუთრებით მაშინ, თუ თქვენ პონტერი ხართ და მთელ დროს სულ გაორმაგებაზე თამაშობთ. ამიტომ დაიმახსოვრეთ, ფანდორინ: თქვენ მხოლოდ ბანკომეტად უნდა ითამაშოთ. ეს ადვილია – დააგდებთ კარტს მარჯვნივ, კარტს - მარცხნივ, კარტს მარჯვნივ, კარტს მარცხნივ. ბანკომეტი თავიდან დადებულზე მეტს არ წააგებს. პონტერად არ დაჯდეთ. თუკი კენჭისყრით შეგხვდათ, მოკლე თამაში დანიშნეთ. შტოსსში ხუთზე ნაკლები შესვლის გაკეთება არ შეიძლება, მერე მთელი ბანკის ნარჩენი ბანკომეტთან გადადის. ახლა სალაროში ორას მანეთს მიიღებთ წასაგებად.

-მთელი ორასი? - წამოიძახა ფანდორინმა.

-„მთელი ორასი“ კი არა, „მხოლოდ ორასი“. ეცადეთ, ეს თანხა მთელი ღამე იმყოფინოთ. თუ მალე წააგეთ, მაშინვე წასვლა აუცილებელი არ არის, შეგიძლიათ რაღაც დრო იქ ილაპარაკოთ. მაგრამ ეჭვი არ უნდა გამოიწვიოთ, გასაგებია? ითამაშებთ ყოველ საღამოს, სანამ შედეგს არ მიაღწევთ. თუნდაც გამომჟღავნდეს, რომ ზუროვი გარეული არ არის, - რას ვიზამთ, ესეც რეზულტატია. ერთი ვერსიით ნაკლები იქნება.

ერასტ პეტროვიჩი ტუჩებს აცმაცუნებდა და შპარგალკაში იყურებოდა.

-„გული“ - ეს წითელი გულებია?

-დიახ, მაგათ ხანდახან ეძახიან „ეშმაკებს“ ანდა „კიორებს“ ფრანგული „coeur“(„გული“-ფრანციცული)-იდან. მიბრძანდით საკოსტიუმოში. თქვენი ზომების მიხედვით მოგიმზადეს ჩაცმულობა, ხოლო ხვალ კი სადილისთვის გახსნიან მთელ გარდერობს ცხოვრების ნებისმიერი შემთხვევისთვის. მარშ-მარშ, ფანდორინო, უთქვენოდაც ბევრი საქმე მაქვს. ზუროვის მერე მაშინვე აქ მოხვალთ. ნებისმიერ დროს. დღეს სამმართველოში ვათენებ.

და ბრილლინგმა თავის ქაღალდებში ჩაყო ცხვირი.

## *მერვე თავი,*
## *სადაც უადგილოდ გამოხტება ყვავის ვალეტი*

გაბოლილ დარბაზში ექვს მწვანე ლომბერის მაგიდასთან თამაშობდნენ – სად ჯგუფად, ოთხი კაცი, სად კიდევ ორ-ორნი. თი-

თლეულ მაგიდასთან მაყურებლები ინაცვლე-ბდნენ ფეხებს: სად მოკლე თამაში მიდიოდა,-ნაკლებზე, სად კიდევ მაღლა ადიოდა „შპი-ლი“ - უფრო მსხვილად. ღვინო და მისატანე-ბელი გრაფთან არ მიჰქონდათ, მსურველებს შეეძლოთ სასტუმრო ოთახში გასულიყვნენ და ლაქია გაეგზავნათ ტრაქტირში, მაგრამ მხოლოდ შამპანურისთვის აგზავნიდნენ, რომელიმეს ძალიან თუ გაუმართლებდა, იმ შემთხვევაში. ყველა მხრიდან ისმოდა წყვე-ტილი, არამოთამაშისთვის გაუგებარი წამოძახილები:

-Je coup! („ვარტყამ!“-ფრანც.).

-Je passe. („პასი“-ფრანც.).

-მეორე აბცუგი. (ნემეცური სიტყვიდან „Abzug “- დაკლება).

-Retournez la carte! („გახსენით კარტი!” – ფრანც.).

-თუმცა, ბატონებო, ჩასულია.

-„შუსტრიკა“ მკვდარია! -და სხვა.

ყველაზე მეტი იმ მაგიდასთან შეკრე-ბილიყო, სადაც მსხვილი თამაში მიდიოდა, ერთი ერთზე. თავად მასპინძელი არიგებდა. მსუქანი, ოფლში გაწურული ბატონი კი, ერ-თობ ვიწრო სერთუკით, ფსონს ჩადიოდა. ამ პონტერს, ჩანდა, არ უმართლებდა - ტუჩებს იკვნეტდა, ფიცხობდა. სამაგიეროდ, გრაფი თავად ცივსისხლიანობა იყო და მხოლოდ ტკბილად იღიმოდა შავი ულვაშიდან, მოხრი-ლი თურქული ჩიბუხის კვამლში ეხვეოდა. ნაპატივები, ბრჭყვიალა ბეჭდებიანი, ძლიერი თითები მარჯვედ ხსნიდნენ კარტებს – ერთი მარჯვნივ, ერთი მარცხნივ.

მაყურებელთა შორის, ცოტა უკან რომ იდ-გნენ მოკრძალებით, იმყოფებოდა შავთმიანი ახალგაზრდა კაცი აწითლებული, სრულიად არამოთამაშის ფიზიონომიით. გამოცდილი კა-ცისთვის მაშინვე ცხადი გახდებოდა, რომ ყმაწვილი კარგი ოჯახიდანაა, თამაშზე პირ-ველად მოვიდა და აქ ყველაფერი ეუცხოება. ბრილიანტებით აღჭურვილმა თაღლითმა ბატონებმა რამდენჯერმე შესთავაზეს კარტი ავჭრათო, მაგრამ გაწბილდნენ – ყმაწვილი მხოლოდ ხუთიანებს ჩამოდიოდა ფსონში და „გახურებას“ არ აპირებდა. ყოფილმა შპილმეისტერმა გრომოვმა, რომელსაც მთელი მოთამაშე მოსკოვი იცნობდა, ბიჭუნას „ანკე-სი“ გადაუგდო – ასი რუბლი წააგო იმასთან, მაგრამ ფული ამაოდ დაკარგა. აწითლებულ ყმაწვილს თვალები არ ანთებია და არც ხე-ლები აკანკალებია. მოკლედ, უპერსპექტივო კლიენტი გამოდიოდა, ნამდვილი „ხლიუზდა“, რაც მოთამაშეთა ჟარგონზე „არასერიოზულ კაცს“ ნიშნავს.

ამასობაში ფანდორინი (ანუ ეს „ხლიუზ-და“, რა თქმა უნდა, სწორედ ის იყო) თვლი-და, რომ დარბაზში უჩინარი ჩრდილივით და-ცურავს და არავის ყურადღებას არ იქცევს. ჯერ მაინც ბევრი ვერ „იცურა“, მართალია. ერთხელ დაინახა თუ როგორ აიღო მაგიდი-დან ძალიან საპატიო გარეგნობის ბატონმა ნახევარიმპერიალი და დიდი ღირსებით გვერ-დზე გაიწია. ორი ოფიცერი ხმამაღლი ყვირი-ლით კამათობდა დერეფანში, მაგრამ ერასტ პეტროვიჩმა ვერაფერი გაიგო მათი ლაპარაკი-დან: დრაგუნების პორუჩიკი აღტკინებული არწმუნებდა, რომ ვიღაცა ბზრიალა არ არის და არაპის მეგობრებს არ მართავს, ხოლო პუ-სართა კორნეტი საყვედურობდა რაღაც „ზიხერობას“.

ზუროვი, რომლის მახლობლად ფანდო-რინი, ჰა და ჰა, აღმოჩნდებოდა, ამ საზო-გადოებაში თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში, თანაც ერთი უბრალო თევზი კი არა, კარგა მოზრდილი. ერთი მისი სიტყვა საკმარისი იყო, რომ ჩანასახშივე მოესპო ნე-ბისმიერი სკანდალი, ხოლო ერთხელ მასპინ-ძლის ჟესტზე ორმა ყოჩაღლაქიამ იდლიებით დაიჭირეს ერთი დაწყნარების არამსურველი მყვირალა და ორ წამში გააბრძანეს კარის გა-რეთ. ერასტ პეტროვიჩს გრაფი შეგნებულად არ სცნობდა, თუმცა რამდენჯერმე ფანდო-რინმა დაიჭირა მისი სწრაფი, არცთუ კეთილი შემოხედვა.

-მეხუთე, ჩემო ბატონო, - გამოაცხადა ზუ-როვმა და ამ განცხადებამ რატომღაც უკიდუ-რესად აღელვა პონტერ-მეფსონე.

-იხვს ვკეცავ! – მთრთოლვარე ხმით წამო-იძახა მან და თავის კარტზე ორი კუთხე ჩა-კეცა.

მაყურებელთა შორის ჩურჩულმა გადაირ-ბინა, ხოლო ოფლიანმა შუბლიდან თმის კუ-ლული მოიშორა და მაგიდაზე მთელი გრო-ვა ცისარტყელისებური ქაღალდები დაყარა.

-რა არის „იხვი“? -ნახევარხმაზე მორცხვად შეეკითხა ერასტ პეტროვიჩი წითელცხვირა მოხუცს, ყველაზე უწყინრად რომ ჩათვალა.

-ეს ნიშნავს შესასვლელი ფსონის გაოთხმაგებას, -ხალისით აუხსნა. მეზობელმა. -უნდა, რომ ბოლო აბცუგზე სრული რევანში აიღოს.

გრაფმა გულგრილად გამოუშვა კვამლის ღრუბელი და მარჯვნივ კაროლი გახსნა, მარცხნივ - ექვსიანი.

პონტერმა გულის ტუზი აჩვენა.

ზუროვმა თავი დაუქნია და იქვე დაარიგა შავი ტუზი მარჯვნივ, წითელი კაროლი მარ-ცხნივ.

ფანდორინმა გაიგონა, როგორ დაიჩურჩუ-ლა ვიღაცამ:

-იუველირია!

ოფლიანი ბატონი საცოდავი შესახედავი იყო. მან თვალით გააცილა ასიგნაციების დასტა, გრაფის იდაყვქვეშ რომ აღმოჩნდა, და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრთხილად იკითხა:
-ვალით ხომ არ ინებებდით?
-არ ვინებებდი, - ზარმაცად მიუგო ზუროვ-მა, - კიდევ ვის სურს, ბატონებო?
მოულოდნელად მისი მზერა ერასტ პეტრ-ოვიჩზე შეჩერდა.
-ჩვენ, მგონი, შევხვედრილვართ? -უსიამოვ-ნო ღიმილით შეეკითხა მასპინძელი, - ბატო-ნო ფედორინი, თუ არა ვცდები, ხომ?
-ფანდორინი, - გაუსწორა ერასტ პე-ტროვიჩმა, თან ტანჯვით გაწითლდა.
-პარდონ. თქვენ აქ ყველას ალორნეტებთ? აქ თეატრი კი არ არის. თუ მოხვედით - ითა-მაშეთ კიდეც. სულით და გულით გთხოვთ. - გათავისუფლებულ სკამზე ანიშნა.
-დასტები თქვენ თვითონ აირჩიეთ, - ფან-დორინს ყურში ჩასჩურჩულა კეთილმა მოხუც-მა.
ერასტ პეტროვიჩი დაჯდა და ინსტრუქცი-ის თანახმად, ძალიან გადაჭრით თქვა:
-მაგრამ ნება მიბოძეთ, თქვენო ბრწყინვალებავ, მე თავად მეჭიროს ბანქო ახალბედას უფლებით. ხოლო დასტებიდან მე ვარჩევდი... აი, იმას და ამას. -და მან ლანგრი-დან აიღო ორი ყველაზე ქვედა, გაუხსნელი დასტა.
კიდევ უფრო უსიამოვნოდ გაიცინა ზუროვ-მა:
-რა ვიზამთ, ბატონო ახალბედავ, თქვენი პირობები მიღებულია, მხოლოდ ერთი პირო-ბით: ბანკს თუ მოვხსნი - არ გამექცეთ. მეც მომეცით დარიგების საშუალება. აბა, მაშ, რა თანხაა?
ფანდორინს სიტყვა გაუწყდა, გაბედულე-ბამ ისევე ჩქარა მიატოვა, როგორც ეწვია.
-ასი რუბლი? - მფრთხალად იკითხა მან.
-ხუმრობთ? აქ თქვენ ტრაქტირი ხომ არ გგონიათ?
-კარგი, სამასი. -და ერასტ პეტროვიჩმა მთელი თავისი ფული დადო მაგიდაზე, ადრე მოგებული ასი რუბლის ჩათვლით.
-Le jeu n'en pas la chandlle („თამაში კელაპტ-რებადაც არა ღირს"-ფრანც.), -მხრები აიჩეჩა გრაფმა, - მაგრამ დასაწყისისთვის არა უშავს.
მან ამოიღო თავისი დასტიდან კარტი, ზედ გაუფრთხილებლად დაყარა სამი ასიანი ქა-ღალდის ფული.
-პირდაპირ მოვდივარ.
„შუბლი" მარჯვნივ, გაიხსენა ერასტ პე-ტროვიჩმა და წესიერად დადო მარჯვნივ და-მა წითელი გულებით, ხოლო მარცხნივ – ყვა-ვის შვიდიანი.
იპოლიტ ალექსანდროვიჩმა ორი თითით გადააბრუნა თავისი კარტი და მსუბუქად და-იჯღანა. აგურის დამა იყო.
-ჰაიდა, ახალბედავ, -წაუსტვინა ვიღაცამ. - დამა მარჯვედ დავარცხნა.
ფანდორინმა უსუსურად აჭრა დასტა.
-მთლიანად, -დაცინვით თქვა გრაფმა, მაგი-დაზე ექვსი ასიგნაცია გადმოდო, - ცეცხლს ნუ ეთამაშები და არც დამარცხდები.
მარცხენა კარტს რა ერქვა? -ვეღარ გაიხ-სენა ერასტ პეტროვიჩმა. ეს არის „შუბლი", ხოლო მეორე... ფუ, ეშმაკს. უხერხულია. აბა, როგორ იკითხოს? შპარგალკაში ჩახედვა არა-სოლიდური იქნება.
-ბრავო! -ახმაურდნენ მაყურებლები. -გრაფ, c'est un jeu interessant („თამაში საინტერესოა"-ფრანც.), ატყობთ?
ერასტ პეტროვიჩმა დაინახა, რომ კიდევ მოიგო.
-კეთილი ინებეთ და ნუ მეფრანგულებით! მართლაცდა, რა სულელური ჩვეულებაა რუ-სულ ლაპარაკში ნახევრად ფრანგული ფრ-აზების ჩართვა, - გაღიზიანებით მიუბრუნდა ზუროვი მოლაპარაკეს, თუმცა თავადაც სვამ-და ფრანგულ სიტყვა-თქმებს. -დაარიგეთ, ფან-დორინო, დაარიგეთ. კარტი ცხენი არ არის, დილას გამიმართლებს. მთლიანად.
მარჯვნივ - ვალეტი, ეს „შუბლი", მარ-ცხნივ - რვიანი, ეს...
იპოლიტ ალექსანდროვიჩს ცხრიანი გაუხ-სნა, რომელიც ფანდორინმა მეოთხე შეს-ვლაზე მოკლა.
მაგიდას ყველა მხრიდან შემოერტყნენ და ერასტ პეტროვიჩის წარმატება დამსახურე-ბულად დაფასდა.
-ფანდორინ, ფანდორინ, - დაბნეული ბუტბ-უტებდა იპოლიტ ალექსანდროვიჩი და თითებს აკაკუნებდა დასტაზე. ბოლოს გამო-აძრო კარტი, ორი ათას ოთხასი გადათვალა.
ექვსიანის ყვავი პირველ აბცუგზევე დაწვა „შუბლის" ქვეშ.
-ეს რა გვარია ამისთანა! -წამოიყვირა გაფითრებულმა გრაფმა, - ფანდორინი! ბერ-ძნებიდან ხომ არა ხართ? ფანდორანი, ფანდო-როპულო!
-რატომ ბერძნებიდან? - ეწყინა ერასტ პე-ტროვიჩს, რომლის მეხსიერებაში კიდევ დარ-ჩენილიყო ცუღლუტი თანაკლასელების და-ცინვა თავისი ძველისძველი გვარის გამო (ერ-ასტ პეტროვიჩის გიმნაზიური მეტსახელი - „ფუნდუკი"). -ჩვენი ჯიში, გრაფ, ისეთივე რუ-სულია, როგორიც თქვენი. ფანდორინები ჯერ კიდევ ალექსეი მიხაილოვიჩს ემსახურებო-დნენ.
-აბა როგორ, -გამოცოცხლდა წელანდელი ცხვირწითელა მოხუცი, ერასტ პეტროვიჩის კეთილისმსურველი. -ეკატერინე დიდის დროს ერთი ფანდორინი იყო, ძალზე საინტერესო ჩანაწერები დატოვა.
-ნაწერები, ნაწერები, დღეს მთლიანად ვიწირები. -მოღუშულად გარითმა ზუროვმა, კუპიურების მთელი გროვა გადმოიღო. -მთელ

ბანკზე! კარტი აჭერით, ეშმაკმაც წაგიღოთ!

-Le dernier cour, messieurs! („ბოლო ჩამორიგება, ბატონებო!“-ფრანც.) -გაისმა შემოკრებილებში.

ყველა ხარბად უყურებდა დაჭმუჭნილი კრედიტების ორ თანაბრად დიდ გროვას: ერთი ბანკირის წინ იდგა, მეორე კი ფსონის ჩამსვლელი პონტერისა.

სრულ სიჩუმეში ფანდორინმა ორი ახალი დასტა გახსნა, ისევ იმაზე ფიქრობდა. მტირალა? მცივანა?

მარჯვნივ ტუზი, მარცხნივ ტუზი. ზუროვს კაროლი. მარჯვნივ დამა, მარცხნივ ათიანი. მარჯვნივ ვალეტი, მარცხნივ დამა. (ისე, რომელი უფრო დიდია-ვალეტი თუ დამა?). მარჯვნივ შვიდიანი, მარცხნივ ექვსიანი.

-კეფაში არ მიმღეროთ! – მძვინვარედ დასჭექა გრაფმა და მისგან გაიწიენენ.

მარჯვნივ რვიანი, მარცხნივ ცხრიანი. მარჯვნივ კაროლი, მარცხნივ ათიანი. კაროლი!

გარშემო ყვიროდნენ და ხარხარებდნენ, იპოლიტ ალექსანდროვიჩი გახევებული იჯდა.

მძინარა! -გაიხსენა ერასტ პეტროვიჩმა და გახარებულმა გაიღიმა. კარტი მარცხნივ - ეს მძინარაა. ეგეთი უცნაური სახელი აქვს.

-ჩაცინება არ გაბედოთ! თანხა ხომ გაჭერით, ახლა ზრდილობა იქონიეთ და ცივილურად გეჭიროთ თავი! -ცოფიანი ხმით დაისისინა გრაფმა, ახლოს მოიწია. მისი სისხლით ავსებული თვალები საშინელი იყო. მომდევნო წამს მან ფანდორინს ნიკაპზე უბიძგა, სკამის ზურგს მიეყრდნო და გულზე ხელები დაიკრიფა.

-ეს მეტისმეტია, გრაფ! -წამოიყვირა ერთმა ოფიცერმა.

-მე მგონი, არ გავრბივარ! -გამოცრა ზუროვმა, ფანდორინისთვის არ მოუშორებია თვალი, -თუკი ვინმე გამწარებულად გრძნობს თავს, მზად გახლავარსთ, შევესაბამებოდე.

ნამდვილად სასაფლაოსებრი სიჩუმე ჩამოვარდა.

ერასტ პეტროვიჩმა საზარლად უგუგუნებდა ყურებში და, ეხლა მხოლოდ ერთი რამის ეშინოდა - სილაჩრე არ გამოეჩინა. თან იმისაც ეშინოდა, რომ მოღალატურად შეუთრთოლდებოდა ხმა.

-თქვენ უპატიოსნო არამზადა ხართ. თქვენ, უბრალოდ, გადახდა არ გინდათ, - თქვა ფანდორინმა და ხმა მაინც აუთრთოლდა, მაგრამ ეს უკვე სულ ერთი იყო. - მე თქვენ გიწვევთ.

-საზოგადოების დასანახად ვაჟკაცობთ? - ტუჩები დაღრიცა ზუროვმა, - ვნახოთ, ლულის ქვეშ როგორ იცეკვებთ. ოც ნაბიჯზე, ბარიერებით. ვისაც როდის მოუნდება, მაშინ ისვრის, მაგრამ მერე დაუყოვნებლივ მობრძანდით ბარონთან. არ გეშინიათ?

მეშინია, იფიქრა ერასტ პეტროვიჩმა. ახტირცევი ამბობდა, რომ ოცი ნაბიჯიდან შაურიანს არტყამს, შუბლში მოხვედრა ამისთვის რა ბედენაა ანდა, მით უარესი, მუცელში. ფანდორინს შეაჟრჟოლა. არასოდეს სჭერია ხელში სადუელო პისტოლეტი. ერთხელ ქსავერი თეოფილაქტოვიჩმა წაიყვანა პოლიციის ტირში „კოლტიდან“ სასროლად, მაგრამ ეს ხომ სულ სხვაა. მომკლავს, ერთ მწიკვ თამბაქოდაც მომკლავს. თან სუფთად მუშაობს. ვერ ჩაუსაფრდები. მოწმეები - რამდენადაც გინდა. კამათი კარტთან, ჩვეულებრივი საქმე. გრაფი ერთი თვე იჯდება ჰაუპტვახტში და გამოვა, გავლენიანი ნათესავები ჰყავს, ერასტ პეტროვიჩს კი არავინ. ჩადებენ კოლეგიის რეგისტრატორს მოთრეულ კუბოში, ჩაფლავენ მიწაში და არავინ მოვა დასაფლავებაზე. შესაძლოა, მხოლოდ გრუშინი და აგრაფენა კონდრატიევნა. ხოლო ლიზანკა გაზეთში წაიკითხავს და იქვე გაიფიქრებს: ცოდოა, ასეთი დელიკატური პოლიციელი იყო და სრულიად ახალგაზრდა. არა, არ წაიკითხავს - იმას, ალბათ, ემმა გაზეთებს არ აძლევს. შეფი კი, რასაკვირველია, იტყვის: მე იმ სულელს ვანდე, ის კი გაება, როგორც ჩურჩუტი ლეკვი. სროლა მოინდომა, თავადური „მერიქლიუნდიები“, ანუ წარჩინებულთა მელანქოლია მოეძალა. და გადააფურთხებს კიდეც.

-რატომ გაჩუმდით? -სასტიკი ღიმილით შეეკითხა ზუროვი. -თუ სროლა გადაიფიქრეთ?

ერასტ პეტროვიჩს სწორედ ახლა გაუჩნდა ერთი გადამრჩენელი იდეა. სროლა ახლა კი არა, ყველაზე ადრე - ხვალ დილას მოუწევთ. გაიქცეს და შეფს შესჩივლოს - რასაკვირველია, სისაძაგლე და ყოვლად უღირსი საქციელია. მაგრამ ივან ფრანცევიჩი ამბობდა, რომ ზუროვზე სხვა აგენტებიც მუშაობდნენ. ისიც კი შესაძლებელია, რომ აქაც, ამ დარბაზში ვიღაცა არის შეფის ხალხიდან. გამოწვევა შეიძლება მივიღო, პატივი დავიცვათ და თუკი, მაგალითად, ხვალ განთიადზე აქ პოლიციელი მოუსწრებს და გრაფ ზუროვს დააპატიმრებს სათამაშო ბუნაგის მოწყობისთვის, მაშინ ფანდორინი ამაში დამნაშავე სულაც არ იქნება. მას ხომ არც არაფერი ეცოდინება - ივან ფრანცევიჩი უმისოდაც მიხვდება, როგორც უნდა მოიქცეს.

გადარჩენა, შესაძლებელია თქმულიყო, ჯიბეში ჰქონდა, მაგრამ უცებ ერასტ პეტროვიჩის ხმამ სულ სხვა, პატრონის ნებისგან დამოუკიდებელი სიცოცხლე შეიძინა, რაღაც ბუნდოვანი დაიწყო და, საკვირველი ამბავი, აღარ კანკალებდა:

-არ გადამიფიქრებია. მაგრამ რატომ ხვალ? მოდით, პირდაპირ ახლავე. თქვენ, გრაფ, ამბობენ, დილიდან საღამომდე შაურიანებზე ვარჯიშობთ და თანაც სწორედ ოცი ნაბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იჯიდან, არა? (ზუროვი აჭარხლდა). მოდით, მე და თქვენ სხვანაირად მოვიქცეთ, თუკი არ ილაჩრებთ. -აი, ზუსტად მაშინ გამოადგა ახტირცევის მონათხრობი! არც არაფერი იყო მოსაფიქრებელი. ყველაფერი მოფიქრებულია.- კენჭი ვყაროთ და ვისაც შეხვდება – გავა ეზოში და დაიხლის. ყოველგვარი ბარიერების გარეშე. უსიამოვნებებიც ყველაზე მინიმალური იქნება. წააგო კაცმა და ტყვია შუბლში - ჩვეულებრივი ამბავია. ხოლო ბატონები პატიოსან სიტყვას მოგცემენ, რომ ყველაფერი საიდუმლოდ დარჩება. მართალია, ბატონებო?

ბატონები ახმაურდნენ, თანაც მათი აზრი გაიყო: ერთნი დაუყოვნებლივ მზად იყვნენ, პატიოსანი სიტყვა მიეცათ, სხვები სთავაზობდნენ, ეს კამათი დავიწყებისთვის მიეცათ და შესარიგებელი შეესვათ. ერთმა დიდცხვირა მაიორმა წამოიძახა კიდეც: „ბიჭუნა-ყოჩაღ!“ - ამან უფრო მეტი მგზნებარება მისცა ერასტ პეტროვიჩს.

-რა ვქნათ, გრაფ? -წამოიძახა მან სასოწარკვეთილის კადნიერებით და საბოლოოდ ამოვარდა უზანგებიდან, -ნუთუ შაურიანს უფრო ადვილად მოახვედრებთ, ვიდრე საკუთარ შუბლს? თუ აცდენისა გეშინიათ?

ზუროვი დუმდა, ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდა ამ მამაცს და ისეთი შეხედულება ჰქონდა, თითქოს რაღაცას ითვლიდა. უნდა გაეთვალა.

-რას ვიზამთ, -ბოლოსდაბოლოს, არაჩვეულებრივი ციმშვიდით წარმოთქვა მან. - პირობები მიღებულია. ჟან!

გრაფთან წაში გაჩნდა მკვირცხლი ლაქია. იპოლიტ ალექსანდროვიჩმა თქვა:

-რევოლვერი, ახალი დასტა და შამპანურის ბოთლი. -და კიდევ რაღაც უჩურჩულა ყურში.

ორ წუთში ჟანი ლანგრით დაბრუნდა. გაძრომა-გამოძრომა მოუწია, რადგან ახლა მაგიდის გარშემო სალონის ყველა დამსწრე მოგროვილიყო.

ზუროვმა მარჯვე, ელვისებური მოძრაობით გადახსნა თორმეტტყვიიანი „ლეფოშეს“ ბარაბანი და უჩვენა, რომ ყველა ტყვია ადგილზეა.

-აი, დასტა. -მისმა თითებმა გაბმული ჭრაჭუნით გახსნეს მჭიდრო სათავსო. - ახლა ჩემი რიგია, მე უნდა ავჭრა. -მან გაიცინა, ეტყობა, ბრწყინვალე გუნებაზე იყო, -წესები მარტივია: ვინც პირველი გამოიღებს შავი ფერის კარტს, ის დაიხლის ტყვიას თავში. თავის ქალაში. თანახმა ხართ?

ფანდორინმა მდუმარედ დაუქნია თავი. უკვე ხვდებოდა, რომ მოატყუეს, თავის დაკრულზე აცეკვეს და, შეიძლება ითქვას, მოკლეს - უფრო საიმედოდ, ვიდრე ოცი ნაბიჯიდან. მოუგო მარჯვე იპოლიტმა, სუფთად მოუგო. რატომღაც, რომ ამისთანა მოხერხებულს საჭირო კარტი არ გამოეღო, თანაც თავისივე დასტიდან. მაგას ხომ მთელი საწყობი აქვს დანიშნული კარტისა.

ამასობაში ზუროვმა სასურათედ გადაიწერა პირჯვარი, ზედა კარტი ამოატრიალა. აგურის დამა გადმოვარდა.

-ეს ვენერაა, -თავხედურად გაიღიმა გრაფმა. -ყოველთვის მშველის. თქვენი რიგია, ფანდორინო.

პროტესტის გამოცხადება და ვაჭრობა დამამცირებელი იქნებოდა. სხვა დასტის მოთხოვნა – გვიანი იყო. აუჩქარებლობა კი სირცხვილი.

ერასტ პეტროვიჩმა ხელი გასწია და ყვავის ვალეტის გახსნა.

## *მეცხრე თავი,*
## *სადაც ფანდორინს კარგი სანახები ეხსნება კარიერისთვის*

-ესე არს მომუსი, ანუ სულელუკა, -ახსნა იპოლიტმა და ნებიერად გაიზმორა. - თუმცა გვიანია. სიმამაცისთვის შამპანურს დალევთ თუ პირდაპირ ეხოსკენ?

ერასტ პეტროვიჩი მთლად წითელი იჯდა. გაბოროტება აღრჩობდა - გრაფზე კი არა, საკუთარ თავზე, დასრულებულ იდიოტზე. ეგეთმა არც უნდა იცხოვროს.

-აქვე ვიზამ, -გულში წაიბუტბუტა მან, გადაწყვიტა, რომ პატრონს დარბაზს მაინც მოუსვრის საბოლოოდ. -თქვენი ცქვიტი ლაქია მერე იატაკს მოწმინდავს. შამპანურისგან კი გამანთავისუფლეთ - მაგისგან თავი მტკივდება.

ისევე გაბრაზებული, ცდილობდა, არაფერზე ეფიქრა, ფანდორინი მძიმე რევოლვერს მისწვდა, ჩახმახი შეაყენა და წამით შეყოყმანდა – სად დაიხალოს – თუმც, სულ ერთია, ლულა პირში ჩადო, გონებაში დათვალა „სამი, ორი, ერთი“ და ტყვიის გამშვებ ენას ისე ძლიერ მოქაჩა, რომ ლულით ენა მოიძიკა. გასროლა, სხვათა შორის, არ მომხდარა, მხოლოდ ცივად გაიჩხაკუნა. ვერაფერი რომ ვერ გაიგო, ერასტ პეტროვიჩმა კიდევ ერთხელ მოსწია – ისევ გაიჩხაკუნა, მხოლოდ ამჯერად მეტალმა უსიამოვნოდ გაიღრჭიალა კბილზე.

-მოასწრებ, მოასწრებ! -ზუროვმა პისტოლეტი წაართვა და მხარზე დაჰკრა ხელი. -ბრავო! შეუზარხოშებლად დაიხალა, ისტერიკის გარეშე. კარგი თაობა მოდის, ჰა, ბატონებო? ჟან, შამპანური დაასხი, მე და ბატონი ფანდორინი ბრუდენშაფტზე დავლევთ.

უცნაური მდუმარებით მოცული ერასტ პეტროვიჩი დამყოლი გახდა: უხალისოდ შესვა ბუშტულაკებიანი სითხე ფსკერამდე, დუნედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაკოცნა გრაფი, რომელმაც ნება დართო, ამის შემდეგ უბრალოდ იპპოლიტი დაეძახა. ირგვლივ ყველა ყაყანებდა და იცინოდა, მაგრამ მათი ხმები ფანდორინამდე როგორღაც გაურჩევლად აღწევდა. შამპანურისგან ცხვირში თითქოს ნემსები შეერჭო და თვალებიდან ცრემლები წამოუვიდა.

-ჟანიც როგორია, ჰა? -ხარხარებდა გრაფი, - წუთში ყველა ნემსი ამოიღო. თქვი, ფანდორინო, არ არის მარჯვე?

-მარჯვეა, - სულერთია გუნებაზე მყოფი ერასტ პეტროვიჩი დაეთანხმა.

-აბა-აბა. შენ რა გქვია?

-ერასტი.

-წამო, ერასტ როტერდამელო, ჩემ კაბინეტში დავსხდეთ, კონიაკი დავლიოთ, მომწყინდა ეს სიფათები.

-ერაზმი, - მექანიკურად შეუსწორა ფანდორინმა როტერდამელის სახელი.

-რა?

-ერასტი კი არა, ერაზმი.

-ბოდიშს ვიხდი, ვერ გავიგე. წავიდეთ, ერაზმ...

ფანდორინი დამჯერედ ადგა და მასპინძელს მიჰყვა. ბნელი ანფილადა გაიარეს და მრგვალ ოთახში აღმოჩნდნენ, სადაც შესამჩნევი უწესრიგობა სუფევდა - აქეთ-იქით მიმოფანტულიყვნენ ჩილიმები და ჩიბუხები, ცარიელი ბოთლები, მაგიდაზე კრიალებდნენ ვერცხლის დეზები, კუთხეში რატომღაც იდო კოხტა ინგლისური უნაგირი. რატომ ერქვა ამ სადგომს კაბინეტი, ფანდორინმა ვერ გაიგო – არც წიგნები შეინიშნებოდა სადმე და არც საწერი მოწყობილობა.

-დიდებული უნაგირია, ხომ? -დაიტრაბახა ზუროვმა, -გუშინ სანაძლეოში მოვიგე.

მან მომრგვალებული ბოთლიდან ჭიქები შეავსო მუქი ღვინით, ერასტ პეტროვიჩის გვერდით დაჯდა და ძალიან სერიოზულად, თითქმის გულითადად თქვა:

-საქონელი ვარ და შემინდე ეს ხუმრობა. მოწყენილი ვარ, ერაზმ. გარშემო ბევრი ხალხია, ადამიანები კი არ არიან. ოცადარვა წლის ვარ, ფანდორინო, და თითქოს სამოცისაო. განსაკუთრებით, დილით რომ ვიღვიძებ. საღამოს, ღამით კიდევ გასაგებია - ვხმაურობ, ვსულელობ. საძაგლად ვარ მხოლოდ. ადრე რა უჭირდა, ახლა კი ყველაფერი უფრო და უფრო საზიზღარი გახდა. თუ დამიჯერებ, წეღან, კენჭს რომ ვყრიდით, უცებ ვიფიქრე – ნამდვილად ხომ არ დავიხალო? და ეგრე, იცი, მაცდური გახდა... შენ რას გაჩუმებულხარ? მორჩი, ფანდორინო, ნუღარ ბრაზობ. მე ძალიან მინდა, რომ ჩემზე არ გაბოროტდე. კარგი, რა ვქნა, რომ მაპატიო, ჰა, ერაზმ?

და აქ ერასტ პეტროვიჩმა წრიპინა, სრულიად გაურჩეველი ხმით წარმოთქვა:

-იმაზე მომიყევი, ბეჟეცკაიაზე.

ზუროვმა შუბლიდან მსხვილი კულული გადაიგდო.

-აჰ, დამავიწყდა, შენ ხომ „შლეიფიდან" ხარ.

-საიდან?

-ეგრე ვეძახი. ამალია ხომ დედოფალია და მამაკაცებისგან შლეიფი სჭირდება. რაც უფრო გრძელი, მით უკეთესი. კეთილ რჩევას მოუსმინე, თავიდან ამოიგდე, არადა, დაიკარგები. დაივიწყე.

-არ შემიძლია, - პატიოსნად მიუგო ერასტ პეტროვიჩმა.

-შენ ჯერ კიდევ ძუძუმწოვარა ხარ, ამალია აუცილებლად მორევში ჩაგითრევს, როგორც უკვე ბევრი ჩაითრია. შეიძლება, ჩემზეც გაბრაზდა, რადგან მაგის გულისთვის მორევში არ წავედი. არაფერში მჭირდება, ჩემი მორევიც მყოფნის. მთლად ისეთი ღრმა არა, როგორც იმას აქვს, მაგრამ, რა უჭირს, მე თავფეხიანად მყოფნის.

-გიყვარს? – პირდაპირ შეეკითხა ფანდორინი, ნაწყენის უფლებით.

-მე მაგისი უფრო მეშინია, -კუშტად გაიცინა იპოლიტმა. – ვიდრე მიყვარს და ეს სულაც არ არის სიყვარული. ოპიუმი მოგიწევია?

ფანდორინმა თავი გააქნია.

-ერთხელ გასინჯავ და მთელი ცხოვრება მიგიზიდავს. ისიც ეგეთია, არ მიშვებს! და ხომ ვხედავ – დამცინის, გოროშად არ ვუღირვარ, მაგრამ რაღაცა დაინახა ჩემში. ჩემდა ბედად კი არა, ჩემდა უბედურებად! იცი, მიხარია, რომ წავიდა. ღმერთი, რჯული. ზოგჯერ ვფიქრობდი – მომეკლა ეს კუდიანი. საკუთარი ხელებით დავახრჩობ, რომ არა მტანჯოს. ის ამას მშვენივრად გრძნობდა. ო, ძმაო, იგი ჭკვიანია! და იმით ვიყავი მაგისთვის ძვირფასი, რომ ჩემთან ისე თამაშობდაა, როგორც ცეცხლთან - ხან ჩააქრობს, ხან შეუბერავს, თან სულ ახსოვს, რომ შეიძლება ხანძარი აბრიალდეს და ისიც ჩანთქას. აბა, სხვა რამისთვის რად ვუნდოდი?

ერასტ პეტროვიჩმა შურით იფიქრა, რომ ამ კოხტა იპოლიტს, დარდიმანდს და თავზეხელაღებულს, ყოველგვარი ხანძრის გარეშეც, ბევრი რამ აქვს შესაყვარებელი. ასეთ ყოჩაღს ნამდვილად მოსვენება არა აქვს ქალებისგან. საიდან უვარდებათ ადამიანებს ასეთი ბედნიერება? თუმცა ეს მოსაზრება საქმეს არ უკავშირდება. საქმეზე უნდა ეკითხა.

-ვინ არის და საიდან?

-არ ვიცი. საკუთარ თავზე არ უყვარს ლაპარაკი. მხოლოდ ვიცი, რომ სადღაც საზღვარგარეთ იზრდებოდა. მგონი, შვეიცარიაში, რომელიღაც პანსიონში.

-ახლა სად არის? -ჰკითხა ერასტ პეტროვიჩმა, სხვათა შორის, წარმატების დიდი

იმედიც არ ჰქონდა

თუმცა ზუროვი პასუხს აყოვნებდა და ფანდორინი შინაგანად გაირინდა.

-რაო, ესე შეგვავიწროვა? – დაინტერესდა მოდრუბლული გრაფი და უცაბედმა უსიამოვნო გრიმასამ დაამახინჯა მისი კოხტა, კაპრიზული სახე.

-დიახ.

-მ-დაა, ფარვანა ალისკენ მიიწევს, მაინც დაიწვება...

იპოლიტმა მაგიდაზე დაიწყო ფათური კარტის დასტების, დაჭმუჭნილი ხელსახოცებისა და მაღაზიის ანგარიშებს შორის.

-სად ჯანდაბაშია? ჰო, გამახსენდა. - ლაკირებული, იაპონური ზარდახშა გახსნა, სადაფის პეპელა რომ ეხატა სახურავზე. -აჰა, ქალაქის ფოშტით მოვიდა.

ერასტ პეტროვიჩმა თითების კანაკალით აიღო ვიწრო კონვერტი, რომელზეც ალმაცერი, ჩქარი ხელით ეწერა: *„მის ბრწყინვალებას, გრაფ იპოლიტ ზუროვს, იაკობ-აპოსტოლის შესახვევი, საკუთარი სახლი“.* შტემპლის მიხედვით, წერილი გამოგზავნილი იყო 16 მაისს – იმ დღეს, როცა ბეჟეცკაია გაქრა.

შიგნით აღმოჩნდა მოკლე, ხელმოუწერელი ბარათი ფრანგულად.

*„დაუშვიდობებლად მიხდება წასვლა. მომძებნე ლონდონში, Grand Street, ოტელი Winter Queen, Ms. Olsen-ისთვის. გელოდები. და არ გაბედო ჩემი დავიწყება“.*

-მე კი გავბედავ, - დაიმუქრა გაცხარებულმა იპოლიტმა, მაგრამ მალე დაცხრა. -ყოველ შემთხვევაში, ვცდი... წაიღე, ერაზმ. რაც გინდა, ის უქენი... სად მიხვალ?

-წავალ, - უთხრა ფანდორინმა, კონვერტი ჯიბეში დამალა, - უნდა ვიჩქარო.

-კაი-კაი, -სიბრალულით დაუქნია თავი გრაფმა. -გაქროლდი, მიფრინდი ცეცხლთან. სიცოცხლე შენია, ჩემი ხომ არა...

ეზოში ერასტ პეტროვიჩს ჟანი წამოეწია რაღაც გამონასკვულით ხელში.

-აი, ბატონო, დაგავიწყდათ.

-ეს რა არის? – წყენით შემობრუნდა გაჩქარებული ფანდორინი.

-ხუმრობსთ? თქვენი მოგება. მათმა ბრწყინვალებებმა მიბრძანეს, დაუყოვნებლივ დაგწეოდით და გადმომეცა.

●●●

ერასტ პეტროვიჩს საოცარი სიზმარი ესიზმრებოდა.

თავისი გუბერნიის გიმნაზიაში, ლამაზ ოთახში იჯდა მერხთან. ასეთი სიზმრები, როგორც წესი, მშფოთვარე და უსიამოვნო, ხშირად ესიზმრებოდა – თითქოს ისევ გიმნაზისტია და დაფასთან „დაცურავს“ ფიზიკის თუ ალგებრის გაკვეთილზე, მაგრამ ამჯერად უბრალოდ სევდიანი კი არ იყო, არამედ ნამდვილად საშიში. ფანდორინმა ვერაფრით გაიგო ამ შიშის მიზეზი. დაფასთან კი არ იდგა, მერხთან იჯდა, გარშემო თანაკლასელები ისხდნენ: ივან ფრანცევიჩი, ახტირცევი, ვიღაც სანდომიანი ყოჩაღი - მაღალი, ფერმკრთალი შუბლით და თავხედური ყავისფერი თვალებით (ამაზე ერასტ პეტროვიჩმა იცოდა, რომ კოკორინია), ორი გიმნაზისტკა თეთრ წინსაფრებში და კიდევ ვიღაც, ზურგით შებრუნებული. ამ შებრუნებულისა ფანდორინს ეშინოდა და ცდილობდა, არ შეეხედა, თანაც სულ კისერს იგრძელებდა, კარგად რომ დაენახა გოგონები – ერთი მოშავო, მეორე მოთეთრო, მერხთან ისხდნენ, თხელი ხელები მიეტყუპებინათ წინ. ერთი ამალია აღმოჩნდა, მეორე - ლიზანკა. პირველმა მწველად შეხედა შავი თვალებით და ენა გამოუყო, სამაგიეროდ, მეორემ მორცხვად გაუღიმა და გრძელი წამწამები დახარა. აქ ერასტ პეტროვიჩმა დაინახა, რომ დაფასთან ლედი ესტერი დგას საჩვენებელი ჯოხით და ყველაფერი ცხადი გახდა: ეს ანგლიური აღზრდის უახლესი მეთოდია, რომლის მიხედვით ბიჭებსა და გოგონებს ერთად ასწავლიან. და ეს ძალიან კარგია. თითქოს მისი აზრი გაიგოო, ლედი ესტერმა სევდიანად გაიღიმა და გამოაცხადა: „ეს ერთობლივი სწავლება არ არის, ეს ჩემი კლასია, ობლების კლასი. თქვენ ყველანი ობლები ხართ და მე თქვენ გზაზე უნდა დაგაყენოთ“. „ნება მიბოძეთ, მილედი, - გაოცდა ფანდორინი, - ჩემთვის დამატებით ცნობილია, რომ ლიზანკა ობოლი არ გახლავთ, არამედ ნამდვილი საიდუმლო მრჩევლის ქალიშვილია“. „აჰ, my sweet boy („ჩემო ძვირფასო ბიჭო“-ანგლ.), – ისევ ნაღვლიანად გაიღიმა მილედიმ. – ის უმანკო მსხვერპლია, ეს კი იგივე ობლობაა“. ის საშიში, წინ რომ იჯდა, ნელ-ნელა შემობრუნდა და მოთეთრო, გამჭვირვალე თვალებით შეათვალიერა, თანაც დაილაპარაკა: „მე აზაზელი ვარ, აგრეთვე, ობოლი, -შეთქმულივით თვალი ჩაუკრა და საბოლოო ახსნა-განმარტების სახით ივან ფრანცევიჩის სიტყვებით თქვა. – ამიტომ, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, მე თქვენი მოკვლა მომიწევს, რასაც გულწრფელად ვნანობ... ჰეი, ფანდორინო, გამოშტერებული კერპივით ნუ ზიხართ, ფანდორინო!“

-ფანდორინო! – ვიღაც მხარში ანჯღრევდა კოშმარით დატანჯულ ერასტ პეტროვიჩს, - გაიღვიძეთ ბოლოსდაბოლოს, დილაა უკვე!

ის შეტოკდა, წამოიწია და თავი აქეთ-იქით მიმოაბრუნა. აღმოჩნდა, რომ შეფის კაბინეტში ეძინა, მაგიდასთან ჩაეთვლიმა. გაწეულ ფარდებშუა სარკმლიდან დილის ხალისიანი შუ-

ქი იღვრებოდა, გვერდით კი ივან ფრანცევიჩი იდგა, რატომღაც მეშჩანივით ეცვა: კარტუზი ეხურა ნაჭრის საჩიხით, წელზე აკრეფილი ხიფთანი ეცვა და ტალახით დასვრილი, გარმონივით ჩაკეცილი ჩექმები.

-რაო, ჩასთვლიმეთ? – მხიარულად ჰკითხა შეფმა. – პარდონ მასკარადისთვის, აქედან ღამით გასვლა მომიწია გადაუდებელი საქმის გამო. დაიბანეთ, ბოლოსდაბოლოს, გეყოფათ თვალების ფახული. მარშით! მარშით!

სანამ ფანდორინი დასაბანად იყო, გაახსენდა ჩავლილი ღამის მოვლენები, მოაგონდა, როგორი თავისმტვრევით მოდიოდა იპოლიტის სახლიდან, როგორ შეუხტა ეტლში ჩათვლემილ ვანკას და უბრძანა, მიასნიცკისკენ გაერეკა. როგორ უნდოდა, თავის წარმატებაზე შეფისთვის მოეყოლა, მაგრამ ბრილლინგი ადგილზე არ აღმოჩნდა. ერასტ პეტროვიჩმა ჯერ ერთი სასწრაფო საქმე გააკეთა, მერე კაბინეტში დაჯდა მოსაცდელად და ვერ შეამჩნია, როგორ ჩაითრია ძილმა.

როცა კაბინეტში დაბრუნდა, ივან ფრანცევიჩს უკვე გადაეცვა წითელი პიჯაკის წყვილი და ჩაის შეექცეოდა ლიმონით. ვერცხლის ლამბაქზე მდგარ კიდევ ერთ ჭიქას ასდიოდა ორთქლი, ხოლო ლანგარზე ბლითები და საიკები ეწყო.

-ვისაუზმოთ, - შესთავაზა შეფმა, - ბარემ ვილაპარაკებთ კიდეც. თქვენი ღამის მთელი თავგადასავალი ჩემთვის ცნობილია, მაგრამ შეკითხვები მაქვს.

-საიდან არის ცნობილი? -ეწყინა ერასტ პეტროვიჩს, წინასწარ რომ ტკბებოდა თხრობით მიღებული სიამოვნებით და, სწორი მოგახსენოთ, ზოგიერთი დეტალის გამოტოვებასაც აპირებდა.

-ზუროვთან ჩემი აგენტიც იყო. მე უკვე საათია დავბრუნდი, თქვენ გასაღვიძებლად შემებრალეთ. ვიჯექი, ანგარიშს ვკითხულობდი. წარმტაცი საკითხავია, გამოცვლაც კი ვერ მოვასწარი.

მან ხელი დაჰკრა წვრილად ნაწერ ფურცლებს.

-საზრიანი აგენტია, მაგრამ ძალიან ფერად-ფერადად წერს. საკუთარი თავი ლიტერატურულ ტალანტად წარმოუდგენია, გაზეთებში წერს ფსევდონიმით „Maqsimus გამჭრიახი“, ცენზორის კარიერაზე ოცნებობს. აი, მოუსმინეთ, თქვენ დაგაინტერესებთ... სად არის... ჰო, აი.

„ობიექტის აღწერილობა. სახელი – ერაზმ ფონ დორნი ანდა ფონ დორენი (განსაზღვრულია სმენის მიხედვით). ასაკი – არაუმეტეს ოცი წლისა. სიტყვიერი პორტრეტი: სიმაღლე ორი არშინი და რვა გოჯი; სხეულის აგებულება მოგამხდრო. თმა - შავი, სწორი; წვერი და ულვაშები არა აქვს და არც მოუპარსავს; თვალები ნათელ-ლაჟვარდისფერი, ახლო-ახლო ჩასმული, კუთხეებში ცოტა ირიბად; კანი თეთრი, სუფთა; ცხვირი დახვეწილი, სწორი; ყურები მიკრული, მომცრო, მოკლე ბიბილოებით; განსაკუთრებული ნიშანი – ლაწვებიდან არ უქრება სიწითლე. პირადი შთაბეჭდილება: ტიპიური წარმომადგენელი გაფუჭებული და აღვირახსნილი ოქროს ახალგაზრდობისა არცთუ ჩვეულებრივი დუელიანტის მონაცემებით. ზემოთ გადმოცემული მოვლენების შემდეგ მოთამაშესთან ერთად ამ უკანასკნელის კაბინეტში გადავიდა. ლაპარაკობდნენ ოცდაორი წუთი. წყნარად, პაუზებით. კარებთან არაფერი ისმოდა, მაგრამ გარკვევით გავარჩიე სიტყვა „ოპიუმი“ და კიდევ რაღაც ცეცხლის შესახებ. აუცილებლად ჩავთვალე, თვალთვალი ფონ დორენზე გადამეტანა, თუმცა მან, ეტყობა, გამიგო – ძალიან მარჯვედ გამიძვრა და მეეტლეს წაჰყვა. გთავაზობთ...“ მერე საინტერესო აღარ არის. – შეფმა ცნობისმოყვარეობით შეხედა ერასტ პეტროვიჩს. – მაშ ასე, რას მსჯელობდით ოპიუმის შესახებ? ნუ მაწვალებთ, თქვენი პასუხის გაგების ინტერესით ვიწვი.

ფანდორინმა მოკლედ მოახსენა იპოლიტთან საუბრის არსი და წერილიც აჩვენა. ბრილლინგმა დიდი ყურადღებით მოუსმინა, რამდენიმე დამაზუსტებელი შეკითხვა მისცა და გაჩუმდა, ფანჯარას მიაჩერდა. პაუზა დიდხანს გაგრძელდა, წუთზე მეტ ხანს. ერასტ პეტროვიჩი წყნარად იჯდა, ეშინოდა, სააზროვნო პროცესისთვის არ შეეშალა ხელი, თუმცა საკუთარი მოსაზრებებიც გააჩნდა.

-მე თქვენით ძალიან კმაყოფილი ვარ, ფანდორინო, - წარმოთქვა სინამდვილეში დაბრუნებულმა შეფმა, -თქვენ ბრწყინვალე რეზულტატიურობის დემონსტრირება მოახდინეთ. ჯერ ერთი, სრულიად ნათელია, რომ ზუროვს მკვლელობაში მონაწილეობა არ მიუღია და თქვენს მოღვაწეობაზე წარმოდგენა არ აქვს. სხვანაირად განა ამალიას მისამართს მოგცემდათ? ეს გვანთავისუფლებს მესამე ვერსიიდან. ახლა მეორე - თქვენ ძალიან წაიწიეთ წინ ბეჟეცკაიას ვერსიაში. ახლა კი ვიცით, სად ვეძებოთ ეს დამა. ბრავო. მე ვაპირებ ყველა განთავისუფლებული აგენტი, მათ შორის თქვენც, მეოთხე ვერსიაში ჩავრთო, რომელიც მე ძირითადად წარმომიდგენია, - მან თითი გაიქნია დაფის მხარეს, სადაც მეოთხე წრეში თეთრად ჩანდა ცარცის ასონიშნები „ნო“...

-ეს როგორ? – აღელდა ფანდორინი. – მაგრამ, ნება მიბოძეთ, შეფ...

-წუხელ ღამეს საშუალება მომეცა გავსულიყავი ძალიან მიმზიდველ კვალზე, რომელსაც ერთ მოსკოვის მიმდებარე აგარაკზე მივყევართ, - დასანახი კმაყოფილებით გამოაცხადა ივან ფრანცევიჩმა (აი, თურმე, საიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასვრილი ჩექმები). – იქ რევოლუციონერები იქნებიან, თანაც უკიდურესად საშიში. მგონი, ახტირცევთან იბმება ძაფი. ვიმუშავებთ. აქ მე ყველა დამჭირდება. ხოლო ბეჟეცკაიას ვერსია, ჩემი აზრით, უპერსპექტივოა. დიპლომატიური არხებით ინგლისელებს შეკითხვას გავუგზავნით, ამ მისის ოლსენის დაკავებას ვთხოვთ, გამოაშკარავდება, ვინც არის და საქმე მორჩება.

-აი ამის გაკეთება კი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება! – წამოიყვირა ფანდორინმა ისე ფეთქებადად, რომ ივან ფრანცევიჩი სახტად დარჩა.

-რატომ?

-ნუთუ ვერ ხედავთ, რომ აქ ყველაფერი ერთი ერთზე ჯდება! – ერასტ პეტროვიჩი ძალიან ჩქარა ალაპარაკდა, ეშინოდა, შემაწყვეტინებსო. – ნიჰილისტებზე არ ვიცი, მართლაც შესაძლებელია, მნიშვნელობაც მესმის, მაგრამ ესეც მნიშვნელოვანია და თანაც სახელმწიფო! ნახეთ, ივან ფრანცევიჩ, როგორი სურათი გამოდის. ბეჟეცკაია ლონდონში მიიმალა – ეს ერთი (თავადაც ვერ შეამჩნია, როგორ გადაიღო შეფის მეტყველების მანერა). მსახურთუფროსი ანღლიელი ჰყავს და ძალიან საეჭვო, ესეთი დაგჭრის – არც კი შეიჭმუხნება. ეს ორი. თეთრთვალა, ვინც ახტირცევი მოკლა, აქცენტით ლაპარაკობს და ისიც ინგლისელს ჰგავს – ეს სამი. ახლა მეოთხე: ლედი ესტერი, რა თქმა უნდა, უკეთილშობილესი არსებაა, მაგრამ ისიც ინგლისელია, ხოლო კოკორინის მემკვიდრეობა, რაც გნებავთ, თქვით და, მას დარჩა! ისიც ხომ ცხადზე ცხადია, რომ ბეჟეცკაიას საგანგებოდ, წინასწარგანზრახულად მიჰყავდა თავისი თაყვანისმცემლები იქამდე, რომ მათ თავიანთი ანდერძები ანღლიელზე შეედგინათ.

-სტოპ, სტოპ, - შეიჭმუხნა ბრილლინგი, - თქვენ, პირადად, საითკენ იხრებით? შპიონაჟისკენ?

-მაგრამ ეს ხომ თვალნათელია? – ხელები გაშალა ერასტ პეტროვიჩმა, -ანღლიური ხრიკებია. თავადაც მოგეხსენებათ, დღეისთვის ანღლიასთან როგორი დამოკიდებულება არსებობს. მე ლედი ესტერის შესახებ არაფერი ისეთის თქმა არ მსურს, მან, ალბათ, ცოდნითაც არაფერი უწყის, მაგრამ მისი დაწესებულება შეუძლიათ გამოიყენონ, როგორც საფარველი, როგორც ტროას ცხენი, რათა რუსეთში შემოაღწიონ!

-აჰა, გასაგებია, - ირონიულად გაიცინა შეფმა. – დედოფალ ვიქტორიას და ბატონ დიზრაელის აფრიკის ოქრო და ინდოეთის ალმასი აღარ ჰყოფნით, უნდა მივართვათ პეტრუშკა კოკორინის მაუდის ფაბრიკა და ნიკოლენკა ახტირცევის სამი ათასი დესეტინა მიწა.

და აი, აქ გასცა ფანდორინმა თავისი მთავარი კოზირი:

-არც ფაბრიკა და არც ფული! თქვენ მათი ქონების აღწერა გახსოვთ? მეც მაშინვე არ მიმიქცევია ყურადღება! კოკორინს სხვა საშუალებებთან ერთად ლიბავაში აქვს გემთმშენებელი ქარხანა, იქ კი სამხედრო შეკვეთები მიაქვთ – მე გავიგე.

-ეს როდისღა მოასწარით?

-სანამ თქვენ გელოდით. შეკითხვა გავაგზავნე ტელეგრაფით სამხედრო-საზღვაო სამინისტროში. იქაც ღამით მორიგეობენ.

-გასაგებია, კარგია. მერე?

-მერე ის, რომ ახტირცევს დესეტინების, სახლების და კაპიტალის გარდა ჰქონდა ნავთობის საბადო ბაქოში, დეიდისგან დარჩა. მე გაზეთებში წამიკითხავს, რომ ანღლიელები ოცნებობენ ბაქოს ნავთობამდე მიღწევას. აქ კი, ინებეთ – თანაც ყველაზე კანონიერი წესით! და თან ეს წაუგებლად არის ჩაფიქრებული: ან ქარხანა ლიბავაში, ან ნავთობი. ნებისმიერ შემთხვევაში ანღლიელებს რაღაც მაინც შეხვდებათ! თქვენ, როგორც გნებოთ, ივან ფრანცევიჩ, -აღელდა ფანდორინი, -მაგრამ მე ამას ასე არ დავტოვებ. ყველა თქვენს დავალებას შევასრულებ, მაგრამ სამსახურს მერე მე თვითონ გამოვთხრი ხოლმე. და მაინც ვიპოვი!

შეფი ისევ ფანჯარას მიაჩერდა და ამჯერად წინანდელზე დიდხანს დუმდა. ერასტ პეტროვიჩს გული გაუსივდა ნერვიულობისგან, მაგრამ ხასიათმა გაუძლო.

ბოლოს ბრილლინგმა ამოიოხრა და ალაპარაკდა - მდორედ, ბორძიკით, გზადაგზა კიდევ მოიფიქრებდა ხოლმე.

-ეს, ყველაზე უწინ, ჩმახვაა, ედგარ პო. ეჟენ სიუ. ცარიელი დამთხვევები. თუმცა ერთში თქვენ მართალი ბრძანდებით - ანღლიელებს არ მივმართავთ. ლონდონის საელჩოში ჩვენი რეზიდენტურის დახმარებით - აგრეთვე, არ შეიძლება. თუკი თქვენ სცდებით – თქვენ კი ნამდვილად სცდებით - სრულ სულელებად გამოვიყვანთ თავს. თუკი დავუშვებთ, რომ თქვენ მართალი ხართ, საელჩო მაინც ვერაფრის გაკეთებას შეძლებს - ანღლიელები ბეჟეცკაიას დამალავენ ანდა რაღაცას მოგვატყუებენ... ჩვენ საელჩოს თანამშრომლებსაც ხელები აქვთ შეკრული – ისინი ძალიან მტკივნეულად... გადაწყდა, -ივან ფრანცევიჩმა ენერგიულად მოიქნია მუშტი. – რა თქმა უნდა, ფანდორინო, თქვენ მე აქაც გამომადგებოდით, მაგრამ, როგორც ხალხში იტყვიან, ძალით კეთილი ვერ იქნები. წავიკითხე თქვენი საქმე, ვიცი, რომ არა მხოლოდ ფრანციცულს და ნემენცურს ფლობთ, ანღლიურსაც. ღმერთი თქვენთან, გაემგზავრეთ ლონდონში იმ თქვენ femme fatale („საბედისწერო ქალი"-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანც.). ინსტრუქციებს თავს არ მოგახვევთ – მჯერა თქვენი ინტუიციისა. საელჩოდან ერთ კაცს მოგცემთ, გვარად პიჟოვს. მსახურობს მოკრძალებულ მწერალ-მწარმოებლად, თქვენსავით, მაგრამ სხვა საქმეებს აკეთებს. გარეშე საქმეთა სამინისტროში ირიცხება საგუბერნიო მდივნად, მაგრამ ჩვენი ხაზით აქვს სხვა, უფრო მაღალი წოდება. მრავალნაირი ტალანტის ბატონია. ჩახვალთ და მაშინვე იმასთან მიხვალთ. ძალიან ჩაუქია. მოკლედ, დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ თქვენ ჩახვალთ. მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, შეცდომის უფლება დაიმსახურეთ. ნახეთ ევროპა, გაისეირნეთ სახელმწიფოს ხარჯზე. თუმცა თქვენ ახლა თქვენი ანგარიშიც გაქვთ? – შეფი შეკვრას შეეხო, უწესრიგოდ რომ იდო მაგიდაზე.

მოსმენილისგან დაჩქარებული ერასტ პეტროვიჩი შეირხა:

-დამნაშავე ვარ, ეს ჩემი მოგებულია. ცხრა ათას ექვსასი მანეთი, დავითვალე. მინდოდა, სალაროში ჩამებარებინა, მაგრამ დაკეტილი იყო.

-ეშმაკსაც წაუღიხართ, -ხელი ჩაიქნია ბრილლინგმა. -თქვენ სრულ ჭკუაზე ხართ? რა გგონიათ, მოლარე შემოსავლების წიგნში ჩაიწერს? კოლეგიის რეგისტრატორ ფანდორინის მიერ შტოსის თამაშიდან შემოსული?.. ჰმ, მოიცადეთ. ისე როგორღაც არასოლიდურია, რეგისტრატორი საზღვარგარეთ მივლინებაში მიდიოდეს.

მაგიდას მიუჯდა, კალამი სამელნეში ჩააწო და წერა დაიწყო, თან ხმამაღლა ამბობდა:

-მაშ-ს. „სასწრაფო დეპეშა. კნიაზ მიხაილ ალექსანდროვიჩ კორჩაკოვს, პირადად. ასლი გენერალ-ადიუტანტ ლავრენტი არკადიევიჩ მიზინოვს. თქვენო მაღალაღმატებულებავ, თქვენთვის საინტერესო საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, აგრეთვე, განსაკუთრებული დამსახურების აღიარების გამო, გთხოვთ, ყოველგვარი რიგის გარეშე და ნამსახურების ვადის გაუთვალისწინებლად კოლეგიის რეგისტრატორი ერასტ პეტროვიჩ ფანდორინი გადაიყვანოთ...“ ეჰ, აქეთ იყოს თუ იქით, პირდაპირ ტიტულიანებში ვცქაფოთ. ეგეც, რა თქმა უნდა, დიდი ჩიტი არ არის, მაგრამ მაინც. „...ტიტულიან მრჩევლად. აგრეთვე, გთხოვთ, დროებით ჩაჰრიცხოთ ფანდორინი გარეშე საქმეთა სამინისტროში პირველი კატეგორიის დიპლომატიურ კურიერად“. ეს იმიტომ, რომ საზღვარზე არ გაგაჩერონ, - აუხსნა ბრილლინგმა. – მაშ-ს. რიცხვი. ხელმოწერა - ამასთან, დიპლომატიურ ფოსტას გზად გაიყოლებთ - ბერლინში, ვენაში, პარიზში. კონსპირაციისთვის, ზედმეტი ეჭვები რომ არ გამოიწვიოთ. წინააღმდეგი ხომ არა ხართ? -ივან ფრანცევიჩის თვალებმა ცელქად გაიკვესეს.

-არაფრით არა, -თავისი წვლილი შეიტანა ერასტ პეტროვიჩმა, აზრით რომ ვეღარ დასწეოდა მოვლენებს.

-ხოლო პარიზიდან ინკოგნიტოს სახით ლონდონს გაემგზავრებით. რაო, სასტუმროს რა ჰქვიაო?

-„უინტერ ქვინი“ - „ზამთრის დედოფალი“.

## მეათე თავი, რომელშიც ფიგურირებს ცისფერი პორტფელი

დასავლეთის სტილით 28, ხოლო რუსულით 16 ივნისს, საღამოსკენ, გრეისტრიტზე მდებარე სასტუმრო „უინტერ ქუინთან“ დაქირავებული კარეტა გაჩერდა. ცილინდრიანი და თეთრხელთათმანებიანი მეეტლე თავისი სათავსოდან გადმოხტა, საფეხური გადმოშალა და თავდაკვრით გახსნა შავი, ლაკიანი კარი წარწერით:

**„Dunster & Dunster.**
**Since 1848.**
**London Regal Tours“**
(„დანსტერი და დანსტერი.
1848 წლიდან.
ლონდონის სამეფო ტურები“-ანდლ.)

ჯერ კარებში გამოჩნდა ტარსიკონის საგზაო ჩექმა, შემოჭედილი ვერცხლის ლურსმნუკებით, მერე ტროტუარზე მსუბუქად გადმოხტა დაჟღაჟა ახალგაზრდა ჯენტლმენი მსხვილი ულვაშით, გასაკვირველად რომ არ უხდებოდა მის ხასხასა სახეს. ტიროლური, ბუმბულიანი შლაპით და განიერი, ალპური ლაბადით. ახალგაზრდა კაცმა მიიხედ-მოიხედა, დაინახა წყნარი, არაფრით გამორჩეული ქუჩა და მღელვარებით დააკვირდა ოტელის შენობას. ეს იყო საკმაოდ შეუხედავი, ოთხსართულიანი ნაგებოდა გეორგიანულ სტილში, უკეთესი დროების შემსწრეც რომ ჩანდა ნამდვილად.

ცოტა დაყოვნდა და ჯენტლმენმა რუსულად ჩაილაპარაკა:

-ეჰ, იყო და არა იყო რა.

ამ გამოუცნობი ფრაზის შემდეგ ის საფეხურებზე ავიდა და ვესტიბიულში შეაბიჯა.

ზუსტად რამდენიმე წამში საპირისპიროდ მდებარე პაბიდან ვიღაც შავლაბადიანი გამოვიდა, თვალებზე ბრჭყვიალა კარტუზიანი ქუდი ჩამოიფხატა და სასტუმროს შესასვლელთან დაიწყო გავლა-გამოვლა.

თუმცა ეს აღსანიშნავი გარემოება მოსულის ყურადღებიდან გასხლტა, რომელიც დახლის მახლობლად შეჩერებულიყო და შუა საუკუნეების რომელიღაც ფუმფულა ყაბოიანი დამის დაბინდულ პორტრეტს უყურებდა - ეს, ალბათ, სწორედ ის „ზამთრის დედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოფალი“ იყო. დგარის გადაღმა მთვლემარე პორტიე საკმაოდ ცივად მიესალმა უცხოელს, მაგრამ, რაკი დაინახა თუ როგორ აძლევს მხოლოდ საკვოიაჟის შემომტან „ბოის“ მთელ შილინგს, კიდევ ერთხელ მიესალმა, გაცილებით სტუმართმოყვარედ, თანაც მოსულს უბრალოდ Sir კი არა, არმედ your honor („თქვენო ღირსებავ“-ანღლ.) უწოდა.

ახალგაზრდა კაცმა ჰკითხა, არის თუ არა თავისუფალი ნომრები, მოითხოვა ყველაზე საუკეთესო, ცხელი წყლით და გაზეთებით, და იქ მდგომთა წიგნში ჩაეწერა ერაზმუს ფონ დორნად ჰელსინგფორსიდან. ამის მერე პორტიემ სულ არაფრისთვის მიიღო ნახევარი სოვერენი და ნახევრად სულელ უცხოელს უკვე your lordship-ით („თქვენო ბრწყინვალებავ“-ანღლ.) მიმართა.

ამასობაში „ბატონი ფონ დორნი“ არცთუ სახუმარო ეჭვებში გაიბლანდა. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ბრწყინვალე ამალია კაზიმიროვნა ამ მესამე თანრიგის სასტუმროში ჩამომხტარიყო. აქ რაღაც მთლად ისე არ იყო.

გულმოდგინებისგან წელში მოხრილ პორტიეს დაბნეულმა ისიც კი ჰკითხა, ხომ არა არის ლონდონში ამავე სახელწოდების მეორე სასტუმრო, და ფიცით დამოწმებული რწმუნება მიიღო, რომ არათუ მხოლოდ არ არის, არც არასოდეს ყოფილა, თუკი მხედველობაში არ მივიღებთ იმ „უინტერ ქუინს“, რომელიც აქ, ამავე ადგილას იყო და მთლად დაიწვა ასის წლის წინეთ.

ნუთუ სულ ტყუილად ჩაიარა ყველაფერმა - თორმეტდღიანმა წრიულმა მოგზაურობამ ევროპაში, მიწებებულმა ულვაშმა, ვატერლოოს ვოგზალზე ჩვეულებრივი კების მაგივრად ნაქირავებმა მდიდრულმა ეკიპაჟმა, და, ბოლოს, ამაოდ დახარჯულმა ნახევარმა სოვერინმა?

აი, ეხლა კი, გენაცვალე, ბუს კვერცხებს გამოიმუშავებ ჩემგან, -გაიფიქრა ერასტ პეტროვიჩმა (მიუხედავად ინკოგნიტობისა, მაინც ასე დავარქვათ).

-ერთი მიბრძანეთ, გეთაყვა, აქ ერთი არსება ხომ არ გაჩერებულა, ვინმე მის ოლსენი?- ყალბი დაუდევრობით იკითხა მან, თან დგარზე დაყრდნობილი გაქანავდა.

თუმცა სრულიად მოულოდნელმა პასუხმა ფანდორინს სევდიანად შეუკუმშა გული:

-არა, მილორდ, ლედი ასეთი სახელით ჩვენთან არა ცხოვრობს და არც უცხოვრია.

მოსულის თვალებში შფოთვა რომ ამოიკითხა, პორტიემ ეფექტური პაუზა გააკეთა და ბრძნულად გამოუცხადა:

-თუმცა თქვენი ბრწყინვალებისგან დასახელებული გვარი ჩემთვის მთლად უცნობი არ გახლავსთ.

ერასტ პეტროვიჩი შეირხა და ჯიბიდან კიდევ ერთი ოქრო ამოიღო.

-თქვით.

პორტიე წინ გადმოიხარა, იაფფასიანი კელნის წყლის სუნი შემოაფრქვია და უჩურჩულა:

-ამ პიროვნების სახელზე ჩვენ ფოსტას ვღებულობთ ყოველ საღამოს ათი საათისთვის მოდის ვინმე მისტერ მორბიდი, შეხედულებით მსახურია ან მსახურთუფროსი და იმას მიაქვს წერილები.

-უშეღლებელი სიმაღლისაა, დიდი ღია ბაკენბარდებით და ისეთი შეგრძნება გაჩნდება, რომ თავის სიცოცხლეში არ გაუღიმია? - სწრაფად ჰკითხა ერასტ პეტროვიჩმა.

-დიაღ, მილორდ, ეს ის გახლავსთ.

-და ხშირად მოდის წერილები?

-ხშირად, მილორდ, თითქმის ყოველდღე, ხდება ხოლმე, რომ არაერთი. დღეს, მაგალითად, - პორტიე მრავალმნიშვნელოვნად მიაჩერდა დანაყოფებიან შკაფს, - მთელი სამი ცალი მოვიდა.

მინიშნება მაშინვე გაიგეს.

-კონვერტებს შევხედავდი, - ისე, ცნობისმოყვარეობისთვის, შენიშნა ფანდორინმა და დგამზე მომდევნო ნახევარსოვერენი ააკაკუნა.

პორტიეს თვალები ციებცხელებიანის ელვარებით აენთო: რაღაც დაუჯერებელი ხდებოდა, განსჯისთვის მიუწვდომელი, მაგრამ მეტისმეტად სასიამოვნო კი.

-საზოგადოდ, ეს უსასტიკესად აკრძალულია, მილორდ, მაგრამ... თუკი მხოლოდ შეხედავთ კონვერტებს...

ერასტ პეტროვიჩი ხარბად მისწვდა წერილებს, მარამ გულის გატეხვა ელოდა - კონვერტები უკუ-მისამართის გარეშე იყო გამოგზავნილი. ეტყობა, მესამე ოქროც ტყუილად დაიკარგა. თუმცა, სწორი მოგახსენოთ, შეფმა სანქცია მისცა ნებისმიერ ხარჯებს „გონიერების საზღვრებში და საქმის ინტერესებიდან გამომდინარე...“ და, ნეტავ, რა არის შტემპელებზე?

შტემპელებმა ფანდორინი აიძულეს, ჩაფიქრებულიყო: ერთი წერილი შტუტგარტიდან იყო, მეორე ვაშინგტონიდან, ხოლო მესამე კი თვით რიო-დე-ჟანეიროდან. და მაინც!

-და დიდი ხანია, მის ოლსენი აქ კორესპონდენციებს იღებს? – ჰკითხა ერასტ პეტროვიჩმა, თან ჭკუაში ითვლიდა, რამდენი ხანი მოცურავენ წერილები ოკეანეზე და თან ხომ საჭირო იყო, აქაური მისამართი ჩასულიყო ბრაზილიაში! ძალიან უცნაურად გამოდიოდა. ბეჟეცკაიას შეეძლო, ინგლისში ჩამოსულიყო ყველაზე ადრე - სამი კვირის წინ.

პასუხი მოულოდნელი იყო:

-დიდი, მილორდ. მე რომ აქ სამსახური დავიწყე – ოთხი წლის წინ, წერილები უკვე მოდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

-ეს როგორ?! ხომ არ გეშლებათ?

-გარწმუნებთ, მილორდ. მართალია, მისტერ მორბიდი მის ოლსენთან დიდი ხანი არ არის, რაც მსახურობს, თითქმის ზაფხულის დასაწყისიდან. ყოველ შემთხვევაში, მორბიდამდე კორესპონდენციებისთვის მისტერ მებიუსი მოდიოდა, კიდევ უფრო ადრე მისტერ... მ-მ, ბოდიშს ვიხდი, მეხსიერებიდან გადამივარდა, რა ერქვა. ესეთი, უმნიშვნელო ჯენტლმენი იყო და ისიც ნაკლებად მოლაპარაკე.

ძალიან უნდოდა კონვერტებში ჩახედვა. ერასტ პეტროვიჩმა გამომცდელად შეხედა ინფორმატორს. ალბათ, ვერ გაუძლებს. თუმცა აქ ახალგამომცხვარ ტიტულიან მრჩეველს და პირველი კატეგორიის დიპლომატიურ კურიერს უკეთესი იდეა მოუვიდა ჭკვაში.

-როგორც ამბობთ, ეს მისტერ მობიდი ყოველ საღამოს ათზე მოდის ხოლმე?

-საათს ვასწორებთ იმის მოსვლაზე, მილორდ.

ერასტ პეტროვიჩმა დგამზე მეოთხე ნახევარსოვერენი დადო, გადაიხარა და გაბედნიერებულ პორტიეს რაღაც უჩურჩულა ყურში.

ათ საათამდე დარჩენილი დრო მეტად პროდუქტიულად გადანაწილდა.

პირველ რიგში ერასტ პეტროვიჩმა დაზეთა და დატენა თავისი საკურიერო „კოლტი". მერე ტუალეტის ოთახისკენ გასწია და რიგრიგობით აჭერდა ცხელი და ცივი წყლის პედლებს, სულ რაღაც თხუთმეტ წუთში შეავსო აბაზანა. ნახევარი საათი ინებივრა, ხოლო, როცა წყალი გაცივდა, შემდგომი მოქმედების გეგმა უკვე შედგენილი იყო. კიდევ მიიწება ულვაში და სარკეში ცოტა ხანი საკუთარი თავით დატკბობის შემდეგ ფანდორინმა შეუმჩნეველ ანდლიელად გადაიცვა: შავი ქვაბუნა ქუდი, შავი პიჯაკი, შავი შარვალი, შავი ჰალსტუხი. მოსკოვში მესაფლავედ მიიღებდნენ, მაგრამ ლონდონში, უნდა ვივარაუდოთ, მთლად შეუმჩნეველი დარჩებოდა. ღამითაც სწორედ ის იქნება – ლაცკანებით დაფარე პერანგი მკერდზე, მანჟეტები აიწიე და სიბნელის ალერსში გადნები, ეს კი გეგმისთვის უკიდურესად საჭიროა.

კიდევ ნახევარი საათი დარჩა შემოგარენის გასაცნობი გასეირნებისთვის. ერასტ პეტროვიჩმა გრეი-სტრიტიდან ფართო ქუჩაზე გაუხვია, მთლიანად ეკიპაჟებს რომ გაევსო, და თითქმის მაშინვე აღმოჩნდა ცნობილ თეატრ „ოლდ-ვიკთან", დაწვრილებით რომ აღეწერათ გზამკვლევში. კიდევ ცოტა გაიარა და – ო, საოცრებავ! – დაინახა მოხაზულობა ვატერლოოს ვაგზლისა, საიდანაც „ზამთრის დედოფლამდე" კარეტას მთელი ორმოცი წუთი მოჰყავდა – გაიძვერა მეეტლემ ხუთი შილინგი აიღო. ხოლო შემდეგ გამოჩნდა საღამოს უსიამო ჩრდილებში ჩაფლული ტემზა. იმის ჭუჭყიან წყალს რომ უცქერდა, მოიბუზა და რატომღაც მოიცვა პირქუშმა წინათგრძნობამ. ამ უცხო ქალაქში, საზოგადოდ, თავს მოუხერხებლად გრძნობდა. შემხვედრნი თვალს არიდებდნენ, ერთს არ შეუხედავს სახეში, რაც, დამეთანხმებით, მოსკოვში შეუძლებელია. ამასთან, ფანდორინს არ ეხსნებოდა უცნაური გრძნობა, თითქოს ზურგში ვიღაცის უკეთური მზერა მიბჯენიაო. რამდენჯერმე მობრუნდა ახალგაზრდა კაცი და თითქო ერთხელ შეამჩნია, თუ თეატრალურ ტუმბას ამოეფარა ფიგურა შავებში. აქ ერასტ პეტროვიჩმა თავი ხელში აიყვანა, იჭვნეულობისთვის კარგადაც გამოლანძღა და მეტად აღარ შემოტრიალებულა უკან გასახედად. სულ წყეული ნერვების ბრალია. შეყოყმანდა კიდეც – ხვალამდე ხომ არ მოეცადა თავისი გეგმის განსახორციელებლად? მაშინ შესაძლებელი იქნება დილით საელჩოში გამოჩნდეს და შეხვდეს საიდუმლო მწერალ-მწარმოებელ პიჟოვს, რომელზეც შეფი ლაპარაკობდა. მაგრამ ლაჩრული სიფრთხილე სამარცხვინო გრძნობაა, თან დროის დაკარგვაც არა სურს. ისედაც, სულ მცირე, სამი კვირა წვრილმანებზე დაკარგა.

ევროპაში მოგზაურობა ნაკლებად სასიამოვნო აღმოჩნდა, ვიდრე თავიდან წარმოედგინა ფრთებშესხმულ ფანდორინს. ვერჟბოლოვას სასაზღვრო ჯაჭვების იქითა მხარეს გადაშლილმა ტერიტორიამ გული დაუმძიმა მშობლიური, ღარიბული სივრცისგან განსხვავებულობის გამო. ერასტ პეტროვიჩი ვაგონის სარკმელში იცქირებოდა და სულ ელოდა, რომ კოპწია სოფლები და სათამაშო ქალაქები დამთავრდება და დაიწყება ჩვეულებრივი პეიზაჟი, მაგრამ, რაც უფრო შორს მიდიოდა რუსეთის საზღვრიდან მატარებელი, მით უფრო თეთრი ხდებოდა სახლები, ხოლო ქალაქები – ფერწერული. ფანდორინი სულ იღუშებოდა და იღუშებოდა, მაგრამ თავის თავს სლუკუნის უფლებას არ მისცემდა, ბოლოსდაბოლოს, ყველაფერი ოქრო არ არის, რაც ანათებს, საკუთარ თავს ეუბნებოდა, მაგრამ სულში მაინც ხუთვას გრძნობდა. მერე არა უჭირდა რა, შეეგუა და უკვე ეჩვენებოდა, რომ მოსკოვში ბერლინთან შედარებით, არც ისე ძალიან ბევრი ჭუჭყია, ხოლო კრემლი და ეკლესიების ოქროს გუმბათები ჩვენ ისეთი გვაქვს, ნემეცებს არც კი დასიზმრებიათ. სხვა რამ აწუხებდა – რუსული საელჩოს სამხედრო აგენტმა, რომელსაც ფანდორინმა დაბეჭდილი პაკეტი გადასცა, უბრძანა, ჯერ მომდევნო პუნქტში არ წასულიყო და დალოდებოდა საიდუმლო კორესპონდენციას, რათა ვენაში გადაეცა დანიშნულებისამებრ. ლოდინმა ერთი კვირა გასტანა და ერასტ პეტროვიჩს

მოსწყინდა ჩრდილებიან უნტერ-დენ-ლინდენზე ხეტიალი, მობეზრდა გულის აჩუყება ბერლინის პარკების კარგად ნაკვებ გედებით.

იგივე განმეორდა ვენაში, ოღონდ აქ ხუთი დღე მოუწია პაკეტის ლოდინმა, რომელიც სამხედრო აგენტისთვის უნდა გადაეცა პარიზში. ერასტ პეტროვიჩი ნერვიულობდა, როცა წარმოიდგენდა, რომ „მის ოლსენი“ თავისი იპოლიტიდან ცნობას არ დაელოდა, ოტელიდან გადავიდა და ეხლა საუკუნე ვეღარ იპოვნი. ნერვების გამო იყო, ფანდორინი დიდხანს რომ იჯდა კაფეში, ბევრ ღვეზელს შეექცეოდა ნუშისას და ლიტრობით სვამდა კრემსოდას.

სამაგიეროდ, პარიზში თავად აიღო ინიციატივა: რუსეთის წარმომადგენლობაში ხუთი წუთით შეიხედა, საელჩოს პოლკოვნიკს ქაღალდები ჩააბარა და უაპელაციოდ გამოუცხადდა, რომ აქვს განსაკუთრებული დავალება და ერთი საათიც კი არ შეუძლია გაჩერება. დაკარგული დროისთვის საკუთარი თავის დასჯის მიზნით პარიზის დათვალიერებაც არ დაუწყია, მხოლოდ ფიაკრით გაიარა ახალი, სწორედ მაშინ ბარონ ოსმანის მიერ გაყვანილი ბულვარებით და მერე ჩრდილოეთის ვაგზლისკენ გაუტია. უკან რომ გამობრუნდება, დრო კიდევ ექნება.

ათს რუპი, ანუ საათის მეოთხედი აკლდა, როცა გამოსაჭვრეტად გახვრეტილი „ტაიმსის“ ნომერი აეფარებინა და ერასტ პეტროვიჩი „ზამთრის დედოფალის“ ფოიეში იჯდა. ქუჩაში წინასწარ დაქირავებული კები უცდიდა. მიღებული ინსტრუქციის თანახმად, პორტიე დემონსტრაციულად არ იყურებოდა საზაფხულოდ ჩაცმული ჩამომხმარი კაცისკენ და საპირისპირო მხარეს მიტრიალებას ცდილობდა.

თერთმეტის სამ წუთზე ზარმა დაიწკარუნა, კარი გაიღო და წყლისფერ ლივრეაში გამოწყობილი ვეება მამაკაცი შემოვიდა. ეს „ჯონ კარლიჩია“! ფანდორინმა თვალებთან ახლოს მიიტანა გვერდი პრინც უელსელის წვეულების აღწერილობით.

პორტიე ქურდულად შეეხო უდროო დროს კითხვით გატაცებულ მისტერ ფონ დორინს და თანაც, იმ გაიძვერამ, თავისი დაფანჩული წარბები ზემოთ-ქვემოთ აათამაშა, მაგრამ ობიექტმა, საბედნიეროდ, ეს ვერ შეამჩნია ანდა თავის ღირსების ქვემოთ მდგომ ქმედობად ჩათვალა შემოტრიალება.

კები კი გამოადგა. აღმოჩნდა, რომ მსახურთუხუცესი ფეხით არ მოსულა, „ეგოისტით“ მოვიდა – ერთადგილიანი ეტლით, რომელშიც შებმული იყო ძალიან ყავისფერი ცხენი. ეს შხაპუნა წვიმაც დროულად წამოვიდა – „ჯონ კარლიჩმა“ ტყავის გადასახური ასწია და ეხლა, რაც უნდა მოენდომებინა, თვალთვალს ვერ აღმოაჩენდა.

ნაცრისფერ ლივრეაში გამოწყობილი კაცის უკან გაყოლის ბრძანებას კებმენი ოდნავადაც არ გაუკვირვებია, გრძელი მათრახი გაატკაცუნა და გეგმა თავის პირველ ფაზაში შევიდა.

დაღამდა, ქუჩაში ფარნები ენთო, მაგრამ ლონდონი არ იცოდა და ფანდორინმა მალე დაკარგა გაგნების შნო, მუქარით დადუმებული ქალაქის ერთნაირი ქვის კვარტალებში აებნა გზა. რამდენიმე ხნის შემდეგ სახლები დადაბლდა და გაიშვიათდა, სიბნელეში თითქოს ხეთა მოხაზულობები მოცურავდნენ, კიდევ თხუთმეტი წუთის მერე გაიჭიმნენ ბაღებით გარსშემორტყმული, განცალკევებული სახლები. ერთ მათგანთან „ეგოისტი“ შეჩერდა, მისგან გამოიყო გიგანტური სილუეტი და გაიხსნა მაღალი, გისოსებიანი ჭიშკარი. კებიდან გადმოწეულმა ფანდორინმა დაინახა, როგორ შედის ეტლი გალავანში, რის შემდგომაც ჭიშკარი კვლავ დაიკეტა.

გულმიხვედრილმა კებმენმა თავად გააჩერა ცხენი, შემოატრიალა და შეეკითხა:

-ამ მგზავრობის შესახებ მოვალე ვარ, პოლიციას გამოვუცხადო?

-აი, თქვენ კრონი და ეგ საკითხი თავადვე მოაგვარეთ. -მიუგო ერასტ პეტროვიჩმა, გადაწყვიტა, რომ მეეტლესთვის დაცდა არ ეთხოვა – ძალიან მკვირცხლი და ჯომარდი ვიღაცა ჩანს. თან ხომ არც იცის, როდის წავა უკან. წინ სრული უცოდინრობა ელოდა.

ზღუდეზე გადახტომა ძნელი არ აღმოჩნდა, გიმნაზიის წლებში ამისთანები უნახავს?

ბაღი ჩრდილებით აშინებდა და არასტუმართმოყვრულად ურტყამდა სახეში როკებს. წინ, ხეების მიღმა, მოღუშულ სითეთრედ ჩანდა დახრილ-სახურავიანი, ორსართულიანი სახლი. ფანდორინი ცდილობდა, ნაკლებად ეშარიშურა და ასე მიაღწია ყველაზე ბოლო ბუჩქთან (იასამნის სუნი უდიოდა - ნამდვილად, ეს იყო რომელიღაც ინგლისური იასამანი) და რეკოგნოსცირება ჩაატარა. უბრალო სახლი კი არა, ვილაა. შესასვლელთან ფარანია. პირველ სართულზე ფანჯრები განათებულია, მაგრამ იქ, ეტყობა, მოსამსახურეები არიან „განთავსებულნი“. გაცილებით საინტერესოა მეორე სართულზე გაკაშკაშებული ფანჯარა (აქ გაახსენდა, რომ ამ სართულს რატომღაც ინგლისელები „პირველს“ უწოდებენ), მაგრამ როგორ მიაღწიოს იქამდე? საბედნიეროდ, იქვე თუნუქის წვიმასავალი მილი ჩამოდის, ხოლო კედელი რაღაც ხვიარით გადმოყუდებულა და შესახედად საკმაოდ ჩამოსაკონწიალებლებიც აქვს. არცთუ შორეული ბავშვობის ჩვევები კიდევ გამოსადეგი იქ-

ნებოდა.

ერასტ პეტროვიჩმა შავ აჩრდილად გადაირბინა კედლამდე და წყალსადენი შეანჯღრია. თითქოს მაგარია და არც ყანყალებს. რადაი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო, არ ეხმაურა, ასვლა უფრო ნელ-ნელა გამოსდიოდა, ვიდრე თავად სურდა. ბოლოს ფეხმა საყრდენი იგრძნო, ძალიან იღბლიანად რომ უვლიდა მთელ მეორე სართულს და ფანდორინი ფრთხილად ჩაეჭიდა სუროს, ველურ ვაზს, ლიანებს – ეშმაკმა უწყის, რა ერქვა ამ გველებივით ტოტებს – დაიწყო მოკლე ნაბიჯით აღთქმულ ფანჯარასთან მიახლოება.

პირველ წუთში მწველმა იმედგაცრუებამ მოიცვა – ოთახში არავინ იყო, ვარდისფერაბაჟურიანი ლამპა რაღაც ქაღალდებით დაფარულ ნატიფ ბიუროს ანათებდა. კუთხეში, ეტყობა, საწოლი მოჩანდა თეთრად. ვერ მიხვდები – კაბინეტია თუ საძინებელი. ერასტ პეტროვიჩმა ხუთი წუთი მოიცადა, მაგრამ არაფერი ხდებოდა, მარტო ეს იყო, დახატული ფრთების ქნევით ლამპაზე დაჯდა სქელი ღამის პეპელა. ნუთუ უკან მოუწევს ჩაძრომა? თუ გარისკოს და შიგნით შეაღწიოს? ხელი მსუბუქად უბიძგა ჩარჩოს და ფანჯარა გაიხსნა. ფანდორინი შეყოყმანდა, საკუთარი თავი დაადანაშაულა ყოყმანისთვის და დაყოვნებისთვის, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სწორედ შეყოვნდა –კარი გაიღო და ოთახში ორნი შემოვიდნენ, ქალი და კაცი.

ქალის სანახაობაზე ერასტ პეტროვიჩმა კინაღამ წამოიყვირა –ეს ბეჟეცკაია იყო! მწყობრად დავარცხნილი, ალისფერი ბაფთით შეკრული შავი თმით, მაქმანიანი თუ არშიიანი პენუარით, რომლის ზემოდან ჭყეტელა ბოშური შალი შემოეხურა, დამაბრმავებლად ლამაზი მოეჩვენა. ო, ასეთ ქალს შეიძლება ნებისმიერი შეცოდება აპატიო!

მამაკაცისკენ შემოტრიალებულმა – მისი სახე მაინც ჩრდილში რჩებოდა, მაგრამ სიმაღლით თუ განვსჯით, ეს მისტერ მორბიდია, - ამალია კაზიმიროვნამ გამართულ ანგლიურზედ სთქვა (ჯაშუშია, ნამდვილად ჯაშუში!):

-მაშ, როგორც ჩანს, ნამდვილად ის არის?

-დიახ, მემ. ყოველგვარი ეჭვის გარეშე.

-რატომ ხართ ასე დარწმუნებული? თქვენ რა, ნახეთ კიდეც?

-არა, მემ. დღეს იქ ფრანცი მორიგეობდა. მან მოგვახსენა, რომ ბიჭუნა მეშვიდე საათზე ჩამოვიდა. აღწერილობა ზუსტად დაემთხვა, თქვენ მისი ულვაშიც კი გამოიცანით.

ბეჟეცკაიამ წკრიალით გაიცინა.

-თუმცა მისი შეუფასებლობაც არ შეიძლება, ჯონ. ბიჭი იღბლიანების ჯიშიდანაა, მე კი ამ ტიპის ადამიანებს კარგად ვიცნობ - ისინი გამოუცნობნი და ძალიან საშიშები არიან.

ერასტ პეტროვიჩს გულის კოვზთან რომელიღაც გრძნობა აუფრთხიალდა. ნეტავი, თავად მასზედ ხომ არ მუსაიფობენ? არა, ეს შეუძლებელია.

-არაფერია, მემ. თქვენ მხოლოდ ბრძანება გაეცით... ფრანცთან ერთად შევივლით და ერთხელ და სამუდამოდ დავაბოლოვებთ. ნომერი თხუთმეტი, მეორე სართული.

სწორედ ასეა! ზუსტად მეთხუთმეტე ნომერში, მესამე სართულზე (ანგლიურად - მეორეზე) გაჩერდა ერასტ პეტროვიჩი, მაგრამ როგორ შეიტყვეს?! საიდან?! ფანდორინმა მოწყვეტილად, მიუხედავად ტკივილისა, აიძრო თავისი სამარცხვინო, გამოუსადეგარი ულვაში.

ამალია კაზიმიროვნა, თუ რაც ერქვა სინამდვილეში, შეიჭმუხნა და ხმაში მეტალი გაურია:

-არ გაბედოთ! თავად ვარ დამნაშავე, თავადვე გამოვასწორებ ჩემ შეცდომას. ცხოვრებაში ერთხელ ვენდე მამაკაცს... მარტო ის მაკვირვებს, რატომ საელჩოდან არ შეგვატყობინეს იმისი ჩამოსვლა?

ფანდორინი მთლად სმენად იქცა. ესე იგი, რუსულ საელჩოშიც ჰყავთ თავისი ხალხი! ჰო და კვლავაც ჰო! ივან ფრანცევიჩი კიდევ, ეჭვობდა! თქვი, რომელია, ბარემ თქვი!

მაგრამ ბეჟეცკაია სხვა საგანზედ ალაპარაკდა:

-წერილები არის?

-დღეს სრული სამია, მემ.- და მსახურთუფროსმა თავის დაკვრით გადასცა კონვერტები.

-კეთილი, ჯონ, შეგიძლიათ, დასაძინებლად წახვიდეთ. დღეს აღარ დამჭირდებით, - მან მთქნარება ჩაახშო.

როცა მისტერ მობიდის გასვლის შემდეგ კარი მიიხურა, ამალია კაზიმიროვნამ დაუდევრად მიყარა წერილები ბიუროზე, თავად კი ფანჯარასთან მივიდა. ფანდორინი გამოშვერილს მოეფარა და გულმა გამალებული ტოკვა დაუწყო. ჯერ დიდი თვალებით დაუნახავად უყურებდა ცივ სიბნელეს, მერე ბეჟეცკაიამ (მინა რომ არა, ხელით შეიძლებდა მისწვდომოდა) ფიქრიანად წაიჩურჩულა რუსულად:

-აი, მოწყენილობაც ეს არის; ღმერთო, შემინდე. იჯექი აქ და დაობდი...

შემდეგ უცნაურად მოიქცა: გიჟმაჟი ამურის კედლის ბრასთან მივიდა და მცირეწლოვან სიყვარულის ღმერთს ბრინჯაოს ჭიპზე თითი დააჭირა. იქვე ჩამოკიდებულ გრავიურა (როგორც ჩანს, რაღაც სანადირო თემაზე) უხმაუროდ გავიდა განზე და სპილენძის კარი გამოაჩინა მრგვალი სახელურით. ბეჟეცკაიამ პენუარის ჰაეროვანი სახელოდან დახვეწილი, შიშველი ხელი გაითავისუფლა, სახელური აქეთ-იქით მოატრიალა და მელოდიურად აჟ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღერებული კარი გაიღო. იმის შიშით, ყველაზე მთავარი არ გამომრჩესო, ერასტ პეტროვიჩმა ცხვირი მიაჭყლიტა სარკმელს.

ამალია კაზიმიროვნა, ისე დამგვანებული ეგვიპტის დედოფალს, როგორც არასოდეს, გრაციოზულად გადაიხარა, რაღაც ამოიღო სეიფიდან და შემოტრიალდა. ხელში ცისფერი ხავერდის პორტფელი ეჭირა.

ბიუროსთან დაჯდა, პორტფელიდან დიდი, ყვითელი კონვერტი ამოიღო, იქიდან კი რაღაც წვრილად ნაწერი ფურცელი. დანით გაჭრა მიღებული წერილები და იმათგან რაღაც გადაწერა ფურცელზე. ამან ორ წუთზე მეტი არ დაიჭირა. მერე უკან ჩააწყო წერილები და ფურცლები პორტფელში, ბეჟეცკაიამ „პახიტოსკას“, ანუ პაპიროსების გვარის ერთ-ერთ წარმომადგენელს მოუკიდა, ძალიან გავრცელებული რომ იყო მეცხრამეტე საუკუნეში და რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქა, თანაც ჩაფიქრებული იყურებოდა სადღაც სივრცეში.

ერასტ პეტროვიჩს ის ხელი დაუბუჟდა, რომლითაც ტოტებს ეკიდა, ფერდში მტკივნეულად ერჭობოდა „კოლტის“ სახელური, თან უხერხულად გამოწეულმა სარტყელმაც დაუწყო წუწუნი, - დიდხანს ამ მდგომარეობაში ვერ იდგებოდა.

ბოლოსდაბოლოს კლეოპატრამ „პახიტოსკა“ ჩააქრო, ადგა და გავიდა შორეულ, ოთახის სუსტად განათებულ კუთხეში. რომელიღაც არცთუ მაღალი კარი გაიხსნა, კვლავ დაიხურა და მოისმა წყლის ჩქაფუნი. ცხადი იყო, იქ აბაზანა იყო.

ბიუროზე მაცდურად იდო ცისფერი კონვერტი, ხოლო ქალები, როგორც ცნობილია, საღამოს ტუალეტით დიდხანს არიან დაკავებულები... ფანდორინმა ფანჯრის გასაწევს უბიძგა, მუხლი რაფაზე დადგა და, ვიდრე ორამდე დაითვლიდა, ოთახში აღმოჩნდა. აბაზანის მხარეს იყურებოდა, სადაც ძველებურად თანაბრად ხმაურობდა წყალი და მან დაიწყო პორტფელის გახსნა. შიგნით აღმოჩნდა წერილების დიდი დასტა და წელანდელი ყვითელი კონვერტი. ზედ მისამართი:

Mr. Nicolas M. Croog, Poste restant, l'Hotel des pastes, S.-Peterbourg, Russie.

(„ბატონ ნიკოლას მ. კროოგს, მოკითხვამდე. მთავარი ფოშტა, ს.-პეტერბურგი, რუსეთი“ –ფრანც.).

ეს უკვე კარგია. შიგნით ეწყო გრაფებად დაყოფილი ფურცლები, ანგლიურად დაწერილი ერასტ პეტროვიჩისთვის კარგად ნაცნობი ალმაცერი ხელით. პირველ სვეტში რაღაც ნომერია, მეორეში - ქვეყნის დასახელება, მესამეში - წოდება ან თანამდებობა, მეოთხეში - თარიღი, მეხუთეშიც თარიღია – ივნისის ზრდადი რიცხვები. მაგალითად, ყველაზე ბოლო სამი ჩანაწერი, მელნის მიხედვით თუ განსჯიდა, ახლახანს შესრულებული, ასე გამოიყურებოდა:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| №1053F | ბრაზილია | იმპერატორის პირადი დაცვის უფროსი | გაგზავნილია 30 მაისს | მიღებულია 28 ივნისს 1876 |
| №852F - | ჩრ. ამერიკის შეერთებული შტატები | სენატის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე | გაგზავნილია 10 ივნისს | მიღებულია 28 ივნისს 1876 |
| №354F | გერმანია | საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე | გაგაზავნილა 25 ივნისს | მიღებულია 28 ივნისს 1876 |

სდექ! დღეს მის ოლსენის სახელზე სასტუმროში მიღებული წერილები რიო-დე-ჟანეიროდან, ვაშინგტონიდან და შტუტგარტიდან იყო. ერასტ პეტროვიჩმა წერილების დასტაში დაიწყო ფათური, ბრაზილიური მოძებნა. შიგ იყო ფურცელი მიმართვისა და ხელმოწერის გარეშე, სულ ერთი სტრიქონი.

*30 მაისი, იმპერატორის პირადი დაცვის უფროსი, №1053 F.*

მაშ, ასე. ბეჟეცკაია რატომღაც იწერს მიღებული წერილების შინაარსს ფურცლებზე, რომლებსაც მერე პეტერბურგში უგზავნიან ვიღაც მუსიე ნიკოლა კროოგს, ანუ მისტერ ნიკოლას კროოგს. რისთვის? რატომ პეტერბურგში? რას ნიშნავს ეს ყველაფერი, საზოგადოდ?

ერთი მეორის ქეჩოებზედ გადმომძვრალი შეკითხვები აყალმაყალით მოდიოდნენ, მაგრამ იმათში გარკვევის დრო არ იყო - აბაზანაში წყალმა შეწყვიტა ჩქაფუნი. ფანდორინმა სასწრაფოდ ჩატენა ქაღალდები და წერილები უკან პორტფელში, მაგრამ ფანჯრისკენ უკუქცევა ვერ მოასწრო. კარის ჭრილში იდგა ნარნარი, თეთრი ფიგურა.

ერასტ პეტროვიჩმა სარტყლიდან რევოლვერი გამოაძრო და სისინა ჩურჩულით უბრძანა:

-ქალბატონო ბეჟეცკაია, ერთი ბგერა და დაგახლით! მობრძანდით და დაბრძანდით! ცოცხლად!

ქალი მდუმარედ მიუახლოვდა, მომაჯადოვებლად უყურებდა უფსკეროდ, ციმციმა თვალებით და ბიუროს მახლობლად დაჯდა.

-რაო, მითამ არ მელოდით? -გესლიანად დაინტერესდა ერასტ პეტროვიჩი, -სულელად მთვლიდით?

ამალია კაზიმიროვნა დადუმდა, მისი გამოხედვა ყურადღებიანი და ცოტათი გაკვირვებულიც იყო, თითქო ფანდორინს პირველად ხედავდა.

-რას ნიშნავს ეს სიები? – ჰკითხა მან, „კოლტის“ პორტფელისკენ გაქნევით, -რა შუაშია აქ ბრაზილია? ვინ იმალება ნომრების მიღმა? აბა-და... ჰოდა, მიპასუხეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

-გაზრდილხარ, -წყნარი, ფიქრიანი ხმით მოულოდნელად თქვა ბეჟეცკაიამ,-და, ეტყობა, დავაჟკაცდი.

ხელი ჩამოუშვა და პენუარი მრგვალი მხრიდან ჩამოაცოცდა, ისეთი თეთრიდან, რომ ერასტ პეტროვიჩმა ნერწყვი გადაყლაპა.

-მამაცო, ჩხუბისთავო და ჩურჩუტო,-თქვა ქალმა ხმადაბლა და თვალი თვალში გაუყარა, –და ძალიან, ძალიან კარგო.

-თუ ჩემი შეცდენა გადაწყვიტეთ, მაშინ ტყუილად ჰკარგავთ დროს, - წაიბურტყუნა გაწითლებულმა ერასტ პეტროვიჩმა, - არც ისეთი ჩურჩუტი გახლავარსთ, როგორც თქვენ წარმოგიდგენივართ.

ამალია კაზიმიროვნა ნაღვლიანად წარმოთქვამდა:

-თქვენ ბედკრული ბიჭი ხართ, რომელსაც არც ესმის, რაში გაება. უბედური ლამაზი ბიჭი. ახლა კი ვეღარ გადაგარჩენთ...

-ჯერ საკუთარ გადარჩენაზე გეფიქრასთ! –ერასტ პეტროვიჩი გამწარებით ცდილობდა, კიდევ უფრო მოშიშვლებული მხრისკენ არ გაჰქცეოდა თვალი. ნუთუ არსებობს ასეთი მანათობელი, რძეთოვლივით კანი?

ბეჟეცკაია უცაბედად წამოდგა და სტუმარი შეხტა, ლულა წინ გამოსწია.

-იჯექით!

-ნუ გეშინიათ, სულელო. როგორ გაწითლდით, შეიძლება, შეგეხოთ?

ხელი გამოსწია და თითებით მსუბუქად შეეხო ფანდორინის ლოყებს.

-ცხელია... რა ვქნა, რა გიყოთ?

მეორე ხელი ნაზად შეეხო ჭაბუკის რევოლვერზე ჩაჭიდებულ თითებს. მქრქალი, აუციმციმებელი თვალები ისე ახლოს იყო, რომ ფანდორინმა მათში ორი პაწაწკინტელა, ვარდისფერი ლამპის გამოსახულებაც კი დაინახა. ახალგაზრდა კაცს საკვირველმა პასიურობამ დარია ხელი, მან გაიხსენა, როგორ აფრთხილებდა იპოლიტი მორევზე, მაგრამ როგორღაც გაუცხოებულად გაახსენდა, თითქო თავად არ ეხებოდა.

მერე კი მოხდა აი, რა. მარცხენა ხელით ბეჟეცკაიამ „კოლტი“ განზე გასწია, მარჯვენათი ერასტ პეტროვიჩის საყელოს მისწვდა, თავისკენ მოქაჩა და იმავდროულად შუბლი დაჰკრა ცხვირში. ტკივილისგან ფანდორინი დაბრმავდა, ისედაც ვერაფერს დაინახავდა მაინც, რადგან ლამპა ბრახუნით გადმოვარდა იატაკზე და უკუნი სიბნელე გამეფდა. შემდგომი დარტყმისგან - მუხლით მუცელში - ახალგაზრდა კაცი მოიკუნტა, მისი თითები კრუნჩხვით შეიკუმშნენ და ოთახი ჯერ უცხო ნათებამ გააშუქა, მერე გასროლამ გააყრუა. ამალიამ კრუნჩხვით ჩაისუნთქა ჰაერი, ამოიოხრწამოიკივლასავით და აღარავინ ურტყამდა ერასტ პეტროვიჩს, აღარავინ უქაჩავდა მაჯას. გაისმა დაცემული სხეულის ხმა. ყურები უგუგუნებდა, ნიკაპზე ორ ნაკადულად ჩამოსდიოდა სისხლი, თვალებიდან ცრემლები ღვრებოდა და მუცელს ქვემოთ ისე საძაგლად იყო, რომ მხოლოდ ისღა სურდა – მოკუნტულიყო და დაეცადა, გადაეტანა, ბღავილით გადაეგორებინა ეს აუტანელი ტკივილი. მაგრამ ბღავილის დრო სადღა იყო – დაბლიდან მაღალი ხმები და ნაბიჯების ბრაგუნი ამოდიოდა.

ფანდორინმა მაგიდიდან პორტფელი აიღო, ფანჯარაში ისროლა, გადაძვრა რაფაზე და კინაღამ მოწყდა, რადგან ხელში ისევ პისტოლეტი ეჭირა. აღარ ახსოვდა, როგორ მიძვრებოდა მილზე, ძალიან ეშინოდა, სიბნელეში რომ ვერ ეპოვნა პორტფელი, თუმცა კარგად ჩანდა თეთრ ხრეშზე. ერასტ პეტროვიჩმა ხელი სტაცა და პირდაპირ ბუჩქებზე გავარდა, თან გაჩქარებით ლუღლუღებდა ცხვირქვეშ: „კარგი დიპლომატიური კურიერი კი გამოვდექ... ქალი მოვკალ... ღმერთო, რა ვქნა, რა ვქნა... სულ იმისი ბრალია... მე სულაც არ მინდოდა... ახლა საით... პოლიცია დამიწყებს ძებნას... ანდა ესენი... მკვლელი... საელჩოში არ შეიძლება... ამ ქვეყნიდან უნდა გავიქცე, საზღვარგარეთ... ესეც არ შეიძლება... ვოკზალებზე, პორტებში დამძებნიან... თავიანთი პორტფელისთვის დედამიწას გადაატრიალებენ... დავიმალები... ღმერთო, ივან ფრანცევიჩ, რა ვქნა?...“ ფანდორინმა სირბილისას გაიხედა და ისეთი ვინმე დაინახა, რომ შეხტა და კინაღამ იქვე გაიშხლართა. ბუჩქებში უძრავად იდგა შავი ფიგურა გრძელი ლაბადით. მთვარის შუქზე ანათებდა გაყინული, საკვირველად ნაცნობი სახე. გრაფი ზუროვი!

ჭკუადაკარგულმა ერასტ პეტროვიჩმა დაიღრიალა და გალავანს გადაახტა. ჯერ დააპირა მარჯვნივ, ახლა მარცხნივ (საიდან მოვიდა წეღან ის კები?), მერე გადაწყვიტა, რომ სულ ერთია და მარჯვენა მიმართულებას მისცა გადარეული და ჭკუაარეული თავი.

დასასრული იქნება

*თარგმნა მიხო მოსულიშვილმა.*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნუგზარ შავგულიძე

## ორი ლიტერატურული წერილი

### „...წილად მერგო სიმარტოვე“

საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ადამიანის სამყაროსთან იდენტიფიცირებისა და საკუთარი „მე“-ს ობიექტივირების ყველაზე სრულ და რეალისტურ ფორმად ავტობიოგრაფიაა მიჩნეული, ხოლო ავტორი კი, როგორც თვითკმარი ღირებულება, საბედისწეროდ ქცეული ორი ურთიერთგამომრიცხავი კითხვის - „მე სამყაროში“ თუ „სამყარო ჩემში“ საზღვარზეა „გაჩხერილი“. დღევანდელ საქართველოში, სადაც ქართველთაგან „ნათესავით ქართველის“ დამდაბლება „სიქველეა“, სადაც ცნება „სამშობლო“ პროვინციალიზმია, ხოლო ბრჭყვიალა „ევროპეიზმით“ მართლაც პროვინციული ალტაცება „საერთაშორისო“სტანდარტის „კარგი“ ტონი, ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ სამყაროს საზრისის ძიება და ადამიანის სულის „მოხელთება“ „ფილოსოფიური ფუფუნება“ თუ „ძველმოდური“ ახირება არა!

და მაინც, ვახუშტი კოტეტიშვილის „ნუთისოფლის სტუმრებმა“, მისი ავტობიოგრაფიული „ჩემი ნუთისოფელი“-ს „პერსონაჟებმა“ ამ ფსევდოპრაგმატულ სამყაროში (დაუნდობლობა „პრაგმატიზმად“ საღდება) უცნაურად მშვენიერი, სიკეთითა და სულიერებით გაჟღენთილი ქვეყანა დაგვიბრუნეს, სადაც სული, „წყვეტილი“ და არიტმიული ცნობიერებისაგან განსხვავებით, რიტმულად „გამდინარე“, უწყვეტი სასიცოცხლო პროცესების მატარებელი ფენომენია“ (ფ.კლაგესი), რომლითაც ფორმირებული „მე“-ს თვითკმარობას განსაზღვრავს არა ორ სამყაროს შორის მოქცეული მისი „საგნობრივად“ მეტაფიზიკური ღირებულება, არამედ ის, თუ რამდენადაა იგი „სხვაში“ დამთავრებული (უმაღლესი სრულყოფა, რომელიც მხოლოდ საკუთარი „მე“-ს გადალახვით მიიღწევა). „სხვა“ კი ვახუშტი კოტეტიშვილისათვის „ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქის“ „ჯიუტად“ დამადასტურებელი მისი თანამდევი თანამედროვეა, რომელთან ერთადაც იგი არა მხოლოდ საკუთარ, არამედ მათი საერთო „დროს ბიოგრაფიასაც“ ქმნიდა. ამიტომ, ავტობიოგრაფიული „ჩემი ნუთისოფელი“ „ქრონობიოგრაფიადაც“ შეიძლება განვიხილოთ.

ავტორმა ამ წიგნში, სადაც ბიოგრაფიული ნაკვეთები (რომელთაგან თითოეულს დასრულებული ნოველის ღირებულება აქვს) დიაქრონული ველებიდან სინქრონულ „სიბრტყეზე“ გადანაცვლების ტენდენციას ამჟღავნებს და ე.წ. „ბიოგრაფიული ღირებულებების“ სისტემას აყალიბებს, რომელიც თავისი ისტორიის თხრობისას „სხვად“ გარდასახული ავტორის მიერ გამოყენებული სპეციფიკური კონცეპტების იერარქიას ემყარება. საკუთარი ბიოგრაფიიდან დანახული სამყაროს (ან პირიქით) ხელახალი განცდის ამგვარად კონცეპტუალიზებული რაკურსით ავტორი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ზედროულ“ კონტექსტში „იკითხება“, რომლის, როგორც მთხრობელის, „იდეოლოგიაც“ დიაქრონული და სინქრონული დროითი პლასტებისგანაა „კონსტრუირებული“. უფრო მეტიც, წიგნი „ზეჟანრულ“ კონტექსტშიც კი შეიძლება აღვიქვათ, რადგანაც ავტორ-მთხრობელის დრო-სივრცული „კონსტრუქცია“ ლირიკული, სოციალური, ყოფითი, ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, პოლიტიკური და ა.შ. „ინგრედიენტებისაგან“ შედგება და ე.წ. „ბიოგრაფიული ცნობიერების“ ისეთ ტიპს აყალიბებს, რომელიც ცხოვრების მნიშვნელობასა და საზრისს შორის გაჩენილ „დინამიკური“ და „ფუნდამენტური“ ღირებულებების პარადიგმატულ სივრცეშია განფენილი. ე.ი., ამ წიგნის ფარგლებში ადამიანი, როგორც ფილოსოფიური დაშვება, ცვალებად სოციალურ კონტექსტში მოქცეული, ნებსით თუ უნებლიეთ, ცხოვრების საზრისის პარამეტრებს ცვლის მაშინ, როცა მისი, როგორც ფილოსოფიური დაშვების, ფუნდამენტური მნიშვნელობა უცვლელი რჩება.

ასეთი ფუნდამენტური უცვლელობითაა „კონსტრუირებული“ ნაწარმოების მთავარი გმირის ე.წ. ღირებულებითი კონფიგურაცია, რომელიც, მისი ცხოვრების ტრაგიკული გზის მიუხედავად („...წლითიწლობით ვიმარტვილე, წილად მერგო სიმარტოვე და ცხოვრების სიმარტივე“.), განსაკუთრებულ აურატულ „ველზეა“ განფენილი და ამიტომაც „ჩემი ნუთისოფელი“-ს ქსოვილში ტაქტით „შეყვანილი“ ტრაგიკული ინტონაციები (ვახტანგ კოტეტიშვილის შვილობა, „იმ“ წლებში, ბედის ტრაგიკულობას „თავისთავად“ უზრუნველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფდა) უფრო „მხატვრულ დავალებად“ (მ.ბახტინი) დაიმზირება, ვიდრე სისხლიანი ეპოქიდან „გადმოყოლილი“ მტკივნეულ რუდიმენტებად. ამასთანავე, ამ ტრაგიკულმა ინტონაციებმა, როგორც მთავარი გმირის „მე“-ს მთლიანობის „განმახორციელებელმა“ ფარულმა „ზამბარამ“, განაპირობა ამ ნაწარმოების, როგორც მხატვრული „მოცემულობის“, რიტმიც.

რამდენადაც ამ ჟანრის ნაწარმოებებში, სხვა კონცეპტუცური თხზულებებისაგან განსხვავებით, რიტმი შედარებით „ლაბილურია“, „ჩემი წუთისოფელი“-ს „არიტმიების“ ფუნქციური ინტენციების სამყაროს დიად რიტმიან სამყაროსთან სრულ უნისონში მოქცევა კი მწერლისათვის წარმატებად უნდა ჩავთვალოთ, რადგანაც სამყაროს რიტმიზებას „მიზანშეწონილობა მიზნის გარეშე“ არ არსებობს. სამყაროს მიზანი კი ადამიანის იმ ღირებულებრივ იერარქიაში მოთავსება და „ამოკითხვაა“ („ამოშიფვრაა“), რომელიც უზენაესთან ადამიანის მიმართების პარამეტრებს განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, ვახუშტი კოტეტიშვილი პერსონაჟებისათვის სამყაროს რიტმის „მოწესრიგებით“ და ზემოთ ნახსენებ იერარქიაში „განფენით“, არა მხოლოდ „ზედროულ“ დრო-სივრცულ კონტექსტს ქმნის, არამედ მათ „ინდივიდუალურად კოლექტიურ“ პორტრეტს ზოგადიდეალიზებული საწყისის „გრიფს“ ანიჭებს.

ავტორ-მთხრობელის, პიროვნებად „განხორციელების“ პროცესი არა მხოლოდ მის წიგნში „დასახელებულ“ პერსონაჟებში „ამოკითხული“ ჭეშმარიტებებით „იმართება“ ან ფასდება, არამედ იგი ავტორ-მთხრობელის შინაგანი სამყაროს „გეგმიური“ ცვლილებებითაც კორექტირდება, რომელიც პირველ რიგში, რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს, სივრცეში, ტოპოსიდან ტოპოსზე (ქალაქი, სოფელი) გადანაცვლებითაა სტიმულირებული. ყოველ ახალ მიკროსამყაროზე (ქუჩა, სახლი, სკოლა, ბიბლიოთეკა და ა.შ.) პერსონაჟის „მიბმა“ კი მის ამ სამყაროთა კანონებთან ადაპტირებას და ფსიქოლოგიურ კორექციას განაპირობებს რადგანაც ახალ სამყაროთა განსხვავებული კონცეფციები პერსონაჟის ქცევათა სისტემაზე სტერეოტიპთა ახალი პლასტების დამატებისა და მოდელირების განმაპირობებელია.

სავსებით ბუნებრივია, რომ მწერლის მიერ კონსტრუირებულ მიკრორეალობათა ერთიანი „ჯაჭვი“ ამ ნაწარმოებისათვის საფუძველდამდები კონცეპტუალური სქემის (ავტობიოგრაფიული რომანი) პროდუქტია და, შესაბამისად, ავტორი იძულებულია, განცდილისა თუ სხვისი მონათხრობის ხელახალი, მხატვრული დავალების, შესაბამისი რეკონსტრუირება მოახდინოს; ე.ი. ვახუშტი კოტეტიშვილი „ჩემი წუთისოფელის“ რეალობას, „საწყის“ რეალობას, თითქმის მხატვრული რეალობის პარამეტრებში აქცევს („ძია ლადო“, „ცოტნეს ოინები“); რასაკვირველია, „წარსულის“ მხატვრული კორექტირების მაგალითები ჩვენს მწერლობაშიც მოიპოვება (თუნდაც რეზო ჭეიშვილის ბრწყინვალე „მუსიკა ქარში“), მაგრამ ჟანრის ფარგლებშიც კი ამ წიგნის სპეციფიკური თავისებურება ის არის, რომ „გარდასაქმნელი“ სიტუაციები, მოვლენები, „რეკონსტრუირებულ“ პერსონაჟთა დიდი ნაწილი ჩვენი ისტორიისა და კულტურის მნიშვნელოვან მომენტებს და პიროვნებებს წარმოადგენენ და მეტისმეტი „ესთეტიზირებით“ რეალობასთან ამგვარ „კეჭნაობისას“ ხელის „წაცდენა“ ვახუშტი კოტეტიშვილის გარჯას ა.მორუას ბიოგრაფიული რომანების დონეზე დაიყვანდა (რაც თავისთავად ურიგო არ უნდა იყოს, მაგრამ ავტორის მიზანს სწორედ არ წარმოადგენდა), საბედნიეროდ, ბუნებრივმა ტაქტმა და ლიტერატურულმა ალღომ ეს მომენტი „გააუვნებელა“.

„ჩემი წუთისოფელი“, მიუხედავად ფაქიზი გემოვნებისა, ლიტერატურისა და კულტურის „მემორიალური კომპლექსია“, რომლის მეშვეობითაც ვახუშტი კოტეტიშვილი თბილისის კულტურულ ლანდშაფტზე მისთვის განსაკუთრებულად ღირებული ადამიანების „მიკრომონუმენტებს“ განათავსებს და ამით არა მხოლოდ სივრცეს (თბილისურ სივრცეს) ანიჭებს მნიშვნელობას, არამედ ამგვარად „მარკირებულ“ თუ „მონიშნულ“ დროს მყარად ამაგრებს ლანდშაფტზე - თავად დროს ანიჭებს „მონუმენტის“ ღირებულებას.

მწერალი, „მიკრომონუმენტებად“ ტრანსფორმირებული პერსონაჟების ხასიათების „აგებისას“ (რომელთაც მოტივთა ერთი ჯგუფის „ქმედებების“ მიზეზიცაა და შედეგიც...) არ იფარგლება მხოლოდ ერთი ამოცანით - „ამოიცნოს“ პერსონაჟის ქმედებათა „სხეულებრივ-სივრცული“ მოტივები, პირიქით, იგი პერსონაჟისათვისაც აყალიბებს ზემოთ ნახსენებ „ბიოგრაფიულ ღირებულებათა“ ველს და ამით წარმავალ და წარუვალ ღირებულებათა შორის ბუნებრივად არსებულ „ნაპრალში“ მოქცეული ადამიანისთვის ქცევათა „გლობალური“ მოტივების „ამოცნობასაც“ აადვილებს, ხოლო წიგნის „გონივრულად დრეკადი“ არქიტექტონიკა კი უკვე „ამოცნობილ“ ჭეშმარიტებებთან ავტორის იდენტიფიცირებას უზრუნველყოფს.

სავსებით ცხადია, რომ „ამოკითხული“ (თუ „ამოცნობილი“) ჭეშმარიტებებით „კონსტრუირებული „ჩემი წუთისოფელი“ იმ სამყაროს ანარეკლია, სადაც „ღმერთნი უკვე აღარ ღმერთობენ და მეფენიც აღარ მეფობენ; სადაც ეპოქის სინდრომი უნდობლობაა, უნდობლობა სოციალურ, პოლიტიკურ, ეთიკურ და, უბრალოდ, ადამიანურ ურთიერთობებშიც კი. მაგრამ, ვახუშტი კოტეტიშვილი ამ საყოველთაო უნდობლობის წიაღში, (რომელიც „დროის სუნთქვამ“ - ოდესღაც ჭეშმარიტმა, მაგრამ „ახლა“ ბოლშევიზებულმა და, შესაბამისად, „მუტანტიზებულმა“ ღირებულებებმა გამოიწვია და სამყაროს საფუძვლები შეარყია - „ძველსა“ და „ახალს“ შორის კულტურული „წყვეტების“ ტრაგიზმით მაინც ემყარება ნდობის სინდრომს და იგი, ამ ნაწარმოების სივრცეში გენეტიკურ ნდობადაა ტრანსფორმირებული.

პიროვნება, ფსიქოკულტურული „გარსების“ ჩამოყალიბებამდე ფორმირების პირველ საფეხურად გენეტიკურ წინაპრებს იყენებს და, შესაბამისად, ვახუშტი კოტეტიშვილმა გარემომცველობასთან იდენტიფიცირებისათვის საკუთარ „კოდში“ „ჩაშენებულ“ „წარსულთა“ გადასალახად (როცა მათი „დაძლევით“ მათივე, როგორც დროითი სინქრონის რეჟიმში მოქმედი პიროვნების „რესტავრირება“ ხდება) ისევ „წარსულს“, როგორც რეალურ და, შესაბამისად, სანდო „მასალას“, ისე მიმართა.

როგორც ვხედავთ, „წარსული“ ვახუშტი კოტეტიშვილთან, როგორც პიროვნების „მშენებლობის“ ერთ-ერთი აუცილებელი „ინგრედიენტი“, ისე გამოიყენება, დროში „შემდგარი“, „სრული“ პიროვნების არსებობა კი „გენეტიკური ნდობის“ (ეთნოკულტურულ ტოპოსზე „დამაგრებული“, სხვადასხვა კულტურული შრეების იმპულსებით ფორმირებულ გენეტიკურ წინაპართა ზნეობრივ თუ იკონიკურ „სქემებთან“ იდენტიფიცირების სურვილი) გარეშე წარმოუდგენელია. შესაბამისად, „ჩემი წუთისოფელი“-ს იკონოგრაფიაც სრულად სხვა დატვირთვით „იკითხება“, როცა მწერალმა უარი თქვა ამ ჟანრის ნაწარმოებებისათვის ტრადიციულ ელემენტზე - „არქიტექტურულ-საგნობრივი“ ანტურაჟით კონცეპტუალიზებულ სივრცეში თავისი პერსონაჟების „რეკონსტრუირებაზე“ (გამონაკლისი დედულეთი - დილევსკების ოჯახია, მაგრამ აქ სხვა „მხატვრული დავალება“ „მუშაობს“) და მათ თავისუფლად „სამოძრაო“, მხოლოდ საისტორიო (და არა ეთნოგრაფიული) „წვრილმანები“ რეგულირებული სივრცე „ჩამოუყალიბა“ .

ვახუშტი კოტეტიშვილმა ჟანრისათვის ნიშანდობლივი სხვა „წვრილმანებიც“ უარყო (ავტობიოგრაფიებისათვის აუცილებელი თვითანგარიში, აღსარება, „მე“-ს პარამეტრების დადგენის ფსიქოანალიტიკური „ჩხრეკები“) და წინა პლანზე თავისი „პერსონაჟები“ წამოსწია, რომელთა აქტიუ-

რი „სისავსე“ ჟანრის კანონებით შემოსაზღვრულ ფორმებში ვერ ეტევა და, შესაბამისად, „ჩემი წუთისოფელი“-ს თხრობისათვის დამახასიათებელი ოდნავი (მაგრამ გემოვნებიანი) პათეტიკის ერთ-ერთ „წყაროდ“ უნდა მივიჩნიოთ წიგნის სივრცე, რომელიც უამრავი, თხრობისათვის პირველხარისხოვანი თუ მეორეხარისხოვანი პერსონაჟითაა „დასახლებული“ მიუხედავად იმისა, რომ იგი მცირე ნოველების სახით, წინასწარაა სტრუქტურირებული მკითხველის თვალწინ (და სავარაუდოა, რომ ზოგჯერ ავტორის ნების საწინააღმდეგოდაც) „მარტივიდან“ „რთულისაკენ“ მსწრაფველ ორგანიზმად ტრანსფორმირდება, ივსება ახალი ადამიანებით, ხმებით, სურნელითაც კი. ნაწარმოების ამგვარი გარდაქმნის მთავარი მიზეზი, ნაწარმოების მთავარი „მიზნის“ - ავტორ-მთხრობელის დროში (სულიერი და ფიზიკური ზრდა) და სივრცეში (სოციალური და გეოგრაფიული გარემოს ცვლა) „მოძრაობის“ შედეგია, რაც თავის მხრივ, ახალ მიკროსამყაროებთან ადაპტირების პერმანენტული პროცესის მომასწავებელი და მთავარი გმირის პიროვნული პარამეტრების ფორმირების განმაპირობებელია. სწორედ ამგვარ „ფსიქო“ თუ „სოციო“ ტექსტში განიხილება ნაწარმოების მთავარი გმირის „მე“-ს ხელახალი მოდელირებისა და „სხვა“ სოციოკულტურული „ნიღბის“ (თუ „ნიღბების“) ჩამოყალიბებაც, რომლითაცაა „არმირებული“ „წუთისოფლის“ მთელი ტექსტი.

სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ „ჩემი წუთისოფელი“-ს გამჭოლი ტენდენცია - ახალ-ახალი „ემპირიებით“ „შევსებული“ და, შესაბამისად დინამიკურად ცვალებად სივრცეში დროის, როგორც „დამოუკიდებელი“ ღირებულების არსებობაც. დრო-სივრცული კონტინიუმის ასეთმა „გახლეჩამ“ ვ.კოტეტიშვილს საშუალება მისცა, დროს „მსვლელობისა“ თუ „შეჩერების“ ნიშნები ყოფის ყველაზე უმცირეს დეტალშიც კი აღმოაჩინოს (განსაკუთრებით კი ეს დროში „განმეხილ“ წარსულს ეხება). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დროით სქემაზე (დიაქრონულზე თუ სინქრონულზე) „დამაგრებულ“ „წარსულსა“ და „დღევანდელს“ ისეთ სიმბიოზურ „მთელად“ აყალიბებს სადაც „წარსული“ (რაც უნდა ძვირფასი იყოს) „დღევანდელს“ (რაც უნდა მიუღებელი იყოს) თავისი რომანტიკული მომხიბლაობით არ „აჭუჭყიანებს“. უფრო მეტიც, „წარსულის“ ასეთი გამძაფრებული გრძნობისას (კოტეტიშვილების „მღვდლიანთ“ შტოს გენიალოგია) ავტორმა „ახლანდელისა“ და „მომავლის“ დასაცავად, მოთხრობილის დამაჯერებლობის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად მოახერხა ის, რომ ტაქტიანად დაარეგულირა „წარსულის“ გარდუვალი რომანტიზირების სურვილი და, რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ნაწარმოებში მხატვრული ელემენტის გაძლიერებით იგი უფრო დოკუმენტურად „სანდო“ გახადა.

რასაკვირველია, წერილის სპეციფიკიდან გამომდინარე, მხოლოდ მცირედ შევეხებით ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს პარადოქსის („მხატვრულობა“ „მხატვრულობის“ წინააღმდეგ) მამოძრავებელი „მექანიზმები“. „ჩემი წუთისოფელი“-ს სამყარო, უფრო ზუსტად, მხატვრული სამყაროს ესთეტიკური „კოდის“ ერთ-ერთი „სეგმენტი“, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბგერითი პლასტიკითაა გამოვლენილი, რომელიც „არ ემორჩილება“ (არც უნდა ემორჩილებოდეს) პერსონაჟის ბგერითი ველებისთვის განკუთვნილ „ნიშნებში“ ჩაკეტვას და „დამოუკიდებელი“ არსებობისაკენ, სამყაროს გამაერთიანებელი ძირებისაკენ მიისწრაფვის. ვახუშტი კოტეტიშვილმა ბგერწერის პოეტიკაში „დააფოკუსირა“ არა მხოლოდ ბგერითი სემანტიკური ველები, არამედ სემიოტიკური „ბადეები“ და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ემოციურ-ნებელობითი საყრდენებიც. მართალია, ტექსტის „ბგერითი ვერსია“ არ წარმოადგენს ონტოტექსტს და იგი უფრო „სულიერს“ ან, უფრო ზუსტად, „სულიერად იდეალურის“ კატეგორიას ქმნის, რომელიც კონცეპტუალურიცაა და სტრუქტურულ-ფუნქციონალურიც, როცა მწერალმა, ვახტანგ კოტეტიშვილისა და მისი მომავალი მეუღლის - ნინო დილევსკაიას ურთიერთობის ბრწყინვალედ დაწერილი მოთხრობა („ქორწინება“) მამაკაცის „ხმისა“ და ქალის როიალის „ბგერის“ კონტრაპუნქტზე „ააგო“. ამგვარი სიმბიოზი არა მხოლოდ მამაკაცური და ქალური საწყისის მარადიული ჰარმონიულობის იდეის აბსოლუტური დეტერმინირებულობაა, არამედ „ჩემი წუთისოფელი“-ს „რეალისტურად ვირტუალური“ სამყაროს ემოციური დამაჯერებლობაც, რომლის ცენტრალური ღირებულებრივი პრობლემა - სამყაროსადმი რწმენის აღდგენა მწერლისათვის „კანონად“ - მსოფლმხედველობრივ კატეგორიად ჩამოყალიბდა.

რასაკვირველია, სამყაროსადმი რწმენის აღდგენითა და პროცესის „კანონიზირებით“ ვახუშტი კოტეტიშვილი ამ ნაწარმოებში სულისა და ხორცის, შემეცნებისა და მატერიის ურთიერთმიმართების პრობლემას არ აყენებს, მაგრამ, როცა მწერალს, მისგან დამოუკიდებლად, ნაწარმოების გვერდებში „მოხელთებული“ საკუთარი სული ეწინააღმდეგება, წინ აღუდგება როგორც ობიექტი ობიექტს (ავტორისა და პერსონაჟის პრობლემა), უკვე პრობლემატურია ობიექტის ობიექტთან ან, უფრო ზუსტად, ობიექტ-სუბიექტის გნოსეოლოგიური კორელაციის „ზონების პარამეტრების“ დადგენა. შესაბამისად, საბედისწერო დატვირთვას ატარებს სუბიექტის შინაგანი კორელაციისა და სულის, როგორც თვითკმარი ღირებულების პრობლემა.

ამიტომ, თუკი დავუშვებთ, რომ „ჩემი წუთისოფელი“-ს მკითხველისთვის უფრო მიმზიდველი „ობიექტივირებული“ სულის „მატერიალური“ ადეკვატი „ნიღაბია“ (ამ კონკრეტულ შემთხვევაში - პიროვნების პერმანენტული ტრანსფორმაციის სხვადასხვა დრო-სივრცული ეტაპისა და სოციოკულტურული მოდელის მაფიქსირებელი „მარკა“) და არა „შინაგანი სამყარო“ (ან პირიქით), მაშინ უკვე ნათელი ხდება, რომ ვახუშტი კოტეტიშვილი, „როგორც „ჩემი წუთისოფელი“-ს „მიზანი“ სწორედ ის „მოხელთებული“ ღირებულებაა, რომელიც „ნიღბის“ „შიდა“ და „გარე“ ზედაპირების („სულისა“ და „ხორცის“ სცილა და ქარიბდა) შორის წარმოშობილი ღირებულებრივ საზღვარზე დამთავრებული სოციოკულტურული და მორალურ-ეთიკური ღირებულებების „ჯამია“. შესაბამისად, ვახუშტი კოტეტიშვილის, როგორც პიროვნების, ესთეტიკურად და ეთიკურად მნიშვნელოვანი მთლიანობა „იქმნება“ და მთავრდება არა ზოგადად სხვის ან კონკრეტული სხვების, არამედ გლობალური ყველას კატეგორიაში (80-იანი წლები - ვახუშტი კოტეტიშვილის ერთ-ვნულად ღირებული აქტიობის პიკი - საზოგადოების რეზონანსი და საზოგადოებრივ ცნობიერებაში ახალი წახნაგების ამოტივტივება).

ამგვარად, ყოველგვარი რეალურად მთლიანი დამთავრებულობა, თავისი არსით, პასუხის ბოლომდე გაცემა თუ არა, ყოველ შემთხვევაში პასუხის გაცემისთვის შინაგანი მზაობაა, (რა ფორმითაც უნდა განხორციელდეს იგი) და, შესაბამისად, „ჩემი წუთისოფელი“-ს ავტორ-მთხრობელიც ამ „აქციისათვის“ ემზადება, სტრიქონების შორის იკითხება მისი მოლოდინი არა მკითხველისაგან წამოსულ პასიურ ადეკვატებზე (მისი ნააზრევის „სხვისი“ ხმით „დუბლირებაზე“), არამედ თანაგრძნობიან (ან პირიქით), გაგებით აღსავსე პასუხებზე.

პარადოქსი...

...იმისი მცდელობით, რომ თავისი კითხვები სხვისთვისაც გასაგები გაეხადა, ვახუშტი კოტეტიშვილი, თავისდაუნებურად, თავად გახდა... პასუხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მითოსური სემიოზისი მიხეილ ჯავახიშვილის პროზის სტრუქტურაში

მეოცე საუკუნის დასაწყისში ევროპული აზროვნება, რომელიც მიუწვდომელის - ირაციონალურის რაციონალიზებით ცდილობდა „ახლა მაინც“ (საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის მიღწევათა და აღმოჩენათა ხელისშემწყობი ფონი) და „საბოლოოდ“ გაერკვია ადამიანის ამქვეყნად არსებობის საზრისი, მისი არსი (შელერის ანთროპოლოგია, სარტრის დეტერმინანტები პანაცეა ვერ აღმოჩნდა), ერთბაშად საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. რაციონალური დისკურსისა და ტრანსცენდენტური ფენომენის ჰეტეროგენული სიმბიოზით (ირაციონალურის რაციონალიზების მარცხიანი ცდის პროდუქტი) კონსტრუირებულ ტოპოსზე ადამიანის, როგორც ღირებულების „დამაგრება“ და შემდეგ „გარე“ ღირებულებათა „რეტორტაში“ ჰომონკულუსიკით „გამოყვანა“ შეუძლებელი აღმოჩნდა.

ადამიანისგან სამყაროს „მოშინაურების“ ცდა კიდევ ერთხელ ჩაიშალა, როცა პირველმა მსოფლიო ომმა, ოქტომბრის „დიადმა“ გადატრიალებამ და, შესაბამისად, კულტურულ ღირებულებათა სრულმა დევალვაციამ (ყოველ შემთხვევაში, რუსეთის ძველი, „თვითმპყრობელურ“ და ახალ, „საბჭოთა იმპერიაში ეს პროცესი განსაკუთრებული სიმწვავით გამოიკვეთა) და ამ ფონზე ცივილიზაციის ფაქტორების ზრდამ (რომელსაც ხელი შეუწყო ომმა და მისთვის განკუთვნილი, მასობრივი განადგურების იარაღის დამზადებისა და გამოყენების ტექნოლოგიების მანამდე არნახულმა სრულყოფამ) ისედაც „ღმერთმოკლულ“ (ფ.ნიცშე) სამყაროში ადამიანის, როგორც ამ სამყაროსთვის მნიშვნელობის მიმნიჭებლისა და შემფასებლის რთული არამცთუ ზედმეტი, ირონიულიც კი გახდა.

XX საუკუნის 20-იან წლებში დესტრუქციული ძალების მეოხებით (1917-1918 წლების რუსეთის, გერმანიისა და უნგრეთის რევოლუციები თანმხლები მასშტაბური სოციალური და პოლიტიკური კატასტროფებით, ევროპული აზროვნების ამერიკანიზაციის პირველი ცდები და ა.შ.) აბსურდად ქცეულ სამყაროში დაბნეული, „დაღუპული თაობის“ (ჰ.სტაინი) ადამიანთა ხელახლა მოსაძიებლად ან ხელმეორედ „ასაგებად“ საჭირო იყო პირველსაწყისური, მყარი „მასალის“ მოპოვება... და, თუ მოპოვება არა, გამოგონება მაინც.

ასეც მოხდა...

ჯ.ჯოისის, თ.ელიოტის, ფ.კაფკას, თ.მანისა და სხვათა მიერ (რომლებიც ვაგნერისა და ნიცშეს „შინელიდან“ გამოვიდნენ) ხელახლა აღმოჩენილმა, „უკვე“ ახალი ადამიანის „ასაგებმა“ ახალმა „მასალამ“, მითმა ეს ფუნქცია შეასრულა.

ლიტერატურა, რომელიც თავისი გენეტიკური წარმომავლობით მითოსს მჭიდროდ უკავშირდება ამ ახალი რეალობის კონსტრუირებისა და შემდგომ კი ასახვისას თავისი „მშობლის“ კალთას არც ზემოთ ხსენებულ სიტუაციაში მოხვედრილი მოსწყვეტია (ტროპის ონტოგენეზისური შრე) და „ძველი“ სამყაროს გასაახლებლად მოწოდებულ გნოსეოლოგიურ, რეფლექტორულ და ინტელექტუალურ „ველებს“ შესაბამისი მითოპოეტური თუ „მითოინტელექტუალური“ ადეკვატები დაუძებნა (თომას მანი - იუნგიზებული მითოლოგია; თომას ელიოტი - ბიბლიური მითოლოგემები; ჯეიმს ჯოისი - ინტელექტუალიზებული არქეტიპები); ჩვენში, ეს პროცესი, ცხადია, ევროპულ და ევროპელ მოაზროვნეებზე იყო ორიენტირებული, უფრო ზუსტად, „ევრო-ქართული“ ლიტერატურული აზროვნების ქართველმა ადეპტებმა (კ.გამსახურდია - „არქეტიპულ-სიმბოლური ჰიპოსტასები“; გრ.რობაქიძე - მითოსურ-რასობრივი სინდრომი; დ.შენგელაია - არქეტიპულ-სიმბოლური „ველები“ და ა.შ.) ჩვენი ლიტერატურის განახლებისა და „ევროპულ რადიუსზე“ გამართვისთვის ასე მნიშვნელოვანი პროცესი ეროვნული მწერლობის „მითოლოგიზირებული ცნობიერების“ ცალკე შენაკადად ჩამოაყალიბეს.

ასე გამოიყურება ქართულ მწერლობაში ევროპული კულტურული სივრცეებიდან მითოსურ-ლიტერატურული მოდელების „ტრანსპლანტაციის“ მოკლე ისტორია. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, გასაგები გახდება, თუ რატომ გაიზიარა ქართულმა მწერლობამ (ერთმა ნაწილმა მაინც) „რეფლექტორული კოლექტიური გონის არაცნობიერი ხატოვანი სისტემის“ ე.წ. ავტორიზებულ, სუბიექტურ რეფლექსიად გარდაქმნის „ეპოქალურ-კონიუნქტურული“ აუცილებლობა. ევროპულ ლიტერატურულ პროცესებში ჩართვის მსურველი ქართული მწერლობისთვის ეპოქის „სამარკო“ ტენდენციასთან ინტეგრირება ნიშნავდა არა „მოდურ“ ლიტერატურულ „ანტურაჟში“ საკუთარი თავის „წაკითხვას“, არამედ სამყაროს შეცნობისა და ასახვის მეტ-ნაკლებად სრულყოფილი ინსტრუმენტარის შექმნის მცდელობას და ამ უკანასკნელის მეშვეობით საკუთარი შესაძლებლობებისა და საკუთარი მიზნების „ამოცნობასაც“.

სწორედ ამ პოსტულატებზე დაყრდნობით შეძლო ჩვენმა მწერლობამ ობიექტის ასახვის სისტემასა (ტროპულ-მეტაფორული კონსტრუქციები) და თავად ობიექტის იმანენტურ არსს შორის არსებული დისტანციის მეტ-ნაკლები სიზუსტით ფიქსირება, ხოლო ამ დისტანციის „სივრცეში“ „ლაკირებით“ კი თვისობრივად შეცვალა მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებათა არსენალი (კ.გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“ - მითოსური, არქეტიპულ-სიმბოლური ჰიპოსტასები და მათ ტროპულ ვარიანტებს შორის „მოძრავი“ მთავარი გმირი).

ოციანი წლებიდანვე, „უკვე“ „იდილიურ“ მდგომარეობაში მყოფი ქართული მწერლობა, ზემოთნახსენებ მხატვრულ-გამომსახველობითი ფორმებისა და საშუალებათა „არსენალის“ გაფართოებისა და სრულყოფის პარალელურად, უკვე „ამოცნობილი“ ეროვნული მიზნების სარეალიზაციოდ აქტიურად ეძებდა გმირს „ზეკაცს“, რომლის არქეტიპსაც, სხვა „სივრცეების“ პარალელურად მითოსურ „ველებზეც“ მოიაზრებდა (დ.შენგელაია, გრ.რობაქიძე, კ.გამსახურდია, ნ.ლორთქიფანიძე). ჩვენი კულტურის სამწუხაროდ, სწორედ ამავე პერიოდიდან ჩვენი მწერლობის ასეთ ძიებებს „მორცხვად“, მაგრამ ჯიუტად შეერია ახალი „სააზროვნო“ ნაკადი - კოჯრის ომის (1921 წ.) შემდეგ საქართველოში მომრავლებული „გუგულის ბარტყების“ მიერ რუსეთიდან იმპორტირებული, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დოქტრინით ვუალირებული ველიკორუსული და ებრაული კულტურულ-იდეოლოგიური ექსპანსია.

ცხადია, ამგვარ „იმპორტირებულ კულტურას“ თავისი მითოსური წანამძღვრებიც ჰქონდა (სამყაროს მოწყობის „საბჭოთა სოციალისტური“ მოდელი, სოციალისტური რე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოლუციის „წმინდანები“ და „რაინდები“, ნახევრად მითური „ბელადები“, „ყველა დროის ხალხთა დიდი ბელადი“ და ქრისტიანული სამოთხის კომუნისტურ-უტოპიური სუროგატი - კომუნიზმი. აი, ამ „სიკეთეს“ უნდა მორგებოდა რუსულ-ებრაული „დერჟავის“ მიერ „მოკავშირედ“ დაპყრობილი ქართული კულტურული გონი.

რამდენადაც კულტურული ცნობიერების (ერის ცნობიერების) საწყის ფორმად მითი გვევლინება, ქართველთა ისტორიული ცნობიერების „გასაახლებლად“ (ანუ „გადასაწყობად“) ან, უფრო ზუსტად, ადამიანის ახალი პოპულაციის - „საბჭოთა ქართველის“ („ჰომო სოვეტიკუსის“ ფორმით ეროვნული ვარიანტი) შესაქმნელად, რუსულ-ებრაული საბჭოთა „დერჟავის“ იდეოლოგიურმა მანქანამ ჩვენი ეროვნული ცნობიერების „ზედმეტად არასაჭირო“ პატრიოტული „დანაშრევებისგან“ გასაწმენდად ქართულ ლიტერატურაში, ევროპული მოდელების პარალელურად, რემითოლოგიზაციის (უფრო ზუსტად, ფსევდორე მითოლოგიზაციის) ე.წ. „რევოლუციურ-ინტერნაციონალური“ და ბოლოს „საბჭოთა-კანონიკური“ მოდელი შექმნა, რომლის გამოყენებითაც ჩვენი ერის ( და არამხოლოდ ჩვენი ერის) „ახალი ისტორიული ცნობიერება“ და, შესაბამისად, „ახალი ქართული ისტორიის“ ან, უფრო ზუსტად, „საქართველოს ახალი ისტორიის“ კონცეპტუალური ბაზა უნდა შექმნილიყო ამ „ახალი“ ისტორიის დასაწერად.

შეიქმნა კიდეც...

ოღონდ საქართველოს საზღვრებს გარეთ - რუსეთში, რომლის კოდიფიცირებული „საისტორიო და, შესაბამისად, „სააზროვნო“ მოდელი ი.სტალინის მიერ რედაქტირებული „სკკპ (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ იყო და სავსებით ბუნებრივია, რომ ამ „ზეახალი“ მითით „კორექტირდებოდა“ არა მხოლოდ ქართველთა ისტორია (საინტერესო, თუ კანონზომიერი არა, დამთხვევაა - გერმანელი ნაცისტები - რუსი კომუნისტებისგან განსხვავებით - უფრო „გულახდილები“ იყვნენ და ახალი ევროპული „წესრიგის“ საფუძვლად აზროვნების ინტერნაციონალიზაციის ნაცვლად ნაციონალიზაციის სინდრომი გამოაცხადეს. ცხადია, ამ მოვლენას, ერთი შეხედვით, ლიტერატურასთან საერთო არაფერი აქვს, მაგრამ „ბელადის“ ფენომენის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირებული სისტემები, ბუნებრივია, ლიტერატურის ძიების საგანიც ხდებოდა. კ.გამსახურდიას „ბელადი“, გრ.რობაქიძის „დუჩე და ფიურერი“.

საისტორიო კონცეფციის ამგვარად აგება, მითოსური და საისტორიო ცნობიერების ურთიერთმიმართების საყოველთაოდ ცნობილი კანონზომიერების შესაბამისად, ისტორიის შემოქმედი სუბიექტის მითოსურ გმირში („ზეკაცში“) პერსონიფიცირებას მოითხოვს. ამგვარ სუბიექტთან მიმართებაში „უბრალო“, არაფრით გამორჩეული ადამიანი (ადამიანთა მასა ან მასობრივი ადამიანი) ისტორიის შემოქმედის ნებელობის გამტარ და აღმასრულებელ ობიექტად განიხილება. აქვე შეიმჩნევა ერთი საინტერესო (ისევ არალიტერატურული) კანონზომიერებაც - წინამდებარე „ობიექტი“ - „მასობრივი ადამიანი“ არა მხოლოდ საისტორიო ფონის სტატისტია (მითოსს სტატისტები არ ჰყავს), არამედ, ნებსით თუ უნებლიეთ, თავად ატარებს ამ გმირის (ზეკაცის) ნიშნებს; ე.ი., გმირის ან, უფრო ზუსტად, გმირის ნიშნების მასაში (ან „მასობრივ ადამიანში“) „წაკითხვა“ შესაძლებელია.

„ზეკაცის“ ნიშნები კი, „მასობრივ ადამიანში“ (ან მასაში) ორშრიანი კოდით იყო წარმოდგენილი (ცხადია, ქართულ მწერლობაში): ა.“გუგულის ბარტყების“ მიერ დამკვიდრებულ და ოფიციალური ხელისუფლებისგან მხარდაჭერილი „საბჭოთა მითოსის“ სინდრომალურ სივრცეში (კ.ლორთქიფანიძე, ლ.მეტრეველი, ვ.დარასელი, ი.ლისაშვილი და სხვა) და ბ. „ევროპულ ეროვნული“ მითოსის ჩარჩოებში რეკონსტრუირებული „ზეკაცი“, რომელსაც ოფიციოზი არცთუ მაინცადამაინც აღიარებდა, მაგრამ გარკვეული პირობების გამო ითმენდა. (გრ.რობაქიძე, კ.გამსახურდია, ნ.ლორთქიფანიძე, მ.ჯავახიშვილი და სხვა).

მითოსური აზროვნების ზემოთ მოთხრობილი ორი მოდელი კი მითოსურ ვარიანტებს, როგორც სამყაროს ერთიანობის ფაქტორს, ბუნებრივია, სხვადასხვა ჭრილში განიხილავდა და მიხეილ ჯავახიშვილიც, რომელიც მისი კოლეგების დარად სამყაროს გამაერთიანებელ „სულს“ ეძებდა, აქტიურად ჩაერთო ამ პროცესებში, ღირებულებათა გადაფასებისა და ქართული სამყაროს „დაჩქარებული რევოლუციური დოქტრინებით ტრანსფორმირების გეგმებს არაერთგვაროვნად რომ განიხილავდა და აფასებდა. ამგვარი ჩართვა მით უფრო საშური იყო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქართული მწერლობის „მოთვინიერების“ პროცესი, რომელიც ადამიანის ახალი „პოპულაციის“ - ზემოთ ნახსენები „საბჭოთა ქართველის“ დაჩქარებული ტემპით შესაქმნელად იყო საჭირო, რადგანაც ბოლშევიკების მიერ მწერლობის, მხატვრული სიტყვის იდეოლოგიურ იარაღად გამოყენებას (ისევე, როგორც მხატვრულ სიტყვასთან ერთად გამოყენებული იყო თეატრი, კინო, სახვითი ხელოვნება და ა.შ.) გამოუსწორებელი შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა, მით უფრო, უკვე დაწყებული იყო ეროვნულ ლიტერატურაში და, შესაბამისად, ეროვნულ ცნობიერებაში (სხვა კლიშეებთან ერთად) ე.წ. „საბჭოთა მითოსის“, უფრო სწორად, „იდეოლოგიზებული მითოსის“ დანერგვის პროცესი.

გაურკვეველი გენეტიკის კულტურის („საბჭოთა კულტურის“) აგრესიული შემოტევებით აბსურდად ქცეული სამყაროსგან ადამიანის დისტანცირების (პროცესების რეალურად შეფასების მიზნით), ადამიანის რეალური ღირებულების განსაზღვრის, ადამიანისა და სამყაროს ჰარმონიული გაერთიანების ცდების „ანატომიაა“ მიხეილ ჯავახიშვილის რომანი „თეთრი საყელო“.

მწერალმა რომანის მთავარი გმირი, ქალაქელი კაცი (რომლის ფსიქიკა ურბანისტული მითოლოგემებითაა კონსტრუირებული) არქაული მითოტოპონიმებით დასაზღვრული სივრცითა და მითოპოეტურ დროითი პლასტებით „მართულ“ სამყაროში - ხევსურულ სოფელში „ჩაწერა“ და ამით ამ რომანის ფარგლებში „ექსპერიმენტული პრეცენდენტი“ შექმნა, როცა პერსონაჟი „ხელოვნურად ბუნებრივ“ სამყაროში მოაქცია და „ბუნებრივად“ შეჩერებული დრო (მითოსური დრო) ერთი სივრცული ლოკალიდან „ამოჭრა“ და სხვა, „საარვისო“ სივრცეზე („უპატრონო“ და, შესაბამისად, არასახელდებულზე) „დაამაგრა“.

ასე აშენდა სოფელი ჯურხაანთკარი.

ამ აქტით მწერალმა არა მხოლოდ „დააძველა“ „მეორე“, აქამდე უსახელო (შესაბამისად უფუნქციოც) და ამიტომ „ახალი“ მიწა (სახელი მიანიჭა პირველაღმომჩენის უფლებით, უფრო ზუსტად, სახელი ამ ადგილს სხვა ადგილიდან გადმოტანილი ტოპონიმით ეწოდა), არამედ ახალი („ძველი“ „ახალი მნიშვნელობითაც დატვირთა („ახალი“ სივრცისთვის „ძველი“ ტოპონიმიკის „ბადის“ დადება, ძველი ლეგენდების ახალ სივრცეზე „დამაგრება“ და ამით, ამ სივრცისთვის, წარსულამდე „გაჭიმული“ შინაარსის მინიჭება და, შესაბამისად, სამყაროს წრებრუნვაში ჩართვა, ამ სივრცეზე ლეგენდარული და ნახევრად ლეგენდარული გმირების „დამაგრება“ და ა.შ.).

ამ სივრცეშივე ჩამოყალიბდა ახალი, „პირველი დროის“ მითოპოეტური რეალიებიც. რამდენადაც ახალი, მაგრამ „მეორე“ სივრცე მეტისმეტად ახალი და უცხოა, იგი ახალი მითების შესაქმნელად ხელსაყრელ სიტუაციას ვერ ქმნის (უბრალოდ, დრო არ ჰყოფნის), ამიტომ ჯურხაანთკარის მცხოვრებთათვის დროში ფიქსირებისა და მოძრაობის სიმბოლოდ (ფსევდომოძრაობის) პირობითად ახალი შინაარსით დატვირთული, მაგრამ მაინც ძველი მითებია მიჩნეული.

რომანის მთავარი „მითოქრონოტოპის“ - ჯურხაანთკარის მითოსური სემანტიკით „მოქსოვილი“ სემიოლოგიური „ბადე“, მწერლის კონცეფციით, განსაზღვრავს ამ სოფლის ბინადართა მიერ სამყაროს „წაკითხვის“ რიტუალიზებულ რეგლამენტს, აყალიბებს „საერთო გონის“ პარამეტრებს. შესაბამისად, საკრალიზებული სემიოსფეროთი „პროგრამირებული“ ცნობიერება არ რეაგირებს რეფლექტორულ გამღიზიანებლებზე (სხვა ქრონოტიპი - ქალაქი, მისი შესაბამისი კულტურული სემანტიკით და სიმულაკრებით) და არ ცვლის სოფლის ისტორიის პარამეტრებს „ახალი“, „ქალაქური“ მითით, ახალი ისტორიით, მათი ცოდნა საკუთარ თავზე თვითკმარია და დროში (თაობებში) კონკრეტული ხატების სისტემითაა ტრანსლირებული, რომლებიც, თავის მხრივ, სხვა არაფერია თუ არა პლასტიკური სიმბოლოები.

სავსებით ბუნებრივია, რომ მიხეილ ჯავახიშვილმა ჯურხაანთკარის ისტორია და მის ბინადართა „საერთო ფონი“ ჯურხას პატერალურ ფიგურად პერონიფიცირებულ პიროვნებაზე „ააგო“, რომელიც არა მხოლოდ „ახალი“ „ძველი“ ისტორიის შემოქმედი სუბიექტია (ჯურხაანთკარის, როგორც პლასტიკური სიმბოლოების „ჯამის“ ერთი ადგილიდან „ამომჭრელი“ და „სხვა“ სივრცეზე „დამაგრებული“), არამედ თავად მოიაზრება ისტორიის ობიექტად. ჯურხას მოძრაობა კი „უძრავ“ მითოსურ (სოფელი) ან დინამიკურ „კონკრეტულ“ (ქალაქი) დროში არ შეიძლება განხილული იქნას, როგორც ძველი ცნებებისთვის ახალი დატვირთვის მინიჭება (როგორც რომანის ტექსტიდან ჩანს, ჯურხას ოჯახი, ქალაქის „დინამიკურ“ დროში „ჩასმული“ „შეჩერებული“ მითოსური დროის რიტმით ცხოვრობდა.)

მწერალმა კოსმოსის მითოსური მოდელის ვარიანტები (ჯურხაანთკარი - „კლასიკური“ მითოსით აგებული სამყარო, ქალაქი - „ახალი“, მითოსის სიმულაკრებით კონსტრუირებული ტოპოსი) არა მხოლოდ „თეთრი საყელოს“ სტრუქტურულ საყრდენებად გამოიყენა, არამედ ამგვარი, „გაორმაგებული“ მითოსური სემიოსფეროს ფორმირებით პერსონაჟი (მკითხველიც) შინაგანი გაორებისთვის (თუ „გასამებისთვის“?) წინასწარ გაწირა, როცა იგი „ძველ“, „ახალ“ და „ზეახალს“ შორის შექმნილ სამკუთხედში მოაქცია. ამით პერსონაჟი (მკითხველი) პარადოქსული დილემის წინაშე დააყენა - იგი ერთი მითოსური ნიშნებით „შექმნილი“ სამყაროდან („გასაბჭოებულ-გაქალაქებული“ მითოსური სიმულაკრები: „მარქსიზმი“, „ინტერნაციონალიზმი“, „სოციალიზმი“, „ქალთა საკითხი“, „რადიო“, „თეთრი საყელო“) მეორე სამყაროში (ხევსურეთი - „პირველი მამები, ლეგენდები, „მაძახურები“, „ჭინკები“, „მეფე ერეკლე“, „ფარ-ხმალი“ და ა.შ.) ტრანსპლანტირებას ცდილობს არა თვისობრივი ტრანსფორმირებით, არამედ ისტორიული მეხსიერების რეპროდუცირებით და, შესაბამისად, ხელახლა აღმოჩენილი „ძველის“ ცნობიერებაში ფიქსირებითი (პერსონაჟის „განიკლაურება“). პარადქოსი - „პირველი“ დროის გაცოცხლებითა და „ახალი“, „მეორე“, ან თუნდაც „მეოთხე“ დროში „ჩასმის“ მანიპულაციებით მწერალმა „პარალელური დროების (მითოსური დრო, როგორც ვიცით, „უძრავია“ - შესაბამისად, ეს დროებიც არათავსებადია) კონფიგურაცია შექმნა.

სწორედ ამ მომენტიდან იწყება პერსონაჟის (სამწუხაროდ, მწერლისაც) გასაჭირი, რადგანაც ასეთი პარალელური სამყაროები, ურთიერთდამამუხრუჭებელი ეფექტით, მათი დროში „გაყინვის“ აუცილებლობას განაპირობებს, ხოლო ამგვარი „გაყინული მუდმივობისას“ ფიქსირებული ღირებულებები თავის იმანენტურ არსს კარგავს და სიმულაკრებად ყალიბდება. ამ აქციით კი ისინი (ღირებულებები) ვეღარ უზრუნველყოფს პროტაგონისტის იდენტიფიცირებას რეალურ ღირებულებებთან და ზემოხსენებულ „მესამეს“ („ზესისტემის“, „ძველი“ და „ახალი“ ღირებულებების ასევე სიმულაკრული სიმბიოზი) ფორმირების ილუზურულ იმედებს აღძრავს (ამ იმედების დამტკიცების მარცხიანი ცდაა რომანის დასკვნითი ნაწილიც).

ამგვარი მესამე განზომილება - „ზესისტემა“ კულტურაში ე.წ. „ყოფნის“ სინდრომს აყალიბებს. „ყოფნის“ კულტურის ტექსტის შემქმნელ სუბიექტურულ ინგრედიენტთა არაწინააღმდეგობრივი დამოკიდებულების განმაპირობებელი მოვლენაა (როცა ყველა იდეა ცენტრალურია). ამგვარი კულტურის ტექსტში კი „მრავალპოლუსურ“ სამყაროში პიროვნების იდენტიფიცირების ცდები მარცხისთვისაა განწირული.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნათია ადამია

## რომანი რომანზე

ინგლისი შესანიშნავი რომანისტების ქვეყანაა და ეს სახელი მან უკვე განმანათლებლობის ეპოქაში, XVIII ს-ში დაიმკვიდრა. ამ საუკუნეში მოღვაწეობდნენ ინგლისური რომანის მდიდარი ტრადიციების შემქმნელნი დ. დეფო, ჯ.სვიფტი, ს.რიჩარდსონი, ჰ.ფილდინგი, ტ.სმოლეტი, ო.გოლდსმითი და მათ შორის მახვილი აზროვნებით, ღრმა შინაარსით, დახვეწილი სტილითა და იუმორით გამორჩეული ლორენს სტერნი.

ლორენს სტერნის საუკეთესო ნაწარმოებებია „ტრისტრამ შენდი“ და „სენტიმენტალური მოგზაურობა“. ორივე ნაწარმოები უსიუჟეტოა, რაც უჩვეულოა XVIII ს-ის რომანისთვის. ნაწარმოებზე „ჯენტლმენ ტრისტრამ შენდის ცხოვრება და შეხედულებანი“ სტერნი შვიდი წელი მუშაობდა, აქვეყნებდა 1760-1767 წლებს შორის ნაწილ-ნაწილ, ჯერ იორკშირში, ხოლო მას შემდეგ, რაც სახელი მოიხვეჭა - ლონდონში. სტერნის სახელი ცნობილი გახდა ევროპის კონტინენტზეც. საფრანგეთიდან მასთან აღწევდა ფრანგი განმანათლებლების, თავიანთი დროის „გონების მეპატრონეთა“ დადებითი გამოხმაურებები. ვოლტერი ისე აღაფრთოვანა ძმები შენდებისა და ექიმ სლოპის გროტესკულმა გამოხატულებამ, რომ სტერნი - მხატვარი დააყენა რემბრანდტსა და კალლოზე მაღლა. სტერნის სახით იგი მიესალმა „მეორე ინგლისელ რაბლეს“ (პირველი ინგლისელი რაბლე ვოლტერისთვის ხტვიფტი იყო). ასეთივე შედარება მოუვიდა აზრად დიდროსაც, როცა გაეცნო „ტრისტრამ შენდის“ პირველ ტომებს.

საფრანგეთში 1762 წელს ჩასულ სტერნს პარიზელი ენციკლოპედისტები გულითადად შეხვდნენ. ხოლო, როცა 6 წლის შემდეგ ჭლექმა დალია სტერნის სიცოცხლე მხატვრული მოღვაწეობის გაფურჩქვნის ხანაში, ახალი წამოწყებების ეტაპზე, დიდმა გერმანელმა განმანათლებელმა ლესინგმა დანანებით განაცხადა, რომ დიდი სიამოვნებით დათმობდა თავისი ცხოვრების 10 წელიწადს, რათა 1 წლით მაინც გაეხანგრძლივებინა სტერნის სიცოცხლე.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სტერნის სასულიერო წოდება მიენიჭა და მღვდლად დაინიშნა იორკის მახლობლად სატონ-ონ-დე-ფორესტში. თითქმის 20 წელი ამ მყუდრო პროვინციულ ადგილას მუშაობა დიდად სასიკეთო აღმოჩნდა მომავალი მწერლისათვის. სწორედ აქ შეძლო მან, წლიდან წლამდე დაკვირვება ეწარმოებინა „ტრისტრამ შენდში“ აღწერილ სასულიერო პირთა პროტოტიპებზე, პროვინციულ ცხოვრებაზე.

ლორენს სტერნი ჯონ ლოკის ფილოსოფიური მოძღვრების მიმდევრად ითვლება. მისი ასოციაციური თხრობის მანერა, უდავოდ, ლოკის ასოციაციის თეორიის ზეგავლენით ჩამოყალიბდა. მკვლევართა შორის გავრცელებულია მოსაზრება, რომ ლოკის ასოციაციის თეორია საფუძვლად დაედო როგორც სტერნის, ისე თანამედროვე „ცნობიერების ნაკადის“ ბევრ ნაწარმოებს. ყურადღებას იპყრობს სტერნის გაორებული დამოკიდებულება ლოკისადმი. აქ ნათლად ვლინდება „ტრისტრამ შენდის“ ავტორის კავშირი და განხეთქილება განმანათლებლებთან. ის აღფრთოვანებით წერს ლოკზე, მისთვის ძვირფასია ლოკი სენსუალისტი, იდეალისტური მისტიკის მოწინააღმდეგე, რომელმაც უარყო „დაბადებიდანვე იდეების“ არსებობა და დაამტკიცა, რომ ადამიანის ცნობიერება იკვებება გრძნობათა გამოცდილებით. მაგრამ, ამოწმებს რა ცხოვრებაში ლოკის მოსაზრებებს, სტერნი მათში ხედავს სუსტ და ნაკლოვან მხარეებს და აკრიტიკებს მათ. ლოკი თვლიდა, რომ გონება არ საჭიროებს მახვილგონიერების დახმარებას. იგი უარყოფითად არის განწყობილი „ანცი იდეების“ მიმართ, რომლებიც ერევიან ლოგიკური მსჯელობის მსვლელობაში, და ალბათ ისურვებდა გონებრივად აზროვნებიდან განედევნა ხუმრობა, კალამბური, მახვილი სიტყვა. სტერნმა ეს დიდ ფილოსოფოსის შეცდომად მიიჩნია, იუმორი სტერნს მიაჩნია უძვირფასეს საწყისად. მისი აზრით, სწორედ იუმორი აძლევს ადამიანს საშუალებას, ყველაზე სრულად გამომჟღავნდეს, როგორც პიროვნება და, ამასთან ერთად იპოვოს ცხოვრების ხედვის სწორი წერტილი.

სტერნისათვის ძვირფასია აღორძინების ხანის ჰუმანისტთა ნაშრომები. „ჩემთვის ძვირფასი რაბლე და კიდევ უფრო ძვირფასი სერვანტესი“, ასე თბილად მოიხსენიებს მათ „ტრისტრამ შენდში“. უყვარდა შექსპირი, რომლის ნაწარმოებში იპოვა ნიღაბი - სახე იორიკის, უსასრულოდ ხუმარა და კეთილი გულის ადამიანისა. ამასთან ერთად, კითხულობდა XVII ს-ის ესსეისტებს - მონტენის „ცდებსა“ და ბრეტონის „მელანქოლიის ანატომიას“ - ანეკდოტების ამ გიგანტურ წყებას, მოსაზრებებს ადამიანური ბუნების უცნაურობებზე. რა თქმა უნდა, ბრწყინვალედ იცნობდა თავისი თანამედროვეების, XVIII ს-ის ინგლისელი პროზაიკოსების წიგნებს, ყოველივე ეს, ახლებურად გააზრებული და დამუშავებული, აისახა „ტრისტრამ შენდში“ .

სამწერლო ასპარეზზე სტერნი 44 წლის ასაკში გამოვიდა. მისი ნაწარმოებების ფესვები ღრმადაა ინგლისური და მსოფლიო ლიტერატურის ტრადიციების წიაღში და, ამასთან ერთად, ის წარმოადგენდა ტრადიციებისადმი დაუმორჩილებლობის ღია აქტს. სტერნის რომანი ემსგავსებოდა და, ამავდროულად, არ ემსგავსებოდა იმ რომანებს, რომლებსაც სხვადასხვა სახელწოდებით - „ცხოვრება და საკვირველი თავგადასავლები“, „მოგზაურობები“, „ისტორიები“... ამა და ამ გმირისა - სთავაზობდნენ მკითხველს დებო, რიჩარდსონი, ფილდინგი და სმოლეტი. სტერნის რომანს სათაურიც განსხვავებული ჰქონდა „ჯენტლმენ ტრისტრამ შენდის ცხოვრება და შეხედულებანი“. ეს მოულოდნელი სიტყვა „შეხედულებანი“ მოასწავებდა ახალ ბრუნს, რომელიც სტერნმა თხრობის

ჟანრს მიაკუთვნა. ნაწარმოები მკითხველს ბევრს ჰპირდება. სათაური ხომ დედააზრის ლაკონური გამოხატულებაა. მაგრამ სტერნი, რომელიც ყოველგვარი ლიტერატურული ნორმების დარღვევის გზით მიდის, აქაც არღვევს სათაურის დანიშნულების პრინციპს, ცხადია, იგი განზრახ მიმართავს ამ ხერხს, რითაც თავიდანვე აძლიერებს თავის პაროდიულ პოზიციას. ამ შემთხვევაში მას მიზანში ამოღებული აქვს სათავგადასავლო აღმზრდელობითი, დიდაქტიკური რომანი. თითქოს ჩანს, რომ ნაწარმოებში იყო ყველაფერი, რაც ჩვეულებრივად ინგლისური განმანათლებლური რომანისთვისაა დამახასიათებელი. მკითხველი მიჩვეული იყო, რომ მას უყვებოდნენ გმირის წარმომავლობასა და აღზრდაზე, სტერნიც ამასვე აკეთებს, მხოლოდ განსხვავებული მანერით. იგი დაწვრილებით აღწერს ყოველ დეტალს. იწყებს თავის რომანს არა გმირის დაბადებიდან, არამედ ჩასახვიდან და ასეულობით ფურცელს უთმობს მისი სინათლეზე გამოჩენის აღწერას და ცხრა ტომის დასასრულისათვის „ძლივს“ შეძლებს, მიიყვანოს ტრისტრამის აღზრდის ისტორია იმ დრომდე, როცა მას 5 წელი შეუსრულდება.

მკითხველი იმედოვნებდა, რომანში ეპოვა სასიყვარულო ინტრიგა. სტერნი ამ ჩვეულებასაც განუხრელად მიჰყვება, - მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ გამოხატოს ახალგაზრდა გმირის გრძნობები, ყვება მისი ბიძის კომიკურ თავგადასავლებზე, რომელსაც შეუტია ვიღაც ენერგიულმა ქვრივმა. ასევე, მკითხველი იმედოვნებდა რომ ავტორი გარკვეულ განსწავლულობას გამოხატავდა. სტერნი ამ მოლოდინსაც გადაჭარბებით ამართლებს. თავზე აყრის მკითხველს ძველი და ახალი ფილოსოფოსების, ღვთისმეტყველების, სქოლასტიკოსებისა და მწერლების ციტატათა კორიანტელს ბერძნულ, ლათინურ და სხვა ენებზე, დიდი მონიწებით უთმობს რომანში გვერდებს ბერძნულ და ლათინურ ტექსტებს, თან ურთავს პარალელურ თარგმანს.

შეუძლებელია არ დავეთანხმოთ ამერიკელი ლიტერატურისმცოდნის დილუორტის შენიშვნას, რომლის სიტყვებითაც „პაროდიის დრტვინვა გაისმის სტერნის რომანის მთელ ორკესტრირებაში“. სტერნი ახდენს ყველა განმანათლებლური რომანის პაროდირებას. მისი წიგნი ამ გაგებით შეიძლება მივიღოთ, როგორც 9-ტომიანი ხუმრობა, როგორც ბრწყინვალე ლიტერატურული მისტიფიკაცია აღმზრდელობითი რომანისა. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარეა მრავალწახნაგოვანი „ტრისტრამ შენდისა“. როგორადაც უნდა ეხუმრა სტერნს თავის წინამორბედებზე, და თანამედროვეებზე, განმანათლებელ მწერლებზე - იგი თვითონაც ამ ძლიერ დემოკრატიულ ნაკადს მიეკუთვნებოდა, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა XVIII ს-ის საზოგადოებრივ აზროვნებასა და ხელოვნებაში. როცა შენდი თავისი ცხოვრების აღწერის II ტომში ამბობს „მე ხომ განმანათლებლურად ვწერ“ - ეს მხოლოდ ხუმრობა არაა.

„ტრისტრამ შენდში“ სტერნი დასცინის ჩამორჩენილობას, უვიცობას. მისი რომანის გვერდებზე მოძრაობს „ბნელ ხალხთა“, პედანტთა და ცრუმორწმუნეთა, სიმართლის მდევნელთა მთელი პროცესია. აქაა თვითდარწმუნებული ექიმი სლოპი, რომელმაც კინაღამ დაღუპა ახალშობილი ტრისტრამი. აქვეა სასულიერო პირთა კომპანია, რომლებიც წარმოადგენენ ანგლიკანურ ეკლესიას. მათ უკან არიან იეზუიტები; მათ ხელში იტანჯება კარგი ადამიანი, კაპრალ ტრიმის ძმა, რომელიც შემთხვევით მოხვდა პორტუგალიაში, ასევე შუასაუკუნეების იზუვერები, რომლებმაც შექმნეს „ერნულფოვოს წყევლა“. მატყუარა ფრანგი მონაზვნები, სტრასბურგელი ღვთისმეტყველები, რომლებიც გამასხარავებული არიან გრძელცხვირა უცნობის ისტორიაში.

სტერნს ეზიზღება მონობა და მონური მორჩილება, გესლიანია სტერნი იქ, სადაც ხედავს თუ როგორ ამახინჯებს ადამიანის ბედს სქოლასტიკური ინტრიგა და მკვდარი კანონი. ყოველივე დრომოჭმულის ზიზღთან ერთად „ტრისტრამ შენდში“ მოცემულია სტერნის მხურვალე სიცოცხლისმოყვარეობა. „გაუმარჯოს სიხარულს“! ძირს სევდა!“ - პროვანსალური სიმღერის ეს სიტყვები, რომლის მუსიკის ქვეშ ტრისტრამი ცეკვას იწყებს ლანგედოკელ სოფლელ ლამაზმანთან, ეპიკელეტისა და ერაზმ როტერდამელის მოსაზრებებთან ერთად შეიძლება ყოფილიყო რომანის ერთ-ერთი ეპიგრაფი - ისე ნათლად გამოხატავენ ისინი ავტორის ცხოვრებისეულ ფილოსოფიას.

სტერნი დიდი ინტერესით აკვირდება ყოფიერების ყოველ წვრილმანს, მისთვის, როგორც მხატვრისათვის არ არსებობს ჟესტი, ინტონაცია, რომელსაც თავისი ფარული მნიშვნელობა არა აქვს. თითოეულ მათგანში ხომ გამოიხატება განსაკუთრებული, განუმეორებელი მხარე ადამიანური ბუნებისა. სიტყვებს მიღმა ავტორს ძალუძს დუმილის მოსმენაც, რომელიც ზოგჯერ სიტყვებზე მრავლისმეტყველია. თავისებური სინტაქსისი, ჩართული წინადადებები, უცებ შეწყვეტილი ფრაზები, თავისებური პუნქტუაცია, ტირეები, რომლებიც აღნიშნავენ პაუზებს, - ემსახურება მისი მხატვრული ნოვატორობის გრაფიკულ გამოხატულებას.

თანამედროვე მხატვრულ პროზაში წამყვანი ადგილი დაიკავა თხრობის სუბიექტივიზაციამ, უავტორო თხრობამ, ყოვლისმცოდნე ავტორი მთხრობელმა გმირმა შეცვალა. ყოველივე ამას ბევრი მხატვრული სიახლე მოჰყვა. გაჩნდა მხატვრული დროის შრეები. „ტრისტრამ შენდში“ ძირითადად ორი მხატვრული დრო მოქმედებს და ისინი ხშირად ერთმანეთს ჰკვეთენ. ერთია მთხრობელის დრო, მისი თანადროულობა, მეორე - „თვით მოქმედების“ დრო, რომელიც თავის მხრივ შეიცავს დროთა სხვადასხვა შრეებს; შორეულ წარსულს, ახლო წარსულს, ზოგჯერ აწმყოსაც. მთხრობელის ნაამბობში ხშირად ჩართულია სხვათა ნაამბობიც და ა.შ. მხატვრულ დროთა ამგვარი შრეები, დროის არათანმიმდევრულობა, არასწორხაზოვნება ართულებს ნაწარმოების ათვისებას, მკითხველს უხდება, ერთდროულად აღიქვას წარსულიცა და აწმყოც. სტერნის ასოციაციური წესის მეთოდი ერთი შეხედვით ქმნის ქაოსს, მაგრამ ეს მოჩვენებითი ქაოსია, რომელიც საბოლოოდ ლაგდება მკითხველის წარმოდგენაში და იქმნება მოვლენათა და ნააზრევთა უწყვეტი ჯაჭვი. ასოციაციურობა სტერნთან არ ეწინააღმდეგება აზრის ნათელსა და ლოგიკურ სიცხადეს. ამით აიხსნება სტერნის ტექსტში განსაკუთრებით ჩართულ, რთულ წინადადებებში სასვენი ნიშნების, მათ შორის ტირეების უხვად გამოყენება. ცნობილია, რომ სასვენი ნიშნები ლოგიკური აზროვნების გამომხატველია. ამ კანონზომიერების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს სტერნის პროზა.

საინტერესოა სტერნის დამოკიდებულება „ტრისტრამ შენდის“ მიმართ. იგი მას „რაფსოდიულ ნაწარმოებს“ უწოდებს. ანტიკური გაგებით „რაფსოდი“ ნიშნავს სიმღერათა ერთ ძაფზე ამსხმელს. მწერალი რაფსოდში გულისხმობს რომანის სტრუქტურას, რომელიც შეიცავს მრავალფეროვან, ხშირად თითქოს დაფანტულ, მაგრამ შინაგანად ურთიერთდაკავშირებულ ნაწილებს. ამას ქმნის მისი ასოციაციური თხრობა. ასოციაციათა ჯაჭვი. რომანის კომპოზიციას სტერნი გრაფიკულად გამოხატავს 199 (40) თავში, მოღუნული, გარდატეხილი, მრავალი კუთხით, ხაზებისა და ნახევარწრეების სახით, რაც გადახვევებს აღნიშნავს. სტერნი ნაწარმოებში გვპირდება, VI ტომში მოგვიყვეს ტობის სიყვარულის შესახებ და ამას ახერხებს მხოლოდ მეცამეტეში. გზადაგზა ავტორი ყვება ტრისტრამის ავადმყოფობაზე, მის მოგზაურობაზე საფრანგეთში. და ა.შ. რომანის წინათქმა დაწერილია მხოლოდ 64-ე თავში. 198 თავის ნაცვლად, რომელიც ეძღვნებოდა ქვრივ უოდმენს, ცარიელი ფურცელია, სადაც მკითხველს თვითონ შეუძლია დახატოს ქალის პორტრეტი.

დიდი ფსიქოლოგი მწერლის აზრით, ყოველ ადამიანს აქვს თავისი განსაკუთრებული განცდის სამყარო, რაც განსაზღვრავს მის საქციელს და ხასიათს. თავისებურებას. ინდივიდუალიზმს ქმნის გარკვეული მისწრაფება, ახირება, გატაცება. „ტრისტრამ შენდიში“ ავტორი ვრცლად მსჯელობს იმის

თაობაზე, რომ ყოველი კაცი თავისებურად დააჭენებს თავის „ბედაურს“. სტერნისებური „ბედაურის ფილოსოფია“ რთული და მრავალნიშნა კონცეპციაა, რომელიც მწერალს საშუალებას აძლევს, შექმნას სინამდვილის ცოცხალი სურათი. ახირებულობა, უცნაურობა სინამდვილისგან გაქცევის გზაა და ერთგვარი თავშესაფარია ადამიანისთვის. იგივე ახირება მას აქცევს შეზღუდულ, თავის გრძნობათა სამყაროში ჩაკეტილ პიროვნებად. მაგრამ ეს ნაკლოვანებანი ფაქტობრივად, ზიანს არავის აყენებს, თავისთავად უფრო ამაღლებული და კეთილშობილურია ვიდრე გარე, ყოველდღიური სინამდვილის სოციალური სისასტიკე, პიროვნების დამთრგუნველი, ცივი პრაქტიკული ანგარიშიანობა. ამიტომ, გასაგებია, რომ სტერნის ახირებული, უცნაური ხასიათები თავისთავად სოციალურ უკუღმართობათა, რაციონალურ და ალებ-მიცემობით მოცული უსულგულო სინამდვილის უარყოფის გამომხატველნი არიან. სტერნი გვთავაზობს, ვიმსჯელოთ ადამიანის ხასიათზე ახირებულობის მიხედვით, რადგან სწორედ ამ ახირებულობის არჩევისას ვლინდება ადამიანის განუმეორებელი ინდივიდუალიზმი.

იორკშირულ დიალექტზე სიტყვა „shan“ ან „shandy“ ნიშნავს უგუნურ, სულელ ადამიანს. ამ სიტყვებიდან ქმნის სტერნი თავისი გმირების გვარს. აწარმოებს ტერმინს „შენდიზმი“ რომელიც აღნიშნავს გულუბრყვილო ცხოვრებისეულ პრაქტიკულობას, ორიგინალურობას, თვითმყოფადობას. „შენდიზმში“ ის ხედავს ხსნას არსებული რაციონალური სამყაროს გარემომცველ სიცივისა და უსულობისაგან. შენდიზმის პრინციპის დამკვიდრება იქცევა სტერნის სენტიმენტალიზმის თავისებურ ლოზუნგად. თავისი გმირების გვარიდან სტერნი ქმნის ახალ ზმნას ინგლისურ ენაში „შენდირებას“ და იყენებს მას თავის წერილებში.

იმდროინდელ ინგლისში, სადაც დიდი ხანია გაქრა რევოლუციური სული, სტერნისეული „შენდიზმის დოქტრინა“ გამომწვევად ჟღერდა. სტერნი არ მოუწოდებდა საზოგადოებრივი წყობის რღვევისაკენ, მაგრამ მისი „შენდიზმი“ იყო განდგომის დემონსტრაციული ჟესტი იმისგან, რაც იმ დროს მნიშვნელოვანი და გაბატონებული იყო სხვადასხვა წრეებში. ყიდვა-გაყიდვა, შემოსავლები, თანამდებობები, ტიტულები, კარგი რეპუტაცია - ყოველივე ეს არ აღელვებს ნამდვილ „შენდისტს“. სტერნის „შენდიზმი“ გულისხმობდა პროტესტს პიროვნების ნიველირების წინააღმდეგ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. ეს იყო მცდელობა, შეიძლება უტოპიურიც, ამ საზოგადოებისთვის ნაერთმიათ კუთხე, სადაც ყოველი ადამიანი იქნებოდა თვითმყოფადი. ამ უტოპიის განხორციელება იყო სწორედ შენდი-ჰოლი - პატარა სამყარო, დაკარგული იორკშირის ჭაობთა შორის და გამოყოფილი მთელ სამყაროსგან. აქ ყოველი ადამიანი მთელი ჟინით დააჭენებს თავის ბედაურს. აქ სუფევს კომიკური აზრთა სხვაობა. ყველას ეჩქარება, ყველა ფუსფუსებს, ყველა თავისას ლაპარაკობს, მაგრამ არ შეუძლიათ, ერთმანეთს ბოლომდე მოუსმინონ და გაუგონ.

„ტრისტრამ შენდის“ გმირები გროტესკულ-კომიკური ხასიათებია. უოლტერ შენდი ჭირვეული და ბუზღუნა კაცია, მაგრამ უაღრესად კეთილი და გულმართალი. მისი „ბედაურია“ განსწავლულობა და ინტელექტუალურობის პრეტენზია. ბევერი აკვიატებული, უცნაური აზრი უტრიალებს თავში ტრივიალურ აზრებზე დაბალი, მაგრამ თავად დარწმუნებულია რომ ფრიად ბრძნულ აზრებს ავითარებს. უოლტერი იტანჯება სავალალო წინათგრძნობით, რომელსაც საკუთარი ერუდიცია კარნახობს. იგი დარწმუნებულია, რომ ადამიანის მომავალი დიდად არის დამოკიდებული მისი ცხვირის ფორმაზე. ასევე ფიქრობს ადამიანზე იმ სახელის გავლენაზე, რომელსაც ის ატარებს. მას აქვს თავისი შეხედულებები, თუ როგორ უნდა გაჩნდეს ახალშობილი და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, შეცვალოს არსებული წესი, დაწესებული ბუნებისაგან. გულმოდგინეა მისი შრომები პედაგოგიკაში. როგორც ჭეშმარიტმა შვილმა განმანათლებლობის ეპოქისა, მან გადაწყვიტა, შექმნას კაპიტალური წესები აღზრდისა თავისი შთამომავლის, ტრისტრამისთვის. ბრძნული კრებულისთვის შერჩეულია ღირსეული სახელწოდება „ტრისტრაპედია“. მაგრამ ტრისტრამი იზრდება, „ტრისტრაპედია“ აღმოჩნდება უფრო შორს ბოლოდან, ვიდრე ეს იყო დასაწყისში, რადგან აზრთა ცვენას არა აქვს დასასრული.

თავისი უცნაურობის გამო უოლტერ შენდი არაერთხელ ვარდება განსაცდელში, მაგრამ განსაცდელი ხომ არიდებს მას მწუხარებას. უფროსი ვაჟის გარდაცვალებით ზარდაცემული ნუგეშისთვის მიმართავს ბერძენ ფილოსოფოსებს, კითხულობს ნაწყვეტს ციცერონიდან და ავიწყდება ყველაფერი ამქვეყნად.

ასევე კომიკურ-გროტესკულია შენდი ჰოლის მეორე მკვიდრი, ტრისტრამის ბიძია ტობი. იგი უწყინარი, თავმდაბალი და გულუბრყვილო ადამიანია. ომში მიღებული ჭრილობების შემდეგ ის თავის პატარა მამულში დაბრუნებულა, მყუდროდ ცხოვრობს და დიდი სიამოვნებით თამაშობს ომობანას თავის კაპრალთან ერთად. მწვანე მდელო, სადაც ბიძია ტობი თავის ერთგულ კაპრალთან „ომობს“, არის ცენტრი სტერნის ჰუმანისტური უტოპიისა. სასაცილოა უსისხლო ბრძოლები, შეტაკებები, რომელშიც ეს ორი ადამიანი ჩაბმულა. ძია ტობის სახით მწერალი დასცინის და გმობს სისხლისმღვრელ ომებსა და ყოველგვარ აგრესიას.

„ბედაურების ფილოსოფია“ სტერნთან განუყოფელია იუმორისაგან. ახირებულობა, უცნაურობა გადმოცემულია ფაქიზი იუმორით. სტერნი უბრალოდ კი არ დასცინის ადამიანის აჩემებულობას, უმიზნობას, არამედ ახირებულობას მოქნილად, მარჯვედ იყენებს მთელი სოციალური გარემოსა და სულიერი ცხოვრების ჩრდილოვანი მხარეების გამოსააშკარავებლად.

თავისებურ კომიკურ ატმოსფეროს სტერნი ქმნის უმნიშვნელო, არაარსებითი საგნის ირგვლივ გაზვიადებული მსჯელობით, მისი მნიშვნელობის ჰიპერბოლიზაციით; განზრახ შერჩეულ, მეტად კონკრეტულ და ტრივიალურ საგანზე მთელ ფილოსოფიურ ტირადებსა და რიტორიკას ავითარებს. ეს ხერხი სტერნს საშუალებას აძლევს, ყოველი სახე ღრმა ალეგორიული მნიშვნელობით დატვირთოს და ამით მხოლოდ ფსევდოფილოსოფოსების მიმართ როდი ილაშქრებს, არამედ საკმაოდ ნათლად მიგვანიშნებს, რომ ცრუმორწმუნეობა ყოვლმხრივ სახიფათოა, მან შეიძლება ერთგული სამსახური გაუწიოს უსამართლობას.

შენდი-ჰოლის მცხოვრებლებს შორის უკანასკნელი არ არის თვით ტრისტრამ შენდი „გმირი“ და „ავტორი“ წიგნისა. ის, გარკვეულწილად სტერნის ორეულია. თუმცა მთლიანად არ ერწყმის მწერალს. სტერნს შეუძლია შეუმჩნევლად, სტრიქონებს შორის განცალკევდეს ტრისტრამისგან.

ტრისტრამის გამოგონება - ესაა მის ბედაური, რომელსაც შეუძლია სირთულეების გადალახვა. რაც უფრო ღრმად იჭრება მკითხველი ტრისტრამ შენდის შეხედულებებში, მით უფრო აბნევს მისი ორაზროვანი წინადადებები, არასრული ანეკდოტები... ტრისტრამი ჩქარობს, ცდილობს, გაუსწროს საკუთარ თავს, ირევა სიტყვებში და ლოგიკურად თხრობა ვერ მიყავს. ხშირად გადადის ერთი საკითხიდან მეორეზე, ან ბრუნდება 20 წლით უკან და ა.შ.

წერის მანერით „ტრისტრამ შენდის“ ავტორი XX ს-ის ლიტერატურას უახლოვდება. ამ მანერის მიღმა დგას XVIII ს-ისთვის ნიშანდობლივი ახალი აღქმა მსოფლიოსი.

ყოველი ადამიანი სამყაროს თავისებურად ხედავს და ინდივიდუალური ხედვების გადაკვეთით იქმნება ის რთული, ცვალებადი ცხოვრების პანორამა რომელიც იშლება „ტრისტრამ შენდში“.

„ჯენტლმენ ტრისტრამ შენდის ცხოვრება და შეხედულებანი“ არ არის მხოლოდ იუმორისტული ისტორია - შენდი-ჰოლის მცხოვრებლებისა, ის თავის მხრივ არის რომანი რომანზე - ჩვენ მომსწრე ვართ წიგნის შექმნისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაიოშ ტარდი

# XVI-XIX საუკუნეების ქართულ-უნგრულ ისტორიულ-ლიტერატურულ ურთიერთობათა ამსახველი მასალები

თურქეთი, რომელიც სულ უფრო და უფრო ავრცელებდა თავის ძალაუფლებას ბალკანეთის სახელმწიფოების დამონების მერე, საშიში მეზობელი შეიქნა უნგრეთისთვის. 1526 წელს მოჰაჩთან უნგრელთათვის საბედისწერო დამარცხების შემდეგ თურქთათვის შესაძლებელი გახდა, მყარად დაფუძნებულიყვნენ უნგრეთში. თხუთმეტი წლის შემდეგ, 1541 წელს, თურქთა ჯარებმა მოტყუებით შეძლეს, ხელთ ეგდოთ უნგრეთის დედაქალაქი ბუდა, რის შედეგადაც უნგრეთის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი საუკუნეზე მეტ ხანს თურქთა ბატონობის ქვეშ მოექცა. უნგრეთის ეს ტერიტორიები მეტნაკლებად ისეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდა, როგორც საქართველოს მსხვილი ტერიტორიები, რომლებიც თურქთა ან სპარსელთა მიერ იყო ოკუპირებული; ამგვარ დაპყრობილ ტერიტორიებზე სრულიად შეუძლებელი შეიქმნა სამართლებრივი და ქონებრივი უსაფრთხოების დაცვა და მშვიდობიან დროსაც კი გამოძალვები და მოსახლეობის ძარცვა, ახალგაზრდობის წარეკვა და მათი გათურქება და ჩართვა იანიჩართა რიგებში ყოველდღიურ მოვლენად იქცა.

უცხოეთში წარეკილ ამ ქართველ და უნგრელ ახალგაზრდათა ბედი ანალოგიურია კიდევ იმითაც, რომ მათი ახალი ბატონები, როგორც წესი, გულმოდგინედ ადევნებდნენ თვალყურს, აუარება გათურქებული ქართველები და უნგრელები თავიანთი ქვეყნიდან, რაც შეიძლება შორს დამკვიდრებულიყვნენ,ე.ი. იქ, საიდანაც თითქმის არ არსებობდა მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნების იმედი. თუმცა, ზოგიერთ მათგანს, თუკი ისინი თავიანთ განსაკუთრებულ ნიჭს გამოავლენდნენ, მაგალითად, სამხედრო ღირსებებს და მონაცემებს, რომლებიც ხელმძღვანელობისთვის აუცილებელი კომპონენტებია და, გარდა ამისა, თუკი თურქებს დაუმტკიცებდნენ ერთგულებას, ნებას აძლევდნენ თავიანთი ყოფილი სამშობლოს ან მისი საზღვრების არც ისე მოშორებით მდებარე ტერიტორიებზე ემსახურათ. სამშობლოს გარეთ მომსახურე ახალგაზრდათაგან არაერთი გათურქებული უნგრელი თუ ქართველი გამხდარა მშობლიური ქვეყნის მჩაგვრელი, რაც რამდენადმე ხელს უწყობდა კიდეც თურქთა ბატონობის გაძლიერებას როგორც საქართველოში, ისე უნგრეთში.

XVI-XVII საუკუნეების უნგრულ-ქართული ურთიერთობებისთვის დამახასიათებელია ის, რომ როგორც უნგრეთის ტერიტორიის ნაწილი, ისე საქართველოს ტერიტორიის ნაწილიც თურქთა მიერ იყო ოკუპირებული და რომ ეს ტერიტორიები ხშირად საომარ მოქმედებათა ამფითეატრად ანდა ჯარებისთვის სამხედრო მოსაწყობ ადგილებად გამოიყენებოდა; ქართველები და უნგრელები, რომლებიც თურქეთის იმპერიის დედაქალაქ სტამბოლში ჩადიოდნენ თავიანთ პირად ან სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეებზე, ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს და იბმებოდა ურთიერთობები. თუმცა უფრო ხშირად ადგილი ჰქონდა დღემდე ჯერ კიდევ თავისი მნიშვნელობის მხრივ სათანადოდ გამოუკვლეველ ქართული ეროვნების ოსმალო მოხელეთა მოღვაწეობას უნგრეთში და, პირიქით, უნგრელი ეროვნების ოსმალო მოხელეთა მოღვაწეობა საქართველოში.

ევროპის ტერიტორია, დამორჩილებული ოსმალოთა იმპერიის მიერ, დაყოფილ იქნა ოთხ პროვინციად (ეიალეთად), - რუმელიის, ბოსნიის, ტემეშვარის და ბუდის ტერიტორიებად. ამ პროვინციებს შორის, ტერიტორიის მიხედვით ყველაზე დიდი და იმავდროულად ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო ბუდა. ბუდის ეიალეთი შედგებოდა თვრამეტი ხანჯაკისგან (რაიონისგან) და გადაჭიმული იყო ქ.როჟნოდან (ამჟამად - ქალაქი როჟნავა ჩეხოსლოვაკიაში) სერბიის ქალაქ ნიშემდე. მისი ტერიტორია დღევანდელი უნგრეთის ტერიტორიას აღემატებოდა.

ბუდის ბეილერბეის სამართლიანად აკუთვნებდნენ თურქეთის იმპერიის უმაღლეს მოხელეთა რიცხვს. რამდენადაც ოსმალოთა იმპერიის ტერიტორია სწორედ ამ ადგილას ყველაზე უფრო მკვეთრად იჭრებოდა მისი ყველაზე უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშიში მტრის, ევროპული ქრისტიანობის სფეროში, სტამბოლის მთავრობა თავისი ევროპული პოზიციის უმნიშვნელოვანეს პუნქტად ბუდას მიიჩნევდა და მისი გუბერნატორის პოსტზე იმპერიის ყველაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენლებს ნიშნავდა. 1623 წლიდან მოყოლებული ბუდის გუბერნატორებმა თავიანთ იმგვარ ტიტულებთან ერთად, როგორებიცაა „ბეილერბეი" და „ფაშა", ვეზირის ჩინიც მიიღეს, რის შედეგადაც მათი ძალაუფლების ქვეშ დანარჩენი ევროპული ეიალეთების გუბერნატორებიც მოექცნენ. მათ პრივილეგიათა რიცხვში შედიოდა ისიც, რომ თურქთა არმიის ყოფნის დროს ევროპაში ისინი ჩინის მიხედვით იკავებდნენ ადგილს უშუალოდ დიდი ვეზირის შემდეგ და, რამდენადაც მათი ადგილსამყოფელი ადრე უნგრეთის მეფეთა რეზიდენციას წარმოადგენდა, მათ ეძლეოდათ უფლება, კარეტით ან ნავით ესარგებლათ ანდა წინასწარ ფორეიტორი გაეგზავნათ, როგორც ამას ბაღდადის და კაიროს ფაშები აკეთებდნენ, რომლებიც აგრეთვე სულთნის წარმომადგენლები იყვნენ დიად დინასტიათა რეზიდენციებში.

მაგრამ იმისთვის, რომ მავანი და მავანი გამხდარიყო მმართველი თურქთა მიერ ოკუპირებულ უნგრეთში, არ კმაროდა უამრავ სამხედრო გამარჯვებამოპოვებულ სამკვერთხიან ფაშად ყოფნა, რადგან ერთდროულად საჭირო იყო დიპლომატიური ხელოვნების ცოდნაც. სტამბოლის მთავრობა მოითხოვდა, რომ ბუდის ფაშას დიპლომატიური საქმიანობაც წარემართა და თან ოსმალოთა იმპერიის ინტერესთა უშუალო წარმომადგენელიც ყოფილიყო. ოსმალოთა იმპერია უხალისოდ აძლევდა ამგვარ კომპეტენციას თავის გუბერნატორებს, რომლებიც შორეულ მხარეებში იმყოფებოდნენ, რამდენადაც მათი ერთგულების დიდი იმედი არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, თურქთა სახელმწიფომ მაინც გააძლიერა ბუდის გუბერნატორის ნაცვლის უფლებები, რომლებიც ოსმალოთა დინასტიის ინტერესებს შორეულ დასავლეთში, დიპლომატიის სფეროშიც იცავდა. ბუდის ფაშებს სხვა ბევრ საქმესთან ერთად ავალებდნენ, ყურადღებით მოკიდებოდნენ თურქთაგან არაოკუპირებული უნგრეთის რაიონების და, აგრეთვე, ჰაბსბურგთა დინასტიის ქვეყნების, - ვენეციის, პოლონეთის და ტრანსილვანიის ურთიერთობებს ოსმალოთა იმპერიის მიმართ და საჭიროების შემთხვევაში გაემართათ კიდეც მათთან სახელმწიფოთაშორისო მოლაპარაკებანი. უკვე სულთან სულეიმანის სიკვდილის მერე, 1567 წელს, სტამბოლის დივანმა ბუდის ფაშას ამცნო, რომ ჰაბსბურგთა იმპერიასთან დადებულია რვაწლიანი ზავი და რომ ზავის დადებასთან დაკავშირებული შემდგომი მოლაპარაკებანი თვით ბუდის ფაშას უნდა ეწარმოებინა. საუკუნის ბოლოს ბუდის გუბერნატორთა ამ ფუნქციამ იმდენად ჩვეულებრივი სახე მიიღო, რომ ერთ-ერთი გუბერნატორთაგანი არცთუ უსაფუძვლოდ იკვეხნიდა კიდეც: „ჩემს დაუკითხავად და ჩემი ნებართვის გარეშე ორ იმპერატორს შორისაც კი ვერ დაიდება ზავი".

მართებულად შენიშნავს ისტორიკოსი ლაიოშ ფეკეტე, რომ XVI-XVII საუკუნეებში ბუდის ფაშის ძალაუფლება თითქმის მონარქის ძალაუფლების ტოლფარდი იყო. არ შეიძლება, არ დავეთანხმოთ მის ამგვარ განსაზღვრებას.

ბუდის ფაშათა შორის უმრავლესობა თურქები იყვნენ, თუმცა ხანდახან სხვა ეროვნების პირებიც გამოერეოდნენ ხოლმე. ასე რომ, ჩვენ აქ, მოვიხსენიებთ ბუდის იმ ფაშებს, რომელთა ქართული წარმოშობაც უდავოა.

ვეზირი გურჯი ქენანი საქართველოში დაიბადა. გაიზარდა სულთნის სერალში. 1655 წელს იანიჩარ-აღა ხდება და ვეზირის წოდებას იღებს, ხოლო იმავე წლის 22 სექტემბერს ბუდის გუბერნატორია. 1663 წლამდე დიდი და მცირე შესვენებებით მას ოთხჯერ ეკავა ბუდის ფაშის პოსტი.

ვეზირი გურჯი მოჰამედიც მხოლოდ ორი წელი იყო ბუდის ევიალეთის სათავეში. დაიბადა საქართველოში. 1662 წელს დანიშნეს დიარბეკირის ფაშად, საიდანაც ალეპოში მოხვდა, მერე კი, 1664 წელს ბუდაში. 1665 წელს ცოლად შეირთო სულთან მოჰამედ IV-ის ქალიშვილი. 1666 წელს ბუდის ფაშის პოსტზე ყოფნის დროს გარდაიცვალა.

დღევანდელ დღეს ბუდაპეშტში ჩასული სტუმარი თუ უნგრეთის დედაქალაქში აღმართული, ყოფილი ბუდის სასახლის იმპოზანტურ მარმარილოს დარბაზებში გაივლის, იგი აუცილებლად მოწიწების გრძნობით განიმსჭვალება მათ მიმართ.

საყურადღებოა, რომ ზემოხსენებულ სასახლეში არაერთხელ ვაწყდებით ქართული ეროვნების ფაშების კვალს.

კოშკი, რომელზეც ამჟამად დადგმულია ბუდის უკანასკნელი ფაშის სამახსოვრო ქვა, ფაშა სიავუსის ბრძანებით შენდებოდა 1648 წლიდან 1650 წლამდე და მას სახელად „სიავუს ფაშა-კულესი", ე.ი. ფაშა სიავუსის კოშკი უწოდეს. მისგან არც ისე მოშორებით მდებარეობს „კასიმ ფაშა-კულესი", რომლის აგებაც ფაშა გურჯი ქენანმა 1663 წელს დაიწყო. ფაშა კასიმმა კი მხოლოდ დაასრულა ამ კოშკის მშენებლობა.

ფაშა მუსტაფა ისპირმა, ვინც ასევე ქართული წარმოშობისა იყო, თავისი სახელი ტრანსილვანიის ისტორიაში იმით ჩაწერა, რომ ძიორძ რაკოცის და იშტვან ბეთლენს შორის ტახტის მემკვიდრეობის შესახებ ამტყდარ კამათში ჩაერია. ფაშა მუსტაფას ელჩები ვენაშიც ჩავიდნენ, რათა ხელი შეეწყოთ სისხლისმღვრელი სასაზღვრო ინციდენტების შეწყვეტისთვის.

ვეზირი გურჯი ქენანი დაეხმარა აკოშ ბორჩაის, ტრანსილვანიის ტახტზე ასულიყო. ვეზირ გურჯი ქენანის საქმის გამგრძელებლის ვეზირ აჰმედ სეიდის შესანიშნავმა სამხედრო ნიჭმა, მართალია, ვერ შეძლო შეეჩერებინა ნელ-ნელა მოახლოებული ოსმალოთა იმპერიის ძალაუფლების მსხვრევა უნგრეთში, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ სრული გამარჯვება მოეპოვებინა ტრანსილვანიის მთავარზე, ძიორძ რაკოცი II-ზე და ამგვარად გადამწყვეტი დარტყმა მიეყენებინა ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის. იმავდროულად, იმ ეპოქის უნგრელი ჟამთაამწერელი იანოშ ლინციგი განსაკუთრებული აღტაცებით იგონებს ვეზირ აჰმედ სეიდის რაინდობას, აგრეთვე, იმას თუ როგორი პატივისცემის და მოწიწების გრძნობით იმსჭვალებოდა ვეზირი თუნდაც მტრის ბანაკში მყოფი მამაცი ადამიანისადმი.

ვეზირ ჰუსეინ სარიმ ბუდის გუბერნატორის პოსტზე ყოფნის დროს ბუდის ეიალეთში ევროპული ადათ-წესები დანერგა.

ინგლისელი ლორდი ჰენრი ჰოვარდი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ ერთ-ერთმა ფაშამ (სახელი უცნობია) ვეზირ ჰუსეინ სარის და მის თანმხლებ პირებს სტუმრად ყოფნის დროს სკამები შესთავაზა მოსასვენებლად და სხვაგვარი ყურადღება გამოიჩინა მათ მიმართ.

1597 წლის ივლისში ქართველი მეფის სიმონის ელჩები იმპერატორის და უნგრეთის მეფის რუდოლფის სასახლეში ჩავიდნენ, რათა თურქთაგან თავის დაცვაში დახმარება ეთხოვათ. ამავე მიზნებიდან გამომდინარე, მეფე სიმონს უკვე ადრე დაუმყარებია კონტაქტი ტრანსილვანიის მთავარ ჟიგმონდ ბატორისთანაც. შესაძლებელია, რომ ბრწყინვალე პორტამ ცნობები მიიღო „დიალოგის" შესახებ, რომელიც ერთმანეთისგან ძალზე დაშორებულ მის დასავლელ და აღმოსავლელ მეზობლებს შორის მიმდინარეობდა, რადგანაც უკვე 1587 წლის ნოემბერში სულთან მურად III-მ ტრანსილვანიის მთავარს ამცნო, რომ მისმა ჯარებმა, რომლებიც ქართველთა წინააღმდეგ იბრძოდნენ, დიდი გამარჯვება მოიპოვეს მათზე და რომ ამ ბრძოლის დროს ბევრ ქართველ მე-

ბრძოლს წააგდებინეს თავები, ბევრი მათგანი კი დაატყვევეს და ა.შ. ყოველივე ამასთან ერთად, სულთანი თავის წერილში წერს: „რამდენადაც ჩემს იმპერიაში, ყველგან უხარიათ ქართველებზე გამარჯვება, შენც (იგულისხმება ტრანსილვანიის მთავარი), აგრეთვე, გმართებს ყველა შენ ქვეშევრდომთან ერთად ძალზე იხარო და იმხიარულო". ამ წერილის პასუხად ტრანსილვანიის მბრძანებელი 1587 წლის 6 დეკემბერს იძულებული იყო სულთნისთვის შემდგომი რამ მიეწერა: „მე ჯერ კიდევ ადრე მივხვდი, რომ თქვენი უდიდებულესობის ჯარები ფაშა ფერჰადის მეთაურობით გამარჯვებას მოიპოვებდნენ ქართველებზე. და აი, ამ ცნობამ, რომელმაც ჩემი ვარაუდი გაამართლა, მეც, აგრეთვე დიდი სიხარული მომგვარა და ღმერთს მადლობა შევწირე, რომ თქვენმა უდიდებულესობამ ასეთი მნიშვნელოვანი მტერი დაიმორჩილა".

თუმცა ჟიგმონდ ბატორი, თურქეთის სულთანთან გაბმულ დიპლომატიური ურთიერთობის მიუხედავად, მცდელობას არ აკლებდა, გამოეძებნა გზები ქართველებთან კავშირის დასამყარებლად პაპის ნუნციის დახმარებით.

როდესაც სულთანმა 1596 წელს ფაშა ჯაფარი თავრიზის გუბერნატორად დანიშნა, ჯერ კიდევ გრძელდებოდა საიდუმლო მოლაპარაკებანი მეფე სიმონ I-სა და ჟიგმონდ ბატორის შორის თურქთა წინააღმდეგ ერთიან გამოსვლასთან დაკავშირებით.

ფაშა ჯაფარი, ანუ ჰადიმ ჯაფარი დაიბადა უნგრეთში ბეკეშის ოლქის ტერიტორიაზე, ქალაქ ძიულადან არც ისე მოშორებით, უნგრელების ოჯახში. მის შესახებ ბიოგრაფიულმა ცნობებმა ჩვენამდე თურქი ისტორიკოსის პეჩევის წყალობით მოაღწიეს, ვინც 1660-იან წლებში ეფენდი იბრაჰიმის სახელით დაწერა თურქეთის იმპერიის ისტორია 1521 წლიდან 1631 წლის ჩათვლით. ჯაფარი და მისი ძმა თურქებმა უნგრეთიდან 1552 წელს წაიყვანეს. სხვა ცნობების მიხედვით, ისინი უკვე 1548 წელს იმყოფებოდნენ თურქთა სამსახურში.

ჯაფარი თავდაპირველად სულთნის სასახლეში იზრდებოდა, მერე კი, გარემოებათა დამთხვევის წყალობით, სამხედრო კარიერა სწორედ თავის სამშობლოში, უნგრეთში დაიწყო. თავიდან იგი სულთნის სამსახურში იმყოფება ჯერ ქ.ძიულაში, მოგვიანებით ქ.სიკეშფეჰირვარში, ხოლო 1583 წლიდან უკვე დამასკის ბეილერბეის პოსტი უჭირავს.

1585 წელს ოსმან ფაშამ თავრიზი დაიპყრო და, როგორც კი შეაკეთა ქალაქის ციხე-სიმაგრის კედლები, ჯაფარ ფაშა, ვინც იმ დროს უკვე ვეზირი იყო, თავრიზის გუბერნატორის პოსტზე დანიშნა. 1586 წლის შემოდგომაზე თავრიზზე იერიში მიიტანა სპარსეთის ჯარმა, რომელიც 30 000 კაცს ითვლიდა. თავრიზზე იერიშის დროს ჯაფარმა გამოავლინა არნახული სიმამაცე და სარდლის ნიჭიერება. თითქმის მთელი წლის განმავლობაში იგი მამაცურად იცავდა თავრიზის სიმაგრეს, ვიდრე უკვე ზემოხსენებული ფერჰად ფაშა სერდარის ჯარები არ მივიდნენ დასახმარებლად, რომლებმაც სპარსელები სიმაგრიდან გამორეკეს.

სპარსელთა მიერ ციხესიმაგრეზე გადამწყვეტი იერიშის მოგერიების მერე ჯაფარი ფერჰად ფაშას ჯარებს შეუერთდა და ჯერ ყარაბახის დაპყრობაში, ხოლო შემდეგ განჯის გამაგრებაში იღებდა მონაწილეობას.

1590 წელს ყიზილბაშებმა მესამეჯერ შეუტიეს ჯაფარ ფაშას, ვინც, თავრიზის ციხესიმაგრეში დაბანაკებული, გამუდმებით აოხრებდა მეზობელ ტერიტორიებს. მოიერიშეთა დიდი რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, ჯაფარმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, რისთვისაც სულთნის მადლობა დაიმსახურა.

თავრიზის გუბერნატორის პოსტზე ყოფნის დროს ჯაფარი ისეთნაირი სისასტიკით უსწორდებოდა გარნიზონის ჯარისკაცებს, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ ჯამაგირით, რომ თვით პეჩევი ამგვარად აჯამებს ჯაფარის მოღვაწეობის შედეგს ქალაქის სიმაგრეში: „მიუხედავად იმისა, რომ ეჭვის ნატამალის შეტანაც კი არ შეიძლება იმაში, რომ სულთნის ღირსების დასაცავად აუცილებელი იყო თავრიზის მეამბოხეთა დასჯა, მაინც ჯაფარის მიერ ჩადენილმა ამ დანაშაულმა მთლიანად დაჩრდილა მისი ის დამსახურებანი, რომლებიც მას უთვალავ ბრძოლაში ჰქონდა მოპოვებული". მერე იქვე დასძენს:"ის მთელი რვა წელიწადი იყო თავრიზის ეიალეთის ბეილერბეი. ამ ხნის განმავლობაში სერდარსაც კი, ვინც სათავეში ედგა ყველა მუსულმანურ ჯარს, არ ჩაუდენია სპარსელების და ქართველების მიმართ იმგვარი რამ, რაც ჯაფარმა მოიმოქმედა მათ მიმართ".

1594 წლის მეორე ნახევარში ჯაფარი უკვე შირვანშია, სადაც ის ნახევარი წლის განმავლობაში თოთხმეტ რაიონად დაყოფილი დიდი პროვინციის გუბერნატორად გვევლინება; ამ პოსტიდან ის საომარ მოქმედებათა ევროპულ თეატრში ხვდება, მონაწილეობს ვლახეთზე გალაშქრებაში, მერე კი ჯერაჰ ფაშასთან, მომავალ დიდვეზირთან ერთად, ვინც, აგრეთვე, ეროვნებით უნგრელია, სოფელ კერესტეშის რაიონში, ზემო უნგრეთში, არა მხოლოდ იმპერატორის ჯარებს ამარცხებს, არამედ ტრანსილვანიის მთავრის ჟიგმონდ ბატორის არმიასაც. ჯაფარმა, როგორც პეჩევი წერს, ამ ბრძოლაშიც განსაკუთრებული პირადი მამაცობა გამოავლინა.

პირადი თხოვნის საფუძველზე, ალბათ, ჯილდოს სახით, ჯაფარს კვლავ თავრიზის გუბერნატორად ნიშნავენ. როგორც პეჩევი წერს: „მთელი სპარსეთი აფორიაქდა, როცა ჯაფარის დაბრუნება გაიგეს". მაგრამ ამჯერად მხოლოდ ერთი-ორი წლის განმავლობაში გრძელდებოდა მის მიერ სპარსელების და ქართველების ჩაგვრა, რადგანაც ჯაფარი დაახლოებით 1600 წელს გარდაიცვალა. თუმცა გარდაცვალებამდე მას ჯერ კიდევ ჰქონდა დრო, რომ თავისი მმართველობა „ღირსეულად" დაესრულებინა.

ჯაფარ ფაშამ, ვინც ეროვნებით უნგრელი იყო, ისეთივე ტრაგიკული როლი ითამაშა საქართველოს ისტორიაში, როგორც ფაშა აჰმედ სეიდიმ ტრანსილვანიის ისტორიაში.

ქართველ მეფე სიმონ I-ზე, ვისი ცხოვრების გზას და გმირულ ბრძოლას მისი თანამედროვენი ასევე დიდად აფასებდნენ ევროპაშიც, აქ, არ არის საჭირო, უფრო დაწვრილებით ვილაპარაკოთ. ცნობილია, რომ მან მთელი თავისი ცხოვრება სამშობლოს განთავისუფლებას მიუძღვნა და არც ბრძოლის ველზე, არც დიპლომატიურ ასპარეზზე ძალღონეს არ ზოგავდა. თურქების წინააღმდეგ ომში გამარჯვებამ უკვე მისი სამშობლოს წინაშე შექმნა სწრაფი განთავისუფლების წინაპირობები, თუმცა სოფელ ნახიდურთან ახლოს გააფთრებული ბრძოლის მერე ჯაფარ ფაშამ საქართველოს იმედი, მამაცი მეფე ტყვედ ჩაიგდო. მაგრამ ამჯერად ჯაფარ ფაშას არ გამოუვლენია მისთვის დამახასიათებელი სისასტიკე და კეთილშობილ ტყვეს დიდი პატივისცემით და მოწიწების გრძნობით ეპყრობოდა. სიმონ I-ლი სტამბოლში გააგზავნეს, სადაც ის თავის სიცოცხლის ბოლომდე იედი-ყულეს ციხესიმაგრეში ტყვედ იმყოფებოდა.

1784 წლის გაზეთ „მოძიორ ჰირმონდო"-ს („უნგრული მოამბე") ფურცლებზე ვკითხულობთ, რომ „თურქებს, რომლებმაც ძლივს შეძლეს მშვიდობის მიღწევა, ახლა საქართველოს მხრიდან მეფე ერეკლე ემუქრებოდა იერიშის მიტანით".

1831 წელს გაზეთ „ჰონნოშ მულოტშაგოკ"-ი („სასარგებლო გასართობები"), გვამცნობს, რომ მარსელში ჩავიდა ერთი ქართველი მბრძანებლის ორი ვაჟიშვილი, რომლებიც ევროპაში მოგზაურობდნენ. „ორივე ახალგაზრდა კაცს სახის ნაკვთები ლამაზი აქვს, ხოლო მოხდენილობით და ფო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რმით კი აპოლონ ბელვედერელს მოგვაგონებენ. ისინი პარიზში მიემგზავრებიან განათლების და ცოდნის შესაძენად, სადაც ორივენი ძალზე უბრალო ცხოვრების წესს ეწევიან. ცხოვრობენ ზომიერად, ბუნებით მორჩილნი არიან. გასაკვირი არ არის, რომ საქართველოში ასეთი ლამაზი მამაკაცები იბადებიან, რადგან ეს ქვეყანა ხომ ძალზე ლამაზი ქალებით არის ცნობილი აღმოსავლეთში. ქართველების მშობლიური ენა არც სპარსულია, არც თურქული".

საინტერესოა უნგრეთის მთავრობის მოხელის იოჟეფ რენცის მოგონებანი. მისმა სამახსოვრო ჩანაწერებმა კავკასიაში მოგზაურობაზე ასევე გაზ. „ჰოსნოშ მულოტშაგოკ"-ის ფურცლებზე იხილეს სინათლე 1829 წელს.

1841 წლის 21 მარტს იშტვან ნოგელი უნგრეთის დედაქალაქიდან სამეცნიერო მიზნით კავკასიაში გაემგზავრა. მან გაიარა ქალაქები. კონსტანტინოპოლი, ოდესა, სიმფეროპოლი. ამ ქალაქებში ის ყველგან დიდხანს ჩერდებოდა, დაბოლოს, 1842 წლის 28 მარტს თბილისში ჩავიდა. ნოგელი გატაცებით აღწერს თავის საგზაო შთაბეჭდილებებს და არ ფარავს, რომ, როგორც საქართველომ, ისე მისმა დედაქალაქმაც ის უაღრესად დიდ აღფრთოვანებაში მოიყვანეს. თუმცა ნოგელი თავისი ერთობ მახვილი თვალით ნაკლოვანებებსაც ამჩნევს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ, ნოგელის თქმით, როდესაც 1795 წელს სპარსელებმა თბილისი დაიკავეს და ააოხრეს, მათთან ტყვედ, მოხვდა თბილისში მომუშავე უნგრელი ექიმი.

გავეცნოთ ნოგელის მიერ აღწერილ თბილისს: „ერივნის ბაზარს შეიძლება ლამაზი ვუწოდოთ, სადაც მეფის ნაცვლის სასახლე მდებარეობს და მსუბუქი ოთხთვალა ღია ეტლები დგანან; ასევე შეიძლება ხოტბა შევასხათ თბილ აბანოებს და ორად ორ ბაზარს თუ გამოვყოფთ სხვებისგან თავიანთი აღმოსავლური ეგზოტიკით; მიმზიდველია გოტიკური სტილის ბერძნული და სომხური ეკლესიები; ქალაქის შუაგულიდან კონუსის ფორმის მოყვანილობის არც ისე მაღალი, მაგრამ მსხვილად ნაგები კოშკია აღმართული. მდ.მტკვრის მარცხენა ნაპირზე, რომელიც ძველი თბილისის გარეუბნებს ეკვრის, ხიდის წინ, კლდეზე პატარა ციხესიმაგრეა აგებული, რომელსაც ციხედ და ყაზარმად იყენებენ; იქვე, პატარა მოედანზე, რომელიც გორაკის ციცაბო მხარეს არის და რომელსაც სახელად „რიყე"-ს უწოდებენ, ახალი თბილისი მდებარეობს; ეს ადგილი კოლონისტების საცხოვრებელს წარმოადგენს და აქ უმეტესად კუსტარი ხელოსნები და მიკიტნები ცხოვრობენ; ყურადღებას იპყრობს გრძელი ქუჩა, რომლის ერთი ნაწილიც ქვის კლდეთა ქვეშ მდებარეობს, ხოლო მეორე კი მდ.მტკვრის სანაპირო ხაზს მიჰყვება, ხშირად რომ გადმოდის ხოლმე ნაპირებიდან; ეს ადგილი თავისი მდებარეობით იპყრობს მნახველის მზერას. კიდევ უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე ქალაქის ის ნაწილი, სადაც იმდროინდელი მთავრობის დიდი ყვითელი შენობა არის აღმართული, რომელიც „სასახლე"-ს სახელწოდებით ცნობილ კლდეთა ყველაზე უფრო მივარდნილ მწვერვალზე მდებარეობს; აქ, კლდეებზე შეფენილ მაცხოვრებელთა უმეტეს ნაწილს ქართველები შეადგენენ. მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, თბილისის წინ, ციცაბო მთაზე ციხის ნანგრევებს ვხედავთ, რომლებიც ქალაქს გარს ერტყმიან; ახლა იქ დენთის საწყობი არის განლაგებული; იქვეა რამდენიმე ოთახი დაცვისთვის".

იშტვან ნოგელის წიგნი სახელწოდებით „მოგზაურობა აღმოსავლეთში" მოიცავს ბევრ საყურადღებო ფაქტს. დიდ ფასეულობას წარმოადგენს მისი მეორე ნარკვევიც, რომელშიც ის საქართველოს ძველ ციხესიმაგრეებს ახსენებს. ნოგელის ამ შრომამ სინათლე უნგრულ ჟურნალ „ვილაგ"-ის („სამყარო") ფურცლებზე იხილა 1841 წელს.

ქართულ-უნგრულ ურთიერთობებს, პირველ რიგში, იმ უშუალო კონტაქტებში ვხვდებით, რომლებიც უნგრეთს და საქართველოს აკავშირებდა და კიდევ იმ სამოკავშირეო მოლაპარაკებებში, რომლებიც სტამბოლში ანდა სხვა ადგილებში იმართებოდა; ქართულ-უნგრულ დიპლომატიურ-ლიტერატურული ურთიერთობების ამსახველ ფურცლებს, აგრეთვე, უნგრელი გრაფის პეტერ ბედიკის და სხვა უნგრელი დიპლომატების თუ მწერალ-მეცნიერთა ჩანაწერებში ვეცნობით. მაგრამ ქართულ-უნგრულ ურთიერთობათა სურათი არასრული იქნებოდა, რომ ჩვენ თუნდაც ძალზე მოკლედ არ გადმოგვეცა უნგრელი ეროვნების ფაშების მოღვაწეობა საქართველოში და ქართველი ეროვნების ფაშების მოღვაწეობა უნგრეთში.

თარგმნა ვანო იმერლიშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

























ი 242/6

ფასი 2 ლარი



ნომერში გამოყენებულია **ნანა ცინცაძის** ნამუშევართა რეპროდუქციებ













